თბილისი „ხელოვნება“ 1991

გამოიცა შიომღვიმის მონასტრის ლოცვა-კურთხევით.

შემდგენლები: გელა აროშვილი
ზურაბ აროშვილი

რედაქტორი: მაია ინდუაშვილი

წიგნი გამოიცა შემდგენელთა ხარჯით

შემოსავლის ნაწილი მოხმარდება შიომღვიმის მონასტერს

4702017200
ა ———————— ბრძ.—91
მ (605) (06)—91

© გ. აროშვილი,
ზ. აროშვილი, 1991

ნეტარი ავგუსტინე

დასავლეთის ეკლესიის უდიდესი მასწავლებელი, ავრელიუს ავგუსტინე დაიბადა სამხრეთ ნუმიდიის პატარა ქალაქ ტაგასტში, ჰიპონიის მახლობლად, 354 წლის ნოემბერში. მამამისი პატრიციუსი. წარმართი იყო და მხოლოდ მაშინ მოინათლა როდესაც ავგუსტინეს 17 წელი შეუსრულდა, რის შემდეგაც მალევე აღესრულა. თავის სიცოცხლეში იგი ცდილობდა ავგუსტინესათვის კარგი განათლება მიეცა, მაგრამ მისი აღზრდის ზნისა და ხასიათისათვის ყურადღება არასოდეს მიუქცევია. დედას, მონიკას ჭეშმარიტად ქრისტეანული აღზრდა ჰქონდა მშობლებისაგან მიღებული და გამოირჩეოდა ზნეკეთილი ბუნებითა და სათნო, მშვიდობისმოყვარე ცხოვრებით. მონიკა 23 წლისა იყო, როდესაც ავგუსტინე შეეძინა. საკუთარ შვილს ყრმობიდანვე ასწავლა და შეაყვარა იესოს სახელი, მაგრამ მიუხედავად ამისა, ავგუსტინე მაინც უზნეობასა და გარყვნილ ცხოვრებას მიეცა. ეს განაპირობა მისი დროის მანკიერ ზნეჩვეულებათა გარემოცვამ, ცუდმა მეგობრების წრემ და თავისუფალმა ცხოვრებამ. ჭაბუკი ავგუსტინე აფრიკელისათვის დამახასიათებელი ტემპერამენტით ჩაეფლო გარყვნილებაში. ბიბლია მკვდარ წიგნად მიაჩნდა და მას როგორც პოლემისტი, ისე კითხულობდა. მისთვის დაიხშო სულიერი კარიბჭე, რადგან გულწრფელობისა და მორჩილების გარეშე მიეახლა საღმრთო_წერილს.

17 წლის ავგუსტინე კართაგენში გაემგზავრა განათლების მისაღებად. აქ იგი იოლად აღმოჩნდა მანიქეველთა ბადეში, რომელნიც თუმცაღა ხშირად ახსენებდნენ მაცხოვრის სახელს, მაგრამ თავისი სწავლებითა და ცხოვრების წესით მტრები იყვნენ ქრისტეს ეკლესიისა. მათმა სწავლებამ ავგუსტინე საკუთარი ცოდვების თვითგამართლების სენით დაავადა. ცოდვები უმნიშვნელოდ ეჩვენებოდა და მათ თავისი ნების გამოხატულების შედეგად კი არ მიიჩნევდა, არამედ როგორც გარეშე ბოროტი ძალის ტირანიას. ჭაბუკი ავგუსტინე ისე ღრმად ჩაეფლო ამ მწვალებლურ ჭაობში, რომ მეგობრები და ნაცნობებიც კი ჩაითრია. ცხრა წლის განმავლობაში იყო იგი

მანიქეველი. შემდგომ ავგუსტინეში თანდათან ეჭვმა დაისადგურა მანიქეველთა მოძღვრების მიმართ. მან დაინახა, რომ ისინი ნგრევაში უფრო წარმატებული იყვნენ, ვიდრე შენებაში. ავგუსტინემ განიზრახა კართაგენის დატოვება.

დედა ნეტარი ავგუსტინესი, მონიკა, უსაზღვროდ იყო დამწუხრებული შვილის მანიქეველობით. მან არ მოისურვა გზას აცდენილთან ერთ ჭერქვეშ ცხოვრება და აღარც ტრაპეზს იყოფდა მასთან. მონიკა, როგორც მკვდარს ისე დასტიროდა შვილს და მოუკლებლად ლოცულობდა, რათა ღმერთს იგი ჭეშმარიტი სარწმუნოებისაკენ მოექცია. ხედავდა რა დედის ამგვარ მეცადინეობას, ერთმა ეპისკოპოსმა ის ასე დაამშვიდა: „იცხოვრე ისე, როგორც ცხოვრობ და შეუძლებელია, რომ დაიღუპოს შვილი ამ ცრემლებისა“.

სამშობლოში დაბრუნებულმა ავგუსტინემ გრამატიკის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. 29 წლისა იგი შეხვდა სახელგანთქმულ მანიქეველ ეპისკოპოს ფავსტს. მრავალთათვის ფავსტი იყო „მახე სიკვდილისა“, მაგრამ ავგუსტინე მან თავისდაუნებურად დაიხსნა მწვალებლობის ბადისაგან. მანიქეველის სწავლებაში და ცხოვრების წესში მან მრავალი წინააღმდეგობა აღმოაჩინა. ფავსტთან საუბრის შემდეგ ავგუსტინე რომში გაემგზავრა. ამ დროს იგი წერდა: „ისწრაფე იქით, საიდანაც ანათებს ჭეშმარიტება.“ რომში ავგუსტინე დიდხანს არ გაჩერებულა, იგი თავის მეგობარ ალიპიუსთან ერთად მილანს გაემგზავრა, რათა წმ. ამბროსი მედიოლანელის ქადაგება მოესმინა. „მე მასთან ღმერთმა მიმიყვანა, რათა მის მიერ ღმერთთან მივსულიყავი“ — წერდა იგი შემდგომ. წმ. ამბროსიმ ის მამობრივი სიყვარულით მიიღო. მისი ქადაგებების მოსმენა ავგუსტინეს უდიდეს სიამოვნებას ანიჭებდა. მალე დიდი მღვდელმთავრის მეთვალყურეობით მან საღმრთო წერილის შესწავლა დაიწყო. ღმრთის სიტყვამ მასზე გადამწყვეტი ზეგავლენა მოახდინა. ავგუსტინე და ალიპიუსი კატეხიზატორთა ბეჯითი და მორჩილი მოწაფენი შეიქმნენ, თუმცაღა ნიჭითა და ცოდნით ბევრად აღემატებოდნენ თავიანთ მასწავლებლებს. 387 წელს, აღდგომამდე რამდენიმე დღით ადრე. ავგუსტინე ალიპიუსთან ერთად მოინათლა, მთელი თავისი ქონება ქვრივ-ობოლთ დაურიგა და ბერულ მოღვაწეობას შეუდგა. საოცა-

რია მისი უკანასკნელი საუბარი დედასთან. „...ერთადერთი მიზეზი იმისა, რომ ამ ქვეყნად დიდხანს მეცოცხლა, ის იყო, რომ სიკვდილამდე მეხილე მართლმადიდებელ ქრისტეანად. ღმერთმა კი უფრო მეტიც მომმადლა — დღეს ვხედავ, რომ ყოველივე ამქვეყნიურზე ამაღლებულხარ და თავი უფლისათვის მიგიძღვნია. მაშ რაღა დამრჩენია მე ამქვეყნად". ხუთი დღის შემდეგ მონიკამ უფალს მიაბარა სული.

391 წელს ჰიპონიის ეპისკოპოსმა ვალერიმ ავგუსტინეს პრესვიტერის წოდება მიანიჭა. მრავალმხრივი და ხაყოფიერი იყო ნეტარი მამის მოღვაწეობა ამ ხარისხში. მან დაარსა აფრიკაში პირველი ქალთა მონასტერი. მავრიტანიაში მისი მეცადინეობით აღიკვეთა საშინელი ადათი, რომლის დროსაც ქალაქის მცხოვრებნი ორ შეიარაღებულ ნაწილად იყოფოდნენ და სასიკვდილო ბრძოლას იწყებდნენ, რომელიც ერთ კვირამდე გრძელდებოდა და ქალაქი უაზროდ დაღვრილ სისხლს მიქონდა.

თავისი ცხოვრების 45-ე წელს ავგუსტინე ეპისკოპოსად აკურთხეს. მალე მან ჰიპონიის კათედრა დაიკავა. ღვდელმთავრობის ოცდათხუთმეტი წელი ნეტარმა მამამ მანიქეველობის, დონატიანობის და პელაგიანობის წინააღმდეგ ბრძოლას შეალია. ამ პოლემიკაში იგი მხოლოდ კალამს როდი სჯერდებოდა, არამედ პირად დისპუტებზე ამარცხებდა მწვალებელთ, მისი საუბრები კი შემდგომ მორწმუნეებში ვრცელდებოდა. სახლი ნეტარი ავგუსტინესი მუდამ ღია იყო ნაცნობთათვის თუ უცნობთათვის. თავის მაგიდაზე ასეთი სიტყვები ეწერა: „ვისაც უყვარს ზურგს უკან ყვედრება სხვათა ცხოვრებისა, იცოდეს, რომ ეს მაგიდა ამხილებს მას". მისი ქადაგებები არასოდეს ყოფილა რიტორიკული, ანდა უმაღლესი ღვთისმეტყველების ნიმუში, როგორც, ვთქვათ, კაბადოკიელი მამებისა. ისინი განკუთვნილი იყო უბრალო მეთევზეებისა და ხელოსნებისათვის და არა ანტიოქიელი თუ კონსტანტინეპოლელი არისტოკრატიისათვის. ამ ქადაგებათა უბრალოება მეტად ახლოს იყო სახარების სულთან.

ნეტარი ავგუსტინე თვითმხილველი იყო მრავალი სასწაულისა, და არა მარტო მხილველი, არამედ თავადაც მრავალ საკვირველ საქმეს აღასრულებდა. მისი ლოცვით არა ერთი

სნეული განკურნებულა. 430 წელს ჰიპონია ვანდალებმა გადაწვეს. ერთადერთი, რაც ცეცხლს სასწაულად გადაურჩა, იყო ნეტარი ავგუსტინეს ბიბლიოთეკა. მალე დაეცა კართაგენიც. ჩრდილო აფრიკის ეკლესია მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ავგუსტინე იყო ჰიპონიის უკანასკნელი ეპისკოპოსი, მან საკუთარი თვალით იხილა საყვარელი ქალაქის სიკვდილი, რის შემდეგაც დიდხანს აღარ უცოცხლია. იგი 430 წლის 28 აგვისტოს გარდაიცვალა.

ნეტარმა ავგუსტინემ თავისი მოღვაწეობით წარუშლელი კვალი დატოვა ეკლესიის ისტორიაში. ის იყო ნაკლებად მტკიცე, ვიდრე ათანასე დიდი, ნაკლებად სწავლული, ვიდრე იერონიმე, ნაკლებად მჭევრმეტყველი, ვიდრე ოქროპირი, ნაკლებად ღრმა, ვიდრე გრიგოლ ღვთისმეტყველი, ნაკლებად გამჭრიახი, ვიდრე ნეტარი თეოდორიტე, ნაკლებად ძლიერი ეპისკოპოსი, ვიდრე ბასილი დიდი, ანდა ამბროსი მედიოლანელი, მაგრამ თავისი მოღვაწეობის მრავალფეროვნებით იგი ბევრს აღემატებოდა. ის იყო უდიდესი მასწავლებელი ჩრდილო აფრიკისა. ერთერთი ყველაზე ნათელი ადგილი მის ცხოვრებაში იყო ხილვა ყრმა იესოსი, რომელსაც სურდა მთელი ოკეანე ერთ პატარა ქვიშის ორმოში მოექცია. სწორედ ამ დროს ავგუსტინე ცდილობდა საკუთარი გონებით ჩასწვდომოდა წმიდა სამების საიდუმლოს. ამ ჩვენებით კი უფალმა ნეტარ მამას კიდევ ერთხელ დაანახა სასრულობა და უმწეობა ადამიანის გონებისა.

ნეტარი ავგუსტინეს კალამს ეკუთვნის მრავალი თხზულება (მისი ბიოგრაფის თქმით მათი რაოდენობა ათასოცდაათს აღწევდა). აღსანიშნავია მისი „აღსარება“, „ღვთის ქალაქის შესახებ“, ჩვიდმეტი წიგნი პელაგიანელთა წინააღმდეგ, კომენტარები დაბადების წიგნისა და სხვა. იგი ცდილობდა მისი ნაწერები ყველასთვის მისაწვდომი და სარგებლის მომტანი ყოფილიყო. „უმჯობესია გრამატიკოსებმა განგვაქიქონ, ვიდრე ჩვენი აზრები ხალხისათვის გაუგებარი იყოს“ — ამბობდა იგი.

ჭეშმარიტი სარწმუნოებისათვის

(თავდაპირველად ნეტარი ავგუსტინე საუბრობს მასზედ, რომ ჭეშმარიტი სარწმუნოება არა აქვთ არც წარმართებს და არც რომელიმე სექტას, არამედ აქვს მხოლოდ ერთს — ქრისტეს კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიას; შემდეგ ის განგვიცხადებს საღმრთო განგებულებას ადამიანის ხსნისათვის, რაც წეადგენდა კიდეც არსს და საფუძველს ქრისტიანული სარწმუნოებისას, და უკუაგდებს მანიქეველთა შეცთომილებას, განსაკუთრებით კი — მათს შეხედულებას ორ დასაბამზე, და ბოროტების წარმომავლობისა და არსის შესახებ. კვალად, ნეტარი ავგუსტინე საუბრობს იმ ორგვარ გზაზე, რომლითაც ღმერთის მიერ განგებულია ადამიანთა ბედი: ანუ ღმერთი ორგვარი სახით მოუწოდებს ადამიანს ხსნად — მორწმუნეთ — ეკლესიის ავტორიტეტით, მოაზროვნეებს კი — გონების მეშვეობით, რამეთუ ის ადამიანი, რომელიც გონებას ეფუძნება, მდაბალ საგანთაგან ღმერთამდე აღმაღლდება, მ ი ს კ ე ნ მიისწრაფვის და ამ ზესწრაფვაში თვით მანკიერებებითაც კი დაიმოძღვრება. მანკიერებათა სამგვარ სახეობაზე ნეტარი ავგუსტინე აქ ვრცლად საუბრობს, და თავის მსჯელობას იმით დაასრულებს, რომ დაასკვნის: ჭეშმარიტი სარწმუნოებით შემოსილებმა თაყვანი უნდა ვცეთ ერთ ჭეშმარიტ ღმერთს, ანუ ყოვლადწმიდა სამებას — მამას და ძეს და სულს წმიდას — რომელსა შვენის დიდება აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.)

თავი I

ფილოსოფოსები სხვაგვარად ასწავლიდნენ სარწმუნოებას სკოლაში და სხვაგვარად აღიარებდნენ მას ტაძარში.

რადგან გზას სათნო და ნეტარი ცხოვრებისაკენ ჭეშმარიტი სარწმუნოება გვიჩვენებს, განმადიდებელი ე რ თ ი ღ მ ე რ-

თ ი ს ა და წმიდა კეთილმოშიშებით შემმეცნებელი ყოველგვარი ბუნების დ ა ს ა ბ ა მ ი ს ა, ვ ი ს გ ა ნ ა ც იწყება კიდეც, სრულ-იქმნება კიდეც და შენარჩუნებულია კიდეც მთელი სამყარო, — ამიტომ იმ ხალხთა შეცთომილება, რომელთაც მრავალი ღმერთის თაყვანისცემა უფრო სურდათ, ვიდრე ერთი ჭეშმარიტი ღმერთისა — ყოველთა უფლისა, ყველაზე ნათლად იმ გარემოებით ცხადდება, რომ ამ ხალხების ბრძენკაცებს, ანუ ეგრეთ წოდებულ ფილოსოფოსებს სხვადასხვა ფილოსოფიური სკოლები ჰქონდათ, ტაძრები კი — საერთო. არც ხალხისათვის და არც ტაძართა ქურუმთათვის საიდუმლო არ იყო, თუ როგორ ძალზე განსხვავდებოდა ამ ფილოსოფოსთა შეხედულებანი თვით ღმერთთა ბუნების შესახებაც (სხვას რომ თავი გავანებოთ), რადგან არც ერთს (ფილოსოფოსთაგან) არ ეშინოდა თავისი აზრის გამოთქმისა, და რომ შესძლებოდათ, თითოეული მათგანი შეეცდებოდა ყველა დაერწმუნებინა თავისი შეხედულების სისწორეში; — მიუხედავად ურთიერთსაწინააღმდეგო აზრების პყრობისა, ყველა ისინი, თავიანთ მიმდევრებთან ერთადვე სრულიად დაუბრკოლებლად ეთაყვანებოდნენ საერთო სიწმიდეებს. ახლა მე არ ვისაუბრებ იმაზე, თუ რომელს ამ ფილოსოფოსთაგან ჰქონდა უფრო სწორი და ჭეშმარიტებასთან მიახლოებული შეხედულება; ჩვენთვის, ვგონებ, იმ ერთი გარემოების ცოდნაც საკმარისია, რომ სარწმუნოებრივ საკითხებზე ისინი ერთ აზრს ადგნენ მთელს ხალხთან ერთად, პირადულად კი სულ სხვადასხვაგვარად ფიქრობდნენ და ხალხსაც თავიანთი მოძღვრების შესაბამისად უქადაგებდნენ.

თავი II

როგორ ფიქრობდა ღმერთებზე სოკრატე. — არსებული სამყარო, რომელსაც ღმერთად მიიჩნევდნენ.

მაგრამ სოკრატე, როგორც ამას გადმოგვცემენ, სხვებზე გაბედული იყო, რადგან (ღმერთსავით) იფიცავდა ყოველ ძაღლს, ქვასა თუ სხვა რაიმეს, რაც კი თვალწინ ჰქონდა და რაც, ასე ვთქვათ, ხელში მოხვდებოდა. მე ვფიქრობ, რომ სოკ-

რატესთვისაც ცხადი იყო: ბუნების ყოველი აღმონაცენი, წარმოშობილი საღმრთო განგებულებით, ბევრად უკეთესია ადამიანის ხელით ნაქნარსა თუ ნებისმიერი მხატვრის მიერ შექმნილზე, და ამის გამო უფრო მეტადაც იმსახურებს საღმრთო თაყვანისცემას, ვიდრე ყოველივე ის (ადამიანის ხელთა ქმნილებისაგან), რასაც ტაძრებში ეთაყვანებოდნენ. დიახ, მას, ალბათ, ესმოდა ეს, მაგრამ იმის გამო კი არ იფიცავდა ყოველივეს, თითქოს ქვა თუ ძაღლი მართლაც ღირსნი იყვნენ (მისი აზრით) ბრძენკაცთაგან თაყვანისცემისა, არამედ იმიტომ, რომ შემძლეს გულისსმა-ეყო, თუ რა ღრმა ცრუმორწმუნეობაში იყვნენ მაშინ ადამიანები ჩაფლული; ასე, რომ იმათთვის, ვინც თავისუფლდებოდა ამგვარი ცრუ-რწმენისაგან, საჭირო იყო ჩვენება ასეთი ცრუ-რწმენის უდაბლესი და უსაძაგლესი საფეხურისა, რათა მათ დაენახათ თავიანთი უწინდელი მდგომარეობის მთელი სისაძაგლე; ანუ მათთვის საჩინო უნდა გამხდარიყო, რომ, თუკი სამარცხვინოა ღმერთის ქმნილებათა გაღმერთება და თაყვანისცემა, რამდენგზის უფრო სამარცხვინო უნდა ყოფილიყო ადამიანის ხელთა ქმნილების გაღმერთება და თაყვანისცემა! ამასთანავე, სოკრატე (ამით) ამხელდა იმ ადამიანთა (ფილოსოფოსთა) საძაგელ შეხედულებას, რომელნიც ამა ხილულ სამყაროს უზენაეს ღმერთად მიიჩნევდნენ, და აქედან გამომდინარე, დაასკვნიდნენ, რომ სამართლიანი და უპრიანი იქნება, თუკი ყოველ ქვას ვცემთ თაყვანს როგორც უზენაესი ღმერთის ნაწილაკსაო. ხოლო თუკი მისი ასეთი დასკვნა მათ აღაშფოთებდათ, მაშინ ისინი შეიცვლიდნენ შეხედულებას და ერთი ჭეშმარიტი ღმერთის ძიებას შეუდგებოდნენ, რ ო მ ე ლ ი ერთადერთია უეჭველად აღმატებული ჩვენს გონებაზე და რ ო მ ე ლ მ ა შეჰქმნა კიდეც ყოველი სული და მთელი ეს სამყარო. და სოკრატესაც ეს ჰქონდა მიზნად, როცა ყოველივეს ღმერთსავით იფიცავდა.

შემდგომში, დიდად საამოდ წერდა პლატონი, თუმცა არც თუ ასეთივე ძალით დარწმუნებისა, რადგანაც ამ ჯურის ფილოსოფოსები იმისთვის როდი არიან შობილნი ამქვეყნად, რომ ცრუ-რწმენისაგან და ამაქვეყნიურ ამაოებისაგან გაათავისუფლონ თავიანთი ხალხის აზრი და მიმართონ იგი ერთი ჭეშმარიტი ღმერთის ჭეშმარიტ თაყვანისცემად. ამიტომაც

იყო, რომ თვით სოკრატეც (გამორჩეული ფილოსოფოსთაგან) თავის ხალხთან ერთად კერპებს ეთაყვანებოდა; და მისი სიკვდილისა და დაგმობის შემდეგ უკვე ვეღარავინ ბედავდა ძაღლისა თუ ქვის დაფიცვას, თუმცა წერილობით ამის გახსენება შემდგომშიც შეეძლოთ. რით იყო ეს განპირობებული — შიშით მკაცრი სასჯელის წინაშე, თუ ეს დროის რაღაც ნიში იყო, — ამის განსჯას აქ აღარ შევუდგები.

თავი III

ჭეშმარიტი სარწმუნოება — ქრისტიანული სარწმუნოებაა, რომელმაც ადამიანები იმაში დაარწმუნა, რაშიც, პლატონის შეხედულებით, მათი დარწმუნება შეუძლებელი იყო.

თუმცა კი, იმ ადამიანთა ნებართვით, რომელნიც დღესაც კი ასე ეთაყვანებიან ამ ფილოსოფოსთა თხზულებებს, მე უშიშრად და გადაჭრით ვიტყვი, რომ სულ მცირედ საჭოჭმანოც არ უნდა იყოს ის, თუ ქრისტიანულ დროში რომელ სარწმუნოებას უნდა ვაღიარებდეთ, რათა მან ჭეშმარიტების შეცნობამდე და საუკუნო ნეტარების დამკვიდრებამდე მიგვიყვანოს. და მართლაც, პლატონი რომ დღეს ცოცხალი ყოფილიყო და ჩემი შეკითხვა პასუხის ღირსად ეცნო, ანუ თუკი, უკეთ რომ ვთქვა, მისი რომელიმე მოწაფე პლატონის სიცოცხლეში ჰკითხავდა მას, მისგანვე შეგონებული იმაში, რომ ჭეშმარიტება სხეულებრივი თვალებით კი არ იხილვება, არამედ წმინდა გონებით; რომ როგორი სულიც არ უნდა ჰქონდეს ადამიანს, ამ სულს ძალუძს ნეტარი და სრულყოფილი შეიქმნას; რომ მის მიერ ამ ნეტარებისა და სრულყოფილების მიღწევას ხელს უშლის მხოლოდ ვნებებით აღსავსე ცხოვრება და ცრუ (მოჩვენებითი) სახეები გრძნობისმიერი საგნებისა, რომლებიც შემოიჭრებიან რა ჩვენს არსებაში გძნობისმიერი სამყაროდან, და შემოიჭრებიან რა ჩვენივ სხეულის მეშვეობით, ისინი სხვადასხვა შეხედულებებსა და შეცთომილებას აღმოაცენებენ ჩვენში; რომ ამიტომ ჩვენი სული უნდა განიწმინდოს საჭვრეტად საგანთა უცვალებელი ფორმისა და მარადიული, ყო-

ველთვის თავისი თავის ფარდი სიმშვენიერისა, რომელიც არც სივრცეში არ დაიყოფა და არც დროში არ იცვლება, არამედ თავის ყოველ ნაწილში ინარჩუნებს ერთიანობასა და იგივეობას, და რომლის არსებობასაც ადამიანები არ აღიარებენ, თუმცა კი იგი ნამდვილად და უზენაესი სახით არსებობს; რომ ყოველივე დანარჩენი იშვება და კვდება, ირღვევა და განქარდება, მაგრამ რამდენადაც არსებობს, ამდენად, უეჭველია. საუკუნო ღმერთის მიერ არის შექმნილი მისი ჭეშმარიტებისაგან; რომ ყველაფერ ამას იმ ზომით აქვს მინიჭებილი გონიერი და მოაზროვნე სული, რათა შეეძლოს დატკბობა მისი მარადიულობის ჭვრეტით, რათა აღივსოს და დამშვენდეს ამ მარადიულობით და შეიძლოს ღირს-ყოფა მარადიული სიცოცხლისა, მაგრამ სანამ სიყვარულისა და მწუხარების გრძნობას განიცდის აღმოცენებად და წარმავალ საგახთადმი, და სანამ ამა ქვეყნიურ ჩვეულებებსა თუ სხეულის გრძნობებს დამონებია, იგი იკარგება (იბნევა) ცარიელ აჩრდილთა შორის და დასცინის კიდეც ყველა იმათ, ვინც კი რაღაც ისეთზე ლაპარაკობს, რაც გრძნობისმიერი თვალებით კი არ აღიქმება და აჩრდილისებრ კი არ იაზრება, არამედ შეიძეცნება მხოლოდ გონებითა და სულის მოაზროვნე ძალით, — ჰოდა, თუკი-მეთქი, ყოველივე ამაში თავისი მოძღვრის (პლატონის) მიერ შეგონებული მოწაფე ჰკითხავს მას — საღმრთო პატივის ღირსად თუ მიიჩნევდი ვინმე დიდსა და ღვთაებრივ კაცს (თუკი ასეთი გამოჩნდებოდა), რომელიც ადამიანებს ჩაუნერგავდა რწმენას თუნდაც მხოლოდ ზემოჩამოთვლილში, თუკი, ამასთან, მათ არ შეეძლებოდათ ყოველივე ამის შეცნობა, ხოლო თუკი ვინმეს შეეძლებოდა კიდეც ამის შეცნობა, მაინც, ამაო შეხედულებათა მიზეზით თავისუფალ ადამიანთა ბრბოები საყოველთაო შეცთომილებაში იქნებოდნენ ჩავარდნილიო, — ამ შეკითხვაზე, როგორც მე ვჰგონებ, პლატონი ასე უპასუხებდა: ესევითარი საქმე შეუძლებელიაო ადამიანისათვის! ანდა ამის მოქმედებას მხოლოდ ისეთი ადამიანი შეიძლებდაო, რომელსაც თვით ღვთაებრივი სიბრძნე და ძალი აღირჩევდაო ამ საქმისათვის, აღირჩევდა იმგვარად, რომ აღმოიყვანდა მას საგანთა ჩვეული მდინარებიდან და აკვნიდანვე განანათლებდა არა კაცობრივი სწავლით, არამედ თავისი შინაგანი

ნათლით, და რომელსაც მიანიჭებდა იმგვარ წყალობას, განამტკიცებდა ისეთი ძალით, და, ბოლოს, განადიდებდა ისეთი ღირსებით, რომ მას, ამ ღვთისაგან რჩეულ ადამიანს, თავისი უზენაესი სიყვარულითა და ავტორიტეტით შეეძლებოდა მთელი კაცთა მოდგმა მხსნელი რწმენისადმი მოექციაო; ამასთანავე, ასეთი ადამიანი მოიძაგებდა ყოველივე იმას, რაც ეგზომ სურთ თავისთვის გარდაქცეული (წახდენილი) ნების მქონე ადამიანებს, და დაითმენდა ყოველივე იმასაც, რისაც ეგზომ ეშინიათ ამ ადამიანებს, და მოიმოქმედებდა ყოველივე იმას, რაც საკვირველი იქნებოდა მათთვისო. აი, ვგონებ, ასე მიუგებდა პლატონი თავისი მოწაფის შეკითხვაზე. ხოლო ასეთი ადამიანის საფერ პატივს რაც შეეხება, ვფიქრობ, ამის გამო შეკითხვაც კი სრულიად ზედმეტია, რადგანაც უამისოდაც ნათელია, თუ რა პატივის ღირსი შეიძლება იყოს ღვთაებრივი ს ი ბ რ ძ ნ ე, რომლის შეგონებითა და წინამძღვრობით რჩეულ ადამიანს შეეძლებოდა ადამიანთა მთელი მოდგმის ხსნა: ასეთი ადამიანი დაიმსახურებდა, რაღაც დიადს, საკუთრივი მნიშვნელობით, რაღაც აღმატებულს ყველა სხვა ადამიანზე.

და, აი, ყოველივე ეს აღსრულდა! ამისთვის ხმამაღლად და ცხადად მეტყველებენ წიგნებიცა და ძეგლებიც. მოციქულებმა, გამორჩეულებმა და წარგზავნილებმა მსოფლიოს ერთი ქვეყნისაგან, რომელშიც ერთადერთში თაყვანის-იცემებოდა ერთი (ჭეშმარიტი) ღმერთი და სადაც სწორედ ჯერ-იყო შობა ამგვარი კ ა ც ი ს ა, — ამ რჩეულმა მოციქულებმა თავიანთი მოღვაწეობითა და ქადაგებით მთელს მსოფლიოში აღანთეს ცეცხლი ღვთაებრივი სიყვარულისა, დანერგეს და დაამკვიდრეს მხსნელი მოძღვრება და სწორედ ამ ღვთაებრივი მოძღვრების ნათლით განათლებული ქვეყანა დაგვიტოვეს ჩვენ. თუკი გარდასულ დროთა გამო არაფერს ვიტყვით, რისაც ყოველს შეუძლია არ ირწმუნოს, აწინდელ დროზე ხომ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახლა ყველა ხალხში გაისმის ეს ქადაგება: „პირველითგან იყო სიტყვაი, და სიტყვაი იგი იყო ღმრთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყვაი იგი .ესე იყო პირველითგან ღმრთისა თანა. ყოველივე მის მიერ შეიქმნა, და თვინიერ მისა არცა ერთი რაი იქმნა, რაოდენი-რაი იქმნა" (იოანე 1. 1—3). იმისთვის, რომ სული ადამიანისა განიწმიდოს და გაიგოს ეს

ქადაგება, შეიყვაროს იგი და თავის სასარგებლოდ მიმართოს, აგრეთვე იმისთვის, რომ ძალი მისი აზროვნებისა უფრო განმტკიცდეს და გაცისკროვნდეს ღვთაებრივი ნათლით, ძუნწთათვის ითქვა: „ნუ იუნჯებთ თქვენ საუნჯეთა ქვეყანასა ზედა, სადა მღილმან, და მჭამელმან განრყუნის, და სადა მპარავთა დათხარიან და განიპარიან; ხოლო თქვენ იუნჯებდით საუნჯეთა ცათა შინა, სადა არცა მღილმან, არცა მჭამელმან განრყუნის; და სადა არცა მპარავთა დათხარიან და განიპარიან. რამეთუ სადაცა არს საუნჯე თქვენი, მუნცა იყოს გული თქვენი“ (მათე 6, 19—21); მფლანგველთათვის კი ნათქვამია: „...რომელმან სთესოს ხორცთა შინა თვისთა, ხორცთა მიერ თვისთა მოიმკოს ხრწნილებაჲ, ხოლო რომელმან სთესოს სულსა თვისსა, სულისაგან თვისისა მოიმკოს ცხორებაჲ საუკუნოჲ“ (გალატ. 6, 8); სულით ზვიადთა და ამპარტავანთათვის ნათქვამია: „...ყოველმან, რომელმან აღიმაღლოს თავი თვისი, იგი დამდაბლდეს, და რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი, ამაღლდეს“ (ლუკა 14, 11); ასევე მრისხანეთათვის ნათქვამია: „... მე გეტყვი თქვენ არა წინააღმდგომად ბოროტისა, არამედ რომელმან გცეს შენ ყურიმალსა შენსა მარჯვენესა, მიუპყარ მას ერთკერძოჲცა“ (მათე 5, 39); მშფოთვარეთათვისაც ნათქვამია — „გიყვარდედ მტერნი თქვენნი“-ო (მათე 5, 44) და ცრუდ მორწმუნეთათვისაც „...აჰა ეგერა სასუფეველი ღმრთისაჲ შორის თქვენსა არს“-ო (ლუკა 17, 21); ცნობისმოყვარეთათვის (მიმომწვლილველთათვის) ნათქვამია: ნუ ეძიებთო ხილულს, არამედ უხილავი მოიძიეთ, „რამეთუ ხილული ესე საწუთრო არს, ხოლო არახილული იგი — საუკუნო“ (II კორინთ. 4, 18); ხოლო საზოგადოდ ყოველთათვის კი ასეა ნათქვამი საღმრთო წერილში: „ნუ გიყვარნ სოფელი ესე, ნუცაღა რაჲ არს სოფლისაჲ ამის. უკუეთუ ვისმე უყვარდეს სოფელი ესე, არა არს სიყვარული მამისაჲ მის თანა, რამეთუ ყოველივე სოფელსა შინა ესე არს გულისთქუმაჲ ხორცთაჲ და გულისთქუმაჲ თვალთაჲ და სილაღე ამის ცხორებისაჲ. და ესე არა არს მამისაგან, არამედ სოფლისაგანი არს“ (I იოანე 2, 15—16).

თუკი მსგავსი გამონათქვამები ამჟამად სრულის ხალისით და მოწონებით მოისმინება მთელი მსოფლიოს ხალხების მი-

ერ; თუკი ესეოდენი სისხლის, მოწამეობრივი კოცონებისა და ჯვრების შემდგომ (ქრისტეს) ეკლესია ეგზომ განდიდებულა, კიდევ უფრო დიდი ძალით შემოსილა და ბარბაროს ხალხთა შორისაც კი განვრცობილა; თუკი ახლა არავინ აღარ ჰკვირობს იმ ათასობით ჭაბუკთა და ქალწულთა ცხოვრებას, რომელთაც უქორწინებლობა დაუმარხიათ და უმანკო ცხოვრებას ეწევიან სულის ხსნისათვის, — (ხოლო, სხვათა შორის, როცა ეს პლატონმაც სცადა, მალე იმდენად შეეშინდა თავისი, იმ დროისათვის გარდაქცეულად მიჩნეული, შეხედულებისა, რომ, გადმოგვცემენ, გაუღო კიდეც მსხვერპლი ბუნებას თავისი უმანკოების, ვითარცა ცოდვის აღმოსაფხვრელადო); და თუკი ასეთს რასმე ამჟამად უწინდელივით უცნაურ საქმედ კი არ მიიჩნევენ, არამედ პირიქით, უმალ იმას გაიკვირვებენ, თუკი ვინმე უმანკოების წინააღმდეგ იტყვის რაიმეს; მაშასადამე, თუკი ამგვარი აღთქმა (უქორწინებლობისა) და ასეთი ვალდებულება ღმერთის წინაშე უმანკოების დამარხვისა ადამიანებით დასახლებულ ყველა ქვეყანაში ქრისტიანული წეს-ჩვეულებითაა კურთხეული; კვალად, თუკი მსგავსი საგნების შესახებ ყოველდღე იკითხება საკითხავი ეკლესიებში და მღვდელმსახურნი ახსნა-განმარტებასაც იძლევიან; თუკი გულში მჯიღს იცემენ ისინი, რომელნიც ცდილობენ ყოველივე ეს თავიანთი ცხოვრებითაც აღასრულონ; თუკი ამ ძნელადსავალ გზას იმდენად მრავალნი ადგებიან, რომ სიმდიდრისა და ამქვეყნიურ პატივთაგან განდგომილი ადამიანებით, რომელთაც მთელის გულით მოსურვებიათ თავიანთი ცხოვრება ერთ უზენაეს ღმერთს მიუძღვნან, აღივსება ოდესღაც უკაცრიელი კუნძულები და საუდაბნოო ადგილები; და ბოლოს, თუკი თვით დედაქალაქებშიც, პროვინციის ქალაქებში, ციხე-სიმაგრეებში, ღაბა-სოფლებსა თუ ცალკეულ დასახლებებშიც იქადაგება და სასურველად ისახება ყოველივე ამქვეყნიურისაგან განდგომა და მსახურება ერთი ჭეშმარიტი ღმერთისა, და ეს იმდენად აშკარად, დაუფარავად ხდება, რომ ადამიანთა მოდგმა მთელს ქვეყნიერებაზე ყოველდღიურად თითქოს ერთხმად შეჰღაღადებს ღმერთს — უფლისა მიმართ აღვიმაღლოთ გულნიო, — მაშინ, თუკი ყოველივე ეს ნამდვილად აღსრულდება ამქვეყნად, განა კვლავაც ღირს, რომ წუხანდელი სიმთვრალისაგან

ნაბახუსევისათვის ვზრუნვიდეთ, ანდა მკვდარ, უგნურ პირუტყვთაგან ვეძიებდეთ საღმრთო სიტყვებს; ანთუ ღირს გახა, როცა ვინმეს სიტყვას მივუგებთ და ვეკამათებით, ვამჯობინებდეთ პლატონის მაქებარი და მადიდებელი ბაგენი გვქონდეს, და არა ჭეშმარიტების სიყვარულით აღვსებული გული?!

თავი IV

მთლიანად გრძნობისმიერს მიცემული ფილოსოფოსნი გაკიცხვას იმსახურებენ.

ამიტომაც უნდა უარვყოთ ხოლმე ისინი, რომელთა შეხედულებითაც ამა გრძნობისმიერი ქვეყნის მოძაგება და სათნოებით განწმედილი სულის მიძღვნა უზენაესი ღმერთისადმი, მ ი ს დ ა დამორჩილება — ამაო საქმეა, ანდა ბოროტი საქმეა; ესევითარნი სხვა სახის დასაბუთებათა საშუალებით უსდა უკუვაგდოთ, თუკი, საერთოდ, ღირს მათთან საუბარი. იმათ კი, ვინც ამას კეთილ და სასურველ საქმედ მიიჩნევს, დაე, შეიმეცნონ ღმერთი და, დაე, დაიმდაბლონ თავი ღმერთის წინაშე, რ ო მ ე ლ ს ა ც ყ ო ვ ე ლ ა ხალხისათვის შთაუნერგავს რწმენა ყოველივე ამისა. ასეთი რწმენით სხვების შეგონებაზე, რა თქმა უნდა, ისინიც არ იტყოდნენ უარს, ამაო საქმედ რომ მიიჩნევენ ყოველივე გრძნობისმიერის მოძაგებას და ღმერთისადმი თავის მიძღვნას, — უარს არ იტყოდნენ, რომ შეეძლოთ ეს, ხოლო თუკი ვერ შეიძლებენ, მაშინ, ყოველ შემთხვევაში, შურით მაინც აღივსებიან შემძლეთადმი. მაშ, დაე, დამორჩილდნენ ი მ ა ს, ვ ი ნ ც მოიმოქმედა ეს და ადამიანებს ამის რწმენა შთაუნერგა! დაე, განიგდონ თავისაგან ცნობისმოყვარეობა და ამაო პატივმოყვარეობა, და დაე, გულისხმაყონ, თუ რა განსხვავებაა მცირედთა მერყეე, არამტკიცე მარჩიელობასა და ხალხების განცხადებულ ხსნასა და გამოსწორებას შორის. აკი ასეა ხომ: რომ გაცოცხლებულიყვნენ ის ადამიანები, რომელთა სახელითაც ესენი ეგზომ იქებენ თავს, და ენახათ, რომ ქრისტეს ტაძრები სავსეა მორწმუნეებით, საკერპე ბომოხეები კი დაცარიელებულა, ხოლო მთელს კაცთა მოდგმას დროე-

ბითი და წარმავალი სიკეთეების სანაცვლოდ საუკუნო ცხოვრების სასოებად და სულიერ, გონიერ სიკეთეთა მოსაპოვებლად მოუწოდებენ, — რომ ენახათ ეს, განა ისინი (თუკი მართლაც იმდაგვარნი იყვნენ, როგორებადაც მოგონება წარმოგვიდგენს) ნამდვილად არ იტყოდნენ ამას: „აი, ყოველივე ის, რაშიც ხალხთა დარწმუნებას ჩვენ ვერც ვიოცნებებდით! ჩვენ უფრო მათი ჩვეულებების წინაშე ვიხევდით უკან, იმის ნაცვლად, რომ ჩვენს რწმენაზე მოგვექცია ისინი და ჩვენი ნებისადმი დაგვემორჩილებინა?!“

ამრიგად, ის ფილოსოფოსნი როგორღაც ჩვენს გვერდით რომ აღმოჩენილიყვნენ, უეჭველად მიხვდებოდნენ, თუ ვისი ავტორიტეტით არიან ადამიანები დარწმუნებულები, და თავიანთი სიტყვებისა და შეხედულებების მცირეოდენი სახეცვლილებით ნამდვილად ქრისტიანები შეიქნებოდნენ, ანუ იმგვარადვე მოიქცეოდნენ, როგორც მოქცეულან ძალზე მრავალრიცხოვანი პლატონიკოსები როგორც ჩვენი დროისა, ასევე ცოტა უფრო ადრინდელნიც. ხოლო თუკი არ აღიარებდნენ ამას და ასე არ მოიქცეოდნენ, აღვსილნი ამპარტავნებითა და შურით, მაშინ მე აღარ ვიცი, შეძლებდნენ კი ეს ფილოსოფოსნი, აღსავსენი ესოდენი უწმიდურობითა და შეკრულნი ასეთი საკრველებით, კვლავაც მსწრაფველნი ყოფილიყვნენ იმისადმი, რაც, მათივ სიტყვით, უნდა შეადგენდეს კიდეც ძიებისა და სურვილთა საგანს ჭეშმარიტებას მოწყურებული ფილოსოფოსისათვის. რამეთუ მე არ ვუწყი, იყვნენ თუ არა ესევითარი ადამიანები დაავადებულნი კიდევ სხვა, მესამე სახის მანკიერებით, — კერძოდ კი ცნობისმოყვარეობით ეშმაკთა გამოკითხვისა, — იმ სენით, რომელიც აიძულებს მათ ეშმაკს მიმართონ ხოლმე შეკითხვით. სწორედ ამ სენით არიან აკი შეპყრობილნი და ქრისტიანულ ხსნას მოკლებულნი ამის გამო ის უკეთური ადამიანებიც, რომელთა წინააღმდეგაც მიმართულია კიდეც ჩვენი აწინდელი სიტყვა, ანუ წარმართები, — იმიტომ, რომ ეს სნეულება მეტისმეტად ბავშვურია.

თავი V

რომელ აღმსარებლობაშია ჭეშმარიტი სარწმუნოება. საღმრთო სიქის — სულიწმიდისათვის.

მაგრამ როგორიც არ უნდა ყოფილიყო ამ ფილოსოფოსთა პატივმოყვარეობა, ყველასთვის გასაგები უნდა იყოს, რომ სარწმუნოებას არ უნდა ვეძიებდეთ იმათთან, ვინც ხალხთან ერთად ერთსა და იმავე (საერთო) წეს-ჩვეულებებს აღასრულებდა ტაძრებში, თავიანთ სკოლებში კი, იმავე ხალხის თანდასწრებით დაუფარავად გამოთქვამდა განსხვავებულ და ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებებსაც კი ღმერთებისა და უსენაესი სიკეთის შესახებ. მხოლოდ ეს ერთი სენი რომ განეკურნა ქრისტიანობას, ამ შემთხვევაშიც კი არავინ არ უნდა დაეეჭვდეს იმაში, რომ ეს მოძღვრება ყოველმხრივ ქებას იმსახურებს. ვართლაც, ქრისტიანობის დადგინებათაგან მოწოლებული მრავალრიცხოვანი მწვალებლობანი ადასტურებენ, რომ მამა-ღმერთზე, მ ი ს ს ი ბ რ ძ ნ ე ს ა და ღვთაებრივ ნიჭზე ჭეშმარიტი სწავლებისაგან განსხვავებულად მბრძანებელი და სხვათა ამ სახედვე დამმოძღვრავი ადამიანები არ დაიშვებიან ჩვენთან ერთად საიდუმლოთა ზიარებისათვის. ჩვენ გვწამს და ასეც ვასწავლით, რომ ადამიანის ხსნის ამ მოძღვრების გარდა არ არსებობს სხვა ფილოსოფია და სხვა აღმსარებლობა, რომელშიც ჭეშმარიტი სარწმუნოება იქნებოდა, და ისინი, რომელთა სწავლებასაც ჩვენ არ ვიწონებთ, არ დაიშვებიან ეკლესიაში საიდუმლოთა საზიარებლად.

ამ მხრივ, ნაკლებად უნდა გვიკვირდეს იმათი საქმე, რომელთაც ისურვეს ჩვენგან განსხვავებულები ყოფილიყვნენ თავიანთ საიდუმლოთა აღსრულებაშიც, როგორნიც არიან, მაგალითად, ე. წ. სერპანტინები[1], მანიქეველები და ზოგიერთი სხვაც. ჩვენს ყურადღებას უფრო ისინი იმსახურებენ, რომელნიც იმავე საიდუმლოებებს აღასრულებენ, რასაც ჩვენ, მაგრამ

---

[1] „სერპანტინები" — ბერძნულად „ოფიტები", გნოსტიკოსთა ერთერთი განშტოება, რომლის მიმდევრებიც გველს (serpens, ofis). ანუ გამომცდელს, მაცთურს — უზენაესი სიბრძნის განმაცხადებლად მიიჩნევდნენ.

მოშორებიან ჭეშმარიტ სწავლებას და სურთ უფრო თავიანთი შეცთომილება დაიცვან, ვიდრე კეთილგონივრულად ესწრაფ-ვოდნენ გამოსწორებას, და რომელთაც, მოშორებულთ ეკლე-სიისაგან და მოკლებულთ მის საიდუმლოებებში მონაწილეო-ბას, თავთავიანთი სახელწოდებანი მიუღიათ და საკუთარი ცრუ-რწმენით აღსავსე სწავლებანი შემოუღიათ, თუმცა კი ისინიც, გარეგნულად, თითქოსდა იმავე საიდუმლოებებს აღას-რულებენ, რასაც ჩვენ; ამგვარნი არიან, მაგალითად, ფოტინე-ანნი, არიანელნი და მრავალნი სხვანი. სხვანი არიან ისინი, რომელთაც განხეთქილება შემოუტანიათ ეკლესიაში. მათ შე-ეძლოთ ბზესავით დარჩენილიყვნენ უფლის კალოზე საბოლოო გალეწვის დღემდე, თავიანთი უკიდურესი უგნურების მიზე-ზით ამპარტავნებას რომ არ დამონებოდნენ და ნებაყოფლ-ობით რომ არ გამოცალკევებულიყვნენ ჩვენგან. ხოლო იუდე-ველებს რაც შეეხება, ისინი, თუმცა კი თაყვანს სცემენ ერთს ყოვლადძლიერ ღმერთს, მაგრამ ეძიებენ რა მ ი ს გ ა ნ მხო-ლოდ წარმავალ, ხილულ სიკეთეთ, ამით ზურგს აქცევენ ღმერთს და, თავიანთი უკიდურესი უგნურების გამო, არ ინ-დომებენ შემჩნევას დამცირებისაგან აღმოცენებული ახალი ერისა — უფლის ჯეჯილისა, და ამგვარად კვლავაც ძველ ადა-მიანებად დარჩენილან. მაშასადამე, თუკი ყოველივე ეს ნამ-დვილად ასეა, მაშინ არც წარმართთა აბდაუბდა შეხედულე-ბებში, არც მწვალებელთა ღვარძლში, არც განხეთქილების შემომღებთა უძლურებაში[1] და არც იუდეველთა სიბრმავეში არ უნდა ვეძიოთ ჭეშმარიტი სარწმუნოება; ხოლო უნდა ვჰგო-ნებდეთ ჭეშმარიტ სარწმუნოებას მხოლოდ იმათთან, რომელ-ნიც საყოველთაო ეკლესიის წევრებად, ანუ ღმერთის მართ-ლიად მადიდებლებად იწოდებიან, ანუ იმ ადამიანებში, ვისაც წმიდად და შეურყვნელად შეუნახავს მართალი სწავლება და ჭეშმარიტებით აღიარებს მას.

---

[1] განხეთქილების შემომღებნი (ანუ განწვალებისა) არ ითვლებოდნენ მწვალებლებად (ერეტიკოსებად), და მათი დაბრუნება ეკლესიაში უფრო ადვილი იყო, ვიდრე მწვალებლებისა.

თავი VI

ჭეშმარიტი სარწმუნოება მხოლოდ ქრისტეს კათოლიკე ეკლესიაშია, რომელიც ყველა არსებულ შეცთომილებასაც კი თავისი წარმატებულობისათვის იყენებს. კეთილთათვის, რომელნიც ზოგჯერ მშფოთვარე ადამიანთა მიერ განიდევნებიან ხოლმე ეკლესიიდან.

ეს საზოგადო, მთელს ქვეყნიერებაზე ფართოდ გავრცელებული ეკლესია ყველა ამ შეცთომილსაც თავისი საკუთარი ზრდისათვის იყენებს, ასევე მათს გამოსწორებასაც ესწრაფვის, თუკი ისინიც ისურვებენ და გამოიღვიძებენ თავიანთი ძილისაგან. იგი იყენებს წარმართ ხალხებს — როგორც რამ მასალას თავისი მოქმედებისათვის, მწვალებლებს — თავისი მოძღვრების განსამტკიცებლად, განხეთქილების შემომღებთ — თავისი ერთიანობის წარმოჩენისათვის, იუდეველებს — შედარების გზით თავისი სიმშვენიერის განსაცხადებლად. ერთი ეკლესია თავისკენ მოუხმობს, მეორეთ — განაგდებს, მესამეთ — თვით განეშორება, მეოთხეზე — აღმატებულია, ხოლო ყველას კი აძლევს შესაძლებლობას მონაწილენი შეიქნან ღვთაებრივი მადლისა, იმ სახედ, როგორადაც ჯერ-არს მათთვის: ზოგს განანათლებს, სხვებს გარდაქმნის, ანდა ახლად მიიღებს, ანთუ ხელახლა დაუშვებს თავის წიაღში. ხოლო იმათ, ვინც ხორციელად ცხოვრობს და ფიქრობს, ეკლესია დაითმენს როგორც ბზეს, რომლის ქვეშაც კალოზე უფრო უხიფათოდ ინახება მარცვალი მანამდე, სანამ არ განთავისუფლდება ამ საფარველისაგან. მაგრამ რადგანაც ამ კალოზე თითოეული თავისი ნებითაა მოხვედრილი — ან ბზეა, ანდა მარცვალი, ამიტომ, რომელიმეს ცოდვასა თუ შეცთომილებას მანამდე ითმენენ, სანამ ცოდვა ბრალმდებელს არ შეეყრება, ხოლო შეცთომილება კი — კაცნიერის შეუპოვრობით არ დაიწყებს თავის გატანას. ხოლო მას შემდეგ, რაც განიკვეთებიან ეკლესიიდან, ამგვარი ადამიანები ან სინანულის გზით კვლავ უბრუნდებიან მას, ანდა დამახინჯებული თავისუფლების გავლენით უწესობაში ეფლობიან — ესეც ჩვენდა დასამოძღვრავად, ან განხეთქილების შემომღებად გვეკლინებიან, რათა მოთმინები-

ში გვწურთნან, ანთუ რომელიმე ახალ მწვალებლობაᲡ აღმოაცენებენ — ჩვენს გამოსაცდელადვე და ჩვენი კეთილგონიერების წარმოსაჩენად. ასეთია ხვედრი იმ ხორციელი ქრისტიანებისა, რომელთა გამოსწორებაც შეუძლებელია და ეკლესიაში მოთმენაც.

ღვთაებრივი განგებულება ხშირად დაუშვებს ხოლმე იმასაც, რომ ხორციელ ადამიანთა მიზეზით თვით სათნო ადამიანებიც განიდევნებიან ქრისტიანული ერთობიდან. თუკი თავის ამ დამცირებასა თუ წყენას ისინი მოთმინედ გადაიტანენ ეკლესიაში მშვიდობის შესანარჩუნებლად და არ აღმოაცენებენ არც ახალ მწვალებლობას და არც განხეთქილების შემომღებად შეიქნებიან, მაშინ ჭკუის სასწავლ მაგალითად იქცევიან ყოველთათვის, თუ რა ჭეშმარიტი ერთგულებითა და წრფელი სიყვარულით ხამს ღმერთის სამსახური. ასე, რომ ასეთი ადამიანები ან იმედოვნებენ კვლავ ეკლესიას დაუბრუნდნენ, როცა ქარიშხალი ჩადგება, ანდა — თუკი ეს შეუძლებელი შეიქნება იმის გამო, რომ მშფოთვარება არ დამცხრალა, ან ფრთხილობენ, თავიანთი დაბრუნებით არ აღმოცენდეს ასეთივე თუ უფრო მძვინვარე შუღლიც კი, — მათ სურთ სასარგებლონი იყვნენ იმათთვის, რომელთა შფოთსა და განწყობასაც დაუთმეს; და ამისთვის ერიდებიან ყველა იმ თავყრილობებს, სადაც განხეთქილება შეიძლება წარმოიშვას, და სიკვდილისაც კი არ ეშინიათ იმ რწმენის დასაცავად, რომელიც, როგორც მათ სჯერათ, იქადაგება ქრისტეს ეკლესიაში, და ასე, საკუთარი თავით მოწმობენ ისინი ჭეშმარიტი სარწმუნოებისათვის. ესეოითართ ფარულად განუმზადებს დიდების გვირგვინს მამაღმერთი. ამგვარი ადამიანები, ალბათ, მცირედნი არიან, თუმცა მაგალითი მათებრი აღმსარებლობისა არ გვაკლია; უფრო მეტიც კია ასეთი მაგალითი, ვიდრე ეს ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ. ამრიგად, საღმრთო განგებულება ყოველგვარი სახის ადამიანებსა და ყველანაირ მაგალითს იყენებს იმისათვის, რომ სნეული სულები განკურნოს და ახალი ერი აღმოაცენოს.

თავი VII

აუცილებლობა ქრისტეს ერთი საყოველთაო ეკლესიის სარწმუნოების მიღებისა. რას აღიარებს იგი.

ამ მიზნით, საყვარელო რომანიანე, — რამდენიმე წლის წინ რომ აღგითქვი, ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე ჩემს მოსაზრებებს გადმოგცემ-მეთქი[1], და რაკი ვგონებ, ახლა დამდგარა შესაფერი დრო ჩემი აღთქმის აღსასრულებლად, — მე, შენდამი სიყვარულის ძალით, უკვე აღარ ძალმიძს დაუსრულებლად ვჭოჭმანობდე და სამომავლოდ გადავდებდე ამ საქმეს, მით უფრო, შენის მხრივ ესოდენ დაჟინებული თხოვნის შემდეგ.

ამრიგად, მას შემდეგ, რაც უკუგდებულნი არიან ისინიც, რომელნიც არც თავიანთი სარწმუნოებრივი წეს-ჩვეულებების აღსრულების ჟამს არ სიბრძნისმეტყველებენ, და არც თავიანთი სიბრძნისმეტყველებით არ განათლდებიან, და ისინიც, რომელნიც თავიანთი ამპარტავნებისა თუ ცრუ-შეხედულებებისა, ანდა გაბოროტების მიზეზით განმდგარან ჭეშმარიტი სარწმუნოების დადგინებებისაგან და მოჰკლებიან ეკლესიასთან თანაზიარობას, და ბოლოს, მას შემდეგ, რაც უკუგდებულნი არიან ისინიც, რომელთაც არ სურთ გაცისკროვნება წმიდა წერილის ნათელით და არ სურთ ჰქონდეთ მადლი სულიერი ერისა, ანუ ახალი აღთქმის მადლი, — ერთის სიტყვით, ისინი, რომელნიც მე უკვე მოვიხსენიე ძალზე მოკლედ, — ჩვენ მტკიცედ უნდა ვიპყრათ ქრისტიანული სარწმუნოება და ერთობაში ვიყოთ იმ ეკლესიასთან, რომელიც ჭეშმარიტად არის საყოველთაო ეკლესია, და ასეთად იწოდება არამხოლოდ თვისიანთა, არამედ მტერთა მიერაც; რამეთუ თვით მწვალებელნი და ანევე განხეთქილების შემომღებნიც, საუბარში არათუ თვისიანებთან ოდენ, არამედ სხვებთანაც, ნებსით თუ უნებლიეთ, ქრისტეს ჭეშმარიტ ეკლესიას მოიხსენიებენ ხოლმე სწორედ როგორც კათოლიკედ, და არა სხვაგვარად.

ამ სარწმუნოების არსს, რომელსაც ჩვენ უნდა მივსდიოთ, შეადგენს საღმრთო გადმოცემა და წინასწარმეტყველება

---

[1] ნეტარი ავგუსტინე. „აკადემიკოსების წინააღმდეგ", წგ. II, თ. VIII.

ღვთაებრივი განგებულებისა ადამიანთა მოდგმის ხსნისათვის, მოდგმისა, რომელიც უნდა შეიცვალოს და მომავალი საუკუნო ცხოვრებისათვის იქნას შემზადებული. რაც უფრო მალე შეიქნება ეს ჩვენი რწმენის საგნად და ცხოვრების ისეთ წესად, რომელიც თანახმიერი იქნება საღმრთო მცნებებისა, მით უფრო მალე განიწმიდება ჩვენი გონება და შეიძენს უნარს სულიერ საგანთა შემეცნებისა, რომლებიც წარსულისა თუ მყოობადის საგნები კი არ არიან, არამედ მარადიულ საგნებს წარმოადგენენ, ყოველთვის ერთსა და იმავეს, ცვალებას დაუქვემდებარებელს, — ანუ შეიძენს უნარს მამის, ძისა და სულიწმიდის შემეცნებისას.

შევიცნობთ რა ყოვლადწმიდა სამებას იმ ზომით, რა ზომითაც ძალგვიძს მისი შეცნობა ამქვეყნიურ ცხოვრებაში, ჩვენ მცირედი ეჭვის გარეშეც კი ვაღიარებთ, რომ ყოველ გონიერ, სულიერ თუ სხეულებრივ ქმნილებას, რაკი ის არსებობს, თავისი არსებობა და თავისი სახე მიღებული აქვს ამ შემოქმედი სამებისაგან, და სწორედ მის მიერ წარიმართება ესოდენი სიმწყობრითა და წესრიგით; ამასთან, ეს ისე კი არ უნდა გავიგოთ, თითქოს ნაწილი ქმნილებისა **მამის** შექმნილი იყოს, მეორე ნაწილი — **ძისა**, სხვა კი — **სულიწმიდის** მიერ შექმნილი, არამედ უნდა ვიცოდეთ, რომ ყოველივეცა ერთობლივ და თითოეული ბუნებაც ცალკე შექმნილია მამის მიერ ძით და სულიწმიდის მადლისაგან. რამეთუ ყოველი საგანი, სულ ერთია — სუბსტანციას ვუწოდებთ მას, არსსა თუ ბუნებას, ანდა სხვა რამ სახელს, ერთდროულად ატარებს თავის თავში ერთსაც, მეორესაც და მესამესაც, ასე, რომ წარმოადგენს რაღაც ერთიანსაც და სხვათაგან განსხვავებულსაც თავისი სახით, და არ არის ამოვარდნილი საგანთა რიგიდან.

თავი VIII

რასაც ჩვენ თავდაპირველად რწმენით აღვიქვამთ ხოლმე ავტორიტეტის შუალობით, იმას შემდეგ გონებით შევითვისებთ. ეკლესიისათვის მწვალებელნიც სასარგებლონი არიან.

რაკი ჩვენ ყოველივე ამას შევიმეცნებთ, ისიც ნათელი შეიქნება ჩვენთვის, რამდენადაც ამას ადამიანი შეიძლება მიხწვდეს, თუ აუცილებელ, უეჭველ და სამართლიან კანონთა ძლით როგორ არის ყოველივე დამორჩილებული თავის ღმერთისა და უფალს. აქედან გამომდინარე, ყოველივე იმის გაგებასაც ვიწყებთ, რაც მანამდე მხოლოდ ავტორიტეტის ძლით გვირწმუნია, წარმოვიდგენთ რა ამას, ერთის მხრივ, როგორც უკვე სრულიად უეჭველს, მეორეს მხრივ ისეთად, რაც შეიძლება და უნდა იყოს კიდეც უეჭველი; ამასთანავე, ჩვენ ვწუხვართ იმ ურწმუნოთა გამო, რომელთაც ის უფრო ურჩევნიათ, რომ ჩვენ დაგვცინონ, ვიდრე ის, რომ ჩვენთან ერთად და ჩვენს მსგავსად შეუდგნენ ჭეშმარიტ რწმენას. რამეთუ ისეთ ჭეშმარიტებებს, როგორიცაა უწმიდესი ხორციელ-ქმნა (სიტყვისა ღმრთისა), ქალწულისაგან მისი შობა, ჯვარზე სიკვდილი ჩვენი სსნისათვის, მკვდრეთით აღდგომა, ზეცად ამაღლება, ჯდომა მარჯვენით მამისა, ცოდვათა მოტევება, განკითხვის დღე, მკვდრეთით აღდგომა (შესვენებულთა) სხეულებისა, — ყოველივე ამას ჩვენ ყოვლადწმიდა სამების მარადიულობისა და ქმნილების ცვალებადობის შეცნობის შემდგომაც მივაწერთ უზენაესი ღმერთის მოწყალებას, რომელიც მან ადამიანთა მოდგმას მოჰმადლა, ოღონდ ჯერ — ოდენ რწმენით, და არა — გულისხმის-ყოფითაც.

მაგრამ რადგანაც ძალზე სარწმუნოდ არის ნათქვამი მოციქულის მიერ, რომ „წვალებაცა ყოფად არიან თქვენ შორის, რაჲთა რჩეულნი იგი თქვენ შორის გამოჩნდნენ“-ო (1 კორინთ. 11, 19), ამიტომ ვისარგებლოთ ამ სახის მოწყალებითაც საღმრთო განგებულებისა. რამეთუ მწვალებელნი იმ ადამიანთაგან გამოჩნდებიან ხოლმე, რომელნიც რომც ყოფილიყვნენ ეკლესიის წევრნი, მაინც შეცთომილნი იქნებოდნენ და ადრე თუ გვიან გაამჟღავნებდნენ თავიანთ შეცთომილებას. ხოლო

როცა ისინი მწვალებლებად და ამით გარეშედ (ანუ ეკლესიიდან განკვეთილებად შეიქნებიან ხოლმე, მაშინ მეტად სასარგებლონი ხდებიან ჩვენთვის, ოღონდ იმიტომ კი არა, თითქოს ჭეშმარიტებას გვასწავლიდნენ, — ეს ხომ თვითონაც არ უწყიან, არამედ იმის გამო, რომ ხორციელ მორწმუნეებს აიძულებენ ეძიონ ჭეშმარიტება, სულიერთ კი — განაცხადონ იგი. ქრისტეს წმიდა საზოგადო ეკლესიაში მრავალი ადამიანია ღირსეული, გამორჩეული ღმერთის წინაშე, მაგრამ ისინი არ განგვეცხადებიან ხოლმე ჩვენ, როცა ჩვენ, საკუთარი უცხობლობის წყვდიადით დამტკბარნი ვამჯობინებთ უფრო ძილს მივეცეთ უმეცრებისა, ვიდრე ჭეშმარიტების ნათელს ვეკრეტდეთ. ამიტომაც მრავალნი ესევითარ წევრთაგან ეკლესიისა მხოლოდ მწვალებელთა უკეთურობის ხილვით განიღვიძებენ ხოლმე ძილისაგან, რათა უფლისმიერი დღე იხილონ და განიხარონ.

მაშ, ვისარგებლოთ მწვალებელთა შეცთომილებებითაც, ოღონდ იმგვარად კი არა, რომ მოვიწონოთ ხოლმე მათი ცრუსწავლება და ხელი შევუწყოთ უთავბოლო ხეტიალში, არამედ ისე, რომ თვით ჩვენ, ეკლესიის მართალი მორწმუნენი, კიდევ უფრო ფხიზელნი და წინდახედულნი შევიქნათ, რათა შეურყვნელად დავიცვათ ქრისტეს ეკლესიის სწავლება მათმიერი მზაკვრებისაგან. და ამ დროს, დაე, თუნდ ისეც მოხდეს, რომ ვერც შევიძლებდეთ მწვალებელთა მოქცევას ჭეშმარიტ სარწმუნოებად და ხსნას მათი სულებისას.

თავი IX

მანიქეველთა შეცთომილებისათვის. ორი დასაბამისა და ორი სულის შესახებ.

ჩემის მხრივ, მე დარწმუნებული ვარ, რომ ღმრთის შეწევნით, ამ ჩემს შრომას მართლმორწმუნე და კეთილმოშიში მკითხველისათვის მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს არა ერთი რომელიმე მწვალებლობის უკუსაგდებად, არამედ, საერთოდ, ყველა არაჭეშმარიტი და ცრუ-შეხედულებისაგან თავის მოსა-

ზღუდად. მაგრამ, ამასთან, უპირატესად იგი მიმართულია იმ მწვალებელთა წინააღმდეგ, რომელთა შეხედულებითაც არსებობს თავისი დასაბამით ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ბუნება თუ სუბსტანცია. შეურაცხყოფილნი და უკმაყოფილონი არიან რა ერთი ნაწილით არსებული საგნებისა, და დასტკბებიან რა სხვა საგნებით, — ისინი ღმერთს მიიჩნევენ შემოქმედად არა იმ საგნებისა, რომლებიც არ მოსწონთ, არამედ მხოლოდ იმ საგნებისა, რომლებითაც დასტკბებიან. და რადგანაც ამ ადამიანებს აღარ ძალუძთ თავიანთი შეხედულების შეცვლა, რამეთუ უკვე საბოლოოდ გაბმულან თავიანთ ხორციელ გულისთქმათა ბადეში, ამიტომ ისინი ჰგონებენ, რომ ერთ სხეულში ორი სულია დამკვიდრებული: ერთი — ღმერთისაგან მომდინარეობს და თავისი ბუნებით იგივეა, რაც ღმერთია, მეორე სული კი, ვითომცდა, — ბნელი წარმოშობისაა, და ეს ბნელი სული არც უშვია ღმერთს, არც შეუქმნია, არც აღმოუცენებია და არც თავისი თავისაგან განუგდია, არამედ ამ სულს ჰქონდა თავისი განსაკუთრებული არსებობა, თავისი ქვეყანა, თავისი აღმონაცენი, თავისი ცხოველები, და ბოლოს, თავისი მეუფება და თავისი საუკუნო დასაბამი; მაგრამ ეს (აბსოლუტური) სული ოდესღაც წინ აღუდგა ღმერთს, და ღმერთმა, ვითომცდა, სხვა ღონე რომ არ შესწევდა და არც საშუალება ჰქონდა, რითაც დაუპირისპირდებოდა და სძლევდა მტერს. იძულებულმა ამ გარემოებით, გამოგზავნა ამ (ამქვეყნად) თავისი კეთილი სული, რაღაც ნაწილი თავისი არსისა, რომელთანაც, ვითომცდა, შერევნითა და შეერთებით, როგორც ამას ეს მწვალებელნი ჰბოდავენ, მტერი უფრო თავგშეკავებული, ზომიერი გახდა, და ამგვარად მშვიდობაც ჩამოვარდაო (ღმერთსა და მის მოწინააღმდეგე ბოროტ სულს შორის).

ახლა ჩვენ არ შევუდგებით მათი ამ შეხედულების უარყოფას, — ეს, ნაწილობრივ, უკვე გავაკეთეთ. დანარჩენს კი, ღვთის წყალობით, შემდეგში გავაკეთებთ. წინამდებარე შრომაში ჩვენ, შეძლებისდაგვარად, და იმ დასაბუთებით, როგორითაც უფალი ინებებს ჩვენს შეგონებას, წარმოვაჩენთ იმას, თუ ვით უძლეველია ჭეშმარიტი სარწმუნოება ამ ცრუ-შეხედულებათა წინაშე, და ვით უძლურია მართალ მორწმუნეს სული აღუშფოთოს იმან, რისი გაგლეწითაც ადამიანები ამგვარ

შეხედულებათა მომხრენი ხდებიან. თავისთავად ცხადია, რომ ყოველივე, რაც კი ჩვენს შრომაში მცდარი აღმოჩნდება, მხოლოდ მე უნდა მომეწეროს, ხოლო ყველაფერი, რაც მართლად და ჭეშმარიტ სარწმუნოებასთან შეთანხმებულად იქნება გადმოცემული, უნდა მიეწეროს ერთადერთს — მომმადლებელს ყოველგვარი ნიჭისა — ერთს ჭეშმარიტ ღმერთს. ასე ავტორთათვის ჩვეული სიმდაბლე როდი მალაპარაკებს! და მე ვისურვებდი, ჩემო რომანიანე, რომ ამგვარად, პირველ ყოვლისა, შენ ფიქრობდე, ვინაც სხვაზე უკეთ უწყი ჩემი სული.

თავი X

საიდან აღმოცენდება ჭეშმარიტ სარწმუნოებაში შეცთომილება და ღმერთის შეწევნით, როგორ აღდგება ხოლმე კვლავ თავის ძლიერებაში სწორი სწავლება.

ამრიგად, დაე, შენთვის ცნობილი და გასაგები იყოს, ჩემო რომანიანე, რომ სარწმუნოებაში შეუძლებელი იქნებოდა არსებობა რაიმე შეცთომილებისა, ადამიანის სული ღმერთის სანაცვლოდ რაღაც სხვა სულს (ძალას) რომ არ ეთაყვანებოდეს, ანდა რაიმე სხეულს, ან თავისსავე აჩრდილსა თუ სხვას რასმე, ესევითარ საგანთაგან, ერთმანეთთან შეერთებულთ, ანდა ყველაფერ ამას ერთობლივ; ვერ იარსებებდა შეცთომილება, ადამიანის სული რომ დროებით შეეთანხმიეროს ხოლმე ამქვეყნად ადამიანთა მოდგმის ერთობას და მარადის საუკუნო ცხოვრებაზე იფიქროს და ერთს ჭეშმარიტ ღმერთს განადიდებდეს, რ ო მ ე ლ ი საუკუნოდ უცვალებელია, ცვალებას დაქვემდებარებული ყოველი ბუნება კი მხოლოდ ამ პირობით არსებობს. ხოლო სულს რომ ცვალება ძალუძს, კერძოდ — არა სივრცობრივად, არამედ დროისმიერ, — ეს ყოველმა სულმა უწყის საკუთარი სულიერი მოძრაობის მიხედვით. არც იმაში დარწმუნება შეიძლება საძნელო იყოს ვინმესთვის, რომ სხეულიც ცვალებადია, და იცვლება როგორც დროში, ასევე სივრცეშიც. და ბოლოს, აჩრდილები სხვა არაფერია, თუ არ სხეულის გარეგანი სახისაგან სხეულებრივი გრძნობის საშუალებით გა-

მოხმობილი სახეები, რომელთა აღბეჭდვაც მეხსიერებაში ძალზე ადვილია გონების მოქმედებით იმ სახითვე, როგორადაც აღქმული არიან; ანდა, ასევე ადვილია, მათი ნაწილებად დაყოფა, გაზრდა-განმრავლება თუ შეკვეცა, გაწელვა თუ მოწესრიგება, გადაჯუფება თუ ერთურთში ნებისმიერად გადახლართვა, — მაშასადამე, ყოველივე ამის ქმნა ძალზე ადვილია გონების მოქმედებით; მაგრამ ძალზე ძნელია მათგან (ამ აჩრდილთაგან) თავის მოზღუდვა და მათი ზემოქმედების თავიდან აცილება იმ დროს, როცა ჭეშმარიტებას ეძიებ.

ამრიგად, დაე, ნუ ვემსახურებით ქმნილებას უფრო მეტად, ვიდრე შემოქმედ ღმერთს, და ნუ დავიღუპავთ თავს საკუთარ ხრახვათა მიზეზით, — სწორედ ამაში მდგომარეობს ჭეშმარიტი სარწმუნოების არსი ჩვენთვის. რამეთუ მთელის არსებით მივეახლებით რა საუკუნო შემოქმედს, ამით ჩვენ თვითონაც უსათუოდ აღვივსებით ამ მარადიულობით (ანუ საუკუნო ნეტარებას დავიმკვიდრებთ). მაგრამ რადგანაც თავისი ცოდვებითა და უძლურებით დამძიმებულ, შებორკილებულ სულს ადამიანისას თავისით არ შეუძლია არც დანახვა ამისა და არც, მით უფრო, მიღწევა, რადგანაც ღვთაებრივის მისაღებად ადამიანური ყოფის პირობებში არ არსებობს არავითარი საფეხური, რომელზე ამაღლებაც ადამიანს შეეძლებოდა ამქვეყნიური ცხოვრებიდან, რათა ღმერთის მსგავსი შექმნილიყო, — ამიტომ, იმისთვის, რომ მან გაიხსენოს თავისი თავდაპირველი სრულყოფილი ბუნება (შექმნილი ღმერთის მიერ თავის ხატად და მსგავსად), მთელს კაცობრიობას, ღმერთის გამოუთქმელი წყალობით და დროებითი განგებულების ძლით, შეწევნა მოემადლება სწორედ ცვალებადი, საუკუნო სჯულით სამსახურებლად დაბადებული ქმნილების გზით. ამგვარია ჩვენს დროში ქრისტიანული სარწმუნოება, რომლის შეცნობასა და აღსრულებაში მდგომარეობს კიდეც ყველაზე სანდო და უტყუარი ხსნა ადამიანის სულისა.

ქრისტიანულ სარწმუნოებას მრავალი სხვადასხვა საშუალებით შეუძლია თავი დაიცვას ამაოდ მოლაყბეთაგან, და განეცხადოს თავის მართალ მაძიებელთ, იმიტომ, რომ, ერთის მხრივ, ყოვლადძლიერი ღმერთი უშუალოდ თვით მიგვითითებს ხოლმე ყოველივე იმას, რაც ჭეშმარიტია, მეორეს მხრივ

კი, ი გ ი კეთილ ანგელოზთა და ზოგიერთი ადამიანის მეშვეობით შეეწევა კეთილმსახურ სურვილს ადამიანებისა შეიმეცნონ და მიიღონ ჭეშმარიტება. ამასთანავე, ღმერთი ყოველ ცალკეულ შემთხვევაში იმ საშუალებას მიმართავს, რაც უფრო გამოსადეგად მიაჩნია ადამიანის მოსაკეცევად. ჩემის მხრივ კი, ხანგრძლივი განსჯისა და ფიქრის შემდგომ იმის თაობაზე, თუ როგორი მგმობნი ჭეშმარიტებისა და როგორი მეძიებელნი ჭეშმარიტი რწმენისა მინახავს ჩემი ცხოვრების მანძილზე, და იმის გათვალისწინებითაც, თუ როგორი ვარ აწყამად მე მწვალებლებთან სიტყვის-გებასა თუ ჭეშმარიტების ძიებაში, — მე გადავწყვიტე ამ მიზნით გამოვიყენო ის საშუალება, რომელიც ქვემორეა წარმოდგენილი ჩვენს შრომაში. რასაც მასში ჭეშმარიტს ნახავ, (ჩემო რომანიანე), შეიწყნარე და ქრისტეს ეკლესიას მიაწერე; ხოლო თუ რასმე არასწორს შესვდები, განაგდე შენგან და მე, უძლურს, შემინდე ეს შეცდომა როგორც ადამიანს! რაც აქ საეჭვო იქნება შენთვის, ის ირწმუნე, ვიდრე შენი გონიერება არ გიკარნახებს ანდა ეკლესიის ავტორიტეტი არ დაგიდგენს მის უარყოფასა თუ ჭეშმარიტებად აღიარებას, ანდა იმასაც, რომ ასეთი რამ, მიუხედავად შენი ეჭვისა, ყოველთვის უნდა გწამდეს, თუნდაც ვერ შეიმეცნო. ამრიგად, რამდენადაც ძალგიძს, გულმოდგინედ და კეთილი მოშიშებით მოაპყარ გულისყური ქვემორე გადმოცემულს, რამეთუ სწორედ ესევითართ — გულმოდგინედ და კეთილმოშიშთ შეეწევა ღმერთი!

თავი XI

ყოველგვარი სიცოცხლე — ღმრთისაგანაა. სიკვდილი სულისათვის — არის უწესობა (გარყვნილება).

არ არსებობს სიცოცხლე, ღმერთისაგან რომ არ მომდინარეობდეს, იმიტომ, რომ ღმერთია — უზენაესი სიცოცხლე და წყარო ყოველგვარი სიცოცხლისა, და არ შეიძლება არსებობდეს ისეთი სიცოცხლე, რომელიც თავისთავად, ანუ როგორც სიცოცხლე — იქნება ბოროტება. ბოროტად სიცოცხლე იმდენად შეიქნება ხოლმე, რამდენადაც იგი, თავისი თავისუფალი

ნებით, სიკვდილს მიესწრაფვის. ხოლო სიკვდილი სიცოცხლისათვის — მხოლოდ უწესოებაა, რომელიც ამგვარად იმიტომ იწოდება, რომ — არარაა. აქედან გამომდინარე, ყველაზე უწესო (გარყვნილი) ადამიანები არარაობად იწოდებიან. მაშასადამე, არარაობას ის სიცოცხლე მიესწრაფვის, რომელიც ნებაყოფლობითი განდგომით განეშორება ი მ ა ს, ვ ი ნ ც იგი შეჰქმნა, და ვ ი ს ი არსითაც იგი (თავდაპირველად) სტკბებოდა, — ანუ არარაობისაკენ ისწრაფვის ის სიცოცხლე, ღმერთის სჯულის საწინააღმდეგოდ, სხეულით დატკბობა რომ სურს, იმ სხეულით დატკბობა, რომლის მთავრად და განმგებლად ღმერთს დაუდგენია კიდეც სიცოცხლე. სწორედ ეს არის უწესოება (გარყვნილება), და არა ის (როგორც ზოგიერთი ჰგონებს), რომ თვით სხეულია, თავისთავად, არარა. რამეთუ ყოველი სხეულიც, თავისი ნაწილებით, გარკვეული თანხმობისა და ერთობის მატარებელია, რის გარეშეც იგი სულაც ვერ იარსებებდა. მაშასადამე, ყოველი სხეულიც ი მ ი ს მიერ არის შექმნილი, ვ ი ნ ც დასაბამია ყოველგვარი ერთობისა და თანხმობისა, ყოველ სხეულს აქვს თავისი ფორმების გარკვეული ჰარმონია, ურომლისოდაც იგი სრულიად არარა იქნებოდა. მაშასადამე, სხეულის შემოქმედიც ი ს არის, ვისგანაც მომდინარეობს კიდეც ყოველგვარი ჰარმონია, და ვ ი ნ ც არის კიდეც თავისთავად არსებული და უმშვენიერესი ყველა არსებულ ფორმათაგან. კვალად, ყოველ სხეულს აქვს განსაზღვრული (გარეგანი) სახე, ურომლისოდაც სხეული არც არის სხეული. მაშასადამე, თუკი ვინმე იკითხავს — ვინ შექმნაო განსაზღვრული სახის სხეული, — დაე, ი ს მოიძიოს, ვ ი ნ ც სახით ყველაზე მშვენიერია, რამეთუ ყოველგვარი სახე და გარეგნობა მ ი ს გ ა ნ მომდინარეობს. ხოლო სხვა ვინ შეიძლება იყოს ეს, თუ არ შემოქმედი ღმერთი, ერთი ჭეშმარიტება, ერთადერთი ხსნა ყოველთათვის, პირველი და უზენაესი არსი, რომლისაგანაც აქვს კიდეც არსებობა მონიჭებული ყოველივეს, რაც არსებობს! რამეთუ ყველაფერი, რაც არსებობს — სიკეთეა, რადგან არსებობა უზენაესი სიკეთისაგან აქვს მიღებული.

ზემოთქმულის გამო სიკვდილი არ არის ღმერთისაგან, „რამეთუ ღმერთმან სიკვდილი არა დაჰბადა, არცა ჰნებავს წარწყმედაჲ ცხოველთაჲ“ (სიბრძნე სოლომ. 1, 13). რადგანაც

უზენაესი არსია მიზეზი იმისა, ყოველივე არსებული რომ არსებობს, ამიტომ იგი იწოდება კიდეც არსად. სიკვდილი კი აიძულებს არ იარსებოს (მხოლოდ) იმას, რაც კვდება, და იმდენად აქვს ძალა, რამდენადაც მოაკვდინებს. რამეთუ საბოლოოდ რომ კვდებოდეს ის, რაც კვდება, მაშინ, უეჭველია, იგი არარად იქცეოდა, მაგრამ მოსაკვდომი იმდენად კვდება მხოლოდ, რამდენადაც ნაკლები ზომით მონაწილეობს არსში; მოკლედ თუ ვიტყვით, ეს შემდეგნაირად შეიძლება გამოვხატოთ: ყოველივე მით უფრო მეტად კვდება, რაც უფრო ნაკლებად არსებობს. მაგრამ სხეული ნებისმიერ სიცოცხლეზე უფრო დაბლა დგას, რადგანაც, როგორიც არ უნდა იყოს სხეული თავისი გარეგნული სახით, იგი სწორედ სიცოცხლის წყალობითაა ამგვარი, იმ სიცოცხლისა, რომლის მიერაც წარიმართება ან ყოველი ცალკეული სხეული, ანდა, საერთოდ, მთელი სამყაროს ბუნება. აქედან გამომდინარე, სხეული უფრო მეტადაა დაქვემდებარებული სიკვდილს, და ამ მიზეზით უფრო ახლოსაცაა არარასთან; ამიტომ ის სიცოცხლე, რომელიც სხეულით დასტკბება და არ გულმოდგინებს ღმერთის წინაშე სათნოებათა მოსაპოვებლად, აარარაობას ესწრაფვის, და აი, სწორედ ამგვარი სიცოცხლე არის კიდეც უწესოება (გარყვნილება).

თავი XII

დაცემა და აღდგინება სრული ადამიანისა.

ხოლო ასეთი (უწესო) არის ხორციელი და მიწიური სიცოცხლე, და ვიდრე იგი ამგვარია და ვერ გათავისუფლებულა ყოველივე იმისაგან, რაც უყვარს, მანამდე ის ვერ დაიმკვიდრებს ღმერთის სასუფეველს. რამეთუ მას ის შეჰყვარებია, რაც (ყოველგვარ) სიცოცხლეზე დაბლა დგას, რადგანაც სხეულის სიყვარული, ამასთანავე იმგვარი სხეულისა, რომელიც ცოდვის მიზეზით დაზიანებულა, უმდაბლესი საქმეა, არარაობასთან მიახლოებული; და იქამდეც კი ზიანდება ამგვარი სიყვარულით, რომ მიატოვებს ხოლმე იმას, ვისაც იგი უყვარს, იმიტომ, რომ მასაც, რაკი სხეული შეჰყვარებია, ღმერ-

თი მიუტოვებია. მან (სხეულის მოყვარულმა სიცოცხლემ) უგულებელჰყო მცნება ი მ ი ს ა, რ ო მ ე ლ მ ა უბრძანა: „ყოველისაგან ხისა ჭამით შჭამო, ხოლო ხისა მისგან ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა არა შჭამოთ, რამეთუ რომელსა დღესა შჭამოთ მისგან, სიკვდილითა მოსწყდეთ!" (დაბად. 1, 16—17). ამის გამო, იგი სასჯელთ მიემთხვევა ხოლმე იმიტომ, რომ შეიყვარებს რა უდაბლესს, ამით სიკვდილს მიაწევს საკუთარ თავს, რომელშიც განწირულია სიამეთა დაუკმაყოფილებლობისა და მწუხარებისათვის. რამეთუ სხვა რა არის ეგრეთ წოდებული სხეულებრივი (ხორციელი) მწუხარება, თუ არ მალიად დაზიანება იმ საგნისა, რომელიც წახდენამდე მიუყვანია სულს ბოროტი გამოყენებით?! ხოლო ეგრეთ წოდებულ სულიერ მწუხარებას რაც შეეხება, განა ეს იმ საგანთა მოკლება არ არის, რომლებითაც სული დასტკბებოდა, ანდა იმედი ჰქონდა, რომ მომავალში მიიღებდა მათგან სიამოვნებას?! — ყოველივე ეს ერთად კი ბოროტებად იწოდება, ანუ ეს არის ცოდვა და სასჯელი ცოდვისათვის.

თუკი სული ამქვეყნიური ცხოვრების მანძილზე სძლევს თავის თავში იმ ვნებებს, რომელნიც თვითვე აღმოუცენებია იმით, რომ ყოველივე მოკვდავით და სხეულებრივით დასტკბებოდა, და თუკი, ამასთანავე, ირწმუნებს, რომ ამ ძლევაში ღვთაებრივი მადლი შეეწევა, რითაც ღმერთის მსახური იქნება თავისი აზრითა. და კეთილი ნებით, — მაშინ, თუკი ამას შეიძლებს ადამიანის სული, იგი უეჭველად აღიდგინება და მრავალი ცვალებადი სიკეთისაგან ერთს — უცვალებელ სიკეთეს მიეკცევა; იგი გარდაიქმნება არა ქმნილი სიბრძნის მიერ, არამედ ყველაფრის შემქმნელი ს ი ბ რ ძ ნ ი ს მიერ, და დასტკბება ჭეშმარიტი ღმერთის ჭვრეტით სულიწმიდის მიერ, რ ო მ ე ლ ი არის ნიჭი ღმრთისა. ამგვარად ადამიანი სულიერ არსებად შეიქნება, რომელიც ყოველსავე განიკითხავს, თვით კი არავისგან არ განიკითხება (I კორინთ. 2, 15) და რომელსაც უყვარს თავისი უფალი ღმერთი ყოვლითა გულითა თვისითა, ყოვლითა სულითა თვისითა და ყოვლითა გონებითა თვისითა. და ასევე თავისი მოყვასიც სულიერ ადამიანს ხორციელად კი არ უყვარს, არამედ ისე, როგორც თავი თვისი; საკუთარი თავი კი ყველას, ვისაც მთელის არსებით შეჰყვარებია ღმერთი, სული-

ერად უყვარს, — „ამათ ორთა მცნებათა ყოველი შჯული და წინაჲსწარმეტყველნი დამოკიდებულ არიან“ (მათე 22, 37 — 40).

აქედანვე გამომდინარეობს ისიც, რომ სხეულებრივი სიკვდილის შემდგომ, ჩვენი პირველი ცოდვისათვის რომ გვეწია სასჯელად, ჩვენი სხეული შესაბამის დროს და დადგენილი წესით აღდგენილ იქნება თავის თავდაპირველ სიმტკიცეში, და ამ სიმტკიცეს იგი თავისი ნებელობით კი არ მოიპოვებს, არამედ ღმერთის მიერ გაძლიერებული სულის ძლით. თავის მხრივ სულიც თავისი ნებელობით კი არ განძლიერდება, არამედ ღმერთის მიერ, რომლითაც იგი დასტკბება. ამიტომაც სული უფრო სრულყოფილი ცხოვრებით იცხოვრებს, ვიდრე სხეული; რამეთუ სხეული მაშინ სულის მიერ იცხოვრებს, სული კი — მარადის უცვალებელი ჭეშმარიტების მიერ, ანუ ღმერთის მხოლოდშობილი ძის მიერ. მაშასადამე, სხეულიც ღმერთის მხოლოდშობილი ძის მიერ იცხოვრებს, იმიტომ, რომ საერთოდაც, ყოველივე მ ი ს ი თ და მ ი ს მიერ არსებობს. მ ი ს ი ნიჭით, მართალ სულს რომ მოემადლება ხოლმე, ანუ სულიწმიდით მხოლოდ სული კი არ იქნება მრთელი, მშვიდი და წმიდა, არამედ სხეულიც მისით ცხოველ-იქმნება და თავისი ბუნებითაც სრულიად განიწმიდება; რამეთუ თვით უფალმავე ბრძანა! „განიწმიდეთ პირველად შინაგანი იგი, ...რაჲთა იყოს გარეშეცა მისი წმიდა“ (მათე 23, 26), და აკი მოციქულიც ამბობს: „უკეთუ სული იგი აღმადგინებელისა იესუჲსი მკვდრეთით მკვიდრ არს თქვენ შორის, რომელმან — იგი აღადგინა ქრისტე მკვდრეთით, განაცხოველნეს მოკუდავნიცა ეგე ხორცნი თქვენნი დამკვიდრებულისა მის მიერ თქვენ შორის სულისა მისისა“ (რომ. 8, 11). ამრიგად, ცოდვის აღხოცვით ის სასჯელიც წარიხოცება, ცოდვისათვის რომ მიგვიღია. მაგრამ სადღა იქნება მაშინ ბოროტება? სად იქნება, სიკვდილო, შენი ძალისხმევა? „სადა არს, სიკუდილო, საწერტელი შენი?“ (I კორინთ. 15, 55). არსი სძლევს არაარსს (არარას), — და მაშინ სიკვდილიც ძლეულ იქნება!

თავი XIII

ანგელოზთა განსხვავებისათვის.

განწმენდილთ ბოროტი ანგელოზიც ვერაფერს ავნებს, ანუ ეშმაკი, რადგანაც იმიტომ როდია იგი ბოროტი, რომ ანგელოზია; არამედ ბოროტია იგი იმის გამო, რომ საკუთარი ნებით შეიქნა გარდაქცეული. მაშასადამე, აუცილებელია დავუშვათ, რომ ანგელოზნიც ცვალებადნი არიან თავიანთი ბუნებით, რამეთუ უცვალებელი მხოლოდ ღმერთია. მაგრამ თავიანთი თავისუფალი ნების წყალობით, რომლითაც მათ ღმერთი საკუთარ თავზე მეტად შეჰყვარებიათ, ისინი (კეთილი ანგელოზნი) მტკიცენი და შეურყეველნი ჰგიებენ ღმერთის მიერ და მარადის დასტკბებიან მისი დიდებულებით, სრულის წადილით ემორჩილებიან რა მას ერთს მხოლოს. ხოლო იმ ანგელოზმა, რომელსაც საკუთარი თავი უფრო მეტად უყვარდა, ვიდრე თავისი შემოქმედი ღმერთი, არ ისურვა ღმერთს დამორჩილებოდა, განეშორა უზენაეს არსს და, ამპარტავნებით შეპყრობილი, დაეცა; გარდა ამისა, ეშმაკი იმიტომაც შეიქნა იმაზე უდაბლესად, რაც იყო, რომ თავისზე დაბლა მყოფით დატკბობა მოისურვა, ანუ უფრო თავისი ძლიერებით ტკბობა ისურვა, ვიდრე ღმერთის ყოვლადძლიერებით. რამეთუ თუმცა არა აბსოლუტურად, მაგრამ მაინც ზეაღმატებული იყო, როცა (თავდაპირველად) იმით ტკბებოდა, რაც ყოველივეზე მაღლა დგას, — ხოლო ყოველივეზე მაღლა მდგომი — ერთი მხოლოდ ღმერთია. ამასთან, ყოველივე ის, რაც უფრო დაბლა მდგომი შეიქნება, ვიდრე მანამდე იყო, იმდენად კი არ არის ბოროტი, რამდენადაც არსებობს, არამედ იმ მიზეზით, რომ უდაბლესი ხდება. რამეთუ რაც უფრო დაბლა მდგომი ხდება რაიმე იმასთან შედარებით, რაც მანამდე იყო, მით უფრო ესწრაფვის იგი სიკვდილს. მაშ, რა გასაკვირია, თუკი უკმარობისაგან — სიძუნწე აღმოცენდება, სიძუნწისაგან — შური, რომლის მიზეზითაც ეშმაკი შეიქნა კიდეც ბოროტ ანგელოზად?!

თავი XIV

ცოდვა თავისუფალი ნებისაგან მომდინარეობს.

ის მანკიერება თუ ნაკლი, რომელიც ცოდვად იწოდება, ჩვენი ნების საწინააღმდეგოდ რომ გვეუფლებოდეს, როგორც, მაგალითად, ციებ-ცხელება შეგვიპყრობს ხოლმე, მაშინ ცოდვილ სულზე მოწევნული სასჯელი, განკითხვად რომ იწოდება, სრულიად უსამართლოდ უნდა მიგვეჩნია. ამასთანავე, აწინდელ ჟამს (ამქვეყნიურ ცხოვრებაში) ცოდვა-ბოროტება იმზომამდეა დამოკიდებული ნებაზე, რომ ის არც იქნებოდა ცოდვა, თავისუფალი ნების აღმონაცენი რომ არ იყოს. და ეს იმდენად ცხადია, რომ ამ საკითხის გამო არავითარი უთანხმოება არ არის არც მრავალრიცხოვან მეცნიერთა შორის, და არც უბრალო ადამიანთა სიმრავლეში. ამიტომაც ან უნდა უარვყოფდეთ ცოდვის არსებობას, ანდა უნდა ვაღიაროთ, რომ ცოდვას ნებაყოფლობით სჩადიან. ამასთანავე, სული რომ სცოდავს, ამას, რა თქმა უნდა, არ უარყოფს ის, ვინც აღიარებს, რომ სული მონანიებით გამოსწორდება და მონანულს ცოდვები მოეტევება, ხოლო ცოდვაში გახევებული სული სამართლიანი ღვთაებრივი სამსჯავროთი განიკითხება. მეორეს მხრივ, თუკი ჩვენ ნებაყოფლობით არ ჩავდივართ ცოდვას, მაშინ არც აკრძალვებით უნდა გვზღუდავდეს ვინმე და არც შეგონებებით ცდილობდეს ჩვენს შეჩერებას; ხოლო ამის (აკრძალვებისა და შეგონებების) უარყოფით უსათუოდ ისპობა ქრისტიანული სჯული და მთელი სარწმუნოებრივი წეს-რიგი. ამრიგად, ცოდვასაც ნებაყოფლობით, თავისუფალი ნების მოქმედებით სჩადიან. ხოლო რადგანაც ცოდვა უეჭველად არსებული რამაა, ასევე უეჭველად არსებულ რამედ უნდა მივიჩნიოთ ისიც, რომ სულნი თავისუფალი ნებით არიან შემოსილნი. რამეთუ ღმერთმა თავის საუკეთესო მსახურებად იმათი აღიარება დაადგინა, რომლებიც მ ა ს ნებაყოფლობით ემსახურებიან. და ასეთი სულნი თუ ადამიანები ვერ იქნებოდნენ ღმრთის უმჯობეს მსახურებად, ისინი რომ ღმერთს იძულებით ემსახურებოდნენ, და არა თავიანთი თავისუფალი ნების კარნახით.

ამრიგად, ანგელოზნი ღმერთს თავიანთი თავისუფალი ნებით ემსახურებიან, და ეს ღმერთისათვის კი არ არის სასარგებლო, არამედ თვით ამ ანგელოზთათვის, იმიტომ, რომ ყოველთა შემოქმედი ღმერთი არ საჭიროებს სხვათაგან მიღებულ სიკეთეს: ი გ ი თავისთავად არსებობს და თვით არის უზენაესი სიკეთე. ამგვარივეა ისიც, რაც მის მიერ არის შობილი, რადგანაც შექმნილი კი არ არის, არამედ შობილია. ყოველივე კი, რაც მ ი ს მიერ არის შექმნილი, უსათუოდ საჭიროებს მ ი ს გ ა ნ სიკეთეს, ანუ უზენაეს სიკეთეს — უზენაეს არსს. და თუმცა ახლა ყოველივე შექმნილი უფრო დაბლა მდგომი შეიქნა, ვიდრე თავდაპირველად იყო, იმიტომ, რომ ცოდვით დაცემის შემდეგ ნაკლებ ისწრაფვის ღმრთისაკენ, — მაგრამ, მიუხედავად ამისა, საბოლოოდ როდია გაყრილი მ ი ს გ ა ნ, რადგან საბოლოოდ რომ განშორებოდა თავის შემოქმედს, მაშინ სრული არარა იქნებოდა. დაცემული ანგელოზის ეგრეთ წოდებულ შეგონებასაც ადამიანის სული თავისი ნებით შეიწყნარებს, რადგან აუცილებელი იძულების გამო რომ სჩადიოდეს ამას, მაშინ მისი ქმედება არც ჩაითვლებოდა ცოდვიან გარდახდომად.

თავი XV

თვით სასჯელი ჩადენილი ცოდვისათვის გვასწავლის, თუ როგორ გამოვსწორდეთ.

ხოლო ის გარემოება, რომ ადამიანის სხეული ცოდვით დაცემამდე და სამართლიანი სასჯელის მიღებამდე თვისებრივად საუკეთესო იყო, შეცოდების გამო კი დაუძლურდა და სიკვდილს დაქვემდებარებული შეიქნა, — ეს გარემოება, თუმცა კი სამართლიანი სასჯელის მომასწავებელია, მაინც უფრო ღმერთის მოწყალებას მოწმობს თავისი ქმნილების მიმართ, ვიდრე მ ი ს სიმკაცრეს. რამეთუ ღმერთის ამ მოქმედებით ჩვენ დავიმოძღვრებით იმისათვის, რომ ჩვენი სიყვარულით ხორციელ სიამეთ კი არ უნდა მივეკროთ, არამედ ჭეშმარიტების საუკუნო არსისაკენ მივისწრაფვოდეთ. სწორედ ამაში მდგომარეობს კიდეც სიმშვენიერე სიმართლისა, რომელიც

შემოქმედის ყოვლადსახიერ მოწყალებასთანაა შეერთებული, სასჯელის სიმწარით შეგვაგონებს გამოვსწორდეთ ჩვენ, ცთუნებულნი უდაბლეს სიკეთეთა სიტკბოებით. და თვით ეს სასჯელნიც ჩვენს შეცოდებათათვის, საღმრთო განგებულებით ხომ იმ ზომამდეა შერბილებული, რომ ამჟამინდელი, ესრეთ დაზიანებული სხეულითაც ჩვენ ძალგვიძს კეთილმსახურებას ვესწრაფვოდეთ და მართალი მორწმუნენი ვიყოთ, და გვექნება რა ღმრთის შიში, განვიშორებდეთ ჩვენგან ყოველგვარ ამპარტანებას და ერთს ჭეშმარიტ ღმერთს ვმორჩილებდეთ; არაფერში არ დავეყრდნოთ მხოლოდ საკუთარ თავს და მას ერთს მივანდოთ ხოლმე ჩვენი წინამძღვრობა და დაცვა. ამრიგად, ღმრთის წინამძღვრობით, ადამიანი თავისი თავისუფალი ნებით იყენებს ამქვეყნიური ცხოვრების სიძნელეებს იმისთვის, რომ სულის სიმტკიცე შეიძინოს; სიამეთა უხვებასა და წარმავალ სიკეთეთა ბედნიერ შეხამებაში გამოსცდის იგი თავის შეკავებას და კეთილკრძალული ხდება; საცთურთა შორის სწავლობს კეთილმოშიშებას და, გონიერებით აღვსილი, ცდილობს არათუ არ დაუთმოს მათ, არამედ კიდევ უფრო ფრთხილი და გულმოდგინე გახდეს ჭეშმარიტების სიყვარულში, ჭეშმარიტებისა, რომელიც არ მოგვატყუებს.

თავი XVI

საღმრთო განგებულება ადამიანისათვის გაცილებით უფრო კეთილმოქმედი ხდება სიტყვა-ღმერთის განხორციელებით (განკაცებით).

თუმცა ღმერთი ყოველი დროის შესაბამისად ყოველგვარ შესაძლებელ საშუალებას მოჰმადლის ადამიანის სულს კურნებისათვის, და ამას იმგვარად იქმს, როგორც მისი საკვირველი სიბრძნე განსაზღვრავს, რის შესახებაც ან საერთოდ არ უნდა ვიმსჯელოთ ხოლმე, ანდა მხოლოდ კეთილმსახურ და სრულყოფილ ადამიანებთან ვიმსჯელოთ, — მაინც, მიუხედავად ამისა, მას თავისი განგებულება ადამიანთა მოდგმის ხსნისათვის არაფრით ისე კეთილმოწყალედ არ გამოუხატავს,

როგორც ეს თავისი მხოლოდშობილი ძის ამქვეყნად მოვლინებით მოიმოქმედა. რამეთუ თვით ს ი ბ რ ძ ნ ე მ ღმრთისა, ანუ მამის ერთარსმა, თანადაუსაბამომ და მხოლოდშობილმა ძ ე მ სათნო-იყო თავის თავში მიეღო სრული ადამიანური ბუნება და განკაცებულიყო. „და სიტყვაᲲ იგი ხორციელ იქმნა და დაემკვიდრა ჩვენ შორის“ (იოანე 1, 14).

ამგვარად, ხორციელ ადამიანებს, შემოსილთ სხეულებრივი გრძნობებით, რომელთაც თავისი გონებით არ ძალუძთ ჭეშმარიტების შეცნობა, ღმერთმა დაანახვა, თუ რა მაღალი ადგილი უკავია ქმნილებათა შორის ადამიანურ ბუნებას, შექმნილს ხატად და მსგავსად შემოქმედისა. და დაანახვა იმით, რომ არათუ ხილული სახით მოევლინა ადამიანებს (რისი ქმნაც მ ა ს რაღაც ეთერული სხეულის მეშვეობითაც შეეძლო და რაც ადვილი აღსაქმელი იქნებოდა ჩვენი სხეულებრივი მზერისათვის),[1] არამედ ჭეშმარიტი ადამიანის სახით; რამეთუ ჯერ-იყო ის ბუნება მიეღო შემოქმედს, რომლის გამოსყიდვაც და ხსნაც ენება. ხოლო იმისთვის, რომ რომელიმე სქესს ადამიანური ბუნებისა თავი უგულვებელყოფილად არ მიეჩნია შემოქმედის მიერ, მ ა ნ მამაკაცის ბუნება მიიღო, შობით კი— დედაკაცისაგან იშვა.

ღმერთს არასდროს არაფერში ძალა არ უხმარია და ყოველთვის შეგონებითა და დარწმუნებით მოქმედებდა, რამეთუ ძველი მონობის აღმოფხვრის შედეგად აწ დადგა ჟამი თავისუფლებისა, და ადამიანისათვის დროულიც იყო და მაცხოვნებელიც უწყება იმისა, რომ იგი თავისუფალი ნების მქონე არსებად არის შექმნილი. თავისი სასწაულთმოქმედებებით მან (განკაცებულმა ს ი ტ ყ ვ ა მ) რწმენა განაღვიძა ჩვენში ღმრთისადმი, რომელიც თვით იყო, ხოლო თავისი ტანჯვით — რწმენა ადამიანისადმი, რომელიც შეიმოსა, რამეთუ ჭეშმარიტად იყო ადამიანიც. ასე, მაგალითად, როცა ი გ ი მრავალრიცხოვან ერს უქადაგებდა, მ ა ნ უარყო დედისა და ძმათა მოწოდება — დედა ჩემი და ძმანი ჩემნი, აი, ესენი (ანუ მოწაფეები) არიან, რომელნიც ჩემი ზეციური მამის ნებას აღასრულებენო (მათე 12, 46—50). მაგრამ, ამასთანავე, როგორც წმიდა სახარება

---

[1] მსგავსად იმისა, როგორც ანგელოზნი ევლინებიან ხოლმე ადამიანებს.

გადმოგვცემს, სიყრმისას ი გ ი თავის ამქვეყნიურ მშობელთა მორჩილი იყო (ლუკა 2, 51), რამეთუ სიბრძნით ის ღმერთი იყო, ასაკით კი — ადამიანი. ასევე, როცა ღვინის მოკლების გამო ქორწილში წყლის გარდაქმნას აპირებდა ღვინოდ, მან უთხრა თავის დედას: „რაჲ არს ჩემდა და შენდა, დედაკაცო? — არღა მოწევნულ არს ჟამი ჩემი“ (იოანე 2, 4). ხოლო ოდეს მოიწია ჟამი მ ი ს ი, როცა ის უნდა მომკვდარიყო, და ჯვარზე გაშოკიდულმა თავისი მწუხარე დედა დაინახა, თავის საყვარელ მოწაფეს მიანდო მასზე ზრუნვა როგორც ადამიანმა (იოანე 19, 26—27).

ადამიანები თავის წარსაწყმედად მიესწრაფვოდნენ სიმდიდრის მოპოვებას, ამ აუცილებელ თანამგზავრს ხორციელი სიამეებისა; მან (ქრისტემ) კი გლახაკად ყოფნა ინება. იმათ პატივი და ძალაუფლება სწყუროდათ; მ ა ნ კი არ ისურვა მეფობა. ხორციელ შვილთა ყოლას ისინი უდიდეს სიკეთედ მიიჩნევდნენ, მ ა ნ კი უგულებელჰყო ქორწინება და შთამომავლობა. ისინი უკიდურესი ზიზღით უფრთხოდნენ უპატიობასა და დამცირებას, მან კი ყოველგვარი შეურაცხყოფა დაითმინა. ისინი თავიანთი ქედმაღლობით აუტანლად მიიჩნევდნენ უსამართლობას; მაგრამ რა შეძლება ამაზე დიდი უსამართლობა იყოს, რომ განისაჯოს მართალი და უცოდველი (როგორიც ქრისტე იყო)?! მათ სძაგდათ სხეულებრივი ტანჯვა; მ ა ნ კი მრავალი გვემა დაითმინა და ბოლოს ჯვარზე მიმსჭვალვაც იტვირთა. მათ ყველაზე მეტად ეშინოდათ სიკვდილისა; ი ს კი თავისი ნებით დაექვემდებარა სიკვდილს. ჯვარზე სიკვდილს ისინი ყველაზე სამარცხვინო სიკვდილად მიიჩნევდნენ, მან კი სწორედ ჯვარზე მიმსჭვალვა და ასეთი სიკვდილი ირჩია.

ი გ ი თვითონაც არ იყენებდა, და არც რაიმე ღირებულებას ანიჭებდა ყოველივე იმას, რისი მოპოვების სურვილითაც ჩვენ ასე უკეთურად ვცხოვრობდით. მ ა ნ თავით თვისით დაითმინა და ამგვარად აღხოცა ყოველივე ის, რისი თავიდან აცილებაც ჩვენ ასე გვსურდა, მაგრამ ჭეშმარიტებისაგან შორს დავეხეტებოდით. რამეთუ ნებისმიერი ცოდვის ჩადენა ჩვენ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეგვიძლია, თუკი ვისურვებთ იმას, რაც მ ა ნ მოიძაგა, ანდა თუკი გავურბივართ იმას, რაც მ ა ნ დაითმინა.

ამრიგად, ამქვეყნად მთელი მისი ცხოვრება ადამიანური ბუნების მიხედვით, რომლის მიღებაც მ ა ნ სათნო-იყო, წარმოადგენდა ზნეობრივ მაგალითსა და დამოძღვრას. მაგრამ მ ი ს მ ა მკვდრეთით აღდგომამ საკმაოდ ცხადად გვიჩვენა, რომ ადამიანური ბუნების სულ მცირე ნაწილიც კი არ ისპობა, როცა ყოველივე მასში მრთელია ღმერთის მიერ; და კიდევ ისიც გვიჩვენა, თუ როგორ შეუძლია ყოველივეს თავის შემოქმედს ემსახუროს — ხან ცოდვათათვის მიგებული სასჯელის სახით, ხანაც ადამიანის ხსნით, და თუ როგორი სიადვილით ძალუძს სხეულს — სულის მსახური იყოს, თუკი თვით სული ღმერთს ემსახურება. ამ შემთხვევაში ამ სუბსტანციათაგან არათუ არც ერთი არ არის თავისთავად ბოროტება (ბოროტება არც შეიძლება სუბსტანცია იყოს), არამედ არც აღიძვრება არანაირი ბოროტებით და არაფერსაც ცუდს არ ესწრაფვის, რაც შეცოდების ან სასჯელის შედეგად შეიძლებოდა ყოფილიყო. ამ ამ მდგომარეობს სწორედ ბუნებისმიერი სწავლება,[1] რომელიც ნაკლებ მოაზროვნე ქრისტიანთათვის სრულიად სარწმუნოა, ხოლო მოაზროვნე და გულისხმისმყოფელ ქრისიტანებს განსწმედს ყოველგვარი შეცთომილებისაგან.

თავი XVIII

საფუძველი ჭეშმარიტი სარწმუნოების სწავლებისა — ძველი და ახალი აღთქმა — უმჯობეს საფუძვლად უნდა მიგვაჩნდეს.

ხოლო თვით საშუალება სწავლების მთელი სისტემისა — ერთის მხრივ ძალზე ცხადი და მარტივი, მეორეს მხრივ კი სულის ყოველმხრივი დამოძღვრისა და გაწვრთნისათვის შემდგარი მსგავსებათაგან გამოთქმებისა, მოქმედებებისა და საიდუმ-

---

[1] ნეტარი ავგუსტინე აქ, ალბათ, მიანიშნებს ფილოსოფიის ოდინდელ დაყოფაზე ზნეობრივ, საბუნებისმეტყველო (ბუნებისმიერ) და რაციონალურ (ანუ გონებრივ-განყენებულ) ნაწილებად. ამგვარი დაყოფის შესაბამისად იესუ ქრისტეს ცხოვრებას ამქვეყნად მან ზნეობრივი მაგალითი და დამოძღვრა უწოდა; აქ ის ლაპარაკობს ბუნებისმიერი დამოძღვრის შესახებ, რაციონალურ დამოძღვრაზე კი საუბარია მომდევნო თავში.

ლოებებისა, — ეს საშუალება სხვას რას წარმოადგენს, თუ არა რაციონალური (გონებისმიერი) სწავლების მოთხოვნათა შესრულებას?! და მართლაც (ღვთაებრივი) საიდუმლოს განცხადებაც იმისკენ არის მიმართული, რაც სრულიად ცხადად არის გამოთქმული. და მხოლოდ ის რომ არსებულიყო, რაც სავსებით გასაგები და ნათელია, მაშინ ჩვენ აღარ შეეუდგებოდით ხოლმე ჭეშმარიტების დაჟინებულ ძიებას, და არც სასიამოვნო იქნებოდა ეს ძიება ჩვენთვის. მეორეს მხრივ, თუკი საღმრთო წერილის საიდუმლოებებში არ იქნებოდა ბეჭედი ჭეშმარიტებისა, ამ შემთხვევაში ქმედება არ დაემთხვეოდა შემეცნებას. მაგრამ რადგანაც კეთილმსახურება აწინდელ დროში ღმერთის შიშით იწყება და მისი სიყვარულით დაგვირგვინდება, ამიტომაც მონობის არსებობის დროს შიშით შებორკილებული კაცობრიობა ძველ აღთქმაში, ანუ ძველი აღთქმის სჯულით, მრავალი საიდუმლოთი იყო დამძიმებული. მაშინ ეს სასარგებლო იყო როგორც საშუალება იმისთვის, რომ ადამიანებში გაღვიძებულიყო სურვილი მომავალი ღვთაებრივი მადლის მიღებისა, რომლისთვისაც წინასწარმეტყველნი ღაღადებდნენ. ხოლო მას შემდეგ, რაც ეს ღვთაებრივი მადლი მოევლინა და განეცხადა კაცობრიობას განკაცებული სიტყვა — ღმერთის სახით, მაშინ თვით საღმრთო სიბრძნის მიერ, რომელმაც სრული ადამიანი შეიმოსა და ჩვენ თავისუფლებისაკენ მოგვიწოდა, დადგენილ იქნა რამდენიმე მხსნელი საიდუმლო, რომელთა ძლითაც ერთი ღმერთის ხელმწიფების ქვეშ იქნებოდა დაცული ქრისტიან ხალხთა საზოგადოება, ანუ თავისუფალი ადამიანები. ხოლო ის მრავალრიცხოვანი საიდუმლონი (ძველი აღთქმისა), ებრაელ ხალხს რომ ჰქონდა დაკისრებული, ანუ იმავე ერთი ღმერთის ხელმწიფების ქვეშ შებორკილებულ ადამიანებს, — ეს საიდუმლონი აღარ გამოიყენებოდა, გაუქმდა და შეიქნა საგანი რწმენისა და ახსნა-განმარტებისა. ამრიგად, ახლა საიდუმლონი მონურად კი არ შეაბორკილებენ ადამიანებს, არამედ თავისუფლად წურთნიან ადამიანთა სულებს.

ამასთან, თუკი ვინმე იმის საფუძველზე უარყოფს ორივე აღთქმის მომდინარეობას ერთი ღმერთისაგან, რომ ჩვენს (ქრისტიან) ერს იგივე საიდუმლონი არა აქვს მოცემული, რო-

მელნიც იუდეველებს ეპყრათ და ახლაც უპყრიათო, მაშინ ესევითარს იმის თქმაც შეეძლება, უკმარი საქმეაო ის, როცა ერთი და იგივე მეტად სამართლიანი მამა ოჯახისა ერთს რასმე უბრძანებს ერთთ, რომელთათვისაც უფრო ხანგრძლივ მონობას სასარგებლოდ მიიჩნევს, და სხვას რასმე უბრძანებს იმათ, რომელნიც ღირსად უცვნია შვილთა წოდებაში აყვანისაო. მაგრამ თუკი ცხოვრებისეული წესების თვალსაზრისით აღშფოთდებიან ხოლმე, რომ ძველ აღთქმაში (სჯულში) ნაკლებია შთადებული, სახარებაში კი — მეტი, და ამის გამო იმ დასკვნამდე მიდიან, რომ ეს ორი წერილი ერთსა და იმავე ღმერთს არ ეკუთვნის, — მაშინ ასეთი შეხედულების მქონე ადამიანები იმის გამოც უნდა აღშფოთდნენ, თუკი ერთი და იგივე მკურნალი სნეულთა ჯანმრთელობის შენარჩუნებისა თუ აღდგენისათვის რაღაც საშუალებას კურნებისა თავის მსახურთა მეშვეობით დაუდგენს უფრო მძიმე სნეულთ, სხვა საშუალებებს კი თვითვე განუჩენს ნაკლებ სნეულთ. მაგრამ როგორადაც კურნების ხელოვნებაა ყოველთვის ერთი და იგივე და არანაირად არ იცვლება, ხოლო ცვლის ხოლმე წამლობის ხერხს სნეულთათვის, იმიტომ, რომ სწორედ ჩვენი სნეულებანია ცვალებადი, — ამგვარადვე საღმრთო განგებულებაც, თუმცა კი თვით სრულიად უცვალებელია, სხვადასხვა სახედ მოევლინება ხოლმე შემწედ ცვალებას დაქვემდებარებულ ქმნილებას, და შესაბამისადაც სხვადასხვა უძლურებისა — ერთს მისთვის შესაფერ განუწესებს, მეორეს კი — სულ სხვას, ანდა სხვადასხვა დროს შეეწევა შეჭირვებულთ, და ამას იმისთვის იქმს, რომ მანკიერებიდან, სიკვდილის წყაროს რომ წარმოადგენს, და თვით სიკვდილიდანაც თავის უზენაეს ბუნებამდე და თავის არსამდე აღიყვანოს, თავისთან დაამკვიდროს თავისივე ქმნილება, რომელიც ესრეთ დაუძლურებულა, ანუ არარაობისაკენ მსწრაფველი შექნილა.

თავი XVIII

მასზედ, თუ რატომ არიან ქმნილებანი ცვალებადნი.

მაგრამ შენ იკითხავ, (რომანიანე): რატომ უძლურდებაო ქმნილება? მოგიგებ: იმიტომ, რომ ცვალებადია. ცვალებადი რატომღაა? — იმის გამო, რომ არასრულყოფილია. რატომ არის არასრულყოფილი? — იმიტომ, რომ ი მ ა ზ ე დაბლა მდგომია, ვ ი ს მიერაც არის შექმნილი. შექმნილი კი ვის მიერ არის? — იმის მიერ, ვ ი ნ ც მასზე აღმატებულია. ვინ არის ასეთი? — ერთი ღმერთი, მარადის უცვალებელი სამება, რადგანაც ყოველივე მ ა ნ თავისი უზენაესი ს ი ბ რ ძ ნ ი ს მიერ შეჰქმნა კიდეც და შექმნილს შენარჩუნებაც განუჩინა. რა მიზნით, რისთვის შეჰქმნა მ ა ნ ეს ყოველივე? — იმისთვის, რომ ყოველივე ამას ეარსება; რამეთუ რა კნინიც არ უნდა იყოს ქმნილება, მისი არსებობა — უკვე სიკეთეა, ხოლო უზენაესად არსებობა — უზენაესი სიკეთეა. რისგან შექმნა ღმერთმა ეს ყოველივე? — არარასაგან. რამეთუ ყოველივე, რაც კი არსებობს, უსათუოდ რაღაცნაირი სახით არსებობს; მაშასადამე, დაე, თუნდაც უკნინესი სიკეთე იყოს, ის მაინც სიკეთე იქნება და ღმერთისაგან არსებული იქნება, იმიტომ, რომ თუკი უზენაესი სახეობა სიკეთისა — არის ღვთაებრივი სიკეთე, მაშინ ყველაზე მცირე სიკეთე — უკნინესი სახეობა იქნება სიკეთისა. ხოლო რაც სახეობისთვისაა ნათქვამი, იმის თქმა, უეჭველია, ფორმაზეც შეიძლება, რამეთუ ტყუილუბრალოდ ხომ არ აქებენ როგორც სახეობრივად უმშვენიერესს, ასევე ფორმითაც უმშვენიერესს. ამრიგად, იმას, რისგანაც ღმერთმა ყოველივე შეჰქმნა, არა აქვს არავითარი სახე და არავითარი ფორმა, და იგი სხვა არაფერია, თუ არა სრული არარა. რადგანაც ის, რაც სრულყოფილთან შედარებით უფორმოდ იწოდება, და რაღაც სახით, თუნდაც სულ უკნინესით, თუნდაც სულაც ჩანასახის მსგავსი ზომით აქვს რაღაცნაირი ფორმა, — ასეთი რამ უკვე აღარ არის არარა; ამიტომაც, რამდენადაც ის არსებობს, არსებობს მხოლოდ და მხოლოდ ღმერთის მიზეზით, და არა სხვა რამისა გამო.

ამიტომ, თუკი ვინმე იტყვის, რომ არსებული სამყარო

თუნდაც რაღაც უფორმო მატერიისაგან არის შექმნილი, თვით ამ მატერიაზე ის იძულებული იქნება თქვას, არარასაგან არის შექმნილიო; რამეთუ ისიც კი, რასაც ჯერ არ შეუძენია ფორმა, მაგრამ რაღაცნაირად ჯერ ჩანასახის სტადიაშია და ისწრაფვის, რომ ფორმა შეიძინოს, — აი, ამგვარი რაიმეც კი სწორედ ღმერთის სახიერებით შეიქნება შემძლედ რაღაც ფორმის შეძენისა. რამეთუ ფორმის შეძენა სიკეთეაო, უთქვამს პლატონს („ტიმეოსი"). მაშასადამე, მისწრაფება რაიმე ფორმის შესაძენად — გარკვეული სიკეთეა, ხოლო ამიტომ ყოველი სიკეთის შემოქმედმა, მომნიჭებელმა ყოველგვარი ფორმისა, თვითვე მისცა ყოველივეს რაღაც ფორმით არსებობის შესაძლებლობაც. ამრიგად, ყოველივე არსებული, რამდენადაც რაღაც ფორმით არსებობს, და ყოველივე ჯერ არ არსებული, რამდენადაც შეიძლება არსებობა დაიწყოს, ფორმას ღმერთისაგან შეიძენს. სხვაგვარად რომ ვთქვათ — ყოველივეს, რასაც ფორმა მიუღია იმდენად, რამდენადაც შემძლეა მისი მიღებისა, ეს ფორმა ღმერთისაგან აქვს მიღებული. ამასთანავე, ყოველ საგანს თავისი ბუნება წაუხდენელი აქვს შენარჩუნებული იმ პირობით, თუ იგი წაუხდენელია თავის სახეობაში (გვარში); ხოლო ყოველი წაუხდენლობა იმისგან მომდინარეობს, ვ ი ს-გ ა ნ ა ც არის ყოველი სიკეთე; ყოველი სიკეთე კი — ღმერთისაგანაა. მაშასადამე, ყოველგვარი წაუხდენლობის მიზეზიც — ერთი ჭეშმარიტი ღმერთია.

თავი XIX

რასაც წახდენა შეუძლია, ის — სიკეთეა, თუმცა — არა უზენაესი სიკეთე.

უკვე აქედანვე ყოველი, ვისაც გონების თვალნი ღია აქვს, მზერა არ დაბნელებია და არც მოშლია ამაო გამარჯვებისაკენ დამღუპველი სწრაფვით, ადვილად გულისხმა-ჰყოფს, რომ ყველაფერი, რაც წახდენას ექვემდებარება და კვდება, — სიკეთეა, მიუხედავად იმისა, რომ თვით წახდენა და სიკვდილი — ბოროტებაა. რამეთუ მრთელ მდგომარეობას რომ არ აკლდე-

ბოდეს რაიმე, მაშინ წახდენა თუ სიკვდილი ვერ ავნებდნენ მას; მაგრამ, მეორეს მხრივ, წახდენას ვნება რომ არ მოჰქონდეს, იგი არც იქნებოდა წახდენა. აქედან გამომდინარე, თუკი წახდენა საწინააღმდეგო რამაა სიმრთელისა, მაშინ სიმრთელე, ყოველგვარ ეჭვს გარეშე, სიკეთე ყოფილა. სიკეთეა ყოველივე, რისი საწინააღმდეგოც წახდენაა, ხოლო რისადმიც წახდენაა საწინააღმდეგო, ის თვითონაც დაქვემდებარებულია წახდენას. მაშასადამე, სიკეთე ყოფილა ყოველივე, რაც წახდება ხოლმე, ხოლო წახდება კი იმის გამო, რომ უზენაესი სიკეთე კი რა არის, არამედ უდაბლესი სიკეთეა. ამრიგად იგი ღმერთისაგანაა, იმიტომ, რომ — სიკეთეა. მაგრამ ის არ არის თვით ღმერთი, რადგანაც არ არის უზენაესი სიკეთე. აქედან გამომდინარე, ის სიკეთე, რომელიც არ შეიძლება წახდენას დაექვემდებაროს, — ღმერთია. ყველა სხვა სიკეთე კი ღმერთისაგანაა, ის სიკეთენი, რომელნიც თვითონ შეიძლება წახდენას დაექვემდებარონ, იმიტომ, რომ თავით თვისით — არარანი არიან; მაგრამ ღმერთის მიერ ისინი ნაწილობრივ არ ექვემდებარებიან სიკეთეს, სხვა ნაწილში კი თავისა ექვემდებარებიან წახდენას, რათა გამოსწორდნენ.

თავი XX

მასზედ, თუ საიდან მომდინარეობს სულის წახდენა.

ამასთანავე, არსებობს თავდაპირველი წახდენა გონიერი სულისა, კერძოდ კი — სურვილი იმის მოქმედებისა, რასაც კრძალავს უზენაესი და უსაიდუმლოესი ჭეშმარიტება. ასე, რომ ადამიანი სამოთხიდან აწინდელ ცხოვრებად იქნა გამოძევებული, ანუ საუკუნოისაგან — დროებითისაკენ, სიუხვისაგან — სიდუხჭირედ, სიმაგრისაგან — უძლურებად; მაშასადამე, არსისმიერი სიკეთისაგან არსისმიერი ბოროტებისაკენ კი არ იქნა გამოძევებული, — რადგანაც არც ერთი არსი თავისთავად არ არის ბოროტება, — არამედ საუკუნო, მარადიული სიკეთისაგან — დროებითი, წარმავალი სიკეთისაკენ იქნა გამოძევებული, სულიერი სიკეთისაგან — ხორციელი სიკეთისაკენ,

გონიერი სიკეთისაგან — გრძნობისმიერი სიკეთისაკენ, უზენაესი სიკეთისაგან — უდაბლესი სიკეთისაკენ... ამგვარად, არსებობს გარკვეული სახის სიკეთე, რომლისადმი სიყვარულითაც გონიერი სული სცოდავს, იმიტომ, რომ ამგვარი სიკეთე ღირსებით მასზე დაბლამდგომია; ამის გამო ბოროტება თვით შეცოდებაში მდგომარეობს, და არა იმის არსში, რომლის სიყვარულიც — ცოდვაა. აქედან გამომდინარე, ბოროტება თვით ის ხე კი არ არის, საღმრთო წერილის მიხედვით სამოთხეში რომ იყო დანერგული, არამედ საღმრთო მცნებათა გარდახდომა. რაკი ამ შეცოდების შედეგი იყო სამართლიანი სასჯელი, ამიტომ იმ ხისაგან, რომელსაც ადამიანი აკრძალვის მიუხედავად შეეხო, გამოვიდა შეცნობა კეთილისა და ბოროტისა. ამით შემცოდე და ცოდვისათვის სასჯელის მიმღები სული განისწავლება, თუ რა განსხვავებაა საღმრთო მცნებასა, რომლის აღსრულებაც მას ევალებოდა, და ცოდვას შორის, რომლითაც ის დაეცა; ხოლო ამგვარად იგი, ერთის მხრივ, გამოცდილებით შეიმეცნებს ბოროტებას, რომელიც მანამდე არ უწყოდა და ეკრძალებოდა კიდეც, მეორეს მხრივ კი, ამ ბოროტებასთან შედარების წყალობით კიდევ უფრო ძლიერ შეიყვარებს სიკეთეს, მანამდე რომ ნაკლებ უყვარდა, როცა ურჩება გამოავლინა.

ამრიგად, სულის წახდენა იმაში მდგომარეობს, რაც მან თვით აღასრულა, და ამ მიზეზით აღმოცენებული მისი უბადრუკი მდგომარეობა ის სასჯელია, რომელსაც სული დაითმენს: აი, სწორედ ეს არის კიდეც ბოროტება. მაგრამ ცოდვის ჩადენა და სასჯელის დათმენა — სუბსტანცია როდია. ამიტომ სუბსტანცია არ შეიძლება ბოროტება იყოს. ასე, რომ არც (მაგალითად) წყალი, არც ჰაეროვან სივრცეში მცხოვრები არსება — თავისთავად არ არიან ბოროტება, რადგანაც ისინი — სუბსტანციებია. მაგრამ ნებაყოფლობითი ჩავარდნა წყალში და თავის დარჩობა — უკვე ბოროტებაა. რკინის გრიფელი, რომლის ერთი ბოლოთი ჩვენ ვწერთ ხოლმე დაფაზე, მეორე ბოლოთი კი — წავშლით დაწერილს, ოსტატის ხელოვნებით კეთდება და წარმოადგენს თავისებურად მშვენიერ და ჩვენს მოსახმარად ვარგის ნივთს. მაგრამ ვინმემ რომ იმ ბოლოთი მოისურვოს წერა, რომელიც დაწერილის წაშლისათვისაა გან-

კუთვნილი, ხოლო წაშლა კი იმ ბოლოთი, რომლითაც ვწერთ ხოლმე, — ამ შემთხვევაში მისი მოქმედება სამართლიან გაკიცხვას დაიმსახურებდა, თუმცა, ამასთან, თვით გრიფელს არავინ არ მიიჩნევდა ბოროტად. რამეთუ სწორად რომ დაეჭირა მას საწერი, მაშინ სადღა იქნებოდა ბოროტება?! ანდა ვინმემ რომ შუადღისას პირდაპირ შეხედოს მზეს, მას თვალი დაუბრმავდება და გარკვეული დროინ მანძილზე ვერაფერს დაინახავს. მაგრამ განა ამის გამო შეიძლება ბოროტებად მივიჩნიოთ ან მზე, ანდა თვალები?! არავითარ შემთხვევაში, რადგანაც მზეცა და თვალიც — სუბსტანციებია. მაშასადამე, ბოროტებაა თვით გახედვა მზისაკენ შეუფერებელ დროს და ამით თვალების მოწყვლა. და ეს ბოროტებაც განქარდება, როცა თვალებს დაასვენებენ და ისინიც უკვე ჯეროვნად შეიძლებენ ნათლის ხილვას. იმ შემთხვევაშიც კი, როცა ეს ნათელი, ჩვენს თვალებს რომ ეხება, თაყვანის-იცემება როგორც სიბრძნის ნათელი, შემოსილი, ვითომცდა, რაღაც მაღალი გონიერებით, — აი, ამ შემთხვევაშიც კი ბოროტება სინათლე კი არ არის და არც მისი წყარო, არამედ ბოროტებაა ადამიანთა ცრუ-რწმენა, რომლის მიზეზითაც ქმნილებას უფრო მეტად ემსახურებიან და ეთაყვანებიან, ვიდრე მის შემომქმედ ღმერთს. და ეს ბოროტებაც სრულიად განქარდება, როცა სული, შემცნობი ჭეშმარიტი შემომქმედისა, მხოლოდ მ ა ს ერთს დაემორჩილება და საკუთარი გამოცდილებით გულისხმაჰყოფს, რომ ღმერთის მიერ ყოველივე მასაც ემორჩილება (ანუ ჭეშმარიტების შემცნობ სულს).

ამრიგად, ყოველი სხეულებრივი ქმნილება, თუკი ის ღმერთს მიახლებული სულის სიყვარულის საგანია, არის სიკეთე, თუმცა კი უდაბლესი სიკეთე, და თავისებურად მშვენიერი სიკეთე, რადგანაც რაღაც ფორმით არის შემოსილი და თავისი საკუთარი ხატი აქვს. ხოლო თუკი სხეულებრივი ქმნილება იმ სულის სიყვარულის საგანს შეადგენს, რომელსაც ღმერთი უგულებელ-უყვია და მოუძულებია, მაშინ თუმცა კი თვით არ შეიქნება ბოროტებად, მაგრამ ცოდვის მიზეზით — ბოროტებას რომ შეადგენს, სასჯელად ექცევა ხოლმე თავის მოყვარულს, განუწყვეტელ მწუხარებას მოუტანს მას და ცრუ-სიამეებით დაატკბობს: ცრუ-სიამეებით იმიტომ, რომ ასეთი

სიამენი არამდგრადია, წარმავალია და სრული დაკმაყოფილება კი არ მოაქვთ ადამიანის სულისათვის, არამედ მუმუნვარებით მოსწყლავენ მას, რადგანაც როცა ბედნიერი დრო თავის განსაზღვრულ მსვლელობას დაასრულებს, მაშინ ეგზომ სასურველი ხატება სტოვებს თავის მოყვარულს, მიეფარება მის გრძნობათაგან, რითაც სტანჯავს მას და ისეთ სიბრმავეს სწევს, რომ სული ამ ხატებას უპირველეს ხატებად მიიჩნევს, მაშინ, როცა იგი უდაბლესი და უკანასკნელია, ანუ სხეულებრივი ბუნების ხატებაა, რომელსაც გარდაქცეულად, ცრუდ წარმოუდგენდა ასეთ სულს ბოროტებით სიტკბოების მიმღები სხეული (ხორცი) გრძნობათა მეშვეობით; ასე, რომ როცა ეს სული რაიმეზე ფიქრობს, ჰგონია — რაღაც მესმისო, სინამდვილეში კი მხოლოდ ფანტასტიკური აჩრდილებით შეიქცევა თავს. ხოლო თუკი ზოგჯერ ჰგონია ჭეშმარიტი სწავლება მიპყრია საღმრთო განგებულების შესახებო, სინამდვილეში კი მეტად მოშორებია ასეთ სწავლებას, და ამგვარად ცდილობს წინააღმდეგობა გაუწიოს ხორცს (საკუთარ სხეულს), მაშინ ასეთი სული განუწყვეტლივ იტრიალებს ხილულ საგანთა სფეროში და წარმოსახვის ძლითაც ამაოდ წარმოიდგენს ხოლშე უსაზღვრო სივრცეებს, ვთქვათ, სინათლისა, რომელიც ძისი ხედვისათვის გარკვეული საზღვრებით არის შემოფარგლული; ეს სახეები ხილული საგნებისა მას მომავალ (საუკუნო) ცხოვრებაზეც გადააქვს და თავისი უგნურების გამო არ უწყის, რომ მოცემულ შემთხვევაში იგი თვალთა გულისთქმას დაშონებია, რადგან ამა ქვეყნიდან გასვლა მას ამავე ქვეყნითურთ სურს, რომელსაც აღარ მიიჩნევს იმად, რაც ის სინამდვილეშია იმიტომ, რომ წარმოსახვის ძლით ამა ქვეყნის უფრო ნათელ ნაწილს უსაზღვროდ ზრდის და განავრცობს. ივივეს ქმნა, და საკმაოდ ადვილადაც, არამხოლოდ სინათლესთან დაკავშირებით შეიძლება, არამედ წყალთან, ღვინოსთან, თაფლთან, ოქროსთან, ვერცხლთან, ამა თუ იმ პირუტყვის ხორცთან, სისხლთან თუ ძვლებთან დაკავშირებითაც; რამეთუ არ არსებობს ისეთი სხეული, რომლის წარმოსახვაც განუსაზღვრელი სიმრავლითა თუ სიდიდით არ შეიძლებოდეს, თუნდაც მას ჩვენ ერთადერთს ვხედავდეთ და მოცულობითაც მეტად

მცირეს. მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ ხორცის მოძაგება ძალზე ადვილია, ხოლო აზროვნება არახორიცელად, ანუ სულიერად — მეტად საძნელო.

თავი XXI

სანამ სული (ადამიანისა) წარმავალ სხეულებრივ სიმშვენიერეს ესწრაფვის, იგი მოტყუებულია (ცდება).

სწორედ ამ გარდაქცეულების შედეგად სულისა, ცოდვასთან რომ შეუღლებულა, და ამ სასჯელის გამო მთელი სხეულებრივი ბუნება შეიქნა კიდეც იმად, რაზეც სოლომონი ამბობს — ამაოება ამაოთა, და ყოველივე ამაოო, და „რაჲ უმეტეს არს კაცისა, ყოველსა შინა შრომასა მისსა, რომელსა შურების მზისა ქვეშე?!“ (ეკლესიასტე 1, 2—3). აქ ტყუილუბრალოდ როდია დართული სიტყვა — ამაოთა, რამეთუ ამაოებით შეპყრობილ ადამიანთა გარეშე, რომელნიც უდაბლეს საგნებს ისე მიესწრაფვიან, თითქოს ისინი უზენაესნი და უპირველესნი იყვნენ, სხეული აღარ იქნება ამაოება, და იქნება ნამდვილი გამოხატულება თავისებური სიმშვენიერისა, დაე, თუნდ ეს უდაბლესი, უკანასკნელი სიმშვენიერე იყოს. მართლაც, ცოდვით დაცემული ადამიანი ხოციელ ორგანოთა მეშვეობით ღმერთთან ერთობისაგან განუშორებია სიმრავლეს წარმავალი სახეებისა და თავისი ცვალებადი მრავალფეროვნებით განუმრავლებია მისი ვნებანი: აი, სწორედ ასე აღმოცენდა ეს სამძიმო სიუხვე და, თუკი ასე შეიძლება ითქვას, ეს სიუხვით გამორჩეული სიღატაკე, როცა ერთი რამ მეორეს ენაცვლება და ადამიანს კი არაფერი შერჩება მდგრადი, მუდმივი; დროთა განმავლობაში „ნაყოფისაგან იფქლისა და ღვინისა და ზეთისა“ თვისისა (ფსალმ. 4, 8) იგი (ადამიანი) იმდენად მრავალსახოვანი შეიქნა, რომ უკვე ვეღარ პოულობს თვითარს ბუნებას, ანუ იმ უცვალებელსა და ერთადერთ ბუნებას, რომლის შედგომითაც გზა არ დაებნეოდა და არ შეცდებოდა, ხოლო თუკი მიაღწევდა ამ ბუნებას, არც მწუხარებით იქნებოდა შეპყრობილი. რამეთუ ამით ის მიიღებს გამოხსნას თავის ხორცთა (რომ. 8, 23), რომელიც მკვდრეთით აღდგომის შემდეგ უკვე

აღარ დაექვემდებარება ხრწნილებას. [illegible] კი (ამქვეყნიურ ცხოვრებაში) ხორცნადი სხეული დაამძიმებს სულს, და ეს სიწმიერი სამყოფელი შეაჭირვებს მრავალი საზრუნავით აღმავალ გზებას (სიბრძნე სოლომ. 9, 15), რადგანაც უდაბალესი სიმშვენიერე მემკვიდრეობით, ერთმანეთის გამაგრძელებელ სოფლენათა წყებაში ვლინდება და დასრულდება. იგი იმიტომაც ეწოდა უდაბლესი, უკანასკნელი სიმშვენიერე, რომ არ ძალუნდა თავით თვისით ერთბაშად მოიცვას ყოველივე, ხოლო იმ დროს, როცა ერთი წყება მოვლენებისა წარვალს და სხვით ენაცვლება, ისინი (ეს ერთმანეთის მონაცვლე ძოვლენები თავის თავში) ერთ სიმშვენიერედ აერთიანებენ ყველა აოსებულ დროებით ფორმას.

თავი XXII

მასზედ, რომ წარმართვა წარმავალი საგნებისა მხოლოდ უკეთურ ადამიანებს არ მოსწონთ.

და ეს ყოველივე იმის გამო როდია ბოროტება, რომ წარმავალია. ასე, ეაგალითად, თავისებურად ლექსიც ძვენიერია, თუმცა კი მისი ორი მარცვლის ერთდროულად წარმოთქმა არანაირად არ შეიძლება: ეეორე მარცვლის წარმოთქმა მხოლოდ მას შემდეგ შეგვეძლება, რაც პირველ მარცვალს წარმოვთქვამთ; და ასე, მარცვალთა თანმიმდევრული წარმოთქმით გავდივართ (ლექსის) ბოლომდე, ასე, ოთხ თუნცა უკანასკნელი მარცვალი მხოლოდ ერთი წარმოითქმეაა, წინამავალნი კი მასთან ერთად აღარ წარმოითქმება, ეაგრაა ლექსის ფორმასა და თანაზომიერ სიმშვენიერეს იგი ნიხანავალ მარცვლებთან კავშირში დაასრულეს. ეიუსედავად ამისა, თვით სალექსო ხელოვნება იმდენად როდია დაქვემდებარებული დროს, რომ ეისი სიმშვენიერე დაკხინებულ იქნას პაუსათა მონაკვეთებით; პირიქით, სალექსო ხელოვნებას ერთიანად აქვს ყოველივე ის, რისგანაც შედგება კიდეც ცალკეული ლექსი, ხოლო თვით ლექსს კი ერთიანად არა აქვს ყველაფერი, არამედ წინანავალს მომდევნოთი წარხოცს. და მაინც — ლექსიც მშვენიერია, იმიტომ, რომ იგი წარმოგვიდგენს უკანას-

კნელ (უდაბლეს) კვალთ იმ სიმშვენიერისა, რომელსაც მარადის და უცვალებელად იმარხავს თვით ხელოვნება.

ამრიგად, როგორადაც ზოგიერთ გარდაქცეულ ადამიანს უფრო მეტად ლექსი უყვარს, ვიდრე თვით სალექსო ხელოვნება, რადგან უფრო მეტად სმენის გრძნობას დამონებია, ვიდრე გონიერებას, — აი, ზუსტად ამგვარადვე მრავალ ადამიანს მხოლოდ დროებითი, წარმავალი შეჰყვარებია, და არ ისწრაფვის საღმრთო განგებულებას მისწვდეს, რომელსაც შეუქმნია კიდეც დრონი და წარმართავს კიდეც მათ; და თავის ამ სიყვარულში დროისმიერი საგნებისა ამ ადამიანებს არ სურთ, რომ მოისპოს და წარიხოცოს ის, რაც ასე უყვართ, და ამ შემთხვევაში ისეთივე უგნურები არიან, როგორიც ის ადამიანი იქნება, ლექსის წაკითხვისას განუწყვეტლივ ერთი და იგივე მარცვლის მოსმენა რომ მოისურვოს. მაგრამ ამგვარი მსმენელნი თუ წამკითხველნი ლექსისა — არ არსებობენ, ხოლო წარმავალი საგნების თაყვანისმცემლებით მთელი ქვეყნიერებაა აღსავსე. რამეთუ არ არსებობს ისეთი ადამიანი, რომელსაც არ შეეძლებოდა არათუ მთელი ლექსის მოსმენა, არამედ მთლიანად სახიობისაც, მაშინ, როდესაც გონებით მოცვა საუკუნეთა მთელი წყებისა მრავალ ადამიანს არ შეუძლია. ამასთანავე, თუკი ჩვენ არ ვასრულებთ რაიმე როლს სახიობაში და ლექსებს არ წარმოვთქვამთ, საუკუნეთა მდინარებაში მოსჯილი გვაქვს მთავარ მომქმედ პირებად ყოფნა! აქედან გამომდინარე, ლექსებს ჩვენ კრიტიკული განსჯით ვკითხულობთ, საუკუნენი კი ჩვენთვის შრომათა და სალმობათა შორის განვლიან. არც ერთი დამარცხებულისათვის უკვე სასიამოვნო აღარ არის ათლეტური თამაშობანი, და მაინც ისინი მშვენიერია, თუმცა კი მისთვის (დამარცხებულისათვის) დამარცხების სირცხვილთანაა შეზავებული. მაგრამ ეს (მაგალითი) მხოლოდ გარკვეულწილადაა მიმსგავსებული ჭეშმარიტებას. მსგავს სანახაობათა ხილვა სწორედ ამიტომაც გვეკრძალება, რომ საგანთა აჩრდილებით არ ვიყოთ ცთუნებულნი და თვით იმ საგნებს არ განვეშოროთ, რომელთა აჩრდილებსაც ისინი წარმოადგენენ. მაშასადამე, მთელი სამყაროს მწყობრი აგებულება და მისი წარმართვა არ მოსწონთ ხოლმე მხოლოდ უკეთურ და განკითხულ ადამიანებს; მაგრამ ეს ყოველივე მოსწონს, — მიუხე-

დავად მასში არსებული განსაცდელებისა და უბედურებებისა, — მრავალ ისეთ სულს, რომელთაც ან გამარჯვებისათვის მიუღწევიათ აქ, ამქვეყნად, ანდა მხნედ და უშიშრად იმზირებიან ზეცისაკენ: რამეთუ მართალსა და კეთილმსახურს (სულს) ყოველივე კეთილი და სამართლიანი სთნავს.

თავი XXIII

ყოველგვარი სუბსტანცია — სიკეთეა.

აქედან გამომდინარე, რადგანაც ყოველი გონიერი სული ან უბედურია თავის ცოდვათა გამო, ანდა ნეტარია — თავის კეთილ და მართალ საქმეთა შედეგად, ხოლო ყოველი არაგონიერი სული ან დაუთმობს უძლიერესს და უმჯობესს ემორჩილება, ანდა ცდილობს თანასწორს გაუთანაბრდეს, ან მოცილეს შეჰქმნის, ანდა ავნებს უკვე გარდაცთომილს, და ბოლოს რადგანაც სხეული იმდენად ემსახურება თავის სულს, რამდენადაც ამას მისი ღირსებანი და საგანთა წყება დაუშვებს, — ამიტომ უნდა ვაღიაროთ, რომ არც ერთის ბუნებაში არ არის ბოროტება, მაგრამ ბოროტებად შეიქნება ხოლმე თითოეული ბუნებისათვის მისი საკუთარი დანაშაული. კვალად, რადგანაც ადამიანთა სული, საღმრთო მადლით აღორძინებული და აღდგენილი თავის (თავდაპირველ) უვნებლობაში და მთლიანად დამორჩილებული იმ ერთს, ვ ი ნ ც ის შექმნა, — (რადგანაც ადამიანის სული) სხეულის აღდგინებისა და თავდაპირველ სიმტკიცეში დამკვიდრების შემდგომაც უკვე ამა ქვეყნის ხელმწიფების ქვეშ კი არ იქნება, არამედ დაიწყებს ხელმწიფებას სამყაროზე, — ამიტომ მისთვის აღარც რაიმე ბოროტება იარსებებს, იმიტომ, რომ სწორედ ის უდაბლესი სიმშვენიერე დროებითი, ერთმანეთის მონაცვლე მოვლენებისა, მასთან (სულთან) ერთად რომ ვიდოდა, — უკვე მის ქვევით ვალს, და იქნება მაშინ, როგორც საღმრთო წერილი ამბობს, „ცაჲ ახალი და ქვეყანაჲ ახალი“ (ესაია 65, 17; გამოცხ. 21, 1) იმ სულებისათვის, რომელნიც აღარც დაშვრებიან და აღარც ევნებიან, არამედ სუფევით იმეუფებენ. „ყოველივე თქვენი არს, — ამ-

ბობს მოციქული. — ხოლო თქვენ — ქრისტესნი, ხოლო ქრისტე — ღმრთისაჲ“ (1 კორინთ. 3, 23): კვალად, მოციქულივე იტყვის: „ყოვლისა მამაკაცისა თავ — ქრისტე არს, ხოლო თავ დედაკაცისა — ქმარი, და თავ ქრისტესი — ღმერთი“ (1 კორინთ. 11, 3).

ამრიგად, რადგანაც სულის წახდენა მის ბუნებაში კი არ მდგომარეობს, არამედ საწინააღმდეგოა მისი ბუნებისა და სხვა არაფერია, თუ არა ცოდვა და სასჯელი შეცოდებისათვის, ამიტომ გასაგები ხდება, რომ არც ერთი ბუნება, ანდა, უკეთ რომ ვთქვათ, არც ერთი სუბსტანცია, ანუ არსი, თავისთავად; არ არის ბოროტება. და თუკი ქვეყნიერება ყოველგვარი უსახურებით მახინჯდება, — ეს სულის არსის ცოდვათა გამო როდი ხდება, და არც ამ ცოდვათა გამო დასჯისათვის, იმიტომ, რომ გონიერი არსი, რომელსაც ვერავითარი ცოდვა ვერ ეხება და ვერ შერყვნის, მხოლოდ ღმერთს ემორჩილება და სხვა დანარჩენთა ზედა მეუფებს, მას რომ ექვემდებარებიან; ხოლო ის (გონიერი არსი), რომელმაც შესცოდა და დაეცა, იქ ყოფნისთვისაა განჩინებული, სადაც ჯერ-არს ყოფნა ესევითარისათვის, — ასე, რომ ღმერთის მიერ, ყოველთა შემოქმედისა და წარმმართველის მიერ, ყოველივე მშვენივრად და სამართლიანადაა განგებული. და ეს სიმშვენიერე მთელი ქმნილებისა ხელშეუხებელი და დაურღვეველი რჩება სამი შემდეგი რამის წყალობით: ცოდვილთა განკითხვა-დასჯის, მართალ მორწმუნეთა აღზრდა-წურთნისა და ნეტართა სრულყოფის მიზეზით.

თავი XXIV

საღმრთო განგებულება ადამიანის ხსნისათვის ორგვარი გზით წარიმართება: ავტორიტეტის საშუალებით და გონიერების საშუალებით. პირველ საშუალებაზე — ავტორიტეტზე საუბარია XIX თავამდე.

ამ მიზეზისა გამო თვით კურნებაც (ადამიანის) სულისა, რასაც ღვთაებრივი განგებულება და ღმერთის გამოუთქმელი მოწყალება აღასრულებს, თავისი თანდათანობისა და დანაწევ-

რების მიხედვით — ფრიად მშვენიერია. ეს კურნება განიყოფა ავტორიტეტისმიერ და გონებისმიერ კურნებებად. ავტორიტეტისმიერი კურნება ადამიანს გონიერებისათვის განამზადებს და მისგან რწმენას მოითხოვს. გონებისმიერ კურნებას კი, თავის მხრივ, გულისხმის-ყოფად და მეცნიერ-ყოფად (ანუ ცოდნისაკენ) მიჰყავს იგი. თუმცა გონიერებაც მთლიანად არ სტოვებს ხოლმე ავტორიტეტს, როცა საქმე იმას ეხება, თუ რა უნდა გვწამდეს: თავისთავად გასაგებია, რომ შეცნობილი და გაცხადებული ჭეშმარიტება — უზენაეს ავტორიტეტად გვევლინება. მაგრამ რადგანაც ჩვენ დროებითის სფეროში მოვიევლინებით და მისადმი სიყვარულის გამო მარადიულს განვეშორებით, ამიტომ პირველი ადგილი ეკუთვნის რაღაც დროებითს კურნებასაც, რომელიც ხსნად მოუწოდებს არა მეცნიერ ადამიანებს, არამედ მორწმუნეთ, — პირველი ადგილი არა თავისი ბუნებისა და სხვაზე აღმატების მიხედვით, არამედ — დროის მიხედვით. რამეთუ ვინც სად დაეცემა, იქვე უნდა ეძიოს დასაყრდენიც წამოსადგომად. აქედან გამომდინარე, თვით ხორციელი ფორმებიც უნდა გამოვიყენოთ, რომლებითაც შემოსილი ვართ, იმისთვის, რომ შევიმეცნოთ ისინი, რადგან მათს შესახებ ხორცი არაფერს არ გვეუბნება. ხორციელს კი მე იმ ფორმებს ვუწოდებ, რომელთაც ხორცისავე მეშვეობით აღვიქვამთ, ანუ თვალთა, ყურთა და სხვა სხეულებრივ გრძნობათა მეშვეობით. ამიტომაც, ყრმანი უსათუოდ მიკრულნი და დამოკიდებულნი არიან ხორციელ და სხეულებრივ ფორმებზე, ჭაბუკნი — თითქმის უსათუოდ, ხოლო ამ ასაკთაგან გამოსულ მოზრდილ ადამიანს ამგვარი ფორმები უკვე აღარ ესაჭიროება.

თავი XXV

რომელ ადამიანთა თუ წიგნთა ავტორიტეტის უნდა გვწამდეს ღმერთის თაყვანისცემის საკითხში.

ამრიგად, რადგანაც საღმრთო განგებულება მხოლოდ ცალკეულ ადამიანთა ცხოვრებას კი არ წარმართავს და თითქოსდა კვრძოობითი კი არ არის, არამედ მთელს კაცთა მოდგმას საზო-

გადოდ, — ამიტომ ის, თუ რაში და როგორ ვლინდება მისი მოქმედება ყოველ ცალკეულ ადამიანზე, — მხოლოდ ერთმა ღმერთმა უწყის, ყოვლის განმგებელმა, და იმანაც, ვისზეც მოქმედებს მ ი ს ი განგებულება. ხოლო თუ როგორ ვლინდება საღმრთო განგების მოქმედება მთელს კაცობრიობაზე საზოგადოდ, — ამის გადმოცემა ღმერთმა ისტორიისა (საღმრთო წერილისა) და წინასწარმეტყველთა მეშვეობით ინება. ამასთანავე, დროისმიერ მოვლენათა მოწმობას, — წარსული მოვლენები იქნება ეს, თუ მომავალი, — უფრო დიდი მნიშვნელობა რწმენისათვის აქვს, ვიდრე გონებისათვის; ჩვენი საქმე, ამ შემთხვევაში, ისაა, რომ განვსაჯოთ, თუ რომელ ადამიანებს და რომელ წიგნებს უნდა ვერწმუნოთ ხოლმე უფრო მეტად ღმერთის ჭეშმარიტი თაყვანისცემისათვის, რამეთუ სწორედ ასეთ თაყვანისცემაში მდგომარეობს კიდეც სსნა. უპირველეს ყოვლისა, გამოსაძიებელია საკითხი, თუ ვისი უნდა გვჯეროდეს უფრო მეტად — იმათი, ვინც მრავალი ღმერთის თაყვანისსაცემად გვეპატიჟება, თუ იმათი, ვინც ერთი ღმერთის თაყვანისცემას მოგვიწოდებს? — მაგრამ განა შესაძლოა ვიხმე დაეჭვდეს, რომ ჯერ-არს უფრო მალე იმათ მივსდიოთ, ვინც ერთი ჭეშმარიტი ღმერთის თაყვანის-ცემად მოგვიხმობს, განსაკუთრებით კი ამჟამად, როცა მანამდე მრავალი ღმერთის თაყვანისმცემელნიც ჩვენს, ქრისტიანთა, მსგავსად იწყებენ აღიარებას ერთი უფლისა — ყოველთა განმგებელისა?! აკი, საერთოდაც, რიცხვიც ე რ თ ი თ იწყება!

მაშასადამე, პირველ ყოვლისა, იმათ უნდა შევუდგეთ, რომელნიც აღიარებენ, რომ არსებობს ერთი, უზენაესი, ერთადერთი ჭეშმარიტი და თაყვანისცემის ღირსი ღმერთი; ესევითართაგან მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა უკუვდგეთ, თუკი მათში ჭეშმარიტება არ გაცხადდება. რამეთუ როგორადაც თვით (ქმნილ) საგანთა ბუნებაში უფრო დიდად მიიჩნევა ავტორიტეტი იმ ერთისა, რომელიც ყოველივეს ერთიანობისაკენ წარმართავს, და როგორც კაცთა მოდგმაშიც ხალხის სიმრავლეს არავითარი ძალა არა აქვს, თუკი მას ერთი ვინმე — ყოველთა გამაერთიანებელი წინამძღოლი არა ჰყავს, ვინც ერთის გრძნობით განაცხოველებს ადამიანებს, — ამგვარადვეა აუცილებელი სარწმუნოებაშიც ავტორიტეტი იმ ადამიანებისა

თუ წიგნებისა, რომლებიც ერთი ჭეშმარიტი ღმერთის თაყვანის-საცემად და შესაცნობად მოგვიწოდებენ, — და ესევითართ ჩვენ უნდა მივიჩნევდეთ უფრო მაღალი ღირსების ავტორიტეტად და სრული ნდობის ღირსად.

შემდეგ, მეორე გამოსაძიებელი ის სხვადასხვაობა უნდა იყოს, რაც ადამიანთა შორის ერთი ღმერთის თაყვანისცემაში აღმოცენებულა. — ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი წინაპრები რწმენის იმ საფეხურზე, რომლიდანაც ყოველივე დროებითისაგან საუკუნოისაკენ აღმაღლდებიან, ხილულ სასწაულებს საჭიროებდნენ (სხვაგვარად მოქმედება მათ არც შეეძლოთ). მათი წყალობით მოხდა ის, რომ ჩვენთვის, მათი ჩამომავლებისათვის, უკვე აღარ არის საჭიროება ასეთი სასწაულებისა. რამეთუ როცა ქრისტეს საზოგადო ეკლესია განივრცო და მთელს ქვეყნიერებაზე დაეფუძნა, მაშინ, ჩვენს დროში, უკვე შეიძლებოდა სასწაულთმოქმედებათა შეწყვეტა, რათა სულს ჩვენსას მარად ხილულისადმი არ ჰქონოდა მისწრაფება, და რომ ადამიანთა მოდგმაც, ჩვეულების ზემოქმედებით, გულგრილი არ შექნილიყო იმისადმი, რაც უწინ თავისი სიახლით აღუნთებდა გულს; მეორეს მხრივ, ჩვენთვის უკვე ცხადზე უცხადესია, რომ უნდა გვჯეროდეს იმ ადამიანებისა, რომლებიც თუმც კი მრავალთათვის მიუწვდომელ საგანთა შესახებ ქადაგებდნენ, მაგრამ ისიც შეეძლოთ, რომ დაერწმუნებინათ ერები, მათ გაჰყოლოდნენ. ამჟამად კი ჩვენ სწორედ იმათზე ვსაუბრობთ, რომელთა სიტყვისაც უნდა ვირწმუნოთ მანამ, სანამ იმის შეძლე შევიქნებოდეთ, რომ ჩვენ თვითონვე მივსწვდეთ ღვთაებრივ და არახილულ საგანთა არსს, ანუ სანამ გულისხმისმყოფელნი შევიქნებით დაფარულისა; რამეთუ ყველაზე მეტად განწმედილი სულის გულისხმის-ყოფას, რომელიც განცხადებულ ჭეშმარიტებას მისწვდომია და დაფარულთ მეცნიერი შექნილა, უკვე აღარავითარი ავტორიტეტი არ ესაჭიროება და არც წინამძღვრობს, — ამგვარ გულისხმისყოფამდე ვერავითარი ამპარტავნება ვერ მიგვიყვანს. და ამპარტავნება რომ არ არსებულიყო ადამიანებში, მაშინ არც მწვალებელნი არ იარსებებდნენ, არც განხეთქილების შემომღებნი, არც ხორციელად წინადაცვეთილნი, არც ქმნილებისა და კერპების თაყვანისმცემლები. მეორეს მხრივ კი, ადამიანთათვის აღთქმული

სრულყოფილების მომადლებამდე ასეთი (ამპარტავნებით შეპყრობილი) ადამიანები რომ არ არსებულიყვნენ, მაშინ ჭეშმარიტება ადამიანთაგან გაცილებით მეტის სიზანტით შეიმეცნებოდა.

თავი XXVI

საღმრთო განგებულება ჩვენი ხსნისათვის ძველი და ახალი კაცის ექვს ასაკთან დაკავშირებით.

ამასთანავე, ღვთაებრივი განგებულების დროებითი მოქმედება და საკურნებელი ძალი იმ ადამიანთა მიმართ, რომელნიც შეცოდების შედეგად სიკვდილს ეწივნენ, შემდეგნაირად და შემდეგის რიგით გამოისახება. თავიდან ყურადღება მივაპყროთ ბუნებასა და აღზრდას ერთი რომელიმე შობილი ადამიანისა. პირველი მისი ასაკი — ყრმობა — სხეულებრივ საზრდოობაში მიედინება და სრულიად დავიწყებულია მოზრდილის მიერ. ამ ასაკს მოსდევს სიყმაწვილე, რომლიდანაც ჩვენ უკვე ვიწყებთ რაღაცის დამახსოვრებას. სიყმაწვილეს მოსდევს სიჭაბუკე, რომლისთვისაც ბუნებას შთამომავლობის გაგრძელების უნარი მოუნიჭებია და ადამიანს მამად შექმნის. შემდეგ დგება ვაჟკაცობის ხანა, რომელშიც ადამიანს უკვე საზოგადოებრივ საქმეთა აღსრულებაც შეუძლია, მაღალ თანამდებობათა დაკავებაც და კანონთა წინაშე მორჩილებაც; ამ ასაკში უმკაცრესი აღკვეთა დანაშაულობებისა და სასტიკი სასჯელი, ხელ-ფეხს რომ უკრავს დამნაშავეებს, ხორციელ სულებში წარმოშობს ყველაზე მშფოთვარე გამოვლინებებსაც ვნებათა და სიმძაფრესაც დანაშაულისა, გაორმაგებულ სასჯელს რომ იმსახურებს. რამეთუ დანაშაულის ჩადენა ამ დროს მხოლოდ შეცოდებას კი არ ნიშნავს, მხოლოდ ბოროტმოქმედება კი არ არის, არამედ იმის ქმნაცაა, რაც აკრძალულია. და ბოლოს, ვაჟკაცობის ასაკის ღვაწლთა შემდგომ დგება დრო გარკვეული მოსვენებისა — სიბერისა. აქედან მოყოლებული— ვიდრე თვით სიკვდილამდე ადამიანისა გრძელდება ყველაზე მიხრწნილი და სუსტი, ყველაზე მეტად უძლური და სნეულებებს დაქვემდებარებული ასაკი.

აი, ამგვარია ცხოვრება იმ ადამიანისა, რომელიც ხორციელად ცხოვრობს და შებორკილებულია წარმავალ საგანთა განუწყვეტელი მოსურვებით. ასეთი ადამიანი ძველ კაცად იწოდება, გარეგან და მიწიერ კაცად, სულ ერთია — როგორიც არ უნდა იყოს მისი ხვედრი ამქვეყნად: თუნდაც, როგორც ხალხი იტყვის ხოლმე, ყოველს სიკეთეში ბედნიერად წარემატებოდეს და კეთილმოწყობილ, აყვავებულ სახელმწიფოში ცხოვრობდეს, მეფეთა თუ მთავართა მფარველობით სარგებლობდეს, ანდა კანონთა მფარველობით იყოს დაცული, ანდა ყველა ამ პირობის ქვეშ იყოს. რამეთუ სხვაგვარად შეუძლებელია ხალხი კეთილდღეობით ცხოვრობდეს, თუნდაც ისეთი ადამიანები, რომლებიც მხოლოდ მიწიერს მიესწრაფვიან, თუმცა, რა თქმა უნდა, ამგვარ ადამიანებსაც აქვთ, გარკვეულწილად, თავისებური სიმშვენიერე, რომელსაც ჩვენ უდაბლესი სიმშვენიერე ვუწოდეთ.

ამ ადამიანის მდგომარეობაში, ჩვენ რომ როგორც ძველი, გარეგანი და მიწიერი კაცი აღვწერეთ, — იმ მდგომარეობაში, რომელიც თავისებურად ზომიერიც შეიძლება იყოს და აღმატებულიც მონურ კეთილმსახურებაზე, ზოგიერთი ადამიანი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე რჩება, დაბადებიდან ვიდრე სიკვდილამდე. სხვანი კი, თუმცა ისინიც, აუცილებლობისა გამო, თავიანთ ცხოვრებას ამგვარივე მდგომარეობით იწყებენ, მაგრამ შემდეგში შინაგანად ხელახლა იშვებიან, სულიერად აღორძინდებიან და დარჩენილ ნაშთს უწინდელი მდგომარეობისას (ანუ ძველ კაცს თავის თავში) თანდათან ამცირებენ და სულაც მოაკვდინებენ; ისინი სულიერად განმტკიცდებიან, სიბრძნეში იზრდებიან და მხოლოდ ზეციურ კანონებს ემორჩილებიან მანამდე, ვიდრე სრულ აღორძინებას მიაღწევდნენ ხილული სიკვდილის შემდეგ. აი, ამგვარ ადამიანს კი — ახალი კაცი ეწოდება, ანუ შინაგანი, ზეციური კაცი, რომელსაც, თავის მხრივ, საკუთარი სულიერი ასაკნი აქვს, წელიწადთა შესაბამისად კი არა, არამედ განსაზღვრული შინაგანი (სულიერი) წარმატებულობის მიხედვით ჩამოყალიბებული. ეს ასაკნი სულიერი, ახალი კაცისა შემდეგია:

პირველ ასაკს სულიერი კაცი ისტორიის ველზე ატარებს, რომელიც მას სასარგებლო მაგალითებით ასაზრდოებს; მეორე

ასაკია — ყოველივე ადამიანურის დავიწყებისა და ღმერთისაკენ სწრაფვის დრო, როცა ის აღარ არის დამოკიდებული ადამიანურ ავტორიტეტზე და გონების გაძლიერებულ მოქმედებაში მხოლოდ უზენაეს და უცვალებელ სჯულს ეყრდნობა; მესამე ასაკია — კიდევ უფრო მეტად მტკიცე მდგომარეობა სულისა, როცა ადამიანი გონების ძალით მოიცავს, იმორჩილებს ხორციელ სურვილებს და შინაგანად უხარის ამ, თავისებურად მეუღლეობრივი სიტკბოების განცდისაგან, როცა სული მისი (წარსულის) მოგონებას უერთდება და სიმორცხვის საფარველით იბურება, ისე, რომ უკვე იძულებისა გამო კი არ ცხოვრობს სათნო ცხოვრებით, არამედ თავისი ნებით, და თუნდაც ყველაფერს შეუნდობდნენ მას, მაინც აღარ სურს სცოდავდეს; მეოთხე ასაკია ის დრო, როცა ადამიანი იმასვე აკეთებს, რასაც მესამე ასაკში იქმდა, მაგრამ უკვე გაცილებით მტკიცედ და თანამიმდევრულად, რის გამოც არის სრულყოფილი კაცი, შემძლე იმისა და შემზადებული იმისათვის, რომ ღირსეულად დაითმინოს ამა ქვეყნის ყოველი უბედურება, ქარიშხალი და მშფოთვარება, და სძლიოს კიდეც მათ; მეხუთე ასაკი ახალი კაცისა — მშვიდობიანი და ყოველ მხრივ მოსვენებული პერიოდია, როცა ადამიანი უზენაესი, გამოუთქმელი სიბრძნის სრულს სიმდიდრესა და უხვებაში ჰგიებს; მეექვსე ასაკია — საუკუნო ცხოვრებისათვის ყოველმხრივი შემზადებისა და თავის შეცვლის დრო, როცა ადამიანი მთლიანად ივიწყებს ამა წარმავალ სიცოცხლეს და სწორედ იმ სახეს შეიძენს სრულყოფილებისას, რომელიც ღმერთის ხატად და მსგავსად შეიქმნა; დაბოლოს, მეშვიდე ასაკია — უკვე საუკუნო სიმშვიდე და მარადიული ნეტარება, რომელშიც აღარავითარი ასაკი არ არის, რამეთუ როგორც ძველი კაცის ბოლო — (ხორციელი) სიკვდილია, ასევე ახალი კაცის გვირგვინია — საუკუნო ცხოვრება, იმიტომ, რომ პირველი — ცოდვის შვილია, მეორე კი — სიმართლისა და კეთილმსახურებისა.

თავი XXVII

მასზედ, თუ როგორ მიმდინარეობს ორივე ამ კაცის (ხორციელისა და სულიერის, ანუ ძველისა და ახლის) ცხოვრება ადამიანთა მთელს მოდგმაში.

მაგრამ ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, ორივე ეს კაცი იმგვარად არსებობს, რომ ერთ-ერთი მათგანის მდგომარეობაში, ანუ ძველი და მიწიერი კაცის მდგომარეობაში ადამიანს შეუძლია იცხოვროს მთელი თავისი ამქვეყნიური ცხოვრების განმავლობაში, ხოლო ახალი და ზეციური (ანუ სულიერი) კაცის მდგომარეობაში სხვაგვარად არავის ძალუძს ამქვეყნად ცხოვრება, თუ არა მხოლოდ ძველ კაცთანვე ერთად, რამეთუ სწორედ მისი მდგომარეობიდან იწყებს ცხოვრებას აუცილებლობისა გამო და მასთან ერთადვე განაგრძობს ხილულ სიკვდილამდე, ამასთან ერთ-ერთი უძლურდება ხოლმე, მეორე კი წარმატებულია; ზუსტად ასევე მთელი კაცთა მოდგმაც, რომლის ცხოვრებაც ადამიდან ვიდრე დასასრულამდე ამა ქვეყნისა თითქოსდა ერთი ადამიანის ცხოვრებაა, იმგვარად წარიმართება საღმრთო განგებულებით, რომ ორ სახეობადაა გაყოფილი. ერთს განეკუთვნება უკეთურ ადამიანთა სიმრავლე, რომელნიც თავის თავში მიწიერი კაცის ხატს ატარებენ ქვეყნის დასაბამიდან მის დასასრულამდე. მეორე სახეობას განეკუთვნება რიგი ღმერთისადმი ერთგული ადამიანებისა, რომლებიც, ამის მიუხედავად, ადამიდან მოყოლებული ვიდრე იოანე ნათლისმცემლამდე მიწიერი კაცის ცხოვრებით ცხოვრობდნენ, და ამასთანავე, გარკვეული მონური კეთილმსახურებით იყვნენ აღვსილნი; მათი ისტორია ძველ აღთქმად იწოდება, რომლითაც მათ, ასე ვთქვათ, მიწიერი მეუფება აღეთქვა, და მთლიანად ეს სხვა არაფერია, თუ არ სახე ახალი ერისა და ახალი აღთქმისა, რომელიც ზეციურ მეუფებას აღგვითქვამს. ამასთან, დროებითი ცხოვრება უკანასკნელი ერისა იწყება უფლის ამქვეყნად მოვლინებით და გაგრძელდება თვით განკითხვის დღემდე, როცა უფალი კვლავ მოვალს ძლევითა და დიდებითა თვისითა. ამ დღის შემდეგ აღსრულდება ის დიდი ცვალება, რომელიც ანგელოსებრ ცხოვრებას გვიქადის,

რამეთუ „ყოველთავე უკუე არა შევისვენოთ, ხოლო ყოველნივე განვახლდეთ“ (I კორინთ. 15, 51). მართალი მორწმუნეები იმისთვის აღდგებიან მკვდრეთით, რომ ძველი კაცის ნაშთი თავის თავში ახალ კაცად გარდაქმნან; ხოლო უკეთურნი, ყოველთვის ძველი კაცის ცხოვრებით რომ ცხოვრობდნენ, იმისთვის აღდგებიან, რომ მეორე სიკვდილს, ანუ საუკუნო სატანჯველს ეწიონ. ხოლო რაც შეეხება თითოეული ამ სახეობის ასაკებად დაყოფას, ამას ისინი მოიძევენ, რომელნიც კაცობრიობის ისტორიას ჩაუკვირდებიან: ასეთი ადამიანები არ შეუშინდებიან ბედისწერის წინაშე არც ღვარძლსა და არც ჩალას. რამეთუ უკეთურიც ხომ კეთილმოშიშისათვის ცხოვრობს, ცოდვილი კი — მართალი მორწმუნისათვის, რათა უკეთურთან და ცოდვილთან თავის შედარების გზით კეთილმსახურ და მართალ ადამიანს შეეძლოს უფრო მეტის გულმოდგინებით იღვწოდეს სულიერი სრულყოფისათვის, სანამ დასასრულს (ამქვეყნიური ცხოვრებისა) არ მიაღწევს.

თავი XXVIII

მასზედ, თუ რა, ვის და როგორ უნდა გადაეცეს.

ამასთანავე, მიწიერი კაცის ცხოვრების განმავლობაში ვისაც არ უნდა მიეღწია თავის თავში შინაგანი კაცის განათლებისათვის, კაცთა მოდგმა ყველას შეეწეოდა ვითარებისდა კვალად, — აწვდიდა იმას, რასაც მისი ასაკი მოითხოვდა, ხოლო რისი მოცემაც ჯერ ნაადრევი იყო, იმას წინასწარმეტყველების გზით განუცხადებდა. ასეთ მამამთავრებსა და წინასწარმეტყველთ მხოლოდ ისინი ნახულობენ, რომლებიც ბავშვებივით კი არ ეცემიან, თუ ეკვეთებიან ხოლმე ყოველივე სახიერსა და ღრმად საიდუმლოს საღმრთო თუ კაცობრივ საქმეებში[1], არამედ კეთილმოშიშად და ყურადღებით გამოიძიებენ ამას. ახალი ერის დროშიც კი, როგორც მე ვჰგონებ, დიდნი და სულიერნი კაცნი, გამოზრდილნი ქრისტეს საზოგადო ეკლესიის

[1] ნეტარი ავგუსტინე აქ მანიქეველებს გულისხმობს.

მიერ, ერიდებიან უბრალოდ (მდაბიურად) საუბარს ყოველივე იმაზე, რაც, მათის ფიქრით, ნაადრევია ხალხისთვის გასამხელად: მრავალთ, ჭეშმარიტებას მოწყურებულთ, მაგრამ ჯერეთ უძლურთ ისინი უხვად და დაჟინებით მიაწვდიან რძის საზრდოს, უფრო მომძლავრებულთ კი, რომელთა შორის მცირედნი არიან ბრძენნი, მყარ საზრდოს სთავაზობენ. სიბრძნის შესახებ ისინი მხოლოდ სრულყოფილთა შორის ლაპარაკობენ, ხოლო ხორციელ და მშვინვიერ ადამიანებს, თუმცა ახალთ, მაგრამ ჯერ უმწიფართ, ბევრს რასმე უმალავენ, მაგრამ არამც და არამც არ ატყუებენ. რამეთუ თავისი განდიდებისა და ამაო პატივისათვის კი არ ზრუნავენ, არამედ იმათ სარგებლობაზე ფიქრობენ, რომლებთანაც ურთიერთობა მოუწიათ ამქვეყნად. ასეთია საღმრთო განგებულების კანონი, რომ ვერავინ ვერ მიიღებს შეწევნას მაღლით ღმერთის მადლის შეცნობისა და მიღებისათვის, თუკი თვით არ შეეწევა წმიდის გულით ამავეში თავისზე დაბლა მდგომთ. ამრიგად, ჩვენი ცოდვით დაცემის შემდგომ, რაც ცოდვილის სახელით აღასრულა თვით ბუნებამ ჩვენმა, კაცთა მოდგმა უდიდეს შემკულებად შეიქნა ამა ქვეყნისათვის, და ისე მშვენივრად წარიმართება ღვთაებრივი განგებულებით, რომ მისი კურნების ენით უთქმელი ხელოვნება თვით სისაძაგლესაც კი ჩვენი მანკიერებებისა გადააქცევს რაღაც გამოუცნობ, თავისებურ სიმშვენიერედ.

თავი XXIX

მეორე საშუალებისათვის ხსნისა, ანუ გონებისათვის, — თუ როგორ აღიყვანება მისი წინამძღვრობით წარმართული ადამიანი ღმერთამდე; გონების აღმატებულებისათვის (სხეულებრივ) გრძნობებზე.

ავტორიტეტის კეთილმოქმედებაზე უკვე იმდენი ვილაპარაკეთ, რამდენიც საკმარისად გვესახება ამჟამად. ახლა კი ვნახოთ, თუ რა შორს შეუძლია გონებას წავიდეს ხილულისაგან არახილულისაკენ მიმავალ გზაზე, ანუ დროებითისაგან (წარმავალისაგან) მარადიულისაკენ მიმავალ გზაზე. მართლაც-

და, ამაოდ და ტყუილუბრალოდ ხომ არ უნდა ვეკერეტდეთ ჩვენ სიმშვენიერეს ამა ზეცისა, წესრიგს ვარსკვლავთა, ბრწყინვალებას ნათელისა, მონაცვლეობას დღისა და ღამისა, შთვარის ყოველთვიურ მსვლელობას, წელიწადის დაყოფას ოთხ დროდ, რაც სამყაროს ოთხ ელემენტს შეესაბამება; ესოდენ დიდ ძალას თესლთა, რომელნიც სახეობებსა და გვართ აღმოაცენებენ, და ბოლოს ამაოდ ხომ არ უნდა ვეკერეტდეთ ყოველივესაც, რაც თავის გვარში საკუთარ სახესა და ბუნებას რომ ინარჩუნებს! ყოველივე ამის განხილვა-გამოძიებაში ჩვენ უქმი და საწუთო ცნობისწადილი კი არ უნდა გვამოძრაავებდეს, არამედ ამით თანდათანობით უნდა მივემართებოდეთ უკვდავისა და მარადის არსმყოფის შეცნობისაკენ. რამეთუ უახლოესი ამოცანა ჩვენთვის იმ საკითხის გადაწყვეტაა, თუ რას წარმოადგენს ეს ბუნება სიცოცხლისა, ყოველივე ამას რომ შეიგრძნობს, და რაკი სხეულის განმაცოცხლებელი და მამოძრაველია, ამიტომ უსათუოდ მასზე აღმატებული რამ უნდა იყოს. რადგანაც როგორი დიდიც არ უნდა იყოს რაიმე სხეული, და როგორი ნათელითაც არ უნდა ასხივებდეს ამა ხილულ ქვეყანას, მაინც ის დიდი შეფასებისა და თაყვანების საგანი არ უნდა შეიქნეს, რადგან მასში არ არის სიცოცხლე და გონიერება, — ყოველი ცოცხალი არსი, ბუნების კანონთა შესაბამისად, ყოველგვარ არაცოცხალ არსზე აღმატებულად უნდა მივიჩნიოთ ხოლმე.

მაგრამ რადგანაც არავინ არ დაეჭვდება იმაში, რომ არაგონიერი პირუტყვებიც ცხოვრობენ და გრძნობებით აღიქვამენ გარესამყაროს, ამიტომ ადამიანის სულში ჩვენთვის უფრო მეტი ღირებულება იმას კი არ უნდა მიეცეს, რისი საშუალებითაც იგი შეიგრძნობს, არამედ იმას, რისი საშუალებითაც იგი სჯის ყოველივე გრძნობისმიერის შესახებ. მართლაცდა, ძალზე ბევრ ცხოველს უფრო მახვილი მხედველობა აქვს, და თავისი სხეულის სხვა ორგანოებსაც უფრო ქმედითად მოიხმარს, ვიდრე ადამიანი, მაგრამ უნარი სხეულებსა და სხეულებრივ გრძნობებზე სჯისა — არის თვისება მხოლოდ გონიერი სულისა, გრძნობებით შემოსილისა, და ეს გონიერება არა აქვთ მგრძნობიარე პირუტყვებს, რითაც ჩვენ აღვემატებით კიდეც მათ. ამის დანახვა უკვე იქიდანაც შეიძლება საკმაოდ ადვილად,

რომ ცხადია: ვინც სჯის, გაცილებით აღმატებულია იმაზე, რასაც განსჯის. ამასთანავე, გონიერი სიცოცხლე მხოლოდ იმაზე კი არ მსჯელობს, რაც გრძნობებს არის დაქვემდებარებული, არამედ თვით ამ გრძნობებსაც სჯის; მაგალითად, შეუძლია განსაჯოს, თუ რატომ გვეჩვენება ხოლმე ნიჩაბი წყალში ტეხილად, მაშინ, როცა სინამდვილეში იგი მრთელი და სწორია, ანდა ის, თუ რატომ ხედავს მას თვალი ამგვარად — ტეხილად წყალში; ამ მოვლენის აღნუსხვა თუ დადასტურება თვალს (მხედველობის გრძნობას) ნამდვილად შეუძლია, მაგრამ მასზე მსჯელობა კი — არ შეუძლია. აქედან ცხადია, რომ რამდენადაც გრძნობით დაჯილდოებული სიცოცხლე აღმატებულია უსიცოცხლო სხეულზე, ამდენადვე გონიერი სიცოცხლე ორივეს ამათ აღემატება.

თავი XXX

Ეასზედ, რომ უცვალებელი სჯული, ანუ ჭეშმარიტება, რომლის შესაბამისადაც წარმოითქმება ყოველი სჯა, აღმატებულია გონიერებაზე.

ამრიგად, თუკი გონიერი სიცოცხლე თავისი თავით განსჯის, მაშასადამე მასზე აღმატებული უკვე არავითარი ბუნება არ არის. მაგრამ რადგანაც ცხადია, რომ იგი ცვალებადია — ხან გამოცდილია ხოლმე, ხან კი — გამოუცდელი, ამასთან, მით უფრო უკეთესად სჯის, როცა გამოცდილია, ხოლო გამოცდილი მით უფრო არის, რაც უფრო მეტად არის დაუფლებული რომელიმე ხელოვნებას, მეცნიერებასა თუ სიბრძნეს, — ამიტომ აუცილებელია გამოძიება თვით ხელოვნების ბუნებისა. მოცემულ შემთხვევაში მე იმ ხელოვნებას კი არ ვგულისხმობ, გამოცდილებით რომ ვლინდება, არამედ იმას, რომელიც აზროვნებაში მჟღავნდება. რამეთუ რა აქვს მშვენიერი იმ ადამიანს, ვინც იცის, რომ კირისა და ქვიშისაგან მომზადებული ნარევი უფრო მტკიცედ ადუღაბებს ქვებს, ვიდრე თიხისა, ანდა იმას, ვინც ისეთის დახელოვნებით აგებს შენობას, რომ მისი მრავალრიცხოვანი ნაწილნი ისე შეესატყვისებიან ერთ-

მანეთს, როგორც თანაბარნი-თანაბართ, ხოლო ერთეული ნაწილნი შუაგულში იკავებენ ადგილს, თუმცა კი ეს გრძნობა სიმეტრიისა უკვე გონიერებასთან და ჰეშმარიტებასთანაა ახლოს? მაგრამ თავისთავად გასაგებია, რომ ჩვენ უნდა გავარკვიოთ, თუ რატომ აღშფოთდება ჩვენი გრძნობა ორი სხვადასხვა ზომის ფანჯრის დანახვაზე, ერთმანეთის გვერდით რომ მდებარეობდნენ, და არა — ზევით თუ ქვევით? რატომ გვგონია, რომ უმჯობესი იქნებოდა, თუკი ეს ფანჯრები თანაბარი ზომისა იქნებოდნენ? და რატომ აღარ აღგაშფოთებდა მათი ზომის სხვადასხვაობა, დაე, თუნდაც ეს სხვაობა ორგზისი იყოს, თუკი ფანჯრები სხვადასხვა სიმაღლეზე იქნებოდნენ განლაგებულნი — ერთი მაღლა, მეორე კი — დაბლა? ანდა რატომ არის, რომ ორი ფანჯრის დანახვისას ჩვენ ნაკლებად გვაინტერესებს ის საკითხი, თუ რამდენად დიდია ამ შემთხვევაში (ანუ სხვადასხვა სიმაღლეზე მდებარე ფანჯრების შემთხვევაში) ერთი, და რამდენად მცირე — მეორე? და ეს მაშინ, როცა სამი ფანჯრის შემთხვევაში, ალბათ რაღაც გარეგანი გრძნობა მოითხოვს ან იმას, რომ სამივე ფანჯარა თანაბარი იყოს, ანდა იმას, რომ უდიდესსა და უმცირესს შორის ისეთი ფანჯარა იყოს, რომელიც იმდენადვე დიდი იქნებოდა მცირეზე, რამდენადაც მცირე — დიდზე. მაშასადამე, თითქოსდა თვით ბუნება ზრუნავს იმაზე, რომ ჩვენ ვიცოდეთ რისი მოწონება ჯერარს და რისი — არა. ამასთანავე, სხვათა შორის, უნდა აღვნიშნოთ შემდეგი: ისეც ხდება ხოლმე, რომ გარკვეული საგანი პირველი ნახვისას მოგვწონს, შემდეგ კი, როცა მას უკეთესს საგნებს შევუდარებთ — აღარ. ამრიგად, ხელოვნება, ჩვეულებრივი გაგებით, სხვა არაფერია, თუ არა გამეორება გამოცდილებიდან აღებული და ჩვენს მიერ მოწონებული საგნებისა, მასალისა თუ მოქმედების ამა თუ იმ სახით გამოყენებასთან ერთად; და შენ თვითონ რომც არ შეგეძლოს ამის ქმნა, — იმის განსჯა მაინც შეგეძლება, თუ რა არის ყველაზე მშვენიერი ამ სახის ნაწარმოებებში; მშვენიერი ნაწარმოების შექმნა ბევრს არ შეუძლია, მაგრამ სწორი სჯა მასზე მათთვისაც მისაწვდომია.

მაგრამ რადგანაც ყოველგვარ ხელოვნებაში სასიამოვნო შთაბეჭდილებას ჩვენზე ახდენს ჰარმონია, რომლის წყალობითაც არის კიდეც ყოველივე მთლიანი და მშვენიერი, თვით

ჰარმონია კი სითანაბრესა და ერთიანობას მოითხოვს, რასაც ან თანაბარ ნაწილთა მსგავსება შეადგენს, ანდა — არათანაბარ ნაწილთა პროპორციულობა, — ამიტომ განა შეუძლია ვინმეს სრულყოფილი სითანაბრე თუ მსგავსება ნახოს არსებულ სხეულებში, ანდა განა გაბედავს ვინმე, დაკვირვებული განხილვის შემდეგ, თქვას — ესა თუ ის სხეული ნამდვილად და სრულიად ერთიანია, მაშინ, როცა ყველაფერი იცვლება, ერთი სასეობიდან მეორეში გადადის, ერთი ადგილიდან — მეორეზე, და იმ ნაწილებისაგან შედგება, თავიანთი განსაზღვრული ადგილი რომ უკავიათ, რის მიხედვითაც ყოველივე დაყოფილია კიდეც განსხვავებულ სივრცეებში?! კვალად, ყველაზე ჭეშმარიტი სითანაბრე და მსგავსება, აგრეთვე ყველაზე ჭეშმარიტი და უპირველესი ერთიანობა სხეულებრივი თვალებით ან რომელიმე სხეულებრივი გრძნობით კი არ აღიქმება, არამედ მხოლოდ მოაზროვნე გონებით შეიმეცნება. რამეთუ საიდან შეიძლებოდა ჩვენში გაჩენილიყო მოთხოვნა რაიმე სახის სითანაბრისა სხეულებში, ანდა საიდან შეგვექნებოდა შეხედულება იმისა, რომ ძალზე ბევრი რამ არსებულ საგანთაგან შორსა დგას სრულყოფილი სითანაბრისა და ერთიანობისაგან, თუკი ჩვენს გონებაში არ იარსებებდა რაღაც წარმოდგენა ამ სრულყოფილ სითანაბრესა და ერთიანობაზე (თუკი, ამასთან, ჯერ-არს არაქმნილ სითანაბრეს სრულყოფილს ვუწოდებდეთ)?!

და რადგანაც ყოველივე, გრძნობისმიერად მშვენიერი — სულ ერთია, ბუნების ქმნილება იქნება ის, თუ ხელოვნების ნაწარმოები, — სივრცეში და დროშია მშვენიერი, როგორც, მაგალითად, სხეული და მისი მოძრაობანი, ამიტომ ეს, მხოლოდ გონებით შეცნობადი სითანაბრე და ერთიანობა, რომლის მიხედვითაც ჩვენ ვმსჯელობთ კიდეც სხეულებრივი სიმშვენიერის შესახებ გარეგანი გრძნობების მეშვეობით. არც სივრცეში უნდა იყოს გაშლილი და არც დროში — ცვალებადი. რამეთუ სწორი არ იქნება, თუკი ვიტყვით, რომ, მაგალითად, მრგვალ სალტეზე ჩვენ ამ სითანაბრისა და ერთიანობის მიხედვით ვმსჯელობთ, ხოლო მრგვალ ჭურჭელზე — არაო, ანდა თუკი ვიტყვით, ამ მრგვალ ჭურჭელზე ვმსჯელობთ მის შესაბამისად, მრგვალ დინარზე კი — არაო. ზუსტად ასევე სხეუ-

ლის დროისა და მოძრაობის შესახებ უცნაური იქნება თქმა იმისა, თანაბარ წელიწადთათვის ამ სითანაბრისა და ერთიანობის მიხედვით ვმსჯელობთო, თანაბარ თვეთათვის — კი არაო, ანდა თანაბარ თვეთა გამო მის შესაბამისად ვმსჯელობთ, თანაბარ დღეთა შესახებ კი — არაო. მაშასადამე, თუკი წლის, თვის, საათისა თუ უფრო ხანმოკლე დროის მონაკვეთში რაიმე მწყობრად მოძრაობს, ჩვენ მის შესახებ ვმსჯელობთ ერთი და იმავე ერთიანი და უცვალებელი სითანაბრის საფუძველზე. ხოლო თუკი ფიგურათა და მოძრაობათა უფრო დიდსა თუ უფრო მცირე სივრცეზე ჩვენ ვმსჯელობთ სითანაბრის, ანუ მსგავსების, ანუ თანხვდომის ერთი და იგივე კანონის საფუძველზე, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ თვით ეს კანონი აღმატებულია ყველაფერ ამაზე ძალის მხრივ, — სივრცისა და დროის მხრივ კი ის არც მეტია და არც ნაკლები, რადგან ამ მხრივ მეტი რომ ყოფილიყო, მაშინ მცირეზე მთელი მისი სისრულის მიხედვით არ ვიმსჯელებდით, ხოლო უფრო ნაკლები რომ ყოფილიყო, მაშინ სულაც არ ვიმსჯელებდით უფრო დიდზე მის მიხედვით. როგორადაც კვადრატურის კანონის მიხედვით, მისი მთლიანი სახით, ჩვენ ამჟამად ვმსჯელობთ კვადრატულ ფართობზეც, კვადრატულ ქვაზეც, კვადრატულ დაფებზეცა და ძვირფას ქვებზეც, ზუსტად ამგვარადვე სითანაბრის კანონის მიხედვით, მისი მთლიანი სახით, ჩვენ ვმსჯელობთ ჭიანჭველას მოძრაობაზეც და ვეება ნაბიჯით მავალ სპილოზეც; ამიტომ განა შეიძლება ვინმეს ეჭვი შეეპაროს, რომ ეს კანონი, სხვა ყველაფერზე აღმატებული თავისი ძალით, სივრცისა თუ დროის მიხედვით არც მეტია რაიმეზე და არც ნაკლები? ხოლო რადგანაც ყველა ხელოვნების მომცველი ეს კანონი სრულიად უცვალებელია, ადამიანის გონება კი, რომელსაც მოეცა უნარი ამ კანონის შემეცნებისა, სავსებით შეიძლება დაექვემდებაროს ცვალებად კანონს შეცთომილებისა, — ამიტომ, აქედან გამომდინარე, ცხადზე უცხადესია, რომ ჩვენს გონებაზე აღმატებულია ის კანონი, რომელიც ჭეშმარიტებად იწოდება.

თავი XXXI

მასზედ, რომ ღმერთია ის უზენაესი კანონი, რომლის მიხედვითაც და რომლის საფუძველზეც სჯის ჩვენი გონება, მაგრამ თვით ამ კანონზე მსჯელობა (ჩვენთვის) — დაუშვებელია.

აქედან კი ისიც უეჭველი ხდება, რომ უცვალებელი ბუნება, რომელიც ყოველგვარ გონიერ სულზე მაღლა დგას, არის ღმერთი, და რომ პირველი სიცოცხლე და პირველი არსი იქ ჰგიებს, სადაც არის პირველი სიბრძნე. აი, სწორედ ეს სიბრძნეა უცვალებელი ჭეშმარიტება, რომელიც სამართლიანად იწოდება კანონად ყველა ხელოვნებისათვის და ხელოვნებად ყოვლადძლიერი შემოქმედისა (მხატვრისა). მაშასადამე, რაკი სული (ადამიანისა) შეიცნობს, რომ სხეულებრივ სახეებსა და სხეულთა მოძრაობაზე თავისით როდი მსჯელობს, ამასთან ისიც უნდა აღიაროს, რომ მისი ბუნება აღმატებულია განსასჯელის ბუნებაზე, და ისიც, რომ, მეორეს მხრივ, მის ბუნებაზეც მაღლა დგას ის ბუნება, რომლის შესაბამისადაც ის სჯის, თვით მასზე სჯა კი არაფრით არ შეუძლია. მართლაც, მე შემიძლია იმის თქმა, თუ რატომ უნდა იყვნენ ყოველი სხეულის ნაწილები ერთმანეთის მსგავსი ორივე მხარეს, რადგან დავტკბები უზენაესი სითანაბრით, რომელსაც სხეულებრივი თვალებით კი არ ვეკარები, არამედ — გონებით. მაგრამ რატომ არიან ეს ნაწილები სწორედ ამგვარნი, და არა სხვანაირნი, — ამის თქმა არავის შეუძლია, და არც არავინ ჭკუათმყოფელი არ იტყვის ამას, რადგან ისინი სწორედ ამგვარნი უნდა იყვნენ და სხვაგვარად ყოფნა არ შეუძლიათ. აქედან გამოვდინარე, ყველაფერი, რასაც მე თვალებით ვხედავ, მით უფრო კარგია, როგორც მე ვჰგონებ, რაც უფრო ახლოს დგას თავისი ბუნებით იმასთან, რასაც მე გონებით წარმოვიდგენ.

იმასაც კი ვერავინ იტყვის, თუკი ის სწორად მსჯელობს, თუ რატომ მოგვწონს ჩვენ ყოველივე ამგვარი, და რატომ არის, რომ რაც უფრო ახლოდან ვაკვირდებით ასეთს რასმე, მით უფრო მეტად გვიყვარდება: რამეთუ როგორადაც ჩვენ, ყოველნი გონიერნი არსებანი, ჭეშმარიტების შესაბამისად

ვმსჯელობთ უდაბლეს საგნებზე, ზუსტად ამგვარადვე ჩვენც განგვსჯის ერთი უზენაესი ჭეშმარიტება, როცა მას შევუერთდებით, თვით ჭ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ა ს კ ი მ ა მ ა ც არ განსჯის, რადგან ის მამაზე ნაკლები როდია, და ამასთანავე, ყოველივეს, რასაც კი მამა განსჯის, იგი ჭეშმარიტების მიერ განსჯის. რამეთუ ყოველივე, რაც კი ერთიანობას ესწრაფვის, სწორედ მასში, ამ უზენაეს ჭაშმარიტებაში პოულოს თავის საზომს, ფორმას, ან თავის ნიმუშს, და თუნდ სხვა რამ სახელიც უწოდონ ამას, — რადგანაც მხოლოდ ი გ ი (ეს უზენაესი ჭეშმარიტება) წარმოადგენს თავით თვისით სრულს მსგავსებას ი მ ი ს ა, ვ ი ს გ ა ნ ა ც მიუღია არსებობა, თუკი ამ სიტყვას — „მიღებას“ — იმ მნიშვნელობით გავიგებთ, რომლის მიხედვითაც ი გ ი იწოდება კიდეც ძ ე დ, რამეთუ თავისი თავის მიერ კი არ არსებობს, არამედ უზენაესი პირველდასაბამისაგან აქვს მიღებული არსებობა, ი მ ი ს გ ა ნ, ვ ი ნ ც მ ა მ ა დ იწოდება და „რომლისაგან ყოველნი ნათესავნი ცათა შინა და ქვეყანასა ზედა სახელ-დებულ არიან“ (ეფეს. 3, 15). აქედან გამომდინარე, „არცაღა მამაჲ სჯის არავის, არამედ ყოველი სასჯელი მოსცა ძესა“ (იოანე 5, 22). ამიტომაც, „სულიერი განიკითხავს ყოველსავე, და იგი არავისგან განიკითხვის“ (I კორინთ. 2, 15), ანუ ის (სულიერი ადამიანი) არც ერთი ადამიანისაგან არ განიკითხება, არამედ მხოლოდ იმ სჯულისაგან განიკითხება, რომლის მიხედვითაც და რომლის საფუძველზეც თვით განიკითხავს ყოველივეს. რამეთუ ძალზე სამართლიანად არის ნათქვამი, რომ „ჩვენ ყოველნი განცხადებულ ვართ წინაშე საყდართა ქრისტესთა, რაჲთა მოიღოს კაცად-კაცადმან ხორცთა ამათგან, რაჲცა-იგი ქმნა — გინა თუ კეთილი, გინა თუ ბოროტი“ (II კორინთ. 5,10). მაშასადამე, იგი (სულიერი ადამიანი) ყოველივეს განსჯის იმიტომ, რომ როცა ღმრთისა თანა ჰგიებს, მაშინ ყოველივეზე აღმატებულია, ღმრთისა თანა კი ის იმ შემთხვევაში ჰგიებს, თუკი წმიდის გულით და სრულის სიყვარულით უყვარს ყოველივე ის, რის შესახებაც ფიქრობს. ასე, რომ, რამდენადაც ეს შესაძლებელია, იგი თვით შეიქნება ხოლმე იმ კანონად (სჯულად), რომლის შესაბამისადაც განსჯის ყოველივეს, თვით ამ კანონზე სჯა კი არაფრით არ ძალუძს. იგივე შეგვიძლია დავინახოთ აწინდელი (ამქვეყნიური),

დროებითი კანონების განსჯაშიც: ადამიანები თუმცა კი მსჯელობენ ხოლმე მათს შესახებ, როცა დაადგენენ მათ, მაგრამ მას შემდეგ, რაც კანონები დადგენილია და მოქმედებს, მსაჯულს ნებადართული აქვს არა თვით მათზე მსჯელობა, არამედ — მათს შესაბამისად განსჯა. მაგრამ დროებით კანონთა შედგენისას კანონმდებელი, თუკი ის კეთილი და ბრძენი ადამიანია, ცდილობს მიბაძოს იმ საუკუნო კანონებს, რომელთა განსჯა არ ძალუძს არც ერთ სულს, იმისთვის, რომ მათს უცვალებელ დადგინებებთან შეთანხმებულად განსაზღვროს, თუ რა იყოს ნებადართული და რა — აკრძალული, შესაბამისად დროის მოთხოვნისა.

ამრიგად, წმიდა, უზაკველ სულებს ნებადართული აქვთ მარადიული სჯულის შეცნობა, ხოლო განსჯა მისი — არა აქვთ ნებადართული. განსხვავება ამ შემთხვევაში იმაში მდგომარეობს, რომ შეცნობისას ჩვენ ვჯერდებით იმის აღიარებას, რომ გარკვეული საგანი არსებობს ამა თუ იმ სახით, განსჯისას კი, ამას იმასაც ვუმატებთ, რითაც გამოვთქვამთ აზრს, რომ ამ საგანს სხვაგვარადაც შეუძლია არსებობა, თითქოსდა ვამბობთ — „ეს ასე უნდა იყოსო", ანდა „ეს ამგვარად არ უნდა იყოსო", ან „ეს უსათუოდ ამგვარად იქნებაო", ანუ ისევე მოვიქცევით, როგორადაც მხატვრები იქცევიან თავიანთი ნაწარმოებების შექმნისას.

თავი XXXII

ერთიანობის ნიშან-თვისებანი — არის სხეულებში, მაგრამ თვით ერთიანობა მხოლოდ გონებით შეიმეცნება.

მაგრამ მრავალი ადამიანისათვის ერთადერთი მიზანი ცხოვრებისა მხოლოდ სიამოვნების მიღებაა; მათ არ სურთ უფრო ამაღლდნენ თავიანთი აზროვნებით და ისიც განსაჯონ, თუ რატომ ჰბადებენ ჩვენში სასიამოვნო შთაბეჭდილებას ესა თუ ის საგნები. თუკი, ვთქვათ, ხუროთმოძღვარს, ერთი თაღი რომ აუგია უკვე, მე ვკითხავ, რატომ განგიზრახავს ასეთივე თაღის აგება მეორე, საწინაალმდეგო მხრიდანაც-მეთქი, იგი, როგორც მე ვჰგონებ, მომიგებს, რომ ამას მოითხოვს სიმეტრია შენო-

ბისა, ანუ ის კანონი, რომლის მიხედვითაც შენობის თანაბარი ნაწილები უნდა შეესატყვისებოდნენ ერთმანეთს; კვალად, თუკი მე ვკითხავ მას, რატომ ამჯობინებ სწორედ ამგვარ (სიმეტრიულ) და არა სხვა სახის დაგეგმვას შენობისას-მეთქი, ხუროთმოძღვარი, ალბათ ასე მომიგებს: ასეა საჭირო, ასე ჯერ-არსო, ამგვარადაა მშვენიერი და სწორედ ასეთი დაგეგმვა შენობისა მოჰგვრისო მნახველთა მზერას სასიამოვნო შთაბეჭდილებას. სხვას იგი ვერაფერს ვერ მეტყვის. რამეთუ ადამიანი წელში მოხრილია და თვალებდახრილი, მხოლოდ ქვევით იყურება და არ ესმის, თუ რაზეა ყოველივე ეს დამოკიდებული. მაგრამ იმ ადამიანს, შინაგანი მზერის უნარი რომ შეუძენია და შინაგანი თვალით რომ ჭვრეტს ყოველივეს, მე დაუღალავად მოვაბეზრებ თავს იმ შეკითხვით, თუ მაინც რატომ აღმოაცენებენ ჩვენში სასიამოვნო შთაბეჭდილებას მსგავსი საგნები, და იმ მიზნით მოვაბეზრებ თავს ასეთი შეკითხვით, რომ მან ისწავლოს განსჯა თვით სიამოვნებისა. რამეთუ სწორედ და მხოლოდ ამ შემთხვევაში, ანუ როცა ისწავლის სიამოვნების განსჯას, იგი აღმაღლდება ყოველგვარ სიამოვნებაზე და აღარ იქნება მისი მონა, რადგან უკვე თვით მას განსჯის, და არა — მის შესაბამისად. და პირველ ყოვლისა მე ვკითხავ ასეთ ადამიანს — იმის გამო არიან ასეთი საგნები მშვენიერნი, რომ სასიამოვნო შთაბეჭდილებას ჰბადებენ-მეთქი ჩვენში, თუ სწორედ იმის გამო ჰბადებენ-მეთქი სასიამოვნო შთაბეჭდილებას, რომ მშვენიერნი არიან? ამ შეკითხვაზე, იგი უეჭველად ასე მომიგებს, რომ ისინი იმიტომ ჰბადებენ ჩვენში სასიამოვნო შთაბეჭდილებას, რადგან მშვენიერნი არიან. აქედან გამომდინარე, მე კვლავაც ვკითხავ,რატომღა არიან-მეთქი ისინი მშვენიერნი? — და თუ ის ყოყმანს დაიწყებს, დავსძენ, — იმიტომ ხომ არა, რომ მათი შემადგენელი ნაწილები თანაბარნი არიან ერთმანეთისა და განსაზღვრული შესაბამისობის (პროპორციის) წყალობით მწყობრი ერთიანობა აქვთ-მეთქი შეძენილი?

როცა ის აღიარებს, რომ ეს ნამდვილად ასეა, მე კიდევ ვკითხავ მას: სრულად გამოხატავენ, თუ არა ისინი სწორედ იმ ერთიანობას, რომელსაც მიესწრაფვიან, თუ პირიქით, განეშორებიან მას და გარკვეულწილად ცრუდაც წარმოგვიდგენენ? თუ ეს ასეა (იმიტომ რომ, ვინ არ იცის, რომ არ არსე-

ბობს არც ერთი ფორმა, არც ერთი სხეული, რომელშიც არ იქნებოდა ერთიანობის თუნდაც რაღაცა კვალი, და რომ, მეორეს მხრივ, რა მშვენიერიც არ უნდა იყოს სხეული, მას არ შეუძლია სრულყოფილად გამოხატავდეს იმ ერთიანობას, რომელსაც მიესწრაფვის, რადგანაც სიერცის სხვა ნაწილში იგი უსათუოდ ამგვარივე არ იქნება და, შესაძლოა, სულაც სხვაგვარი შეიქნეს), — ჰოდა, თუკი ეს ასე, მე მოვითხოვ, რომ მიპასუხოს: სად, ანდა რაში ხედავს იგი ამ ერთიანობას? ხოლო თუკი ის ვერ ხედავს ამ ერთიანობას, მაშინ საიდან იცის, ერთის მხრივ, ის, რისი გამოხატულებაც სხეულთა გარეგანი ფორმა უნდა იყოს, მეორეს მხრივ კი ის, რისი სრულყოფილად გამოხატვა სხეულთა გარეგან ფორმას არ ძალუძს? მართლაცდა, თუკი ის ეტყოდა სხეულებს: თქვენ არარა იქნებოდით, მოცული რომ არ იყოთ გარკვეული ერთიანობით; ამასთან, თვით ეს ერთიანობა რომ იყოთ, მაშინ არც იქნებოდით სხეულებიო, — ამ შემთხვევაში, თუკი ის ასე ეტყოდა სხეულებს, სრულიად მართებულად შეგვეძლო გვეკითხა: შენ კი საიდან იცი ის ერთიანობა, რომლის მიხედვითაც მსჯელობ სხეულებზე? შენ რომ ნანახი არ გქონდეს იგი, მაშინ ვერც განსჯიდი, რომ სხეულები სრულყოფილად ვერ გამოხატავენ მას; მაგრამ თუკი, ამასთანავე, შენ სხეულებრივი თვალებით გექნებოდა ეს ერთიანობა ნანახი, მაშინ ვერ შესძლებდი სწორად განგესაჯა, რომ თუმცა სხეულები შეიცავენ თავის თავში მის კვალს, მაგრამ მაინც თვითონ შორს არიან იმ ერთიანობისაგან, რადგან სხეულებრივი თვალებით შენ მხოლოდ სხეულებრივს ხედავ; მაშასადამე, ამ ერთიანობას ჩვენ ვხედავთ მხოლოდ გონებით. მაგრამ სად ვხედავთ? ის რომ იქ იყოს, სადაც ჩვენი სხეულია, მაშინ მას ვერ დაინახავდა ის ადამიანი, სადღაც აღმოსავლეთის მხარეს ამგვარადვე რომ მსჯელობს ერთიანობაზე. მაშასადამე, ეს ერთიანობა არ არის რომელიმე ერთ ადგილას, და რაკი ყოველგან არის დამახასიათებელი იმისთვის, ვინც მსჯელობს მასზე, იგი სივრცობრივად კი არ არსებობს, არამედ მხოლოდ ძალის მიერ.

თავი XXXIII

მასზედ, რომ სხეულები და სხეულებრივი ორგანოები კი არ გვატყუებენ, არამედ (მხოლოდ საკუთარი) სჯა; მომატყუებელი და ცრუ — ერთი და იგივე არ არის.

ხოლო თუკი სხეულები არასწორად გადმოგვცემენ სახეს ერთიანობისას, მათ, როგორც მომატყუებელთ, არ უნდა ვენდოთ, რათა ამაოთა ამაოებას არ ვეწიოთ. მაგრამ რადგანაც მომატყუებელნი ისინი, ალბათ იმიტომ არიან, რომ ერთიანობას სხეულებრივ თვალთა დასანახად წარმოგვიდგენენ, მაშინ, როცა ჭეშმარიტი ერთიანობა მხოლოდ გონებით შეიმეცნება, ამიტომ ჯერ-არს გამოვიძიოთ, თუ რატომ არიან ისინი მომატყუებელნი — იმდენად, რამდენადაც მსგავსნი არიან ერთიანობისა, თუ იმდენად, რამდენადაც ვერ მიუღწევიათ ამ ერთიანობისათვის. რამეთუ რომ მიეღწიათ ამ ერთიანობისათვის, მაშინ სრულყოფილად გამოხატავდნენ იმას, რისი მხოლოდ მიბაძვა არიან; ხოლო თუკი სრულყოფილად გამოხატავდნენ მას, მაშინ სრულადვე იქნებოდნენ მისი მსგავსი, და თუკი სრულად იქნებოდნენ მისი მსგავსი, მაშინ იმ (ჭეშმარიტი ერთიანობის) ბუნებასა და ამ სხეულთა ბუნებას შორის არავითარი განსხვავება არ იქნებოდა. ხოლო ეს რომ ასე იყოს, მაშინ ეს სხეულები მომატყუებლად აღარ წარმოადგენდნენ ერთიანობას. თუმცა ისინი არ არიან მომატყუებელნი იმათთვის, ვინც დაკვირვებული თვალით ჭვრეტს მათ, იმიტომ, რომ გვატყუებს ის, ვისაც სურს იმად არ წარმოჩინდეს, რაც არის სინამდვილეში; ის კი, რაც თავისი ნების საწინააღმდეგოდ მიიჩნევა სხვა რაიმედ, და არა — იმად, რაც არის სინამდვილეში, — ასეთი რამ მომატყუებელი კი არ არის, არამედ — ცრუა. რამეთუ მომატყუებელი იმით განსხვავდება ცრუსაგან, რომ ყველაფერ მომატყუებელს ახასიათებს განზრახვა შეცდომაში შეყვანისა, მაშინაც კი, როცა მას არ უჯერებენ; თავისთავად ცრუს კი არ ძალუძს მოტყუება. აქედან გამომდინარე, რადგანაც სხეულებრივ სახეს არა აქვს არავითარი ნება, ამიტომ იგი არც გვატყუებს, და ჩვენვე რომ არ მივიღებდეთ მას იმად, რაც იგი სინამდვილეში არ არის, ცრუც კი არ იქნებოდა.

მაგრამ ტრუნი თვით ჩვენი (სხეულებრივი) თვალებიც კი არ არიან, რადგან მათ არ ძალუძთ სხვას რასმე წარმოუდგენდნენ ჩვენს სულს, გარდა თავიანთი შეგრძნებისა. ხოლო თუკი არამხოლოდ თვალები, არამედ ყოველი ჩვენი სხეულებრივი გრძნობა იმას წარმოგვიდგენს, რასაც შეიგრძნობს, მაშინ მე უკვე აღარ ვიცი, სხვას, უფრო მეტს, რას უნდა მოვითხოვდეთ მათგან. ამრიგად, განიშორე ამაოების მოქმედნი, და არავითარი ამაოება აღარ იქნება. თუკი ვინმეს ჰგონია, რომ წყალში ჩადებული ნიჩაბი გადატეხილია, ხოლო როცა მას აღმოვიღებთ წყლიდან, ისევ გამრთელდება, — ამ შემთხვევაში ასეთი ადამიანის გრძნობის ორგანო კი არ არის უვარგისი, არამედ თვით იგია უვარგისი მსაჯული. რამეთუ ბუნებისავე კვალად მას არ შეეძლო და არც უნდა შეეგრძნო სხვაგვარად, რადგან თუკი ჰაერის ბუნება სხვაა, წყლისა კი — სულ სხვა, მაშინ სავსებით ბუნებრივია, რომ შეგრძნება წყალში სხვანაირი იყოს, ჰაერში კი — სულ სხვაგვარი. მაშასადამე, თვალი სწორად მოქმედებს, რადგან ის შექმნილია კიდეც იმისათვის, რომ დაინახოს, ხოლო მცდარად მოქმედებს სული, რომელსაც უზენაესი სიმშვენიერის შესაცნობად გონება მოეცა, და არა — თვალი. მას კი, მცდარ სულს, უნდა, რომ გონება სხეულებს მიაპყროს, თვალები კი — ღმერთს, რადგან სხეულებრივის გაგებას გონებით ესწრაფვის, სულიერის დანახვა კი — სხეულებრივი თვალებით მოსურვებია, რაც — შეუძლებელია.

დასასრული — მეოთხე წიგნში.

თარგმნა ვასილ ბურკაძემ

სიტყვა
უფლის მოსვლისათვის, სოფლის აღსასრულისა და ანტიქრისტეს გამოჩინებისათვის

ვითარ შეეიძლო თქმა უთქმელისა მე უმდაბლესმან და ცოდვით აღვსილმან ეფრემ, რაიც ძალს ჩემსას აღემატების? გარნა მადლითა და კეთილშობითა თვისითა მაცხოვარმა უწიგნურნიცა განაბრძნო, ხოლო მეოხებითა მათითა ყოველნი მართალნი განანათლნა. და აწ იგივ განაბრძნობს პირსა ჩემსა და ნათელჰყოფს სიტყვასა ჩემსა სამოძღვროდა და სარგებლად ჩემდა და სხვათა ყოველთა მსმენელთაცა. გარნა სულთქმითა და ტკივილით ვიტყვი სოფლის აღსასრულსა და ურცხვსა მას და უსაძაგლესსა ვეშაპზედ, რომელ ზარგანხდის ყოველს ცისქვეშეთს და ძრწოლას, სულმოკლეობას და ურწმუნოებასა შთაუთხრობს გულთა კაცთასა და ჰყოფს სასწაულებსა და ნიშებსა „ვიდრე ცდუნებადმდე, უკეთუმცა შეუძლეს რჩეულთა მათცა“ (მათე 24, 24), და აცთუნებს ყოველთა ცრუ სასწაულებითა და ნიშნებითა, გარნა ღმრთისა მიშვებით მიიღებს იგი ხელმწიფებასა ქვეყნის ცდუნებისასა, რამეთუ აღივსო ქვეყანა უწმიდურებითა და ყოვლითა საშინელებითა. ხოლო ესოდენის უწმიდურებისათვის კაცთასა დაუშვა ყოვლადწმიდა მეუფემ, რათა განსცადოს სოფელი სულმა მაცდურმა და რამეთუ ნებსით განუდგნენ კაცნი ღმერთსა და შეიყვარეს ბოროტი.

დიდ არს ღვაწლი მათ დღეთა შინა, ძმანო, უფრო კი მართალთათვის, ოდეს თვით გველი იგი დიდის ხელმწიფებითა ჰყოფს სასწაულებსა და ნიშებსა, და ოდეს საზარელს ჩვენებებში ღმერთად გამოაჩინებს თავსა, და იფრენს ჰაერში; ხოლო ეშმაკნი ყოველნი ანგელოზთაებრ ამაღლდებიან წინაშე მაჭირვებელისა. გარნა ძალუმად შეჰყივლებს მაშინ მტარვალი და იცვალებს იერსა და უზომოდ შეაძრწუნებს კაცთა ყოველთა. და ვინა იყოს მაშინ, ძმანო, გარე-მოზღუდვილ და სდგეს ურყევად, ანუ ვის აქვნდეს სულში ნიშანი წრფელი — დიდებით მოსვლისა მხოლოდშობილისა ძისა და ღმრთისა ჩვენისა,

ოდეს იხილავს ყოველთა სულზე ზედა ყოვლითურთ მოწევნილს წუხილს გარდუვალს. და რამეთუ არცაღა ხმელით, არცაღა წყლით და არცა არსით აქვნდეთ მათ ნუგეშინი და მშვიდობა; და ვინ სდგეს მას ჟამსა, ოდეს ყოველი ქვეყანა ძრწოდეს და თვითეული ილტვოდეს მთებში, და ერთნი მოსრნეს სიყმილმა, სხვათა განლევდეს წყურვილი — გარნა არ ჩანდეს მოწყალე; — და ვინა უძლებს ხილვად ცრემლდათხეულთა ყოველთა ღაწვთა, და წადილითა დიდითა მღაღადებელთა: „არისღა სადმე ქვეყნად ღვთის სიტყვა?!", ხოლო პასუხი ექნებათ: „არსით". ვინ უძლებს მათ ჟამთა და ვინ დაითმინოს წუხილი დაუთმენელი, ოდეს ხილვად მაჭირვებლისა ერნი აღიძვრიან და მრავალნი თაყვანისცემენ და ძრწოლვითა ხმობენ მტარვალსა: შენ ხარ მსსნელი ჩვენი?" მიწა გადახმება, ცით არ გაწვიმდება, მცენარეული დაჭკნება და შიშითა დიდითა აღმოსავლეთის ქვეყანის მცხოვრებნი დასავლეთს მიდრკეებიან, ხოლო დასავლეთის ერნი შიშით აღმოსავლეთით ილტვიან. მაშინ მიიღებს ურცხვი ხელმწიფებას და წარმოგზავნის საქადაგებლად ეშმათა: „მეუფე დიდი მოვიდა დიდებითა და მოვედით ხილვად მისა". ხოლო ვის აქვნდეს სული მტკიცე რომლითა უძლებს ყოველს მის საცდურს? სადა არს კაცი იმგვარი, ვითარცა ვსოქვი, რომელსა ნეტარ ჰყოფენ ყოველნი ანგელოზნი?

მე კი, ძმანო ქრისტესმოყვარენო და ჩინებულნო, ზარი მიპყრობს მის ვეშაპისა ერთი ოდენ ხსენებითაც, რომ მას ჟამს მოწევნილს მწუხარებაზედა ვზრახავ და წარმოვიდგენ იმ სისასტიკეს, რომელსაც დაატეხს გველი იგი კაცთა მოდგმასა და უფრორე ბოროტს მოაწევს წმიდათა ზედა, რომელნიც ძლევენ მოჩვენებითთა სასწაულთ მისას რამეთუ მრავალნი ღვთივსათნონი იპოვნებიან მაშინ, რომელნიცა მთათა და უდაბნოთ შეეფარვიან და ლოცვითა და ცრემლითა დიდითა შეიძლებენ ხსნას. რამეთუ წმიდა არს ღმერთი და მოჰხედავს აუწერელთა ცრემლთა მათთასა და რწმენას მათსა და შეიწყნარებს ვითარცა მამა მოსიყვარულე. და დაიფარავს მათ იქავ, სადაცა შეეფარვიან; გარნაღა მაშინ ვეშაპი იგი საძაგელი, არა დასცხრების ძებნად მათთა და მოიძიებს წმიდათა ხმელთა შინა და ზღვათა შინა, რამეთუ უკუე მიწის მეუფედ იგულვებს იგი თავსა, ხოლო მსახურად — ყოველთა კაცთა. გარა ვერ აგრ-

ძნებს იგი უძლურებასა და ავპარტავნებასა თვისას რომლითაცა დაეცა, არამედ წინააღდგომას იზრახებს იგი საშინელსა მას ჟამსა, ოდეს ზეცითგან მოვალს უფალი. გარნა ზარგანხდის ქუეყანას და შეაძრწუნებს ყოველთ ცრუ მომხიბლავი ნიშებით.

მაშინ, გამოჩინება მის ვეშაპისა მშვიდობას წარტაცებს ქვეყანას და ჩამოდგება გოდება დიდი, ზარი, ტყება და სიკვდილი. რამეთუ თვით უფალმან ჩვენმან გვაუწყა: „იყვნენ დღენი იგი ჭირისანი, რომელი არსადა იქმნა ესევითარი დასაბამითგან". (მარკ. 13, 19). დაღათუ ესრეთ იტყვის უფალი მას ჟამზე, გარნა ჩვენ ცოდვილთ ვითა ვსთქვათ უსაზღვრო და აუწერელი მწუხარება მათ დღეთა? დაე, ცალკეულმა გულისხმა-ყოს წმიდა სიტყვები უფლისა და მაცხოვარისა ჩვენისა. რამეთუ ნებავს კეთილუწყებითა თვისითა დღემოკლე-ჰყოს, რაითა გვიხსნას სოფლად მოწევნილის მწუხარებისაგან, რაითა არა იყოს სიკლტოლაჲ თქუენი ზამთარსა შინა გინა შაბათსა" (მათე 24, 20); და კუალად გვეტყვის: „იღვიძებდით უკუე ყოველსა ჟამსა და ევედრებოდეთ, რაჲთა ღირს იქმნნეთ განრინებად ამის ყოვლისაგან, რომელი ყოფად არს, და დადგომად წინაშე ძისა კაცისა (ლუკა 21, 36)";

დაღათუ ჟამი ახლოსვე არს და ჩვენ ყოველნი მივეცემით ჭირთა მათ — გარნაღა არ გვწამს. არამედ დღითა და ღამით, ცრემლთაგან ლოცვით, დაუცადებელად უნდა ვევედრნეთ და შეუვრდეთ ღმერთსა, რათა ვიხსნნეთ ჩვენ ცოდვილნი, ხოლო რომელსა ცრემლი აქვნდეს და სინანული, ევედრენით ღმერთსა რაითა გვიხსნეს სოფლად მოწევნილის მწუხარებისაგან, რაითა არცა ვიხილოთ და არცა ვისმინოთ ხმა მის მხეცისა; რამეთუ იქნებიან ქვეყნად სიკვდილნი, „სრვანი და ძრვანი ადგილად — ადგილად" (მათე 24, 7). მხნე უნდა იქნეს სული იგი, რომელი უძლებს საცდურთ გარემოს. გარნა თუ კაცი მცირედაც უზრუნველია, იოლად დამარცხდება და წარიტაცვის მტრისა ნიშთაგან. ხოლო შენდობა არ ექნებათ სამსჯავროზე ამგვართ. — იქ განცხადდება, რამეთუ ნებსით ერწმუნენ მტარვალს.

მრავალი ცრემლი და ლოცვა გვჭირდება საყვარელნო, რათა ჩვენთაგანმა უძლოს განსაცდელს, რამეთუ მრავალს ჩვენე-

ბას აღძრავს მტარვალი; რამეთუ ღმრთისამბრძოლია თავად და ყოველთაცა სწადია სიკვდილი; რამეთუ ღონესა რასმე მოიღებს მტანჯველი, რომე ყოველი ბეჭედს მხეცისას ატარებს. და ჟამს თვისას გამოჩნდება იგი ნიშებითა ყოველთა საცდუნებლად. და მაშინ ხოლო შეიძლებენ კაცნი სყიდვად საზრდელთა და სახმართა სხვათაც; და დაადგინებს მეთვალყურეთა ნებათა თვისთა აღმასრულებლად. მოხედეთ ძმანო, უსაზღვრო მზაკვრობას მხეცისას და ცბიერებას მისას, თუ ვით იწყებს იგი მუცლით, რათა უკიდურესის შიმშილით იძულებელყოს კაცნი — მიიღონ ბეჭედი მისი უღირსი გამოსახულებისა მარჯვენა ხელსა და შუბლზე; რათა მარჯვენით პირჯვარი ვერ გადაისახოს კაცმა. რამეთუ უწყის უბადრუკმან, რომე უფლისა ჯვრისა გამოსახვა განაქარვებს ყოველს მის ძალთა; და მსგავსადვე შუბლიც ლამპარივით ზე აღმართავს ნათელს — ნათლისას — ნიშანს მაცხოვრისას ჩვენისას. ამისთვის, ძმანო ჩემნო, მძიმე ღვაწლი გვმართებს ყოველთა ქრისტიანეთა, რათა სიკვდილის ჟამამდე შიშმა არ შეგვიპყრას და უქმად არ კეგნეთ, ოდეს ვეშაპი ბეჭედს თვისას გამოსახავს ნაცვლად ცხოველმყოფელისა ჯვარისა. და ამისათვის, უეჭველია, იმგვარ ხერხს იხმარს, რათა სახელი უფლისა და მაცხოვარისა არც კი იხსენიებოდეს მას ჟამსა; ხოლო ამათ ყოველსა იქმს, მაცხოვრის წმიდა ძალის შიშითა და ძრწოლით, რამეთუ ვინც არ იქნება აღბეჭდილი მხეცის ბეჭედით, მას ვერ მოხიბლავს ცრუ სასწაულნი მხეცისა.

ყოვლითურთ გულისხმავყოთ, ძმანო, მოჩვენებითი ნიშები მტრისა. უფალი ჩვენი ხომ მყუდროდ მოვა ჩვენ ყოველთა თანა, რათა განგვაშოროს მზაკვრობისაგან. ქრისტეს რწმენის წმიდად დაცვით მტარვალის ძალას შევარყეკთ. მოვიღებთ ღაცდომელსა და მყარს გონებას, და განგვეშორება ჩვენგან უძლური, და ვერღარას იღონებს ჩვენდა სავნებლად.

გვედრით, ძმანო ქრისტესმოყვარენო, მე უღირსი, ნუ ვიქნებით უდებნი, არამედ უმეტეს გავძლიერდეთ ძალითა ჯვარისათა. გარნა უცილობელია ღვაწლი კართა-ზედა ბჭისათა და აღვიჭურვნეთ ყოვლითა საჭურველითა სარწმუნოებისათა. და მზა ვიყვნეთ ერთგულ მონათა მსგავსად, რაითა მტერი არ შევიწყნაროთ. რამეთუ უღირსი და სასტიკი იგი მპარავი მოვა

უწინარეს ჟამისა და იგულვებს ჭეშმარიტისა მწყემსისა რჩეულ ცხოვართა წარტაცებასა და წარწყმედას. განვიცადოთ, ძმანო თუ რაგვარის სახით მოვა სოფლად ურცხვი ურჩხული.

მაცხოვარმან მადლითა თვისითა ინება კაცთა ნათესავთა ხსნა და იშვა ქალწულისაგან ხატითა კაცისაჲთა და დათრგუნა მტერი ღვთაებრივითა ძალითა თვისითა. ხოლო მტერმაცა იზრახა ღმრთისა მიმსგავსებულად გამოჩინება და ცდუნება ჩვენი. გარნა უფალი მოვალს ქვეყნად ღრუბელთა ზედა სპეტაკთა, მსგავსად საშინელისა ელვისა; ხოლო სხვაგვარ არს მოსვლა მტერისა, რამეთუ განდგომილია იგი. ჭეშმარიტად შეგინებულის დედაკაცისაგან იშვება საჴურველი მისი: გარნა ეს არ ნიშნავს, რომ იგი განხორციელდა; მოვაღა იგი ყოვლადსაძაგელი, ვითარცა მპარავი, საცდუნებელად ყოველთა, მოვა მორჩილადა და მშვიდად და იტყვის სიცრუვით: ვითარმედ სძაგს კერპები და უმჯობესად მიიჩნევს ღვთისმოშიშებას, გაშოჩნდება მტერი იგი კეთილად, გლახაკთმოწყალედ, უაღრესად კეთილ — ხილვითა, მტკიცე და ყოველთადმი გულთბილი იქნება; ხოლო უმეტეს პატივს ეყოფს იუდეველთა ტომთა, რამეთუ იუდეველნი მოელოდებიან მოსვლას მისას. და ამათ ყოველთა თანავე დიდის ხელმწიფებითა ჰყოფს იგი ნიშებსა, სასწაულებსა და საშინელებათა, და ცბიერებით აამებს ყველას, რათა შეიყვარონ უმალვე ერთა, ძღვენს არ მოიღებს იგი, მრისხანედ არ ილაპარაკებს და არც პირქუშად იხილვება, არამედ მამათმთავრულის გარეგნობით იწყებს ცდუნებას სოფლისას, ვინემ არ გაბატონდება. ხოლო როს ტომნი და ნათესავნი მრავალნი იხილვენ ამგვარ ძალთა და სათნოებათა მისთა, მყის ერთი აზრი განმსჭვალავს ყოველს და დიდითა სიხარულითა ეტყვიან ურთიერთას და აღიარებენ ერთბაშად: „იპოებაა, სადამე კაცი ესოდენ მართალი და სახიერი?“ მაშინ მსწრაფლ განმტკიცდება მეუფება მის მაცდურისა და რისხვით ზარგანხდის სამთა დიდთა ხელმწიფეთა; მერმედ აღზვავდება გულითა და აღმოანთხევს ნაღველს ურჩხული იგი; შეაძრწუნებს ქვეყანასა და შესძრავს კიდით-კიდემდის; აჭირვებს ყოველთა და წაბილწავს სულთა, ხოლო აწ არღა სათნოდ წარმოჩნდება, არამედ დღე-ყოველ იქცევა ვითარცა კაცი გულფიცხი, პირქუში, მრისხანე და მოსწრაფე, უწესო, და მოძუ-

ლე-და საზარელ. წარმოჩნდება მტერი იგი საძაგლად, ცბიერად და ურცხვად და ეცდება კაცთა მოდგმის უწმინდურების მორევში შთაგდებას. კუალად მრავალთა ცრუსასწაულთა ჰყოფს იგი და წინაშე თაყვანისმცემელისა თვის კრებულისა გამოსცემს ხმას ძლიერს, რომლისაგან ირყევა ადგილი იგი მის კრებულისა და იტყვის მტარვალი: „ყოველმა ნათესავმა ცანით ხელმწიფება და ძალი ჩემი!“ მერმედ წინაშე კრებულისა მთათა უცვალებს ადგილთა და ზღვით გამოიხმობს კუნძულთა, ხოლო ამათ ყოველთა თვალთმაქცობითა იქმს და ჩვენებითა, გარნაღა მოხიბლავს სოფელსა, აცდუნებს გულთა ყოველთასა და ერწმუნვიან მრავალნი და ადიდებენ მას, ვითარცა ღმერთსა ძლიერსა.

მწარედ ატირდება და იგოდებს მაშინ ყოველი სული, და მიეცემა მწუხარებას აუწერელსა დღითა და ღამით და ვერცა სად ჰპოვებს საზრდელსა, რამეთუ მკაცრნი განწესდებიან მეთვალყურენი და რომელთ ხოლო იქნებათ ბეჭედი უწმიდურისა შუბლსა და მარჯვენა მკლავზედ, მათ შიეცემათ მცირედი საზრდელი. მაშინ ჩვილნი დედათ უბეში აღესრულვიან და დედანი შვილთა თვისთა ზედა მიიცვალებიან და მამანიცა-მათვე თანავე. გარნა არავინ იქმნება დამფვლელი მათი. უბანთა ზედა დაყრილ მძორთაგან შეიბილწება ჰაერი და შეძრწუნდებიან ცოცხალნი.

ცისკრად ვაებითა და ვიშით ღაღადყოფენ: „როსღა დაღამდეს და განვისვენოთ?“ მწუხრსა კი მწარედ ჰგოდებენ: „გათენდეს მალე, რათა დავიხსნათ მწუხარებისგან“. გარნა არსით იქნება არცა გზა, არცა-საფარი, რამეთუ ზღვა და ხმელიცა აღშფოთდეს. ხოლო ამისთვის გვეტყვის უფალი: „მხნე იყვენით და ილოცევდით დაუცადებლად, რათა განერენით მწუხარებასა. ირყევა მაშინ და ამყრალდება ზღვაცა და მიწაც და ჩამოდგება შიში ყოველგან; ხოლო მას ჟამსა არღა ვის არგებს ოქრო-ვერცხლთა და სამოსთ უხვება, არამედ ჰნატრიდენ ერნი ყოველნი უწინარეს ჟამისა მის მიცვალებულთა. გზა-შარას ეყრება ოქრო და ვერცხლი და არვინ პირს იქცევს მათდა, არამედ საძაგელ იქმნება ყოველი; და ილტვოდეს ყოველი და ვერსადა განერეს; და იყოს შიში, შიმშილი და ჟამსა ყოველ მწუხარება და დევნა უყონ კაცთა ხორციჭამია ღრიანკალთა

და ქვეწარმავალთა და მხეცთა. შინაგან შიში შეუდგებათ და გარეგან ძრწოლა; გვამები აავსებენ გზა-შარასა და ყროლით გაუსაძლისდება სახლებში. შიში, გმინვა და გოდება იდგება შინა თუ გარეთ. მოთქმით შეეყრებიან ერთურთს კაცნი: შვილნი-მშობელთა და თვისტომნი-თვისტომთ და ერთურთს გადაჭდომილნი აღესრულვიან; დაჭკნება შუენიერება ყოველი პირისა და მოიღებენ სახეს მკვდართასა; ბილწ იქნება და საძაგელ სიტურფე ქალისა; დაშრტება ყოველი სხეული და გულისთქმა კაცობრივი. ყოველი რომელ ერწმუნება მზაკვარსა მხეცსა და მიიღებს ბილწ ბეჭედს მისას, მეყსეულად ვედრებით შეუვრდება მტარვალსა მას და ეტყვის: „გვეც ჩვენ სასმელი და საზრდელი, რამეთუ მოვწყდებით შიმშილითა და განაძე ჩვენგან მხეცნი გესლოვანნი". გარნა ვერას იღონებს უბადრუკი იგი, არამედ სისასტიკითა აღვსილი შერისხავს კაცთა: „სადაით მოგცეთ, სასმელ-საზრდელი?! ცამან არ მოსცის წვიმაჲ და მიწამ — ნაყოფი!" და შერისხვითა მით ატირდებიან ერნი და სასოწარკვეთილნი ნუგეშს ვერსაით მოიღებენ, არამედ წუხილი სხვაცა დაერთვით — რამეთუ მსწრაფლ ირწმუნეს მტარვალისა. გარნა თუ თავისა თვისისა შეწევნა არ ძალუძს, სხვანი მან გველმან ვით შეიწყალოს? მათ დღეთა შინა მრავალს ჭირსა და ვნებას მოაწევს ურჩხული იგი: განთესავს შიშსა და შესძრავს ქვეყანასა, აღტეხავს ზღვათა და დევნის კაცთა სიყმილითა, წყურვილითა და მხეცითა ნაირგვარითა. გარნა ანტიქრისტეს ბეჭდით დაბეჭდულთა და მხეცისა მის, ღმრთისა სახელითა სახელმდებელთა და თაყვანისმცემელთა — ნაწილი არღა ექმნებათ ქრისტესთან სასუფეველში, არამედ მის ვეშაპისა თანა მიეცემიან გეჰენიასა. ნეტარ არს, რომელ მტკიცედ და წმიდად ეგოს ყოვლითურთ და გული მისი შეუორგულებლად ზრახვიდეს ღმრთისა თანა. რამეთუ მხნედ წინააღუდგეს იგი მტრის ყოველ ზაკვას და არად შერაცხოს ყოველი ტანჯვა-წამება და საცდურნი მისნი.

ხოლო მოწყალებითა თვისითა, უფალი უადრეს წარმოგზავნის ილია თეზბიტელსა და ენუქს, რამეთუ ასწავლონ წინასწარმეტყველთა ამათ ერთა ღმრთისმოშიშება და ღმრთისმეტყველება და განსწავლონ კაცნი, რათა შიშით არ შეუვრდენ მტერსა, არამედ უწყოდენ ყოველთა, რამეთუ: „ცხიერ არს

იგი, ო კაცნო! და იოტოდენსა ნურც ვინ ირწმუნებს მისას და ნუცა ვინ დამორჩილდეს მგმობარსა მას; და ნურც ვინ თქვენ-განნი შეძრწუნდება, რამეთუ მსწრაფლ უქმ იქნება მგმობელი ყოვლითურთ. დაღათუ მოვალს უფალი განსაკითხველად მისა და ნიშთა მისთა მორწმუნეთა". გარნა მცირედი მოხედავენ და ერწმუნვიან წინასწარმეტყველთა ამა მოძღვრებას. არამედ მაცხოვარი განუზომელითა კაცთმოყვარებითა თვისითა ჰყოფს ესე ყოველთა; რამეთუ მათ ჟამთა შინაცა არა დაუტევებს უფალი კაცთა უმოძღვრელად, გარნა სამსჯავროს არღა ვი-ეთქმის სიტყვად.

ხოლო მას ჟამსა უწმიდურისა მოსვლისასა წმიდანნი თუ სადამე იპოებოდნენ, ნაკადულნი ცრემლთანი დიოდიან ყოვ-ლადწმიდისა ღმრთისა მიმართ, რაითა გამოიხსნას ისინი გვე-ლისაგან. და განილტვიან ქრისტეს მხედარნი მთად და უდაბ-ნოდ, თავს გარდიყრიან მიწას და ნაცარს და მორჩილებითა დიდითა დღითა და ღამით აღავლენენ ლოცვებსა, გარნა ღმრთისაგან მოეცემათ მათ ესე ყოველი; და მადლი უფლისა გაიყვანს და განუჩინებს მათ ადგილსა და იხსნებიან ხევს, ნაპ-რალს და ქვაბურს შეფარულნი და არცა განიცდიან ანტიქრის-ტეს ნიშთა და საშინელებათა; ხოლო ვინც გულისხმაყოფს ამა სწავლასა, უცდომლად იცნობს ანტიქრისტეს მოსვლას. გარნა რომელთა ამქვეყნიური გონება აქვთ და უყვართ მიწიერი, იგინი ვერ გულისხმაყოფენ, რამეთუ დღემუდამ მიჯაჭვული არიან მსოფლიო ზრუნვას და თუმცაღა ეუწყოთ, გარნა არა ირწმუნონ ესე ყოველი, არამედ მოიძაგებენ მოძღვარსა; ხო-ლო წმიდანი ამათ სწავლათაგან განმტკიცდებიან, რამეთუ ყოვე-ლივე მსოფლიო დაუტევეს ზრუნვა.

ჟამსა მას ატირდება ყოველი ზღვა და ხმელეთი, ატირდე-ბა ჰაერი და მასთან ატირდებიან ნადირნი ტყისანი და მფრინ-ველნი ცისანი; ატირდებიან მთანი, ბორცვნი და ბარად ველ-ნი, და ციურნი მნათობნიცა ატირდებიან კაცთ მოდგმისათვის; რამეთუ ყოველნი განუდგნენ ყოვლადწმიდასა ღმერთსა და ირწმუნეს მაცდურის; და ნაცვლად მაცხოვრის ცხოველმყო-ფელისა ჯვარისა მოიღეს ნიშანი ბილწისა და განდგომილისა. ატირდება ცა და ქვეყანა, რამეთუ პირთაგან კაცთა არღა აღევლინება ლოცვა და ფსალმუნება; და გლოვა დიდი ექნება

ქრისტეს ეკლესიას, რამეთუ არცა სადა ღვთისმსახურება აღესრულება და არცაღა მსხვერპლი შეიწირვის.

სამწელიწადნახევრის შემდგომად დასრულდება ხელმწიფება და ქმედება ყოველი უწმიდურისა და განსრულდება ცდუნება ყოველი სოფლისა და შემდგომ, ვითარცა წერილ არს, მოვალს უკუე უფალი მსგავსად ელვისა ზეციოთგან, მოვალს ნათელი, ყოვლადწმიდა, შესაძრწუნებელი და დიდებული ღმერთი ჩვენი დიდითა დიდებითა თვისითა და მოვალს ღმრთისა დიდებისა თანა დასნი ანგელოსთანი და მთავარანგელოსთანი და ყოველნი — ვითარცა ალი ცეცხლისა და აღივსება მდინარე ცეცხლითა. და ქერუბიმნი თავს დაიდრეკენ და მფრინავი სერაფიმნი ცეცხლისა ფრთითა დაიფარვიან პირთა და ფერხთა და ძრწოლვით იღაღადებენ: „აღსდექით მკვდარნი, აჰა, ესერა სიძე მოვალს". მაშინ საფლავნი განირღვევიან და წინაპარნი ყოველნი წამისყოფითა აღსდგებიან და წარსდგებიან წინაშე სიძისა; ხოლო უთვალავნი აღდგომილნი და ათასეულნი და ბევრეულნი ანგელოზნი და მთავარანგელოზნი და ურიცხვნი მხედრობანი იხარებენ დიდითა სიხარულითა; და იხარებენ წმიდანი და მართალნი და ყოველნი, რომელთ არ მოიღეს ბეჭედი ურჩხულისა და უწმიდურისა. ანგელოზნი შეკრავენ მტარვალს ყოვლითა ბოროტ სულებითურთ და მათ ყოველთაცა, რომელთ შეიწყნარეს ბეჭედი ანტიქრისტესი; და რომელნი შეეფარვოდიან ქვაბთა, ნაპრალთა და ხევთა — სამარადისოდ იხარებენ ესენი წმიდათა თანა ზეციურს საყდარში უკუნითი უკუნისამდე.

ამინ.

თარგმნა მარინა ნიუარმა

ს ი ტ ყ ვ ა

მღვდლობისათვის

უკუეულო სასწაული, გამოუთქმელი ძალი და საშინელი საიდუმლოა — მღვდლობის საიდუმლო! იგი სულიერი, წმიდა, მაღალღირსი და უყვედრელია. გარნა ზეცით გარდამოხდილმან ქრისტემან მოანიჭა ესე მდაბალთა. გმოძღვრავთ და გვედრით ცრემლითა და სულთქმითა, რაჲთა მოვხედოთ ამა საუნჯეს მღვდლობისას, რომელ დამმარხველია სიწმიდისა და ღირსებისა. და კუალად — ნათელია იგი და საჭურველი უბადლო, სვეტი ურყევი და გალავანი ურღვევი. იგივ საძირკველია მტკიცე, მიწითგან ზეცად აღმავალი; და რაჲსა ვიტყვი, ძმანო? — უზეშთაესა ცასა-ცათასა აღვალს იგი და შორის უხორცოთა მათ ანგელოზთა თანა მკვიდრობს და შორის ძალთა ზეცისათა სამღვდელონი თვით მეუფისა და შემოქმედისა თანა ზრახვენ და მოიღებენ მხნეობას. გარნა არა დავცხრები, ძმანო ქებად მის ხარისხისა, რომელ მოანიჭა სამებამ ადამის ძეთა. მით ისსნა ქმნული ყოველი და განანათლა; მოძღვართ მეოხებითა აღივსო წმიდათა და ღვთივსათნო კაცთაგან მთანი და ბორცვნი და ტყენი და უფსკრულნი. ხოლო ვიტყვი ამას მონაზონთათვის, ვითარ თქუა ესაია დიდებითმეტყველმან: „ხმა აღიმაღლოს უდაბნომ და მისმა ქალაქებმა“ (ესაია 42. 11, 12). მოძღვართ აღგავეს ქვეყნითგან უსჯულოება, მოძღვართ დაამკვიდრეს სოფლად ქალწულება; მისითა შეიკრა ეშმა დაცემული; და განიწმიდენ მრუშნი, და განსპეტაკდნენ მეძავნი და წინამძღვრად ჭეშმარიტებისად გამოჩნდნენ უგუნურნი; ხოლო უსჯულონი სათნო-იქმნეს და ღვთისმოსავ; მღვდელთაგან უქმ-იქნა სიკვდილის მპყრობელობა და ჯოჯოხეთმან დაჰკარგა ძალი; მღვდელთაგან დაირღვა კრულება ადამისა და განმზადხა სასუფეველი ცათაჲ, და ამაღლდა ბუნება კაცებრივი უხორცოთ ხარისხში. და რაჲ კუალადა ვთქვა, ანუ ვითარ ვადიდო ნიჭი ესე, რამეთუ უმეტეს სიტყვათა და გონებათა არს ხარისხი მღვდლობისა. და ვზრახავ, ვითარმედ ამასვე გულისხმაგვყოფს პავლე მოციქულიცა, ოდესცა გვეტყვის განცვიფრებული: „ოი, სიღრმე სიმდიდრისა და სიბრძნისა და მეცნიე-

რებისა ღმრთისა! ვითარ გამოუძიებელ არიან განკითხვანი მისნი და გამოუკვლეველ არიან გზანი მისნი“ (რომაელთა 11, 33). და კუალად, მოძღვარი ვედრებათა ჩვენთა ღმრთისად აღმავლენია და მეოხი — წინაშე უფლისა მონათა მისთა.

გულისხმა-ვყოთ, ძმანო საიდუმლო და საშინელი ესე სიტყვანი; რამეთუ თვინიერ მაღალ-ღირსთა მათ სამღვდელოთა, მოკვდავთ შენდობა არ ექნებათ. აწ ვმოწმეთ ჩვენ მღვდლობის საიდუმლოსათვის, ვითარმედ: რტო ვაზისა, მარცვალი პურისა და მღვდლობა — ერთბამად ერთარსს მიდრკების. გარნა ვაზი და ხორბალი მონანი არიან, ხოლო მღვდელობა — თავისუფალი. და ოდესცა ესე ყოველნი შეერთვიან, მაშინ ყოველი კრძალვით შესწირავს უმჯობესს ყოველთა საუნჯეთასა — ძალთა ნაყოფთა თვისთასა; ვაზი სისხლსა მოიღებს, ხორბალი — პურსა, ხოლო მღვდელნი შეუვრდებიან მხნედ მეუფეს და აღავლენენ ლოცვას ზეცადა და ავედრებენ ღმერთსა მონათა და ცრემლთა, სულთქმათა და სინანულთა მათთასა. და ამა ძღვენთა მხურვალედ შესწირავენ მეუფეს თვისსა, ხოლო გამოსთხოვენ კეთილმოწყალესა უფალსა მოტევებასა, წყალობასა და მოწყალებასა, რაჲთა გარდამოვიდეს სული ნუგეშინისმცემელი და აკურთხოს წინადაგებული ძღვენი; ხოლო მეყვსეულად შეიწირვის უკვდავებითა აღსრულებულის საშინელის საიდუმლოთი ძღვენი იგი, რამეთუ წარდგომილი მოძღვარი ყოველთათვის აღავლენს ლოცვასა. მაშინ შეუდგებიან სულნი და საშინელის საიდუმლოთი ბიწთაგან გაიწმინდებიან. მოხედეთ, ღვთისმოყვარენო, რამეთუ ვაზსა და ხორბალს ჭეეყნად არა აქვთ ქმედება, ვინემ ნება ზეციური არ გარდამოვა განცხადებული; და მოხედე ვითარ კეთილად განწმედს მღვდლობის ხარისხი სულიერს მწიკვლთა. კურთხეულ არს მაცხოვარი, რომელმან მოსცა სოფელსა ყოვლადწმიდა და განმწმედელი ესე ძღვენი, მადლითა თვისთა მღვდელთა გამაბრწყინვებელი, რაჲთა ნათობდნენ ისინი სოფლად მსგავსად ლამპართა! ნათესავნი უწინარესნი ჩვენნი, რქითა ზეთისათა განიწმიდებოდენ, ხოლო ჩვენ კურთხეულისა უხმართა მონათა არცა რქა მოვიღეთ და არცა ზეთი გრძნობისა, არამედ გარდამოხდა ზეცით თავად უზენაესი და შესაძრწუნებელი ბეჭთსაშუალი და ხელდასხმითა მოგვანიჭა სული თვისი, ვი-

თარცა ცეცხლი გარდამომავალი მოციქულთა ზედა. ოი, ძალი გამოუთქმელი, წმიდა მღვდელთა ხელდასხმით ჩვენში დასადგურების კეთილმნებებელი! ჰე, რაგვარ მაღალი, უცნაური და საოცარია მღვდლობის ხარისხი! და ნეტარ არს ვინც წმიდადა და უყვედრელად ჰგია მასში. მოხედეთ პეტრეს, რომელ იწოდა კლდედ და რომელი ზღვის პირს სათხეველითა ითხევდა, და რომლისათვის სწამა მწყემსმან დიდებულმან: „და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესიაი ჩემი“ (მათე, 16, 18). ხოლო მოციქულმან მან, ვითარცა ღირსმან, მღვდლობით მოიღო სასუფევლისა კლიტენი. და მსგავსადვე პავლეც, რომელ იყო მდევნელ, მღვდლობის ხარისხში ამაღლებულმა ფრთაშესხმულივით მოვლო სამყარო და ჰქადაგებდა მკვდრეთით აღდგომას.

და აწვე მოვხედოთ მართალს აბელსაცა, რომელ მღვდელ იყო ქმნულთ დასაბამსა, და ვისწაოთ მისგან. ოდეს პირველ მღვდელმოქმედებდა იგი მსხვერპლს თვისას წინაშე ღმრთისა, გარნა არა გარდამოხდა ზეცით ცეცხლი და შესჭამნა მსხვერპლი მისი? ხოლო ვითარცა იტყვის წერილი: ჟამსა მას ოდეს აბელ შეწირვიდა ნაწილთა: „მოხედნა ღმერთმან აბელს და მსხუერპლთა მისთა“ (დაბ. 4, 4); ხოლო კაენის მსხვერპლზე არ ინება მოხედვად. ხოლო ნოემაც, ოდეს კიდობნით გამოიხსნა, მთასა ზედა არარატისასა „შეწირა მსხუერპლი ღმრთისა საკურთხეველსა მას ზედა. და იყნოსა უფალმან სულად სულნელად“ (დაბად. 8, 20, 21); ხოლო ამისთვისა დადო მის თანა აღთქმა მსმენელმან: „არღარა მოსწყდეს ყოველი ხორციელი წყლით რღუნითა, და არღარა იყოს მერმე წყლით რღუნაი განრყუნად ყოვლისა ქუეყანისა“ (11). და აკურთხა უფალმა ნოე და შთამომავალი მისი: „აღორძინდით და განმრავლდით“ (9, 1).

აწ უკვე იხილე სასწაულქმედება მღვდელობისა, და განიცადე პირველშობილთა პირველი მღვდელი — აბელი, თუ ვითარ გარდამოიყვანა ზეცითგან ქვეყნად ცეცხლი თვის უყვედრელთა ნაყოფთაგან; და კუალდცა გესმა ნოესათვის, მეორედ ქმნულთა მღვდელისა წმიდისათვის, თუ ვითარ აღუთქვა მას ღმერთმა; და აბრაამიცა ღირს იქმნა მის მადლისა და ღმრთისად იზრახა საყვარელი ისააკისა შეწირვა და მღვდელ-

მოქმედება. ხოლო განმზადნა ყოვლითურთ შესაწველად ნაწ-
ლევნი თვისთა ხორცთაგან და აქა გამოუცხადა ღმერთმა აბ-
რაამს დიდებული სასწაული — შობა ქრისტესი და კუალად
ძალი კურთხევისა, რომლითაცა აკურთხა იგი: „კურთხევით
გაკურთხო შენ და განმრავლებით განვამრავლო ნათესავი შე-
ნი“. (დაბ. 22, 18). ღვთაებრივი მოსეც ღირს იქმნა მის მად-
ლისა, რომელ სინას მთაზე ღმრთისად ამაღლდა და მოიღო
სჯული, რომლითაცა განბრწყინდა პირი მისი, ვითარცა მზე.
და მადლი მღვდლობისა მოიღო აარონმაც, რომელ მეოხ იყო
წინაშე ღმრთისა კაცთა ცოდვათათვის, ხოლო: „მოსე და
აარონ მღუდელთა შორის მისთა, და სამუელ მათთანა, რო-
მელნი ხადიან სახელსა მისსა, ხადოდეს უფალსა, და მას ესმა
მათი“ (ფს. 98, 6). და ფინეზმაცა ყოვლადპატიოსანსა მას ხა-
რისხში სიკვდილი დააბრკოლა თავის ერში. გარნა ილია, ოდეს
ხარისხი მღვდელობისა შეიმოსა, ღმერთმა უსმინა და გარდა-
მოხდა ცეცხლი (3 მეფ. 18, 36).

მაშ, გულისხმავყოთ, ძმანო, რომ განუზომელია ღირსება
მღვდლობისა. დიდება ერთარსსა! დიდება სიხიერსა ერთარს-
სა, რომელიც ახლისა აღთქმითა თვისითა აუწყებს მოწაფეთა
თვისთა, რაჲთა სამაგალითოდ იგინიც ხელთა დაასხმიდენ ღირ-
სეულთ! ამისთვის პატივს ვაგებდეთ და სათნო-ვუყოფდეთ
ყოველთა, რომელთა აქვნდეთ ხარისხი პატიოსნისა მღვდლო-
ბისა; და მტკიცედა გვწამდეს, ვითარმედ თუ ვისმე უყვარს
მეგობარი უფლისა, უმეტესადა შეიყვარებს მასცა უფალი.
ამისთვის შევიყვარნოთ ღმრთისა მოძღვარნი, რომელ სახიე-
რისა მეუფისა მეგობარნი არიან, ხოლო შუამდგომელნი ჩვენი
და ყოვლისა სოფლისა. პატივი აგე მოძღვართა და აღასრულე
მცნება ქრისტესი, რომლითაცა იტყვის: „რომელმან შეიწყნა-
რის წინასწარმეტყველი სახელად წინასწარმეტყველისა, სასყი-
დელი წინასწარმეტყველისაჲ მოიღოს“ (მათე 10, 44). დაღათუ
არა უწყოდეთ, ღირს არს, ანუ უღირს ვინმე მის წოდებისა,
მაშინ ნუ მოიძაგებ მას ქრისტეს მცნებისათვის; გარნა ვითარ-
ცა ოქროს მბრწინვალსა ვერას დააკლებს მწვირი, ანუ უწმი-
დურნი რამ ნივთნი ვერასა ვნებენ მარგალიტთა, მსგავსადვე
ვერცა მღვდელობა შეიგინების კაცთაგან, თუნდაც, რომ
უღირსთაგანმა ვინმე მოიღოს ხარისხი ესე. დაღათუ ვინმე

ღირსებით შეიმოსავს ხარისხსა ამას — ცხოვრებასა დაიმკვიდრებს იგი და განიმზადებს გვირგვინს უხრწნელსა; ხოლო უღირსებითა და კადნიერებით მღვდლობის ხარისხის მომღებელი, უკუნეთს განიმზადებს და მსჯავრს უწყალოს.

სხვათ მაგალითთაცა გეტყვი, კაცო, რათა ქედმაღლობითა შენითა, ვერღა ძალგედვას უღირსად მღვდლობის ხარისხის მოღება.

და რამეთუ წმიდა არს ღმერთი და არა სათნო-ეყვნეს ქედმაღლობითა ხელდასხმის მომღებელნი. გახსოვდეს, რაი შეეშთხვიათ მათ უბადრუკთა, რომელ წინააღუდგნენ ოდესმე მოსეს და აარონს და უგუნურებითა, ურცხვებითა და თვითნებობითა ზრახეს ღმრთისათვის საკმევლის შეწირვა. გარნა შეწვნა ისინი ცეცხლმა ზეცისამ, რამეთუ კადნიერებით შებედეს და მიითვისეს აღმატებული მათდა ხარისხი. მსგავსადვე ეყო წინასწარმეტყველსა ღმრთისასა მარიამს, რამეთუ მცირე რამ სიტყვითა ყვედრა მოსეს მღვდელობა, და შეიგინა უზენაესისაგან და კეთრმა დაფარა და შვიდი დღე განაძეს ბანაკით. ხოლო აწცა სიწმიდით ეგნეთ, ძმანო ცხოვრებად და ბაძევდით მოსეს, აარონსა და ელიაზარს. იხილე, ვითარ ღვთისმოსავთა მათ მღვდლობის ხარისხში შური-მიუგეს ლაშქარს უღვთოთა მტრისათა. ხოლო მოსემ, ვითარცა მღვდელმან, განიპყრნა ხელნი ღმრთისა მიმართ და შერისხნა ამალეკ უკურნებელითა წყლულითა; გარნა მღვდლობითა წელმორტყმულმა აბრაამმა სივლტოლა უყო მეფეთა და მელქისედეკმა, შეიმოსა რა ხარისხი მღვდლობისა, უზენაესის კურთხევით აკურთხა გამორჩეული აბრაჰამ.

დაღათუ მოშურნე ხარ, ძმაო, მღვდლობის ხარისხისა — მაშინ დაშვერი სათნო-ყოფად მეუფისა, ილვაწე სიმართლითა, ღვთაებრივის სიბრძნითა და ქალწულების სპეტაკებითა; მგზნებარე თანამოსაგარედ გამოჩნდი, მსგავსად უბიწოს იოსებისა; უცხოთშემწყალე — ვითარ აბრაამ, ღატაკთმოყვარე — ვითარ იობი, აღვსილ სიყვარულითა — მსგავსად დავითისა; მშვიდ იყავ, ვითარცა მოსე; და გზადაბნეულს — გზად მოაქცევდე, ხოლო მკელობელთ — განამტკიცებდე; ხელთა უპყრობდე დაცემულთა და მფარველ ეყავ უძლურთ ყოველგან, გარნა სხვათ მსგავსთაც მრავლად იქმოდე.

ხოლო მე, ძმანო საყვარელნო, ძრწოლა მიპყრობს, ოდეს ვხედავ, ვითარი ზნე აქვთ კადნიერი ზოგთ უგუნურთა, რომელნი ურცხვად და განუსჯელად ეძიებენ მღვდლობას, და მოიღებენ მას ხარისხს, გარეშე ქრისტეს მადლით წოდებისა, გარნა არა უწყიან მათ უბადრუკთა, რომე ცეცხლსა და სიკვდილსა შეიკრებენ უბადრუკნი. და რამეთუ არაოდენ მასზედა ვიტყვი, კაცო, რომე წინდაუხედავად არა მოიღებდე მღვდელობასა, არამედ რაჲთა არცა შეეხო რომელთამე ჭურჭელთაგანთა ყოვლადწმიდისა მსახურებისას. წაგიკითხავსა რაჲ შეემთხვია ოსეს, ოდეს შეეხო სახატეს ღვთისას, ჰუდამ გახსოვდეს მაშინ, საყვარელო ძმაო, ესაია წინასწარმეტყველის პირით უწყებული „ვისზედა განვისვენო? მხოლოდ მშვიდსა და მდუმარეზე, და რომელნი ძრწოდნენ სიტყვათა ჩემთაგან“ (ესაია 66, 2). გულისხმაყავ და გახსოვდეს სიტყვა ესე, რაჲთა შეიძინო საუნჯე — ზრახვაჲ მშვიდი და რაჲთა შეიძლო გონებით ამაღლება ზეციერსა მას ქალაქსა იერუსალიმსა, და რაჲთა შესწირო მსხვერპლი დასაბამს ყოველთასა უფალსა ღმერთსა. გარნა იქ იწვნება უხილავი გვირგვინი და თვით უფალი დააგვირგვინებს წინაშე ანგელოზთა უკვდავებისა გვირგვინითა. ხოლო შენ ანგელოზთა დასთა თანა დაშთები უკუნითი უკუნისამდე წმიდისა სამებისა ძლევისა გალობისა მგალობელი.

ამინ.

თარგმნა მარინა ნიაურმა

მივიცვალები მე — ეფრემ და ვწერ ანდერძს, რამეთუ მსურს ყოველს ვუწილადო რაცა მაბადია და მცნობელნი ჩემნი მომიხსენიებდნენ ამა სიტყვათაგან მაინც.

ვაი, რომ ჟამი ჩემი გარდახდა და მდინარება წელთა ჩემთა გახჭარდა. ხორცნი განილია და ნავი მიადგა ნაპირს.

ლამპარში ზეთი დაშრეტილა და დღენი ჩემნი გარდასულან. მსახურმა აღასრულა წუთისოფელი და მოგზაურმა განვლო ჟამი კუთვნილი.

გარემომადგნენ მე მცველნი და ვითარცა ავაზაკსა ქედსა ზედა დამადგნეს ჯაჭვნი.

ვის შევღაღადო, ანუ ვის ვუხმო შველად, რამეთუ არავინა ჩანს მხსნელი? და ვაი, შენდა ეფრემ, ოდეს სამსჯავროდ წარიდგე წინაშე ძისა! და გარემოგადგნენ შენ მცნობელნი შენნი.

ვაი სირცხვილო! და ვაი იქ განკიცხულთა!

შენ საჯე, უფალო, ეფრემ და ნურვის მისცემ სხვათ განსასჯელად. რამეთუ ღმერთი, რომელსა განიკითხავს, მასვეცა წყალობს სამსჯავროდ.

ბრძენთაგან ესრეთ მსმენია და წინამძღვართაგან მცნობია: რომელი ხედვიდეს პირსა ღმრთისასა, დადათუ ცოდვილ იყოს, სიკვდილსა არა მიეცემის.

ვაი არს ჩემდა, ძმანო! რაი მეწია მე? სტიროდეთ და მოთქმიდეთ ხვედრისა ჩემისათვის; რამეთუ მაჭირვებელნი ჩემნი მოვიდნენ მოსწრაფედ ჩემდა და შეპყრობად და წარტყვეცად მრავალთა სხვათაებრ.

ფრიად მაშინებს წინასწარმეტყველ ოსეს სიტყვები, რომლითა მყვედრის და მკიცხავს მე: „ჰაღარა შეერია ეფრემს, მას კი ვერაფერი შეუტყვია“ (ოსე 7; 9). და კუალად იტყვის ოსე: „გაწვრთნილი ხბოა ეფრემი, მე თავად გადავივლი მის ქედზე და გავხედნი მას (ოსე 10, 11).

გარნა თუ ვინმე იტყვის, რომ ოსე ამას იოსების ძე ეფრემზე ამბობს, მაშინ ვარწმუნებ მათ, რომ წინასწარმეტყველი ოსე ეფრემს — ეფრემისაგან არ განარჩევდა, ხოლო მე — სხვათ რომელთაგანმე.

მცირედღა მამშვიდებს დავით წინასწარმეტყველი, რომე-

ლი იტყვის: „ეფრემ, დამამტკიცებელი თავისა ჩემისა“ (ფს. 59, 9). ღმერთია მოწამე, ძმანო თავს არ ვიწონებ, არაᲐᲔᲓ გმოძღვრით თქვენ, გსწავლით და გაუწყებთ, რაᲐᲗა მომიხსენიებდეთ მცნობელნი ჩემნი სიტყვათა ჩემთათვის ოდენღა მაინც.

აწ განვწესებულვარ და აღვესრულები, მოვედინ და თვალნი დამიხუჭეთ. განგეშორებით და ძალი არ შემწევს დაᲨთომად.

ვფიცავ, სიცოცხლეს თქვენსას, მოწაფენო ჩემნო და სიცოცხლეს თვით ეფრემისას, რომ არღა გარდმოვალს იგი სარეცლით; რამეთუ მძიმე სენნ შევუპყრივარ და დაუთმენელ არს ტანჯვაᲐ ჩემი.

სასწაულს გიჩინებთ და სარკეს გიდგამთ, რაᲐᲗა მოხედოთ მასში გამოსახულსა და ჰბაძევდეთ მას.

დღითა თუ ღამით, სიცოცხლეში არვინ მიძრახავს და დღიდან ჩემის არსებობისა არც ვისმე წავკიდებივარ.

გარნა ხშირადა ვპაექრობდი განდგომილებთან, შორის კრებულისა. ხოლო ესეცა უწყოდეთ, რამეთუ მწყემსნიცა ცემენ თვისთა ძაღლთა, ოდეს მომხვდურ მგელს არა შეჰყეფენ.

ბრძენს არვინა სძაგს, გარნა ხოლო ბრიყვი. და მსგავსადვე, ბრიყვსაც არავინ უყვარს — ოდენ თუ ბრიყვი.

ნუ გიკვირთ, ძმანო, თუკი მორჩილებაში წვრთნის ჟამს ვინმე განმიდგა. თორმეტ მოციქულთაგანაც იყო ერთი გამყიდველი იუდა; ესეცა უწყოდეთ, რომ ვენახში ჯერეთ ეკალბარდი აღორძინდება. წინაშე თქვენსა, ვითარცა ერთსულ და ჭეშმარიტ ძმათა წინაშე ვმოწმობ, რომ რწმენა ჩემი სალია და ურყევი. ხოლო მსურს მტკიცედ ეგოს ზრახვა თქვენიცა მართალთა ურღვევ და ერთსულ სარწმუნოებაზედ.

ვფიცავ, სინას მთაზე წყალობის მომცემელსა; და ვფიცავ, პირსა მღაღადებლისა: „ელოი“ (მარკ. 15, 6) და მით ღაღადებითა ყოველთა ქმნულთა შემძვრელსა;

ვფიცავ, ძლიერებასა და დიდებასა მისსა, ვინაც ყვრიმალში იცემა და ჰნერწყვიდნენ და დაითმინა;

ვფიცავ, სამ პიროვნებას ცეცხლისას (2 სჯ. 4, 33) და ერთარსებას ღმრთისასა და ერთსა ნებასა, რომ არ განვდგომილ-

ვარ ეკლესიას და არ აღვდგომილვარ ღვთის ყოვლისმპყრობელობას.

დაღათუ მამა მედიდებინოს გონებით უმეტეს ძისა, დაე, ნუ შემიწყალოს მე ერთარსმა ღმერთმან. დაღათუ სული წმიდა მცირედ მგონებოდეს ვინემ მამისა და ძისა, დაე, წყვდიადმა დაფაროს თვალნი ჩემნი.

დაღათუ სხვაგვარად მრწმენეს, ვინემ ვიტყოდი, წყვდიადს მივეცე უკუნეთს; უკეთუ ფარისეველობით ვიტყოდე, ასპიტთა თანა შევიწვა ცეცხლში.

გარნა თუ ამას კაცთმოთნეობისათვის ვიტყოდე, ნუღარ შემისმენს ღმერთი სამსჯავროს ჟამსა.

მოწაფენო ჩემნო, ვფიცავ სიცოცხლეს თქვენსას და სიცოცხლეს ჩემსას: ეფრემს არ გააჩნია საკუთრება, არცა კვერთხი და არცა საყუდელი, რამეთუ მესმა სიტყვა ღმრთისა ჩვენისა: „ნუ იუნჯებთ თქუენ საუნჯეთა ქუეყანასა ზედა“ (მათე. 6, 19).

მოვედინ, ძმანო, მშვიდობა მეცით და განმიტევეთ აწ, რამეთუ განგეშორებით და გაფუცებთ, საყვარელნო, მომიხსენებდით ლოცვებში; რამეთუ ცოდვილმა, ამაოებაში განვლიე დღენი ჩემნი.

გაფუცებთ, მოწაფენო ჩემნო, ურღვევ ფიცითა, ნუ გააცდუნებთ სიტყვათა ჩემთა და ნუ გარდახვალთ მოძღვრებას ჩემსას.

დაღათუ ვინმემ დამდვას ქვეშე საკურთხეველისა, მას ნუ ეხილოს საკურთხეველი ღმრთისა.

დაღათუ ვინმემ, დამდოს ტაძარსა, ნუღა ეხილოს ნათელი ტაძრისა, რამეთუ უღირსთათვის ფუჭია ამო დიდება.

შიშვლად წარსდგება ყოველი პასუხისგებად და რისთვის პატივყოფთ მას, ვინც არ დაიცვა ღირსება თვისი? ხოლო რომელმან არა ადიდა თავი თვისი, ნურცა სოფელმა ადიდოს იგი.

ყოველი წარვალს, ვითარცა გესმით ღმრთისა ჩვენისაგან (მათე. 24, 35) და ამისათვის ცრემლითა ვიტყვი, რომელ წერილ არს ,ვითარმედ ქვათაგან ნაგები ტაძარი ირღვევა (მათე. 24, 2),ხოლო ტაძარი ხორციელი აღსდგება სამსჯავროდ განსაკითხველად. გარნა უფალი ჩვენი არა თუ ქვათა განიკითხავს, არამედ — ძეთა კაცთასა.

ნურაფერს აიღებთ ჩემგან სახსოვრად, ძმანო ჩემნო, შვილნო ჩემნო და შვილნო ეკლესიისანო; რამეთუ სახსოვრად თქვენდა იგი არს, რაიცა გესმათ ცხოვრების მომნიჭებელისა ჩვენისა ღმრთისაგან.

გარნა თუ რასმე წაიღებთ ეფრემისაგან, ეფრემსავე მოეკითხება, რამეთუ მეტყვის მე უფალი: ჩემდა უმეტეს — სწამდათო შენი; გარნა თუ ჩემდა სასოებდნენ, მაშინ სახსენებელად შენდა, შენსას არაფერს წაიღებდნენო.

ნუცა წმიდათა თანა დამასვენებთ, რამეთუ ცოდვილ ვარი მე და ყოვლად უღირს. ხოლო მაშინებს ნაკლულებისა ჩემისათვის სიახლოვე წმიდათა ძვალთა.

ცეცხლთან მიახლოვება ჩალასა შესწვავს და აღაგზნებს. ამისთვის ვშიშობ და ესრეთ ვიტყვი; გარნა ნუ ჰგონებთ ვინმე, ვითარმედ მძაგდეს მე სიახლოვე წმიდათა.

მესმა წინასწარმეტყველისაგან, ვითარმედ: ნოემ, იობმა და დანიელმა ვერ იხსნან მასლობელნი თვისნი (იეზეკ. 14, 14, 18); და კუალად წერილ არს: „ძმამან ვერ იხსნას“ ძმა და ნათესავმან ნათესავი (ფს. 48, 7).

რომელმან ხელთა ზედა თვისთა აღმიქუას მე და ესრეთ წარმიღოს, კეთრმან დაფარნოს ხელნი მისნი მსგავსად გეზისა; არამედ მსწრაფლ წარმიღებდით საკაცითა და დამდებდით, ვითარცა საძაგელსა, რომელმან ცუდად განვლიე დღენი ჩემნი.

რისთვის უნდა მადიდოთ, ოდეს შეგინებული ვარ წინაშე ღვთისა, და რისთვის უნდა ნეტარმყოთ, ოდეს საქმენი არ მაქვს კეთილნი.

გარნა თუ ვინმე აღწეროს საქმენი ჩემნი, პირში მნერწყვიდეთ ყოველნი. ხოლო თუ ცოდვის სიმყრალესა აგრძნებდეს ვინმე, მაშინ ყოველი განელტვოდა საძაგელებას ეფრემისას.

ვინც საფლავში ჩამატანდეს სამოსელს ძვირფასს, წყვდიადს მიეცეს იგი უკუნეთს; ანუ თუ ძოწეულს ვინმე ჩამატანდეს, ცეცხლსა მიეცეს იგი ჯოჯოხეთისას.

ცოდვილ ვარ მე, ვითარცა ვსთქვი ერთგზის და ნურვინ სათნომიყოფდეს.

განცხადებულ არს ღმრთისადმი საქმენი ჩემნი და უწყის მან ყოველი უსჯულოება ჩემი, რაიცა მიყოფიეს. შეგინებულ

ვარ მწიკვლთაგან და უწესოებათა და ურცხვინოებათა ჩემთაგან და დაბნელებულ ვარ ცოდვათაგან.

ყოველგვარი უწმინდურება და ყოველგვარი ცოდვაა ჩემში დავანებული. ჩემშია ურცხვება ყოველი და უსჯულოება და სიავე ყოველი.

მოვედით ედესელნო, ძმანო ჩემნო, მეუფენო ჩემნო, შვილნო და მამანო ჩემნო, მოიღეთ აღთქმულნი თქვენნი და დასდევით სამარეს ძმისა თქვენისა თანა.

მოიღეთ აღთქმულნი თქვენნი და დასდევით წინაშე ჩემსა, რაითა გონების შიხდამდის თავად განვუწესო ფასი.

გაყიდეთ სამოსელი ძვირფასი და საფასო მათი განუყავთ გლახაკთა.

თქვენც სარგებელს ჰპოვებთ და მეცა წამადგება. რამეთუ თქვენ მადლი ღმრთისა მოგაგებთ ამისთვის, ვითარცა გამღებელთა, მე კი — ვითარცა მრჩეველსა.

გარნა სხვაა სასიყდელი საქმეთათვის და სხვაა — სიტყვათათვის. გამღებელი უმეტეს მომღებლისა არს, ვითარცა გესმათ, საყვარელნო (საქმ. 20, 35).

გმადლობთ, ძმანო მისთვის, რაჲცა მიწილადეთ და რაოდენიცა მაგეთ პატივი, გარნა კი ულირს ვარი მე, რამეთუ ცოდვათა შინა აღვასრულე ჟამი ჩემი.

ღირსმყოფი წინასწარმეტყველისა, სასყიდელსა წინასწარმეტყველისასა მიიღებს, ვითარცა გვარწმუნებს მოძღვარი ჩვენი (მათე. 10, 41); ხოლო თქვენ უწყით, რომ იგი არა მტყუვარ არს.

დაღათუ ცოდვილ ვარ, არამედ ქრისტე მოგიზღავთ თქვენ; რამეთუ მისთვის და სასოებითა მისითა მომაგეთ პატივი ესე. ვისთვისაც ღირსმყოფდით, საყვარელნო, მისგან მოიღებთ სასყიდელს აღთქმათა თქვენთათვის და შეიწირავს შეწირულებათა თქვენთასა. თუმცაღა არ ვარ წინასწარმეტყველი, არამედ სასყიდელსა წინასწარმეტყველისასა მოიღებთ თქვენ.

კურთხეულ არს თქვენით დასახლებული ქალაქი ედესა — მშობელი ბრძენთა! ქალაქი იგი ცხოველსმყოფელითა პირითა თვისითა აკურთხა ძემან მეოხებითა მოწაფისა თვისისათა.

დამაარსებელმან მის ქალაქისამან მეფემან ავგაროზ ინება შეწყნარება ყოველთა მეუფისა ქრისტე მაცხოვარისა, და წარ-

გზავნა კაცნი საუწყებლად სიტყვათა: „მესმა ყოველი ქმნულნი შენნი და ყოველი, რაჲცა დაითმინე განდგომილ იუდეველთაგან. მოვედ და დაემკვიდრე ჩემთანა. მცირე ქალაქი ჩემი მსახურ შენდა და ჩემდა იქნება“. მაშინ რწმენითა მის მეღისათა განკვირვებულმან უფალმან, უკვდავნი მახარებელნი წარგზავნა და აკურთხა ქალაქი იგი და განამტკიცა საფუძველი მისი.

და იყოს კურთხევა ესე მასზედა, ვინემ არ მოვალს წმიდა! ვინაც ჩემდამი აღთქმულთაგან დაინარჩუნოს რამ, დაე, ანანიას სიკვდილით მოკვდეს იგი, რომელმან იზრახა ცრუყოფა მოციქულთა და დაეცა მკვდარი წინაშე ფერხთა მათსა.

ოდეს ამას იტყოდა ეფრემ, — იქ მდგომთაგანი კაცი ვინმე დიდგვაროვანი ფრიად, უწმიდურ სულისაგან დაეკვეთა და ხმა ჰყო ხმითა დიდითა. ეფრემმა უთხრა მას: „რაი გიყოფიეს შენ, კაცო?! და ამათ სიტყვათა თანა მეყვსეულად აღსდგა კაცი იგი და მიუგო ეფრემს: „ძვირფასი სამოსი მოვიტანე შენთვის წარსატანებლად, ხოლო ოდეს უარყავ ყოველი წარსატანელი, აზრი ვიცვალე და ვსთქვი: უკეთუ თან არა წარიღებს ამგვარს სამოსელს, მაშ რისთვისღა გაშოვაჩინო იგი? გარნა თუ გლახაკთ განკითხვასა ბრძანებდი, მაშინ სხვას რასმე განვუყოფდი მათ“. ნეტარმა უპასუხა: „წარავედ და აღასრულე ზრახვა შენი“. დალოცა იგი და ხელდასხმითა განკურნა უწმიდურ სულისაგან. და ეფრემ კუალად იწყო სიტყვად:

ვინაც ცვილის სანთლით წარმიძღვეს წინა, დაე, შინაგანმან ცეცხლმან მისმან შეწვნას იგი. გარნა რად უნდა ცეცხლი მას, რომელს საკუთარი ცეცხლი სწვავს? რაც უფრო მსწრაფლ ეგზნება ხილული ცეცხლი, მით შინაგანი, იდუმალი ცეცხლი აღეგზნება.

კმა არს ჩემდა შინაგანი სენი ჩემი; ნუ გაამძაფრებთ მას გარეგანითაც. უმჯობესია ცრემლოოდეთ, ძმანო ჩემთვისა, მეგობართა და ყოველთა მსგავსთა ჩემთათვის.

ცოდვათა და ამაოებათა შინა განველე მე დღენი ჩემნი და დღესა მას, ოდეს არა ვსასოებდი, მეწია და დამეცა მე მპარავი; და ჟამსა მას ოდეს არა გულისხმავყოფდი, მოვიდა მტაცებელი და მაიძულებს განსვლად ჩემთვის უხილავ ქვეყნად.

გაფუცებ შენ, მიმტაცებელო ჩემო, ნუ მარცხვენ და მტანჯავ მე. გარნა თუ ცოდვათა ჩემთაებრ მიყოფდე, შიშითა დიდითა მოვიცვი და რაჲ მეყოს მაშინ?

ოდეს საქმეთა ჩემთა მოვიხსენებ, — მუხლი მეკვეთება, კბილთ მაცემინებს და ზარი მიპყრობს.

რამეთუ დღიდან შობისა ჩემისა ყოველთა დღეთა შინა ყოვლითურთ არარაჲ კეთილი მიქმნია.

საფლავში საკმეველს ნუ ჩამატანთ, რამეთუ ფუჭია ჩემთვის პატივი ესე. ნუცა კეთილსუნელებათა დასდებთ ჩემთანა, რამეთუ განკითხვისაგან ვერ მიხსნან მათ.

საკმეველი საკურთხეველში აკმიეთ, ხოლო მე ლოცვითა განმიტევეთ. კეთილსურნელებანი შესწირეთ ძღვნად ღმერთსა, ხოლო მე ფსალმუნთმეტყველებით მიმაბარეთ მიწასა.

საკმეველთა და კეთილსურნელებათა ფუჭად გახარჯვის ნაცვლად, ლოცვათა შინა მომიხსენებდით; გარნა რასა რკვებს მკვდარს კეთილსურნელი, რომელს ვერღა გრძნობს იგი? საკურთხეველში აკმიეთ საკმეველი, რაჲთა მასში შემავალნი აღივსებოდნენ კეთილსურნელებითა.

ბალღამის სიმყრალეს ნუ შეჰხვევთ აბრეშუმის სამოსში, რაჲც არაფრის მაქნისია. უტიეთ ცხედარსა წოლად მწვირეზე, რამეთუ არღა აგრძნებს იგი პატივსა.

მდიდარსა შვენის დიდებულება, ხოლო მწირს — უპატიობა; მეფის ჩამომავალთა ხვედრია სამეფო, ხოლო უცხოსთვის — მიუსაფრობა.

ნუ დამფლავთ თქვენთა საფლავთა შინა; რამეთუ არას მარგებს მე მოსართავები თქვენნი. ხოლო მე აღვუთქვი ღმერთსა, რაჲთა დამმარხვიდნენ გლახაკთა თანა.

მეცა გლახაკთა მსგავს ვარ და მათვე თანა განმისვენეთ, ძმანო. ყოველ ფრინველს თანაგვარი თვისი უყვარს, და კაცთაც მსგავსნი თვისნი უყვართ.

დამდევით მე სამარხსა მათსა, საცა გულითა შემუსრვილნი განისვენებენ; რაჲთა ჟამსა მოსვლისასა ძე ღვთისამ მეცა მაპკუროს და აღმადგინოს მათვე თანა.

მოხედე ღმერთო აღთქმათა ჩემთა და გარდამოავლინე მადლი შენი ჩემზედა; შენ გევედრები, ძეო მოწყალებისაო, ნუ განმიკითხავ ცოდვათა ჩემთაებრ.

„უკეთუ უშჯულოებათაებრ მიაგებდე, უფალო, უფალო, ვინ-მე დაუთმოს?“ (ფს. 129, 3). დაღათუ მოჰკითხო, არვინ განმართლდეს წინაშე შენსა.

„ყოველი პირი დაიყოს“, ვითარცა წერილ არს, „და სასჯელსა თანამდებ იყოს ყოველი სოფელი ღმრთისაჲ“ (რომ. 3, 19). არათუ სასოწარკვეთითა ვიტყვი ესრეთ, არამედ რაჲცა წერილ არს მასვე ვზრახავ.

რაჲ მოიღო ძეო მოწყალებისაო, დაღათუ ცეცხლსა მივეცე? გარდამოავლინე ჩემზედა წყალობა შენი, რაჲთა განცხადდეს მადლი შენი.

დაღათუ მკაცრად განიკითხო, მაშინ ვითარღა გვაუწყა ჭეშმარიტებამან შენმან, არცა ერთი განმართლდეს ათასთაგან და არცა ორი მრავალთაგან (ფს. 13, 3).

ნუთუ ის გამშვიდებს, ეფრემ, რომ არა განვიკითხავ კაცთა, რომ მართალნი უსჯულოთა თანა გატოლდებიან, ანუ უმწიკვლონი და სათნონი — ბოროტთა თანა?

ნუ იყოფინ; აროდეს იქნება ზიარება ნათლისა ბნელთანა. ვითარ გატოლდეს აბელი და მკვლელი მისი კაენი? ანუ ვით შეიძლება წამებულთა და მაჭირვებელთა მათთა თანამკვიდრობა, ოდეს წამებულნი ჰღაღადებენ და სწამებენ მათთვის.

იმას როდი ვამბობ და ვითხოვ, კეთილი ბოროტთან გასწორდეს; არამედ შენ გევედრები ძეო სათნოებისაო, შემიწყალო მე და მეგობარნი ჩემნი და მსგავსნი ჩემნი.

ამას ვიტყოდი და ვიტყვი და არა განვეყენები სიტყვათა ჩემთაგან; უკეთუ შენ არა მოიღებდე მოწყალებასა, ვერვინ იხილოს სასუფეველი.

რამეთუ ყოველთა ხორცშესხმულთაგან ერთია ხოლო უცოდველი. და არა ოდენ იმისთვის ვიტყვი ესრეთ, რომ თავად ცოდვილ ვარ, არამედ წერილიცა ამასვე გვაუწყებს ჭეშმარიტად.

თავი ანებე ბრძნობასა, ეფრემ, მეუბნება სიკვდილის ანგელოზი; რამეთუ არას გარგებს შენ ღვლარჭნა გონებისა და წარმტყვენველნი შენნი ყურს არ გიგდებენ შენ.

და რისხვითა კუალად მეტყვის მე ანგელოზი სიკვდილისა: დადუმდი; ყოველი შენებრ არ მოკვდება; ცოდვილს ყოველი თვისი მსგავსი ჰგონია, ხოლო ბრმას — ყველა ბრმა.

მოვედით, ძმანო და განმისვენეთ, რამეთუ ძალი მერთმევა და მალე არღა ვიქნები შორის თქვენსა; ლოცვითა და ფსალ-ბუნებითა და წყალობითა გამაცილებდით.

სიკვდილის ოცდამეათე დღეს აღასრულეთ, ძმანო ჩემთვის ხსენება.*

გარნა არ გულისხმაყოფთ, ოდეს ვენახში ცოცხალი ღვინო მოიწია, მაშინ თიხის ჭურჭელშიცა დუღს მკვდარი ღვინო?

ხახვიც კი იჩენს გრძნობას, და როცა ერთი მინდვრად აღ-მოცენდება, მაშინ მეორე სახლში ღვივდება. მით უფრო არ უნდა გრძნობდნენ მიცვალებულნი, ოდეს ხსენება მათი აღეს-რულება?

ბრძენი შემედავება: ბუნების კანონებით აღესრულება ესე და ბუნება ვერა მარწმუნებს მე, ვინემ სარწმუნოს არას წარ-მომიჩენდეო.

მტკიცებასაც აწვე წარმოვაჩენ წერილიდან. ოდეს მოსე რუბენს აკურთხევდა, უთხრა: „ცხონდენ რუბენ და ნუ მოკუ-დებინ და იყავნ იგი რიცხვით მრავალ“ (2 სჯული. 33, 6). და თუ ჰგონებს ვინმე, რომ მიცვალებულნი არა აგრძნებენ, მაშინ პავლე მოციქულს მოუსმინეთ: „უკუეთუ ყოვლად მკუდარნი არა აღდგებიან, რაისაღა ნათელს-იღებენ მკუდართათვის“ (1 კორ. 15, 29)?

ვითარცა წერილ არს, მატათიას შთამომავალნი ჭეშმარი-ტების მხოლოდ გარეგნული სახით მპყრობელნი მსხვერპლს შესწირავდნენ და მით წარხოცდნენ ბრძოლებში დაცემულთა ცოდვებს. (2 მაკაბ. 12; 40-45) ხოლო მით უფრო არ ხელეწი-ფებათ ძე ღვთისას მღვდელთმსახურთ წმიდა მსხვერპლითა და ლოცვით ცოდვათა წარხოცვა?

გარნა თუ ვინმე მოვიდოდეს ჩემდამო ხსენების აღსასრუ-ლებლად, მაშინ ნუვინ თქვენგანი ყოფს უსჯულოებასა და ცოდვას, არამედ სიწმიდითა და უბიწოებით დაადგინეთ ლოც-ვას. ესრეთ ჯერ არს, არა თუ მისთვის რომ მრუშება უმეტეს სხვათა ცოდვათაგანია, არამედ რადთა მე არ მეკითხოს პასუხი;

---

* ბერძნულ და სირიულ ტექსტებშიაც ერთნაირად იკითხება: „ოცდა-მეთა დღე“. ეს მიუთითებს, რომ ძველ ეკლესიაში იყო განსაკუთრებული წესი მიცვალებულის ხსენებისა ოცდამეათე დღესაც, სხვა დღეთა გარდა.

რამეთუ მეტყვის მე უფალი: შენ შემოჰკრიბე ეფრემ მემრუ-
შენი ესე. ხოლო წერილ არს, ვითარმედ განიკითხავს მათ უფა-
ლი სამსჯავროს ჟამსა (ებრ. 13,4).

კუალად მსურს ვთქვა, რომ ძლიერ მეშინია, საყვარელნო.
არამედ ერთგზისცა ვიტყვი ამას: ვისაცა ღმერთი განსჯის,
იგივ მოიღებს წყალობას სამსჯავროზედ.

ხორციელი ვნება სხეულში იგივეა, რაიც საფუარი —
ფქვილში. ვნება ესე კაცისაგან იშვება, ვითარცა ცეცხლი —
რკინაში და რაც მსწრაფლ აღეგზნება რკინაში ცეცხლი, მით
უფრო ალღობს და შეშჭამს მას.

მომიახლოვდით, მოწაფენო და მოიღეთ კურთხევა კურთხე-
ულისა მწყემსისა ძლით. მე ნოე არ ვარ, გარნა თქვენ იქნებით,
ვითარცა სემი და იაფეთ.

არცა მსგავს მელქისედეკისა ვარ, გარნა იყვენით თქვენ
მსგავსნი ისუსი ძისა ნავესი; არცაღა ვარ ილია, არამედ მი-
იღეთ სული ჩემი მსგავსად ელისესა.

ქრისტემან აღამაღლოს გონება შენი, საკვირველო აბბა და
განათლდეს ნათელი შენი ანგელოზთაებრ, მოსესა მსგავსად
გაბრწყინდი დიდებითა და დაე, გულისხმაყოფდნენ ყოველნი
მხილველნი შენნი, ვითარმედ მონა ღმრთისა ხარი შენ.

ღმერთმან აბრაამისამან შეისმინოს შენი, კვალსა ჩემსა შე-
მოდგომილო აბრაამ და ოდეს იზრახი ოდენ პირმეტყველე-
ბად, სიბრძნით აღგავსოს უფალმან შენმან, ვითარცა მასმიეს
წინასწარმეტყველისაგან „განავრცე პირი შენი და აღვავსო
ეგე“ (ფს. 80, 11).

ღმერთმან გისმინოს, სვიმონ, ოდეს უხმობდე ლოცვასა
შინა. რომელ ქალაქშიაც შეხვიდოდე, აგევსოს ეკლესია იქ,
ვითარცა ფიალა! შენდა მოვლიან სასძლონი და ქალწულნი
განდეგილნი მაცხოვნებელის მოძღვრებისა და შეწევნის მისა-
ღებად და სულისა ცხოვნებისა მოსაპოვებლად; სიბრძნესა და
სულისმარგებელს ისმენენ შენგნით და განითქუები სოფლად,
ვითარცა მკურნალი.

უმწიკვლო, გულწრფელო და სანდოო მარავ, რომელი შე-
ნის ნების უბრალოებით იქმენ უმწიკვლო. რომლისა სასოები-
თაცა მეზიარე ტანჯვათა შინა, მანვე მოგიზღას შენ სასყიდე-
ლითა მართალთა თანა, რომელთაც წმიდანნი მოიღებენ!

მხედარო და მებადურო, ზინობი მესოპოტამიელო, დაე, სიტყვა შენი იყოს ცეცხლებრი და შესწვავდეს იგი მწვალებლობათა; ვითარცა ალი ტყესა, ესრეთ გარუჯვიდეს სიტყვა შენი მათ; სძლევდი, ვითარცა დავით და დაამხობდი ძეთა ცთომილთასა სანაცვლოდ გოლიათისა; შეიჭურვე წინასწარმეტყველთა საჭურველითა და აბჯრითა მოციქულთაჲთა; უფალი შენი გიძღვოდეს შენ უძლეველ მხედრიონად!

წყეულიმც იყოს მშობელი შენი, პავლონ! უბედურია საშო შენი გამჩენი! რამეთუ წილდებულ ხარ ყოველგვარ მწვალებლობისა, და მთხზველი ყოველგვარ დავისა, ამისთვის გაუქმდა ყოველი ღვაწლი შენი, მსგავსად იუდა — ვერცხლისმოყვარისა. შენგნით დატევებული სვეტი (1 ტიმ. 3, 15) გიჩინებს სასწაულს შენსავ სხეულზე; რამეთუ შემუსვრილ ლერწამზე დასდევ სასო და დაუტევე ძელი ჯვარისა.

მეამბოხე არვატ, დაე, აღიხოცოს სახელი შენი ცოცხალთა შორის, რამეთუ დაუტევე შენ ღვინო ქრისტესი და სმიდი მთხლესა ცოდვისასა. მოგეკითხოს შენ ძისაგან, რომელსაცა გმობდა პირი შენი!

წყეულიმც იყვნენ არიანელნი და მანიქეველნი, კათარები და ოფიტები, მარკიონელნი და ევდომინები.

წყეულიმც იყვნენ პავლიკიანელები და ვალენტიანელნი, მეშაბათეები და სხვანიცა ყოველნი უწმინდურნი მწვალებლობანი მოძღვრებითურთ თვისითა.

კურთხეულ არს, ვინაც წმიდა ეკლესია ირჩია. ესე არს ჯრავი, რომელი ვერა წარიტაცა მგელმან; ესე არს მტრედი უმანკო, რომელსაც ვერა ეწია ქორი.

„რამეთუ სასუმელი ხელთა შინა უფლისათა ღვინისა ურწყოისა სავსე არს სხმულითა“ (ფს. 74, 8). შესვეს იგი განდგომილთა და დაითვრნენ და განდგნენ და აღსდგნენ იესოზე.

როგორც ცოფიანი ძაღლი ეღირება თვის პატრონს, ასევე განდგომილნიცა ანთხევენ გმობას თვის მეუფეზე.

დიდება მას, ვინც მათზე აღმაღლდა და ვინაც მიუწვდომელია! ხოლო უკეთუ უწმინდურთ ხელეწიფებოდეთ ზეცად აღსვლა, მაშინ იქაცა შეიტანდნენ შუღლს თვისსა.

ოდესმე შეჰბედეს და ისურვეს ზეცად აღსვლა; არამედ

ჭეშმარიტებამ განიკითხა და ამხილა ისინი და შეიკდიმეს უწ-
მინდურთა.

დაღათუ ესრეთ განიკითხნენ ზეცადა აღსვლის მსურველნი
და დაისაჯნენ, მაშინ ვითარის განიკითხვიან, ძმანო, ის კადნი-
ერნი, რომელთაცა უგულვებიათ განყოფა მამისა, ძისა და სუ-
ლისა წმიდისა?

მოძღვრება ჩემი დაიმარხენით და ნუ გარდახვალთ მას,
მოწაფენო ჩემნო. ვინაცა იჭვობს ღმრთისა მიმართ, ვითარცა
კაენი იყოს იგი ქვეყნად „იწროებითა და ძრწოლითა“ (დაბ.
4, 12).

ვინაცა ძისა მცირობა სთქვას წინაშე მამისა, ცოცხლად
შთანთქას იგი მიწამან. ვინაც სული წმიდისათვის იჭვობდეს,
შენდობა ვერ მოიღოს მან.

რომელი აღუდგეს ეკლესიას, კეთრმან დაფაროს ხორცნი
მისნი მსგავსად გიეზისა. ვინც რწმენას ჩემსას განუდგეს, იუ-
დასამებრ შეიშთვას იგი.

დიდი უსჯულოებაა გმობა, ივლტოდეთ მისგან, ძმანო;
ღმრთისა ცხოველისადა სცოდავს. ძვირის მთქმელი და მგმო-
ბელი. ხორციელი ცოდვანიცა კმა არს ჩვენდა და ნუღა მივუ-
მატებთ მას უწმინდურებას.

ამასა ოდენ ვსასოებ ღმრთისა წინაშე და ვნუგეშობ, რომ
აროდეს მიძრახავს მე უფალი ჩემი და გმობა პირითგან არ
გამომსვლია. რამეთუ მძაგდა, უფალო მოძულენი შენი და არ
ბიყვარდა მტერნი შენნი.

გულთა შინა დაიწერდით სიტყვათა ჩემთა და მომიხსენი-
ებდით მით; გარნა შემდგომად სიკვდილისა ჩემისა მოვლენ
თქვენთანა უსჯულონი „სამოსლითა ცხოვართაითა, ხოლო ში-
ნაგან იყვნენ მგელ მტაცებელ“ (მათე 7, 15).

ტკბილია სიტყვა მათი, ოღონდ გული აქვთ სავსე ბალღა-
მით. კეთილად ჩანან, გარნა სატანით წარმოსდგებიან. ივლტო-
დით მათგან და მათის მოძღვრებისაგან და ნუ შეეყოფით მათ.

უწყოდეთ, რომ თუ მეფის განქიქებისათვის შეგიპყრეს, წა-
გიყვანებენ სამსჯავროზე და დაგკითხავენ. თუმცალა შენ არ
შეურაცხგიყვია მეფე, გარნა პასუხს გაგებინებენ და დაგსჯი-
ან, რომ შური არ იძიე მეფისთვის. ამისთვის ნუ ეზრახვი ცრუ-
მოძღვრებს და ნუ შეერთვი ცთუნებულთ.

ეშმაკთან ცხოვრება სჯობს, ვინემ ცთუნებულთან.

ეშმაკს აფუცებ და განივლტის, რამეთუ არა ხელეწიფება იესოს სახელის წინააღდგომა; გარნა კი, თუ ათასგზის აფუცო ცთომილს, არღა დაიშლის თვის ბოროტებას.

ეშმაკის დამოძღვრა უფრო იოლია, ვინემ ცთომილ ძეთა მოქცევა. ეშმაკნი აღიარებდნენ და იტყოდნენ: „შენ ხარ ძე ღმრთისა“ (მარკ. 3, 11); ცდუნებულნი კი ჯიუტად უარყოფენ, რომ არა არსო იგი ძე ღვთისა.

მათში ჩასახლებული სატანა აღიარებს, ისინი კი, თავისაზე დგანან ჯიუტად. დაღათუ შიშველ ქვაზე ბზე აღმოცენდების, მაშინ გარდაგულარძნილიც შეიძლებს მოქცევას. წერილის მიხედვით, მთა უადვილეს ჩამოივაკებს, ვინემ განდგომილი სცნობს ჭეშმარიტს. დაღათუ ყორანი გათეთრდების, მაშინ უსჯულოც მართალ შეიქმნება.

თოვლიან ზამთარს, ოდეს ყვავს ფრთები დაეთოვლება მაშინ, თეთრადა ჩანს ყვავიც წამისყოფით. მსგავსადვე უსჯულონიც. ოდეს სამსჯავროს შესახებ ისმენენ ზოგჯერ ძრწოლა შეუდგებათ მომავალი ტანჯვისათვის, მცირე ხნით სინანულს შეუდგებიან, წამისყოფითა სტოვებენ თვის ცხოვრების წესს და კუალად მიიქცევიან თვის უსჯულოებაზედ.

მოწაფენო ჩემნო, ყურად იღეთ და დაიმარხეთ მოძღვრება ჩემი და ნუ გარდახვალთ რწმენისა და სიტყვისა ჩემისაგან.

ჟამი მოვალს, ოდეს აღსრულდეს ყოველი წერილი და აღესრულოს წინასწარმეტყველებაცა: „ვიდრემდის წარხდეს ცაი და ქუეყანაი, იოტა ერთი გინა რქაი ერთი არა წარხდეს სჯულისაგან“ — ვითარცა ჰფიცა მოძღვარმან ჩვენმან (მათე 5, 18). ხოლო უწყით, ვითარმედ მართალ არს იგი*.

აგერა, მოვალს, და ახლოსველაა წარმტყვენელი ჩემი. თავი ანებე, ეფრემ ბრძნობასა. და გეეედრები შენ, უფალო იესო, ვითარცა ვედრის კაცი მეგობარს თვისსა: ნუ დამადგინებ მარცხენით შენსა, ოდეს მოხვიდე.

---

* სირიულ ორიგინალში ამ სიტყვებს მოსდევს ერცელი მოთხრობა — ეგვიპტელ მოგვებთან მოსეს ბრძოლისა, რომელიც სრულიად არ ესადაგება ანდერძს და წყვეტს მის მთლიანობას. გამომცემლის შენიშვნით ეს მოთხრობა ეფრემის სხვა რომელიმე თხზულებიდან უნდა იყოს ამოღებული და უგუნურ გადამწერთაგან აქ ჩამატებული.

კუალადცა გეტყვით რასმე და ვფიცავ ტყუილი არ არის. ოდეს ჯერეთ ყრმა ვიყავ და დედის კალთას ვესვენე, მაშინ სიზმრისეულად მეჩვენა ესე, რაიცა შემდგომ აღსრულდა: ენაზე ვაზის რტო ამომეზარდა და აღმოცენდებოდა მაღლა და მაღლა და მაღლდებოდა ვინემ ზეცამდე; უთვალავი მტევნით იხუნძლებოდა, კვლავ აღორძინდებოდა ვაზი იგი და განივრცო ქვეყნად სრულიად; ნაყოფსა კრეფდნენ მისგან და ნაყოფი არ ილეოდა და რაც მეტსა კრეფდნენ — მეტადა მრავლდებოდა.

მტევნები — საუბრებია, ფოთოლი — საგალობლები, მომნიჭებელი ამათი — ღმერთი. დიდება უფალს მადლისა ამისთვის, რამეთუ კეთილებითა თვისითა მომანიჭა მე ესე საუნჯეთაგან თვისთაგან.

მშვიდობით, მეგობარნო ჩემნო. ლოცვა ჰყავთ ჩემთვის, საყვარელნო. აჰა, ჟამი არს მიდრკეს მოვაჭრე თვისსავ ქვეყანას. მაგრამ ვაი, რომ მამული ჩემი მოოხრებულა და საგანძური ყოველი გაბნეულა. კეთილთ არავინა სტირის, რამეთუ ისინი სამარედ ცხოვრებისათვის დაიფლვან. გარნა ჩემთვისა, მახლობელთა ჩემთა და მსგავსთა ჩემთათვის დათხიეთ ცრემლნი, ძმანო; რამეთუ ამაოებაში განვლიეთ ჩვენ დღენი ჩვენი.

მშვიდობით სოფელო, სიხარულით ეგნენ ძენი შენნი და ვიდოდიან ეკლესიად, აღკვეცილიყვნენ უწმინდურნი და განწმენდილიყვნენ, ცოდვილთა სინანული ეყოთ!

მშვიდობა შენდა გამყვანებელო და განმაშორებელო სულისა ჩემისა ხორცთაგან, ვიდრე აღდგომამდის.

ოდეს ამასა იტყოდა ეფრემ, და ერი ყოველი გოდებდა, — იქავ მყოფი ქალწული ერთი, სახელად ლამპროტატა, ასული ედესის მხედართმთავრისა, მწარითა ხმითა მოთქმიდა და შესძახა ესრეთ: ედესა იღუპება, რამეთუ აწ იქცევა ზღუდე მისი და ქრება აწვე ნათელი მისი; შემდგომ განაპო ქალწულმა კრებული და მივიდა სნეულთან და დაემხო მკერდსა მისსა და ცრემლითა ეტყოდა: გაფიცებ შენში დამკვიდრებულს და მას, რომელიც იტყვის შენს მიერ, გეეედრები ნება მეც შევკრა

კუბო ჩემთვის ვითარცა მნებავს და დავდვა ფერხთა შენთანა, რათა არა განგეშორო სასუფეველში და თუნდაც გეჰენიაში.

— განვედი ჩემგან, ქალწულო, უფალმა ადიდოს სახელი შენი! არამედ მარცხვენს მე ვედრება შენი და მწარეა სასმენლად ჩემთვის სიტყვანი შენნი. ჭეშმარიტადა გფერის ვოთქმა, მაგრამ არ ხელმეწიფება შენის თხოვნის აღსრულება; მეშინის ცდუნებისა, რაჲთა შემდგომად ჩემის სიკვდილისა არა იტყოდიან, ვითარმედ: უყვარდაო იგი ეფრემს. წარვედ და აღასრულე რასაცა ითხოვ, არამედ სხვანიცა თანაზიარ ეყვნენ საქმესა შენსას. ხოლო ნუ შეთხზავ ძვირფას კუბოსა, რამეთუ პატივი არა შემფერის. მცნებასა ერთსა გაძლევ შენ და დედათა ყოველთა და მეგობართა შენთა: ნუ იხმართ ტახტრევანთა და ნუ მისცემთ უფლებას მამათა თავზედ თქვენის ტარებისას, რამეთუ მასმიეს სიტყვანი მოციქულთანი: რომ თავ მამაკაცისა ქრისტე არს (1 კორ. 11, 3). გახსოვდეს, რომ გელის სამსჯავრო და რაჲთა არა შეიგინო წინაშე მსაჯულისა. წერილ არს — თვითოეულს მოეკითხება საქმეთა მისთაებრ (რომ. 2, 6).

მაშინ აღუთქვა ქალწულმა მოძღვარს და წინაშე ერისა წარსთქვა: ვფიცავ ღმერთს, რომელსა სიყრმითგან ვინემ სიბერემდის მსახურებდი, რომ არღა ვიხმარ ტახტრევანს და მამანი არღა შემიდგამდნენ მე. დაღათუ ცრუდა ვფიცავდე, დაემხოს ყმაწვილქალობა ჩემი; და თუ გარდავხდე მცნებასა შეხსა, შეგინებულ ვიქმნე წინაშე ყოველთასა.

ნეტარმან მიუგო: მივიცვალები და მსურს გაკურთხო: არა განეშოროს სახელსა შენსა მეუფება უკუნისამდე. ვინაჲ არ მოვალს უფალი შეძრვად ცისა და ქვეყნისა.

თარგმნა მარინა ნიაურმა

წმ. იოანე ოქროპირი

როგორ გავზარდოთ შვილები უფლის სწავლითა და

(ოცდამეერთე საუბარი ეფესელთა მიმართ ეპისტოლეზე)

ეფესელთა მიმართ ეპისტოლეში პავლე მოციქული მშობლებს შვილების გაზრდის კანონს უდგენს და ეუბნება: „მამანი ნუ განარისხებთ შვილთა თქუენთა, არამედ განზარდენით იგინი სწავლითა და მოძღვრებითა უფლისაჲთა“ (ეფეს. 6, 4). გინდა, მორჩილი შვილი გყავდეს? ბავშვობიდანვე უფლის სწავლითა და მოძღვრებით გაზარდე. არ გეგონოს, თითქოს საღმრთო წერილის მოსმენა ზედმეტი იყოს მისთვის. იქ იგი პირველ ყოვლისა შენთვის სასარგებლო მცნებას ამოიკითხავს — პატივი ეც მამასა და დედასა შენსაო. ნუ იტყვი, საღმრთო წერილის კითხვა მონაზონთა საქმეა, მონაზვნობას ხომ არ ვუპირებო. ჯერ ერთი, რისი გეშინია, იმისი, რაც მრავალი სიკეთის მომტანია კაცისთვის? მეორეც, უპირველესად ქრისტეანად გაზარდე შვილი, რამეთუ ერისკაცებსაც ძალიან სჭირდებათ ღაღმრთო წერილში გადმოცემული სწავლება, განსაკუთრებით ბავშვებს, მათ ხომ ჯერ კიდევ ბევრი რამ არ იციან. და თუმცა ღმრთაებრივ ჭეშმარიტებებზე წარმოდგენაც არა აქვთ, სამაგიეროდ უკვე სმენიათ წარმართული თხზულებები, იქ კი იმ ხალხის ცხოვრებაა მოთხრობილი, ვინც ვნებებს ემონებოდა და ვისაც სიკვდილისა ეშინოდა. შენს შვილს ცხოვნების გზაზე გაძღოლა სჭირდება „სწავლითა და მოძღვრებითა უფლისაჲთა“. მაშ, განა უგუნური საქციელი არაა ბავშვს ასწავლო ხელოვნების ყველა დარგი, სკოლაში ატარო, არაფერი დაიშურო მისი განსწავლისათვის, უფლის სწავლითა და მოძღვრებით განათლებაზე კი. სრულიად არ იზრუნო? ამიტომაც ვიმკით პირველნი ჩვენი შვილების ასეთი გაზრდის ნაყოფს, როდესაც მათ თავხედობას, კადნიერებას, სიჯიუტესა და გარყვნილებას ვაწყდებით! ვისმინოთ ნეტარი პავლესი, გავზარდოთ ჩვენი შვილები უფლის სწავლითა და მოძღვრებით, ვუჩვენოთ მათ ღმრისმსახურების მაგალითი, სიყრმიდან-

ვე ვუკითხოთ წმიდა წერილი. გამაგებინეთ, რატომ არ ბაძავთ ძველებს? განსაკუთრებით თქვენ, დედებო, მოსწრაფედ უნდა მიჰყვებოდეთ საკვირველი ძველი დედების კვალს. გაგიჩნდა შვილი? მიბაძე ანას, სამოელის* დედას. გაიხსენე, როგორ მოიქცა იგი: უმალ ღმრთის ტაძარში მიიყვანა თავისი ძე. რომელი ჩვენგანი არ არჩევდა ერთი შვილი ჰყოლოდა და სამოელისთანა, ვიდრე მთელი ქვეყნის მეფედ ეხილა იგი? მეტყვი, განა ეს შესაძლებელიაო? რატომ არის შეუძლებელი? მხოლოდ ისურვე და მიანდე იგი მას, ვისაც ყოველივე ძალუძს. მკითხავ, ვინ არის ასეთიო? ღმერთია ასეთი. ამიტომაც მას მიანდო ანამ თავისი ძე. თვითონ ელის* არ შეეძლო მისი გაზრდა და განსწავლა, იმან საკუთარ შვილებსაც ვერაფერი მოუხერხა, მაგრამ დედის სარწმუნოებამ და გულმოდგინებამ ყველაფერს სძლია. პირველშობილი ყრმის დედას, თუმცა არ იცოდა, ეყოლებოდა თუ არა სხვა შვილები, არ უთქვამს, მოდი, დავიცდი, წამოიზარდოს, შინ გაატაროს სიყმაწვილის წლებიო. იგი მხოლოდ იმას ფიქრობდა, ღმერთისთვის შეეწირა შვილი. შეგვრცხვეს ჩვენ, მამაკაცებს, ქალის ასეთი სიბრძნისმოყვარება — მან ღმრთის ტაძარში მიიყვანა და იქ დატოვა თავისი ძე. ამით თავისი ქორწინებაც განადიდა, რამეთუ ქორწინების პირველი ნაყოფი ღმერთს შესწირა და დაამტკიცა, რომ ამ კავშირში ღმრთის წინაშე სათნო-ყოფას ეძიებდა და არა ხორციელ ტკბობას. ამიტომაც იქმნა მისი საშო კეთილნაყოფიერი და მას, ადრე უნაყოფოს, სხვა შვილებიც მიეცა, ამიტომაც გახდა ღირსი იმის ხილვისა, თუ რა პატივსა და დიდებას მიაგებდა ხალხი მის ძეს. რამეთუ, თუკი ადამიანებმა იციან პატივისცემის პატივისცემით გადახდა, მით უფრო სამართლიანია ღმერთი, რომელიც ხშირად მაშინაც კი იქმს ამას, როდესაც თვითონ არ სცემენ პატივს. მაშ, როდემდე ვიქნებით მხოლოდ ხორციელი ადამიანები, როდემდე ვეთრევით მიწაზე? ყველა სხვა საქმე უმნიშვნელოდ შევრაცხოთ ერთის წინაშე — გავზარდოთ ჩვენი შვილები უფლის სწავლითა და

* სამოელი — ღმრთის დიდი წინასწარმეტყველი.

* ელი — მღვდელმთავარი. სუსტი ხასიათის გამო ჯეროვნად ვერ გაზარდა შვილები — ოფნი და ფინეზი. ამიტომ ღმერთმა დასაჯა მისი შვილებიცა და თვითონ ელიც.

მოძღვრებით. ვინც პირველ ყოვლისა სიბრძნისმოყვარებას მოიპოვებს, ის მისი შემწეობით მოიხვეჭს ყოველ სიმდიდრეზე აღმატებულ სიმდიდრესა და დიდებას. შენს შვილს იმდენს ვერაფერს არგებ მეცნიერებების სწავლებით, რომელთა მეშვეობითაც სიმდიდრის შეძენას შეძლებს, რამდენადაც იმით, თუ ფულის არარად ჩაგდების ხელოვნებას ასწავლი. თუ გინდა, მდიდარი იყოს, ასე მოიქეცი. მდიდარი ის კი არ არის, ვინც მამულის შეძენასა და ბევრი ფულის შოვნაზე ზრუნავს, არამედ ის, ვისაც არაფერი სჭირდება. ეს ჩააგონე და ეს ასწავლე შენს შვილს, ესაა უდიდესი სიმდიდრე. ნუ ეცდები, გარეგნული განსწავლულობით გახადო ცნობილი და ამით მოუტანო დიდება, ეცადე ასწავლო ამა სოფლის დიდების მოძულება, მაშინ მას სახელიც მეტი ექნება და დიდებაც. ეს მდიდარსაც ხელეწიფება და ღარიბსაც. ამ ცოდნას საერო მასწავლებლები და მეცნიერებები როდი იძლევიან, არამედ საღმრთო წერილი. ნუ ინატრებ, რომ შენმა შვილმა დიდხანს იცოცხლოს ამსოფლად, იმაზე იზრუნე, რომ საუკუნო და დაუსრულებელი ცხოვრების ღირსი გახდეს, მიეცი მეტი და არა ნაკლები. შეისმინე მოციქულის სიტყვები: „განზარდენით იგინი სწავლითა და მოძღვრებითა უფლისაჲთა". მჭევრმეტყველად გამოზრდას ნუკი მოუნდომებ, სიბრძნისმოყვარება ჩაუნერგე. მჭევრმეტყველი თუ არ დადგა, ამით დიდი არაფერი დააკლდება, ხოლო თუ სიბრძნისმოყვარება არ ექნა, ყველაზე დახვეწილი მჭევრმეტყველებაც კი ვერას არგებს. საჭიროა კეთილი ქცევა, და არა მახვილგონიერება, ზნეობა, და არა მჭრელი სიტყვა, საქმე და არა სიტყვები: ესენი მოგვანიჭებენ სასუფეველს, ესენი მოგვმადლიან ჭეშმარიტ სიკეთეებს. ენამჭევრობას ნუკი ცდილობ, სული განიწმიდე. ამას იმისთვის როდი ვამბობ, რომ საერო განათლება აგიკრძალოთ, არამედ იმისთვის, რომ მას ერთადერთს არ მიეჯაჭვოთ. ნუ გგონიათ, თითქოს მხოლოდ მონაზვნებს სჭირდებოდეთ საღმრთო წერილის ცოდნა, იგი იმ ყრმათათვისაც აუცილებელია, ვინც საერო ცხოვრებას აპირებს. ხომალდის მზადებისას საჭე და მეზღვაურები იმას როდი სჭირდება, ვინც მუდამ ნავმისადგომზე დგას, არამედ იმას, ვინც ზღვაზე მოგზაურობს. იგივე ითქმის მონაზონსა და ერისკაცზე. პირველი მშვიდ ნავსაყუდელში იმ-

ყოფება და უზრუნველი ცხოვრება აქვს, მოშორებულია ამა სოფლის დიდ ღელვას, მეორე კი, მუდამ ზღვაშია და ტალღებს ებრძვის. და თუნდაც თვითონ არაფრად სჭირდებოდეს წმიდა წერილის ცოდნა, სხვების გასაჩუმებლად უსათუოდ გამოადგება.

ასე რომ, ვინც მეტი პატივით სარგებლობს ამ სოფელში, იმისთვის მით უფრო საჭიროა ასეთი განათლება. ვთქვათ, კაცი მეფის კარზე მსახურობს. იქ ბევრი ელინია, ვისაც ფილოსოფია უსწავლია და ამაო დიდებით მოაქვს თავი, იქ ყველა ამპარტავანი და თავმომწონეა, ვინც ასეთი არ არის, ისიც იმას ცდილობს, ასეთი გახდეს. წარმოიდგინე, რა კარგი იქნება, რომ შენი შვილი, გამოცდილი ექიმივით, მათ წრეში შევიდეს და ხელთ ეპყრას იარაღი, რომლითაც თვითეული მათგანის ამპარტავნებას მოთოკავს, ყველას ეტყვის რაიმე სულის სარგოს, განკურნავს ავადმყოფ სხეულს, საღმრთო წერილიდან მოუყვანს სათანადო დარიგებას. ბერი კი ვის ელაპარაკოს? თავისი სენაკის კედელს თუ სახურავს? ტყეს თუ უდაბნოს? მთებსა თუ ხეებს? მას თითქოს ასე ძალიან არ სჭირდება საღმრთო წერილის ცოდნა, და ამის მიუხედავად ცდილობს სრულყოფილებას მიაღწიოს ამ საქმეში, სხვისთვის კი არა, საკუთარი თავისთვის ცდილობს. ამა სოფლის მკვიდრთათვის ხომ მით უმეტეს აუცილებელია წმიდა წერილს კარგად შესწავლა, რამეთუ ერისკაცებს მეტი საბაბი აქვთ ცოდვისა, ვიდრე მონაზონებს. ასეთი ცოდნით განათლებულ კაცს მაღალ საზოგადოებაშიც სიამოვნებით მიიღებენ, ყველა პატივისცემით მოექცევა, რაკი დაინახავენ, რომ იგი არაა ფიცხი, არ მიელტვის ხელისუფლებას, თუმცა ხელისუფლება მას მაინც მიეცემა და მეფესაც დიდ პატივში ეყოლება, რამეთუ ასეთი კაცი ვერსად დაიმალება: ბევრ ჯანმრთელს შორის კიდევ ერთი ჯანმრთელი შეიძლება ვერც შენიშნონ, მაგრამ უამრავ ავადმყოფებში ერთი ჯანმრთელი რომ გამოერევა, მისი ამბავი მალე მიაღწევს მეფის ყურამდე და სხვების მართვასაც მიანდობენ. და რაკი ეს იცით, „განზარდენით შვილნი თქუენნი სწავლითა და მოძღვრებითა უფლისაჲთა“. მკითხავ, თუ კაცი ღარიბია, მაშინ როგორღა მოვიქცეთო? თუ ღარიბია, ღარიბად დარჩეს. ბეფის კარზე თუ ვერ მოხვდა, იმაზე ნაკლები

მაინც არაფრით იქნება, ვინც იქ მსახურობს, პირიქით, გაკვირვებასაც გამოიწვევს და მალე მიიღებს იმ ძალაუფლებას, რაც თვითონ სურს, და არა იმას, რაც წარმომავლობით ეკუთვნის. რამეთუ, თუკი ელინები, რომლებიც ხუთ დრაჰკანზე მეტად არ ღირან, კინიკოსები, რომლებმაც ამავე ფასად ღირებული ფილოსოფია მიიღეს (სულ ესაა მთელი ბერძნული ფილოსოფიის ფასი, ანუ, უფრო სწორად, ფილოსოფიისა კი არა, მისი სახელწოდებისა), მოკლედ, თუკი ყველა ესენი მანტიებში გამოეწყვნენ, თმა მოუშვეს და ბევრ ადამიანში მოკრძალების გრძნობას იწვევენ, განა ჭეშმარიც სიბრძნისმოყვარეს გაცილებით მეტი არ ხელეწიფება? თუ მხოლოდ ფუჭი გარეგნობა, მხოლოდ აჩრდილი ფილოსოფიისა ასე აღამაღლებს, წარმოიდგინეთ, რა მოხდება, თუ ჭეშმარიტ, ნათელ სიბრძნეს შევიყვარებთ? განა ყველა პატივისცემით არ განიმჭვალება ამ სიბრძნის მიმართ, განა ასეთ ბრძენს სიხარულით არ მიანდობენ სახლსაც და ბავშვებსაც? გნებავთ, სიბრძნისმოყვარე ერისკაცები დაგისახელოთ? თუნდაც აბრაჰამი ვთქვათ, რომელზედაც ხშირად მიგვითითებენ ხოლმე და გვეუბნებიან: მას ხომ ჰყავდა ცოლი? ხომ ჰყავდა შვილები? მეც იგივეს გეტყვით, რასაც თქვენ გვეუბნებით: ცოლი კი ჰყავდა, მაგრამ მის გამო როდი გახდა სახელოვანი, მდიდარიც იყო, მაგრამ არც სიმდიდრით სათნო-ჰყოფია ღმერთს. შვილებიც ესხა, მაგრამ არც ამისთვის იყო კურთხეული. სამასჩვიდმეტი სახლეული ჰყავდა, მაგრამ ამიტომ როდი გახლდათ გაოცების ღირსი. გნებავს იცოდე, რითი გახდა სახელგანთქმული? უცხოთა შეწყნარებით, სიმდიდრის არად ჩაგდებითა და სიმდაბლით. მითხარი, რა ახასიათებს სიბრძნისმოყვარე კაცს? სიმდიდრისა და ძალაუფლების მოძულება, შურსა და სხვა ვნებებზე მაღლა დგომა. ახლა ვნახოთ, იყო თუ არა აბრაჰამი სიბრძნისმოყვარე. ჯერ ერთი, მან ღმრთის გულისათვის მიატოვა მამული. „ჰრქუა მას უფალმან: გამოვედ ქუეყანისაგან შენისა და ნათესავისაგან შენისა“ (შესაქ. 12, 1), და ისიც უმალ გამოვიდა. ვერც მშობლიურმა სახლმა დააკავა, ვერც მეგობრებმა, ვერც სხვა სიკეთეებმა. აბრაჰამი სიმდიდრესა და დიდებასაც არაფრად აგდებდა. მაგალითად, როდესაც ომში მეტოქე გააქცია და ნაალაფევს სთავაზობდნენ, ზიზღით

უარყო იგი. მისი შვილიც სიმდიდრით კი არ გახდა სახელგანთქმული, არამედ უცხოთა შეწყნარებით, არა იმით, რომ შვილები ჰყავდა, არამედ იმით, რომ მორჩილება ჰქონდა, არა იმით, რომ ცოლი ჰყავდა, არამედ იმით, რომ ეს ცოლი უნაყოფო იყო. ორივე, აბრაჰამიცა და ისაკიც, არარად მიიჩნევდნენ სააქაოს, სიმდიდრეს არ ეძიებდნენ, და შეურაცხყოფდნენ ყოველივე ამაოს. მითხარი, რომელი მცენარეა ყველაზე უკეთესი? ის ხომ არა, რომელიც თვითონაა ძლიერი, რომელსაც წვიმა, სეტყვა, ქარი და ბუნების სხვა მოვლენები ვერაფერს აკლებს, დგას გაშლილი და არც რამეს გადაფარება სჭირდება, არც შემოღობვა, იმას არაფერი ეკარება. ასევეა ჭეშმარიტი სიბრძნისმოყვარე, ასეთია მისი სიმდიდრე! მას არაფერი გააჩნია და ყოველივე აქვს, ყოველივე აქვს და არაფერი გააჩნია. რამეთუ კედელი შიგნით კი არა, გარედანაა აღმართული, გალავანიც ჩვეულებრივი კი არა, ღმრთისაგან ბოძებული არტყია. ისიც გამაგებინე, რომელი სხეულია უფრო ძლიერი, ის, რომელიც ჯანსაღია, კარგად გადააქვს შიმშილი, არც ყინვა აწუხებს და არც სიცხე, თუ ის, რომელიც ყოველივე ამას ძნელად იტანს და გარდა ამისა მზარეულები, მკერავები, მონადირეები და ექიმები სჭირდება? მართლაც, მხოლოდ ჭეშმარიტი სიბრძნისმოყვარისთვისაა ზედმეტი ეს ყველაფერი და ისაა ნამდვილად მდიდარი. ამრიგად, გარეგნულ სიკეთეებში ნუ ეძიებთ მფარველობას თქვენი შვილებისათვის, არამედ გაზარდეთ ისინი მოციქულის მცნების თანახმად. ეს იქნება მათი სიმდიდრეცა და დიდებაც. როდესაც დროებითი დიდება და სიმდიდრე გარდახდება — ისინი ხომ უმტკიცონი არიან — მათი მფლობელი ემსგავსება სუსტ, დაავადებულ მცენარეს, რომელსაც არამცთუ არავითარი ნაყოფის გამოღება არ შეუძლია, პირიქით, ზარალშიც აგდებს პატრონს. ასევე გალავანი, რომელიც ქარისგან ვერ იცავს, ვერც ამოძირკვისგან გადაარჩენს ხეს. მაშასადამე, სიმდიდრე მეტისმეტად მავნე ყოფილა, როდესაც მის გამო ცხოვრების ცვალებადობას მოუმზადებელნი ვხვდებით. მოდი, ისე გავზარდოთ შვილები, რომ ყოველივეს მშვიდად დათმენა შეძლონ და იცოდნენ, როგორ უნდა მოიქცნენ მათზე მოწევნული უბედურებების ჟამს. გავზარდოთ ისინი უფლის სწავლითა და მოძღ-

ვრებით, ამისთვის დიდ ჯილდოს მოვიპოვებთ. მართლაც, თუ-კი ის ადამიანი, ვინც მეფის პორტრეტს ხატავს, დიდ პატივ-შია, განა ბევრად მეტ სიკეთეს არ მოვიხვეჭთ ღმრთის მსგავ-სების აღდგენისათვის ჩვენ, ვინც ზეციური მეუფის ხატებას ვქმნით? სწორედ, ამას შეიძლება მივამგვანოთ ჩვენი საქციე-ლი, თუ ვასწავლით შვილებს იყვნენ კეთილნი, ურისხველნი, ძვირუხსენებელნი, მოსწრაფედ მქმნელნი სიკეთისა, კაცთმოყ-ვარენი, როგორიც თვით ღმერთია, თუკი ჩავაგონებთ, არარად შერაცხონ ამა სოფლის ყოველი სიკეთე.

თარგმნა რუსიკო ბუაჩიძემ

ხუმრობისათვის
(მეჩვიდმეტე საუბარი ეფესელთა მიმართ ეპისტოლეზე)

ბილწსიტყვაობასა და ხუმრობას გარყვნილობამდე მივყავართ. თავი დაანებე ხუმრობასა და მახვილსიტყვაობას, ნურც აქმით ჩაიდენ რაიმეს მაგდაგვარს. ხუმრობა ჩვენ არ შეგვფერის. აბა რას გვარგებს იგი? სიცილს გამოვიწვევთ მხოლოდ. ჩვენ არ უნდა ვთქვათ არც ერთი უქმი სიტყვა, რამეთუ უქმსიტყვაობიდან უხამსობამდე ერთი ნაბიჯია. ახლა მხიარულების კი არა, სულთქმის, ტირილისა და ვაების დროა, შენ კიდევ ხუმრობ? თუ გინახავს, ასპარეზზე გამოსულ მებრძოლს ბრძოლა მიეტოვებინოს და ხუმრობა დაეწყოს? ახლოა ეშმაკი, გარს გიევლის, ბღღვინავს, შენს გადაყლაპვას ლამობს, ათასგვარ ხრიკებს აწყობს შენს წინააღმდეგ, ფიქრობს, როგორ გამოგაგდოს თავშესაფრიდან, კბილებს აღჭრიალებს, ცეცხლს აჩაღებს შენი ცხოვნებისათვის ხელის შესაშლელად, შენ კიდევ დამდგარხარ და ხუმრობ, უქმსა და უხამს ლაპარაკს აჰყოლიხარ. ასეთი საქციელით ეშმაკს რას დააკლებ? ბავშვებივით ვერთობით, საყვარელნო! ისმინე, რას ამბობს პავლე მოციქული, ამსოფლით განსვლას რომ ეპირება: „რომელნი-ესე ვართ ხორცსა ამას შინა, ვკუნესით“ (2 კორ. 5, 4). შენ კი იცინი და ერთობი? ომის დროა, შენ კი მსახიობის ხელობას მოჰკიდებიხარ? ვერ ხედავ მებრძოლთა სახეებს, რა მკაცრნი და შეუვალნი არიან? წარბები შეუკრავთ შიშის მომგვრელად, სახე სასტიკი აქვთ, გული — კეთილი, გონება — გაბედული, სწრაფი და გამჭრიახი, ფრთხილი და მოუსვენარი, თავიანთ რიგებში დიდ წესრიგს, სიმწყობრესა და სიჩუმეს იცავენ. იმაზე აღარას ვამბობ, რომ უჯერო სიტყვა არ დასცდებათ — საერთოდ არ ლაპარაკობენ. თუკი ისინი, ვინც ხილულ მტერს ებრძვის და ზედმეტი სიტყვის თქმა ისეთს ვერაფერს აკნებს, მაინც ასეთ მდუმარებას იმარხავენ, როგორღა უტოვებ უკანდასახევს მტერს შენ, ვისაც სიტყვებისთვისაც გმართებს ბრძოლა? განა არ იცი, რამდენ თავდასხმას უნდა მოელოდე უხილავი მტრისგან? ხუმრობ და ერთობი, მახვილსიტყვაობ, ხალხს აცინებ, მთავარზე კი ფიქრიც გავიწყდება. ხუმრობას მოსდევს ფიცის გატეხვა, ვნება, ბილწსიტყვაობა,

და ვინ იცის კიდევ რამ ჟამი არს ომისა და ბრძოლისა, სიფხიზლისა და მღვიძარებისა, შეიარაღებისა და საბრძოლველად მომზადებისა. მშვიდობიანობის ჟამს კიდევ შეიძლება კაცმა გაიცინოს, ახლა კი, საერთოდ არაა ამის დრო. ისმინე, რას ამბობს ქრისტე: „სოფელსა უხაროდის, და თქუენ სწუხდეთ“ (იოანე, 16, 20). ქრისტე ჯვარს ეცვა შენი ბოროტი საქმეებისთვის, შენ კიდევ იცინი? მან ყვრიმალის-ცემა და ამდენი ტანჯვა-წამება დაითმინა შენს თავზე მოწევნული უბედურებებისა და ქარიშხლებისთვის, შენ კი. მოლხენითა ხარ? და განა ამით უფრო მეტად არ განარისხებ უფალს? მაგრამ, რაკი ეს საქმე გვეჩვენება უმნიშვნელოდ და იმად, რისგანაც კაცი ძნელად თუ შეიკავებს თავს, მაშ, განვსაჯოთ იგი და ვნახოთ, რა დიდი ბოროტებაა. საერთოდ, რაიმე საქმის უმნიშვნელოდ წარმოჩენა და მისი არაფრად ჩაგდება ეშმაკის ჩაგონებაა. ხუმრობა რაღაც უმნიშვნელოც რომ იყოს, მაინც არ უნდა დავტოვოთ უყურადღებოდ, რამეთუ ვიცით: აქედან იღებს სათავეს მრავალი ბოროტება, რომლებიც თანდათან მატულობენ და ხშირად ეს ყველაფერი სიძვით მთავრდება. ვნახოთ, საიდან წარმოიშობა ეს ბიწიერება, ანდა სჯობს გავიხსენოთ, როგორი უნდა იყოს წმინდანი? იგი უნდა იყოს ჩუმი, მშვიდი, მწუხარე, მტირალი, შემუსრვილი. მაშასადამე, ვინც ხუმრობს, ის წმინდანი ვერ იქნება. ხუმრობა მხოლოდ სცენაზე მოთამაშე მსახიობებს შეჰფერით. ისმინე, რას ამბობს წინასწარმეტყველი: „ჰმონეთ უფალსა შიშით და უგალობდით მას ძრწოლით“ (ფსალმ. 2, 11). ხუმრობის სიყვარული სულს ასუსტებს, აზარმაცებს, აზანტებს. იგი ხშირად შფოთს იწვევს და ომების მიზეზი ხდება. კარგია, თუ სული მღვიძარეა, ძნელად თუ რამე მოხიბლავს მას. მაგრამ გაფანტული სულის მოხიბვლა რა ძნელი საქმეა? იგი თავისთავადაც მოხიბლულია და ეშმაკის მანქანება და თავდასხმები ალარც კი სჭირდება. საკითხში უკეთ რომ გაერკვე, თვით ამ განსაზღვრებას დააკვირდი — ხუმარა. ამ სახელს უწოდებენ დაუდგრომელ, თავზეხელაღებულ, პირუმტკიცო, ცვალებად კაცს,. ისეთს, ყველაფერს რომ იკადრებს, მაგრამ ეს უჩვეულოა ქრისტეს მსახურისთვის. ხუმარა ადვილად იცვლება და თამაშობს, რადგან მან უნდა მიბაძოს ამა თუ იმ კაცს სახის გამომეტყველებითაც,

სიტყვითაც, სიცილითაც, მიხვრა-მოხვრითაც და საერთოდ, ყველაფრით. ამასთან, ხუმრობები უნდა შეთხზას კიდეც — მისთვის ხომ ესეც აუცილებელია, ქრისტეანს კი კომედიის თამაში არ შეშვენის. თანაც ხუმარას იმათი ძლიერი მტრობის ატანაც უხდება, ვისაც დასცინის, სულერთია, პირისპირ თუ ზურგსუკან. თუ ხუმრობა კარგი საქმეა, მსახიობებს რატომ ჩაუვარდათ ხელში? მსახიობის ხელობას ეკიდები და არცა გრცხვენია? მრავალი ბოროტებაა დაბუდებული ხუმრობის მოყვარე სულში, დიდი გაფანტულობა და სიცარიელე, მის შიგნით ირღვევა წესრიგი, სუსტდება კეთილგანლაგებულობა, ქრება შიში, ადგილი აღარ რჩება ღმრთისმსახურებისათვის. ენა იმისთვის კი არა გაქვს, რომ სხვას გამოაჯავრო, არამედ იმისთვის, რომ ღმერთს ჰმადლობდე.

გვედრით, განაგდეთ თქვენგან ეს უჯერო შექცევა, შორს იგი თავისუფალი სულისაგან. ურცხვსა და თავხედ ადამიანს სამუდამოდ უჩანს ხუმრობა. როგორც ვნებას მიჰყავს კაცი თანდათან მრუშობამდე, ისევე ხუმრობას — დიდ ბოროტებამდე. ისმინე, რას ამბობს წმ. წერილი: „პირველ ქუხილისა წინა უძღვის ელვა, და პირველ სირცხვილისა წინა უძღვის მადლი" (ზირ. 32, 12). მაგრამ არავინაა ხუმარაზე უფრო ურცხვი, ამიტომ ბაგე მისი სავსეა არა სიტკბოთი, არამედ სიმწარით. განვაგდოთ ეს ჩვევა ტრაპეზიდან, ზოგიერთი ამას გლახაკებსაც კი ასწავლის. რა სიბრიყვეა! მასხარად ხდიან მათ, ვინც უბედურებითაა გარემოცული! და სად აღარაა მოდებული ეს სენი? მან ეკლესიაშიც კი შეაღწია, წმ. წერილსაც კი შეეხო! ამიტომ გვედრით ყველას გავთავისუფლდეთ ამ ჩვევისაგან, ვილაპარაკოთ ის, რაც შეგვფერის, დაე, განწმენდილ ბაგეებს არ დასცდეს ის, რაც ურცხვსა და უტიფარ ბაგეებს შეჰფერის. რამეთუ „რაჲ მოყუსობაჲ არს სიმართლისა და უსჯულოებისა, ანუ რაჲ ზიარებაჲ არს ნათლისა და ბნელისა?" (2 კორ. 6, 14), სჯობს, განვეშოროთ ყოველივე უჯეროს და აღთქმულ სიკეთეთა მიღების იმედი დავიტოვოთ, ვიდრე ამაოსმეტყველებას აყოლილებმა დავკარგოთ ნიჭი მღვიძარებისა. რამეთუ ხუმარა კაცი იოლად ხდება მაგინებელი, მაგინებელი კი სხვა უამრავი საძრახისი საქმის ჩამდენია.

თარგმნა რუსიკო ბუაჩიძემ.

მრისხანებისათვის
(ოცდამეექვსე საუბრიდან იოანე ღვთისმეტყველის სახარებაზე)

უფალი ყოველთვის მშვიდად და წყნარად ლაპარაკობდა, თავისი მაგალითით ჩვენც სიმშვიდისკენ მოგვიწოდებს და გვასწავლის, რომ როდესაც ვინმეს ვესაუბრებით ან ვარწმუნებთ რამეში, მრისხანებისა და გაღიზიანების გარეშე ვილაპარაკოთ. კაცი, რომელიც ადვილად ღიზიანდება, ვერაფერს უმტკიცებს სხვას და პირიქით, უფრო მეტადაც აეკვებს. მაშ, დავიოკოთ მრისხანება, ნუ ვეცდებით ვინმეს დარწმუნებას ყვირილით ან მრისხანებით, ყვირილი საზრდოა მრისხანებისა. აღვირი ვასხათ ამ ცხენს, რათა ძირს არ დავცეთ მხედარი — გონება. მოვთოკოთ მრისხანება, იგი მკაცრი და საშიში სენია, რამეთუ ძალუძს დაღუპოს ჩვენი სულები, ჩვენც ყოველი მხრიდან დავუგმანოთ საძრომი. რა ბედენაა, თუ მხეცთა მოთვინიერება ძალგვიძს, საკუთარ მრისხანე გულისსიტყვებს კი ვერ მოვრეოვიართ. მრისხანება არის ძლიერი, ყოვლის შთანმთქმელი ცეცხლი, იგი ხორცსაც ვნებს და სულსაც განხრწნის. ადამიანს რომ შეეძლოს საკუთარი თავის დანახვა მრისხანების ჟამს, სხვა შეგონება აღარ დასჭირდებოდა, რამეთუ არაფერია გაღიზიანებული კაცის სახეზე უსიამოვნო სანახავი. მრისხანება არის რაღაც თრობა ანუ, უფრო უკეთ, თრობაზე უარესი და ეშმაკზე უბედური. მოდი, ვცადოთ და ნუ დავიყვირებთ — ამით ვპოვებთ საუკეთესო გზას სიბრძნისას. პავლე მოციქულიც ამას გვირჩევს, განვაგდოთ არა მხოლოდ მრისხანება, არამედ ყვირილიც: „ყოველი სიმწარე და რისხვაᲘ და გულისწყრომაᲘ და ღაღადებაᲘ და გმობაᲘ მოისპენ თქუენ შორის ყოვლითურთ უკეთურებით“ (ეფეს. 4, 31). დავემორჩილოთ მას, მოძღვარს ყოველივე სიბრძნისა, და როდესაც ვინმეზე განვრისხდებით, მაშინვე საკუთარი ცოდვები გავიხსენოთ. ვეცადოთ, ყოველთვის წყნარად ვილაპარაკოთ, რათა გულით მდაბალნი ვიყოთ და მშვიდობა მოვუპოვოთ ჩვენს სულებს აწინდელ და მერმინდელ ცხოვრებაში.

თარგმნა რუსიკო ბუაჩიძემ

რჩევა დაქორწინების მსურველებს

გამცნებთ თქვენ, რათა დაქორწინების მსურველები ამ საქმეს უდიდესი სიფრთხილით მოეკიდოთ. ვინც ცოლის შერთვას აპირებს, ვურჩევ ნეტარ პავლეს მიმართოს, წაიკითხოს მისი კანონები ქორწინების შესახებ და წინასწარ შეიტყოს, რის გაკეთებას უბრძანებს კაცს, როდესაც ავი, მზაკვარი, ლოთი, ანჩხლი, უგუნური ანდა სხვა ამგვარი ნაკლის მქონე ცოლი შეხვდება, და მერე იფიქროს დაქორწინებაზე. თუ დაინახავ, რომ უფლებას გაძლევს რაიმე ნაკლის შენიშვნისთანავე ერთი ცოლი გაუშვა და მეორე შეირთო, თამამად შეუდექი საქმეს, მაგრამ თუ გიბრძანებს, რომ მემრუშე ცოლის გარდა ყველა სხვა უნდა გიყვარდეს და სახლში გესვას, მზად იყავი გადაიტანო ცოლის უკეთურება. და თუ ეს ძნელი და აუტანელია, მაშინ გაფრთხილდი და ყოველი ღონე იხმარე, რათა ზნეკეთილი, მშვიდი და მორჩილი ცოლი შეირთო. სხვა შემთხვევაში, იცოდე, ორიდან ერთი უნდა აირჩიო: ან ავი ცოლის უკეთურება მოითმინო, ანდა განუტევო და ამით მრუშობის ცოდვა იტვირთო, რამეთუ უფალი ამბობს: „ყოველმან, რომელმან განუტევოს ცოლი თვისი თვინიერ სიტყვისა სიძვისა, მან ამრუშა იგი, რომელმან განტევებული შეირთოს, მანცა იმრუშა“ (მათე, 5, 32). წინასწარ განვსაჯოთ ყოველივე ეს და ვიცოდეთ პავლე მოციქულის კანონები, რათა თავიდანვე ზნეკეთილი და ჩვენი შესაფერი ცოლი შევირთოთ. ასე თუ მოვიქცევით, არათუ არასოდეს განვუტევებთ მას, არამედ დიდი სიყვარულითაც შევიყვარებთ, როგორც პავლემ გვიბრძანა. მან მხოლოდ ის კი არ გვითხრა, „ქმართა გიყვარდეთ ცოლნი თვისნიო“, არამედ ესეც დაუმატა: „ვითარცა ქრისტემან შეიყვარა ეკლესიაო“. ქრისტემ როგორღა შეიყვარა თავისი ეკლესია? როგორ და, „თავი თვისი მისცა მისთვის“ (ეფეს. 5, 25). ამიტომ, სიკვდილიც რომ მოგიხდეს ცოლის გულისათვის, უკან ნუ დაიხევ. თუკი უფალმა ისე შეიყვარა მონა, რომ „თავი თვისი მისცა მისთვის“, მაშ მით უმეტეს შენ უნდა გიყვარდეს შენივე მსგავსი მონა. „თავი თვისი მისცა მისთვისო“, თქვა პავლემ და დაუმატა: „რაჲთა იგი წმიდა იყოს, განწმიდა საბანელითა მით წყლისაითა და სიტყვითა““ (ეფეს. 5, 26).

„განწმიდა“ — ესე იგი, უწინ ეკლესია არაწმიდა და შებილწული იყო, მაგრამ მაცხოვარს ზურგი კი არ შეუქცევია მისი სიმახინჯისათვის, არამედ გარდაქმნა, განამართლა, მიუტევა ცოდვები. შენც ქრისტეს მიბაძე: ბევრიც რომ შეგცოდოს ცოლმა, ყოველივე მიუტევე, თუ ავი ზნისა შეგხვდა, შენი სიკეთითა და სიმშვიდით გამოასწორე, როგორც ქრისტემ — ეკლესია. „რაჲთა წარუდგინოს თავადმან თავსა თვისსა დიდებულად ეკლესიაჲ“ (27). მერეც, როდესაც ხშირად უხილავს შებილწული და შესვარული, არ უარუყვია და არ განუშორებია, არამედ ყოველთვის ჰკურნავდა და განამართლებდა. როგორც სხეულის ასოს არ ვიჭრით, თუ რაიმე გვტკივა, არამედ თვით სნეულებას ვებრძვით, ასევე მოვექცეთ ცოლსაც. თუ რაიმე მწიკვლი შენიშნე, ცოლს კი ნუ განიშორებ, არამედ ეს მწიკვლი მოსპე მასში. თანაც, სხეულის ასოზე როცა ვზრუნავთ, არაფერს გვარგებს, თუ იგი განუკურნებელი დარჩება, ცოლის სწავლებისა და ხელმძღვანელობისათვის კი მაინც დიდი ჯილდო გველის, თუნდაც მის ნაკლს ვერაფერი ვუშველოთ. ამ ჯილდოს მივიღებთ მოთმინებისათვის, იმისათვის, რომ ღმრთის შიშით ვიტანდით ყოველივეს, მშვიდად ვითმენდით ცოლის უკეთურებას და სხეულის ასოსავით ვუფრთხილდებოდით მას. ცოლი ჩვენი აუცილებელი ნაწილია, ამიტომ განსაკუთრებით უნდა გვიყვარდეს. ამას გვასწავლის პავლეც: ესრეთ ჯერ-არს ქმართა ცოლთა თვისთა სიყვარული, ვითარცა ხორცთა თვისთა, რამეთუ რომელსა უყუარდეს ცოლი თვისი, თავი თვისი უყუარს, რამეთუ არავინ სადა თავი თვისი მოიძულოს, არამედ ზრდიან და ჰფუფუნებენ მას, ვითარცა ქრისტე ეკლესიასა, რამეთუ ასონი ვართ გუამისა მისისანი, ხორცთა მისთაგანნი და ძვალთა მისთაგანნი“ (28—30). პავლე იმასაც ამბობს, რომ როგორც ევა იშვა ადამის გვერდიდან, ჩვენც ისევე ვიშვით ქრისტეს გვერდიდან. როდესაც ქრისტე ჯვარსეცვა და მოკვდა, მაშინ „ერთმან ერისაგანმან ლახურითა უგმირა გუერდსა მისსა, და მეყსეულად გარდამოხდა სისხლი და წყალი“ (იოანე, 19, 34). ამ სისხლისა და წყლისაგან იშვა მთელი ეკლესია. ამას თვით მაცხოვარი გვიმოწმებს, როდესაც ამბობს: „უკუეთუ ვინმე არა იშვას წყლისაგან და სულისა, ვერ ხელ-ეწიფების შესლვად სასუფეველსა ღმრთისასა“ (იოანე,

3,5). სისხლს იგი სულს უწოდებს. ჩვენ ნათლისღების წყლით ვიშვებით და სისხლით ვსაზრდოობთ. და როგორც ადამის ძილში შეიქმნა ქალი, ისევე ქრისტეს სიკვდილის დროს შეიქმნა ეკლესია მისი გვერდისაგან. მაგრამ ცოლი მხოლოდ იმიტომ როდი უნდა გვიყვარდეს, რომ იგი ჩვენი ნაწილია და ჩვენგან იშვა, არამედ იმიტომაც, რომ ღმერთმა ეს კანონით დაგვიდგინა, როდესაც თქვა: „ამისთვის დაუტეოს კაცმან მამა თვისი და დედა თვისი და შეეყოს ცოლსა თვისსა და იყვნენ ორნივე ერთ ხორც“ (შეს. 2, 24). ამიტომაც მოგვცა პავლემ ასეთივე კანონი, ყოველი ღონე იხმარა, რათა ეს სიყვარული ჩაენერგა ჩვენთვის. და ამ კანონს უმატებს: „საიდუმლოჲ ესე დიდ არს“ (ეფეს. 5, 32). მითხარი, რატომ არის ეს საიდუმლო დიდი? იმიტომ, რომ ქალწული, რომელიც სულ სახლში ზის და არასოდეს უნახავს საქმრო, პირველი დღიდან ისე ეჩვევა და უყვარდება იგი, როგორც საკუთარი სხეული. ასევე ქმარსაც, რომელსაც აქამდე არც უნახავს და არც დალაპარაკებია თავის საცოლეს, ის ურჩევნია ყველას — მეგობრებს, ნათესავებსა და თვით მშობლებსაც კი. მშობლებიც, თუ რაიმე სხვა შემთხვევისათვის ართმევენ ფულს, დრტვინავენ, შფოთავენ, ჩივიან და სასამართლოს გადასცემენ დამნაშავეს, ახლა კი კაცს, ხშირად ისეთს, ადრე რომ თვალითაც არ უნახავთ, აბარებენ თავიანთ ქალიშვილსაც და მდიდრულ მზითევსაც, თანაც ამას სიხარულით სჩადიან და არც დაზარალებულად გრძნობენ თავს. საყვარელი ქალიშვილი და მასთან ერთად დიდი სიმდიდრე სახლიდან მიდის, ისინი კი, არც დრტვინავენ, არც იტანჯებიან, პირიქით, მადლობელნიც არიან ბედის. პავლე გვიჩვენებს ყოველივე ამას — ანუ, თუ როგორ ტოვებს ორივე თავ-თავის მშობლებს და ერთმანეთს ეწებება, და ეს ახალი კავშირი ძველ ჩვევაზე უფრო მყარია, და რომ კაცმა კი არა, თვით ღმერთმა ჩაგვიდო ასეთი სიყვარული და ისე განაგო, რომ ამას სიხარულით იქმან მშობლებიცა და შვილებიც, და ამიტომაც ამბობს: „საიდუმლო ესე დიდ არს“. და როგორც ჩვილი სცნობს შეხედვისთანავე მშობლებს, თუმცა ჯერ ლაპარაკიც არ უსწავლია, ასევე საცოლე და საქმრო ყოველგვარი შუამავლის გარეშე, ვინმეს ჩაგონებისა და რჩევის გარეშე, ერთი შეხედვით სცნობენ და ეწებებიან ერთმანეთს. შემდეგ

მოციქული ამბობს, რომ იგივ ითქმის ქრისტესა და ეკლესიაზე. რანაირად? როგორც საქმრო ტოვებს მამას და მიდის საცოლესთან, ისევე ქრისტემ დაუტოვა მამის ტახტი და მივიდა საცოლესთან, ჩვენ კი არ აგვიყვანა ცად, თვითონ მოკიდა ჩვენთან. თუმცა, როდესაც გეუბნებიან, რომ ქრისტემ დაუტოვა მამის ტახტი, იგულისხმება, რომ იგი კი არ გადმოსახლდა, არამედ შეგვიწყნარა, და ჩვენთან ერთად ყოფნისას მამასთან ერთადაც იყო. ამიტომაც ამბობს მოციქული: „საიდუმლოი ესე დიდ არს". ესაა დიდი საიდუმლო ადამიანებს შორისაც, ხოლო როდესაც ვხედავ, რომ იგი ხდება ქრისტესა და ეკლესიას შორის, მაშინ მიკვირს და განცვიფრებული ვარ. ამიტომ დაუმატა პავლემ თავის ნათქვამს: „საიდუმლო ესე დიდ არს", და კიდევ ესეც: „ხოლო მე ვიტყვი ქრისტესათვის და ეკლესიისა" (ეფეს. 5, 32). მაშ, ახლა მაინც, რაკი იცი, რა დიდი საიდუმლოა ქორწინება და რისი ხატია იგი, უბრალოდ და სხვათა შორის ნუ იმსჯელებ მასზე, და საცოლის ძებნისას მის სიმდიდრეს ნუ გამოეკიდები. ქორწინება ვაჭრობა კი არა, მთელი ცხოვრების თანამდევი კავშირია.

ცოლს მხოლოდ ის ევალება, რომ ქონებას მოუაროს, შემოსავალს გაუფრთხილდეს, სახლზე იზრუნოს, ცოლი ღმერთმა იმისთვის მოგვცა, რომ ყველაფერში ჩვენი შემწე იყოს. ჩვენი ცხოვრება ხომ ორგვარი საქმისაგან შედგება — საზოგადოსა და კერძოსაგან, ამიტომ ღმერთმა გაჰყო ისინი და ცოლს სახლზე ზრუნვა მიანდო, ქმარს კი — ქალაქი, სავაჭრო, სამხედრო, სასამართლო, სათათბირო და სხვა ამგვარი საქმეები. ცოლმა არც შუბის ტყორცნა იცის და არც ისრის სროლა, სამაგიეროდ შეუძლია რთვა, ქსოვა და სხვა შინაური საქმეები. იგი სათათბიროში ვერ გამოთქვამს აზრს, სამაგიეროდ სახლში შეუძლია რჩევის მიცემა, და ხშირად ის შინაური ამბები, რომლებზეც ქმარი მსჯელობს, ცოლს უკეთ ესმის. ცოლი ვერ წარმართავს საზოგადო საქმეებს, სამაგიეროდ შეუძლია კარგად გაზარდოს შვილები, და ესაა მთავარი. მის ხელთაა მოსამსახურეთა უწესო საქმეების შემჩნევა-გამოსწორება, მათ პატიოსნებაზე ზრუნვა. მასვე ევალება ძვირფასეულობის შენახვა, შალეულის შეძენა, სადილის მომზადება, ტანისამოსზე ზრუნვა, მოკლედ, ყველაფერი რისი გაკეთებაც ქმარს არც

შეჰფერის და მოუხერხებელიცაა მისთვის, ძალიანაც რომ ეცადოს. ჭეშმარიტად, ესეც ღმრთის განგებისა და სიბრძნის გამოვლინებაა, რომ კაცი, გარკვეული უმნიშვნელოვანეს საქმეებში, უძლური და უსარგებლოა არანაკლებ მნიშვნელოვან ამბებში, რათა ცოლის არსებობაც აუცილებელი იყოს. ღმერთს რომ კაცი ორივე საქმეში ერთნაირად ძლიერი შეექმნა, მაშინ ქალი ზედმეტი და უსარგებლო იქნებოდა, და ცოლისთვის რომ უფრო მნიშვნელოვანი საქმე დაეკისრებინა, მაშინ ქალები უზომოდ გაამაყდებოდნენ. ამიტომ ღმერთმა ერთს არ მისცა ორივე საქმის შეძლება, რათა მეორე სქესი დამცირებული და ზედმეტი არ დარჩენილიყო, და არც ერთნაირად მიჰმადლა თითოეულს ორივე უნარი, რათა ამ თანასწორობისგან რაიმე მეტოქეობა და ჭიდილი არ წარმოშობილიყო და ცოლებს ქმრის ტოლი პატივის მიღება არ მოენდომებინათ. უფალმა იზრუნა მათ შორის მშვიდობისა და თითოეულის ღირსების დაცვაზე და ორ ნაწილად გაჰყო ჩვენი ცხოვრება, ისე, რომ ყველაზე აუცილებელი და საჭირო ქმარს მისცა, უფრო ნაკლებად მნიშვნელოვანი და დაბალი — ცოლს, რათა ქმარს მეტი პატივი ჰქონდეს საზოგადოებაში, ცოლი კი ქმრის წინააღმდეგი არ მიდიოდეს.

ახლა, რაკი ყოველივე ეს ვიცით, მოდით, ერთადერთი რამ ვეძიოთ საცოლის არჩევისას — სულიერი სათნოება და ზნეკეთილობა, რათა მშვიდობითა და თანხმობით დავტკბეთ და მტკიცე სიყვარულით ნუგეშინისცემულ ვიქმნეთ. ვინც მდიდარ ცოლს ირჩევს, ის უფრო ქალბატონს ირთავს, ვიდრე ცოლს. თუკი ცოლები უამისოდაც სიამაყით სავსენი და პატივმოყვარეობისკენ მიდრეკილნი არიან, წარმოიდგინეთ, რა აუტანლები გახდებიან თავიანთი ქმრებისთვის, როცა ყოველივეს სიმდიდრეც დაემატება. ხოლო ვინც ქონებით თანასწორი ანდა უფრო ღარიბი ცოლი არჩია, იმან დამხმარე და თანაშემწე შეირთო და სახლში სიკეთე შეიტანა, რამეთუ ცოლს გაჭირვება ჩააგონებს, გაუფრთხილდეს ქმრის ავლადიდებას, დაუჯეროს და დაემორჩილოს მას. ასეთი ცოლი ცდილობს თავიდან აიცილოს ყოველგვარი საბაბი ჩხუბისა, სიამაყისა და შეურაცხყოფისა და პირიქით, ხდება შემაკავშირებელი მშვიდობისა, ერთსულოვნებისა, სიყვარულისა და

თანხმობისა. მაშ, ნუ შევეცდებით ფულის მოხვეჭას, არამედ მშვიდობასა და ერთსულოვნებას მიველტვოდეთ. ქორწინება ღმერთს იმისთვის კი არ მოუცია, რომ სახლი მტრობითა და სიძულვილით ავავსოთ, შუღლი და განხეთქილება დავთესოთ, მეტოქეებად ვექცეთ ერთმანეთს და სიცოცხლე გავიმწაროთ, არამედ იმისთვის, რომ ვპოვოთ შემწე, ნავსაყუდელი, თავშესაფარი და ნუგეშინისცემა ჩვენს თავს მოწეული უბედურებების დროს, რომ ცოლთან საუბარი სიხარულს გვანიჭებდეს. რამდენი მდიდარი ვიცი, რომ ცოლიც მდიდარი შეირთო და ქონება გაიორკეცა, მაგრამ სამუდამოდ დაკარგა მშვიდობა და სიხარული, რამეთუ ყოველდღიურმა ჩხუბებმა სიცოცხლე გაუმწარა! რამდენი ღარიბია, რომ კიდევ უფრო ღარიბი ცოლი შეირთო, მაგრამ მშვიდობით ტკბება და სიხარულით შესცქერის მზეს, როცა მდიდრები იმ ფუფუნების მიუხედავად, გარს რომ აკრავთ, ყოველდღე სიკვდილსა და ამ ცხოვრებისაგან განთავისუფლებას ნატრობენ აშარი ცოლების გადამკიდე. ასე რომ, სიმდიდრეში არაფერი ყრია, თუ ქალს სიკეთე არა აქვს მომადლებული. მაგრამ რომელ მშვიდობასა და თანხმობაზეა ლაპარაკი? მდიდარი ცოლის შერთვა ხშირად თვითონ სიმდიდრის საზიანოდ ტრიალდება ხოლმე. კაცი მთელ თავის სიმდიდრეს გაფლანგავს ცოლის ქონების იმედით, ამ დროს კი, ცოლი უკვდება და მისი მზითევის დაბრუნება უხდება. მაშინ, როგორც გემის დაღუპვისას ხდება ხოლმე, კაცი მხოლოდ საკუთარი თავის გადარჩენას ახერხებს და ამდენი ჩხუბის, უსიამოვნებებისა და სასამართლოებში სირბილის შემდეგ ცარიელტარიელი რჩება. გავითვალისწინოთ ყოველივე ეს და სიმდიდრეს ნუკი გამოვეკიდებით, ზნეკეთილი, პატიოსანი და გონიერი ქალი ვეძიოთ. ცოლი მხოლოდ იმისთვს უნდა შევირთოთ, რომ ცოდვას გავექცეთ, თავი დავაღწიოთ ყოველგვარ გარყვნილებას, იმისთვის უნდა ვიქორწინოთ, რომ სიწმინდით ვიცხოვროთ, ეს მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ ისეთ ცოლს შევირთავთ, რომელიც დიდი ღმრთისმოშიშებითა და სიმშვიდით იქნება გამორჩეული. როდესაც ცოლის შერთვას აპირებ, ადამიანებს ნუკი მიმართავ, ანდა იმ ქალებს, სხვისი უბედურებით რომ ვაჭრობენ და მხოლოდ იმას ფიქრობენ, როგორ მოიპოვონ გასამრჯელო, არამედ ღმერთს შეევე-

დრე, და ის იქნება შენი ქორწინების შემწე, რამეთუ თავადვე
აღგითქვა: „ხოლო თქუენ ეძიებდით პირველად სასუფეველსა
ღმრთისასა... და ესე ყოველი შეგეძინოს თქუენ“ (მათე, 6, 33).
იქორწინეთ უდიდესი წესიერების დაცვით, ნუ გაიკარებთ
ცეკვებს, სიცილს, უჯერო ლაპარაკს, გუდა-სტვირს, სალა-
მურს, ეშმაკის გამოგონებებს ანდა რაიმე ამდაგვარს, არამედ
ყოველთვის ღმერთს მოუხმეთ შემწედ თქვენს საქმეებში. თუ
ასე წარვმართავთ ჩვენს ცხოვრებას, არც განქორწინება და-
ვჭირდება ოდესმე, არც ეჭვიანობა გაგვტანჯავს, ჩხუბსა და
მტრობასაც გადავურჩებით და დიდი მშვიდობითა და სრული
თანხმობით დავტკბებით, ამას კი, ცხადია, სხვა სათნოებებიც
თან მოჰყვება.

თარგმნა რუსიკო ბუაჩიძემ

ნუ დავუჯერებთ მისნებს
(მერვე საუბრიდან ტიმოთეს მიმართ მეორე ეპისტოლეზე)

ნუ დავიჯერებთ სისულელეებს, მისნები რომ გვიწინასწარმეტყველებენ ხოლმე. მეტყვით, მაშ რატომაა, რომ რასაც გეუბნებიან, ყველაფერი გვიხდებაო? იმიტომაც გიხდებათ, რომ გჯერათ, თუმცა ისიც საკითხავია, მართლა გიხდებათ თუ არა. მისანი გიმონებს, მთელი შენი ცხოვრების ბატონ-პატრონად იქცევა და როგორც უნდა, ისე გათამაშებს. მითხარი, ავაზაკთა წინამძღოლმა რომ უფლისწული ჩაიგდოს ხელში, რომელიც მასთან მივიდა და შეიყვარა ტყე და იქაური ცხოვრება, შეუძლია თუ არა უწინასწარმეტყველოს, მოკვდება თუ იცოცხლებს? რა თქმა უნდა, შეუძლია. რატომ? იმიტომ კი არა, რომ მომავალს ჭვრეტს, არამედ იმიტომ, რომ მის ხელთაა დაღუპვაცა და ხსნაც ამ უფლისწულისა, რომელმაც ბატონად გაიხადა იგი. თუ ეტყვის, მდიდარი იქნებიო, ანდა თუ ეტყვის, ღარიბი იქნებიო, ესეც მასზე ჰკიდია. ასეა ამ სოფელშიც: ადამიანთა უმეტესობა ხომ ეშმაკს დაემონა. მეორე მხრივ, ამ მატყუარებს ისიც ძალიან შველის, რომ კაცი მათ დაჯერებას ეჩვევა, მცდარ წინასწარმეტყველებას არავინ აქცევს ყურადღებას, ახდენილზე კი, ბევრს ლაპარაკობენ. თუ მართლა აქვთ რაიმე ძალი წინასწარმეტყველებისა, მიჩვენე მე, მორწმუნეს. ამას ქადილით როდი ვამბობ. არ ღირს იმით თავის მოწონება, რომ მათი არ მჯერა. ცოდვილი კაცი ვარ, მაგრამ მათ კი არ დავემორჩილები, სასაცილოდაც ავიგდებ. მომგვარე რომელიმე თქვენი მისანი, დე მითხრას, რა მომელის, ანდა ხვალ რა მომივა. მაგრამ ვერ მეტყვის, რამეთუ უფლის ხელმწიფების ქვეშე ვარ და მისანს ჩემზე არავითარი ძალა და გავლენა არ გააჩნია. მე შორსა ვარ მისი ქსელებისა და ორმოებისგან, მე მეუფეს ვემსახურები. კი მაგრამ, მეტყვი, აი, ამა და ამ კაცმა მოიპარა, მისანმა კი გამოიცნო, ვინაა ქურდიო. მაგრამ ეს ყოველთვის არ მართლდება, უფრო ხშირად მათი ნათქვამი მცდარი და სულელურია. მისნებმა არაფერი იციან, და თუ ზოგჯერ მაინც ახდება ხოლმე რაღაც, ისიც შემთხვევის ბრალია. ჩვენი წინასწარმეტყველები კი არასოდეს ცდებიან, ისე არ ხდება, რომ ერთს სწორად ამბობ-

დნენ და მეორეს — არასწორად, არამედ ყოველი მათი ნათქვამი ჭეშმარიტია, და სწორედ ესაა წინასწარხედვა. ამიტომაც გამცნებთ თქვენ, მოეშვით ამ სისულელეს, თუ გწამთ ქრისტე. და თუ არა გწამთ, რატომ ირცხვენთ თავს, რატომ სცდებით? „ვიდრემდის კელობთ ორითავე გოჯითა“ (III მეფ. 18, 21)? რისთვის დადიხარ მისანთან, რისთვის ეკითხები რჩევას? რაკი მიხვედი და აზრი ჰკითხე, უკვე დაემონე, რამეთუ, როდესაც ეკითხები, იგულისხმება, რომ გჯერა მისი. არაო, მეტყვი, იმიტომ კი არ ვეკითხები, რომ მჯერა, არამედ იმიტომ, რომ გამოცდა მინდა მისიო. მაგრამ რადგანაც გამოცდას უწყობ, მაშ, არც იმაში ხარ დარწმუნებული, რომ გატყუებს; უბრალოდ, გეეჭვება. რატომ ეკითხები, რა მოხდებაო? მისნები რომ გეუბნებოდნენ, ესა და ეს მოხდება და ეს გააკეთე, ამას კი, ნუ იზამო, კიდევ არ იქნებოდა ისეთი უგნურება მათი დაჯერება, თუმცა ესეც კერპთმსახურებაა და ამასაც უნდა ვერიდოთ. და მით უმეტეს, თუ მომავლის წინასწარმეტყველებას ბედავენ, მათი მორჩილი ზედმეტი ჭირის მეტს ვერაფერს იძენს: მისნობა არ უხდება და ამაოდ კი, იტანჯება. მომავლის ცოდნა რომ ჩვენთვის საჭირო ყოფილიყო, ღმერთი არ დაგვიმალავდა, შური არ სძლევდა მას, ვინც გვამცნო ზეციური საიდუმლოებები. „ყოველი, რაოდენი მესმა მამისა ჩემისაგან, გაუწყე თქუენ“ (იოანე, 15, 15), ამბობს უფალი; და იქვე: „არღარა გეტყვი თქუენ მონად... ხოლო თქუენ გარქუ მეგობრად“ (15, 14). რატომ არ გამოგვიცხადა ღმერთმა მომავალი? უნდა, რომ საერთოდ არ ვზრუნავდეთ ხვალისათვის. ასე შურის გამო როდი მოგვექცა, ძველებს ხომ ხშირად უწინასწარმეტყველებდა ხოლმე, თუნდაც ვირის ამბავი გავიხსენოთ (I მეფ. 9). იმათ იმიტომ უწინასწარმეტყველებდა, რომ ბავშვებს ჰგავდნენ. ჩვენ კი აგვარიდა საზრუნავი — შეუცნობელის ცნობა, რამეთუ სურდა, არ გვეფიქრა ხვალეზე. სანაცვლოდ კი, რა გაგვიმხილა? ის, რაზედაც ძველებს წარმოდგენაც არ ჰქონდათ. ყოველივე, მათთვის განცხადებული, უმნიშვნელოა, ჩვენ კი ვიცით, რომ მოგველის აღდგომა, რომ უკვდავნი და უხრწნელნი ვიქნებით, რომ ყოველივე ამა სოფლისა წარვალს, რომ ჩვენ ცად აღვიყვანებით, რომ ბოროტნი დაისჯებიან, და კიდევ ბევრი რამ ვიცით ისეთი, რაც უტყუარი სიმართლეა.

განა ამ ჭეშმარიტებების ცოდნა არ სჯობს იმის ცოდნას, რომ დაკარგული ვირი მოიძებნება? ვთქვათ და იპოვე ეს ვირი. მერე რა? ხომ შეიძლება ისევ დაკარგო? ან თუ არ დაკარგავ, სიკვდილის ჟამს თვითონვე დატოვებ მას მიწაზე. ხოლო ის სიკეთეები, ახლახანს რომ ჩამოვითვალე, თუ მოვინდომებთ, ყოველთვის ჩვენთან დარჩება. მაშ მოდი, ამას ვეცადოთ: მარადიული და უცვალებელი სიკეთეები ვეძიოთ, ნუ ვუსმენთ მისნებს, ცრუ წინასწარმეტყველებსა და მკითხავებს, არამედ შევუდგეთ ღმერთს, რომელმაც ყოველივე იცის და ყოვლივეს ხედავს: მაშინ ჩვენც ყველაფერი გვეცოდინება, რისი ცოდნაც ჩვენთვის საჭიროა, და საუკუნო სიკეთეებს დავიმკიდრებთ.

თარგმნა რუსიკო ბუაჩიძემ

მღვდლობის შესახებ[1]

სიტყვა პირველი

1. მრავალი მეგობარი მყავდა, სარწმუნო და ჭეშმარიტი, ვინაც იცოდა მეგობრობის წესი და მტკიცედაც მისდევდა მას, მაგრამ მრავალთაგან ერთს მაინც გამორჩეულად ვუყვარდი. თავისი სიყვარულით იგი ბევრად აღემატებოდა სხვა მეგობრებს, თუმცა არც ისინი იყვნენ ჩემდამი გულგრილნი. ყოველთვის ჩემი განუყრელი თანამგზავრი იყო: ერთსა და იმავე მეცნიერებებს ვსწავლობდით და საერთო მასწავლებლები გვყავდა, ერთნაირი წადილითა და გულმოდგინებით ვმეცადინეობდით მჭევრმეტყველებაში და ერთნაირი სურვილები გვქონდა, რადგანაც ერთსა და იმავე საქმეს ვაკეთებდით. ეს ასე იყო მასწავლებლებთან სიარულის დროს, და მერეც, როცა დავასრულეთ სასწავლებელი და ცხოვრების გზის არჩევანის წინაშე დავდექით, ჩვენი აზრები კვლავ ერთმანეთს დაემთხვა.

2. ჩვენი ურთიერთობის სიმტკიცე და დაურღვევლობა სხვა მიზეზებმაც განაპირობა: მამულის უპირატესობით ერთმანეთის წინაშე თავს ვერ მოვიწონებდით, არც ის ყოფილა, რომ მე მოჭარბებული მქონოდა სიმდიდრე, იმას კი უკიდურეს სიღატაკეში ეცხოვრა, ჩვენი ქონება იმდენადვე თანაბარი იყო, რამდენადაც გრძნობები. წარმომავლობაც ერთნაირი გვქონდა, ამნაირად, ყველაფერი უწყობდა ხელს ჩვენს ერთობას.

3. მაგრამ როდესაც მან, ნეტარმა, მონაზვნური ცხოვრება დაიწყო და ჭეშმარიტ სიბრძნისმოყვარეობას შეუდგა, მაშინ კი დაირღვა ჩვენი თანასწორობა. მისი სასწორის ფიცარი შემსუბუქდა და ამაღლდა. მე კი, სოფლის ტრფიალით გზა-ცთომილმა, ქვე-დავზიდე ჩემი ფიცარი. ჩვენი მეგობრობა უწინდებურად მტკიცე იყო, თუმცა ერთად ყოფნა მოიშალა, რადგან შეუძლებელია ერთად ცხოვრება იმათი, ვინც სხვადასხვა საქმითაა დაკავებული. როცა რამდენადმე გავთავისუფლდი

[1] მეორე შესწორებული გამოცემა.

ამქვეყნიური ორომტრიალისგან, ხელგაშლით მიმიღო, თუმცა ვერც მაშინ ვიცავდით უწინდელ თანასწორობას, რადგან ის უკვე შორს იყო წასული და თან დიდი გულმოდგინებაც გამოიჩინა, ამდენად კვლავ ჩემზე მაღლა იდგა და დიდ საზომს იყო მიღწეული.

4. კეთილი კაცი იყო, ძვირად უღირდა ჩვენი მეგობრობა და იმის მუხედავად, რომ გაურბოდა ყველანაირ ურთიერთობას, მთელ თავის დროს ჩემთან ატარებდა, თუმცა მე ჩემი დაუდევრობით მაინც ხელს ვუშლიდი. რადგანაც კაცს, რომელიც სამსჯავროსა და თეატრალურ სანახაობებს იყო მიჯაჭვული, შეუძლებელია დიდი დრო გაეტარებინა იმასთან, ვინც მთელი დღე წიგნებს უჯდა და არც კი იხედებოდა საკრებულოსკენ. მაგრამ როცა ეს დაბრკოლებები მოისპო და მეც თავისნაირი ცხოვრების გზას გამიყოლია, მაშინ კი გამოთქვა სურვილი, რომელსაც დიდი ხანია გულში ინახავდა. უკვე არც ერთი წუთით აღარ მშორდებოდა და სულ იმის ჩაგონებაში იყო, რომ თვითეულ ჩვენგანს მიეტოვებინა სახლი და საერთო სამყოფელი გვქონოდა. დამარწმუნა კიდეც, ცოტაც — და ასეც მოხდებოდა.

5. მაგრამ დედაჩემის დაუცხრომელმა ვედრებამ დამაბრკოლა და ამიტომ ვეღარ გავახარე ჩემი მეგობარი, უფრო უკეთ, ვერ შევძელი მისგან შემოთავაზებული პატივის მიღება. დედამ რომ ჩემი განზრახვა გაიგო, ხელი ჩამკიდა, თავის ოთახში გამიყვანა, იმ საწოლთან დამსვა, რომელზეც მ'ძვა, თვალთაგან ცრემლთა ნაკადული წასკდა, და ამ ცრემლებზე მწარე სიტყვები მოაყოლა. ქვითინებდა და მეუბნებოდა: „შვილო. დიდხანს არ დამცლია მამაშენთან ყოფნის სიხარული, ღმერთმა ასე ინება[1]. მისმა სიკვდილმა, შენს დაბადებას მალე რომ მოჰყვა, შენ ობლობა გარგუნა, მე კი — ნაადრევი ქვრივობა და ქვრივობის სიმწარე, რომელსაც მხოლოდ ის გაიგებს კარგად, ვისაც გამოუცდია. არავითარ სიტყვას არ ძალუძს აღწეროს ის ქარიშხალი და ის განცდები, თავს რომ დაატყდება ყმაწვილ ქალს, რომელმაც ახლახან დატოვა მამის სახლი, ჯერაც გამოუცდელია და უეცრად აუტანელი მწუხარება შე-

[1] ანთოსისი, მღვდელმთავარ იოანე ოქროპირის დედა, ოცი წლისა დაქვრივდა.

ემთხვევა, თანაც იძულებულია იტვირთოს საზრუნავი, რაც მის ასაკსაც აღემატება და ბუნებასაც. ცხადია, მან მსახურთა დაუდევრობაც უნდა გამოასწოროს, მათი დანაშაულიც შენიშნოს, ნათესავების ხრიკებიც ჩაშალოს, მანვე უნდა გაუძლოს მეზვერეთა შევიწროებას, მათ მკაცრ მოთხოვნებს ბაჟის აღებისას. თუ ქმრის სიკვდილის შემდეგ ბავშვი რჩება, თუნდაც გოგონა იყოს, ბევრ ზრუნვას მოითხოვს დედისგან, თუმცა ეს ყველაფერი ფულთან და შიშთან არაა დაკავშირებული. ვაჟიშვილი კი ყოველდღე შიშში ამყოფებს დედას და უფრო მეტ ზრუნვას მოითხოვს. აღარას ვამბობ ფულზე, რომელიც საჭიროა, თუ დედას სურს, შვილი კარგად აღზარდოს. მაგრამ განსაცდელმა ვერ მაიძულა მამაშენის სახლში სხვა სიძის შემოყვანა, მოთმინებით ვიტანდი ქვრივობის ჭირსა და მრავალ მოწევნულ მწუხარებას.

ჯერ ერთი, უზენაესის შეწევნა მაძლიერებდა, მეორე — ამ ტანჯვაში დიდ ნუგეშს მცემდა შენი სახის ჭვრეტა, რადგან მასში ვხედავდი განსვენებულის ნამდვილ, ცოცხალ ხატებას. როცა ჯერაც ყრმა იყავ და ძლივს ტიტინებდი (ამ დროს ბავშვები განსაკუთრებით საყვარლები არიან), დიდად მიმსუბუქებდი დარდს. მოთმინებით ავიტანე ქვრივობის გასაჭირი, არაფერი მომიკლია მამაშენის დატოვებული ქონებისთვის, ამას ვერ მისაყვედურებ. არადა, ბევრ საბრალო ობოლს ხომ სწორედ ასე დაემართა. არაფერი მომიკლია მამაშენის დანატოვარისთვის და თანაც არ დავრიდებივარ აუცილებელ ხარჯებს, რომ სწავლა კეთილად გაგესრულებინა. არ იფიქრო, თითქოს გაყვედრიდე ყოველივე ამას.

ახლა კი გევედრები: მეორე ქვრივობას ნუ მოაწევ ჩემზე, დაშრეტილ მწუხარებას კვლავ ნუ აღმიძრავ შენი განშორებით, დაელოდე ჩემს აღსასრულს. ვინ იცის იქნებ ახლოსაც იყოს იგი, რამეთუ თქვენ, ჭაბუკნი ელით დღეთა სიგრძესა, ხოლო ჩვენ, მოხუცებულნი სიკვდილსღა მოველით. მამაშენის გვერდით მიწას რომ მიმაბარებ, მერე რა გზასაც გინდა, იმას დაადექი, აღარავინ დაგაბრკოლებს. მაგრამ ვიდრე მე ვსუნთქავ, ჩემთან იყავი, ღმერთს ნუ განარისხებ, ნუ მიქადი ასეთ ხიფათებს მე, ვისაც არაფერი დამიშავებია შენთვის. თუ იმას მაბრალებ, რომ მსოფლიო ზრუნვას გაკისრებ და საკუთარ საქმე-

ებზე ფიქრს გაიძულებ, მაშინ გამერიდე, როგორც მტერსა და ავის მოსურნეს, ნუ შეგრცხვება ნურც ბუნების კანონებისა, ნურც აღზრდისა, ნურც ჩვევისა და ნურც რაიმე სხვა მიზეზისა. ხოლო თუ ყოველ ღონეს ვხმარობ, რომ სრული განსვენება მოგანიჭო ამ სოფელში, მაშ დარჩი ჩემთან, ნუ დამიტოვებ. შენ კი ამბობ, ბევრი მეგობარი მყავსო, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ მოგანიჭებს ასეთ განსვენებას, რადგან არავინაა, ჩემსავით რომ ზრუნავდეს შენს კეთილდღეობაზე".

6. ამასა და სხვა ამისთანებს მეუბნებოდა დედა, მეც ყველაფერი ჩემს დიდსულოვან მეგობარს მოვახსენე. ის კი ამ სიტყვებს როდი დასჯერდა, პირიქით, მეტი დაჟინებით ჩამაგონებდა ადრინდელი განზრახვის შესრულებას. ამ ყოფაში ვიყავით — იგი ხშირად მევედრებოდა, მე კი არ ვეთანხმებოდი — რომ უეცრად ხალხში ხმა დაირხა, თითქოს ჩვენი ეპისკოპოსის პატივში აყვანა იყო განზრახული. ამ ამბავმა ორივე შეგვაშფოთა. შიშმა და გაურკველობამ შემიპყრო: მეშინოდა, ჩემი ნების საწინააღმდეგოდ არ მომხდარიყო ჩემი ხელდასხმა, გაურკვევლობა კი იმიტომ დამეუფლა, რომ ხშირად ვფიქრობდი და ვერ გამეგო, საიდან გაუჩნდათ ადამიანებს ასეთი აზრი ჩემს შესახებ. კარგად ვუკვირდებოდი საკუთარ თავს და ვერაფერს ვპოულობდი ჩემში ესოდენი პატივის ღირსს. ამ დროს მეწვია ჩემი დიდსულოვანი მეგობარი და საიდუმლოდ მამცნო ეს ამბავი, მას ეგონა, რომ ჯერ არაფერი ვიცოდი, თანაც მთხოვა, ახლაც უწინდელივით ერთნაირად განგვესაჯა და ერთნაირად მოვქცეულიყავით. მარწმუნებდა, რა გზაც არ უნდა აირჩიო, ჩვენი ხელდასხმის მსურველთ დამორჩილდები თუ გაექცევი, მეც უეჭველად შენთან ერთად ვიქნებიო. აშკარად ვხედავდი, რომ იგი მართლაც ყველაფრისთვის მზად იყო და ვიფიქრე, რომ მთელ ეკლესიას დიდ ვნებას მოვუტანდი, თუ საკუთარი უძლურების გამო ქრისტეს სამწყსოს მოვაკლებდი ჩინებულ და წინამძღვრობის შემძლე ყმაწვილს, ამიტომ არ გავუმხილე ჩემი გულისთქმა, თუმცა იმ დრომდე მისთვის არც ერთი ჩემი აზრი არასოდეს დამიმალავს. ვუთხარი, ამ საკითხზე ბჭობა სხვა დროისთვის გადავდოთ, საჩქარო არაფერია-მოთქი, ადვილად დავარწმუნე, რომ არ ეზრუნა ამაზე და მტკი-

ცე იმედი ჰქონოდა ჩემი თანადგომისა, თუკი ნამდვილად დაგვიპირებდნენ ხელდასხმას.

მცირე ხნის შემდეგ, როცა მოვიდა კაცი, ვისაც ჩვენი ხელდასხმა უნდა აღესრულებინა, მე დავიმალე. ჩემი მეგობარი კი, რომელმაც ამის შესახებ არაფერი იცოდა, სხვა საბაბით გაიწვიეს და მან იტვირთა ეს უღელი, სრულიად დარწმუნებულმა, რომ პირობის თანახმად მეც მას მივყვებოდი, ანუ, უფრო უკეთ, ეგონა რომ თვითონ მომყვებოდა მე. ზოგიერთი იქ მყოფები, რაკი დაინახეს, რომ ბასილი ჩიოდა რატომ წამომიყვანეთო, გაკვირვებულები გაიძახოდნენ: „საოცარი იქნება, თუ ის, ვინც უფრო თამამ კაცად იყო მიჩნეული (ანუ მე), დიდი სიმდაბლით მიიღებს მამათა განჩინებას, ეს კი, უფრო კეთილგონიერი და თავმდაბალი, წინ აღუდგება მამებს და დაიწყებს ცუდმედიდობას, უარყოფას და ცილობას“.

ისიც დაემორჩილა ამ სიტყვებს. ხოლო როცა შეიტყო, რომ მე გავიქეცი, მოვიდა ჩემთან მწუხარებით აღვსილი, ახლოს დამიჯდა, რაღაცის თქმა სურდა, მაგრამ სულიერი მღელვარებით შეძრულმა სიტყვა ვერ დასძრა. როგორც კი ხმის ამოღებას დააპირებდა, მყისვე ჩერდებოდა, რადგან ურვა არ აცლიდა სიტყვის დამთავრებას. ცრემლმორეული და შეძრწუნებული რომ ვიხილე (თანაც მიზეზი კარგად ვიცოდი), გავიცინე, დიდი სიხარული გამოვხატე, მის ხელს დავწვდი და ვეამბორე, მერე ღმერთს მადლობა შევწირე, რომ ჩემმა ხერხმა გამოიღო ის კეთილი ნაყოფი, რომელსაც ყოველთვის ვნატრობდი. ჩემი სიხარული და აღტაცება როცა იხილა და შეიტყო, რომ ადრევე მივმართე ამ ხერხს, კიდევ უფრო შეშფოთდა და დამწუხრდა.

7. როდესაც სულიერი მღელვარება ოდნავ დაუცხრა, მითხრა: თუკი მე უკვე უგულვებელმყავ და აღარაფრად მაგდებ (არ ვიცი კი, რისთვის), საკუთარ პატივზე მაინც გეფიქრა. ახლა ყველას მიეცი ლაპარაკის საბაბი, ყველა იმას გაიძახის, ცუდმედიდობის გამო აირიდა ეს მსახურებაო, და ერთი კაციც არ გიცავს ამ ბრალდებისგან. მე კიდევ გარეთ ვეღარ გავსულვარ, იმდენი ხალხი მოდის ყოველდღე და მსაყვედურობს. ნაცნობები, სადმე ქალაქში თვალი თუ მომკრეს, განზე გავუყვართ და მეტწილად ყვედრებით მავსებენ: „ხომ იცოდი მისი

ზრახვები (აკი არაფერს გიმალავდა), არ უნდა დაგეფარა, რას ფიქრობდა და ჩვენთვის უნდა გეთქვა, ჩვენ კი, ცხადია, ყოველ ღონეს ვიხმარდით მის მოსანადირებლად". მე კიდევ ვწითლდები და მრცხვენია მათთვის იმის თქმა, რომ არ ვიცოდი შენი განზრახვა, არ მინდა ჩვენი მეგობრობა პირმოთნეობად მიიჩნიონ. და თუნდაც ეს მეგობრობა მართლა თვალთმაქცობა იყოს (და ასეცაა, ამას ხომ ვერ უარყოფ შენი ახლანდელი საქციელის შემდეგ), უცხოთაგან, ვინც ასე თუ ისე გვიცნობს, მაინც უნდა დავფაროთ ჩვენი ცუდი ურთიერთობა.

მე ვერ ვბედავ ვუთხრა მათ სიმართლე, ის, რაც ჩვენს შორის იყო, ამიტომ იძულებული ვარ გავჩუმდე, თვალები მიწამდე დავხარო და მოვერიდო შემხვედრთ. პირველ ბრალდებას რომც ავცდე (ჩვენი მეგობრობის არაგულწრფელობის შესახებ), უსათუოდ სიცრუეს მაინც შემწამებენ. ისინი არასოდეს დამიჯერებენ, რომ შენ ბასილიც სხვებს გაუტოლე, იმათ, ვინც არ უნდა იცოდეს შენი საიდუმლო. თუმცაღა მე ეს დიდად არ მადარდებს: შენ ასე გწადდა. მაგრამ როგორ გადავიტანთ სხვა ბრალდებათა სირცხვილს? ზოგი სიამაყეს მოგაწერს, ზოგი — პატივმოყვარეობას, ხოლო უფრო ულმობელი მაბრალობელნი ერთშიც გადანაშაულებენ და მეორეშიც, და იმასაც დასძენენ, რომ ჩვენ შეურაცხყავით თვით ამომრჩეველნი, მათზე კი ასე ამბობენ: „სამართლიანად მიიღეს, რაც დაემართათ, თუმცა მეტ უპატიობას იმსახურებდნენ იმისთვის, რომ ესოდენ პატივცემული კაცები უგულვებელყვეს და აირჩიეს ყმაწვილები, ჯერ კიდევ გუშინ მსოფლიო ზრუნვით შეპყრობილნი. მათ ის იყო ცოტა ხნით ნაცრისფერი კაბები გადაიცვეს[1] და თავი დამდაბლებულებად მოგვაჩვენეს, რომ უეცრად ისეთ ღირსებაში აიყვანეს, სიზმრადაც კი არ მოლანდებიათ. ისინი, ვინც სიყრმიდან ღრმა სიბერემდე მოღვაწეობაში არიან, ხელქვეითთა ხარისხში რჩებიან, და მათ განაგებენ მათივე შვილები, რომელთაც არც კი სმენიათ მართვა-გამგებლობის კანონების შესახებ". ასეთი და კიდევ უფრო მეტი

---

[1] იმ დროს მონაზვნებს ჩვეულებრივ ნაცრისფერი ემოსათ.

ყველრებით მაწყინებენ და აღარ ვიცი, რით ვიმართლო თავი მათ წინაშე. გვედრი, მასწავლე რამე.

ვფიქრობ, შენ უბრალოდ და უმიზეზოდ არ გაიპარებოდი და აშკარა ბრძოლას არ გამოუცხადებდი ამ დიდებულ კაცებს, ეს ნაბიჯი ალბათ რაღაც მოფიქრებული და გარკვეული მიზნისთვის გადადგი. აქედან ვხვდები, რომ თავდასაცავი სიტყვაც მზად გექნება.

მაშ მითხარი, რა სამართლიანი მიზეზი შეგვიძლია წარვუდგინოთ ჩვენს მაბრალობლებს. ხოლო იმას, მე რომ უსამართლოდ მომექეცი, არ გსაყვედურობ. არ გსაყვედურობ არც სიცრუეს, არც ღალატს, არც შენდამი ჩემი კეთილგანწყობის არად ჩაგდებას. მე ჩემი სული მოგიტანე და ჩაგაბარე, შენ კი ისე ცბიერად მომექეცი, თითქოს რაღაც უსიამოვნებებს მოელოდი ჩემგან. თუ სასარგებლოდ გიჩნდა ეს განზრახვა (ეპისკოპოსად არჩევა), მაშინ ამ სიკეთეს არ უნდა გარიდებოდი, ხოლო თუ საზიანოდ, მაშინ ჩემთვისაც უნდა აგეცილებინა, რადგან, შენივე თქმით, ყოველთვის ყველას გერჩივნე. შენ კი ყველაფერი ილონე იმისთვის რომ მე ჩავვარდნილიყავი. და არავითარ მზაკვრობასა და თვალთმაქცობას არ დაერიდე იმის წინააღმდეგ, ვინც ყოველთვის უბრალოდ და უზაკველად გექცეოდა. თუმცაღა, აკი გითხარი, სრულიად არ გსაყვედურობ ამას და არ გადანაშაულებ იმ მარტოობისთვის, რომლისთვისაც გამწირე. შეწყდა თათბირები, რომელთაგან სშირად ვღებულობდით სიამოვნებასაც და საკმაო სარგებელსაც. მაგრამ ყოველივე ამას თავს ვანებებ და ვითმენ უსიტყოდ და მშვიდად, არა იმიტომ, რომ შენი საქციელი უწყინარი იყო, არამედ იმიტომ, რომ შენთან მეგობრობის პირველი დღიდანვე წესად დავიდე — არასოდეს გაიძულო თავის მართლება, რაც არ უნდა მაწყენინო. საკმაო ვნება რომ მომაყენე, შენც იცი, თუკი გახსოვს, რის ამბობდნენ ჩვენზე უცხონი და ჩვენ თვითონაც. კერძოდ, რომ ჩვენთვის ფრიად სასარგებლოა ერთსულოვნების დაცვა და ურთიერთის სიყვარულით თავის შემოზღუდვა. სხვანი იმასაც კი ამბობდნენ, რომ ჩვენი ერთობა ბევრისთვის იქნებოდა სასარგებლო. თუმცა მე არასოდეს მიფიქრია, რომ შემიძლია სხვებს გამოვადგე, ის კი ვიცოდი, რომ ერთსულოვნება გარეშე მტერთაგან დაგ-

ვიცავდა, და ეს არ იქნებოდა უმნიშვნელო სარგებელი. ამას ყოველთვის დაუღალავად გახსენებდი ხოლმე. ახლა მძიმე დროა. ავის მოსურნე ბევრია, ჭეშმარიტი სიყვარული გაქრა, მისი ადგილი დამღუპველმა სიძულვილმა დაიკავა: „უწყოდი რამეთუ შორის საფრთხეთასა წარვლი და გარე ქალაქისა ჯებირისა ხვალ" (ზირ. 9, 18). მრავალნი არიან, ვისაც ახარებს ჩვენს თავს მოწეული უბედურებები, ისინი ყოველი მხრიდან გარემოგვადგნენ, თანამლმობი კი არავინაა, ანდა ძალიან ცოტანი.

გაფრთხილდი, მას მერე, რაც ერთმანეთს დავშორდებით, უფრო მეტი დაცინვა და ზიანი არ დავიტეხოთ თავს. „ძმაᲲ ძმისა შემწე, ვითარცა ქალაქი ძლიერი და მაღალი და ძლიერ არს, ვითარცა სამეუფოᲲ მოზღუდვილი" (იგავთა, 18, 19). ნუ დაარღვევ ამ ერთობის, ნუ დაამხობ ამ სიმაგრეს. დაუცხრომლად გიმეორებდი ამას და ამაზე მეტსაც მაშინ, როცა არაფერი ვიცოდი და სრულიად ჯანსაღად გთვლიდი ჩემთან დამოკიდებულებაში, მხოლოდ გრძნობათა სიჭარბის გამო გთავაზობდი მკურნალობას საღ-სალამათს. თურმე არ ვიცოდი, რომ წამალს სნეულს ვაძლევდი და ამნაირად მე საბრალომ ვერაფერს მივაღწიე, ვერავითარი სარგებელი ვერ მივიღე ასეთი მზრუნველობისთვის. შენ მეყსეულად უარყავი ყოველივე და მსუბუქი ხომალდივით გამიშვი გაშლილ ზღვაში, არც კი ცდილხარ წარმოგედგინა მრისხანე ტალღები, მე რომ უნდა შევებრძოლო. თუკი საიდანმე დამატყდება ცილისწამება, დაცინვა ანდა რაიმე სხვა შეურაცხყოფა და მტერობა (ეს კი ალბათ ხშირად მოხდება), ვის შევევედრო, ვის ვაუწყო ჩემი მწუხარება, ვინ შემეწევა, ვინ მოიგერიებს ჩემს შეურაცხმყოფელთ, ვინ აიძულებს მათ მტერობის შეწყვეტას, ვინ მანუგეშებს და შემეწევა სხვათა უჯერო საქციელის გადატანაში? არავინ მივის, რადგან შენ შორს განუდექი ამ სასტიკ ბრძოლას და ჩემი ხმაც კი არ გწვდება. იცი კი, რა ბოროტება ჩაიდინე? აღიარებ კი ამ მარცხის შემდეგ მაინც, რა უკურნებელი წყლულება მომაყენე? მაგრამ მოდი, ამას თავი დავანებოთ: რაც მოხდა, იმას უკვე ვეღარას ვუშველით, ვერც გამოუვალი ვითარებიდან ვიპოვით გამოსავალს. მაგრამ რა ვუთხრათ უცხოებს? რითი დავიცვათ თავი მათი ბრალდებებისგან?

8. ოქროპირი: დამშვიდდი, მივუგე მე, მზადა ვარ არა მარტო მაგაზე გიპასუხო, არამედ შეეცდები, რამდენადაც შეეძლებ, იმაშიც ვიმართლო თავი, რასაც შენ მპატიობ. თუ გინდა, სწორედ აქედან დავიწყებ თავდაცვას. ფრიად უმადლო, განუსჯელი და ბოროტი კაცი ვიქნებოდი, უცხოთა აზრზე რომ მეფიქრა და მათი ყვედრების დასაცხრობად ყველა ღონე მეხმარა, იმას კი არ ვცდილიყავ, რომ ჩემს უდანაშაულობაში დამერწმუნებინე შენ, ვინც ყველაზე მეტად მიყვარს და ვინც იმდენად მიბრალებს, რომ არ მადანაშაულებს იმაშიც კი, რაშიც, მისივე თქმით, დამნაშავე ვარ, ის, ვინც თავის თავს არად აგდებს და კიდევ ჩემზე ფიქრობს. მაშინ ხომ დიდ უყურადღებობას გამოვიჩენდი ჩემთვის ესოდენ მზრუნველი მეგობრის მიმართ.

ამნაირად, რითი შეურაცხგყავი? აი აქედან დავიწყებ ჩემს თავდაცვას. იმით, რომ ხერხი ვიხმარე და დაგიმალე ჩემი განზრახვა? მაგრამ ეს ბოლოს სასარგებლო გამოდგა შენთვისაც და იმათთვისაც, ვისაც შენი თავი ჩავაბარე ჩემი დამალვის წყალობით. თუკი დამალვა ყველა შემთხვევაში ბოროტებაა და არასოდეს შეიძლება მისი გამოყენება, თუნდაც კეთილი საქმისთვის, მაშინ მზადა ვარ მივიღო ის სასჯელი, რომელსაც შენ განმიჩინებ. თუმცა რაკი შენ არასოდეს დათანხმდები ჩემს დასჯას, მე თვითონ დავასჯი თავს ისე, როგორც მოსამართლენი სჯიან ხოლმე ბრალმდებელთაგან მხილებულ დამნაშავეებს. და თუკი დამალვა ყოველთვის არ არის მავნე, არამედ კარგი ან ცუდი ხდება კაცის განზრახვის მიხედვით, მაშინ ნუღარ მაბრალებ, რომ მოტყუვდი, და დაამტკიცე, რომ ხერხი ბოროტი საქმისათვის ვიხმარე. სანამ ეს არ დამტკიცებულა, მანამდე ნუ მყვედრი და ნუ მაბრალებ, პირიქით, თუ ვინმე ხერხს კეთილი მიზნით იყენებს, ის ქების ღირსია და არა საყვედურის. თავის დროზე და კეთილი განზრახვით ნახმარ ფანდს ისეთი სარგებლობა მოაქვს, რომ მრავალი დასჯილა კიდეც მისი გამოუყენებლობისთვის. მოდი, გაიხსენე უსაჩინოესნი მხედართმთავართა შორის, ძველთაგან მოყოლებული, და დარწმუნდები, რომ მათი გამარჯვებები უფრო ხშირად ხერხის შედეგი იყო, და ასეთები უფრო სახელგანთქმულები არიან, ვიდრე ისინი, ვინც მხოლოდ ძალით იგებდა ომს. ეს უკანას-

კნელნი ფულისა და ხალხის დიდი ხარჯით მოიპოვებენ ხოლმე გამარჯვებას, ისე რომ ვეღარავითარ მოგებას ვეღარ ნახულობენ მისგან. მძლეველნი ძლეულებზე ნაკლებ როდი არიან შეჭირვებულნი ჯარის დაღუპვისა და ხაზინის გაღატაკებისგან. თანაც ისინი მთლიანად ვერ ტკბებიან თავიანთი გამარჯვებით, რადგან ხშირად მასში საკმაო წილი უდევთ დამარცხებულებსაც, რომლებიც ძლეულნი არიან მხოლოდ ხორცით, სულით კი ზეობენ. რომ არ დაცემულიყვნენ და მხნეობა არ დაეკარგათ, ისინი არასოდეს დამარცხდებოდნენ. ხერხის წყალობით გამარჯვებული კი მეტოქეს არა მარტო უბედურებას შეამთხვევს, სასაცილოდაც კი იგდებს ხოლმე. პირველ შემთხვევაში ორივე, მძლეველიცა და ძლეულიც, თანაბრად იღებს ქებას სიმამაცისთვის, ხერხის მოშველიების შემთხვევაში კი ნადავლი მთლიანად გამარჯვებულებს რჩებათ და რაც მთავარია, ქალაქში მოაქვთ გამარჯვების უხინჯო სიხარული. ფულის სიუხვე და ხალხის სიმრავლე სხვაა და კეთილგონიერება კიდეკ სხვა; პირველი განილევა ომში განუწყვეტელი ხმარებისას, და ბოლოს საერთოდაც ქრება. კეთილგონიერება კი, რაც უფრო ხშირად იყენებენ, მით უფრო მატულობს. და არა მხოლოდ ომში, მშვიდობიან დროსაც შეიძლება ხერხისგან დიდი და უეჭველი სარგებლობის მიღება. ეს ეხება არა მარტო საზოგადო, არამედ ოჯახურ საქმეებსაც. მაგალითად, ქმრის დამოკიდებულებას ცოლისადმი და ცოლისას — ქმრისადმი, მამის დამოკიდებულებას შვილისადმი, მეგობრის დამოკიდებულებას მეგობრისადმი და თვით შვილის დამოკიდებულებას მამისადმი. ასე მაგალითად, საულის ასული ვერ დაიხსნიდა თავის ქმარს საულის ხელიდან, ხერხი რომ არ ეხმარა, მისმა ძმამ კი (იონათანმა), თავისი დისგან გადარჩენილის ახალი საფრთხისაგან ხსნა რომ უნდოდა, იგივე ფანდი გამოიყენა (I მეფეთა, 19, 20).

I ბასილიმ თქვა: ყოველივე ეს მე არ მეხება, არც მტერი ვარ და არც მეტოქე ,და არც მაწყინებელი, პირიქით, მუდამ შენს ნება-სურვილს ვუთანხმებდი ჩემს გულისთქმას და ისე ვიქცეოდი, როგორც მიბრძანებდი.

9. ოქროპირი: ჰოი, ჩემო საკვირველო და კეთილო კაცო! იმიტომაც ვთქვი წინასწარ, რომ მხოლოდ ომში და მტრების

წინააღმდეგ კი არა, მშვიდობიანობის ჟამს, უსაყვარლეს ადამიანთა მიმართაც კი ზოგჯერ სიკეთის მომტანია ხერხის ხმარება. იმაში დასარწმუნებლად, რომ ეს ნამდვილად სასარგებლოა არა მხოლოდ იმათთვის, ვინც იყენებს ხერხს, არამედ იმათთვისაც, ვის მიმართაც იყენებენ, მიდი რომელიმე ექიმთან და ჰკითხე, როგორ მკურნალობენ სნეულებს, და გეტყვის, რომ ექიმები ყოველთვის თავიანთ ხელოვნებას როდი სჯერდებიან, ხანდახან ხერხსაც ხმარობენ და ისე განკურნავენ ხოლმე ავადმყოფს. როდესაც ავადმყოფის ახირებული ხასიათი ანდა თვით სენის სიმძიმე ექიმის რჩევებს არ ემორჩილება, მაშინ მკურნალი ხერხს მიმართავს.

გინდა, გიამბობ ერთ ხერხს, ექიმს რომ უხმარია? ვიღაც კაცს უეცრად ძლიერი ხურვება შეეყარა, სიცხე სულ უფრო მატულობდა. ავადმყოფი უარყოფდა ყველა საშუალებას, რასაც მხურვალების ჩაქრობა შეეძლო, და სთხოვდა, ევედრებოდა ყველა მნახველს, მოეტანათ მისთვის ბევრი ღვინო, რომ მტანჯველი წყურვილი მოეკლა. მაგრამ ვინც ამ თხოვნის შესრულებას დასთანხმდებოდა, ის არა მხოლოდ ხურვებას გაამძაფრებდა, სიშლეგესაც შეყრიდა საბრალოს. როცა საექიმო ხელოვნება უძლური აღმოჩნდა და არავითარი საშუალება აღარ არსებობდა, აი მაშინ გამოჩნდა ხერხის დიდი ძალა. ექიმმა აიღო თიხის ჭურჭელი, ღუმელიდან ახლად გამოღებული, ღვინოში ამოავლო, ცარიელი ამოიღო და წყლით აავსო. ავადმყოფის ოთახი ფარდებით დააბნელებინა, ხერხი რომ არ გამჟღავნებულიყო, და სნეულს მიაწოდა ჭურჭელი, ვითომდა ღვინით სავსე. მას კი, სანამ ფიალას ხელში აიღებდა, ჯერ ღვინის სუნმა დაახვია თავბრუ, და იმის გაგება აღარ შეეძლო, რა მისცეს. ყნოსვას მინდობილმა, სიბნელით ცდუნებულმა და ძლიერი ნდომით აგზნებულმა დალია წყალი დიდი ხალისით. წყურვილი რომ მოიკლა, მყისვე შეუმსუბუქდა ხურვება და მოსალოდნელ საფრთხესაც გადაურჩა. მაგრამ ექიმების ყველა ხერხი რომ ჩამოვთვალო, სიტყვა ძალიან გამიგრძელდება. ისიც უნდა ითქვას, რომ ექიმი არა მხოლოდ ხორციელ, არამედ სულიერ სალმობათა სამკურნალოდაც ხშირად სწორედ ასეთ წამალს იყენებს. ასე მაგალითად, ნეტარმა პაველემ მრავალი ათასი იუდეველი მოაქცია ქრისტეს სჯულზე. (საქმე

მოციქულთა, 21, 20—26). ამ განზრახვით წინადასცვითა მან ტიმოთე, და ეს მაშინ, როცა გალატელთა მიმართ წერდა: „აჰა ესერა მე, პავლე გეტყუ3 თქუენ: უკეთუ წინადაიცვითოთ, ქრისტემან თქუენ არაჲ გარგოს“ (გალატელთა მიმართ 5, 2; საქმე მოციქულთა 16, 3). ამიტომაც ინახავდა სჯულს, მაშინ როცა თვლიდა, რომ ამაო არს სჯული ქრისტიანისთვის (ფილიპ. 3, 7—9). დიდია ასეთი ხერხის ძალა, ოღონდ იგი ბოროტი განზრახვით არ უნდა გამოიყენოს კაცმ. ანუ უფრო უკეთ, მას ხერხი კი არა, ერთგვარი კეთილგონიერება და ხელოვნება უნდა ეწოდოს, რაკი ძალუძს გამოუვალი მდგომარეობიდან მრავალი გამოსავლის მონახვა და სულიერ ნაკლულევანებათა კურნება. ამნაირად, მე არ ვუწოდებ ფინეხს მკვლელს, თუმცა კი მან ერთი დარტყმით ორი კაცი განგმირა (რიცხვთა, 25, 8). ასევე არც ელიას — ასი მოკლული მხედრისა და მათი მხედართმთავრებისთვის, ანდა სისხლის დიდი ნიაღვრისთვის, რომელიც დააქცია ეშმაკთა ქურუმების მოსრვის დროს (4 მეფეთა, 1, 3; მეფეთა 18). თუ ეს გამოგვეპარება მხედველობიდან, და თუ ვინმე მხოლოდ საქმეთა მიხედვით განსჯის, ასე რომ არ მიხედავს კაცის ზრახვებს, მას შეუძლია აბრაამს შვილის მკვლელობა დააბრალოს, მის შვილსა და შვილიშვილს კი — ბოროტისყოფა და სიცრუე, რადგან პირველი (იაკობი) თავისი ძმის პირველშობილებას დაეუფლა, მეორემ კი (მოსემ) ეგვიპტის საგანძური ისრაელის მხედრობაში გაიტანა (შესაქმე, 27; გამოსლვ. 12, 35-36). მაგრამ არა, არა, ნუ ვიქნებათ ესრეთ უგუნურ! ჩვენ არათუ ბრალს არ ვდებთ მათ, არამედ ვადიდებთ, რადგან ღმერთმა განადიდა ისინი ამ საქმეთათვის. სამართლიანად უნდა ეწოდოს მაცდური იმას, ვინც ხერხს ბოროტი განზრახვით იყენებს, და არა იმას, ვინც კეთილგონიერების თანახმად იქცევა. ხშირად საჭირო ხდება ხერხის გამოყენება, რათა ამ ხელოვნებით უდიდეს სარგებელს მიაღწიონ, სწორი გზით მავალს კი ხანდახან საკუთარი განზრახვის გამჟღავნება ექცევა ახლობელთა დაღუპვის მიზეზად.

სიტყვა მეორე

1. კეთილი მიზნით ხერხიც უნდა მოიშველიოს კაცმა. ასეთ შემთხვევაში მას ხერხი კი არა, სანაქებო წინდახედულება უნდა ეწოდოს. ამის დასტურად ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება, მაგრამ რაც ვთქვი, ისიც საკმარისია სარწმუნებელად, ამიტომ სწორედ რომ მოსაწყენი იქნებოდა ამის თაობაზე სიტყვის გაგრძელება. ისღა რჩება, ახლა რომ შენ გამაგებინო: გარგო თუ არა ნამდვილად ჩემმა საქციელმა?

თქვა ბასილიმ: „როგორ მარგებს ეს ეხი წინდახედულება, კეთილგონიერება თუ რაც გსურს ის უწოდე, თუკი მართლაც დაბარწმუნებს, რომ არ ვარ შენგან მოტყუებული?"

ოქროპირი: გეგულება შენ ქრისტეს სიტყვების მიხედვით აღსრულებული, ქრისტეს სიყვარულის დამადასტურებელ საქმეზე უფრო მნიშვნელოვანი სხვა საქმე? მაცხოვარი, თავთა მოციქულს, პეტრეს რომ მიმართავდა, უთხრა: „პეტრე, გიყუარ მეა?" (იოანე 21, 15—16) და როცა მან აღიარა მისი სიყვარული, უთხრა მაცხოვარმა: თუ გიყვარვარ, „დამწყსენ ცხოვარნი ჩემნი" (იოანე 21, 17). იმიტომ კი არ ჰკითხა მოძღვარმა ეს მოწაფეს, რომ არ იცოდა, უყვარდა თუ არა იგი ნამდვილად პეტრეს (განა შეიძლება ეს არ ცოდნოდა ყოველთა გულთამხილავს?), არამედ იმიტომ, რომ ეჩვენებინა ჩვენთვის, თუ როგორ ზრუნავს იგი თავის სამწყსოსა ზედა. თუ ეს გასაგებია, ისიც ნათელი უნდა იყოს, თუ რა დიდსა და გადმოუთარგმანებელ ჯილდოს განიმზადებს მტვირთველი იმ შრომისა, რომელიც თავად ქრისტემ ასე ძვირად შეაფასა. ჩვენი და იმ ხალხის ურთიერთობა, რომელიც ჩვენს ფარებსა და მსახურებზე ზრუნავს, ფულზეა აგებული და მიუხედავად ამისა, მაინც ეს გვგონია, რომ ისინი ასეთ ზრუნვას ჩვენი სიყვარულის გამო იჩენენ. მაცხოვარმა სამწყსოდ თვისი ფულითა და სხვა რამეთი კი არა, საკუთარი სიკვდილის ფასად გამოიხსნა, საფასურად საკუთარი სისხლი გაიღო, მაშ როგორი უნდა იყოს ის ჯილდო, რომელსაც ქრისტე ამ სამწყსოს მწყემსთავთ მიაგებს? ამიტომ იყო, როცა მოწაფემ უპასუხა: „უფალო, შენ ყოველი უწყი და ყოველი იცი, რამეთუ მიყუარ შენ" (იოანე, 21, 17) და მან თავად უფალი, სიყვარული თვისი დაიმოწმა. მაცხოვა-

რი ამაზე არ შეჩერებულა, არამედ სიყვარულის ნიშანზე მიუთითა მას. ასე რომ, იმის ჩვენება კი არ სურდა, თუ როგორ უყვარდა იგი პეტრეს — ეს მისთვის უამრავი რამით იყო ცნობილი — არამედ იმისა, თუ როგორ უყვარს ეკლესია თვისი და ამიტომ კეთილად მიაჩნია განსწავლა პეტრესი და ყოველი ჩვენთაგანისაც, რათა ვჰყოთ ზრუნვაჲ დიდი მისსა ეკლესიასა ზედა.

რატომ იყო, რომ არ დაინდო უფალმა ძეჲ თვისი მხოლოდშობილი? იმიტომ, რომ მტრად ქცეული საკუთარი ერი მოეკრიბა თავისაკენ და ექცია იგი „ერად მოგებულად" (ტიტ. 2, 14). რატომ დათხია მან სისხლი თვისი? იმიტომ, რომ შემოეკრიბა ის საცხოვარი, რომელიც მიანდო მერე პეტრესა და მის მემკვიდრეებს. უმიზეზოდ როდი უთქვამს ქრისტეს: „ვინმე არს სარწმუნოჲ იგი მონაჲ და ბრძენი, რომელი დაადგინოს უფალმან თვისმან მონათა თვისთა ზედა?" (მათე 24, 25). თითქოს ამ სიტყვებსაც გაუგებრობის იერი დაჰკრავს, მაგრამ არა არის რა მიუწვდომელი მისთვის, ვინაც წარმოთქვა ისინი. სამწყსოსადმი თავისი განუსაზღვრელი სიყვარულის ჩვენება სურდა უფალს, ამიტომ ჰკითხა პეტრეს, გიყვარვარ თუ არაო და არა იმიტომ, თითქოს არ ცოდნოდა, უყვარდა თუ არა იგი მოწაფეს თვისას. ჰოდა სიტყვებიც. „ვინმე არს სარწმუნოჲ და ბრძენი", იმიტომ როდი უთქვამს, თითქოს არ ცოდნოდეს, ვინ იყო მისი ერთგული და ბრძენი მონა. ამით მან გვიჩვენა, თუ რა იშვიათია ასეთი მონა და რა მნიშვნელოვანი — საქმე, მასზე მინდობილი. და ჯილდოც ნახე, როგორია: „ყოველთა ზედა მონაგებთა დაადგინოს იგი" (მათე 24, 47).

2. კიდევ თუ გეპარება ეჭვი შენი მისამართით ნახმარი ფანდის სიკეთეში, რომელსაც მოჰყვება ზედამხედველობა უფლისა ყოველსა სამკვიდრებელსა ზედა და ქმნა იმისა, რისი აღსრულებითაც, როგორც ქრისტემ თქვა, პეტრე უნდა გამხდარიყო უფროისი სხვათა მოციქულთა შორის. პეტრე — „გიყუარ მე უფროჲს ამათსა? — აძოვენ კრავნი ჩემნი" (იოანე, 21, 15). არადა, ხომ შეეძლო ეთქვა: თუ გიყვარვარ, შეუდექი მარხვას, იძინე შიშველ მიწაზე, იფხიზლე მარადჟამს, დაიცავ შეჭირვებულნი, ეყავ ობოლთ მაგიერი მამისა და დედისა; მაგრამ რას ამბობს ყოველივე ამის ნაცვლად? „აძოვენ კრავნი

ჩემნი". ამის აღსრულებას, რაც ახლა ვთქვი, ბევრი კაცი და ქალიც კი, თვით სამწყსოდანაც, ადვილად შეიძლებდა. მაგრამ როცა საქმე ეკლესიის წინამძღოლობასა და უამრავ სულზე ზრუნვას ეხება, ყოველნი დედანი და შამათა უმეტესობაც ასეთ დიდ საქმეს უნდა მოერიდონ. ეს უნდა იტვირთონ იმათ, რომელნიც მრავალთ ისევე აღემატებიან სათნოებით, როგორც საული აღემატებოდა თავისი სხეულის სიდიდით ებრაელებს (1 მეფეთა, 10, 23), და უფრო მეტადაც. ამასთან, ასეთ დროს, სხეულის სიდიდეს კი არ უნდა მიექცეს იმდენად ყურადღება; მწყემსი ისევე უნდა განსხვავდებოდეს სამწყსოსაგან, როგორაც გონიერი — პირუტყვისაგან.

მავანს შეიძლებმა მგლებმა, ავაზაკებმა, ან რაიმე სხვა უბედურებამ მოუსრას ფარა. ეს ამბავი ბატონმა იქნება კიდეც შეუნდოს მწყემსს. პასუხი რომც აგებინონ ამის გამო, დანაკლისი ფულით უნდა ზღოს. მაგრამ თუკი კაცი მასზე მინდობილ, გონიერ ქრისტეანთა სამწყსოს განაბნევს, იგი ქონებას როდი ვნებს, არამედ სულს თვისას. ასე რომ, მას ფრიად მნიშვნელოვანი და უძნელესი მოღვაწეობა ელის. იგი არც მგლებს ებრძვის, არც ავაზაკებისა ეშინია და არც იმის ფიქრი აქვს, სენმა არ მომისრასო ფარა. მაშ, ვისთანა აქვს ომი და ვის ებრძვის? მოუსმინე, რას ამბობს, ნეტარი პავლე: „რამეთუ არა არს ბრძოლაჲ ჩუენი სისხლთა მიმართ და ხორცთა... არამედ სოფლის მპყრობელთა მათ მიმართ ამის ბნელისათა" (ეფ. 6, 12). ხედავ საშინელს, მძვინვარე ლაშქარს მტრისას, რკინის საჭურველი მას არ სჭირდება; საკუთარ არსებაშივე უდევს ყველანაირ იარაღზე უფრო მეტი ძალა. სამწყსოს სხვა, კიდევ უფრო მეტად კადნიერი და დაუნდობელი ჯარიც მოუხდება ხოლმე, მისი ნახვაც გინდა? მაგის დანახვაც იმ სიმაღლიდან (წმინდა წერილიდან)თუა შესაძლებელი. პირველ ლაშქარზე რომ გვიამბობდა, მანვე გვამცნო სხვების შესახებაც: „რამეთუ ცხად არიან საქმენი ხორცთანი, რომელი არიან: სიძვანი, მრუშებანი, არა-წმიდებანი, ბილწებანი, კერპთ-მსახურებანი, წამლობანი, მტერობანი, ხდომანი, შურობანი, გულის წყრომანი, წვალებანი, შფოთებანი" (გალ. 5, 19; 2 კორ. 12, 20) და სხვანი მრავალნი. ყველა არ ჩამოუთვლია, დანარჩენების ცნობა ჩამოთვლილის მიხედვით მოგვანდო. ამასთან, თუ ნახა სამ-

წყლოს დარბევის მსურველმა მწყემსნი უტყვნი და ბრძოლის ჟამს გაქცეულნი, აღარ ეომება [illegible]ათ, სამწყსოს დატაცებას ჯერდება. მაგრამ თუ მწყემსს ვერ სძლია მტერმა, მთელი სამწყსო რომ მიიტაცოს, მაინც არ დაოკდება. ან უნდა სძლიოს მწყემსს ან თავად უნდა დარჩეს მისგან ძლეული, ისე არ შეწყვეტს ბრძოლას.

გარდა ამისა, ცხვარს ადვილად შეატყობს კაცი გასაჭირს, შიმშილი იქნება ეს, სენი, ჭრილობა, თუ სხვა რაიმე ზიანის მომტანი. ეს ამბავი განკურნებას ძალიან უწყობს ხელს. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება აჩქარებს განკურნების, დაავადების ძლევის საქმეს. სახელდობრ, რა? ცხვარმა თუ თავისი ნებით არ ისურვა წამლის მიღება, მწყემსებს უფლება აქვთ, რომ დააძალონ წამალი. თუ საჭირო გახდა მოწვა (რაიმე ნაწილისა), ან მოკვეთა, ადვილად შეკრავენ ცხვარს და არ გაუშვებენ გარეთ, თუ არგებთ, ერთ საკვებს მეორეთი შეუცვლიან, წყალზეც არ მიუშვებენ, და მოკლედ, ყველაფერს, რაც განკურნებისათვის იქნება საჭირო, ადვილად გააკეთებენ და მოახერხებენ.

3. მაგრამ ადამიანში სწორედ სენია მიჩქმალული და ძნელად დასანახი. რამეთუ „ვინმე უკუე იცის კაცმან კაცისაჲ, გარნა სულმანვე კაცისამან, რომელი არს მის თანა“ (1 კორ. მიმართ 2, 11). ჰოდა, როგორ იხმარ წამალს იმ სენის მიმართ, რომლის თავისებურების შესახებაც არაფერი იცი, ის კი არა, ხშირად იმასაც ვერ მიმხვდარხარ, კაცი ავადაა თუ არა? თუ სნეულებას აღმოაჩენენ, მკურნალებს კიდევ უფრო მეტი სირთულეები ელით. განა ექიმის უფლებები ისე ვრცელდება ადამიანებზე, როგორც მწყემსისა — ცხვრებზე?! აქაც საჭირო ხდება ხოლმე შეკვრა, საზრდელის აკრძალვა, მოწვა და მოკვეთა. მაგრამ ამ შემთხვევაში მკურნალობა უნდა წარიმართოს უშუალოდ სნეულის, და არა მკურნალის ნებით. ეს ყველაფერი კარგად იცოდა გასაოცარმა კაცმა (პავლემ), და ამიტომ უთხრა კორინთელთ: „არა თუ უფლებით რას სარწმუნოებასა მაგას თქუენსა ზედა, არამედ თანაშემწენი ვართ სიხარულისა (2. კორ. 1, 24). ქრისტიანთ, ყველასაგან განსხვავებით, უფრო ძლიერად ეკრძალებათ ცოდვილთა ძალით გამოსწორება, გარეშენი და წარმართთა მოსამართლეები დამნაშავეთ კანონე-

ბის მიხედვით ასამართლებენ, უფლებამოსილნი არიან მათზე და ამიტომ; ამ კანონის ძალით დამნაშავეთაგან ძველი ჩვეულებების უკუგდებას იძულების წესით ითხოვენ. ხოლო აქ ცოდვილი ძალით კი არა, შეგონებით უნდა მოიყვანო გამოსწორების გზამდე. რჯულის მიხედვით, ჩვენ არ გვეძლევა ცოდვილთა გამოსწორების სხვაგვარი უფლება. რომც გვქონდეს, ამ უფლებას მაინც ვერ გამოვიყენებთ, რადგან ღმერთი მხოლოდ მას აჯილდოებს, ვინც თავისი ნებით განუდგება საძრახის საქმესა და არა იძულებით. სწორედ დიდი ხელოვნებაა საჭირო, სნეული ისე დაარწმუნო მკურნალობის აუცილებლობაში, მოძღვართან თავისი ნებით მივიდეს და მადლობელიც დაგირჩეს. სამკურნალოდ იძულებით მიყვანილმა, საკვრელთაგან თავის დაღწევა თუ მოინდომა (და მას აქვს ამის უფლება), თუ შეიძულა სიტყვები განმკვეთელი უფროის რკინისა, უფრო მეტადაც გაიუბედურებს თავს, რადგან ეს უარყოფა მას ახალ ჭრილობას შესძენს და სამკურნალო საშუალება უმძიმესი დაავადების მიზეზად ექცევა. ასე რომ, ძალით, სნეულის ნების წინააღმდეგ, არავის ძალუძს მისი განკურნება.

4. თუკი იოლი საშუალებებით მიუდექი მას, ვისაც ძლიერი მკურნალობა სჭირდებოდა ან არ ჩაუჭერი ჭრილობა ისე ღრმად, როგორც საჭირო იყო, რა გამოგივა? ჭრილობის ნაწილს უწამლებ, ნაწილს — ვერა. თუკი არ დაზოგავ და ისე მოახდენ სათანადო გაკვეთას, ავადმყოფმა შეიძლება ვერ გაუძლოს წამებას და უარი თქვას ყველაფერზე: წამალზე, გადახვევაზე. შეიძლება სულაც შემოიგლიჯოს ყველაფერი და თავი უფსკრულს მისცეს. მე შემიძლია გიჩვენო ხალხი, უკიდურესად გაბოროტებული, ამ ზომამდე ისინი სწორედ იმ სასჯელმა მიიყვანა, რომელიც მათ ცოდვების შესაბამისად დაედოთ. ადვილი არ უნდა იყოს ცოდვათა მიხედვით სასჯელის განსაზღვრა, ცოდვილთა ამტანობის გათვალისწინება, არც ის, რომ ჭრილობა შეკერვისას უფრო მეტად არ დაზიანდეს ან ცოდვილს, აღდგენის მცდელობაში, უფრო მეტად არა ავნო რაიმე და არ დასცე იგი. თუ სუსტებსა და უძლურებს, რომელნიც უფრო მეტად არიან მიცემულნი ამსოფლიურ სიტკბოებას, და თავიც კი მოაქვთ საკუთარი წარმომავლობითა და უფლებებით, თანდათან და ნელ-ნელა განვაყენებთ ცოდვათა-

გან, ისინი სრულებით თუ არა, ნაწილობრივ მაინც შეიძლებენ საკუთარ ბიწიერებათაგან განთავისუფლებას. მაგრამ თუ ვინმე ერთბაშად მოინდომებს მათ გამოსწორებას, შეიძლება მცირედი გამოსწორების საშუალებაც კი მოუსპოს ამით.

სულს, თუნდაც ერთხელ ძალით სირცხვილეულს, დაეუფლება უგრძნობელობა და აღარ ისმენს სიტყვებს უწყინარს, არც რისხვას შეეპუება, სათნოებასაც კი არ მიიკარებს და ემსგავსება ქალაქს, რომელზედაც თქვა წინასწარმეტყველმა: „შესახედავი მეძავისა იქმნა შენდა უსირცხვილოებად ყოველთა მიმართ". (იერემია, 3, 3), ამიტომაა, რომ მწყემსს მოეთხოვება დიდი კეთილგონიერება, თვალი — ყოელისმხედველი, რათა სრულყოფილად შეძლოს სულზე დაკვირვება. ბევრს არ ძალუძს რაკი მკაცრი მკურნალობის ატანა, განფიცხდება და კარგავს სასოებას ხსნისას. ბევრია ისეთიც, რომელთაც არ დაედოთ ცოდვათა შესაბამისი სასჯელი და ეს გახდა მიზეზი მათი უფრო მეტი უზრუნველობისა, უკეთურებისა და ცოდვისა. ასე რომ, მოძღვარის ვალიც ისაა, კარგად გამოსცადოს ცხოვარნი მისნი, სრულყოფილად გამოიძიოს საქმენი მათნი და მიიღოს ყველა შესაბამისი ზომა, რათა მისი გულმოდგინება არ იყოს ფუჭი და ამაო. და მარტო ეს როდია მისი მოღვაწეობის სიძნელე, ეკლესიისაგან განდგომილი წევრების კვლავ დაბრუნება ურთულესი საქმეა. ფარა თავისი მწყემსის კვალს მისდევს, მას მიჰყვება. რომელიმე მათგანი სწორ გზასა და კარგ საძოვარს თუ ჩამორჩა, იყიალებს ერთ ხანს ფლატესა და უნაყოფო მიწაზე. საკმარისია, ერთხელ, ხმამაღლა დაიყვიროს მწყემსმა, რომ მყისვე შეიყარონ განბნეულნი ცხოვარნი. მაგრამ თუ ადამიანი განუდგა რწმენის სწორ გზას, მოძღვარს დიდი შრომა, გულმოდგინება და მოთმინება მართებს.

ადამიანის არც ძალით მოქცევა შეიძლება, არც დაშინებით იძულება. იმ ჭეშმარიტებამდე, რომელსაც განუდგა, მისი მიყვანება შეგონების გზით უნდა მოხდეს. რა მხნეობასავსე და ძლიერი სულია საჭირო, რომ არ მოუძლურდე და არ წარგეკვეთოს სასოება გზააბნეულთა ცხოვრებისა, სულ რომ გახსოვდეს: „მო-ხოლო-თუ-სცეს მათ ღმერთმან სინანული მეცნიერებად ჭეშმარიტებისა და განიფრთხონ საფრთხისაგან ეშმაკისა" (2 ტ. მიმართ. 2, 25, 26). ამიტომ იყო, მოწაფეებთან საუბრი-

სას რომ თქვა უფალმა: „ვინმე არს სარწმუნოჲ იგი მონაჲ და ბრძენი" (მათე 24, 25)? მოქალაქობის[1] მტვირთველს თავისი თავისათვის მოაქვს სიკეთე, ხოლო მწყემსის ღვაწლი მთელ ერს სწვდება. როცა განმკითხველი შეჭირვებულთა და არაფრის მქონეთ ფულით ან სხვა რამით უმართავს ხელს, იგი ამით ერთგვარად ეხმარება ახლობელთ. მაგრამ მისი ქმედება იმდენად მცირეა მოძღვრის ღვაწლთან შედარებით, რამდენადაც სულია სხეულზე მაღალი. სწორედ რომ სამართლიანად ამბობს უფალი, რომ ზრუნვა მისსა სამწყსოსა ზედა სხვა არაფერია, თუ არა მისდამი სიყვარულის გამოვლინება.

ბასილი: და შენ განა არ გიყვარს ქრისტე?

ოქროპირი: მიყვარს და მუდამაც მეყვარება, მაგრამ მეშინია არ შეურაცხვყო სიყვარული ჩემი.

თქვა ბასილიმ: განა იქნება გამოცანა და ამაზე უფრო ბნელი? ქრისტემ უბრძანა მოყვარულთა მისთა მწყემსვა ცხოვართა თვისთა. და შენ იმიტომ ამბობ მწყემსვაზე უარს, რომ თურმე უფალი გიყვარს.

ოქროპირი: ვუთხარი, არაფერია ჩემს სიტყვებში გამოსაცნობი. პირიქით, ძალიან მარტივია და ნათელი. რომ შემეძლოს ამ საქმის მაცხოვრის ნებისაებრ აღსრულება და მაინც თავს ვარიდებდე მას, ჩემი სიტყვები მართლაც გაუგებარი იქნებოდა. მაგრამ თუკი ვამბობ, რომ ამ საქმისათვის საკუთარი უძლურება მხდის-მეთქი ურგებს, მაშინ რაღაა ჩემს სიტყვებში გაუგებარი? მეშინია, ჩემზე მონდობილ ძლიერსა და ჯანმრთელ ქრისტიანულ სამწყსოს ჩემი უყურადღებობით არ ეევნოს რაიმე და არ განმირისხდეს უფალი, რომელმაც თვისთა ცხოვართა გამოხსნისა და ცხოვნებისათვის დასდვა თავი თვისი.

თქვა ბასილიმ: არ ამბობ მართალს. და თუ ამბობ, ეგ სიტყვები, რომელთა მეშვეობითაც ჩემი ურვის გაქარწყლებას ცდილობდი, სწორედ რომ ჩინებული დადასტურებაა იმისა, რომ წუხილი ჩემი ჯეროვანია და სამართლიანი. ადრეც შემინიშნავს, რომ ადვილად აგნებდი ფანდს, არც ჩემი გაცრუება გიჭირდა; მაგრამ ახლა, რომ გიყურებ რა ძლიერად ცდილობ

---

[1] ქართულ სასულიერო მწერლობაში ეს სიტყვა ნიშნავს სულიერ მოღვაწეობას.

ბრალდების აცილებას, უფრო ნათლად ვხედავ, რა უბედურებასაც მწიე. თუკი შენ მსახურებას იმ აზრით განერიდე, რომ სულით უძლური ხარ და ვერმტვირთველი ამ უღელისა, მაშინ მე შენზე უწინ, თავად რომ ძლიერადაც მდომოდა, მაინც უნდა გაგერიდებინე ამ საქმისაგან, მით უმეტეს, რომ იცოდი ჩემი აზრი მაგის თაობაზე. ახლა კი რა გამოვიდა, შენს თავზე იზრუნე, მე — დაგავიწყდი. ო, ფრიად სასურველი კი იქნებოდა, მართლაც რომ დაგვიწყებოდი, მაგრამ შენ ხომ განგებ წარმართე ყველაფერი ისე, რომ ჩემს მძებნელთ ხელიც კი შეეწყოთ. იმას ვერ იტყვი, თითქოსდა ხალხის ლაპარაკს ემოქმედოს შენზე და ჩემში რაღაც დიდსა და საოცარს ხედავდე. მე არ ვეკუთვნი იმ ადამიანთა რიცხვს, ქებასა და გაკვირვებას რომ იმსახურებენ, მაგრამ ასეც რომ იყოს, განა შეიძლება ხალხის ნათქვამის აყოლა?! მე და შენ რომ ერთად, გვერდიგვერდ არ ვიყოთ ნაცხოვრები, ხალხის ნათქვამის ყურადღება, გარკვეულად, საპატიო მიზეზადაც ჩაგვეთვლებოდა. მაგრამ თუკი შენზე უფრო ახლოს არავინ მიცნობს, თუკი ჩემი სულისა უფრო მეტად შენ გაგეგება, ვიდრე მშობელთა და აღმზრდელთა ჩემთა, მაშინ რით გინდა დამარწმუნო, რომ ამ სახიფათო საქმეს განგებ არ შემყარე? მაგრამ გავანებოთ ეხლა მაგას თავი. არ მინდა თავის მართლება გაიძულო. ის მითხარი, რა ვუპასუხოთ ჩვენს ბრალმდებლებს?

ოქროპირი: თუნდაც ათასჯერ მომიტევო, სანამ მე თვითონ არ გავიმართლებ თავს შენს წინაშე, მანამ მაგის შესახებ არაფერს ვიტყვი. როგორც შენ ამბობ, რომ არ მცნობოდი და ისე მიმეყვანე მაგ მდგომარეობამდე, მაშინ ჩემი უცოდინარობა გამამართლებდა კიდეც, მაგრამ რაკი გიცნობდი და თანაც ძალიან კარგად, ამიტომ აღარ რჩება არანაირი საპატიო მიზეზი ჩემი გამართლებისა. მაგრამ მე სულ სხვას გეტყვი: რადგანაც ამ საქმეში დიდი გამოცდილების ქონაა საჭირო, ის, ვინც მავანის მღვდელთმთავრად წარდგინებას განიზრახავს, არ უნდა დაკმაყოფილდეს მხოლოდ ხალხის ნათქვამით, არამედ ამასთან ერთად და ყველაზე მეტად და პირველ რიგშიაც, ხალხზე უწინ, თავად უნდა იყოს დარწმუნებული მავანის შესაძლებლობებში.

ნეტარი პავლეს სიტყვები: „არამედ ჯერ არს, რაჲთა წამებაჲცა კეთილი აქუნდეს გარეშეთაგან“... (1 ტიმ. 3, 7) არ უგუ-

ლებელყოფს მკაცრი და სარწმუნო გამოცდილების საჭიროებას, მაგრამ ამასთან ხსენებული მოწმობა როდი მიაჩნია ასეთი პირების ღირსების უმთავრეს ნიშნად. ამაზე უწინ მან ბევრი რამ თქვა და მერე დასძინა, რომ ამორჩევისას ამ ერთი ნიშნით კი არ უნდა დავკმაყოფილდეთ, არამედ იგი უნდა გავითვალისწინოთ დანარჩენებთან ერთად. ხალხის ნალაპარაკებით ადვილად მოტყუვდება კაცი. მაგრამ წინასწარი და მკაცრი გამოცდილების შემდეგ აღარ რჩება არანაირი საფრთხე. ამიტომ იყო, დანარჩენების მერე რომ ახსენა მან მოწმობა „გარეშეთაგან". ამაოდ როდი უთქვამს: „სარწმუნო არს სიტყუაჲ... კეთილსა საქმისა გული ეტყჳს" (1 ტიმ. მიმართ. 3, 1). მაგრამ დაუმატა „და გარეშეთაგან". მას სურდა განემარტა ჩვენთვის, რომ მოწმობას გარეშეთაგან მკაცრი გამოცდილება უნდა უძღოდეს წინ. და რადგანაც მე საკუთარ მშობლებზე უკეთ გიცნობდი, რაზედაც თავად დამემოწმე, საცა სამართალია, ყველანაირი ბრალი უნდა მომეხსნას.

თქვა ბასილიმ: ვინმემ რომ შენი გასამართლება მოინდომოს, სწორედ მაგ მიზეზით ვერ გაგამართლებს. განა არ გახსოვს, უამრავჯერ მითქვამს და შენი თვალითაც გინახავს უძლურება ჩემი სულისა, მცირედი დაბრკოლებისას რომ უმალ სულიერად ვეცემოდი? მაგაზე არ იყო განა, მუდამ რომ დამცინოდი?

ოქროპირი: მახსოვს და არ უარვყოფ, რომ მსგავსი სიტყვები შენგან გამიგონია. მაგრამ მართლა კი არ ვიცინოდი, არამედ ხუმრობით. ისე კი, მაგის შესახებ კამათს არ გიპირებ. გულწრფელობას არც მაშინ მოვითხოვ შენგან, როცა იმ სათნოებათა გახსენებას მოვყვები, რომელიც უკვე მოიპოვე. მაგრამ თუკი ჩემთან შეწინააღმდეგებას იმ აზრით დაეპირები, თითქოს მე ვტყუოდე რაიმეს, მაშინ მართლა აღარ დაგინდობ და დაგიმტკიცებ, რომ ეგ უარყოფა სამართლიანობით კი არა, თავმდაბლობით მოგდის და ამის დასამტკიცებლად სხვა რამეს კი არა, ისევ შენ საქმეებსა და სიტყვებს მივმართავ. პირველ რიგში, გკითხო მინდა: იცი, რა ძალა აქვს სიყვარულს? ქრისტეს არ უხსენებია არცერთი იმ სასწაულთაგანი, რომელიც მოციქულთ უნდა აღესრულებინათ, მაგრამ ის კი თქვა: „ამით ცნან ყოველთა, ვითარმედ ჩემნი მოწაფენი ხართ, უკუეთუ

იყუარებოდით ურთიერთას“ (იოანე, 13, 35), პავლე კი ამბობს: „აღმსრულებელი შჯულისაჲ არს სიყვარული“ (რომ. მიმართ. 13, 10) და თვინიერ მისსა, ყველანაირი ტალანტი ურგებიაო (1 კორ. 13, 12). აი, ეს განძი პირველი, თვისება, ქრისტეს მოწაფეთა სხვათაგან გამომარჩეველი, წყალობა გარდამეტებული, შენს სულში ენახე მტკიცედ დანერგილი, ვიხილე ნაყოფიცა მისი უხვი.

თქვა ბასილიმ: არ უარვყოფ, მართლაც ბევრს ვზრუნავ და ძალიან ვცდილობ, რომ აღვასრულო ეგ მცნება. მაგრამ ნახევრადაც რომ არ დამიმარხავს იგი, ამაში თავად უნდა დამერმწუნო, თუკი ტყუილს არ იკადრებ.

ოქროპირი: რაკი ასეა, საბუთებს მოვიშველიებ-მეთქი, ვუთხარი, და რითაც ადრე გემუქრებოდი, ახლა აგისრულებ და სწორედაც რომ დაგიმტკიცებ, რომ შენ უფრო თავმდაბლობისაკენ იხრები, ვიდრე სამართლიანობისაკენ. ერთ ამბავს, ახლა რომ მოხდა, იმას გაგანსენებ, ძველს არ შეევხები, ვინმეს რომ არ ეგონოს, უწინდელი ამბებით ვცდილობდე ჭეშმარიტების დაბინდვას. ამ შემთხვევაში კი დროის სიახლოვე არ მომცემს ნებას, რაიმე ტყუილით გადავფარო.

6. როცა ერთ-ერთ ჩვენს მეგობარს სიამაყესა და კადნიერებაში დასწამეს ცილი და ამით უკიდურესი საფრთხის წინაშე დააყენეს, მაშინ არავის დაუძახია შენთვის საშველად, ბრალდებულსაც არ უთხოვნია შეწევნა, შენით ჩაიგდე თავი საფრთხეში. ასე იყო ეგ საქმე.

შენივე სიტყვებით რომ გამხილო, შენსავე ნათქვამს მოგაგონებ. როცა მაგ საქციელისათვის ნაწილი გკიცხავდა, ნაწილი კი გაქებდა და გადიდებდა, შენ ასე უპასუხე გამკიცხავთ: „რა ვქნა? თუ ჩემი მეგობარი გასაჭირშია, მისთვის სულიც კი უნდა გავწირო, სხვანაირი სიყვარული არ შემიძლიაო“. სრულყოფილი სიყვარული ასე განუმარტა მაცხოვარმა მოწაფეებს: „უფროჲსი ამისა სიყუარული არავის აქუს, რაჲთა სული თვისი დადვას მეგობართა თვისთათვის“. შენ სწორედ იგივე აზრი გაიმეორე, ოღონდ სხვა სიტყვებით. ასე რომ, თუკი არ არის ამაზე მაღალი საფეხური სიყვარულისა, შენ უკვე მისულხარ მის უკიდურეს, უმაღლეს წერტილამდე. ახლა მაინც თუ დაგარწმუნე, რომ ბოროტის ნდომითა და ზრახვით არ ჩამიგდი-

ხარ საფრთხეში, არამედ წინასწარ ვიცი სარგებელი მაგ საქმისა, ამიტომაც მიგიჩინე ეგ სარბიელი.

თქვა ბასილიმ: ე. ი. შენ ამბობ, რომ ახლობლების დამოძღვრისათვის სიყვარული საკმარისია?

ოქროპირი: მაგ მიზნის მიღწევისათვის სიყვარული სწორედ რომ უმნიშვნელოვანესი პირობაა, მაგრამ თუ გსურს, რომ შენი კეთილგონიერების დამამტკიცებელი საბუთებიც მოვიყვანო, არ დავაყოვნებ და დაგიმტკიცებ, რომ შენი კეთილგონიერება აღემატება კიდეც შენს სიყვარულს.

ამის გაგონებაზე ალმური მოედო ბასილის და თქვა: ჩემზე საუბარს თავი გავანებოთ. ეგ არც ადრე მითხოვია შენთვის; თუ რაიმე მართებულის თქმა შეგიძლია გარეშეთა შესახებ, სიამოვნებით მოგისმენ. გავანებოთ ამ უსარგებლო კამათს თავი. მითხარი, რა პასუხი გაცეთ შენთვის ესოდენ დიდი პატივის მონიჭების მსურველთ. ან იმ ხალხს რა ვუთხრათ, შენს პატივისმცემელთ, ამ ამბის მერე აგდებით რომ გიყურებენ, რითი ეიმართლოთ მათ წინაშე თავი?"

ოქროპირი: თვითონაც ვჩქარობ მაგაზე საუბრის დაწყებას. რადგანაც შენთან მოვრჩი ლაპარაკს, მაშინ თავდაცვის მაგ ნაწილს მივუბრუნდები. როგორია მათი ბრალდებები, რაში მედება ბრალი? ამბობენ, ამომრჩეველები იმან შეურაცხყო და დაამცირა, რომ მე უარი ვთქვი იმ პატივზე, რომლის მოგებაც მათ ჩემთვის სურდათ. ჯერ ერთი, ის მინდა გითხრა, რომ ხალხი არ დარჩესო შეურაცხყოფილი, ამაზე დარდი უჯეროა მაშინ, თუკი მათ პატივისცემაზე ზრუნვას ღვთის გარდუვალ გმობამდე მიეყავართ. ვინც ამის გამო თავს შეურაცხყოფილად გრძნობს, თუნდაც ძალიან გამწარებული, ჩემი აზრით, საკუთარ თავს ამით დიდად ვნებს.

ის ხალხი, რომელმაც თავისი სიცოცხლე მიუძღვნა ღმერთს და მხოლოდ მას შეჰყურებს, ისეთი კეთილგონიერების საზომს კი უნდა იყოს მიწევნული, ათასჯერაც რომ გამწარდეს, მაინც არ იგრძნოს თავი შეურაცხყოფილად. რაც სხვადასხვა სახის კადნიერებებს შეეხება, არანაირი კადნიერება ფიქრადაც კი არ მომსვლია და ამის დასტურად ესეც გამოდგება: თუკი მე ეს ყველაფერი კადნიერებისა და სიამაყის გამო ჩავიდინე, როგორც ზოგიერთები ამბობენ და რაც შენც არაერთხელ გით-

ქვამს, — რაღაზე უარეყავი ხალხი დიდებული და ფრიად პატივსაცემი და ჩემთვის კეთილის მსურველნი? განა ამართლებს ჩემი საქციელი ჩემთა ბრალმდებელთა სიტყვებს? თუკი უდანაშაულო ხალხის შეურაცხმყოფელი სასჯელის ღირსია, კეთილი ხალხის პატივისმცემელი რატომ არ უნდა იყოს შექების ღირსი? იმას ვერავინ იტყვის, თითქოს მათთვის მცირე ან დიდი საფასე მქონდეს მიცემული და ამომრჩეველთ სამაგიეროს გადახდის სურვილით მიეღოთ ასეთი გადაწყვეტილება. მაგრამ, თუ მაინც თქვეს, მაშინ როგორ სასჯელს იმსახურებენ ისინი ამისთვის? თუკი ასეთი რამ აზრადაც არ მომსვლია და სულ სხვა რამის გამო ავიცილე ეს მძიმე უღელი, თუ არ გამამართლებენ, რაღაზე არ უნდა შემინდონ მაინც საკუთარი სულის გაფრთხილება? ოდნავადაც არ მიფიქრია ამომრჩევლების შეურაცხყოფა. ჩემი უარის თქმაც სხვა არაფერია, თუ არა პატივისცემა მათი. ჩემი სიტყვები შეიძლება უცნაურიც გეჩვენოს, არ გაგიკვირდეს, ახლავე განგიმარტავ მათ. ჩემი ხელდასხმა რომ მომხდარიყო, ყველა თუ არა, ისინი, ვისაც დიდ სიამოვნებას ანიჭებს ჩემზე აუგის ლაპარაკი, ადვილად დაეჭვდებოდნენ და ბევრ რამეს იტყოდნენ ჩემზეც და ამომრჩევლებზედაც.

მაგალითად, შეეძლოთ ეთქვათ, რომ ამომრჩევლები სიმდიდრეს აქცევენ უურადღებას და უპირატესობას გვარიშვილობას ანიჭებენო ან ასეთი პატივი პირფერობით მოიპოვაო და რა ვიცი, იქნებ ისიც ეფიქრათ, რომ ამომრჩევლები ფულით მოვისყიდე. იტყოდნენ, ქრისტე ამ სამსახურს მეთევზეებს, ბადეებისა და კარვების მკეთებელთ განუმზადებდა, ესენი კი უგულებელყოფენო ხალხს, დღენიადაგ მშრომელს, და უპირატესობას ამსოფლიურ მეცნიერებათა და ამაო ცხოვრებას ადევნებულთ ანიჭებენო. რატომ უარყვეს კაცნი ეკლესიაში მშრომელნი და მათ, რომელნიც არც კი მიკარებიან ამ საქმეს და მთელი ცხოვრება ფუჭი მეცნიერებების დაუფლებას რომ მოანდომეს, უცებ ასეთი პატივი რატომ დადესო? ამას კი არა, ამაზე უარესებსაც იტყოდნენ, მე რომ ეგ თანამდებობა მიმეღო. ახლა კი ძვირისმეტყველებს აღარ ექნებათ საბაბი. მე ლაქუცს ვერ დამწამებენ და ამომრჩეველთ ქრთამის აღებას, რასაკვირველია, თუკი ვინმემ განგებ არ მოისულელა თავი. მაგრამ განა ლაქუცითა და ფულის გაღებით მოპოვებულ თა-

ნამდებობას სხვას დაუთმობს მავანი, თუკი თვითონ მისი მოპოვებისათვის იხარჯება? ეს ამბავი იმას ემგვანებოდა სწორედ, ვინმეს, უხვი მოსავლისა და გადავსებული ქვევრების ქონის სურვილით, მიწაზე რომ ბევრი ეშრომა და უცებ, ეს ყველაფერი, ამდენი შრომისა და გაჭირვების შედეგი, სხვისთვის მიეცა, რათა იმ სხვას ესარგებლა მოსავლით. იცი, შეიძლება ისიც კი ეთქვათ, რომ ჩემი არჩევა ამომრჩეველთა არაჯანსაღი მოსაზრების შედეგია, თუმცა ასეთი რამ შორსაა ჭეშმარიტებისაგან, მაგრამ მსურველთ არც ასეთი ცილისწამება გაუჭირდებათ. ახლა კი ჩვენ დავუყოფთ მათ პირს და არ მივცემთ სიტყვის თქმის უფლებას.

ასეთებს, და ამაზე უარესსაც, თავში იტყოდნენ, მაგრამ მერე, როგორც კი სამსახურს შევუდგებოდი, ყველა ჩემი საქციელისთვის, გარდა იმ შეცდომებისა, რაც გამოუცდელობითა და ასაკის გამო შეიძლებოდა მომსვლოდა, ბრალმდებელთა წინაშე ყოველდღე თავის მართლებაში უნდა ვყოფილიყავი და ძალა არ მეყოფოდა. ახლა ამომრჩევლებსაც აცილდებათ ბრალდება, თორემ რა დაულევდათ მათ ნიშნის მგებელთ, რას აღარ იტყოდნენ? გამოუცდელ ბავშვებს მიანდესო ასეთი საპატიო და დიდი საქმეები, დაღუპესო სამწყსო ქრისტესი, გასართობად და სახუმარო საქმედ აქციესო ქრისტიანობა. ახლა კი „ყოველმან უშჯულოებამან დაიყოს პირი თვისი“ (ფს. 106, 42), თუმცა შენზედაც შეუძლიათ იგივეს თქმა, მაგრამ შენ საქმით დაამტკიცებ, რომ ჭაღარა არაა სიბრძნის ნიშანი და მსახურებიდანაც ყველა ახალგაზრდა კი არ უნდა იყოს განყენებული, არამედ მხოლოდ სარწმუნოებით ყმაწვილი (ახლად ნათელღებული), მათ შორის — სხვაობაა დიდი.

სიტყვა მესამე

ეპისკოპოსობაზე რომ უარი ჩემთა პატივისმცემელთა შეურაცხყოფისა და დამცირების მიზნით არ მითქვამს, ამის დასტურად, ვგონებ, რაც ვილაპარაკე, საკმარისია. ეს საქციელი რომ არც სიამაყის გამო ჩამიდენია, ამასაც, ეხლა, როგორც შევძლებ, ისე დაგისაბუთებ. ჩემთვის რომ ვინმეს ქალაქის ან

ჯარის წინამძღოლობა შემოეთავაზებინა და მე უარი მეთქვა, ზოგი სიამაყეს დამწამებდა და მართალიც იქნებოდა, ან არა და იტყოდნენ ამაყი კი არა, უგნურიაო. მაგრამ როცა საქმე მღვდლობას, ასეთ მაღალ ხელისუფლებას ეხება, რომელიც ისევე აღემატება ყველანაირ ხელისუფლებას, როგორაც სული — ხორცს, მაშინ ვინ უნდა გაბედოს ჩემი სიამაყეში დადანაშაულება? და არაა საოცარი, რომ კაცს, რომელმაც ნაკლებმნიშვნელოვან საქმეზე უარი თქვა, უგნური უძახო, ხოლო მას, ზეაღმატებულისაგან გარიდებულს, დიდებისმოყვარება დასწამო და არა უგნურება? ეს იმის მსგავსია სწორედ. რომ კაცს, რომელიც უგულისყურო ექცევა ხარების ჯოგს, რახან არ უნდა მათი მწყემსვა, უგუნური უწოდო, ხოლო მთელი ამ სოფლის ხალხისა და ჯარის მეუფების უარმყოფელს ამაყი უძახო და არა უგუნური.

არა, არა, ამის მთქმელი უმალ თავის თავს ადანაშაულებს, ვიდრე მე. რადგან, ვინმე თუ ფიქრით მაინც უშვებს იმას, რომ ადამიანს ძალუძს ასეთი ღირსების შეურაცხყოფა, ამით იგი ნათელს ხდის საკუთარ აზრს იგივე საკითხთან დაკავშირებით. თვითონ რომ არ მიაჩნდეთ იგივე საქმე ჩვეულებრივად და ნაკლებმნიშვნელოვნად, ასეთი აზრი ფიქრადაც არ მოუვიდოდათ, აბა რატომ არავინ ფიქრობს იგივეს ანგელოზების ღირსებასთან დაკავშირებით; რატომ არავინ ამბობს, რომ არსებობს კაცი, რომელსაც თავისი სიამაყის გამო არ სურსო მიღწევა ანგელოზებრივი ღირსებისა, ბუნებისა? იმიტომ, რომ ზეციურ ძალებზე დიდი წარმოდგენა გვაქვს; ეს რწმენა შეუძლებელს ხდის იმის ფიქრს, რომ ამ ღირსებაზე უფრო მაღალი რამ არსებობდეს სადმე. ასე რომ, საცა სამართალია, სიამაყეში მე კი არა, მათ უნდა დაედოთ ბრალი, ვინაც მაგას მწამებს. ეგეც არ იყოს, ისინი ვერასოდეს შეძლებენ ამ საქმეში სხვის დადანაშაულებას, თავად რომ არ მიაჩნდეთ იგივე ნაკლებმნიშვნელოვნად. თუ პატივმოყვარებას მწამებენ, გამოდის, რომ საკუთარ თავს ეწინააღმდეგებიან და ებრძვიან. ასე რომ, არ ვიცი, ამის მეტს სხვას რაღას მოიგონებენ, რა უნდა ჰქონდეთ სალაპარაკო, თუკი, რა თქმა უნდა, ამაო დიდების სიყვარულს არ დამწამებენ.

2. მაგრამ თუ ფუჭი დიდების მაძიებელი ვარ, რას გავიქე-

ცი, რად არ მივიღე მაშინ ეგ წინადადება? ეგ საქმე ხომ დიდ პატივს მომიტანდა. ჩემს ასაკში, ცოტა ხნის წინ ჯერ კიდევ ამსოფლიური ცხოვრებით გატაცებული, უცებ ყველას საოცარ პიროვნებად მოვევლინებოდი, რომელსაც ერგო დიდი უპირატესობა, ამომრჩეველთა ხმების უმეტესობა, თანაც იმ ხალხთან შედარებით, რომელმაც მთელი ცხოვრება შრომაში გაატარა. განა ეს ყველაფერი არ შეუქმნიდა ჩემზე ყველას საოცარ, დიდ წარმოდგენას?! ასე გავხდებოდი ცნობილი და დიდად პატივცემული. ახლა კი ეკლესიაში ხალხის უმეტესობამ, მცირედის გარდა, ჩემი სახელიც არ იცის. ყველამ იქნებ არც ის იცის, რომ უარი ვთქვი ამ საქმეზე. შეიძლება ზოგიერთს, ძალიან ცოტასა და მათ შორის უმრავლესობასაც ისიც კი ჰგონია, რომ მე სულაც არ ვყოფილვარ არჩეული ან ფიქრობენ, რომ უარმყვეს, როგორც ამ მსახურებისათვის შეუფერებელი. არც იციან, ალბათ, რომ გავიქეცი.

3. ბასილი: მაგრამ ვინაც იცის სინამდვილე, ის ხომ იქნება გაკვირვებული.

ოქროპირი: შენ არ მითხარი, რომ ისინი ამაო დიდების სიყვარულსა და მზვაობარობას გაბრალებენო, ვისგან ველოდე ქების შესხმას? ხალხისაგან? მან არ იცის საქმის ზუსტი ვითარება, მცირე ნაწილისაგან? მათ უკუღმა ესმით ჩემი საქციელი. განა იმათ წინაშე არ ეპირები თავის მართლებას, მაგიტომ არ მოხვედი ჩემთან?! და ღირს ახლა ამაზე ლაპარაკის გაგრძელება? თუნდაც ყველას ცოდნოდა საქმის ნამდვილი ვითარება, მაინც არ უნდა დაედოთ ბრალი ჩემთვის პატივმოყვარეობასა და სიამაყეში. ცოტა მოითმინე და შენც მალე დაინახავ, პატარა საფრთხე რომ არ ელის არა მარტო კაცს, მღვდლობის კადნიერად მიმღებელს, თუკი არსებობს ასეთი ხალხი, რაშიაც ეჭვი მეპარება, არამედ იმასაც, ვინც ამაში სხვას დებს ბრალს.

4. მღვდელმსახურება, სრულიად სამართლიანად, ზეციური განწესებით აღესრულება ამ სოფელში. რამეთუ კაცმა, ანგელოზმა, მთავარანგელოზმა და რომელიმე ქმნილმა ძალამ კი არა, თავად ნუგეშინისმცემელმან განაწესა ეს ხარისხთა მიმდევრობა და ჯერაც ხორცში მყოფი ხალხი გახდა წარმომადგენელი ზეციური მსახურებისა. ამიტომაც ისეთი წმინდა უნდა

იყოს მღვდელმსახურების აღმსრულებელი, ვითარცა ცათა შინა იმ ძალთა წინაშე მდგომარე.

უწინაც საშინელი და დიდებული იყო კუთვნილებანი და მადლი მღვდელთმსახურებისა: „ეჟუნები ოქროისაი, შორის ბროწეულაკთა მათ ...ბროწეულაკები იაკინთისაგან ძოწეულისა და მეწამულისა სთელისა და ზეზისაგან ძახილისა, პალგევატი ზეზისა, ნაფერტები ზეზისა და ძახილისა, ვარშავანგები ზეზისა, როპანაკები ზეზისა, სარტყელები ზეზისა, მაშაკები ტყავებისა იგი, საბურველი იგი ტყავებისა მის იაკინთისა, უღელი, ტაბლა, საცეცხლური მისი, ფიალები მისი და ფურცხები მისი რვალისაი, სამხარნი იგი ოქროჲსაგან და იაკინთისა და ძოწეულისა სულისა და ზეზისაგან წმინდათა წმინდა, ღრმა სიმშვიდე შიგნით“ (გამოსვლ. 38, 39). მაგრამ თუ კაცი ჩაუკვირდება ქრისტიანულ მსახურებას, იქვე აღიარებს ჭეშმარიტებას რჯულის შესახებ: „რამეთუ არღა დიდებულ არს დიდებანი იგი ამით ჯერითა გარდარეულისა მისთჳს დიდებისა (2 კორ. 3, 10)“. როცა ხედავ უფალს დაკლულსა და შემოგებებულს, მოძღვარს ამ სამსხვერპლოს წინაშე მდგომარეს და მლოცველს და ყველას, განწმენდილს სისხლითა პატიოსნითა, ნუთუ თავი მაინც ამ სოფელში, კაცთა შორის გგონია? ნუთუ არ გცილდება შენ ყოველი გულისთქმა ხორციელი და არ მიეახლები იმ წამს ზეცას, განწმენდილი სული და გონი ნუთუ ვერ ჭვრეტს ზეციურს? ჰოი, საოცრება, ჰოი, კაცთმოყვარება ღმრთისა! და მჯდომარე მამისა თანა იმ წამს ყოველთა შემწყნარებელთა მისთათვის ხელშესახები და მისაწვდომი ხდება. ყველაფერ ამას რწმენა თვალისა ხედავს. როგორ გგონია, შეიძლება ამის უგულებელყოფა? ვის ძალუძს ქედმაღლობა ამ საიდუმლოს წინაშე?

გინდა იმავ სიწმინდის სხვა სასწაულის საოცრება გიჩვენო? ეცადე, წარმოიდგინო, დაინახო ელია, მის გარშემო უამრავი, ურიცხვი ხალხი, ქვაზე — ზვარაკი. ყველა დუმს, საოცარი სიჩუმეა ჩამოვარდნილი, ლოცულობს მხოლოდ წინასწარმეტყველი და უცებ, ციდან ჩამოვარდნილი ალი ეცემა მსხვერპლს (3 მეფეთა, 18, 30—38). გასაოცარია, შემაძრწუნებელია ეს ყველაფერი. ახლა ჩვენს მსხვერპლშეწირვაზე გადმოდი, გაცილებით შეძრული და გაოცებული თუ არ დარჩე.

წარდგომილ არს მღვდელი, შთამომყვანებელი ცეცხლისა კი არა, სულისა წმიდისა. დიდხანს იმიტომ კი არ ლოცულობს, რომ ალი გადმოვარდეს ციდან და დაიწვას მსხვერპლი, არამედ, რათა ტარიგზე გარდამოსულმა მადლმა აღანთოს და გაწმინდოს სული ყოველთა, უფროის ვერცხლისა გამოხურვებულისა. ვის ძალუძს უგუნურის გარდა, ამ საშინელი საიდუმლოს უგულებელყოფა? განა არ იცი, დიდებული, ღვთაებრივი მადლის შეწევნა რომ არა, კაცი ვერ გაუძლებდა ცეცხლს ამ ტარიგისას, დაიღუპებოდა ერთიანად.

5. ვინაც გააცნობიერა ჯერ კიდევ სისხლსა და ხორცში მყოფი კაცის ნეტარ, უკვდავ ბუნებასთან სიახლოვის მნიშვნელობა, მისთვის ნათელი უნდა იყოს, რა პატივით შემოსა წმინდა სულმა მღვდელმსახური. მათი მეშვეობით აღესრულება მღვდელმოქმედება და სხვა მსახურებანი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი სრულყოფისა და ცხონებისათვის. ხალხს, ჯერაც ამ სოფელში მიმოქცეულთ ენიჭებათ განმგებლობა ზეციურისა, უფლება, რომელიც ღმერთს თავისი ანგელოზებისა და მთავარანგელოზებისთვისაც არ უბოძებია. მათთვის არ უთქვამს: „...რაოდენნი შეჰკრათ ქუეყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა, და რაოდენი განჰხსნათ ქუეყანასა ზედა, ხსნილ იყოს იგი ცათა შინა“ (მათე, 18, 18). მეუფეთ მიწაზე მხოლოდ სხეულის შეკვრის უფლება როდი ეძლევათ. ეს საკვრელი აქაც შებოჭავს სულს და იმ სოფელშიაც გაჰყვება. აქ მღვდლების ნამოქმედარს, იქ, ცაში, ღმერთი დაასრულებს და შეხედულებებს მონათა თვისთა დაამტკიცებს მეუფე. განა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ღმერთმა მათ ყველა ზეციური უფლება მიანიჭა? და კიდევ: „უკუეთუ ვიეთნიმე მიუტევნეთ ცოდვანი, მიეტევნენ მათ; უკუეთუ ვიეთნიმე შეიპყრნეთ შეპყრობილ იყვნენ“ (იოანე 20, 23). განა არსებობს ამაზე დიდი უფლებამოსილება? „არცადა მამაჲ სჯის არავის, არამედ ყოველი სასჯელი მოსცა ძესა“ (იოანე 5, 22). როგორც ვხედავ, ძემ ეს უფლება მთლიანად მღვდლებს უბოძა: მათ ისეთი სიმაღლის ხელისუფლება მიენიჭათ, თითქოს ისინი გასულები იყვნენ უკვე ამ სოფლიდან და ვნებათაგან განთავისუფლებულთ დატევებული ჰქონდეთ თითქოს ბუნება ხორციელი. მეფემ რომ რომელიმე მხლებელთაგანს კაცთა დატყვევებისა და

განთავისუფლების უფლება მიანიჭოს თავის სურვილისამებრ, ასეთი კაცი უმალ გახდებოდა ცნობილი და დაფასებული. მაგრამ როცა მავანს ღვთისაგან ის უფლებამოსილება ეძლევა, რომელიც ისევე აღემატება ამას, როგორაც ცა დედამიწას და სული-ხორცს, ზოგიერთები მაინც იმას ფიქრობენ, რომ ამ კაცს თითქოს ნაკლებმნიშვნელოვანი პატივი ერგო. განა შეიძლება იმის ფიქრი, რომ ვინმე თავს უფლებას აძლევს და ასეთ ჯილდოს უპატიოდ ატარებს? განვაგდოთ ეგ უგუნურება, ჭეშმარიტად უგუნურებაა იმ უფლების უგულებელყოფა, რომლითაც მოგვენიჭება ცხონება და ყოველი აღმჭული სიკეთე. „უკუეთუ ვინმე არა იშვეს წყლისაგან და სულისა, ვერ ხელეწიფების შესვლად სასუფეველსა ღმრთისასა“... და კიდევ: „...უკუეთუ არა სჭამოთ ხორცი ძისა კაცისაჲ და სუათ სისხლი მისი, არა გაქუნდეს ცხოვრებაჲ თავთა შორის თქუენთა“ (იოანე, 6, 53) და ამას სხვა კი არა, მღვდლის კურთხეული ხელები აღასრულებენ, უფრო სწორედ, მღვდლის ხელების მეშვეობით ხდება ეს ყველაფერი და როგორ გინდა მათ გარეშე აცილება მარადიული ცეცხლისა, მიღება გვირგვინისა განმზადებულისა.

6. მღვდლები ჩვენთვის სახეა იმ კაცთა, რომელთაც ძალუძთ ნათლობის მეშვეობით ადამიანის მეორედ შობა. მათი მეშვეობით შევიმოსავთ ქრისტეს, ვიმარხებით ღვთის ძესთან ერთად, ვხდებით ნაწილნი ეკლესიის სხეულისა, რომლის თავი არს ქრისტე. ამიტომ, საცა სამართალია, მათი არა მარტო უნდა გვეშინოდეს, ვიდრე მეფეთა და ყოველთა ხელისუფალთა, არამედ უფრო მეტ პატივს უნდა ვცემდეთ, ვიდრე ხორციელთა მამათა ჩვენთა. რადგან მათ გვშობეს სისხლით და ნებათაგან ხორცთა; მღვდელნი კი არიან მიზეზნი ჩვენი მეორედ შობისა, მარადიული ცხოვრებისა, ჭეშმარიტი თავისუფლებისა და მადლისმიერი ძეობისა. იუდეველ მღვდლებს ძალუძდათ განკურნება ხორციელი სენისა, უფრო სწორედ, მათ ეძლეოდათ ავადმყოფის გასინჯვის და განკურნება-არგანკურნების დამოწმების უფლება. ჩვენს მღვდლებს კი ეძლევათ არა უბრალოდ გასინჯვა-დამოწმების უფლება, არამედ ძალა სულიერ და ხორციელ ვნებათა სრული განკურნებისა. მათი უპატივცემულობა დათანისა და მისი თანამზრახველების დანაშაულზე უფრო დიდი სასჯელის ღირსია. მართალია, ისინი ძალით ცდი-

ლობდნენ იმ ხელისუფლების მოპოვებას (რიცხ. 16), რომელიც მათ არანაირად არ ეკუთვნოდათ, მაგრამ, ამავე დროს, ესმოდათ კიდეც ამ უფლების მნიშვნელობა, ამიტომაც იყო, ასეთი გააფთრებით რომ იბრძოდნენ მის მოსაპოვებლად. ჩვენს დროში, როცა მღვდლობა გაცილებით აღმატებული და უფლებამოსილი გახდა, მისი უპატივცემულობა სხვა რა უნდა იყოს, თუ არა თავსდება დიდი კადნიერებისა? განა სულ ერთი არ არის, შეურაცხყოფ ამ სათნოებას, თუ ძალით მოინდომებ მის მისაკუთრებას? პირველი, სიმძიმის მიხედვით, მეორისაგან ისევე განსხვავდება, რამდენადაც პატივისცემა შეურაცხყოფისაგან. არსებობს კი ისეთი უბადრუკი სული, რომელიც შეურაცხყოფს ამ დიდებულ სათნოებას? თუ არ განცოფებული ბოროტისაგან, სხვა ვინ იზამს ამას? მაგრამ იმას დავუბრუნდეთ, რაზედაც საუბარი გვქონდა. ხუცესთ ღმერთმა უფრო მეტი ძალა მიანიჭა, ვიდრე ხორციელ მშობელთ, არა მარტო დასჯისა, არამედ სიკეთის ქმნისაც. ხორციელ და სულიერ მშობელთა შორის ისეთივე განსხვავებაა, როგორიც ამ სოფელსა და მომავალ სოფელს შორის. პირველნი, შვილებს ხორციელ სიკვდილს კი არა, სნეულებასაც ვერ ააცილებენ. მეორეთ კი ხშირად უხსნიათ დასაღუპად განწირული სული, ხან უვნებელი სასჯელის მეშვეობით, ხანაც მოსალოდნელ დაცემას თავშივე, დროზე წამლობით კურნავენ არა მარტო შეგონებითა და სწავლებით, ლოცვის მეშვეობითაც. ისინი მარტო ახალ ადამიანს (ნათლობით) როდი აღმოაცენებენ ჩვენში, მათ ეძლევათ უფლება ცოდვათა ჩვენთა შენდობისა. „უძლურ თუ ვინმე არს თქუენს შორის, მოუწოდონ ხუცესთა ეკლესიისათა, და ილოცონ მას ზედა და სცხონ, მას ზეთი სახელითა უფლისაჲთა და ლოცვამან სარწმუნოებისამან აცხოვნოს სნეული იგი, და აღადგინოს იგი უფალმან. დაღაცათუ ცოდვაჲ რაჲმე ექმნეს, მო-ვე-ეტეოს მას“ (იაკ. 5, 14, 15).

გარდა ამისა, შვილებს რომ ჩხუბი მოუვიდეთ ამა სოფლის ძლიერსა და ცნობილ ხალხთან, მშობელნი ამ შემთხვევაშიაც ვერ დაეხმარებიან მათ. არა და, მღვდელთ ბევრი მორწმუნე წარჩინებულებთან და მეფეებთან კი არა, მათზე განრისხებულ ღმერთთანაც კი შეურიგებიათ. ამის მერე ვინღა უნდა დამწამოს სიამაყე? ის კი არა, ვგონებ პირიქითაც მოხდეს და ამ

სიტყვების მერე ხალხმა იმათ კი არ უკიჟინოს სიამაყე და კადნიერება, ვინაც გაექცა ამ პატივს, არამედ მათ, რომელნიც ესწრაფვიან ამ პატივის მოხვეჭას. ქალაქის მთავრის უგნურება და უმოქმედობა მასაც და მთელ ქალაქსაც დაღუპვას უქადის. როგორ გგონია, რა ძალა უნდა ჰქონდეს კაცს, ქრისტეს სასძლოს განმამშვენიერებელს, საკუთრივ და მაღლიდან მონიჭებულიც, რომ არ შესცოდოს?

7. პავლეზე მეტად არავის ჰყვარებია ქრისტე, არვის გამოუჩენია მასზე დიდი გულმოდგინება, მასზე დიდი ძადლი არავის მინიჭებია. და მიუხედავად ასეთი უპირატესობებისა, იგი ძრწის, მინიჭებული უფლებისა და მინდობილი ხალხის გამოც: „ხოლო მეშინის, ნუ უკუე, ვითარცა-იგი გუელმან აცთუნა ევა ზაკულებითა თვისითა, ეგრეთცა განხრწნნეს გონებანი თქუენნი სიწრფოებისაგან ქრისტეს მიმართ. და მე უძლურებასა შინა და შიშსა და ძრწოლასა მრავალსა ვიყავ თქუენდა მიმართ“ (2 კორ. 11, 3; 1 კორ. 2, 3). ქრისტეს მიერ მინიჭებულ უფლებებზე უარს ამბობს მესამე ცამდე ასული, ღვთის საიდუმლოებებს ზიარებული კაცი, რომელიც მოქცევის 'შემდეგ ყოველ დღე კვდებოდა ქრისტესთვის;[1] შიშობს, არ სცოდოსო მორწმუნემ და იმიტომ. და თუკი, უფლის ნების გარდამეტებულად აღმსრულებელი, რომელიც ყოველთვის მასზე მინდობილი ხალხის სიკეთის ძიებაში იყო, და დავიწყებული ჰყავდა საკუთარი თავი და მიმადლებული უფლებამოსილების მიუხედავად, მაინც ასეთი შიშითა და ძრწოლით იყო მოცული, მაშინ ჩვენ, რომელნიც ხშირად საკუთარი სარგებელის ძიებაში ვართ და უფლის ნების აღსრულების მაგიერ ვღალატობთ კიდეც მცნებებს მისას, ჩვენ. რაღა უნდა ვთქვათ? — „ვინ უძლურ არნ, და მე არა უძლურ ვიყავი? ვინ დაჰბრკოლდებიან, და მე არა ვხურვიდი-ო“, ამბობს იგი (2 კორ. 11, 29). ასეთი უნდა იყოს ხუცესი. არა, ასეთი კი არა, ამაზე უკეთესი. ეს ძალიან ცოტაა იმასთან შედარებით, რის თქმასაც ვეპირები. რაღაა ეს? „ვილოცევდ შეჩუენებულყოფად თავსა ჩემსა ქრისტესაგან ძმათათჳს და ნათესავთა ჩემთა ხორციელად“ (რომ. 9, 3). ვისაც ძალუძს ამ სიტყვების წარმოთქმა, და ვისი სულიც სიწრფოე-

[1] შდრ. 1 კორ. 15, 31. რომ. 8, 36-37.

ბით ინატრებს ამას, და ასეთი კაცი თუ გაექცა მღვდლობას, მას ნამდვილად უნდა აგებინონ გაქცევის გამო პასუხი. მაგრამ, ის, ვისთვისაც ისევე უცხოა ეს სათნოება, როგორაც ჩემთვის, გაქცევის გამო კი არა, ამ მსახურების მიღებისათვის იმსახურებს გაკიცხვას.

მსედართმთავრის ამორჩევისას, რომელიმე მჭედელს, მეტყაველსა ან სხვა რაიმე მსგავსი ხელობის კაცს რომ მოუნდომონ ამ პატივის მიგება, ჩემი აზრით, სწორედ ვერ იზამდა ის კაცი ჭკუას, თუკი არ განშორდებოდა მომავალ საშიშროებას და გაქცევით არ უშველიდა თავს. რომ შეიძლებოდეს, მოძღვარი მარტო სახელად გერქვას და დაკისრებული საქმეც, როგორც გამოგივა, ისე აღასრულო და ამის გამო არანაირი საშიშროება არ მოგელოდეს, ვისაც მოესურვება, დაე იმან მიძახოს, ამაყიაო. მაგრამ თუკი ამ საქმის მტვირთველს უნდა გააჩნდეს კეთილგონიერება დიდი და ამაზე უწინ, დიდებული მადლი ღვთისა, ზნეობა — გამართული, ცხოვრება — წმინდა და უამრავი სულიერი სათნოება, არ გამამტყუნო, თუ ტყუილუბრალოდ წახდენა და დაღუპვა არ ვისურვე. ვინმეს რომ ძვირფასეულობებითა და მენიჩბეებით სავსე ხომალდის საჭე მოეჩეჩებინა და ეთქვა: ტირინეისა და ეგეოსის ზღვა გადაცურეო, გავიქცეოდი. რომ ეკითხათ გაქცევის მიზეზი, ვეტყოდი: შემეშინდა, ჩემს გამო ხომალდი არ ჩაძირულიყო-მეთქი. ასეთ დროს წინდაუხედაობას მხოლოდ ფულადი ზარალი და ხორციელი სიკვდილი მოსდევს და ამის გამო პასუხს არავის აგებინებენ; მაგრამ როცა ხომალდის დანთქმა მოსალოდნელია არა უბრალოდ ზღვაში, არამედ ცეცხლოვან უფსკრულში, სადაც მათ უბრალო სულისა და სხეულის განმყოფი სიკვდილი კი არ ემუქრებათ, არამედ მარადიული ტანჯვა სულისა და ხორცისა, რა განრისხებთ, რატომ მიწყრებით, რომ ვერ ვქენი განუსჯელობა და ავიცილე თავიდან უბედურება?

8. გთხოვთ, გეევედრებით, ნუ იზამთ მაგას. მე კარგად ვიცი ჩემი სუსტი და უძლური სულისა. ვიცი ამ მსახურების მნიშვნელობაცა და სირთულენიც მისი. ხუცესის სულს ხშირად დაჰფარავენ ხოლმე ტალღები, ზღვაზე რომ ჩნდება ხოლმე ქარის ამოვარდნისას, იმაზე დიდი.

9. პირველი რომ, პატივმოყვარეობა კუნძულია, გაცილებით

უფრო საშიში, ვინემ მეიგავეთა მიერ შეთხზული სირინოზების კუნძული. ზოგმა შეიძლება ძალიან მშვიდობიანადაც ჩაუაროს მას, ჩემთვის კი ეგ ძალიან სახიფათოა; ის კი არა, ახლა, როცა არანაირი საშიშროება აღარ მემუქრება იმ კუნძულის მიახლოებისაც კი, შიში მაინც ვერ მომიშორებია. და თუკი ვინმე მაგ ხელისუფლებას მომანდობს, ეგ იგივე იქნება, რომ იმ კუნძულზე მცხოვრებ ურჩხულებს საჯიჯგნად ხელებშეკრული მიმცეს. რა ურჩხულებია ასეთი? მრისხანება, სასოწარკვეთა, შური, მტრობა, ცილისწამება, განკითხვა, სიცრუე, თვალთმაქცობა, მზაკვრობა, გულძვირობა უდანაშაულო ხალხის მიმართ, სიხარული მტერთა გაჭირვების გამო, მწუხარება მათ კეთილდღეობასა ზედა, თავის ქების სურვილი, ვნება ყველანაირი პატივის მიმართ (ეს ვნებს სწორედ სულს ყველაზე უფრო!), სწავლება პირფერული, ალერსი თვალთმაქცური, კაცთმოთნეობა მდაბალი, უგულვებელყოფა გაჭირვებულთა, მსახურება მდიდრებისა, საშიში და უგუნური უპირატესობების მინიჭება, მოწყალებანი საშიშნი, როგორც გამცემელთათვის, მიმღებელთათვისაც, მონური შიში, გაუბედაობა, მოჩვენებითი სიმდაბლე, თუალღებითი მხილება და სჯა, უფრო სწორედ, უბრალო ხალხის მიმართ — სიმკაცრე უზომო, ძლიერთა წინაშე — უსიტყვობა. ამდენს კი არა, ამაზე მეტ ურჩხულსაც კი იტევს ის კუნძული და თუკი მათ ერთხელ მაინც მიიტაცეს ვინმე, ისე დაიმონებენ, რომ ბევრ რამეს, რაზედაც ახლა შეუფერებელია ლაპარაკი, ქალთა გულის მოსაგებადაც კი გააკეთებინებენ. ღვთაებრივმა კანონმა ქალები განაყენა ამ მსახურებისაგან, მაგრამ ისინი მაინც ცდილობენ მასში თავის შერგვას. რაკიღა თავად არ გააჩნიათ ხელისუფლება, ისინი სხვების მეშვეობით ახერხებენ ყველაფერს და ისეთი ძალით, რომ მღვდლების არჩევა-გადარჩევაც კი მათი სურვილისამებრ ხდება. ასე რომ, უფროსებს ხელქვეითები მართავენ. კაცები კი არა, არამედ ისინი, რომელთაც არა აქვთ უფლება: „მოძღურებად დედათა არა უბრძანებ“ (1 ტ. 2, 12). სწავლება კი არა, ნეტარმა პავლემ მათ აუკრძალა: „დედანი თქუენნი ეკლესიასა შინა დუმნედ“ (1 კორ. 14, 34). ერთი კაცი მეუბნებოდა, თურმე ისე გაკადნიერებულან ქალები, რომ ეკლესიის მსახურთ საყვედუ-

რებსაც უცხადებენ და უფრო სასტიკადაც ექცევიანო, ვიდრე ბატონები თავიანთ ქვეშევრდომთ.

10. ნურავინ იფიქრებს, თითქოს ეს ბრალდება ყველას ეკუთვნოდეს. ბევრი დასხლტომია ამ ბადეს და ისინი უფრო მეტნი არიან, ვიდრე ბადეში მოხვედრილნი. ამასთან, თავად მღვდელმსახურებას როდი ვთვლი ამ ჭირთა მიზეზად. ასეთ უგნურებამდე არ მსურს დავიდე. მკვლელობა რა, მახვილის ბრალია, სიმთვრალე — ღვინისა, ძალა — შეურაცხყოფისა, მხნეობა — განუსჯელი კადნიერებისა? კეთილგონიერნი საზ-ნოების ბოროტად გარდამაქცეველთ დაადანაშაულებენ ყო-ველთვის. ასე რომ, თავად მღვდლობა სამართლიანად დაგ-ვდებს ბრალს, თუკი ჩვენ მას არასწორად წარვმართავთ და ჩემს მიერ ჩამოთვლილ ნაცარტუტათა მიზეზი ხუცობა კი არა, ჩვენა ვართ, რადგან ვბღალავთ მას, როდესაც ამ საქმეს გამო-უძიებლად მივანდობთ ხოლმე იმ ხალხს, რომელთაც საკუთა-რი სულიც კი ვერ შეუცვნიათ ხეირიანად. ისინი ხალისით ღე-ბულობენ ამ პატივს, არ იციან ამ საქმის სიძნელე და ამიტომ, როდესაც შეუდგებიან მსახურებას, გამოუცდელობის გამო, თავადაც ბნელში რჩებიან და მათზე მინდობილ ხალხსაც ბევრ ჭირსა სწევენ. მე თვითონაც იგივე დამემართებოდა, ღმერთს რომ არ დავეფარე საფრთხისაგან, მას რომ არ დაეცვა ეკლე-სიაცა და ჩემი სულიც. მითხარი, შენი აზრით, რატომაა ეკლე-სიაში ასეთი არეულობა? მე მგონი, ყველაფერი იმის ბრალია, რომ ამორჩევა და დანიშვნა ყოველგვარი გარჩევა-დაკვირვე-ბის გარეშე, ნაუცბათევად ხდება. თავი ჯანმრთელი უნდა იყოს, რომ შეძლოს სხეულში დაბუდებული სნეულებების დაძლევა. მაგრამ თუკი თვითონაა სუსტი, ვერანაირ დაავადებას ვერ გა-უმკლავდება, ის კი არა, უფრო დასუსტდება და მთელ სხეულ-საც დაღუპავს. ახლაც რომ იგივე არ მომხდარიყო, ღმერთმა ფეხების მდგომარეობაში, (ეკლესიის სხეული), როგორაც ვი-ყავი, ისე დამტოვა. გარდა ამისა, ბასილი, ხუცესს ბევრი სხვა ისეთი რამ უნდა ჰქონდეს, რაც მე არ გამაჩნია. და პირველ რიგში, მისი სული სრულიად თავისუფალი უნდა იყოს მღვდლობის წადილისაგან. თუ მას თავიდანვე ექნა ვნება ამ საქმის მიმართ, ამ პატივის მიღებისთანავე ის ვნება კიდევ უფრო აალდება მასში და, ვინმემ რომ ამ პატივის აყრა მოუნ-

დომოს, დაკარგულის დასაბრუნებლად არაფერს არ დაერიდება, არც ტყუილს, არც უღირს საქციელს, არც სასყიდლის გაცემას.

ზოგიერთებმა რომ ეს უფლება ეკლესიაში ჩადენილი მკვლელობებისა და ქალაქში ატეხილი დავიდარაბის შედეგად ჩაიგდეს ხელში, ამაზე არაფერს ვიტყვი, ვინმეს რომ არ ეგონოს, რაღაცას დაუჯერებელს ჰყვებაო. ჩემი აზრით, სჯობს, რომ კაცმა დროით მოიძიოს კეთილგონიერება და სანამ ჩადენილი ცოდვის გამო სხვა დაუწყებდეს განკითხვას, თავად მოერიდოს ამ საქმეს. ამ შემთხვევაში ღმერთმა შეიძლება შეიწყალოს მავანი, მაგრამ თუ ვინმე ამ ღირსების მოპოვებას უწესოდ დაეპირება, მას აღარ შეიწყალებს უფალი, რამეთუ განარისხებს ღმერთს ერთმანეთზე მიწყობილი დანაშაულებებით.

11. მაგრამ გაბედავს ვინმე ამას? ამ პატივის ძალით მოხვეჭას ხომ არაფერი მოჰყვება უბედურების მეტი. ამ სიტყვებით ნეტარ პავლეს კი არ ვეწინააღმდეგები, არამედ სრულიად ვეთანხმები. რას ამბობს იგი? „უკეთუ ვისმე ეპისკოპოსობის უნდეს, კეთილისა საქმესა გული ეტყვის“ (1 ტ. 3, 1). უბედურებას ამ საქმის სურვილს კი არა, ხელისუფლებისა და პირველობის თვითმიზნურ წადილს ვუწოდებ. იგი მთელი გულმოდგინებით უნდა იდევნებოდეს სულიდან მისი გაჩენისთანავე; სხვანაირად ვერ განთავისუფლდები მისგან, ყველა შენი მოქმედება ამ წადილით იქნება ნაკარნახევი. ვისაც არ სურს ამ პატივის მოპოვება, მას არც მისი დაკარგვის შიში აქვს. ამიტომაა, რომ ის ყველაფერს ქრისტიანისათვის დამახასიათებელი თავისუფლებით აკეთებს. ხოლო ამ პატივის დაკარგვის შიშით შეპყრობილთ უამრავი ჭირი და მონობა მოიცავს ხოლმე, რის გამოც ისინი ხშირად ხალხსაც შეურაცხყოფენ და ღმერთსაც. ასე რომ, ამ წადილით არ უნდა იყოს კაცი შეპყრობილი.

მხნეობასავსე სარდლები თავდადებით იბრძვიან და ვაჟკაცურად ეცემიან. ხუცესებმა, როგორაც ჭეშმარიტად ქრისტეანმა კაცებმა, იგივე უნდა შესძლონ მღვდლობის პატივის მიღებისა და დაკარგვის დროსაც. უნდა იცოდნენ, რომ ხშირად ამ პატივით მარტო ამაღლებას კი არა, დამცრობა-დამდაბლებასაც არანაკლები გვირგვინი მოაქვს.

თუკი ემართლებიან კაცს, რომელსაც არაფერი ჩაუდენია ამ პატივის შეუფერებელი, მასზე უსამართლოდ აღდგომილნი დაისჯებიან, ხოლო იგი დიდ ჯილდოს მიიღებს: „ნეტარ იყვნეთ, ოდეს გდევნიდნენ და გყვედრიდნენ და სთქვან ყოველი სიტყვა ბოროტი თქვენდა მომართ სიცრუით ჩემთვის. გიხაროდენ და მხიარულ იყვენით, რამეთუ სასყიდელი თქვენი დიდ არს ცათა შინა“ (მათე 5, 11, 18). ასეთი რამ თანამოსამსახურეთ შეიძლება მტრობით, შურით, ვინმეს გულის მოგების მიზნით, ან სხვა უსაფუძვლო მიზეზით დაემართოთ. და როცა მავანს ასეთი რამის გადატანა მოუწევს, მაყვედრებელთ მისი ულირსობა ამ დროს დიდად გაუმართავს ხელს, ვგონებ ამას მტკიცება არ სჭირდება.

ამიტომ კარგად უნდა ჩავუკვირდეთ საკუთარ სულს, რომ როგორმე არ გამოგვეპაროს იქ ამ საქმის წადილის ბეუტვაც კი. ბედნიერია კაცი, თუკი იგი თავიდანვე თავისუფალი იყო ასეთი წადილისაგან; ეს ვნება მას ვერც ამ პატივის მიღების შემდეგ მოერევა. მაგრამ თუკი ვინმემ ამ უფლებამოსილების მიღებამდე იგემა ეს საშინელი და სასტიკი ვნება, არც ვიცი, როგორ გადმოგცე მხურვალება იმ ღუმელისა, რომელშიაც იგი ამ პატივის მიღების შემდეგ აღმოჩნდება. ჰოდა, მეც, (არ გეგონოს თავდაბლობას ვიბრალებდე და ვცრუობდე), ძლიერად მსურდა ეგ საქმე. მაგან სხვა რამეზე ნაკლებ როდი შემაშინა. ჰოდა, იძულებული გავხდი, გავქცეულიყავი. ხორციელი სიყვარულით შეპყრობილი სანამ საყვარელი ადამიანის გვერდითაა, იტანჯება ამ ვნებისაგან. როგორც კი დაცილდება მას, მღელვარება ცხრება. ასე ემართებათ მღვდლობის წადილით შეპყრობილთ. როგორც კი მიუახლოვდებიან მას, იმ წამს აუტანელი წამება დაეუფლებათ, თუ დაკარგეს ამ პატივის მიღების იმედიც კი, ეს სურვილიც გაუქრებათ.

12. ასე რომ, ეს არაა პატარა მიზეზი. და ეს მიზეზი რომ ერთადერთი იყოს, სრულიად საკმარისი იქნებოდა იმისათვის, რომ ჩემთვის აეცილებინათ პატივი. მით უმეტეს, თუკი ამას სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანიც ერთვის. რაა? მღვდელი მღვიძარე და წინდახედული უნდა იყოს, ყოვლისმპყრეტელი თვალი უნდა ჰქონდეს, ყველაფერი უნდა შეამჩნიოს, რადგან თავისი თავი კი არ აბარია მხოლოდ, არამედ უამრავი ხალხი

(1 ტ. 3, 2). მე კი სუსტი, დაუდევარი კაცი ვარ, საკუთარი ცხონებისათვის ძლივს ვახერხებ ზრუნვას, ამაზე შენც დამეთანხმები, თუმცა, ჩემი სიყვარულის გამო ყველაზე მეტად შენ ცდილობ ჩემი სისუსტეების მიჩქმალვას. ნუ დამიწყებ ეხლა მარხვასა, მღვიძარებასა, მიწაზე წოლასა და სხვა სხეულის დამაჭნობელ საქმეებზე ლაპარაკს. თვითონაც იცი, ეგეც არ ძალმიძს სრულყოფილად. და კიდევაც რომ შემეძლოს ამ საქმეების მთელი სიმკაცრე-სიზუსტით დაცვა, ის სისუსტენი, რაც ნამდვილად გამაჩნია, მაინც იჩენდა თავს, ამიტომაც უსარგებლო იქნებოდა ჩემი მოღვაწეობა. სხეულის დამაჭნობელი ღვაწლი სენაკში მყოფს, რომელიც მხოლოდ თავისი შინაგანი საქმეებითაა დაკავებული, დიდ სარგებლობას მოუტანს. მაგრამ კაცს, უამრავ ხალხზე განაწილებულსა და ხელქვეითებზე მზრუნველს, მხოლოდ ეს ღვაწლი რას არგებს, თუკი არ ექნა, ამასთან ერთად, სული მხნე და ძლიერი?

13. არ გაგიკვირდეს, ასეთი მკაცრი ცხოვრების გვერდით რომ დიდი სულიერი გამოცდილების აუცილებლობაც მოვითხოვო. საჭმელ-სასმელსა და რბილ საწოლზე უარის თქმა, როგორც ჩანს, ბევრს არც უჭირს. განსაკუთრებით კი მათ, ბავშვობიდანვე მკაცრ პირობებში გაზრდილთ. იგივე ითქმის ფიზიკურად გაკაჟებულ ხალხზე, მათ ეიოლებათ კიდეც ასეთი ღვაწლი. მაგრამ შეურაცხყოფის, ცილისწამების, მწარე სიტყვის, მდაბიოთა განზრახული და უნებლიე დაცინვის, უფროსებისა და ხელქვეითების უსამართლო შენიშვნების ატანა, ცოტას, ერთი, ორ კაცს თუ შეუძლია. ხდება ისიც, რომ მკაცრი ღვაწლის მტვირთველნი, ვერ უმკლავდებიან ამ უსიამოვნებებს. ასეთ დროს მათ ველური ცხოველის მძვინვარება იპყრობს ხოლმე. ასეთი ხალხი განსაკუთრებით უნდა განერიდოს ეკლესიას. წინამძღოლი ოდნავადაც არ ვნებს მრევლს, თუკი მშიერი და ფეხშიშველი არ დაიარება. მაგრამ მძვინვარე, მრისხანებამორეული, საკუთარ თავსაც ვნებს და ახლობელსაც. კაცს თუ პირველის ტვირთვა არ შეუძლია, ამისთვის მას ღმერთი არ დასჯის, მაგრამ ცუდად განრისხებული „თანამდებ არს იგი გეჰენიასა მას ცეცხლისასა“ (მათე 5, 22). სიამაყის ვნებით შეპყრობილი ამ პატივის მიღების შემდეგ უფრო აღაგზნებს ამ ვნებას. როცა კაცს (რომელსაც მარტო ცხოვრებისას, ან

ცოტა ხალხთან ურთიერთობის დროს არ შეეძლო მრისხანების მოთოკვა), ბევრ ხალხს მიანდობენ, იგი მაშინვე იმ ჭხეცს ემსგავსება, რომელსაც თითქოს ყოველი მხრიდან დასაჭერად დასდევენო. მას თავადაც არ ექნება სიმშვიდე და სხვებსაც ბევრ ჭირს შეჰყრის.

14. ისე არაფერს ძალუძს სული წმიდისა და ნათელი აზრების შემუსრვა, როგორაც მრისხანებას მოუთოკავს, იგი ძლიერად იჩენს ხოლმე თავს. ბრძენს უთქვამს: მრისხანება ჭკვიერსაც ღუპავსო (იგავ. 15, 1). იგი ისე აბნელებს სულის თვალს, რომ უკუნით ღამეში მებრძოლი კაცივით ვეღარ არჩევს მტერ-მოყვარეს, ღირსეულსა და უღირსს, ყველას ერთნაირი მრისხანებით ეკცევა და იმის მაგივრად, რომ მოთოკოს ენა ვნება, პირიქით, მისი ნების აღმსრულებელი ხდება; რამეთუ მრისხანებით აღგზნებული სული ერთგვარ კმაყოფილებასაც კი გრძნობს, როცა მის ნებას მიჰყვებიან. ასეთ დროს სრულიად ირღვევა სულიერი სიჯანსაღე. ამას მოჰყვება ხოლმე სიამაყე, უსამართლო მტრობა და სიძულვილი, რაც ხშირად ხდება მიზეზი სხვათა განურჩეველი და უსაფუძვლო შეურაცხყოფისა და კიდევ ბევრი უმსგავსო საქციელისაც. ასეთ დროს სული ამ ძლიერი ვნების ტალღის ქვეშაა მოქცეული და მას აღარ რჩება ვნების წინააღმდეგობის უნარი.

ბასილი: არა, ასეთი თვალთმაქცობის ატანა კი შეუძლებელია. ვინ არ იცის, რომ შენთვის უცხოა ეგ სენი?

ოქროპირი: რაო, ბატონო, გინდა გამაღიზიანო მონანიე ცხოველი, გინდა რომ მაინცადამაინც კოცონთან დამაყენო? არ იცი განა, მაგ ვნებას ნებისყოფით კი არა, მხოლოდ სიმშვიდის სიყვარულით რომ ვერეოდი და ვინაც ასეა მომართული, იგი კიდევაც უნდა გაექცეს ამ საქმეს და თავის თავთან, ან ერთი-ორი მეგობრის საზოგადოებაში დარჩეს. რა უნდა მას ამხელა ზრუნვის უფსკრულის სიახლოვეს? წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ბევრს გადაიყოლებს და თანაც ისინი მოკლებულნი დარჩებიან თავმდაბლობის შეძენის ყველანაირ საშუალებას.

დაქვემდებარებული ხალხის უმრავლესობა მიჩეეულია წინამძღოლის მაგალითად დადგენას, ბაძვას მისას. ქედმაღალი კაცი შეძლებს განა სხვის განთავისუფლებას ქედმაღლობისა-

გან? მრისხანე წინამძღვრის შემყურე, ისურვებს გახა თავ-
მდაბლობას? არა, მოძღვრის ნაკლი არ დაიმალება, ზოგიერთი
მათგანი კი ძალიან სწრაფადაც კი ვლინდება. მეომარი, სანამ
სახლშია, სუსტიც რომ იყოს, ვინ გაიგებს? მაგრამ ბრძოლაში
თუ მოხვდა, იმ წამს გამოაშკარავდება მისი შესაძლებლობები.
ასევეა ის ხალხიც, რომელიც თავისთვის, ყოველგვარი მოღვა-
წეობის გარეშე ცხოვრობს. სანამ ისინი თავისთვის, ცალკე
არიან, ვინ რა იცის მათი უძლურებისა? მაგრამ როგორც კი
აირჩევენ ასეთ ხალხს, ისინი იძულებულნი ხდებიან სამოსი-
ვით შემოიძრონ ის მარტოობა, და სული სხვების დასანახად,
უამრავი გარეგნული მოქმედებებით შეჭურვონ. მათ კეთილ
საქმეებს სარგებლობაც მოაქვთ, რამეთუ მრავალს აღუძრავენ
კეთილ სურვილს. მაგრამ ისინი სულ უფრო დაუდევარნი ხდე-
ბიან სულიერ სათნოებათა მოპოვებაში, ამიტომაცაა, თავს
ვერ იზღვევენ შეცოდებებისაგან და მათი შრომაც აღარ იმსა-
ხურებს ქებას. ასე რომ, ხუცესი ყოველმხრივ უნდა ბრწყინავ-
დეს, რათა შეძლოს მისი მრევლის გახარებაცა და განათებაც.
როცა ჩვეულებრივი ხალხი ცოდავს, ისინი ამით მხოლოდ სა-
კუთარ თავს ვნებენ და მათი ცოდვაც თითქოს დაფარულია.
მაგრამ გამოჩენილი და ცნობილი ხალხის შეცოდება ბევრზე
მოქმედებს უარყოფითად. იგი ერთგვარად დასცემს კიდეც
ხალხში მისწრაფებას კეთილი ღვაწლისაკენ, ხოლო მისით მო-
ხიბლულთ მხოლოდ სიამაყეს მატებს. უბრალო ხალხის ცოდ-
ვა, რომც გამოაშკარავდეს, მნიშვნელოვნად ვერავის ავნებს.
მაგრამ მღვდლობის ღირსებას მიღწეული ხალხის საქციელი
ყველასათვის დასანახია. მათი მცირედი შეცოდებაც კი, ყვე-
ლას დიდად მოეჩვენება, რადგან ამ შემთხვევაში ცოდვას კი
არ ექცევა, ყურადღება, არამედ შემცოდებლის პირად, ღირ-
სებას. ამიტომ მღვდელმა რაღაც ანდამატივით იარაღი უნდა
მოიშველიოს და ყოველი მხრიდან უნდა მოიზღუდოს თავი,
გულმოდგინე, დაკვირვებულ მღვიძარებაში უნდა ატარებდეს
თავის სიცოცხლეს, სუსტი და დაუცავი ადგილი რომ არ აღმო-
უჩინოს ვინმემ სასიკვდილო ჭრილობის მისაყენებლად, რადგან
ირგვლივ მყოფნი მზად არიან ავნონ მას რაიმე. ნათქვამი მხო-
ლოდ მტრებსა და მოწინააღმდეგეებზე როდი ვრცელდება,
არამედ იმ ხალხზეც, თავი მეგობრებად რომ მოაქვთ. ბაბი-

ლონში, ღვთის მადლით, სამი წმიდა ყრმა იყო. სახმილს იყენენ ისინი მიცემულნი. სწორედ მათ უნდა გავდნენ სულიერად კაცნი, ხუცობის მტვირთველნი, რადგან ცეცხლი, რომელსაც ისინი მიეცემიან ფიჩხით, ფისითა და სელით როდია აალებული. ისინი ნივთიერ ცეცხლს კი არა, შურის ყოვლად დამფერფლავ ალს მიეცემიან ხოლმე. ეს ცეცხლი მათ ყოველი მხრიდან აქვთ შენთებული და იგი უფრო ძლიერად აღწევს მათში, ვინემ იმ ყრმათა სხეულში. იმ ცეცხლმა რომ პატარა შემხმარი ნაწილი ნახოს, იმას შეჰყვება და სხვას, მზის სხივივით გაბრწყინებულ ნაწილებსაც მისწვდება გასამურად.

სანამ ყველაფერი წესრიგში აქვს ხუცესს, მანამ ძვირისმზრახველნი ვერაფერს დააკლებენ. მაგრამ სულ მცირედიც რომ გამოეპაროს, ბოლოს და ბოლოს ადამიანია, ცხოვრების უბობოქრესი ზღვები რომ ჰქონდეს გადაცურული და უამრავი კეთილი საქმე გაკეთებული, მყვედრებელთ მაინც ვერ გააჩერებ. მცირედი შეცდომა ყველაფერს გადაჰფარავს. თანაც მას ისე კი არ უყურებენ, როგორც ჩვეულებრივ, ხორცში მყოფ კაცს, რომელსაც არ შეიძლება არ ჰქონდეს შეცდომები, არამედ როგორც ანგელოზს, რომელსაც დაუშვებელია რაიმე ეშლებოდეს. ტირანი, სანამ ძლიერია და მეფეა, რაკი მისი მორევა არ ძალუძთ, ამიტომ შიში აქვთ მისი და ეპირფერებიან. მაგრამ თუ სისუსტე დაატყვეს, იმ წამს თავს ანებებენ თვალთმაქცობას და გუშინდელი მეგობრები მტრებად, მოწინააღმდეგებად უხდებიან, მისი სუსტი მხარეების მცოდნენი ძალაუფლებაში ედავებიან. იგივე ემართებათ მღვდლებსაც. სანამ ძლიერია, ვერავინ კადრებს ცუდს, ყველანი პატივით ექცევიან, მაგრამ ოდნავი საბაბი თუ მიეცათ, იგივე ხალხი ძლიერად შეიარაღდება მის წინააღმდეგ და გადაყენებას დაუპირებს, თანაც მას ტირანზე უფრო საშინელ კაცად დასახავენ. ტირანს ყველაზე მეტად თავისი გვამის მცველთა შიში აქვს, მღვდელი თავის ახლობლებსა და თანამოსაუბრეებს უფრთხის. რადგან არავინ ისეთი ძალით არ ცდილობს მასზე უფლების მოპოვებას, როგორც ისინი. მათ ყველაზე კარგად იციან მისი საქმეების მსვლელობისა, ისინი ხომ მის სიახლოვეს არიან; რამე მოხდება და პირველები იგებენ, ცილიც რომ დასწამონ ვინმეს, ამასაც ადვილად დაუჯერებს ხალხი, პატარას დიდზე გაბერა-

ვენ და ადვილად ავნებენ უდანაშაულოს, და გამართლდება მოციქულის სიტყვები შებრუნებული აზრით: „და თუ იდიდებინ ერთი ასოჲ, მის თანა იხარებენ ყოველნი ასონი“ (1 კორ. 12, 26). მხოლოდ ღვთიმსახურების მტვირთველთ შესწევთ ამის ძალა. ასეთი ბრძოლისათვის მიმეტებ? და გგონია, რომ ჩემი სული აიტანს ასეთი სხვადასხვაგვარი სახის ბრძოლებს? როგორ იფიქრე ეგ, ვინ გითხრა? თუ ღმერთმა გამოგიცხადა, მითხარი და დაგემორჩილები, და თუკი ასეთი აზრი ხალხის ლაპარაკის მიხედვით შეგექმნა, თავს ნუღარ მოიტყუებ. ჩვენი თავისა ჩვენ უკეთ ვიცით, ვიდრე სხვამ. იმიტომ, რომ „ვინმე უკუე იცის კაცმან კაცისაჲ, გარნა სულმანვე კაცისამან?“ (1 კორ. 2, 11).

უწინ თუ არა, ვფიქრობ ახლა მაინც რწმუნდები ჩემს სიმართლეში. მე რომ მიმეღო ეგ პატივი, თავსაც და ამომრჩევლებსაც სასაცილოდ გავუხდიდი საქმეს და ფრიად ვნებული ისევ იმ ცხოვრებას დავუბრუნდებოდი, რომელსაც ახლა ვეწევი. ბევრს სწადია ეს ხელისუფლება; ეს წადილი შურზე ძლიერია, მაგის გამოა, რომ აუმსედრდებიან ხოლმე იმ ხალხს, რომელთაც ეგ ხელისუფლება მიეცათ. ანგარებისმოყვარე შვილებმა იციან, როგორც კი მოუძლურდებიან მშობლები, დრტვინვას მოჰყვებიან. ზოგიერთი, რომ ხედავს, მავანი მღვდლის მსახურება დიდხანს გაგრძელდა, დრტვინავს ისიც; მისი მოკვლა უსჯულოებად მიაჩნია, ამიტომაცაა, სხვაგვარად ცდილობს ამ ხელისუფლების მოპოვებას, იმ ხუცესის ადგილის დასაკუთრებას, თანაც ყოველი მათგანი იმედიანადაა, მე მერგებაო ეს პატივი.

15. გინდა სხვა ბრძოლაც გიჩვენო, მასაც უამრავი საფრთხე ახლავს თან. წადი, სახალხო დღესასწაულებზე გაიარე, აქ უნდა ხდებოდეს სწორედ უმეტეს წილად საეკლესიო პირების არჩევა და ნახავ, რომ მღვდლის ყველა ხელქვეითი მისავე გმობაშია. არჩევის უფლების მქონენი ჯგუფებად იყოფიან, თანხმობა არც ერთმანეთში აქვთ ხუცესთ და არც ეპისკოპოსთან. ყველა თავისთვისაა, ერთი ერთს ირჩევს, მეორე — მეორეს.

ამის მიზეზი კი ის არის, რომ მთავარს, სულიერ სათნოებას, არავინ ითვალისწინებს. პატივის მიგება სულ სხვა რამის მიხედვით ხდება. მაგალითად, იტყვიან, ის იმიტომ უნდა

ავირჩიოთ, რომ ცნობილი გვარის შვილიაო, სხვაზე ამბობენ, მდიდარია, და ეკლესიის შემოსავლიდან აღარ ისარგებლებსო, მესამეზე იტყვიან, თავისი კეთილი ნებით მოვიდა მოწინააღმდეგე ბანაკიდან და უნდა ავირჩიოთო; ზოგი თავისი ნაცნობის წამოწევას ცდილობს, ზოგი — ნათესავისას, ზოგს მლიქვნელობის გამოც კი ეწევა ასეთი ბედი. მაგრამ საქმისათვის გამოსადეგარ კაცსა და სულიერ სათნოებათა მეტ-ნაკლებ რიგიანობას არავინ დაეძებს. მე ძალიან შორს დავიჭერდი თავს და მღვდლის დადგინებისათვის აქ ჩამოთვლილ თვისებებს არ ვიკმარებდი. ის კი არა, ყველაზე ღვთის მოშიშსაც კი, მიუხედავად იმისა, რომ ეს თვისება ამ საქმეში სიკეთის მომტანია და აუცილებელიც, ვერ გადავუწყვეტდი მღვდლობის პატივის მიგებას, თუკი მას ღვთისმსახურებასთან ერთად კეთილგონიერებასაც არ დავატყობდი. ბევრი ვიცი, მარტოდმყოფელი და დაუყოლებულ ცხოვრებას მიდევნებული, საკუთარი ცხოვრების მარხვით დამაჭკნობელი. ეს ხალხი, განმარტოებით როცა იყო, კიდეც ზრუნავდა საკუთარ სულზე და სათნონი გაუხდნენ უფალს. დღითი დღე მატულობდა მათი სიბრძნისმოყვარება, მაგრამ როცა მათ ხალხის უმეცრების გამოსწორება დაეკალათ, ზოგმა თავშივე ვერ ივარგა, ნაწილმა იძულებით გააგრძელა მსახურება, მოწყდა საკუთარ ცხოვრებას, სხვებს ვერაფერი არგო, საკუთარ სულს კი დიდი ზიანი მიაყენა. ვინმეს რომ მსახურების დაბალ საფეხურზე ეწიოს ღრმა სიბერე, სწორედ რომ ვერ მივაგებდი, მხოლოდ ასაკის გამო, ასეთ პატივს. ამ ასაკშიც რომ ვერ ივარგოს მერე? ამ სიტყვებს ჭაღარის დამცირების აზრით როდი ვამბობ, და არც იმის დაწესებას მოვითხოვ, რომ მონაზონთა დასიდან არავის მიაგონ ეს პატივი, ხშირად სწორედ ამ დასიდან გამოსულთ გაურთმევიათ ამ საქმისათვის თავი სანაქებოდ. უბრალოდ, ერთის დასაბუთებას ვცდილობ, რომ თუკი ასაკი და ღვთისმსახურება არაა საკმარისი ხუცობისათვის, მით უმეტეს, მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილი თვისებების გამო არ უნდა ხდებოდეს ამ პატივის მიგება. მავანნი სხვა უგნური მიზეზებითაც ცდილობენ ზოგიერთების წარდგინებას. ნაწილს იმიტომ ირჩევენ სამღვდელო დასში, რომ მოწინააღმდეგეთა ბანაკში არ გადავიდნენო, ზოგის არჩევის მიზეზი კი მისივე უკეთურება ხდება, აქაოდა, არჩევის შე-

'რე დაოკდება და აღარ ჩაიდენსო სიბოროტეს. კაცს, სრულიად, ურგებსა და ვნებებით სავსეს, რომელსაც ეკლესიაში შესვლის უფლებაც კი არ უნდა ჰქონდეს და თუ რამეს იმსახურებს, მხოლოდ სასჯელს, სწორედ მას მიეგება პატივი ხუცობისა. განა იქნება ამაზე მეტი ულმრთოება? მითხარი, კიდევ საძიებელი გვაქვს ღვთის რისხვის მიზეზი, თუკი წმინდა და საშინელი საქმე უწმინდურთათვის გვაქვს მინდობილი დასაღუპად?

როცა საქმეების მართვას მათ მიანდობენ, ვისაც სრულიად არ შესწევს ამის უნარი, მაშინ ეკლესია ოდნავადაც აღარ განსხვავდება ევრიპისაგან[1]. უწინ ერში მყოფ ხელისუფლებზე მეცინებოდა, პატივის მიგებას სულიერი სათნოების გათვალისწინების გარეშე ახერხებენ, მხოლოდ სიმდიდრეს, ასაკსა და ძლიერთა მფარველობას ითვალისწინებენ-მეთქი. ახლა, რომ ვხედავ, იგივე უგნურება ჩვენთანაც შემოიჭრა, იმათი რა გამიკვირდეს? და რა გასაკვირია ერისკაცების, კაცმოთნეობისა და ფულის ძიებას აყოლილი ხალხის შეცოდება, თუკი ხალხი, თითქო ამ სოფელს გაცლილი და მხოლოდ ზეციურის მაძიებელი, ისე ურიგებს უღირსებს ამ პატივს, თითქოს მიწის მეათედი ჰქონდეთო მათთვის აღთქმული. არა და მათ ეძლევათ საქმე, რომლისთვისაც მხოლოდშობილმა ღვთის ძემ დაიმდაბლა თავი თავისი, შეისხა ხორცი და „შთაიცუა ხატი მონებისა" და დაითმინა „ყურიმალსა ცემა და ნერწყვაჲ" და მოკვდა ხორციელი, საძრახი სიკვდილით (ფილ. 2, 7. მათე 26, 67).

მერე ამასაც არ სჯერდებიან და ამ საქმეს სხვა, უფრო დიდ უაზრობას მოაყოლებენ ხოლმე: უღირსების დადგენას არ კმარობენ და გამოსადეგარ ხალხს უარყოფენ. თითქოს აუცილებელი იყოს ეკლესიის ორმაგად დაცემა, თითქოს ღვთის რისხვის მოწევნის პირველი მიზეზი არა კმაროდეს, და მეორე დანაშაულსაც ამატებენ. ჩემი აზრით, ორივე დანაშაული, უვაგისი ხალხის მიღებაცა და ვარგისიანთა უარყოფაც იმიტომ ხდება, რომ ქრისტიანულმა სამწყსომ ვერსად ჰპოვოს ნუგეში და სიხარული. და განა მათ უფრო არ ემუქრებათ ცეცხლოვა-

---

[1] ევრიპი ვიწრო სრუტეა ევბერსს, ზიოატიკისა და ატიკის კუნძულებს შორის საბერძნეთში. ბერძნები ამბობენ, აქ წყალი დინების მიმართულებას იცვლისო.

ნი გეჰენია, ვიდრე ჩვენ (ხალხს, რომელიც ერიდება ასეთ კადნიერებას)? თუმცა, უფალი ითმენს ამ ბოროტ საქმეებს, ამბობს: „არა მნებავს სიკუდილი უთნოისაჲ, ვითარ მოქცევაჲ გზისგან მისისა და ცხოვნებაჲ მისი" (ეზეკ. 33, 11). ვის არ გააკვირვებს მისი კაცთმოყვარება? ვის არ შეაძრწუნებს მისი წყალობა? ქრისტეანები ხომ მტრებსა და მოწინააღმდეგეებზე მეტად ვნებენ ქრისტესავე კუთვნილებას. ის კი სათნოა, გულმოწყალე, და ყველას სინანულისაკენ მოუწოდებს. დიდება შენდა, უფალო, დიდება შენდა! რა ღრმაა უფსკრული შენი კაცმოყვარებისა, რა მდიდარია შენი სულგრძელება! მდაბიო და უბირი ხალხი, უფლის სახელით რომ მოიპოვეს დიდება, სწორედ მათსავე პატივისმიმგებელის წინააღმდეგ ამხედრდნენ, შეუვალს კადნიერებით შეხედეს, სიწმინდე შეურაცხყვეს, კეთილს ზურგი აქციეს, მოიცილეს, რათა უკიდურესად დაკნინდეს ყოველივე და მათ, ბიწიერთა, თავისუფლად, სურვილისამებრ შეძლონ აოხრება ყველაფრისა. თუკი ამ ავბედობის მიზეზის ძიებას მოჰყვები, იპოვი და მიხვდები, რომ ძირი ერთია, ისინი, ასე ვთქვათ, ერთი დედის შვილები არიან, შურია მშობელი მათი. მაგრამ ეს შურიც მრავალგვარია. ამბობენ: ეს იმიტომ უნდა განვაყენოთ, რომ ახალგაზრდაა, სხვა იმიტომ, რომ პირფერობა არ შეუძლიაო. მესამე — წაეკიდაო ვიღაცას. მეოთხეს იმიტომ არ აირჩევენ, რომ სხვას არ დაწყდეს გული, რადგან მისი წარდგენილი უარყვესო. მეხუთეს, კეთილი და თავმდაბალიაო, და, ამიტომ დაიწუნებენ; მოკლედ, მიზეზის მოძებნა არ გაუჭირდებათ, საკმარისად იპოვნიან. სხვა თუ ვერაფერი უშარეს, სიმდიდრეს მოიმიზეზებენ ან იტყვიან, პატივი უცებ კი არა, ნელ-ნელა უნდა მიენიჭოსო და ასე, მიზეზს რა დაულევთ? ჰოდა, გეკითხები, რა ქნას ეპისკოპოსმა ასეთ ქარაშოტებთან ბრძოლისას? როგორ აღუდგეს ასეთ ტალღებს? როგორ აოტოს თავდამსხმელნი? თუ ჯანსაღი გონით იხელმძღვანელა, მაშინ მასაც და მის ამორჩეულსაც ყველა მტრად მოეკიდება, მათ საწინააღმდეგოდ ამოქმედდებიან, სულ ჩხუბის ატეხვის ცდაში იქნებიან, ამორჩეულთ დაცინვით აიკლებენ, მანამ არ მოეშვებიან, სანამ არ გადააყენებენ და თავის შევრდომილთ არ წამოწევენ ამ ადგილზე. ეს ყველაფერი იმ ამბავს ჰგავს, გემში მგზავრებად მეკობრეები რომ ჰყავდეს მე-

საჭეს, რომელნიც მასაც და მის მენიჩბეებსაც ყოველ წამს ათასნაირი მზაკვრობით იკლებენ. ეპისკოპოსი რომ ამ ხალხს შეუშინდეს და მათ უდები კაცის არჩევაში დაყაბულდეს, ღმერთს განარისხებს, მტრად ექცევა. რა უნდა იყოს ამაზე საშინელი? არადა, განაწყენებული მოწინააღმდეგეები ერთმანეთს მხარს მისცემენ და უფრო დამძიმდება მათი ურთიერთობა. წყნარ ზღვაზე სხვადასხვა მხრიდან წამოსული ქარები თუ ერთმანეთს შეეჯახა, წამოიშლებიან ტალღები, ყალყზე შედგებიან, გაშმაგდება ზღვა, არ დაინდობს მოცურავეთ. როცა უდებ კაცს დაუყენებენ ხოლმე თავში ეკლესიას, კარგავს ეკლესია თავის ჩვეულ სიმშვიდეს, შფოთვა ეუფლება მას და ემსგავსება იგი გემს, ზღვაში დანთქმულს.

16. წარმოიდგინე, როგორი უნდა იყოს კაცი, რომელმაც ყველას საკეთილდღეოდ ამდენ ქარიშხლებსა და წინააღმდეგობებს უნდა გაუძლოს?

ჩინებული კაცი უნდა იყოს და არა ამაყი, მკაცრიც და მოწყალეც, განმგებელიცა და ადამიანებთან ურთიერთობის მოყვარულიც, პირუთვნელიცა და მაამებელიც, მკაცრიცა და მშვიდიც, რომ შეძლოს წინააღმდეგობათა გამკლავება. მას სრული უფლება აქვს ღირსეული კაცის მიღებისა, ასევე უფლება აქვს უარყოს კაცი უვარგისი და ამ დროს მხედველობაში უნდა იქონიოს მხოლოდ ეკლესიის კეთილდღეობა და არავითარ შემთხვევაში ვისიმე გულის მოგება. ახლა ხომ ცხადია შენთვის, რატომ ვთქვი ამ საქმეზე უარი. თუმცა, სათქმელი ჯერაც არ დამისრულებია. მინდა, კიდევ რაღაც გითხრა და თუ არ შეწუხდები, მოუსმინე შენს გულწრფელ მეგობარს, რომელსაც სურს თავი იმართლოს შენგანვე წამოსული ბრალდებების გამო. ამ სიტყვების მერე შენ უკეთ გეცოდინება, რა პასუხი გასცე ჩემს აუგისმთქმელთ, გარდა ამისა, თავად შენც, როგორც ამ საქმის მტვირთველს, ვფიქრობ, გარგებს ეს საუბარი.

ვინაც ამ საქმის ტვირთვას ეპირება, მან ყოველ მიზეზგარეშე, ყველა წვრილმანი უნდა გამოიძიოს ამ საქმისა და მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგეს მას. რატომ? თუნდაც იმიტომ, რომ როცა ყველაფერი წინასწარვე კარგად ეცოდინება და გაოცებასა და შფოთვას მაინც აცდება. რადგან აღარაფერი იქნება ახალი და მოულოდნელი. როგორ ისურვებ, საიდან დავი-

წყო საუბარი, ქვრივების შეწევნიდან, ქალწულებზე ზრუნვიდან თუ სასამართლო საქმეების სირთულეებიდან მოვყვე? თითოეული მათგანი სხვადასხვაგვარ ზრუნვასთანაა დაკავშირებული და გარდა ამისა, ეს საქმე მეტად საფრთხილოა და საშიში.

პირველად ქვრივების შეწევნიდან დავიწყოთ, სხვებთან შედარებით ის თითქოს უფრო ადვილი ჩანს. ერთი შეხედვით, ამ საქმეზე მზრუნველთ თითქოს მხოლოდ ფულთან აქვთო საქმე (1 ტ. 5, 16), მაგრამ ეს ასე არაა: საჭიროა საქმის გულმოდგინე გამოძიება, მაშინაც კი, როცა მათ სიაში შეტანას ვეპირებით. სხვაგვარად ბევრი უსიამოვნებაა მოსალოდნელი. ზოგიერთი მათგანი ოჯახს ურევს, ქორწინებას არღვევს, ქურდობას, სიმთვრალესა და მსგავს საქციელებსაც არ ერიდება. ასეთი ხალხის ეკლესიის ხარჯზე შენახვისათვის ღმერთიც დაგსჯის და ხალხის განკითხვასაც ვერ აცდები. ის კი არა, ნაყოფის შემომწირველებმა შეიძლება სულაც აიღონ ხელი ამ საქმეზე. როგორ უნდა მისცე თავს უფლება, რომ განძი, რომელიც ქრისტეს სახელზეა შემოწირული, ქრისტეს მგმობელი მოახმარო? ამიტომ საჭიროა გულმოდგინე გამოძიება, რომ ამ სიაში მარტო ასეთი ქვრივები კი არა, არამედ ისინიც არ მოხვდნენ, რომელთაც შეუძლიათ თავის რჩენა, რათა არ დაცარიელდეს ტაბლა გლახაკთა. გარდა ამისა, საარსებო მარაგის წყარო უხვი და მოუკლებელი უნდა იყოს. ასე რომ, აქაც დიდი ზრუნვაა საჭირო. თავისთავად სიღატაკე იმითაა ცუდი, რომ დაუნაყრებელი, უმადური და მომთხოვნია. დიდი კეთილგონიერება მართებს კაცს, რომ განკითხვის საბაბის მეძიებელთ ალაპარაკების საშუალება მოუსპოს. ხალხმა თუ ფულის მიმართ გულგრილი კაცი ნახა, ხომ იმ წუთს გადაუწყვეტენ ამ საქმის მიბარებას. მე კი მგონია, რომ მარტო ეს სულგრძელება არა კმარა ამ საქმისათვის, თუმცა იგი აუცილებელია, რადგან თუ კაცს ეს თვისება არ ექნა, იგი დაღუპავს ამ საქმეს, ვერაფერს არგებს მას და მწყემსს კი არა, მგელს დაემსგავსება. მაგრამ, ამ თვისების გარდა, ასევე აუცილებელია სხვაც — მოთმინებაც, მიზეზი ყოველივე კეთილისა. სიმშვიდე კაცის სულს წყნარ, სიხარულიან სამყოფელად აქცევს. ქვრივებს, თავისი ასაკისა და გაჭირვების გამო, და თავისი სქესის გამოც,

ერთგვარი, ზომას გადასული კადნიერებაც კი ახასიათებთ. ან ყვირიან უზომოდ ან ვიღაცას ტყუილუბრალოდ ადანაშაულებენ, იმას უჩივიან, ვისაც უნდა მადლობდნენ, ქებას რომ იმსახურებს, ისეთს კიცხავენ, ყველაფერ ამას უდრტვინველი ატანა სჭირდება; არ უნდა გაღიზიანდე განუსჯელ მოთხოვნებსა და უადგილო შენიშვნებზე. ეს ხალხი კი არ უნდა შეურაცხვყოთ, არამედ უნდა დავინდოთ მათი მდგომარეობის გამო. გაუბედურებულს თუ უმოწყალოდ მოექეცი, მის ჭირს წყენაც დაემატება და გაუძლიერდება წუხილიც საცოდავს.

ანგარებიანი და მზვაობარია კაცის ბუნება. სიღარიბეს კი კეთილშობილი სულის დამცრობაც ძალუძს, მასაც კი აკადრებინებს ერთიდაიგივე თხოვნის გამეორებას. ეს ყველაფერი კარგად იცოდა ერთმა ბრძენმა კაცმა და ამიტომაც არიგებდა ყველას, ნუ განრისხდებით გაჭირვებულთა გამუდმებული თხოვნების გამო, ნურც მათი განუწყვეტელი ჟინიანობა გაგაღიზიანებთ, თორემ შემწედ კი არა, მდევნელად ექცევითო მათ. გვასწავლიდა, იყავითო ლმობიერნი, რათა გაჭირვებულს მოესვლებოდესო თქვენთან. (შდ. ზირ. 4, 8). გაღიზიანებული კაცი თუ მიაგდე (ან რა გინდა უთხრა ავადმყოფს), იგი სხვასთან, ისეთთან წავა, რომელიც აიტანს ამ საცოდავის სისუსტეს და სანამ რამეს უწყალობებდეს, გაამხნევებს, წყნარი, ალერსიანი სიტყვით დამოძღვრის. თუ კაცი ღიზიანდება ქვრივებზე, შეურაცხყოფითა და შენიშვნებით ავსებს, კიდეც რომ განიკითხოს ისინი და მათ წილსაც გროში რომ არ მოაკლოს სათაეისოდ, გაჭირვებულთ ამით ურვას ვერ შეუმსუბუქებს, პირიქით, ასეთი კიცხვა უფრო დაამძიმებს მათ. ქვრივნი, ხორციელი მოთხოვნილებების გამო, ხშირად სირცხვილსაც ივიწყებენ, თუმცა მერე ამას განიცდიან კიდეც ძალიან. ასეა, შიმშილით აღძრული გაჭირვება მათ სირცხვილს ავიწყებს, იგივე უკრძალველობა მერე წუხილის მიზეზად უხდებათ და მათ სულს სხვადასხვა ძალით მოიცავს ხოლმე წყვდიადი სასოწარკვეთისა. მათზე მზრუნველმა იმხელა სულგრძელობა უნდა გამოიჩინოს, რომ როგორმე არ დაამძიმოს შენიშვნებით მათი ურვა, პირიქით, შეძლებისამებრ, მის შემსუბუქებას უნდა ცდილობდეს. გულგასენილ კაცს, ბევრიც რომ ჰქონდეს, არ ახარებს სიმდიდრე, წუხს და იმიტომ. ასევე, თუკი მავანს წყალობასთან ერთად

ალერსიან ან მანუგეშებელ სიტყვასაც ეტყვიან, იგი უფრო გახარებულია და ამგვარი წყალობაც ორმაგად ფასობს.

ეს ჩემი სიტყვები როდია: „შვილო ჩემო! შემწეობას ნუ აყვედრი კაცს, ქველმოქმედებისას ნუ იკადრებ სიტყვას კადნიერს. განა ნამი არ აგრილებს მხურვალებას დღისას? ასევე კეთილი სიტყვა — მეტია ქველ საქმეზე... ...კეთილ კაცს კი ერთიც უნდა შეეძლოს და მეორეც“... (ზირ. 15, 17-18).

ასე რომ, მზრუნველი მშვიდი უნდა იყოს და წყნარი, გაფრთხილება უნდა შეიძლოს მათი. სხვანაირად ღატაკთა ქონებას დიდი ზარალი მიადგება. ეს საქმე ერთ კაცს ჰქონდა მინდობილი. მას ბევრი ფული შეუგროვებია, მართალია გროში არ მიუსაკუთრებია, მაგრამ გაჭირვებულთათვის ცოტას იმეტებდა და დანარჩენს მიწაში მალავდა თურმე. ინახა ერთ ხანს ასე, სანამ მტერს არ ჩაუვარდა მიწაში ჩაფლული ქონება. ასე რომ, დიდი წინდახედულობაა საჭირო, რომ ეკლესიის შემოსავალი ან ზედმეტად არ დაგროვდეს ან არ განიავდეს. ეკლესიაში შემოსული თანხა უმალ უნდა დაურიგდეს გაჭირვებულთ, კეთილი ნებით შემოწირული ეკლესიის განძს მიემატება. როგორ გგონია, ცოტა ფულია საჭირო ყარიბების მიღებაგასტუმრებისა და ავადმყოფების მოვლისათვის? ეს ყველაფერი დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. ამიტომ, როცა ხუცესი ფულის შეგროვებას შეუდგება, მშვიდად და გონიერად უნდა წარმართოს ეს საქმე. არ უნდა გააბეზროს ნაყოფის შემომწირველნი, ისინი დაუნანებლად, ხალისით უნდა აკეთებდნენ ამ საქმეს.

აქაც ბევრი გულმოდგინება და თავდადებაა საჭირო, რადგან ავადმყოფები თავდაუცველნი არიან, ამდენად უფრო გაღიზიანებულებიც. ყველაფერი დიდი სიფრთხილითა და ზრუნვით უნდა კეთდებოდეს მათთვის, რადგან ავადმყოფს პატარა რამეც დიდად ავნებს.

17. ქალწულები საუნჯეა ძვირფასი, იგი ყველაზე მაღალი დასია, მათზე ზრუნვისას მეტი სიფრთხილეა საჭირო. რადგან ბევრმა უკეთურმა აქაც მოახერხა თავის შერგვა და სიმწარის მეტი არაფერი მოუტანა ამ დასს. ქვრივი ბევრს ილაპარაკებს, იჩხუბებს ვინმესთან, უსირცხვილობასა და ფარისევლობას

იკადრებს, თუ თავის სურვილისამებრ იელის ყველგან, ამისთვის მას პასუხს ვერავინ მოსთხოვს.

ქალწული კი დიდი ღვაწლით იმოსება, სიბრძნისმოყვარეობას ეწირება, მიწაზე ანგელოზებრივი ცხოვრების აღთქმას დებს და სხეულში მყოფი უსხეულო ძალთა მსგავსებას ესწრაფვის. მას არ შეეფერება სახლიდან ზედმეტად გამოსვლა, უჯერო და ამაო საუბრების აყოლა, მაცთურობასა და ძვირისმეტყველებაზე წარმოდგენაც არ უნდა ჰქონდეს. ასე რომ, დიდი მოფრთხილება და დახმარება სჭირდება. სიწმინდის მტერი ყველაზე მეტი გააფთრებით სწორედ ქალწულებს მიუხდება და ათასგვარი მზაკვრობით იკლებს მათ, მზადაა გადაყლაპოს დასუსტებული და დაცემული. ქალწულებს ემტერება ავი ხალხი, და ყველაფერთან ერთად, ადამიანური ბუნებისათვის დამახასიათებელი ყველანაირი სიცოფე.

საერთოდ, მათ ორმაგი ბრძოლის ატანა უწევთ: უცხოებთან, გარედან რომ ესხმიან თავს და საკუთარსავე სულში ჩასახლებულ მტრებთან. დიდი შიშის ქვეშაა მათი მზრუნველი, ესაა შიში მოსალოდნელი ჭირისა და საფრთხისა, ღმერთმა არ ქნას და თუ მოხდა რაიმე, არსაქნელი (ზირ. 42, 4). თუკი ქალიშვილის უნაყოფობას, გაუთხოვრობასა და ქმართან დაცილებას მამა ასე განიცდის, მაშინ იმან, ვისაც გაცილებით მნიშვნელოვანის ზრუნვა აქვს მინდობილი, რაღა თქვას? ამ დროს ადამის ძე კი არა, თავად მაცხოვარი განეშორება ქალწულს. და ეს უნაყოფობა უბრალო ბერწობას კი არა, სამუდამო დაღუპვას მოასწავებს... „ყოველმან ხემან რომელმან არა გამოიღოს ნაყოფი კეთილი, მოეკუეთოს და ცეცხლსა დაედოს“ (ლ. 3, 9). სიძისაგან მოძულებულს განქორწინების ქაღალდს როდი აკმარებენ, მისი განრისხებისათვის იგი საუკუნო ტანჯვას მიეცემა. ხორციელ მამას ქალიშვილის გასაფრთხილებლად ბევრი პირობა აქვს შექმნილი: დედა, აღმზრდელი, მსახურთა სიმრავლე, საიმედო სახლი, ეს ყველაფერი ამ საქმეს ემსახურება. იგი ქალიშვილს უკრძალავს ქალაქის მოედანზე გასვლას, თუ გამოვა, საღამოს ბინდი კედელზე ნაკლებად როდი დაიცავს უცხო თვალისაგან. ესეც არ იყოს, მას არ ჭირდება. სახლიდან გამოსვლა და ამდენად, მამაკაცის თვალსაც არიდებულია. არც სახლის საზრუნავისა და არც სხვა რაიმეს გამო მას

არ უწევს ასეთი შეხვედრები, რადგან ყველაფერზე მამა ზრუნავს. მას ერთი რამ ევალება მხოლოდ: ან არ მოიმოქმედოს, ან არ თქვას რაიმე, მისი კდემამოსილებისათვის შეუფერებელი.

მამასავით მზრუნველ ეპისკოპოსს კი არა აქვს ქალწულზე ამდენი თვალისდევნების საშუალება, ამიტომ უფრო უჭირს. საკუთარ სახლში ქალწულს ვერ მოიყვანს, რადგან მათი ერთ სახლში ცხოვრება უჯეროცაა და საშიშიც. თუნდაც არაფერს ვნებდნენ ისინი ამ ცხოვრებით ერთმანეთს, თუნდაც გამუდმებულად იცავდნენ შეუხებლობის სიწმინდეს, მრავალთა ცთუნებისათვის მათ მაინც მოუწევთ პასუხის გება, და ისინი დაისჯებიან, როგორც ამ ცოდვის მყოფელნი. ასე რომ, რაკი ერთად ცხოვრება შეუძლებელია, ნაკლები საშუალება ეძლევათ ქალწულთა მეთვალყურეობისა: ვერც სწორ საქციელს მოუწონებენ მათ და მცდარსაც ვერ შეუსწორებენ. ქალწულის სახლიდან გასვლასაც ვერ მიადევნებენ თვალს. იძულებითი ხელმომჭირნეობისა და გაჭირვების გამო მან თვითონ უნდა იზრუნოს თავის თავზე. თავის ნებაზე ცხოვრებისთვის, თუ მოისურვებს, უამრავ მიზეზს გამოძებნის და სახლიდან გასვლას ვერავინ დაუშლის. ვინაც სახლში ყოფნას მოსთხოვს, კიდევაც უნდა უზრუნველყოს და მოუსპოს სახლიდან გასვლის ყველა მიზეზი: ყველაფერი უნდა მიუტანოს საჭიროებისამებრ და მოსამსახურე ქალიც უნდა მიუჩინოს. პანაშვიდებსა და დაკრძალვებზე არ უნდა უშვებდნენ. ძალუძს, ნამდვილად ძალუძს იმ ეშმაკ გველს, თვით კეთილშიაც კი, ჩანთხევა ბოროტი შხამისა!

ქალწული ყოველ მხრივ დაცული უნდა იყოს და სახლიდანაც წელიწადში რამოდენიმეჯერ, მხოლოდ გადაუდებელი და აუცილებელი საქმეების გამო უნდა გამოვიდეს. თუ ვინმე იტყვის, ეს საქმე ეპისკოპოსს არ ეხებაო, დაე, იმანაც გაიგოს, რომ თუ მოხდა რაიმე, პასუხი უშუალოდ ეპისკოპოსს მოეკითხება, რადგან ევალება თითოეულ ქალწულზე ზრუნვა. ამიტომ მას უნდა ერჩიოს, რომ თავად განაგოს ეს საქმეები და აიცილოს ბრალდება, რომელიც აუცილებლად დაედება სხვათა შეცოდებისათვის, ვიდრე უარი თქვას ამ მსახურებაზე და სხვების გამო პასუხისმგებლობის შიში ჰქონდეს. ეგეც არ

იყოს, როცა ამ საქმეს მარტო თვითონ აკეთებს, ეს ბევრად უკეთესია, მაგრამ როცა იძულებულია სხვებს დაავალოს, ამ საქმისაგან განთავისუფლების, დასვენების მაგიერ უამრავი უსიამოვნება მოსდის სწორედ იმ ხალხთან, რომელთაც შეიძლება არ გაიზიარონ მისი შეხედულებები და შეეწინააღმდეგონ კიდეც. მოკლედ ყველაფრის თქმა, რაც ქალწულების მოვლასთანაა დაკავშირებული, არც ძალმიძს. ის კი არა, მათი სიაში შეტანაც კი მეტად საფრთხილო საქმეა. სამსჯავრო საქმეები კი (ესეც ეპისკოპოსის მსახურებაში შედის), ისეთ დიდ უსიამოვნებასა, ზრუნვასა და სირთულესთანაა დაკავშირებული, რომ საერო სასამართლო მონაგონია. ადვილი არაა სიმართლის პოვნა. ჭირს ნაპოვნი სიმართლის გაფრთხილებაც. ამ დროს ბევრი ფუსფუსისა და ზრუნვის გარდა, საფრთხეც დიდია. ნაწილი სუსტი ხალხისა სამსჯავროში ვერ პოულობს თავის სიმართლეს და სულაც კარგავს ყველანაირ რწმენას. ბევრს, გულნატკენს, ვერ აუტანია შემაწუხებელი მისი და ვერც ის, ვინაც დახმარება არ აღმოუჩინა. ისინი არ ითვალისწინებენ არც საქმის, არც ვითარების სირთულეს, არც სამღვდელო ხელისუფლების განსაზღვრულობას, არაფერს ამის მსგავსს. თუ არ გამოიყვანე ამ მდგომარეობიდან, პირდაპირ შეუწყნარებელ მსაჯულებს ემგვანებიან და აღარაფერი გამართლებს მათ თვალში. ვინაც ამას ვერ მოახერხებს, ათასი რამითაც რომ იმართლოს თავი, განკითხვას ვერ აცდება. რახან სიტყვა დაცვაზე ჩამოვარდა, საყვედურების ერთ მიზეზსაც გეტყვი. ეპისკოპოსმა თუ ყოველდღე არ მოინახულა ქალაქის თავკაცობა, საშინელი უკმაყოფილება ჩამოვარდება. იტყვიან: ნახვა მარტო ავადმყოფს კი არა, ჯანმრთელებსაც სჭირდებათო. ამას ყოველთვის კეთილი მოსაზრებებით როდი ამბობენ, უმრავლესობა საკუთარი წარმოჩენისა და პატივის აღზევების გამო აკეთებს ამას. თუ საჭიროებამ მოითხოვა და მას, ეკლესიის კეთილდღეობის გამო, შეძლებულ და ამა სოფლის ძლიერ ხალხთან ხშირმა სიარულმა მოუწია, იმ წამსვე მითქმა-მოთქმა ატყდება, კაცთმოთნეობასა და ფარისევლობას დასწამებენ. მაგრამ დაცვასა და მისვლა-მოსვლაზე რა სათქმელია? ეგ კი არა, ერთი საუბარიც კი საკმარისია უამრავი საყვედურის გასაჩენად. მათმა სიმრავლე-სიმძიმემ კაცი შეიძლება სასოწარ-

კვეთამდე მიიყვანოს. სალაპარაკო ხდება მისი მზერა, მისი ყველაზე უბრალო საქციელიც კი შეიძლება მკაცრი მსჯელობის საგნად იქცეს. ყურადღება ექცევა ხმის ტონს, სახის გამომეტყველებას, სიცილის ზომას. იტყვიან, იმას ხმამაღლა ელაპარაკებოდა, იცინოდაო, მე კი ცოტას მესაუბრებოდა და თანაც უდიერადო. ხალხში ლაპარაკისას, თუკი ყველა არ მოექცა მზერის არეში, თუ გაძორჩა ვინმე, ესეც საწყენად დაურჩებათ. ვის ძალუძს, თუ არა საოცარი მხნეობის პატრონს, სრული აცილება ამ უამრავი საყვედურისა, ანდა მათი მოწევნისას — თავის დაღწევა და გამართლება? ან საერთოდ არ უნდა გყავდეს ბრალმდებელი, თუკი ეს შესაძლებელია, ან უნდა შეგეძლოს მათი გამკლავება. თუ ეს არ ხერხდება, მათი საყვედურებიც მხნედ უნდა აიტანო, ზოგიერთს ხომ არც სჭირდება მიზეზი, მათ სწორედ უბრალო ხალხის დადანაშაულება გვრით სიამოვნებას.

დამნაშავე ადვილად იტანს ბრალდებას, რადგანაც სინდისზე მკაცრი მსჯავრმდებელი არ არსებობს. თუკი კაცს წინასწარ აქვს მონელებული მკაცრი მსაჯულის საყვედური, სხვისი საყვედურების ატანა ოდნავადაც არ უჭირს. მაგრამ თუკი ადანაშაულებენ უბრალო კაცს, მას ადვილად მოეკიდება მრისხანება და სასოწარკვეთამდეც კი მივა, ხალხის უმეცრებას თუ არ იქნა წინასწარ შეგუებული.

არა, შეუძლებელია რომ არ აღშფოთდეს, არ შეწუხდეს კაცი, როცა მას არაფრის გამო, უდანაშაულოს, ცილს სწაძებენ და განიკითხავენ. ახლა იმ წუხილს არ იკითხავ, როცა მოძღვარს მავანის ეკლესიიდან განკვეთა უხდება? ნეტა მაგ ჭირს წუხილის მეტი არაფერი მოჰქონდეს! ამ დროს დიდი უბედურებაა მოსალოდნელი. საშიშია, რომ ზომაზე მეტად დასჯილს, ნეტარი პავლეს სიტყვებით რომ ვთქვათ: „ნუ-უკუე უმეტესითა მათი მწუხარებითა დაინთქას ეგევითარი იგი“ (2 კორ. 2, 7). ასე რომ, აქ დიდი სიფრთხილეა საჭირო, თორემ შეიძლება, საკურნებლად მიცემულმა საშუალებამ კი არ არგოს კაცს, არამედ ძლიერად ავნოს კიდეც. ამასთან, ყოველი ცოდვის გამო, რომელსაც ავადმყოფი ამ მკურნალობის შედეგად ჩაიდენს, პასუხს ექიმიც აგებს, რომელმაც ვერ შეძლო სნეულის ჯეროვანი მკურნალობა.

როგორ გგონია, რა სასჯელი მოელის კაცს, რომელიც ღვთის წინაშე პასუხს აგებს არა მარტო საკუთარი ცოდვებისთვის, არამედ სხვათა ცოდვათა გამოც. თუკი ჩვენ საკუთარი ცოდვების გახსენებისას ვძრწით და აღარ გვრჩება იმედი მარადიული ცეცხლის აცილებისა, მაშინ უამრავი ხალხის ცოდვებზე პასუხისმგებელი როგორი ტანჯვის მოლოდინში უნდა იყოს? და ეს რომ მართლაც ასეა, ნეტარი პავლეს სიტყვებს, უფრო სწორედ, მასში ამეტყველებული მაცხოვრის სიტყვებს გახსენებ: „დაემორჩილენით წინამძღუართა თქუენთა და ერჩდით მათ, რამეთუ იგინი იღვიძებენ სულთა თქუენთათჳს, ვითარცა იგი სიტყუაჲ მისცენ“ (ებრ. 13, 7). რაა ეს, თუ არა მუქარა შემაძრწუნებელი? ამის უარყოფა როგორ იქნება?!

ისე კი, რაც ვთქვი, ვგონებ უკვე საკმარისია იმისათვის, რომ ყველაზე ურწმუნო და მკაცრმა ხალხმაც კი დამიჯეროს, რომ ამ საქმეს, (მოძღვრობას), სიამაყისა და ამაო დიდების მოყვარების გამო კი არა, ერთადერთის, მომავალი საქმის შიშით გავერიდე, ეს იყო ჩემი გაქცევის მიზეზი.

სიტყვა მეოთხე

ბასილიმ მოუსმინა, მცირე ხანს შეყოვნდა და მერე თქვა: თავად რომ ცდილიყავ ამ ხელმწიფების მოპოვებას, მაშინ შენი შიში გამართლებული იქნებოდა. ვინც თვითონ ესწრაფვის მსახურების მიღებას, ამით საკუთარ თავს ამ საქმის შემძლედ აღიარებს და მერე ვეღარ იტყვის, ესა თუ ის შეცდომა გამოუცდელობით მომივიდაო. ასეთი კაცი თავიდანვე ისპობს გამართლების საშუალებას იმით, რომ ესწრაფვოდა და მიიტაცა კიდეც ეს მსახურება, და რადგან საკუთარი ნებით შეუდგა მას, ვეღარ იტყვის, უნებლიეთ შევცოდე ამა და ამ საქმეში, უნებლიეთ დავღუპე ესა და ეს კაცი. მისი მსჯავრმდებელი მიუგებს: „რატომღა ესწრაფვოდი და თავსიდე საქმე, რომელიც შენს ძალებს აღემატებოდა, თუკი გრძნობდი საკუთარ გამოუცდელობას, თუ არც გონი გაგწვდებოდა ამ საქმეზე და არც საკმარისი ჭკუა გქონდა, ვინ გაიძულა? იქნებ გაურბოდი

და თავს არიდებდი ამ მსახურებას და ვიღაცამ ძალა დაგატანა?“ მაგრამ შენ ამას ვერავინ გეტყვის, იგივეს ვერც საკუთარ თავს უსაყვედურებ, ყველამ იცის, რომ თავად არ ცდილხარ ამ პატივის მიღებას, ყველაფერი სხვებმა მოაწყვეს, და ის, რაც სხვებს ცოდვების მიტევებას უსპობს, შენ გამართლების მიზეზად გექცევა.

ოქროპირი: ღიმილით გადავაქნიე თავი და ჩემი მეგობრის გულუბრყვილობით გაოცებულმა ვთქვი: თავადაც ვინატრებდი, ჩემო კეთილო, ისე იყოს საქმე, როგორც შენ ამბობ, თუმცა იმისთვის კი არა, რასაც გავექეცი, იმის მიღება მინდოდეს. არავითარი სასჯელიც რომ არ მელოდეს ქრისტეს სამწყსოზე ურგები და დაუდევარი მზრუნველობისთვის, რაკი ასეთი დიდებული საქმეები დამაკისრეს, ჩემთვის ყველა სასჯელზე მძიმე მაინც ის იქნებოდა, რომ უღირსი გამოვდექი ღმერთის წინაშე, ვინც ეს საქმეები მომანდო. მაშ რატომღა ვინატრებდი, რომ ყველაფერი მართლა ისე იყოს, როგორც შენა თქვი? მხოლოდ იმისთვის, რომ ეს საბრალო და უბედური ადამიანები (ასე ვუწოდებ მათ, ვინც კარგად ვერ გაართვა თავი ამ საქმეს, შენ ათასჯერაც რომ თქვა, ძალით მიაღებინეს ეს პატივი და უმეცრებით სცოდესო) გაექცნენ უშრეტ ცეცხლს, მარადიულ მატლს, განკვეთას და ორგულთა თანა დაღუპვას. აბა რა გითხრა? ეგრე არ არის. და თუ გინდა, დაგარწმუნებ ჩემი სიტყვების სიმართლეში. დავიწყებ მეფობიდან, რომლის გამოც ისეთ პასუხს არ აგებს კაცი ღმერთის წინაშე, როგორსაც მღვდლობისთვის. საული, კისის ძე, საკუთარი მცდელობით როდი გახდა მეფე, თავისი ვირების საძებრად წამოვიდა და მათ შესახებ ეკითხებოდა წინასწარმეტყველს, იმან კი მეფობაზე ჩამოუგდო სიტყვა. მიუხედავად იმისა, რომ ამას წინასწარმეტყველი ეუბნებოდა, საული არ ესწრაფვოდა მეფობას, პირიქით, უარყოფდა და თავს არიდებდა: „ვინა ვარ მე, უფალო, და რაჲ არს სახლი მამისა ჩემისა?“ (1 მეფეთა, 9, 21) რა მერე? როცა ღვთივ ბოძებული პატივი ბოროტად გამოიყენა, განა ამ სიტყვებმა იხსნა იგი ღმერთის რისხვისაგან? არადა, იმასაც შეეძლო ეთქვა სამოელისთვის, რომელიც ბრალდებებს უყენებდა: „განა მე ვესწრაფვოდი მეფობას? განა ვეძიებდი ამ ხელმწიფებას? მსურდა უბრალო ხალხის ცხოვრებით ბე-

ცხოვრა, მშვიდად და უშფოთველად, შენ კი ამ ღირსებისკენ მომიზიდე. შეურაცხ მდგომარეობაში რომ დავრჩენილიყავ, საცთურს ავერიდებოდი, უბრალო და მდაბიო კაცთა შორის მყოფს ამნაირ საქმეს არავინ დამაკისრებდა, ღმერთი არ მომანდობდა ამალეკთა წინააღმდეგ ბრძოლას, ეს რომ არა, ასეთ ცოდვასაც არ ჩავიდენდი". მაგრამ ეს ერთობ უმწეო თავის მართლება იქნება და არა მარტო უმწეო, არამედ სახიფათოც, რადგან იგი კიდევ უფრო გააძლიერებს ღვთის რისხვას. ის, ვისაც თავის ღირსებაზე მეტი პატივი მიანიჭეს, საკუთარ შეცოდებათა გამართლებას ამ პატივის სიდიდით კი არ უნდა ცდილობდეს, არამედ პირიქით, ღმერთის დიდი მზრუნველობა სასიკეთოდ უნდა წარმართოს. და როცა კაცი იმით ცდილობს თავის მართლებას, რომ ღვთისგან დიდი პატივი მიენიჭა, ეს სხვა არაფერია, თუ არა ღვთის მოწყალების ცოდვათა მიზეზად წარმოდგენა. ეს უსჯულო კაცთა წესია, უზრუნველად რომ ატარებენ ცხოვრებას. ჩვენ კი ნუ ვიფიქრებთ ასე და ნუ გავიზიარებთ იგივე უგნურებას, ყველაფერი ჩვენი ძალებისამებრ უნდა შევასრულოთ, თანაც ენა და გონება კეთილკრძალულად დავიცვათ.

ელისაც (მეფობიდან გადავინაცვლოთ მღვდლობაზე, სიტყვა ხომ ამაზე ჩამოვაგდეთ) არ უცდია ამ ხელმწიფების მოხვეჭა, მაგრამ განა ამან შეამსუბუქა მისი ცოდვა? თუმცა რატომ ვამბობ, არ უცდია-მეთქი? რომც მოენდომებინა, მაინც ვერ გაექცეოდა მღვდლობას სჯულის მოთხოვნის გამო, რადგან ის ლევის ტომისაგანი იყო და უნდა მიეღო ეს მსახურება, რომელიც შთამომავლობით გადაეცემოდა. მაგრამ იმანაც დიდი სასჯელი დაითმინა თავის შვილთა თავნებობისთვის (1 მეფეთა, 4). იუდეველთა პირველმა მღვდელმაც, ვის შესახებაც ბევრი რამ უთხრა ღმერთმა მოსეს, აკი ვერ შეძლო უამრავი ხალხის უგნურების წინააღდგომა და დაღუპვის საფრთხის წინაშე იდგა, ძმის შუამდგომლობას რომ არ ეხსნა ღვთის რისხვისაგან (გამოს. 32). მოსე რაკი ვახსენე, ჩემი სიტყვების სიმართლეს იმითაც დავადასტურებ, რაც მას შეემთხვა. თვით ნეტარ მოსეს არც უფიქრია იუდეველთა ერისმთავრობის მოპოვება, როდესაც ეს შესთავაზეს, მაშინაც უარზე იდგა, არ დაჰყვა უფლის მოწოდებას და განარისხა მბრძანებელი (გამოსვ. 4, 13). და არა

მარტო მაშინ — ამ ხელმწიფების მიღების მერეც მისგან გათავისუფლებასა და სიკვდილს ნატრობდა: „უკუეთუ ესრეთ მიყოფ მე, მომკლა მე მოკლვით“ (რიცხვთა, 11, 15). რა მერე? წყლის გამოყვანისას რომ სცოდა (რიცხვთა, 20, 12), განა ამ უარებმა მოუტანეს მას ღვთისგან შენდობა? ანდა სხვა რისთვის დაკარგა აღთქმული მიწა? ყველამ კარგად ვიცით, რომ სწორედ ამის გამო ვერ მიაღწია ამ საოცარმა კაცმა იმას, რასაც მისი ხელმწიფების ქვეშ მყოფთ მიაღწიეს. მრავალი ღვაწლისა და მომქანცველი მსხემობის შემდეგ, ასეთი არაჩვეულებრივი მოგზაურობის შემდეგ მოკვდა იმ მიწის გარეთ, რომლისთვისაც ამდენი შრომა აღიღო, ზღვაოსნობის განსაცდელი დაითმინა და ნავსაყუდელის სიკეთით კი ვერ დატკბა. ხედავ, მხოლოდ მღვდლობის მიმტაცებლები კი არა, ისინიც, ვინც მას სხვების ძალდატანებით ღებულობენ, თავს ვერაფრით იმართლებენ საკუთარ შეცოდებათა გამო.

თუკი თვით ღმერთის რჩეულთაც, ვინც მრავალგზის უარს ამბობდა პატივის მიღებაზე, ასეთი სასჯელი დაიმსახურეს, თუ ვერაფერმა იხსნა ამ საფრთხისგან ვერც აარონი, ვერც ელი, და ვერც ის ნეტარი კაცი, წმინდანი, წინასწარმეტყველი, საოცარი, „მშვიდ ფრიად უფროს ყოველთა კაცთა, რომელნი არიან ქუეყანასა ზედა“ (რიცხვ. 12, 3), ვინც ღმერთს მეგობარივით ესაუბრებოდა (გამოსლვ. 33, 11), მაშინ ჩვენ, ვინც ასე შორსა ვართ სრულქმნილებისგან, განა საკმაო გამართლება გვექნება იმის გამო, რომ სულაც არ ვეძიებდით ამ ხელმწიფებას, მით უმეტეს, ეს გამორჩევა ხშირად ღვთაებრივი მადლით კი არა, კაცთა მცდელობით ხდება. უფალმა გამოირჩია იუდა, იგი ქრისტეს მოწაფეთა წმიდა დასს შერთო და სხვებთან ერთად მიანიჭა მოციქულთა ღირსება. სხვებზე მეტიც კი მიანდო — ფულის გამგებლობა, რა მერე? როდესაც მან ბოროტად ისარგებლა ერთითაც და მეორითაც — იგი, ვის შესახებაც უნდა ექადაგა, გასცა, და ის, რაც სიკეთეში უნდა მოეხმარა, ბოროტად გამოიყენა, განა ამით გადაურჩა სასჯელს? პირიქით, ამით კიდევ უფრო გაზარდა თავისი სასჯელი, და ფრიად სამართლიანადაც, რადგან ღვთისგან მონიჭებული უპირატესობა უფლის შეურაცხყოფისთვის კი არა, მის სათნოდ უნდა გამოვიყენოთ.

ვინც ფიქრობს, დამსახურებულ სასჯელს იმის წყალობით გაექცეს, რომ სხვებზე მეტი პატივი აქვს მინიჭებული, იმის საქციელი აი რას მაგონებს: წარმოიდგინეთ, ქრისტეს სიტყვების გაგონებაზე: „უკუეთუმცა არა მოვედ და ვეტყოდე მათ, ცოდვაჲმცა არა აქუნდა;“ ასევე: „უკუეთუმცა არა ვქმენ საქმენი იგი მათ შორის, რომელნი სხვამან არავინ ქმნნა, ცოდვაჲმცა არა აქუნდა“ (იოანე, 15, 22—25), ურწმუნო იუდეველთაგან ვინმეს რომ ეთქვა: „რისთვის მოხვედი და იქადაგე? რისთვის ჰქმენ სასწაულები? ნუთუ იმისთვის, რომ უფრო მეტად დაესჯილიყავით?“ მაგრამ ეს ხომ სიშმაგისა და უკიდურესი უგნურების სიტყვებია. მკურნალი შენს განსარინებლად მოვიდა და არა დასასჯელად, მას შენი შეურაცხყოფა კი არა, სრული განთავისუფლება სურს სალმობისაგან, შენ კი შენი ნებით გაურბიხარ მას, ამიტომ იგემე უკაცრესი სასჯელი. მკურნალობა რომ მიგეღო, ადრინდელი სნეულებისგან განიწმინდებოდი, რაკი ვეღარ განიწმინდები, დაისჯები შენს შეცოდებათა გამოც და იმისთვისაც, რომ ამაო ჰქმენ მისი მზრუნველობა შენდამი. ამიტომაც ღმერთი ერთნაირად კი არ დაგვსჯის პატივის მიღებამდე და მიღების შემდეგ, არამედ მეორე შემთხვევაში ბევრად უფრო მკაცრადაც. ის, ვისაც წყალობა არ გამოასწორებს, უფრო მეტი სასჯელის ღირსია. მაშასადამე, თუკი ასეთი თავის მართლება უძლურია, როგორც დავამტკიცეთ, და თუკი არ შველის მის მოიმედეებს, არამედ უფრო დიდ საფრთხესაც უქადის, მაშ სხვა საშველი უნდა ვეძებოთ.

ბასილიმ თქვა: რა საშველი? ისეთი შიში და ძრწოლა მომგვარე მაგ სიტყვებით, თავგზა სულ ამებნა.

ოქროპირი: არა-მეთქი, ვუთხარი, გთხოვ და გევედრები, ნუ შეშინდები ასე ძლიერ, არის საშველი: ჩვენ, უძლურთ, არასოდეს არ უნდა ვიტვირთოთ ეს ხელმწიფება, თქვენ კი, ძლიერთ, ღვთის მადლის მიღების შემდეგ ხსნის იმედი ერთადერთ რამეზე უნდა დაამყაროთ: არაფერი ჩაიდინოთ უღირსი ამ მადლისა და მისი მომნიჭებელი ღვთისა. უდიდეს სასჯელს მიიღებენ ისინი, ვინც საკუთარი მცდელობით მოიპოვა ეს ხელმწიფება და ცუდად აღასრულა მსახურება ან დაუდევრობის, ან უსჯულოების, ან გამოუცდელობის გამო. მაგრამ იგივე არც იმათ მიეტევებათ, ვინც არ ეძიებდა ამ ხელმწიფე-

ბას, მათაც არანაირი გამართლება არა აქვთ. ჩემი აზრით, ათასი კაციც რომ მოგიწოდებდეს და გაიძულებდეს მსახურების შესრულებისკენ, მათ კი არ უნდა დაუჯერო, არამედ წინასწარ უნდა გამოსცადო საკუთარი სული და ყოველივე გულმოდგინედ გამოიკვლიო, და მხოლოდ ამის მერე დაემორჩილო მათ. არავინ ითავებს სახლის აშენებას, სამშენებლო საქმე თუ არ იცის, და არც ავადმყოფის განკურნებას იტვირთავს კაცი, თუ ექიმობისა არაფერი გაეგება, და როგორც არ უნდა დაატანონ ძალა. ისინი უარს იტყვიან და არც შერცხვებათ თავიანთი უმეცრებისა. მაშ ნუთუ ის, ვისაც ამდენ სულზე მზრუნველობა უნდა მიენდოს, დროზე არ გამოსცდის თავის თავს და ყველაზე გამოუცდელიც რომ გამოდგეს, მაინც მიიღებს ამ მსახურებას მხოლოდ იმიტომ, რომ მავანი უბრძანებს, მავანი აიძულებს და მავანის განაწყენება არ სურს? განა ამით თავის თავსაც და მათაც აშკარა უბედურებას არ უმზადებს? არადა, მას შეეძლო ეხსნა საკუთარი თავი, ასე კი სხვებსაც ღუპავს. ვისგან უნდა მოველოდეთ შველას? ვინ მოგვიტევებს? ვინ დაგვიცავს მომავალ სამსჯავროზე? იქნებ ისინი, დღეს რომ ძალას გვატანენ? მაგრამ თავად მათ ვიღა იხსნის იმ დროს? მათ ხომ თვითონ დასჭირდებათ მშველელი, ჯოჯოხეთს რომ გადაურჩნენ. იმის დასტურად, რომ ამ სიტყვებს შენს დასაშინებლად კი არა, საქმის ნამდვილი ვითარების საჩვენებლად ვამბობ, ისმინე, რას ეუბნება ნეტარი პაველე თავის მოწაფეს, ტიმოთეს, ჭეშმარიტ და საყვარელ შვილს: „ხელთა ადრე-ადრე ნუვის დაასხამ, ნუცა ეზიარები სხვისა ცოდვათა“ (1 ტიმ. 5, 22). ხომ ხედავ, ჩემთვის ამ პატივის მონიჭების მსურველნი არა მარტო გაკიცხვისაგან, არამედ დიდი სასჯელისგანაც რომ გადავარჩინე?

2. როგორც არჩეულნი ვერ იმართლებენ თავს ამ სიტყვებით: მე თვითონ არაფერი მომინდომებია, არ მეგონა, ასე თუ მოხდებოდა და იმიტომ არ ავირიდე მღვდლობაო, ისე ვერც მათ ამომრჩევლებს უშველის იმის მომიზეზება, არჩეულს არ ვიცნობდითო. პირიქით, მათი დანაშაული მატულობს კიდევაც იმის გამო, რომ უცნობი კაცი მიიღეს, და ის, რითაც თავის მართლებას ცდილობდნენ, გაკიცხვის მიზეზად ექცევათ. კაცი მონის ყიდვას რომ აპირებს, ჯერ ექიმებს უჩვენებს, მერე თავ-

დებს თხოულობს, მეზობლებსაც გამოჰკითხავს მის ამბებს, და მაინც ვერ ბედავს ყიდვას — კიდევ დროს თხოულობს გამოსაცდელად. როცა კაცს ამ უზენაეს ხელისუფლებას დაუფიქრებლად, ყოველგვარი გამოცდის გარეშე მიანიჭებენ, ან იმიტომ რომ უბრალოდ თვალში მოსდით ეს კაცი, ან ვინმეს გულის მოგება სურთ, ან სულაც მავანის მტრობა უდევთ გულში, რაა ეს, თუ არა დიდი უგნურება? ვინ დაგვიცავს მაშინ, როცა იმათ, ვინც ვითომ ჩვენ უნდა დაგვიცვას, თვითონ დასჭირდებათ დამცველები? ამგვარად, ამომრჩეველმაც დიდი გამოცდა უნდა მოაწყოს, მაგრამ კაცმა, რომელსაც ირჩევენ — გაცილებით მეტი. თუმცა კი ამომრჩევლები მასთან ერთად დაისჯებიან მის ცოდვათა გამო, მაგრამ არჩეული კი არ თავისუფლდება სასჯელისგან, არამედ უფრო დიდ სასჯელს ღებულობს, ეს მაშინ, თუ ამომრჩეველნი რაიმე ადამიანური მიზეზით სამართლიანობის საწინააღმდეგოდ არ მოიქცნენ. თუკი მათ ამხელენ იმაში, რომ რაიმე საბაბით მიიღეს აშკარად უღირსი, მაშინ არჩეულის თანაბარ სასჯელს მიიღებენ, ხოლო თუ ურგები აირჩიეს, ისინი შეიძლება მეტადაც კი დაისაჯონ.

ვინც ეკლესიისთვის მავნე კაცს მიანიჭებს ძალაუფლებას, ის პასუხს აგებს ამ კაცის კადნიერი საქციელისთვის. თუ ამაში უბრალოა და იტყვის, ხალხის აზრმა შემაცდინაო, მაინც არ დარჩება დაუსჯელი, თუმცა არჩეულზე ცოტა უფრო ნაკლები სასჯელი კი ელის. რატომ? იმიტომ, რომ ამომრჩეველს მართლა შეიძლება ასეთი რამ დაემართოს, შეიძლება მოტყუვდეს კიდეც, არჩეული კი ხომ ვერ იტყვის, ჩემი თავისა სხვებივით მეც არაფერი გამეგებოდაო. რაკი მას ამომრჩეველზე მეტი სასჯელი ელის, ამიტომ უფრო მეტადაც უნდა გამოსცადოს თავის თავი. და თუ ისინი თავიანთი უცოდინრობის გამო აიძულებენ მას ამ საქმეს, უნდა განუმარტოს ყველა მიზეზი, ცნოს თავი ამ გამოცდისათვის უღირსად, ამით შეაჩეროს შემცდარნი და გაექცეს ესოდენ მძიმე საქმეს.

რატომაა, რომ როცა სამხედრო საქმეზე, ვაჭრობასა და სხვა ყოფით ამბებზეა ლაპარაკი, ათასი სიკვდილითაც რომ დაემუქრონ, არც მიწის მუშას მოუვა აზრად ზღვაოსნობა, არც მოლაშქრეს — ხვნა-თესვა, და არც მესაჭეს — მეომრობა? ალბათ იმიტომ, რომ თვითეულმა მათგანმა იცის, რა საფრთხეც

მოელის გამოუცდელობის გამო. და თუ იქ ვიქცევით ასეთი სიფრთხილით, სადაც ზიანი ნაკლებად მნიშვნელოვანია, და ძალის დამტანებელთა მოთხოვნებს არად ვაგდებთ, მაშინ იქ, სადაც უმეცართათვის მღვდლობის მინიჭების გამო სამეფოში ტანჯვაა მოსალოდნელი, როგორ ვიგდებთ თავს ასეთ ხიფათში განუსჯელად, და თანაც იმას ვიმიზეზებთ, სხვები გვაიძულებენო? მაგრამ ჩვენი მსაჯული არ მიიღებს ამგვარ თავის მართლებას. სულიერ ცხოვრებაში ბევრად მეტი სიფრთხილე გვმართებს, ვიდრე ხორციელში, ჩვენ კი მცირე სიფრთხილესაც არ ვიჩენთ.

მითხარი, ვთქვათ ვინმე სამშენებლო ხელოვნებაში გაწაფულად მიგვაჩნია, იმან კი სინამდვილეში არ იცის საქმე, და ეს კაცი მოვიწვიეთ სამუშაოდ, ისიც დაგვყაბულდა, წინასწარ მომზადებული სამშენებლო მასალა მიიღო და დახარჯა ქვა და ხე, აშენებით კი ისეთი სახლი ააშენა, რომელიც მყისვე ჩამოინგრა. განა მას გაამართლებს ის ამბავი, რომ სხვებმა აიძულეს ეს საქმე და თვითონ არ წამოუწყია მშენებლობა? არა, და სრულიად სამართლიანად და საფუძვლიანად. მას მაშინაც უარი უნდა ეთქვა, როცა სხვებმა შესთავაზეს ეს საქმე. და თუკი ქვისა და ხის გამფლანგველი ვერანაირად ვერ ასცდება სასჯელს, მაშინ უამრავ სულთა დამღუპველს განა უშველის სხვების ძალდატანების მომიზეზება სასჯელის აცილებაში? განა ეს მეტისმეტი უგნურება არ არის? იმას აღარ ვამბობ, რომ ვერავინ ვერავის დაატანს ძალას, თუ კაცის ნება არ არის. მაგრამ დავუშვათ, რომ ვიღაც ათასგვარმა ძალადობამ და სხვადასხვა ხერხმა აიძულა დათმობა, იხსნის კი ეს სასჯელისაგან? არა. გმოძღვრავთ, ნუ მოვტყუვდებით ასე მწარედ და ნურავის მოვაჩვენებთ თავს იმის არმცოდნედ, რაც ჩვილისთვისაც კი გასაგებია. მით უმეტეს, რომ ჩვენს საქმეებზე პასუხისგების ჟამს ასეთი მოჩვენებითი უცოდინარობა არას გვარგებს. შენ თვითონ არ გიძებნია ეს ხელმწიფება, რადგანაც გრძნობდი საკუთარ სისუსტეს? კეთილი და პატიოსანი, იგივე შეგნებით უნდა გეთქვა უარი მაშინაც, როცა სხვები გთავაზობდნენ ამ პატივს. თუ მარტო მაშინ იყავი უმწეო, როცა არავინ გიწვევდა, და როცა გამოჩნდა ხალხი, ვინც შენთვის ასეთი პატივის მონიჭება განიზრახა, უეცრად გაძლიერდი? ეს სასაცილოცაა,

ტყუილიც, და უდიდეს სასჯელსაც იმსახურებს. ამიტომაც მოძღვრავს უფალი გოდოლის აგების მსურველს, არ ჩაყაროს საფუძველი მანამ, სანამ გაარკვევდეს, შეუძლია თუ არა ამ საქმის აღსრულება, რათა იქ მყოფთ სასაცილოდ არ აიგდონ (ლუკა, 14, 28-29). მაგრამ მისი უბედურება მხოლოდ დაცინვით მთავრდება, აქ კი სასჯელი იქნება უშრეტი ცეცხლი, კბილთა ღრჭენა, უკუნი სიბნელე, განკვეთა და ორგულთა თანა დაღუპვა.

ჩემს ბრალმდებლებს არ სურთ ამის გაგება, ასე რომ არ იყოს, შეწყვეტდნენ იმის გაკიცხვას, ვინც არ ინდომა ამაოდ დაღუპვა. ჩვენი ამჟამინდელი მსჯელობა პურისა და ქერის დარიგებას, ცხვრებისა და ხარების მწყემსვას ანდა რაიმე ამდაგვარს კი არა, თვით ქრისტეს სხეულს ეხება, რამეთუ ნეტარი პავლეს სიტყვებით რომ ვთქვათ, ეკლესია თავად ქრისტეს სხეულია (კორ. 1, 18); და ვისაც ის მიანდვეს, მან უნდა იზრუნოს ამ სხეულის კეთილდღეობასა და აღმატებულ სრულქმნილებაზე, ყოველმხრივ თვალყურს უნდა ადევნებდეს, რომ რაიმე „მწიკულევანება, არცა ნაოჭი ბრძჟლისა, არცა სხუაჲ რაჲ ესევითარი“ არ შეეხოს მის სიკეთესა და მშვენიერებას (ეფ. 5, 27). განა რამდენადაც შესწევს ადამიანს იმის ძალა, ეს სხეული მისი უხრწნელი და ნეტარი თავის ღირსად არ უნდა შეინახოს? თუკი მოლაშქრეთა კეთილდღეობაზე მზრუნველებს ჭირდებათ ექიმებიც, ხელმძღვანელებიც, ცხოვრების მკაცრი წესიც, მუდმივი წვრთნაც და მრავალი სხვა სიფრთხილე (რადგან სულ მცირე წვრილმანი, უყურადღებოდ დარჩენილი, ყველაფერს არღვევს და ანგრევს), მაშ რაღა ითქმის იმათზე, ვინც თავს იდო მზრუნველობა ქრისტეს სხეულზე, და ებრძვის არა ხორცშესხმულ არსებებს, არამედ უხილავ ძალებს? მათ ხომ კაცობრივზე ბევრად აღმატებული სათნოება უნდა ჰქონდეთ და უნდა იცოდნენ სულისთვის სარგო ყოველგვარი მკურნალობა.

3. განა არ იცი, რომ ეკლესიის სხეულს სენი და განსაცდელი მეტად ემუქრება, ვიდრე ჩვენს კაცობრივ სხეულს, უფრო ადვილად ზიანდება და უფრო ნელაც მრთელდება? სხეულის მკურნალებს აქვთ სხვადასხვა წამლები, იარაღები, მრავალფეროვანი საკვები, რაც უხდება ავადმყოფს; ხშირად მხოლოდ

თავისებურ ჰავას ანდა დროულ ძილსაც კი განუკურნავს სნეული, ჩვენს შემთხვევაში კი ასეთი საშუალებები უხმარია, და არსებობს ერთადერთი სახე მკურნალობისა — სიტყვით დამოძღვრა. ესაა იარაღი, ესაა საზრდო, ესაა ცეცხლისა და რკინის მაგიერი, რაიმე მოწვა და მოკვეთა თუ იქნა საჭირო, ისევ სიტყვის ძალამ უნდა გაჭრას, და ამანაც თუ ვერ უშველა, ყველაფერი ამაოა. სიტყვა აღადგენს სულს დაცემულსა და მშფოთვარეს, მისი ძალით ეძლევა ნაკლულ სულს სისრულე, იგი ათავისუფლებს სულს ზედმეტისაგან, ასე, რომ ყველაფერი, სულის სიმრთელისათვის საჭირო, სიტყვას ძალუძს. სხვისი ცხოვრების მაგალითი დიდად უწყობს კაცს ხელს საკუთარი ცხოვრების კეთილად წარმართვაში, ამ მაგალითის შემხედვარე იგი რაღაცნაირად შეჯიბრისთვის განეწყობა. მაგრამ როცა სული არასწორი დოგმატებითაა დასნეულებული, ამ შემთხვევაში სიტყვა დიდი იარაღია, არა მარტო საკუთარი სამწყსოს დასაცავად, არამედ გარეშეებთან საბრძოლველადაც. ვინმეს რომ ისეთი სულის მახვილი და რწმენის ფარი გააჩნდეს, რომ შეეძლოს სასწაულით დაუყოს პირი ურცხვებს, მას სიტყვა აღარ დაჭირდებოდა. თუმცა, სიტყვა არც მაშინ იქნებოდა უსარგებლო, პირიქით, ფრიად საჭიროც გამოდგებოდა. აკი ნეტარი პავლეც სიტყვით მოქმედებდა, თუმცა განთქმული იყო როგორც სასწაულმოქმედი. სხვანიც მოციქულთა დასიდან გვმოძღვრიან, სიტყვის ძალაზე იზრუნეთო: „განმზადებულ იყვენით მარადის სიტყვის მიგებად ყოვლისა, რომელი ეძიებდეს თქუენგან სიტყუასა თქუენ შორის სასოებისა მისთვის“ (1 პეტ. 3, 15). ყველა მოციქულმა რაიმე სხვა მიზეზით კი არ მიანდო სტეფანეს და მის თანამოსაგრეებს ქვრივებზე ზრუნვა, არამედ იმისთვის, რომ თვითონ დაუბრკოლებრივ შეძლებოდათ სიტყვის მსახურება (საქმ. მოც. 6, 4). ჩვენ რომ სასწაულების მოხდენის ძალა შეგვწევდეს, სიტყვაზე ამდენს არ ვიზრუნებდით, მაგრამ რაკი იმ ძალის ანარეკლიც აღარ შემოგვრჩა და ამავე დროს ყოველი მხრიდან მტრებითა ვართ გარემოცულნი, აუცილებელია, სიტყვით მოვიზღუდოთ თავი, რათა მტრის ისრებმა კი არ მოგვწყლან, არამედ თვითონ ვძლიოთ მას.

4. ამიტომ გულმოდგინედ უნდა ვცდილობდეთ, რათა „სიტყუაჲ იგი ქრისტესი დამკვიდრებულ იყავნ თქუენთანა მდიდ-

რად“ (კოლ. 3, 17). ჩვენ ერთფეროვანი ბრძოლისთვის როდი ვემზადებით, ეს ომი მრავალფეროვანია და არც მტრები გვანან ერთმანეთს. ისინი ერთნაირ იარაღს როდი ხმარობენ, არც ერთნაირად გვესხმიან თავს. ამიტომ ის, ვინც მათთან აპირებს ბრძოლას, ყოველი მათგანის საომარ ხერხსაც უნდა იცნობდეს. მშვილდოსანიც უნდა იყოს და მეშურდულეც, ჯარის სარდალიც და რაზმის მეთაურიც, მოლაშქრეც და მხედართმთავარიც, ქვეითიცა და ცხენოსანიც, ზღვაზე ბრძოლაც უნდა შეეძლოს და კედლების აღებაც. ბრძოლებში ყველას თავისი წინასწარ განსაზღვრული საქმე აკისრია, ასე ებრძვიან ისინი მომხდურთ. აქ კი სულ სხვაა. თუ გამარჯვების მოწადინე საომარი ხელოვნების ყველა სფეროში არ იქნა გაწაფული, მაშინ ეშმაკი რომელიმე უყურადღებოდ დარჩენილ ადგილას შეუშვებს მპარავებს და ცხვრებს მოიტაცებს, მაგრამ თუ დაინახავს, რომ მწყემსი ყოვლისმცოდნეა და კარგად ერკვევა მის ხრიკებში, ამას ვეღარ გაბედავს. ამგვარად, ყოველმხრივაა საჭირო თავის მოზღუდვა. სანამ ქალაქი ყველა მხრიდანაა დაცული, მანამ საფრთხე არსაიდან ემუქრება და სასაცილოდ იგდებს გარშემორტყმულებს. მაგრამ თუ ვინმემ კედელი მოანგრია, ან თუნდაც ჭიშკარი იყოს, მაშინ გალავანი აღარაფერში არგია, ყველა სხვა კედელი მთელიც რომ დარჩეს. ასევეა უფლის ქალაქიც. როდესაც მას ყოველი მხრიდან კედლების ნაცვლად მწყემსის შორსმჭვრეტელობა და კეთილგონიერება იცავს, ყოველი თავდასხმა სირცხვილად და დაცინვად ურჩება მტერსავე, ქალაქის მკვიდრნი კი უვნებელნი რჩებიან, მაგრამ თუ ვინმემ გალავნის მცირე ნაწილი მაინც მოარღვია, აქედან იღებს სათავეს სრული დაცემა. რა ხეირია, თუ მწყემსი კარგად ებრძვის წარმართებს, ქალაქს კი ამასობაში იუდეველები ანადგურებენ? ანდა ორივე მათგანს სძლევს, მაგრამ მანიქეველნი ძარცვავენ? ანდა თუ ამათაც დაამარცხებს, ბედის შესახებ სწავლების გამავრცელებელნი კი ქალაქს ააოხრებენ?

თუმცაღა რა საჭიროა ყველა ეშმაური წვალების ჩამოთვლა? თუკი მწყემსს კარგად არ ძალუძს ყველა მათგანის მოგერიება, მგელი ერთი ასეთი წვალების მეშვეობით მრავალ ცხვარს შთანთქავს. სამხედრო საქმეში მოწინააღმდეგისგან ყოველთვის შეიძლება ელოდე გამარჯვებასაც და დამარცხება-

საც, აქ კი სულ სხვანაირადაა საქმე. ხშირად ბრძოლაში ისეთი მტერი იმარჯვებს, რომელიც თავიდან არ ემზადებოდა საბრძოლველად და დიდად არ იწუხებდა თავს, წყნარად იჯდა და იცდიდა. კაცი, რომელსაც ასეთ საქმეში ნაკლები გამოცდილება აქვს, საკუთარ თავს თავისივე მახვილით სწყლავს და სასაცილო ხდება მეგობრების თვალშიც და მტრებიც წინაშეც. მაგალითად (შევეცდები ნათქვამი მაგალითით დაგიდასტურო), ვალენტინისა და მარკიონის მიმდევრები და მათივე მსგავსი სნეულებით შეპყრობილნი საღვთო წერილის წიგნებიდან გამორიცხავენ ღმერთისგან მოსესთვის მიცემულ სჯულს, იუდეველნი კი მას ისეთ პატივს სცემენ, რომ ახლაც, როცა უკვე აღარ არის ამის დრო, უფლის ნების საწინააღმდეგოდ ცდილობენ ზედმიწევნით დაიცვან იგი. ღვთის ეკლესია კი გაურბის ორივე უკიდურესობას და საშუალო გზას ადგას — არც სჯულის უღელქვეშ ყოფნას ეთანხმება და არც მის გმობას. ეკლესია ქებას უძღვნის სჯულს მისი განქარვების შემდეგაც, რადგანაც იგი თავის დროზე სასარგებლო იყო. და ის, ვინც ორივე წვალებასთან აპირებს ბრძოლას, ამ წონასწორობას უნდა იცავდეს. თუ კაცი იუდეველთა დამოძღვრას დაეპირება და იტყვის, დრო აღარ არის ძველი სჯულისმდებლობის დაცვისაო, და ამისთვის უმოწყალოდ გალანძღავს სჯულს, მწვალებლებს სჯულის დაგმობის საბაბს მისცემს, თუ მათ გაჩუმებას მოინდომებს და უზომოდ დაუწყებს ქება-დიდებას სჯულს, როგორც ამჟამად აუცილებელს, მაშინ იუდეველები აუწევენ ხმას. საბელიოსისა და არიოზის საცთურით შეპყრობილნიც ხომ ზომიერების დაკარგვის გამო განუდგნენ ჭეშმარიტი რწმენის გზას. და თუმცა ერთნიცა და მეორენიც ქრისტიანების სახელს ინარჩუნებენ, მაგრამ თუ ვინმე კარგად გამოიკვლევს მათ სწავლებას, მიხვდება, რომ პირველნი სახელის გარდა სხვა არაფრით განსხვავდებიან იუდეველთაგან, არიოზის სწავლება კი ძალიან ჰგავს პავლე სამოსატელის წვალებას, და ორივენი შორს არიან ჭეშმარიტებისაგან. აქ დიდი საფრთხეა, ვიწრო და საჭირველი გზაა, ორივე მხრიდან კლდეები რომ აკრავს, და კიდევ შიში იმისა, რომ ვინმე ერთ მტერთან ბრძოლაში მეორემ არ მოწყლას. მაგალითად, თუ კაცი იტყვის, ღმერთი ერთიაო, საბელიოსი ამ სიტყვას მყისვე თავისი უგნური სწავლე-

ბის სასარგებლოდ აქცევს, თუ განსხვავებას წარმოაჩენს და ერთს მამას უწოდებს, მეორეს — ძეს, მესამეს კი სული წმიდას, მაშინ არიოზი გამოცხადდება და სახეთა სხვადასხვაობას არსის სხვადასხვაობაზე გადაიტანს. გაქცევა გვმართებს საბელიოსის უსჯულო აღრევისა და არიოზის უგუნური განყოფისგანაც, აღვიაროთ ერთარსი და სამ პირად ცნობილი ღმერთი: მამა, ძე და სული წმიდა, ამნაირად მოვუჭრით გზას ერთსაც და მეორესაც. აქ შეიძლებოდა ბევრი სხვა სიძნელის ჩამოთვლა, რომელთაც თუ კაცი მხნედ და გულმოდგინედ არ შეებრძოლა, თვითონვე დარჩება მრავალგან მოწყლული[1].

5. მოყვასთა შორის განხეთქილებებზე რაღა ვთქვა? ისინი გარეშე თავდასხმებზე ნაკლებად საშიშნი კი არა, პირიქით, წინამძღვრისთვის უფრო ძნელად მოსაგვარებელიც არიან. ერთნი, ცნობისწადილით შეპყრობილნი, ამაოდ ცდილობენ ისეთი საგნების გამოკვლევას, რისი ცოდნაც უსარგებლოა და თან გაგებაც შეუძლებელი. სხვანი ღმერთისგან მისი განგების ახსნას მოითხოვენ და ამ დიდი უფსკრულის გაზომვას ლამობენ; რამეთუ „განკითხვანი შენნი", ამბობს საღვთო წერილი, „უფსკრულ მრავალ" (ფსალმ. 35, 7). ცოტაა ისეთი, რწმენასა და ცხონებაზე რომ ფიქრობდეს, სამაგიეროდ მრავალნი არიან, ვინც ეძიებს და იკვლევს იმას, რისი პოვნაც შეუძლებელია და რისი ძებნაც შეურაცხყოფს ღმერთს. როცა ძალით ვცდილობთ იმის გაგებას, რისი გამოცხადებაც უფალს არ სურს, იგი მაინც არ მოგვეცემა (როგორ შეიძლება იმის გაგება, რაც არაა ღვთის ნება?) ამგვარი ცნობისმოყვარეობით საფრთხეში ვაგდებთ თავს. და მაინც, ასეთ ვითარებაშიც კი, ის ვინც ძალით გააჩუმებს მიუღწეველის მჩხრეკელთ, საყვედურს მიიღებს სიამაყისა და უმეცრებისათვის. ამიტომ წინამძღვარს დიდი კეთილგონიერების გამოჩენა მართებს, რომ სხვებსაც აარიდოს ფუჭი შეკითხვები და თავადაც გაექცეს ზემოთქმულ ბრალდებებს. ამას ყველაფერს სიტყვა შველის, სხვა შემწეობა არ არსებობს. და თუ ვინმეს არ გააჩნია ეს ძალა, მის ხელში

[1] ვალენტინი და მარკიონი — წვალებათა მოთავეები, მათ მიმდევრებს ვალენტინელები და მარკიონელები ეწოდათ (II ს.); საბელიოსი და პავლე სამოსიტელი — წვალებათა ფუძემდებლები (III ს.); არიოზი — არიოზელთა წვალების მოთავე (IV ს.).

მყოფ ადამიანთა სულები მუდამ ღელვაატეხილი ხომალდის მდგომარეობაში იქნებიან, მე ვგულისხმობ ყველაზე სუსტსა და ცნობისმოყვარე ადამიანებს. ამიტომ მღვდელი ყოველ ღონეს უნდა ხმარობდეს სიტყვის ძალის მოსაპოვებლად.

ბასილიმ თქვა: მაშ რატომ არ ცდილობდა ამ ძალის მოპოვებას პავლე და არც რცხვენოდა თავისი სიტყვის სიმწირისა, ის ხომ აშკარად აღიარებს თავის თავს უმეცრად და თანაც ამას წერს ეპისტოლეში კორინთელთა მიმართ, რომლებიც განთქმულნი იყვნენ მჭევრმეტყველებით და ამით ძალიანაც მოჰქონდათ თავი (2 კორ. 11, 6)?

ოქროპირი: სწორედ მაგიტომ, აკი ვთქვი, რომ მრავალი კიდეც დაიღუპა და ნაკლებად მოშურნე გახდა ჭეშმარიტი სწავლების მიმართ, რადგან ისინი სწორად ვერ წვდებოდნენ მოციქულის აზრის სიღრმეს და კარგად ვერ იგებდნენ მისი სიტყვის არსს, ამიტომაც მთელ თავიანთ დროს ძილსა და თვლემაში ატარებდნენ, ხოტბას იმ უმეცრებას კი არ ასხამდნენ, რომელსაც პავლე თავის თავს მიაწერდა, არამედ იმას, რომლისგანაც პავლე უფრო შორს იყო, ვიდრე რომელიმე ადამიანი ამ ქვეყანაზე. თუმცა, მოდი, ეს საკითხი სხვა დროისთვის გადავდოთ, ახლა კი აი რას გეტყვი: ვთქვათ, პავლე მართლაც იმ აზრით იყო უვიცი, რასაც ისინი გულისხმობდნენ. როგორ ეხება ეს ახლანდელ ადამიანებს? პავლეს სიტყვაზე გაცილებით უფრო დიდი ძალა ჰქონდა, და ამ ძალას ბევრად მეტი შეეძლო; მხოლოდ გამოჩენა პავლესი, როცა ხმას არც კი იღებდა, შიშის ზარს სცემდა ბოროტ სულებს, და ყველა ახლანდელი მოღვაწე ერთად რომ შეიკრიბოს, ურიცხვი ლოცვებითა და ცრემლებით ვერ იქმოდნენ იმას, რაც ოდესღაც პავლეს პირსახოცმა შეძლო (საქ. მოც. 19, 12). პავლე თავისი ლოცვით მკვდრებს აღადგენდა და სხვა ისეთ სასწაულებს იქმოდა, რომ წარმართებს ღმერთი ეგონათ (საქ. მოც. 14, 11). და ჯერ კიდევ ამ სოფლის დატევებამდე მესამე ცაზე იქნა აყვანილი და ისეთი სიტყვები მოისმინა, რომელთა დატევნაც კაცობრივ ბუნებას არ ძალუძს (2 კორ. 12, 2—4).

ახლანდელ ადამიანებს კი (მე არ ვაპირებ რაიმე ცუდის ან უსიამოს თქმას, ამასაც მათ დასაგმობად როდი ვამბობ, უბრალოდ თავად ვარ გაოცებული) ნუთუ არ ეშინიათ საკუთარი

თავის ასეთ კაცთან გატოლების? სასწაულებს თავი დავანებოთ და ამ ნეტარის ცხოვრებას მივუბრუნდეთ, გადავხედოთ მის ანგელოზებრივ მოღვაწეობას, და იქ უფრო მეტი აღმატებულება გამოჩნდება ქრისტეს მეომრისა, ვიდრე მისივე სასწაულებში. ვის შეუძლია აღწეროს მისი გულმოდგინება, სიმშვიდე, მუდმივი ხიფათი, განუწყვეტელი ზრუნვა, მოუკლებელი ფიქრი ეკლესიებზე, თანალმობა უძლურთა მიმართ, მრავალი მწუხარება, ხშირი დევნა, ყოველდღიური სიკვდილი, (2. კორ. 11, 24—28 .1 კორ. 9, 22)?

რომელმა კუთხემ ქვეყნისამ, რომელმა მიწამ, რომელმა ზღვამ არ უწყის ამ მართალი კაცის საქმენი? პავლეს უდაბნოც იცნობდა, და ხშირადაც ღებულობდა თავის სავანეში მისი ხიფათიანი ცხოვრების დროს. მას დაუთმენია ყველა სახის მანქანება და ყველანაირი ძლევაც მოუპოვებია, არასოდეს შეუწყვეტია მოღვაწეობა და გვირგვინების მოხვეჭა. არ ვიცი, როგორ გავერთე ისე, რომ ამ დიდი კაცის შეურაცხყოფა ვიწყე, მისი მხნეობა აღემატება ყოველგვარ სიტყვას, მით უფრო ჩემსას, იმდენად აღემატება, რამდენადაც მჭევრმეტყველებაში დახელოვნებულნი მჯობიან მე. მაგრამ ამის მიუხედავად (ნეტარი საქმის შესრულებისთვის კი არა, განზრახვისთვის განმსჯის), არ დავდუმდები, ვიდრე არ ვიტყვი იმას, რაც ჩემს მიერ ზემოთ თქმულს იმდენადვე აღემატება, რამდენადაც პავლე — სხვა ადამიანებს. რა არის ეს? ამდენი საგმირო საქმის ჩადენისა და ურიცხვი გვირგვინის მიღების შემდეგ პავლე ნატრობდა გეენიაში ჩასვლას და მარადი ტანჯვის დამკვიდრებას, რათა იუდეველთათვის, რომლებსაც ხშირად ქვებით ჩაუქოლავთ და მზად იყვნენ მოეკლათ კიდეც იგი, ხსნა მოეპოვებინა და ისინი ქრისტეს შესდგომოდნენ (რომ. 9, 3). ვის ყვარებია ასე ძლიერ ქრისტე, თუ შეიძლება ამას სიყვარული ეწოდოს და არა რაღაც სხვა, სიყვარულზე უფრო დიდი? და მას, ზეგარდმო ამდენი მადლის მიმღებელს, მას, ვისაც თავის მხრივაც უამრავი სიქველე გააჩნდა, როგორღა უნდა გავუტოლდეთ? განა არსებობს ქვეყნად ამაზე უფრო კადნიერი საქციელი? და რომ იგი მართლაც არ ყოფილა უმეცარი არანაირი აზრით, ვეცდები ეგეც ახლავე დაგიმტკიცო.

მათ მიაჩნიათ, რომ უმეცარი მხოლოდ იგი როდია, ვინც

საერო მჭევრმეტყველებაში არ არის განსწავლული, არამედ ისიც, ვისაც არ ძალუძს ჭეშმარიტი სწავლების დაცვა. მართალსაც ამბობენ. პავლემ თავის თავს უმეცარი უწოდა მხოლოდ ერთი აზრით, და ამის დასტურად ზუსტი გამიჯვნაც გაკეთა, თქვა, რომ „დაღათუ უცებ ვარ სიტყვითა, არამედ არა ცნობითაცა“ (2 კორ. 11, 6). მე რომ ეკლესიის მწყემსისგან მოვითხოვდე სოკრატეს სიტყვაკაზმულობას, დემოსთენეს ძალას, თუკიდიდეს მნიშვნელოვნებასა და პლატონის სიღრმეს, მაშინ პავლეს ამ ნათქვამზე მითითება მართებული იქნებოდა, მაგრამ ამჯერად ყოველივე ამასა და ნატიფ გარეგნულ მოკაზმულობას თავს ვანებებ და არც სიტყვის წარმოთქმასა და გადმოცემაზე ვფიქრობ. დაე, იყოს ვინმე სიტყვაძუნწი, ჰქონდეს გაუწაფავი, უბრალო საუბარი, ოღონდ უმეცარი ნუ იქნება დოგმატების შეცნობასა და მათ სწორად გულისხმისყოფაში, და საკუთარი დაუდევრობის დასაფარავად ამ ნეტარ კაცს ნუ წაართმევს მის უდიდეს ღირსებასა და უმთავრეს დამსახურებას.

7. ერთი მითხარი, როგორ შეჰქონდა პავლეს არეულობა დამასკოში მცხოვრებ იუდეველთა შორის, როცა ჯერ კიდევ არ იქმოდა სასწაულებს? როგორ დასძლია ელინისტები? რისთვის წარგზავნეს ტარსუნში? იმისთვის ხომ არა, რომ სიტყვით მძლავრობდა და იქამდე მიიყვანა ისინი, რომ დამარცხება ვერ აიტანეს, გამძვინვარდნენ და გადაწყვიტეს მოეკლათ იგი (საქ. მოც. 9)? მაშინ იგი ჯერ კიდევ არ იქმოდა სასწაულებს, ამიტომ ვერავინ იტყვის, ხალხს მისი საკვირველმოქმედების ამბავი სმენოდა და მასთან მებრძოლები მხოლოდ ამიტომ მარცხდებოდნენო; ამ დრომდე იგი მარტოოდენ სიტყვით იმარჯვებდა. გაიხსენე, როგორ ებრძოდა მათ, ვინც ანტიოქიაში იუდეველთა მსგავსად ცხოვრებას აპირებდა (გალ. 2)? და არეოპაგის წევრი, ყველაზე ცრუმორწმუნე ქალაქის მკვიდრი, განა სწორედ ქადაგების შემდეგ არ გახდა მისი მიმდევარი თავის ცოლთან ერთად (საქ. მოც. 17, 34)? ევტიხი რატომღა ჩამოვარდა ფანჯრიდან? იმიტომ ხომ არა, რომ გვიან ღამემდე პავლეს სწავლებას ისმენდა (საქ. მოც. 20, 9)? თესალონიკსა და კორინთოში როგორღა იყო? ანდა ეფესოსა და თვით რომში? განა მთელ დღეებსა და ღამეებს წმიდა წერილის ახსნა-განმარ-

ტებაში არ ატარებდა? სტოიკოსებსა და ეპიკურელებთან მის ბრძოლებზე რაღა ვთქვათ (საქ. მოც. 17, 18)? ყველაფრის ჩამოთვლა რომ მოვინდომოთ, სიტყვა მეტისმეტად გაგვიგრძელდება. ამგვარად, რაკი გაირკვა, რომ სასწაულებამდეც და სასწაულების ჩადენის დროსაც პავლე ხშირად ხმარობდა სიტყვას, როგორღა გაბედავენ უმეცარი უწოდონ იმას, ვისი საუბარი და მეტადრე ქადაგება ყველას აოცებდა? რატომ მიიღეს ლიკაონელებმა მერკურიუსად? ისინი (პავლე და ბარნაბა) ღმერთებად რომ მიიღეს, ეს სასწაულების გამო იყო, მაგრამ პავლე რომ მერკურიუსად მიიჩნიეს, ამის მიზეზი უკვე სასწაულები კი არა, სიტყვა იყო (საქ. მოც. 14, 12). რითი აღემატა ნეტარი პავლე სხვა მოციქულებს? მის სახელს რატომ ახსენებენ მთელ მსოფლიოში განსაკუთრებულად? რატომ ვადიდებთ მას ყველაზე მეტად არა მარტო ჩვენ, არამედ იუდეველნი და წარმართნიც კი? იქნებ მისი ეპისტოლეებისთვის, რომლებითაც მან არგო არა მხოლოდ მაშინდელ მორწმუნეებს, არამედ იმ დროიდან აქამომდე მცხოვრებ ყველა ქრისტიანს, ასევე არგებს ყველას, ვინც ქრისტეს მეორედ მოსვლამდე იცხოვრებს, და ასე იქნება, ვიდრე კაცთა მოდგმა იარსებებს? მისი ნაწერები ეკლესიებს ანდამატისგან ნაგები კედელივით იცავს; პავლე დღესაც ჩვენს შორის დგას, როგორც უმამაცესი მეომარი, „და წარმოვსტყვენავთ ყოველსავე ცნობასა მორჩილებად ქრისტესსა, და განმზადებულად გუაქუს შურისგებად ყოვლისა ურჩებისა“ (2 კორ. 4). ყოველივე ამას იქმს პავლე ჩვენთვის დატოვებული საოცარი, ღვთაებრივი სიბრძნით სავსე ეპისტოლეების მეოხებით. მისი ნაწერები მხოლოდ ცრუ სწავლებათა დასამხობად და ჭეშმარიტის დასაცავად კი არ გვჭირდება, ღვთისმსახურებით ცხოვრებაშიც დიდად გვარგებს. ეკლესიის წინამძღვარნი მათი მეოხებით დღესაც განაგებენ, სრულყოფენ და სულიერად ამშვენიერებენ წმინდა ქალწულს, რომელიც პავლემ ქრისტესთან დაწინდა (2 კორ. 11, 2), ამ ეპისტოლეებით იგერიებენ ისინი ეკლესიაზე მოწეულ ენებებს და იცავენ მის რჩეულ სიმრთელეს. ასეთი საკურნებელი წამლები დაგვიტოვა ამ „უმეცარმა“ კაცმა, ამ წამლების ძალას კარგად იცნობს ის, ვინც მათ ჭეშმარიტი რწმენით მიმართავს. აქედა-

ნაც ჩანს, რომ პავლემ დიდი გულმოდგინება გამოიჩინა ამ საქმეში.

8. ისიც მოისმინე, რას ამბობს მოწაფისადმი მიწერილ ეპისტოლეში: „ეკრძალე საკითხავსა, ნუგეშინისცემასა, მოძღურებასა". მერე ამის ნაყოფზეც ლაპარაკობს: „ამას რაი ჰყოფდე, თავიცა შენი აცხოვნო და მორჩილნიცა შენნი" (1 ტიმ. 4, 13—16). და კვალად: „ხოლო მონისა უფლისა არა ჯერარს ლალვაი, არამედ რაითა იყოს მყუდრო და სახიერ ყოველთა მიმართ, მასწავლელ, უმანკო". და კვალად: „ხოლო შენ დაადგერ მას ზედა, რომელიცა გისწავიეს და გრწმენა, უწყი, ვისგან გისწავიეს; და რამეთუ სიყრმითგან საღმრთონი წიგნნი იცნი, რომელნი შემძლებელ არიან განბრძნობად შენდა ცხოვრებისათვის სარწმუნოებითა ქრისტე იესოითა". და იქვე: „ყოველი წიგნი ღმრთივ სულიერი და სარგებელი სამოძღურებლად არს და სამხილებელად და განსამართლებლად და სასწავლელად სიმართლისა, რაითა სრულ იყოს ღმრთისაი იგი კაცი, ყოვლისა მიმართ საქმისა კეთილისა განმტკიცებულ" (2 ტიმ. 2, 24; 3, 14—17). ისმინე, რას წერს პავლე ტიტეს, ეპისკოპოსად დადგინების შესახებ რომ ესაუბრება: „ჯერ არს ეპისკოპოსისა თავსმდებელ-ყოფად მსგავსად მოძღვრებისა მის, სარწმუნოებისა სიტყვასა, რაითა შემძლებელ იყოს ნუგეშინის-ცემადცა მოძღვრებასა მას შინა სიცოცხლისასა და სიტყვისმგებელთა მათ მამხილებელ" (ტიტ. 1, 7—9).

განა შეუძლია უმეცარ კაცს, როგორადაც მას ვიღაცეები მიიჩნევენ, ამხილოს და დაადუმოს მოწინააღმდეგენი? ანდა თუკი უმეცრად უნდა დარჩეს, რაღა საჭიროა წერა-კითხვის ცოდნა? ეს ყველაფერი ტყუილი და მომიზეზებაა, უზრუნველობისა და სიზარმაცის შესანიღბად მოგონილი. მაგრამ ეს ხომ მღვდლებს ეხებათ, გვეტყვიან, რადგან ჩვენ ახლა მღვდლებზე ვლაპარაკობთ. ეს რომ სამწყსოსაც ეხება, ამის დასტურად მომისმინე, რას ამბობს პავლე სხვა ეპისტოლეში: „და სიტყუაი იგი ქრისტესი დამკვიდრებულ იყავენ თქუენ თანა მდიდრად ყოვლითა სიბრძნითა"; და კვალად; „სიტყუაი თქუენი მარადის მადლითა ვითარცა მარილითა შეზავებულ იყავნ, რაითა უწყოდით, ვითარ-იგი შეჰგავს თქუენდა თვითეულისა სიტყვისგებაი" (კოლ. 3, 16; 4, 6). და სიტყვები: „განმზადებულ იყვენით

მარადის სიტყვის მიგებად ყოვლისა“ (1 პეტ. 3, 15) და თესალონიკელთა მიმართ ეპისტოლეში პავლე ამბობს: „ამისთვის აღაშენებდეთ ერთიერთსა ,ვითარცა-ეგე ჰყოფთცა“ (1 თეს. 5, 11). ხოლო როცა მღვდლებზე საუბრობს, ამბობს: „რომელნი კეთილად ძღოდიან ხუცესნი, ორის ნაწილის პატივის ღირს იყვნედ, უფროჲს ხოლო რომელნი შურებოდიან სიტყვითა და მოძღურებითა“ (1 ტიმ. 5, 17). ესაა სწავლების ყველაზე სრულყოფილი ხერხი, როცა განსასწავლნი საქმეებითაც და სიტყვებითაც იმ ნეტარი ცხოვრებისკენ მიჰყავთ, რომლისკენაც ქრისტემ მოგვიწოდა, იმიტომ რომ მხოლოდ საქმენი არ კმარა სწავლებისათვის. ეს ჩემი კი არა, თვით მაცხოვრის სიტყვებია: „ხოლო რომელმან ყოს და ასწავოს, ამას დიდ ერქუას სასუფეველსა ცათასა“ (მათე, 5, 19). „ქმნა“ რომ „სწავლებას“ ნიშნავდეს, ეს მეორე სიტყვა ტყუილად ყოფილა, საკმარისი იქნებოდა „რომელმან ყოს“, მაგრამ ერთისა და მეორის გამიჯვნით უფალი გვიჩვენებს, რომ ერთია დამოკიდებული საქმეზე და მეორე — სიტყვაზე, და ამ ორ ნაწილს სჭირდება ერთმანეთი, რათა შენობა სრულყოფილი იყოს. ხომ გესმის, რას ეუბნება ეფესელ ხუცესებს ქრისტეს რჩეული ჭური: „ამისთვის იღვიძებდით და მოიხსენეთ, რამეთუ სამსა წელსა ღამით და დღით არა დავსცხრებოდე ცრემლით სწავლასა კაცად-კაცადისა თქუენისასა“ (საქ. მოც. 22, 31). რაღა საჭირო იყო ცრემლი ანდა სიტყვიერი სწავლება, როცა მოციქულის ცხოვრება ასე ანათებდა? ეს ცხოვრება დიდ შემწეობას გამოგვიჩენდა მცნებათა შესრულებაში, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ამ შემთხვევაშიც მხოლოდ მისი ცხოვრების მაგალითმა ქნა ყველაფერი.

9. როცა დოგმატების შესახებ ატყდება დავა და ყველა ერთი და იგივე ნაწერის საფუძველზე იკამათებს, მაშინ რაღა ძალა ექნება ცხოვრებას? რა ხეირია მრავალი ღვაწლისგან, თუ ვინმე ამ ღვაწლის შემდეგ თავისი გამოუცდელობის გამო წვალებას შეუდგა და ქრისტეს სხეულს განშორდა? ბევრი ვიცი, ვისაც ასე დაემართა. რას არგებს მაშინ კაცს მოთმინება? არაფერს, სწორედ ისე, როგორც უსარგებლოა მრთელი რწმენა გარყვნილი ცხოვრებისას. ამიტომ ის, ვინც სხვების მასწავლებლად არის დადგინებული, თავად ყველაზე უფრო გამოცდილი

უნდა იყოს ასეთ კამათებში. თუნდაც თვითონ არავითარი საფრთხე არ ემუქრებოდეს და წინააღმდგომთაგან არა ეენოს რა, მისი გამგებლობის ქვეშ მყოფმა უბრალო ადამიანებმა თუ დაინახეს, რომ მათი წინამძღვარი დამარცხდა და ვერაფერს უპასუხებს მოწინააღმდეგეს, ამაში ამ კაცის სისუსტეს კი არა, თვით სწავლების უძლურებას დაინახავენ. ამგვარად, ერთი კაცის გამოუცდელობის გამო მრავალი ადამიანი დაიღუპება. თუ მთლიანად მოწინააღმდეგის მხარეზე არ გადავლენ, ეჭვი მაინც შეეპარებათ იმაში, რაშიც ადრე დარწმუნებულნი იყვნენ. მოძღვრის დამარცხება მათ სულებში ისეთ ქარიშხალს იწვევს, რომ უბედურება ხომალდის დაღუპვით მთავრდება. თუ როგორი წარწყმედა და ცეცხლი დაატყდება თვით უბედურ მოძღვარს თვითეული დაღუპული სულისთვის, ამაზე აღარაფერს ვიტყვი — შენც კარგად იცი. მაშ სიამაყის ბრალია თუ ცუდმედიდობის, ამდენი ხალხის დაღუპვის მიზეზად გახდომა რომ არ მსურს და არც ის მინდა, საკუთარ თავს იმაზე მეტი სასჯელი დავატეხო, რაც იქ მომელის? ვინ გამამტყუნებს? არავინ, თუკი რა თქმა უნდა, ვინმემ განზრახ არ ისურვა ჩემი ამაოდ გაკიცხვა და სხვისი უბედურების ჟამს მსჯელობებით გართობა.

სიტყვა მეხუთე

1. თუ რა გამოცდილი უნდა იყოს ჭეშმარიტებისათვის ბრძოლაში მოძღვარი, ამაზე უკვე საკმარისად ვილაპარაკე. ახლა ორიოდ სიტყვის თქმა იმ საგანზეც მინდა, რომელიც მრავალი ხიფათის მიზეზად იქცევა ხოლმე. უფრო სწორად, დამნაშავე ეს საგანი კი არა, ისინი არიან, ვინც არ იცის მისი კეთილად გამოყენება, თვითონ მას კი მრავალი სიკეთის მოტანა შეუძლია, თუ საქმეს თავიანი და მოშურნე კაცი მოჰკიდებს ხელს. რა საქმეა ეს? ესაა დიდი ღვაწლი საკრებულოებში ხალხის წინაშე საუბრისა. ჯერ ერთი, სამწყსოს უმეტესად არ სურს მოსაუბრეს ისე შეხედოს, როგორც მოძღვარს, მოწაფის მდგომარეობაზე მაღლა დგება და საერო სანახაობაზე მოსულის როლს არჩევს. როგორც სანახაობებზე იყოფიან ჯგუფებად და ერთნი ერთის მხარეს იჭერენ, მეორენი კი მეორისას,

აქაც სწორედ იგივე ხდება, როგორადაც არიან განწყობილნი მოსაუბრის მიმართ, იმის მიხედვით ისმენენ. სიძნელე მარტო ეს კი არა, სხვაცაა. თუ რომელიმე მოსაუბრემ თავის სიტყვებს სხვისი აზრიც მიუმატა, უფრო მეტ საყვედურს იმსახურებს, ვიდრე სხვისი ქონების მიმტაცებელი; ხშირად ნამდვილად რომ არავის არაფერს დასესხებია, მასზედაც კი უჩნდებათ ასეთი ეჭვი. რაღა სხვის ნააზრევზე ვლაპარაკობ? ხშირად კაცი საკუთარსაც ვერ იყენებს. ადამიანები უმეტესად სარგებლობის კი არა, სიამოვნების მისაღებად უსმენენ მოძღვარს, თავი ტრაგიკოსების ან კითარისტების წარმოდგენაზე ჰგონიათ, ჩვენს მიერ ზედმეტად მიჩნეული კაზმულსიტყვაობა კი მათთან ისევე ფასობს, როგორც სოფისტებთან.

2. ამგვარად, აქაც ჩვენნაირ უძლურს რომ ბევრად აღემატება, ისეთი, სულით ძლიერი კაცია საჭირო, მან უნდა შეძლოს ხალხის არიდება უჯერო და უსარგებლო სიამოვნებას, უნდა მიაჩვიოს სასარგებლო საუბრის მოსმენას, და თვითონ კი არ უნდა გახდეს ხალხის გულისთქმათა სათამაშო, არამედ უნდა გაუძღვეს და დაიმორჩილოს იგი. ამას მხოლოდ ორი რამით თუ მიაღწევს კაცი: ქების უგულვებელყოფით და სიტყვის ძალით. ერთი მათგანიც რომ აკლდეს, უმისოდ მეორეც უსარგებლო იქნება. თუ მისი მოძღვრება, ვინც ქება მოიძულა, არ არის „მადლითა ვითარცა მარილითა შეზავებულ“ (კოლ. 4, 6), ასეთი კაცი კარგავს ხალხის პატივისცემას და არას არგებს თავისი დიდსულოვნება. თუ ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა, მაგრამ ტაშსა და დიდებას ეტრფის, ხალხსაც და საკუთარ თავსაც საკმაო ვნებას მოუტანს, რადგან ქება-დიდების სიყვარულით შეპყრობილი ეცდება მსმენელის საამებლად ილაპარაკოს და არა სულის სარგოდ. ვთქვათ, პირველი არ არის ქების სიყვარულით შეპყრობილი და არც კაცთმოთნეობის გამო იქმს რაიმეს, მაგრამ თუ ლაპარაკი არ შეუძლია, ვერც არგებს ხალხს, რადგანაც უმწეოა ქადაგების დროს. მეორეს კი, ქება-დიდება რომელსაც უყვარს, თუმცა შეუძლია სულის სარგო რამ უთხრას ხალხს, მაგრამ ტაშისცემას დახარბებული მხოლოდ იმას სთავაზობს, რაც მათ ყურთასმენას ეამება.

3. ამგვარად, კარგ მოძღვარს ეს ორივე სიკეთე უნდა გააჩნდეს, რათა ერთის უქონლობამ მეორეც არ განაქაროს. ვთქვათ,

ვინმე უზრუნველად მცხოვრებთ ამხილებს ხალხის წინაშე და ამ დროს აირია, წაიბორძიკა, გააწითლა სიტყვის სიმწირემ — მის ნათქვამს მყისვე დაეკარგება მნიშვნელობა. მხილებულნი მასზე შურს იმით იძიებენ, რომ სასაცილოდ აიგდებენ უმწეო მჭევრმეტყველებისთვის და ამით საკუთარი ნაკლის მიჩქმალვას შეეცდებიან. ამიტომ მოძღვარი კარგი მეეტლესავით უნდა იყოს დახელოვნებული ორივე საქმეში, რათა საჭიროებისამებრ გამოიყენოს ერთიცა და მეორეც. სრულიად უნაკლოს ყველანაირი უფლება ენიჭება ხელქვეითთა დასჯისაც და განთავისუფლებისაც, უამისოდ კი ასეთი ხელისუფლების მოპოვება ძნელია. სხვაფრივ, დიდსულოვნება მხოლოდ ქება-დიდების არად ჩაგდებას როდი გულისხმობს, ის სხვა საგნებზეც ვრცელდება, რათა სიკეთე ნაკლული კი არა, სრულყოფილი იყოს.

4. კიდევ რას უნდა ვეკრძალვოდეთ? შურსა და სიძულვილს. მეტისმეტად არ უნდა გვეშინოდეს უსამართლო ბრალდებებისა (წინამძღვარს კი უსათუოდ მოელის განუსჯელი ყვედრება) და არც მთლად უნდა უგულებელვყოთ ისინი, თუნდაც ცრუ იყოს ეს ბრალდებები, თუნდაც ცუდი ადამიანებისგან წამოსული, მაშინათვე უნდა ვცადოთ მათი ჩახშობა. ვინმეს შესახებ კარგი ან ცუდი აზრის არსებობას ყველაზე მეტად განუსჯელი ხალხი უწყობს ხელს, მას წესად აქვს დაუფიქრებელი მოსმენა და ლაპარაკი, განურჩევლად იმეორებს ყველაფერს და ჭეშმარიტება სულ არ ანაღვლებს. ამიტომ არ უნდა უგულებელვყოთ ხალხი, ცუდი ეჭვები აღმოცენებისთანავე უნდა დავთრგუნოთ, და თუნდაც ჩვენი მაბრალობლები ყველაზე უფრო უგუნური ადამიანები იყვნენ, მაინც უნდა შევძლოთ მათი დარწმუნება. არაფერი უნდა გამოგვრჩეს ისეთი, რასაც უკეთესი აზრის გაქარწყლება შეუძლია. თუ ჩვენ ყველაფერს ვიღონებთ და მაბრალობლები მაინც არ მოეგებიან გონს, მაშინ კი მართლაც აღარაფერი დაგვრჩენია მათი უგულებელყოფის გარდა. ვისაც ამგვარი უსიამოვნებები სძლევს, ის ვერასოდეს იქმს რაიმე შესანიშნავსა და საქებარს. სასოწარკვეთილებამ და განუწყვეტელმა მოუსვენრობამ კაცი შეიძლება გატეხოს, არაქათი გამოაცალოს. მღვდელი, როგორც მამა თავის მცირეწლოვან შვილებს, ისე უნდა ექცეოდეს სამ-

წყსოს წევრებს. პატარების წყენა, ტირილი და მათგან მოყენებული შეურაცხყოფა ჩვენში სიძულვილს არ იწვევს, დიდად არც მათი ალერსი გვაღელვებს. მღვდლებიც, ამის მსგავსად, არც ქებამ და არც უსამართლო კიცხვამ არ უნდა შეაშფოთოს. ძნელია ეს, ძნელი და ვფიქრობ, შეუძლებელიც. არ ვიცი, ყოფილა კი ოდესმე ქვეყნად მოკვდავთაგანი, ვისაც სმენია თავისი ქება და არ გახარებია. და ვისაც ეს უხარია, იმას, რა თქმა უნდა, ენატრება კიდეც ქების გაგონება და უსათუოდ სძლევს სევდა და სასოწარკვეთა, ნაღველი და მოწყინება დაეუფლება, როცა ქება მოაკლდება. მდიდრები, ვიდრე ქონება აქვთ, მოლხენით არიან, გაღარიბდებიან და ბედს უჩივიან, ფუფუნებას მიჩვეულნი სიღატაკეს ვერ ეგუებიან. ქებას დახარბებულნიც ასე არიან; მათ ერთგვარი სულიერი შიმშილი მხოლოდ მაშინ კი არ სტანჯავთ, როცა კიცხავენ, არამედ მაშინაც, თუ იშვიათად აქებენ, ანდა თუ ყური მოჰკრეს სხვების ქებას. როგორ ფიქრობ, რამდენი შრომისა და უსიამოვნების გადატანა მოუწევს ასეთი ვნებით შეპყრობილ ადამიანს, რომელიც სწავლების ღვაწლს შესდგომია? შეუძლებელია, ზღვა ხანდახან მაინც არ აღელდეს, და ასეთი კაცის სული ზრუნვამ და მწუხარებამ რომ არ აამღვრიოს, ესეც შეუძლებელია.

5. ვისაც სიტყვის ძალა აქვს მინიჭებული (ასეთი კი ცოტაა), იმასაც კი განუწყვეტელი შრომა მართებს. კაცს სიტყვის ძალა დაბადებიდან როდი დაჰყვება, იგი სწავლის შედეგია, და თუ მუდმივი მეცადინეობით და გულმოდგინებით არ იხვეწება, ამ ხელოვნებამ უდიდეს სრულქმნილებასაც რომ მიაღწიოს, მაინც შეიძლება განქარდეს. ამგვარად, ფრიად განსწავლულნი უფრო მეტადაც უნდა შრომობდნენ, ვიდრე ნაკლებად განათლებულნი, რადგან მათ უდებებას სხვადასხვა შედეგი მოჰყვება — განსწავლულთა უდებება გაცილებით საზიანოა. უმეცართ არავინ გაიცხავს, თუ განსაკუთრებულს ვერაფერს იტყვიან, მჭევრმეტყველებით განთქმულნი კი დიდ ყვედრებას იმსახურებენ, თუ ყოველთვის მათზე გავრცელებული აზრის შესაფერისად ვერ ილაპარაკეს. თანაც პირველთ უბრალო წარმატებისთვისაც შეიძლება დიდი ქება ხვდეთ წილად, განსწავლულნი კი, თუ ვერ შეძლეს თავიანთი სიტყვებით ხალხის შეძვრა და გაოცება, ქებას კი არა, გაიცხვას დაიმსახურებენ.

ხალხი სიტყვას შინაარსის კი არა, მქადაგებელზე არსებული აზრის მიხედვით აფასებს. ამიტომ კარგი მქევრმეტყველი ყველაზე გულმოდგინედაც უნდა შრომობდეს. ის თავს ვერ იმართლებს კაცთა ბუნების საერთო ნაკლით, ყველაფრის ცოდნა და მოსწრება შეუძლებელიაო, და თუ მისი საუბრები არ შეეფერება მასზე არსებულ მაღალ აზრს, უმალ ხალხის გაკიცხვასა და დაცინვას დაიმსახურებს. იმას არავინ ფიქრობს, რომ უეცრად მოსული სასოწარკვეთილება, შფოთვა, ზრუნვა და ხშირად მრისხანება გონებას უბნელებს ადამიანს, სიცხადეს აკლებს მის სიტყვებს. და საერთოდაც, კაცი ხომ ვერ იქნება ყოველთვის ერთნაირი, და ყველაფერსაც ხომ ვერ მოასწრებს, ხანდახან ისიც ბუნებრივია, რომ შესცოდოს, საკუთარ თავზე სუსტიც აღმოჩნდეს. ეს, როგორც გითხარი, ნაკლებად ანაღვლებთ, ადანაშაულებენ მქადაგებელს და ისე მსჯელობენ მასზე, როგორც ანგელოსზე. და საერთოდ, ასეთია ადამიანი: მოყვასის დიდსა და მრავალრიცხოვან სათნოებებს არაფრად აგდებს, ხოლო როგორც კი რაიმე თუნდაც უმნიშვნელო, როდის-როდის მომხდარი შეცდომა გამქღავნდება, იმას მაშინვე გამოჩხრეკს, მყისვე მოეჭიდება და აღარ ივიწყებს. სწორედ ამ მცირესა და უმნიშვნელოს ხშირად დაუჩრდილავს მრავალი დიდი კაცის სახელი.

6. ხომ ხედავ, ჩემო კეთილო და საკვირველო კაცო, სიტყვით ძლიერს რომ განსაკუთრებული გულმოდგინებაც უნდა ჰქონდეს და ამასთან ერთად ისეთი მოთმინება, რომელიც სულაც არ ესაჭიროება ჩემს მიერ ადრე მოხსენიებულებს. მრავალნი შეაიწრებენ მას უბრალოდ და უმიზეზოდ, თუმცა არ გააჩნიათ რაიმე ხელჩასაჭიდი, მაგრამ იმისთვის ემტერებიან, ყველა პატივს რომ სცემს. მხნედ უნდა მოვითმინოთ მათი ბილწი სიძულვილი. ისინი არც კი ცდილობენ წყეული, უმიზეზო სიძულვილის მალვას, აგინებენ და კიცხავენ ადამიანს, არც ფარულ ცილისწამებას თაკილობენ და არც აშკარა მტრობას. თუ სული ყოველი ასეთი უსიამოვნებისთანავე წუხილსა და მრისხანებას მიეცემა, ვერაფრით შეინარჩუნებს სიმხნევეს და სევდა მოაუძლურებს. შეურაცხმყოფელნი მარტო თვითონ როდი ებრძვიან ღირსეულს, არამედ ცდილობენ სხვისი ხელითაც იმოქმედონ, ვინმე ისეთს ამოირჩევენ, სიტყვის თქმაც

რომ არ შეუძლია, ქება-დიდებით აავსებენ და ისეთ სათნოებებს მიაწერენ, სულ რომ არ გააჩნია. ზოგი ამას უგნურებით სჩადის, ზოგი კიდევ უმეცრებისა და შურის გამო, უღირსის განსადიდებლად კი არა, ღირსეულის დასამცირებლად. მხნე კაცს მხოლოდ მათთან როდი უხდება ბრძოლა, არამედ ხშირად მთელი ხალხის უმეცრებასთანაც. შეუძლებელია, ყველა მსმენელი განათლებული იყოს, ხშირად კრებულის უმეტესობა უბირი ხალხია, დანარჩენები მათ კი აღემატებიან, მაგრამ მაღალი მჭევრმეტყველების ცოდნისაგან მაინც შორს არიან, და ერთი-ორი კაცი თუ მოიძებნება ისეთი, ეს ცოდნა რომ გააჩნდეს. ამიტომ ხდება, კარგ მჭევრმეტყველს რომ ნაკლებ ტაშს უკრავენ, ხანდახან საერთოდ არც არავინ აქებს. მხნედ უნდა დავუხვდეთ ასეთ უსამართლობას, თუ უმეცრებით მოსდით, მივუტევოთ, თუ შურის გამო იქცევიან ასე, დავიტიროთ, ვითარცა საბრალონი და ბედშავნი, და გვწამდეს, რომ ჩვენს ძალას ვერც ერთი დააკლებს რამეს, ვერც მეორე. კარგი მხატვარი, თავისი ხელოვნებით სხვებზე აღმატებული, როცა დაინახავს, რომ მხატვრობაში სრულიად გაურკვეველი ადამიანები მის მიერ დიდი გულმოდგინებით დახატულ სურათს სასაცილოდ იგდებენ, სულით არ უნდა დაეცეს და არ უნდა იფიქროს, სურათი მართლა ცუდიაო, და არც უვარგისი სურათი უნდა მიიჩნიოს გასაოცრად და შესანიშნავად მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ძალიან მოსწონთ უმეცართ.

7. კარგი მხატვარი თვითონ უნდა იყოს თავის ქმნილებათა მსაჯული, მათ მხოლოდ მაშინ შეიძლება ეწოდოს კარგი ან ცუდი, როცა თავად შემოქმედის გონება გამოუტანს ამ ქმნილებებს ამა თუ იმ მსჯავრს; უცხოთა უმართებულო და მცდარ აზრზე ფიქრიც კი არ ღირს. ასევე უნდა იქცეოდეს მოძღვრობის ღვაწლს შედგომილი: არ უნდა უგდებდეს ყურს ქებას, და არც მისმა მოკლებამ უნდა დააღონოს, თავისი სწავლებანი ისევ უნდა შეადგინოს, რომ ღმერთს სათნო-ეყოს (ეს უნდა იყოს მისი წესი და ერთადერთი მიზანი სწავლებისა, და არა ტაში და ქება-დიდება), თუკი ადამიანები ქებას ასხამენ, ნუ უარყოფს მას, თუ არა და ნუ ეძებს და ნუ მისტირის, რადგან საკმარისი და საუკეთესო ნუგეშისცემა ამ შრომისთვის ის იქნება,

თუ მოძღვარი იგრძნობს, რომ თავის სწავლებას ღვთის სათნოდ წარმართავს.

8. მართლაც, ის, ვინც განუსჯელ ქება-დიდებას ეტრფის, ვერავითარ სარგებელს ვერ მიიღებს ვერც მრავალი ღვაწლის, ვერც სიტყვის ძალის შედეგად, რადგან ხალხის უგუნური კიცხვის ვერ-დამთმენი სული სიმხნევეს კარგავს და სიტყვის დახვეწის ხალისი უქრება. ამიტომაც ყველაზე მეტად უნდა ვეცადოთ მოვიძულოთ ქება-დიდება, უამისოდ შეუძლებელია სიტყვის ძალის შენარჩუნება. და იმ კაცსაც კი, რომელსაც სრულიად არ გააჩნია ძალა სიტყვისა, არანაკლებ ესაჭიროება ქების მოძულება, რადგან ხალხისგან თუ ქებას ვერ ეღირსა, უსათუოდ ჩავარდება მრავალ ცოდვაში. მჭევრმეტყველებით განთქმულთ რომ ვერ გაუტოლდება, ვეღარ გადაურჩება მათდამი მტრობას, შურს, ამაო ყვედრებას და სხვა უმსგავს ვნებებს, და ყველაფერს იკადრებს, სულსაც კი წაიწყმედს, ოღონდაც მოიპოვოს დიდება კაცთაგან. გარდა ამისა, საკმარისი გულმოდგინებითაც ვეღარ შეუდგება ამ ღვაწლს, რადგან სულს ერთგვარი უძლურება შეიპყრობს. დიდი შრომის გაწევამ და ამის წილ მცირე ქების მიღებამ შეიძლება მართლაც მოქანცოს და დააძაბუნოს კაცი, რომელსაც ჯერაც არ მოუძულებია ქება. მიწათმოქმედი, როცა იძულებულია ქვიანი და უნაყოფო მიწა დაამუშაოს, მალე დაანებებს თავს საქმეს, თუ შრომა ძალიან არ უყვარს და შიმშილისა არ ეშინია. თუ ისინი, რომელთაც დიდი ძალა აქვთ სიტყვისა, მაინც განუწყვეტლივ უნდა მეცადინეობდნენ ამ ძალის შესანარჩუნებლად, მაშ რაღა ითქმის წინასწარ მოუმზადებელ კაცზე, რომელმაც ამაზე სიტყვის წარმოთქმის დროს უნდა იფიქროს? რა სიძნელეები, რამდენი უსიამოვნება და შფოთვა უნდა დაითმინოს ამ დროს, მცირე წარმატება მაინც რომ მოიპოვოს. და თუ ვინმე ისეთმა მოიხვეჭა ამ საქმეში სახელი, ვინც მის შემდეგ აირჩიეს ანდა მასზე უფრო დაბალი ხარისხი აქვს, მაშინ ხომ ღვთაებრივი სული უნდა ჰქონდეს, სიძულვილმა და ურვამ რომ არ შეიპყროს. როცა კაცი უფრო მაღალ ხარისხშია და მასზე დაბლა მდგომი რაღაცით აღემატება, ამის მხნედ გადატანა ჩვეულებრივ სულს (და არც ჩემს სულს) არ ძალუძს — ეს ანდამატის სიმტკიცის კაცთა თვისებაა. ეს უსიამოვნება კიდევ ასა-

ტანია, როცა მჯობნი თავმდაბალი და მოკრძალებული ადამიანია, მაგრამ თუ იგი კადნიერიცაა, ამაყიც და პატივმოყვარეც, მაშინ პირველს ყოველდღე სიკვდილს ანატრებინებს, ისე გაუმწარებს სიცოცხლეს; ამას აშკარა ქედმაღლობითაც მიაღწევს და ფარული დაცინვითაც, თანდათან ჩამოართმევს ხელისუფლებას, შეეცდება ყველა სფეროში შეავიწროოს და ყოველთვის ექნება მტკიცე დასაყრდენი, რადგან სიტყვაც უჭირს, ხალხიც კეთილადაა მისდამი განწყობილი და სამწყსოც მის მხარეზეა. განა არ იცი, რომ ქრისტიანებს მჭევრმეტყველების მიმართ დიდი სიყვარული გაეღვიძათ, და რომ მჭევრმეტყველნი დიდ პატივში არიან არა მხოლოდ წარმართებთან, არამედ „სახლეულთა მათ მიმართ სარწმუნოებისათა“ (გალ. 6, 10). ვინ გადაიტანს სირცხვილს, როცა მისი ლაპარაკის დროს ყველა დუმს, ყველას უმძიმს მოსმენა, სიტყვის დამთავრებას ისე მოელიან, როგორც დასვენებას, მეორეს კი, ძალიანაც რომ გაუგრძელდეს სიტყვა, მოთმინებით უსმენენ, წუხან, როცა ის ოდნავ შეყოვნდება და მრისხანება იპყრობთ, როცა ის გაჩუმებას დააპირებს?

ყოველივე ამას შენ ახლა გამოუცდელობით უმნიშვნელოდ მიიჩნევ, მაგრამ ამან შეიძლება გულმოდგინება ჩაუკლას და სულის სიმხნევე დაუკარგოს კაცს, და ამ საფრთხეს მხოლოდ მაშინ გადაურჩება, თუ თავისუფალია ყველა ადამიანურ ვნებათაგან, თუ ესწრაფვის დაემსგავსოს უხორცო ძალებს, რომლებიც არც შურს ემონებიან, არც დიდებისმოყვარებას, არც რაიმე სხვა სისუსტეს. თუკი მოიძებნება ისეთი ადამიანი, ვინც დათრგუნავს ამ მოუხელთებელ, დაუძლეველ და მძვინვარე მხეცს ანუ ხალხის ქება-დიდებას, და მას მრავალრიცხოვან თავებს დააყრევინებს, ან უფრო უკეთ, ვინც ძირშივე ჩაახშობს ამ ბოროტებას, ის შეძლებს ყველა თავდასხმის მოგერიებას და თვითონ ისეთივე უვნებელი დარჩება, როგორც მყუდრო ნავსაყუდელში მყოფი, ხოლო ვისაც დიდებისმოყვარებისთვის თავი ჯერაც ვერ დაუღწევია, იგი სულს იმძიმებს მრავალგვარი ბრძოლით, განუწყვეტელი შფოთით, ურვითა და ბევრი სხვა ვნებით. ბევრი სხვა სიძნელეც არსებობს ისეთი, რაზედაც ის, ვისაც სინამდვილეში არ გამოუცდია ისინი, ვერ ილაპარაკებს.

რაც გითხარი, ეგ ყველაფერი აქ, ამ სოფელში მოგველის, მაგრამ როგორი ასატანი უნდა იყოს ყოფა იქ, სადაც პასუხს ყველაზე, ვინც კი მოგვანდეს, სათითაოდ გვაგებინებენ? იქ ხომ სირცხვილით არ შემოიფარგლება სასჯელი, მარადიული სატანჯველი გველის. „დაემორჩილენით წინამძღუართა თქუენთა და ერჩდით მათ, რამეთუ იგინი იღვიძებენ სულთა თქუენთათვის, ვითარცა იგი სიტყუაჲ მისცენ“ (ებრ. 3, 17). უწინაც მითქვამს, არც ახლა დავდუმდები. სულს მიძრწუნებს მაგ მუქარის შიში. და თუკი მავანმა, რომელმაც აცდუნა მხოლოდ ერთი მცირედთაგანი და „უმჯობეს არს მისა, და-მო-თუ-იკიდოს წისქვილი ვირით საფქველი ქედსა და დაინთქას იგი უფსკრულსა ზღვისასა“; და ყოველნი, რომელნი ჰგუემენ ძმათა უძლურ გონებას, ამით ქრისტეს წინაშე სცოდავენ (მთ. 18, 6; 1 კორ. 8, 12), მაშინ რა სასჯელი დაედებათ, რა მოელით იმათ, რომელთაც ერთი, ორი და სამი კი არა, უამრავი კაცის სული დაღუპეს? გამოუცდელობით მათი გამართლება არ იქნება, არცოდნასაც ვერ მოიმიზეზებენ, არც ასეთი მობოდიშება უშველით: გამოუვალ მდგომარეობაში აღმოვჩნდით, იძულებულნი ვიყავითო. ასეთნაირი თავის მართლება, რომც იყოს შესაძლებელი, ეს უმალ ქვეშევრდომს შეჰფერის საკუთარი ცოდვების თავის მართლებისას, ვიდრე წინამძღვარს სხვისი ცოდვების გასამართლებლად. რატომ? რატომ და მავანთა უდებების გამოსწორებისა და ბოროტთან მომავალი ბრძოლის დროულად ცნობისათვის დადგინებული ვეღარ იმართლებს თავს უცოდინრობით და ვერ იტყვის: საყვირის ხმა არ გამიგია, ომის დაწყების ჟამი გამომეპარაო. იგი, ეზეკიელი ამბობს, იმისთვისაა სწორედ დადგინებული, რომ თავად ჩაჰბეროს სხვების გასაგონად საყვირს და ამცნოს მათ მომავალი უბედურება. რატომ ელის კაცს, თუნდაც ერთი ადამიანის დაღუპვის შემთხვევაშიაც, გარდუვალი სასჯელი „—და ებგურმან უკეთუ იხილოს მახჯლი მომავალი და არა საყჯრ-სცეს საყჯრსა და არ დაუნიშნოს ერსა, და ერმან არა დაცვა-ყოს და ზედამოსრულმან მახჯლმან მიიღოს მათგან სული, იგი უკუე ცოდვისათჳს თავისა თჳსისა მიღებულ იქმნა, ხოლო სისხლი მისი ხელისაგან ებგუ-

რისა გამოვიძიო“ (ეზ. 33, 6). ნუღარ მითრევ ესოდენ განულ-ტოლველ პასუხისმგებლობაში. ჩვენ ხომ ჯარის წინამძღოლობასა და მიწიერ მეუფებაზე არა გვაქვს საუბარი, არამედ საქმეზე, რომელიც ანგელოზებრივი სათნოების მქონეს თუ ძალუძს.

2. მზის სხივზე წმიდა სული უნდა ჰქონდეს მოძღვარს, წამითაც რომ არ მიატოვოს სული წმიდამ, იმის თქმა რომ შეძლოს: „ხოლო ცხოველ არღარა მე ვარ, არამედ ცხოველ არს ჩემთანა ქრისტე“ (გალ. 2, 20). თუკი უდაბნოში მცხოვრებთ ქალაქის, ბაზრისა და იქაურ ხმაურს განშორებულთ გამუდმებით, როგორაც ნავსაყუდელში, ისე მიუციათ თავი მყუდროებისათვის და ესეც კი არ უკმარიათ საკუთარი ცხოვრების უსაფრთხოებისათვის, ამიტომაც უამრავ სხვა კრძალვის საშუალებებს მისცემიან და ყოველმხრივ მოუზღუდავთ თავი, უდიდესი სიფრთხილით ცდილან ყველაფრის ლაპარაკს და კეთებას, რათა სასოებითა და ჭეშმარიტი სინდისით, რამდენადაც შესწევს კაცს ამის უნარი, შესძლონ მიახლება უფლისა, როგორ გგონია, რა ძალა და სიმტკიცე უნდა ჰქონდეს სულიერ მოძღვარს, რათა დაიცვას სული ყოველგვარი არაწმიდებისაგან და დაუზიანებლად შეინარჩუნოს მშვენება თავისი სულისა? მას გაცილებით მეტი ყურადღება მოეთხოვება, ვიდრე იმათ, მონაზვნებს და ვისაც დიდი სიწმიდე სჭირდება, იგი უფრო მეტად აღმოჩნდება ხოლმე შესვარვის საფრთხის წინაშე, თუკი მთელი ძალისხმევითა და გამუდმებული მღვიძარებით არ გახადა სული თვისი ამ საქმეთაგან შეუვალი.

მშვენებას პირსახისას, საამო მიხვრა-მოხვრას, გამართულ სიარულს, სინაზეს ხმისას, ღაწვთა და თვალთა შეფერვას, გრუზა თმის ნაწნავს, სურნელს მისას, სამოსს ძვირფასს, ნაირნაირ ოქროს სამკაულს, სილამაზეს ძვირფასი თვლებისას, ნელსაცხებელთა კეთილსურნელებას და ყოველივე იმას, რასაც ასე მიელტვის მდედრთა სქესი, ძალუძს სულის შეშფოთება, თუკი მტკიცე უმანკოებით არ იქნა სული დაცული. ისე კი, ყოველივე ეს რომ შფოთვას იწვევს, სულ არაა გასაკვირი. მაგრამ ეშმაკს რომ სულის მოწყვლა და ვნება ამით კი არა, ამის საწინააღმდეგოთიც კი ძალუძს, ესაა საოცრად გაუგებარი და გასაკვირი. ზოგი, ამ მახეს თავდაღწეული, სრულიად

განსხვავებულ, სხვა ბადეში აღმოჩნდა. შეუხედავი პირ-სახე, მოუვლელი თმა, ჭუჭყიანი ტანსაცმელი, ულაზათო გარეგნობა, უხეში სიტყვა-პასუხი, გაუმართავი ლაპარაკი, მოუხეშავი სიარული, უსიამო ხმა, გაჭირვებული ყოფა, შეურაცხი შესახედაობა, მიუსაფრობა და სიმარტოვე — ყოველივე ეს თავიდან სიბრალულს აღძრავს კაცში, შემდეგ კი საბოლოოდ ღუპავს კიდეც მას.

3. ბევრნი ოქროს ნივთებს, ნელსაცხებლებს, ტანსაცმელსა და სხვა ამგვარ ბადეებს გაქცეულნი, რაც უკვე ვთქვი, ამათგან განსხვავებულ სხვა მახეებში ადვილად გაბმულან და დაღუპულან. თუკი კაცის სულს ბრძოლისა და ყოველმხრივი განსაცდელის მიზეზი უხდება სიღატაკეცა და სიმდიდრეც, სილამაზეცა და უბრალო გარეგნობაც, ზრდილიცა და უხეში სიტყვა-პასუხიც, და საერთოდ ყველაფერი, რაც კი ჩამოვთვალე, მაშინ რამ უნდა დაამშვიდოს უამრავ ბადეთა შორის მყოფი? სად ჰპოვოს თავშესაფარი, იმაზე არაფერს ვამბობ, ძალით რომ დაუპიროს ვინმემ ცდუნება (ამისაგან თავის დაღწევა არც ისე ძნელია), რომ გადაარჩინოს სული თვისი არაწმიდა გულისთქმათაგან აღძრულ შფოთვას? პატივზე, უამრავი ჭირის მიზეზზე არაფერს ვამბობ. უმანკოების დამარხვით მდედრთაგან მონიჭებული პატივის ზემოქმედება ერთგვარად სუსტდება, მაგრამ მათ ხშირად დაუმარცხებიათ კაცი, რომელსაც ჯერაც ვერ უსწავლია გამუდმებული მღვიძარება ასეთ მზაკვრობათა წინააღმდეგ; ხოლო მამაკაცთაგან მონიჭებულ პატივს თუ ვინმე დიდი გულგრილებით არ მოეკიდა, მას ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ვნება — მონური კაცთმოთნეობა და უგუნური მზვაობრობა დაეუფლება. ერთის მხრივ, ის იქნება მაქებელთა წინაშე იძულებით დამცირებული, მეორეს მხრივ კი, ამ ხალხისაგან მიღებული პატივით გამედიდურებული მდაბიოთა წინაშე. ასე მიექანება იგი უგნურების უფსკრულს. ამის შესახებ უკვე ვილაპარაკეთ და რა ვნებაა ამისგან მოსალოდნელი, საკუთარი გამოცდილების გარეშე, კარგად ამას ვერავინ გაიგებს. და არა მარტო ეს, ბევრი სხვა გარდუვალი ხიფათიც ელის ხალხში მყოფს. ჰოდა, ყოველივე ამისაგან უდაბნოს მოყვარული თავისუფალია, თუკი რომელიმე ცოდვილი გულისთქმის აყოლით რაიმე მსგავსი წარმოიდგინა, ეს წარმოდგენა სუსტია ხოლმე

და ადვილადაც ქრება, რადგან გაჩენილ ალს თვალი ვერ კვებავს გარედან. მონაზონი მხოლოდ საკუთარ თავზე აგებს პასუხს და თუ მაინც უწევს ვინმეზე ზრუნვა, მცირეა მათი რიცხვი. და თუნდაც მრავალი იყოს, (თუმცაღა, როგორც წესი, ისინი გაცილებით ცოტანი არიან ეკლესიის მრევლთან შედარებით;) მათზე ზრუნვა წინამძღვარს მაინც გაცილებით უადვილდება არა მარტო რიცხობრივი სიმცირის გამო, არამედ იმიტომაც, რომ ყოველივე ამსოფლიურისაგან თავისუფალნი არიან, მათ არც შვილზე უწევთ ზრუნვა, არც ცოლზე. წინამძღვრის სრულ მორჩილებაში იმყოფებიან, მოსახერხებელი ხდება საერთო საცხოვრებელში ყოფნა, სადაც შესაძლებელია ყველა ცოდვის შემჩნევა, გამოძიება და გამოსწორება. სათნოებათა მოპოვებას ცოტათი როდი უწყობს ხელს წინამძღვართა ასეთი გამუდმებული თვალყური.

4. მღვდელთა უმეტესი ნაწილი, ამათგან განსხვავებით, ამსოფლიური საზრუნავითაა შეიწროებული, ამის გამო სულიერი ცხოვრების საქმეთა წარმართვისათვის ისინი ნაკლებად არიან განწყობილნი. ამიტომ მოძღვარმა, რომ იტყვიან, უნდა დღენიადაგ სიტყვა თესოს, რათა, სხვა თუ არაფერი, განუწყვეტელი დამოძღვრით მაინც განმტკიცდეს მსმენელში სწავლება. გარდარეული სიმდიდრე, დიდი უფლებამოსილება, ფუფუნებისაგან შობილი უზრუნველობა და ბევრი სხვაც, აშთობს ნათესს; ხშირად კი ისეა სარეველა მოდებული, რომ თესლს ზედაპირამდეც ვერ მიუღწევია. მეორეს მხრივ, უზომო მკმუნვარება, სიღარიბეს მოყოლილი გაჭირვება, განუწყვეტელი წუხილიცა და სხვაც, ზემოჩამოთვლილის საწინააღმდეგო, უშლის ხელს ღვთაებრივ საგნებზე დაფიქრებას. და რაც ცოდვებს შეეხება, მოძღვრისათვის მათი მცირე ნაწილიც კი არ იქნება ცნობილი ან რანაირად ეცოდინება, რომ მრევლის უმეტესობას სახეზეც ვერ ცნობს? ხალხთან დაკავშირებული მისი ვალდებულებები ასეთ მოუხერხებელ პირობებთანაა გადაწნული. და თუკი ვინმე დაეპირება მისი ვალდებულების ღვთის წინაშე გამოკვლევას, ნახავს, რომ ის (მონაზონის) ვალდებულებები, ამასთან შედარებით არაფერია; იმდენად დიდსა და მოსწრაფე გულმოდგინებას მოითხოვს ეს უკანასკნელი.

ის, ღმერთს რომ მთელი ქალაქის, ქალაქი რამ მათქმევინა,

მთელი მსოფლიოს ცოცხალთა და მიძინებულთა ცოდვების შენდობას ევედრება, თავად როგორი უნდა იყოს? ჩემი აზრით, ამ ლოცვისათვის მოსესა და ილიას კადნიერებაც არაა საკმარისი. იგი ისე შეუვრდება უფალს, თითქოს მამაა ყოველთა, თითქოს მას მიანდესო ყოველი სოფელი, ისე სთხოვს და ევედრება იგი ყველასათვის ომებისა და ამბოხებების შეწყვეტას, მშვიდობასა და კეთილდღეობას, ყოველგვარი მძიმე განსაცდელის ჟამს, კერძო იქნება ეს თუ საყოველთაო, მსწრაფლ შემწეობას. ამიტომ ყველას, ვისზედაც ლოცულობს, ისე უნდა აღემატებოდეს ყველაფერში, როგორაც წინამძღოლი — თავის მფარველობის ქვეშ მყოფთ. და როცა მოუხმობს სული წმიდას, აღასრულებს საშინელ მსხვერპლშეწირვას და ხშირად მიეახლება კიდეც ყოველთა მეუფეს, მითხარი ერთი, ვის გვერდით დავაყენოთ ეს კაცი, როგორი სიწმიდე და ღვთისმოშიშება უნდა მოვთხოვოთ მას? აბა, დაფიქრდი, რა ხელებმა უნდა აღასრულონ ასეთი მსახურება, რა ენამ უნდა წარმოსთქვას ასეთი სიტყვები, ვისზე (სულზე) სუფთა და ნათელი უნდა იყოს სული, მიმღებელი სული წმიდის ესოდენი მადლისა? ამ დროს ანგელოზები წარუდგებიან მღვდელს, გარს შემოერტყმის სამსხვერპლოს ზეციურ ძალთა მთელი კრებული და ღაღადებს მასზე მდებარეს სადიდებელად. ის მოქმედებენ, რაც მაშინ აღესრულება, საკმარისია ამის სარწმუნებლად.

ოდესღაც ასეთი ამბავი მოვისმინე ერთი კაცისაგან. ხუცესი ყოფილა ერთი, საოცარი კაცი, გამოცხადებების არა ერთხელ მხილველი, მას უამბნია, ერთხელ ასეთი ჩვენების ღირსი გავხდიო: სწორედ ღვთისმსახურების ჟამს უცებ დაუნახავს (რამდენადაც ეს მისთვის შესაძლებელი იყო), სიმრავლე ანგელოზთა, ნათლით ყოფილან მოსილნი, სამსხვერპლოს გარშემო, თავდახრილნი, ვითარცა მოლაშქრენი, მეფის წინაშე წარდგომილნი, ისე მდგარან. მე მჯერა ეს. გარდა ამისა, სხვამაც მიამბო, მავანისაგან მოსმენილი კი არა, არამედ თავად გამხდარა ღირსი იმის დანახვისა და გაგებისა, თუ რა ელის ამ სოფლიდან განსასვლელად მომზადებულს, თუკი ის შეუბღალავი სინდისით ეზიარა წმიდა საიდუმლოს: უკანასკნელი ამოსუნთქვისთანავე თურმე ანგელოზები შემოეხვევიან გარს, წაუძღვებიან აქედან მიმავალს. შენ კი ვერ მოგითმენია და

გინდა ჩემს სულს ესოდენ მძიმე საქმე დააკისრო. ჭუჭყიან სამოსში მყოფს წმიდა საიდუმლოს და მღვდლის ღირსების მონიჭებას მიპირებ. ასეთნი კი ქრისტემ განაგდო თანამოსაუბრეთა საზოგადოებიდან. ისე უნდა ბრწყინავდეს მოძღვრის სული, ვითარცა სხივი, სოფლის მანათობელი. ჩემს სულს კი არაწმიდა სინდისის წყვდიადი აკრავს, იგი მუდმივად ამ ბნელშია ჩაძირული, არ ძალუძს, ოდესმე მაინც შეხედოს კადნიერებით მეუფეს თვისას. მღვდელი მარილია სოფლისა (მთ. 5, 13). შენ უზომოდ გიყვარვარ და შემეჩვიე, მაგრამ ჩემი უგნურება და გამოუცდელობა ყველაფერში შენს გარდა ვინ აიტანოს?

მღვდელი, რომელიც შეიქმნება ღირსი ასეთი დიდებული მსახურებისა, მხოლოდ სუფთა კი არა, ფრიად კეთილგონიერი და ბევრ რამეში გამოცდილიც უნდა იყოს, ერისკაცზე ნაკლებად როდი უნდა იცოდეს საერო ამბები, ამასთან, მთაში მცხოვრებ მონაზონზე უფრო მეტად უნდა იყოს ყველაფრისგან თავისუფალი. და რადგანაც მას უწევს ურთიერთობა კაცებთან, რომელთაც ჰყავთ ცოლები, ზრდიან შვილებს, განაგებენ მონებს, ფლობენ დიდ სიმდიდრეს, აღასრულებენ საზოგადო საქმეებს და მინიჭებული აქვთ ხელისუფლებაც, ამდენად იგი მრავალმხრივი კაციც უნდა იყოს, ვამბობ მრავალმხრივიმეთქი, და არა ცრუ, მზაკვარი და პირფერი, არამედ აღსავსე უდიდესი თავისუფლებითა და გამბედაობით, თუმცა დათმობაც უნდა შეძლოს; მდგომარეობის მიხედვით თავმდაბალიც უნდა იყოს და მკაცრიც. ყველა ქვეშევრდომთან ერთნაირი მოქცევა რა ივარგებს. განა ექიმმა ერთი წამალი უნდა იხმაროს ყველანაირი ავადმყოფის განკურნებისას, ან მენავისთვის ერთი ხერხის ცოდნა კმარა ქარებთან ბრძოლისას?

ეკლესიის ხომალდს გამუდმებული ქარები ააღელვებენ ხოლმე. ეს ქარები მხოლოდ გარედან როდი შემოიჭრებიან, არამედ შიგნითვე აღიძვრიან და ამიტომაც მოეთხოვება მღვდელს უდიდესი ყურადღება და გამბედაობა.

5. ყველა ეს მრავალმხრივი მოქმედება ერთი მიზნისაკენ, ღვთის დიდებისა და ეკლესიის აღშენებისაკენაა მიმართული. დიდია ღვაწლი და შრომა მონაზონისა. მაგრამ ეს შრომა ვინმემ რომ მოძღვრის კარგად წარმართულ შრომას შეუდაროს, იმხელა განსხვავებას იპოვის მათში, რა განსხვავებაცაა მეფესა

და ჩვეულებრივ ერისკაცს შორის. თუმცა, მონაზონთ დიდი შრომა უწევთ, მაგრამ ამ ღვაწლში მონაწილეობს სულიც, სხეულიც, უკეთ რომ ვთქვათ, დიდი ნაწილი სხეულის მეშვეობით სრულდება, და თუ იგი არ იქნა მაგარი, გულმოდგინება გულმოდგინებად დარჩება, საქმედ არ იქცევა. ფიცხელ მარხვას, მიწაზე წოლას, მღვიძარებას, დაუბანლობას, მძიმე შრომასა და ასე შემდეგ, რაც სხეულის მოუძლურებას ემსახურება, უნდა ანებოს თავი, თუკი სხეული არაა მაგარი და ვერ უძლებს განკაფვას. აქ კი წმიდა სულიერი მსახურებაა და ამ სათნოების გამოსავლენად სხეულის სიჯანსაღე არაა აუცილებელი. განა გვიხსნის სხეულის სიმაგრე სიამაყისა, მრისხანებისა და კადნიერებისაგან? ჩვენ ხომ მღვიძარენი, უმანკონი და თავმდაბალნი უნდა ვიყოთ, ხომ უნდა გაგვაჩნდეს ყველა ის თვისება, რაც ნეტარმა პავლემ ჩამოთვალა ჩინებული მოძღვრის დახატვისას (1 ტიმ. 3, 2)?

იგივეს ვერ ვიტყვით მონაზონთა სათნოებების შესახებ. ხალხის წინაშე სანახაობების მომწყობთ ხომ სჭირდებათ თოკი, ბორბლები და ხმლები; სიბრძნისმოყვარეს კი მთელი თავისი მოღვაწეობა სულში აქვს გადატანილი და გარეგნული არაფერი სჭირდება. აქაც ასეა სწორედ. მონოზონს ჯანსაღი სხეული და შესაფერისი საცხოვრებელი სჭირდება, ისეთი, ძალიანაც რომ არ იყოს ხალხისაგან მოწყვეტილი და თან უდაბნოს სიმყუდროვეც გააჩნდეს, თანაც ჰაერის კეთილშეზავებულობაც არ მოაკლდეს, რადგან ისე არაფერი ვნებს მარხვისაგან მოუძლურებულთ, როგორც კეთილშეუზავებელობა ჰაერისა.

6. იმაზე აღარაფერს გეტყვი, თუ როგორ იჭირვიან მონაზონნი სამოსის შეძენაზე, გამოკვებაზე, ისინი ხომ თავად ზრუნავენ საკუთარ თავზე. მოძღვარს კი არ ადგას ეს გასაჭირი, უზრუნველად ცხოვრობს (სამწყსოში), იმ ურთიერთობებით, რომელიც არ ვნებს; შემეცნებულს კი სულის საგანძურში ათავსებს. თუ ვინმე ხალხისაგან განშორებასა და თავის თავში განმარტოებას მიელტვის, ეს თავადაც მოთმინების ნიშნად მიმაჩნია და მაინც, ეს არაა სულიერი მხნეობის დამაჯერებელი საბუთი. მესაჭის ხელოვნება ნათესაყუდელში როდი შეიმჩნევა. მაგრამ თუკი გაშლილ ზღვაში, ქარიშხალში შეიძლებს ვინმე გემის შველას, მასზე ვერავინ იტყვის, არაა მესაჭე ჩინებული.

7. ჰოდა თავის თავთან განმარტოებით მყოფი მონაზონი, რომ არ შფოთავს და ბევრს და მძიმე ცოდვებს არ ჩადის, ამან უზომოდ არც უნდა გაგვაკვირვოს; იგი ხომ განშორებულია ყველაფერს, რაც აღიზიანებს და აშფოთებს სულს. მაგრამ თუ-კი იტვირთებს მთელი ხალხის მსახურებას, თავს იდებს მათი ცოდვების ზიდვას და შეინარჩუნებს სიმტკიცესა და შეურყევლობას და სულის მართვას ღელვის დროსაც ისევე შეიძლებს, როგორც სიმშვიდეში მყოფი, ნამდვილად იქნება ღირსი ტაშისცემისა და სწორედ რომ უნდა გაოცდეს ყველა, რადგან ეს ნათელი დადასტურება იქნება მისი სულიერი მხნეობისა. ამიტომ ნურც შენ გაგიკვირდება მე, მოედნებსა და ხალხთან ურთიერთობებს გაქცეულ კაცს, ბევრი მყვედრებელი რომ არ მყავდეს. რომ არ ვცოდავ, მაგანაც არ უნდა გაგაოცოს, რადგან არ მიომია და რა დამცემდა, არავის შევბმივარ, ვინ დამჭრიდა? მითხარი, ვინ უნდა ამხილოს და გამოაჩინოს ჩემი ბიწიერება, ამ ჭერმა და სენაკმა? მათ ხომ არ შეუძლიათ ლაპარაკი. დედა-ჩემმა, რომელმაც ყველაზე კარგად იცის ჩემი ხასიათი? მაგრამ ჩვენ ხომ სხვადასხვა მისწრაფებების ხალხი ვართ, უთანხმოებაც არასოდეს მოგვსვლია. ასეც რომ ყოფილიყო, გინახავს კი დედა, რომელსაც რაღაც მნიშვნელოვანი მიზეზის გარეშე დაეწყოს საკუთარი შვილის მხილება სხვათა წინაშე? ვინმემ რომ ჩემი სულის გულმოდგინე გამოცდა მოინდომოს, მრავალ სისუსტეს მიპოვნის და ეს შენც, სხვათა წინაშე ჩემს ქებას შეჩვეულმა, კარგად იცი. ამას ყველაფერს სიმდაბლე რომ არ მალაპარაკებს, ამაზე გვქონდა უკვე საუბარი და გაიხსენე, რას ვამბობდი ამის თაობაზე. აკი გეუბნებოდი: ჩემთვის ვინმეს არჩევანი რომ შემოეთავაზებინა, სად ისურვებდი კეთილი სახელის მოპოვებას, სამღვდელო წარმომადგენლობასა თუ მონაზვნობაშიო, ათასჯერ ვირჩევდი-მეთქი პირველს. შენს წინაშე ხომ გამუდმებით შევნატროდი იმათ, ვინაც კარგად შეძლო ამ მსახურების წარმართვა, იმაში კი ალბათ, ვერავინ შემედავება: რასაც ვნატრობდი, რომ შემძლებოდა, არ გავექცეოდი. მაგრამ რა ვქნა? არაფერია ეკლესიის წარმომადგენლობისათვის ისეთი უსარგებლო, როგორაც მცონარება და უზრუნველობა, თუმცა ეს ახლა რაღაც საოცარ ღვაწლადაც კი ითვლება. მე კი ეგ თითქოს ჩემი უვარგისობის კრეტსაბმელა-

დაც მიმაჩნია, რითაც საკუთარ ნაკლოვანებებს ვჩქმალავ, არ ვშვრები მათ გამომჟღავნებას. ვინც ასეთ უმოქმედობასა და დიდ სიმყუდროვეში ცხოვრებას მიეჩვია, კიდეც რომ გააჩნდეს ნიჭი ამ საქმისა, მაგ უმოქმედობისადა გამო ღელავს და შფოთავს, უვარჯიშოდ ტოვებს მას და ამით საკუთარი ძალის არც თუ ისე მცირე ნაწილს წარაგებს. ამასთან ერთად, ჭკუასუსტიცა და მეევრმეტყველების შეჯიბრებაში გამოუცდელიც თუ იქნა, როგორიც მე ვარ, ამ მმართველობის მიღებისთანავე მასა და ქვისგან ნათალ ძეგლს შორის განსხვავება არ იქნება.

ამიტომაა, ასეთ მოღვაწეობას მიდევნებულთაგან ცოტა თუ ტვირთულობს მოძღვრის ღვაწლს და მათი უმრავლესობაც კი უვარგისი აღმოჩნდება ხოლმე; ეცემიან სულით, უსიამო, მძიმე შედეგების განცდა უწევთ და ეს სრულებით არაა გასაკვირი. თუ კაცი მხოლოდ ერთი სახის ღვაწლს ეწევა, სხვაგვარი ღვაწლის წინაშე იგი ისეთივე უძლურია, როგორიც კაცი, რომლისთვისაც უცხოა ყველანაირი ღვაწლი.

მღვდლობის სარბიელზე გამოსულს პატივი განსაკუთრებულად უნდა სძაგდეს, რისხვას უნდა სძლიოს და დიდი კეთილგონიერებით უნდა იყოს შემკული, მაგრამ მარტომყოფელს არ ჭირდება ამაში ვარჯიში. მას არ უწევს ხალხთან ყოფნა, გაღიზიანება მათგან, რომ რისხვის მოთოკვას მიაჩვიოს თავი; არც მაქებარი და ტაშისმცემელი ხალხი აკრავს, ქების უგულებელყოფა რომ ისწავლოს, საეკლესიო საქმეთა საჭირო კეთილგონიერებისთვისაც მცირე შრომა უწევს. ამიტომაა, როცა იტვირთებენ იმ ღვაწლს, რომელიც არ გამოუცდიათ, ვერ სწვდებიან, ბრკოლდებიან, ირევიან და გარდა ამისა, სათნოებას ვერ იძენენ. ბევრს ისიც კი ეკარგება, რაც მოსვლისას ჰქონდა.

8. თქვა ბასილიმ: რა გამოდის, ნუთუ ის ხალხი უნდა დავადგინოთ ეკლესიის მმართველობაში, რომელნიც ერში მიმოიქცევიან, ამსოფლიურ საქმეებზე ზრუნვას გადაგებულნი ვარჯიშობენ ჩხუბსა და შფოთში და უსამართლობით აღვსილნი ფუფუნებას მიელტვიან?

ოქროპირი: ვუთხარი, დამშვიდდი-მეთქი, ნეტარო კაცო. მოძღვრის არჩევისას მათზე ფიქრის გავლებაც კი უჯეროა. ის, ვინც ხალხში იცხოვრებს, ექნება მათთან ურთიერთობა და მრთელი და შეუმღვრეველი სიწმიდის, სიმშვიდის, ღვთისმო-

შიშების, მოთმინებისა და მონაზონისათვის დამახასიათებელი თვისებების დაცვას მარტომყოფებზე მეტად შეიძლებს, ის უნდა ავირჩიოთ. დაყუდებულს, რომც ჰქონდეს ბევრი სისუსტე, დამალავს მათ და ხალხთან ურთიერთობის გარეშე საქმეს შეიძლება არც დააჩნდეს იგი, მაგრამ როცა კი წარდგება ასეთი კაცი ყველას წინაშე, ვერაფერს მიაღწევს იმის გარდა, რომ თავს საცინლად აიგდებს და დიდი საფრთხის წინაშე აღმოჩნდება. ღვთის განგება რომ არა, ჩემს თავს რომ ეგ ცეცხლი აარიდა, მეც იგივე მეწეოდა. ასეთ კაცს რომ გამოჩინებულ ადგილას დაადგნენ ხოლმე, იგი ვეღარ დაიმალება, ყოველთვის მხილებული იქნება. ვითარცა ცეცხლი ლითონს ყველანაირს, ისე გამოცდის ხოლმე სამღვდელო დასი ადამიანთა სულებს, უმალ გამოაჩენს, მრისხანეა, სულმოკლე, პატივმოყვარე, ამაყი თუ სხვა რაიმე ვნება ჰირს; ასე ავლენს ყველანაირ სისუსტეს და არა მარტო ავლენს, უფრო მძიმესა და დაუოკებელსაც ხდის მათ.

ხომაა სხეულის მოწამლული ნაჭრილობევი ძნელად განსაკურნებელი? ასევე, აღგზნებული და გაღიზიანებული ვნება, ჩვეულებრივ, უფრო განფიცხდება ხოლმე და დამონებული უფრო და უფრო დიდ შეცდომაში შეჰყავს. თავის თავის მიმართ უყურადღებო კაცს ისინი პატივმოყვარეობის, მედიდურობის, ანგარების, ფუფუნების, უზრუნველობისა და უდებებისაკენ მიაქცევენ და ნელ-ნელა ითრევენ მათგან ბადებულ ვნებებში.

ხალხში ბევრმა რამემ შეიძლება შეასუსტოს გულმოდგინება სულისა და ღვთისაკენ სწრაფვა. პირველ რიგში, ქალებთან ურთიერთობამ. შეიძლება რომ მოძღვარმა, მწყემსმა, მის ერთ ნაწილზე, მამაკაცებზე იზრუნოს და მეორე, ანუ ქალები, რომლებიც უფრო დიდ ზრუნვას საჭიროებენ, რადგან უფრო მეტად არიან მიდრეკილნი ცოდვისაკენ, უყურადღებოდ დატოვოს? ეპისკოპოსმა, მეტად თუ არა, თანასწორად მაინც უნდა იზრუნოს მათ ჯანმრთელობაზე. თუ ავად არიან, ვალდებულია, რომ მოინახულოს ისინი, თუ იჭირვიან — ანუგეშოს, უდებნი ამხილოს და გაჭირვებულთ შეეწიოს. ამ საქმეების აღსრულებისას კი, ვინაც გულმოდგინედ არ მოიზღუდავს თავს, ეშმაკი თავს დასასხმელად ბევრ გზას მოუნახავს. თავშეუკავებელის

კი არა, უმანკოებადამარხული ქალის მზერაც კი აჩნდება სულს, აშფოთებს მას, ალერსი აცთუნებს, პატივი იმორჩილებს, და სიყვარული მხურვალე, მიზეზი ყოველთა სიკეთეთა, თუ არ იქნა სწორად წარმართული, იქნებ ურიცხვი ჭირის მიზეზადაც იქცეს. ამასთან, ეს გამუდმებული საქმიანობა ტყვიასავით ამძიმებს გონების სიმახვილეს, რომელსაც ფრინველივით უნდა შეეძლოს სიმაღლეებისაკენ ზეაღფრენა, და თუ მოიცვა მრისხანებამ სული, იგი შიგნით ერთიანად გაიკვამლება და დაბნელდება. და ვინ ჩამოთვალოს ყველა ის ავი მოქმედებანი — წყენა, კიცხვა, შენიშვნები მდაბალთა და მაღალთა, გონიერთა და უგუნურთა?

9. მართებულ განსჯას მოკლებული ხალხი განსაკუთრებულად ანგარიშიანები არიან, გამართლებასაც უცებ აღწევენ. კეთილ მოძღვარს არა აქვს მათი შეძულების უფლება, ხალხის ბრალდებებს დიდი თავმდაბლობით მომზადებული უნდა სცემდეს პასუხს — გულისკლებასა და რისხვას სჯობს შეუნდოს მათ უგუნური შენიშვნები. თუკი ნეტარი პავლე გაფრთხილდა, მოწაფეებმა ბრალი არ დამდონო პარვაში და სხვებს მიანდო ფულის გამგებლობა — „ვერიდებით ამას, ნუ ვინმე გუგმობდეს ჩუენ სიმტკიცისა ამისთვის, რომელი იმსახურების ჩუენ მიერ“ (2 კორ. 8, 20), ჩვენ ვითომ რად არ გვმართებს ზრუნვა იმისათვის, რომ თუნდაც ცრუ, განუსჯელი და ჩვენი ღირსებისათვის ერთობ შეუფერებელი ავი ეჭვი ავირიდოთ? ჩვენ ხომ არანაირი ცოდვისაგან არა ვართ ისე შორს, როგორაც პავლე — პარვისაგან. და მაინც, ამ ავი საქმისაგან ესოდენ შორს მყოფი გაფრთხილდა, არ უგულებელყო ხალხის უგუნური და განუსჯელი აზრიც; რადგან ნამდვილად უგნურება იყო ამ ნეტარ და გასაოცარ კაცზე მსგავსი ეჭვის მიტანა. და მიუხედავად იმისა, რომ ეს აზრი განუსჯელი იყო და იგი მხოლოდ გიჟს თუ შეიძლებოდა მოსვლოდა ფიქრად, პავლემ მაინც მოსპო მისი გაჩენის მიზეზები; მას არ შეურაცხუყვია განუსჯელი ხალხი, არ უთქვამს: ვინ იფიქრა ჩემი მსგავს რამეში დადანაშაულება, როცა სასწაულებითა და ჩუმი, მშვიდობიანი ცხოვრების ნირით გავაკვირვე და პატივისცემის გრძნობით განვმსჭვალეთ ყველა? პირიქით, მან შეიცნო და დაუშვა ასეთი ეჭვის გაჩენის შესაძლებლობა და ძირიანად მოთხარა იგი, უფ-

რო სწორედ, მისი გაჩენის საშუალებაც კი მოსპო. რატომ? „რამეთუ წინაჲსწარ განვიზრახავთ კეთილსა, არს ხოლო წინაშე უფლისა, არამედ წინაშე კაცთაცა“ (2 კორ. 8, 21).

ასე და უფრო მეტადაც კი უნდა ვცდილობდეთ ავი ლაპარაკების არა მარტო მოსპობასა და ჩაჩუმებას, არამედ შორიდანვე იმის ცნობასაც, თუ საიდან ჩნდება იგი და არ უნდა ვუცადოთ იმ დროს, სანამ იგი ხალხის ენას მოედებოდეს, იმიტომ, რომ მერე ადვილი აღარაა მისი მოსპობა, ძნელია ერთობ და ალბათ შეუძლებელიც და სახიფათოც, საშიშია: ხალხს არ ვავნოთ რაიმე. მოკლედ, აღარ უნდა გავჩუმდე, რას მივდევ მიუწვეველს? აქაური სირთულეების ჩამოთვლა იგივეა, ზღვის არწყვა რომ მოინდომოს კაცმა. თუკი ის, ვინაც ყველენაირი ვნებისაგან თავისუფალია, რაც სხვათა შორის, შეუძლებელია, სხვისი ცოდვების გამოსწორებისას მაინც უზომო ჭირისათვისაა განწირული, მაშინ საკუთარი სისუსტეების მქონემ, წარმოიდგინე ერთი, რა უძირო შრომა უნდა გასწიოს, რა განსაცდელი უნდა გაიაროს, სხვათა და საკუთარი ვნებების ძლევის მსურველმა?

10. თქვა ბასილიმ: და შენ, ახლა, მარტომყოფელს, განა შრომა და ჯაფა არ გიწევს?

ოქროპირი: ახლაც მიწევს-მეთქი, ვუთხარი. განა შეიძლება ესოდენ მძიმე შრომის მტვირთველი თავისუფალი და უზრუნველი იყოს ღვაწლისაგან? მაგრამ გაშლილ ზღვასა და მდინარეში ცურვა ერთია განა? ამ საზრუნავთა შორისაც იგივე განსხვავებაა. სწორედ რომ შემეძლოს სხვებისათვის რგება რაიმესი, ამას თავადაც ვუსურვებდი ახლა თავს და ჩემი გულმოდგინე ლოცვის საგანიც ეგ იქნებოდა. მაგრამ რაკი არავის შველა არ შემიძლია, როგორმე საკუთარი თავის გამოხსნა თუ შეიძელი ქარიშხლისაგან, ამასაც დავჯერდები.

თქვა ბასილიმ: ნუთუ ეგ მართლა დიდი საქმე გგონია? და საერთოდ, არავის არ გინდა რამე არგო, ისე ფიქრობ სულის ცხონებას?

ოქროპირი: კარგად, სამართლიანად მსჯელობ-მეთქი, ვუთხარი. არც მე მგონია, რომ ვინმემ, ახლობლის გამოხსნისათვის თუ არაფერი გააკეთა, ისე ცხონდეს. უბედურ მონას ტალანტი რომ არ შეუმცირებია, ამან არაფერი არგო. რომ არ

გაამრავლა ტალანტი და არ გაორკეცა იგი, იმან დაღუპა (მთ. 25, 24—30). ისე კი ვფიქრობ, სამსჯავროზე ახლა, როცა მკითხავენ, სხვას რატომ არ უშველეო, უფრო მცირედი სასჯელი მაკმარონ, ვიდრე მაშინ, ასეთი პატივის მიღების შემდეგ უარესი რომ შევიქმნები და პასუხს სხვათა და საკუთარი თავის დაღუპვის გამო რომ მომთხოვენ. როცა ისრაიტელთ დიდი უპირატესობა მიენიჭათ უფლისაგან, მათ მას მერე შესცოდეს უფალს, ამიტომ იმსახურებენ ისინი დიდ სასჯელს თვისთა ცოდვათა გამო, ამიტომ იყო, ასე ძლიერად რომ ამხელდა მათ ღმერთი.

უფალს, წინასწარმეტყველებზე ადრე სურდა ეჩვენებინა, რომ მღვდელთა ცოდვები უფრო მძიმე სასჯელს იმსახურებს, ვიდრე ჩვეულებრივი ადამიანისა და მსხვერპლშეწირვის დადგენისას ბრძანა: მთელი ხალხის ცოდვათა გამოსახსნელი მსხვერპლის ტოლი ზვარაკი შეეწირათ მღვდლის შეცოდებათა გამო (ლევ. 4). ამით ძან დაგვანახა, ნაჭრილობევს მღვდლისას სწორედ ისეთი შეწევნა ჭირდებაო, როგორიც წყლულებს მთელი ხალხისას ერთად აღებულს. ისინი რომ უმძიმესი არ ყოფილიყო, ასეთი შეწევნა არ იქნებოდა საჭირო. ამასთან, ეს ცოდვა თავისთავად კი არაა მძიმე, არამედ იმიტომ, რომ მას მღვდელი, ასეთი დიდი პატივის მქონე კაცი იქმს. მაგრამ რაღა ამ მასხურებაში მყოფ კაცებზე ვლაპარაკობ? მღვდლების ქალიშვილთ, არანაირი კავშირი რომ არა აქვთ მღვდლობასთან, თავიანთი მამებისათვის მინიჭებული პატივის გამო, ერთი და იგივე ცოდვების ჩადენისას გაცილებით მკაცრი სასჯელი ელით, ვიდრე უბრალო ხალხის ქალიშვილთ. მაგალითად, ერთმაც იმრუშა და მეორემაც — პირველს გაცილებით მძიმე სასჯელი ელის, ვიდრე მეორეს (ლევ. 21, 9).

12. ხედავ, რა ძლიერად გვამცნობს უფალი, წინამძღოლს უფრო ძლიერი სასჯელი ელისო, ვიდრე ქვეშევრდომს? მღვდლის ქალიშვილს, სხვა ქალიშვილთაგან განსხვავებით, მამის გამო, უფალი მეტად სჯის, და მასაც, ვინაც ხუცესის ქალი აცდუნა, უფრო მძიმე სასჯელი ელის. და სრულიად სამართლიანადაც, რადგან ვნებული მარტო წინამძღოლი როდი რჩება, არამედ იღუპება მისი შემყურე ყველა სუსტი სულის პატრონი. სწორედ ამის ჩვენება სურდა წინასწარმეტყველს, ეზეკი-

ელს, ამიტომაც განასხვავა ვერძთა და ცხოვართა სამსჯავრო ერთმანეთისაგან (ეზ. 34, 17). ახლა მაინც თუ გახდა შენთვის ნათელი, უმიზეზო რომ არ ყოფილა ჩემი შიში? ნათქვამს ამასაც დავსძენ: სულიერმა ვნებებმა რომ ერთიანად არ დამრიონ ხელი, ამისათვის ახლაც დიდი ჯაფა მიწევს, მაგრამ ამ შრომას როგორღაც ვიტან, ამ ღვაწლს არ გავურბივარ. პატივმოყვარეობა ახლაც შემომიტევს ხოლმე, თუმცაღა ვებრძვი და წინ აღვუდგები, მაგრამ ვაღიარებ: მისი მონა ვარ მაინც. ზოგჯერ ამ დამონებული სულის მხილებასაც ვახერხებ. ახლაც მომეახლებიან ხოლმე მავნე წადილები, მაგრამ ძლიერ ცეცხლს ვერ მინთებენ, თვალი ვერ აწვდის გარედან იმ ცეცხლს საწვავს და იმიტომ. სხვამ რომ ვისიმე ავი ილაპარაკოს და ვუსმინო, მაგისგან თავისუფალი ვარ, მოსაუბრე არავინა მყავს. კედლებს, რასაკვირველია, ლაპარაკი არ შეუძლიათ. რისხვას კი, გარკვეულად, მიუხედავად იმისა, რომ ხალხის გარემოცვაში არ ვიმყოფები, მაინც ვერ გავექეცი. ხშირად, ძლიერად არა, მაგრამ მაინც ამიალებს ხოლმე გულს ურიგო ხალხის, მათი საქციელების მოგონება. ამ ალს იმით ვშრეტ, რომ ვაგონებ ხოლმე თავს, თუ რაოდენ უჯერო და ჭირის მომტანია საკუთარი უდებების დატევება და ახლობელთა ვნებების ჩხრეკა. მაგრამ ხალხში გარეული და მოუსვენრობით შეპყრობილი, გულისთქმების ასეთი შეგონებებით მართვას ველარ შევიძლებ, ძალა აღარ მეყოფა. და ისე, როგორც კლდეებს შორის აქაფებული ნიაღვარი გაიტაცებს ხოლმე კაცს, რომელიც აშკარად წინასწარვე ხედავს იმ განსაცდელს, რომლისკენაც მიექანება და საშველი მაინც ვერაფერი მოუფიქრებია, მეც, ვნებათა ტალღებში მოქცეულს, თუმცა კი შემრჩება გონი მომავალი სასჯელის განჭვრეტისა, რომელიც დღითი დღე გაიზრდება, მაგრამ ახლანდელივით საკუთარ თავში ჩაღრმავებასა და იმ გამძვინვარებული მხეცებისაგან გაქცევას, რიგიანად ველარ შევიძლებ.

მე სუსტი, დიდბუნებოვნებას მოკლებული სული მაქვს და მას ადვილად სძლევენ არა მარტო ეს ვნებანი, არამედ უსაშინლესი მათ შორის — შური, მას არ ძალუძს ქებისა და ძაგების მშვიდი ატანა. პირველი უზომოდ ამედიდურებს, მეორე ურვაში აგდებს. მძვინვარე მხეცები, თუ ისინი ჯანზე არიან, მოწინააღმდეგეებს, განსაკუთრებით კი გამოუცდელებს, ადვილად

სძლევენ. მაგრამ თუ ვინმემ შიმშილით მოაუძლურა ისინი, დაოკებს კიდეც მათ მძვინვარებას და ძალის დიდ ნაწილსაც წაართმევს. ასე რომ, მათთან ბრძოლაში არც თუ ისე მამაცი კაციც კი ივარგებს. სულიერ ვნებებსაც იგივე ჭირთ: ვინც საღი გონების ქვეშ ამყოფებს მათ, აუძლურებს კიდეც ვნებებს, მაგრამ თუ კვებავს, ამით ურთულეს ბრძოლას განიმზადებს და მთელ ცხოვრებას მათ შიშსა და მონობაში ატარებს. რითი იკვებებიან ეს მხეცები? დიდების მოყვარება — პატივითა და ქებით, სიამაყე — ხელისუფლებითა და ბატონობის ზეობით, შური — ახლობელთაგან განდიდებით, ვერცხლისმოყვარება — გამღებელთა სიუხვით, გაუფრთხილებლობა — ქალებთან ხშირი შეხვედრებითა და ფუფუნებით, სხვა კიდევ სხვა რამეთი და ასე.

ხალხში გამოსულს ეს მხეცები ძლიერად დამესხმიან თავს, სულს გამიტანჯავენ, შიშში მომაქცევენ, გამიჭირდება მოგერიება მათი. აქ თუ დავრჩი, დიდი ძალისხმევა კი დამჭირდება მათ მოსარევად, და მაინც, ღვთის მადლით, დაოკდებიან ისინი და ჩემამდე მათი ღრიალის ხმა თუ მოაღწევს. ამიტომაც ვრჩები ამ სენაკში, როგორც კაცი შეუვალი, ურთიერთობებისა და ადამიანების მოძულე და ვითმენ ასეთსა და ამის მსგავს კიცხვას, თუმცა დიდი ხალისით ავიცილებდი მათ, მაგრამ რაკი ამის გაკეთების შესაძლებლობა არ მეძლევა, ვწუხვარ გულშემუსვრილი. ხალხში შეუძლებელია ჩემთვის ნამდვილ უსაფრთხოებაში ყოფნა. ამიტომ გთხოვ, ნუ გაამტყუნებ ესოდენ მძიმე მდგომარეობაში მყოფს, შეიბრალე იგი. თუმცა მე ჯერ კიდევ ვერ დაგარწმუნე. ამიტომაც დროა, ისიც გითხრა, რაც აქამომდე უცნობი იყო შენთვის. იქნებ ზოგს დაუჯერებლადაც მოეჩვენოს, მაგრამ მიუხედავად ამისა, არ შემრცხვება მისი გამხელა. თუმცა ეს სიტყვები უამრავ ჩემს ცოდვასა და უილაჯო სინდისს გამოაჩენს, მაგრამ რაკი მელის სამსჯავრო ყოვლისმხილველი მეუფისა, ხალხისაგან ამის დაფარვამ რა მარგოს? რა დამრჩა გაუმხელელი?

მას შერე, რაც ეს განზრახვა მაცნობე (ეპისკოპოსად არჩევა), შიში და სასოწარკვეთა დამეუფლა, სხეულის ერთიანი დასუსტების საშიშროების წინაშე ვიდექი. რომ წარმოვიდგენდი ქრისტეს სასძლოს სულხერ სილამაზესა და სიწმინდეს,

სიბრძნესა და დიდებულებას, მერე საკუთარი სისუსტეების გახსენებაზე გაუჩერებლად დაეტიროდი მათ, თავს უბედურს ვუწოდებდი, ვკვნესოდი, გაოგნებული საკუთარ თავს ვეკითხებოდი: ვის გაუჩნდა ასეთი აზრი? ასეთი რა შესცოდა ღვთის ეკლესიამ? რით განარისხა მან მეუფე თვისი ისე, რომ შერცხვენისათვის გაიწირა და მე, ყოვლად უღირსს ყოველთა შორის, განსაგებლად მომეცა-მეთქი?

ხშირად ვფიქრობდი ასე ჩემთვის, ვერ ვერეოდი აზრს ესდენ განუსჯელს, დასუსტებულივით მეცლებოდა ძალა. არც რა მესმოდა, ვერც რას ვხედავდი. ეს გაშტერება გამივლიდა (იგი ზოგჯერ ხელს შემიშვებდა ხოლმე) თუ არა, მას ცრემლები და სასოწარკვეთა ცვლიდა. მერე, ხანგრძლივი ცრემლთა დენის შემდეგ კვლავ შიში დამეცემოდა და მაშფოთებდა, მარღვევდა, გონებას მირყევდა. ასეთ ტალღებში გავატარე ის დრო, შენ არაფერი იცოდი, გეგონა კი, ჩემთვის, წყნარად ვცხოვრობდი.

ახლა კი გაგიმხელ მღელვარებას ჩემის სულისას: იქნებ ამის მერე მაინც შეწყვიტო საყვედურები და შემიბრალო. მაგრამ, როგორ, როგორ დაგანახო? ამის ნათლად დანახვა რომ შეძლო, გული უნდა გაგიშიშვლო. მაგრამ რაკიღა ამის გაკეთება შეუძლებელია, ვეცდები, როგორაც შევძლებ, მკრთალად მაინც წარმოგიდგინო წყვდიადი და სასოწარკვეთა ჩემი სულისა.

ვთქვათ, მთელი ამ სოფლის მეფის ქალწული სასძლო შეიქმნა და იგი გამოირჩევა არაჩვეულებრივი სილამაზით, ხოლო ბუნება მისი დიდად აღემატება ადამიანის ბუნებას საერთოდ და ყველა ქალისას, ერთად აღებულს, სულიერი სათნოებით შორს იტოვებს ყველა კაცს, ახლა ცხორებულთა და აწი რომ დაიბადებიან იმათაც, კეთილზნეობა მისი აღემატება სიბრძნისმოყვარების ყველა მოთხოვნას, ხოლო კეთილხატება — ჩრდილში აქცევს ყველანაირი სხეულის მშვენებას. დავუშვათ, რომ ნეფე ამ ქალწულში მხოლოდ ამის გამო კი არაა ასე შეყვარებული, არამედ მასში რაღაც უფრო განსაკუთრებულს გრძნობს და იმდენადაა მიჯაჭვული მასზე, რომ ყველა ვნებიან თაყვანისმცემელს, ვინც კი ოდესმე ჰყოლია ამ ქალს, აღემატება. მერე ისიც წარმოვიდგინოთ, ამ შმაგმა მიჯნურმა უცებ

საიდანღაც შეიტყოს, რომ მის გასაოცარ სატრფოზე ქორწინდება ვიღაც სხვა კაცი და თანაც უბირი, მდაბიო წარმოშობისა, გარეგნულად გონჯი და ყველანაირად უვარგისი.

გასაგებად დაგიხატე ჩემი მწუხარება? განა საჭიროა კიდევ ამ აღწერის გაგრძელება? ვგონებ ჩემი სასოწარკვეთის გაძოსახატავად საკმარისია. ეს მაგალითი მხოლოდ ამიტომ მოგიყვანე. ხოლო ჩემი შიშის საზომისა და გაოცების გამოსახატავად სხვა მაგალითს მივმართავ.

ვთქვათ, ქვეითთა, ცხენოსანთა და მეზღვაურთაგან შემდგარი ჯარია. ვთქვათ, ზღვა დაფარა ურიცხვმა ხომალდმა, ხოლო ველებსა და მთათა მწვერვალებს ცხენოსანთა და ქვეითთა რაზმები მოედო. და ლაპლაპებს მზე ბრინჯაოს იარაღზე, ჩაჩქანებსა და ფარებზე ირეკლებიან სხივები და ცას სწვდება ფლოქვთა ცემისა და ჭიხვინის ხმა; ვთქვათ, აღარაფერი ჩანს ქვეყნად ბრინჯაოსა და რკინის გარდა, არცა ზღვა, არცა მიწა. და ვთქვათ, დაიძრა მათ წინააღმდეგ — ხალხი ველური და დაუოკებელი. ვთქვათ, კიდეც დადგა ჟამი ბრძოლისა. მერე ვინმემ რომ მოიყვანოს სოფელში გაზრდილი ყრმა, რომელსაც არაფერი უნახავს და ხელში არაფერი სჭერია სტვირისა და არგანის გარდა, და შემოსოს იგი ბრინჯაოს აბჯრით, ჩაატაროს რაზმების წინ, აჩვენოს რაზმები მეთაურებითურთ, მეისრეები, მეშურდულეები, სარდლები, და მხედართმთავრები, მძიმედ შეიარაღებული მეომრები, მხედრები და შუბოსნები, ხომალდები თავისი მეთაურობით, უამრავი მეომრითა და შიგ ჩაწყობილი საჭურველით, ვთქვათ, მერე აჩვენონ მას მოწინააღმდეგეთა რაზმები, დაწმასნილ ფლატეებსა და მიუდგომელ მთებზე განლაგებული მრისხანე სახის ხალხი, მათი საჭურველი და იარაღის დიდი მარაგი. ცხენები მათი, ჯადოსნური მფრინავი ცხენების დარი, მეჭურჭლეთუხუცესნი მათნი, თითქო ჰაერში მოარულნი, რომელთაც ყველანაირი ძალის და სახის ჯადოსნობის უნარი შესწევთ. დავუშვათ, რომ მას მერე ომის ყველა საშინელება უამბონ: ღრუბლები შუბთა და ისართა, ნატყორცნი ისრებისაგან გაჩენილი წყვდიადი და სიბნელე, დაჩრდილული მზის სხივები, ღამე უკუნეთი, მტვერი, თვალთა დამთხრელი, უფროის ბნელისა, ნიაღვარი სისხლისა, კვნესა დაცემულთა, გოდება ფეხზე დარჩენილთა, მკერდნი დაცემულთა, სისხლში ამოვლე-

ბული ბორბლები, უმხედრებოდ დარჩენილი ცხენები, ურიცხვი გვამების შემყურე ხალხის თავბრუსხვევა და დაცემა მიწაზე, სადაც ყველაფერი, სისხლი, მშვილდი და ისარი, ფლოქვები ცხენებისა, თავები ადამიანებისა, ხელი, ფეხი, წვივი, კისერი და მკერდი განგმირული, ხმალზე შემხმარი ტვინი კაცისა, გადატეხილ ხმლებზე წამოგებული თვალები ადამიანისა — ერთმანეთშია არეული. ვთქვათ, ზღვის ბრძოლის უბედურებანიც ჩამოუთვალონ: შუა წყალში მდგარი ცეცხლმოდებული და ჩაძირვის პირას მისული ხომალდები, მათზე მყოფი მეომრები, მეხომალდეთა ყვირილი, ტალღების შხუილი, მებრძოლთა გოდება, ხომალდს მოხეთქილი, ზღვის აქაფებული ადამიანის სისხლით ნაღები ტალღები, გვამებით მოფენილი გემბანები, ხომალდებისათვის გზის ჩამხერგავი, დახრჩობის პირზე მისული, ნაპირისაკენ მოსროლილი, ტალღებზე მოფართხალე მეზღვაურები, ნათლად რომ წარმოუდგენენ ომის ყველა საშინელებას, დავუშვათ, რომ ტყვეობის, მონობის, მძიმე რომაა ყველანაირ სიკვდილზე, იმის უბედურებაც უთხრან და ამის მერე, ყველაფერს რომ უამბობენ, უბრძანონ, ამ წამსვე შეჯექით ცხენზე და თავს იდეთ ამ ჯარების მეთაურობა. როგორ გგონია, ეყოფა კი ძალა იმ ყრმას, ეს ამბები ბოლომდე მოისმინოს და იქვე, ყველაფრის დანახვის მერე, სული არ განუტევოს?

13. არ გეგონოს, საქმეს სიტყვებით ვაზვიადებდე. ეს მხოლოდ გეჩვენება ასე და ისიც იმიტომ, რომ ჩვენ სხეულში, როგორაც სატუსაღოში, ისე ვართ გამომწყვდეულნი და უხილავთაგან არ ძალგვიძს რაიმეს ხილვა. ჩემი ნათქვამი გადაჭარბებულად ნუ მოგეჩვენება. ოდესმე რომ შენი თვალით განახა მოქურუხებული გალაშქრება და გამძვინვარებული ტაკება ეშმაკისა, ისეთ დიდსა და შემაძრწუნებელ ბრძოლას იხილავდი, რომელთანაც ჩემს მიერ აღწერილი არაფრად მოგეჩვენებოდა. აქ არც რკინაა, არც ბრინჯაო, არც ცხენი და ეტლი, არც ცეცხლი და ისარი და არც მათი მსგავსი საგნები, არამედ სხვა, ჩამოთვლილზე გაცილებით საშიში საჭურველია. ამ მტერს არც აბჯარი უნდა და არც ფარი, არც ხმალი, არც შუბი, სულის მოსაწყველად კი ამ ჯარის ერთი სახეობაც კმარა, თუკი არ იქნა სული მხნე და უპირველეს ყოვლისა, თავად სიმხნე მისი,

ღვთის განგებით განმტკიცებული, რომ შეიძლებოდეს განშარ-
ცვა სხეულისა ანდა მასშიგე სუფთად და უშიშრად საკუთარი
თვალებით ეშმაკის აღლაშქრების დანახვა, სისხლის ნიაღვარსა
და უსულო გვამებს კი არა, სულთა უმოწყალო გვემასა და მის
იარებს იხილავდი და ჩემს მიერ აღწერილი ომი, ახლა რომ
გისურათებდი, ბავშვურ თამაშად, უმალ გასართობადაც კი მო-
გეჩვენებოდა, ვიდრე ომად: იმდენად უამრავნი არიან ძლეულ-
ნი ყოველდღე! ამ ჭრილობებს ისეთი სიკვდილი როდი მოს-
დევს, როგორიც სხეულისას, არამედ რამდენადაც სული გან-
სხვავდება სხეულისაგან, იმდენად ის პირველი სიკვდილი —
მეორისაგან. დაჭრილი და დაცემული სული სხეულივით უგ-
რძნობლად როდი გდია, არამედ აქვე ეწამება სინდისის ქენ-
ჯნისაგან; განსვლისას კი განისჯება და მარადიულ ტანჯვას მი-
ეცემა. ვინმე თუ ეშმაკისაგან მოწეული ჭრილობის ტკივილს
არ გრძნობს, ამ უგრძნობლობით უფრო დიდ უბედურებას გა-
ნუმზადებს თავს. რადგან პირველი იარის ვერგანმცდელს მა-
ლე მოეწევა მეორეცა და მესამეც. უწინდელი იარების უგუ-
ლებელმყოფელსა და უზრუნველ კაცს უწმიდური ბოლო ამო-
სუნთქვამდე მისდევს დასაცემად. მისი მტერობის სახეობათა
გაგებას თუ მოინდომებ, ნახავ, რარიგ ძლიერი და მრავალფე-
როვანია ისინი. არავინ იცის, სიცრუისა და მზაკვრობის იმდე-
ნი სახე, რითაც იგი ამ ძლიერებას იძენს, როგორაც ამ არაწმი-
დამ. არავის ძალუძს ისეთი შეურიგებელი მტრობა თავისი
უბოროტესი მტერისა, როგორც მას, ამ მზაკვარ ეშმას ადამის
მოდგმისას. ახლა ის გულმოდგინებაც რომ დაგვანახა, როგო-
რითაც იგი ამ ბრძოლას ეწევა, ამ მხრივ ხომ მართლაც სასა-
ცილო იქნებოდა მისი ადამიანთან შედარება. ვინმემ რომ ყვე-
ლაზე მძვინვარე და სასტიკი მხეცი ამოირჩიოს და იგი მის
განცოფებას შეუდაროს, ნახავს, რაოდენ მშვიდი აღმოჩნდა
პირველი მასთან შედარებით. ისეთი მძვინვარება ამოძრავებს
მას ჩვენი სულების წინააღმდეგ! ეგეც არ იყოს, ის ბრძოლები
(ადამიანთა შორის), ხანმოკლეა და ბევრი შესვენებებიც ახ-
ლავს თან. ჩამოღამება, მოქანცვა ბრძოლისაგან, საკვების მი-
ღება და სხვა ყველა დანარჩენი, ჩვეულებრივ ასვენებს მებრ-
ძოლს, მას ეძლევა იარაღის მოხსნის, საკვებითა და სასმელით
ან სხვა რაღაცით გადახალისების საშუალება, რაც ძალების აღ-

დგენას ემსახურება. მაცდურთან ბრძოლისას, თუკი იარების აცილება გსურს, ძილი და საჭურვლის მოხსნა არ იქნება.

ორიდან ერთი უნდა ირჩიოს კაცმა უსათუოდ: ან უნდა აიყაროს იარაღი, დაეცეს და დაიღუპოს, ან სულ შეიარაღებული უნდა იყოს და იფხიზლოს. ეს მტერი მუდამ საჭურველასხმულია, ჩვენს უზრუნველობას უთვალთვალებს და გაცილებით მეტს ზრუნავს ჩვენი დაღუპვისათვის, ვიდრე ჩვენ — საკუთარი ცხოვრებისათვის, ვინც მუდმივად არ ფხიზლობს, მას განსაკუთრებულად იმიტომაც უჭირს მტერთან ბრძოლა, რომ იგი უხილავია და დაცემაც უეცრად იცის (ამით მას მეტი ვნებაც ძალუძს). და შენ ის გინდოდა, რომ ქრისტეს ლაშქარს ამ ბრძოლაში მე წავძღოლოდი? თუკი ის, ვისაც ყველას პატრონობა და მართვა ევალება, მათზე სუსტი და გამოუცდელი იქნა, მინდობილ ხალხს თავისი გამოუცდელობით ეშმაკის გზას გაუყენებს. ასეთი კაცი ქრისტეს კი არა, ეშმაკს უდგება მსახურად. რას ოხრავ, რა გატირებს? ტირილი კი არა, რაც მოხდა, იმის გამო მხიარულება და სიხარული გვმართებს.

თქვა ბასილიმ: კი, მაგრამ, ჩემი მდგომარეობის გამო, შენგან განსხვავებით, მე უზომო მწუხარება მმართებს. რადგან უკეთ მხოლოდ ახლა შევიტყვე, რა განსაცდელშიაც მომაქციე. შენს მყვედრებლებს რა ვუპასუხო-მეთქი, იმის გასაგებად მოვდიოდი. შენ კი მიშვებ და ახალ საზრუნავს მკიდებ ძველის ნაცვლად. ახლა იმას კი არ ვწუხვარ, შენს მაგივრად იმათ რა პასუხი გავცე, არმედ იმას, საკუთარი თავისა და ცოდვების გამო ღმერთთან როგორ ვაგო პასუხი. გთხოვ და გევედრები, ოდნავ თუ მაინც გენაღვლები „რაოდენი რაჲ ნუგეშინისცემაჲ არს ქრისტეს მიერ, და რაოდენი ნუგეშინისცემაჲ სიყუარულისაჲ სულისაჲ, რაოდენი რაჲ მოწყალებაჲ და წყალობაჲ“ (ფილ. 2, 1) (რადგან თავად იცი, ყველაზე მეტად შენი გამოისობით მოვექეცი ამ განსაცდელში), ხელი გამომიწოდე, რაც კი გამამხნევებს, ყველაფერი გააკეთე, ყველაფერი მითხარი. მცირე ხნითაც არ მისცე თავს ჩემი მიტოვების უფლება; ეცადე, რომ ეს ცხოვრება უწინდელზე იმაზე უფრო დიდ მეგობრობაში, შენთან ერთად განვლიო.

ოქროპირი: ღიმმორეულმა ვუთხარი: რითი უნდა დაგეხმარო ასეთი ზრუნვის მტვირთველს, რა უნდა გარგო? მაგრამ რა-

კილა ასე გსურს, სასოს ნუ წარიკვეთ, ჩემო ნეტარო. ყოველთვის, როცა კი საქმეებისაგან განთავისუფლებულს დასვენების საშუალება მოგეცემა, შენს გვერდით ვიქნები, განუგეშებ, თუ რამე შემეძლება, არაფერს დავიშურებ.

ამაზე უფრო ატირდა, წამოდგა, წამოვდექი, მოვეხვიე, თავზე ვეამბორე, გაცილებისას ვარიგებდი, მოწეულს მბნედ დახვედროდა. მწამს ქრისტესი, რომელმაც მოგიწოდა და მოგანდო ცხოვარნი თვისნი, ისეთ კადნიერებას მოიპოვებ ამ მსახურებით, რომ მეც ამ ქვეყნიდან გასულს, იმ განსაცდელში მყოფს, მარადიული სავანისაკენ შენ წამიძღვები-მეთქი.

თარგმნეს მანანა ჩიქვანაიამ და
რუსიკო ბუაჩიძემ.

შენიშვნა: იოანე ოქროპირის ეს ექვსი სიტყვა „მღვდლობის შესახებ“ 1842 წელს „სლავენ-როსიულისაგან“ უთარგმნია მღვდელ-მონაზონს, ტარასი ალექსიშვილს (ალექსი-მესხიშვილს). თარგმანის ავტორისეული ნუსხა — A — 286, ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება. ჩვენ გავეცანით ამ ხელნაწერს, მაგრამ მას თარგმნისას არ დაესესხებიეართ.

წმ. ისააკ ასური

ქრისტიანულმა სამყარომ წმიდა ისააკ ასურის ცხოვრების შესახებ მხოლოდ მისი გარდაცვალებიდან ათასი წლის შემდეგ შეიტყო. მანამდე კი, მარტოოდენ მისი თხზულებები იყო ცნობილი, რომლებიც მრავალ ენაზე ითარგმნებოდა. 1719 წელს რომში გამოქვეყნდა ანონიმური არაბი ავტორის მიერ ძალზე მცირე ცნობებისაგან შემდგარი ღირსი მამის ცხოვრების აღწერა, რომელიც მოგვითხრობს, რომ ისააკი თავის ძმასთან ერთად დასახლებულა ქალაქ ნინევიის მახლობლად მდებარე მარ-მათეს* მონასტერში. ძმები გასაოცარი სიბრძნითა და მაღალი მოღვაწეობით გამოირჩეოდნენ. წმ. ისააკის ძმა არჩეული იქნა მონასტრის წინამძღვრად, ხოლო ისააკი უდაბნოში განმარტოვდა და მთლიანად მდუმარებასა და ლოცვას მიეცა. თუმცა ძმამ არაერთხელ მოუწოდა მონასტერში დაბრუნებულიყო, მაგრამ მისი გადაწყვეტილება მტკიცე აღმოჩნდა.

დროთა განმავლობაში ღირსი ისააკის სიბრძნემ და წმიდა ცხოვრებამ შორს გაითქვა სახელი. ხალხის თხოვნით იგი ნინევიის საეპისკოპოსო კათედრაზე ავიდა, მაგრამ ქალაქელთა უზნეობამ და დაყუდებული ცხოვრების მძაფრმა სურვილმა აიძულა დაეტოვებინა ნინევია და კვლავ უდაბნოში განმარტოებულიყო, სადაც სიკვდილამდე ღმრთისათვის სათნო ცხოვრებას ეწეოდა.

ყოველივე ამას 1896 წელს, მას შემდეგ რაც ფრანგმა მეცნიერმა აბატმა შაბომ VIII საუკუნის სირიელი ავტორის ბასრის ეპისკოპოს იუზედენის თხზულება გამოაქვეყნა, დაემატა კიდევ რამდენიმე ცნობა წმიდა ისააკ ასურის შესახებ. იუზედენი მოგვითხრობს, რომ ანტიოქიის პატრიარქმა გიორგიმ (680 წ. ც — „ბეფ-აბეს“ მონასტერში ღირსი ისააკი ნინევიის ეპისკოპოსად აკურთხა. წმინდანმა მხოლოდ ხუთი თვე დაჰყო საეპისკოპოსო კათედრაზე, შემდეგ კი, ყველასათვის გაურკვეველი მიზეზებით უდაბნოს მისცა თავი და მატუს მთაზე

---

* — „მარ“ — ნიშნავს ბატონს, მეუფეს; ამ ტიტულით აღმოსავლეთში მოიხსენებიან ეპისკოპოსები და წმიდა ცხოვრების მოსაგრეები.

დასახლდა. იგი ისეთი გულმოდგინებით სწავლობდა საღმრთო წიგნებს და იმდენად მკაცრად მარხულობდა, რომ დაბრმავდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ნაყოფიერი ლიტერატურული მოღვაწეობა არ შეუწყვეტია. მის ნაკარნახევსა და მადლშემოსილ შეგონებებს გადამწერი ბერები იწერდნენ.

წმ. ისააკ ასურის მარხვაზე მოგვითხრობენ, რომ იგი მთელი კვირის განმავლობაში მხოლოდ სამი მომცრო პურითა და მცირეოდენი ბალახით იკვებებოდა. მოხარშულს საერთოდ არაფერს იკარებდა.

ღირსი ისააკ ასური უდიდესი მასწავლებელია ბერ-მონაზონობისა. სწავლება ჭეშმარიტი სულიერი ცხოვრების შესახებ მის თხზულებებში უმაღლეს მწვერვალს აღწევს, რაც ნაყოფია დაყუდებული ცხოვრების უმდიდრესი გამოცდილებისა. მისი მემკვიდრეობიდან ცნობილია შვიდტომეული „სულით ხელმძღვანელობის, საღმრთო მჭვრეტელობის, სამსჯავროსა და კეთილმსახურების შესახებ“. ქართულ ენაზე წმ. ექვთიმე ათონელის მიერ ნათარგმნია ისააკ ასურის „სამოღვაწეო თავნი“. ქვემოთ გთავაზობთ რამდენიმე სიტყვას ღირსი ისააკის ნაწერებიდან, რომლებიც წმიდა ასკეტურ ხასიათს ატარებენ და მხოლოდ ბერ-მონაზონთათვისაა განკუთვნილი. მათი გამოქვეყნების მიზანია მკითხველი გაეცნოს მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლებას ჭეშმარიტი მისტიკისა და ასკეტური ცხოვრების შესახებ, ჩაიხედოს ამ სამყაროს უკიდეგანო სიღრმეში და შეიგრძნოს მისი საოცარი სურნელება.

სიტყვა მერვე

იმის შესახებ, რომ უნდა ვერიდოთ დახსნილ და უდებ ადამიანებს, რამეთუ მათთან დაახლოებას ჩვენში შემოაქვს იგივე დახსნილობა და უდებება, და ყოველგვარი არაწმიდა ვნებები. აგრეთვე იმის შესახებ, რომ უნდა ვერიდოთ ჭაბუკებთან ურთიერთობას, რათა ჩვენი გონება უჯერო გულისსიტყვებით არ წაიბილწოს.

ვინც თავის ბაგეს ცილისწამებით არ ბილწავს, ის გულს ვნებებისაგან იცავს. ხოლო ვინც გულს ვნებებისაგან განწმენდს, ის ყოველჟამ ხედავს უფალს. ვინც გონებით მუდამ ღმერთთანაა, ის თავისი თავისგან ეშმაკებს განასხამს და მათი უკეთურების თესლს აღმოფხვრის. ვინც მუდამ ყურადღებით ადევნებს თვალს თავისი სულის მოძრაობებს, მისი გული უფლის გამოცხადებებით ხარობს. ვისაც გონება თავს შიგან აქვს შემოკრებილი, ის თავის თავში სული წმიდის ბრწყინვალებას იხილავს. ვინც თავი დაიცვა გონება-გაფანტულობისაგან, ვინც მოიძულა განცხრომა, ის თავის მეუფეს თავისავე გულში ხედავს. თუ გიყვარს სიწმინდე, ნურავის განიკითხავ, ნურც ნურავის ცილს სწამებ და ნურც ძმის შემასმენელს უგდებ ყურს. თუ შენს თვალწინ სხვები დაობენ, ყურებზე ხელი აიფარე და გაიქეცი, რათა მრისხანების სიტყვები ვერ გაიგონო და სული შენი სიკვდილისაგან იხსნა. მრისხანე გული ღმრთის საიდუმლოებებს ვერ იტანს, ხოლო მშვიდი და მდაბალი — მომავალი საუკუნის საიდუმლოთა წყაროა.

თუ განწმენდილი ხარ ვნებათაგან, მაშინ შენშია ცა და ამ ცაში ხედავ ანგელოსებს, ნათლით შემოსილებს, და მათთან ერთად მეუფეს მათსას. ვისაც ღირსეულად აქებენ, იმას არ ეკვნებს ქება, მაგრამ თუ კაცი ტკბება ქებით, ის ზეციურ ჯილდოს აკლდება. საუნჯე მდაბლისა მის შიგნითაა, და ეს საუნჯე არის უფალი ჩვენი. ვინც თავის ენას იცავს, არასოდეს გახდება მისი მსხვერპლი. მდუმარე კაცის გონება უფლის

საიდუმლოებებს ჭვრეტს, ხოლო სიტყვამრავალი თავს განაშორებს შემოქმედისაგან. (თუ გული არა გაქვს წმინდა, ბაგე მაინც დაიცევ წმინდად). (სულიერ ძმებთან ხანგრძლივი საუბარიც ავნებს კაცს, ხოლო ერისკაცის მარტო დანახვაც კი შეაშფოთებს სულს).

კეთილი სული მზეზე უმეტეს ბრწყინავს და ყოველყაქს უფლის გამოცხადებათა ხედვით ხარობს. ვინც შეუდგება ღმრთის მოყვარე კაცს, ის ღმრთის საიდუმლოებებით გამდიდრდება, ხოლო ვინც უსჯულო და ამპარტავან კაცსაა აყოლილი, ის განეშორება ღმერთს და მოძულებული იქნება ძეგობრებისგან. მდუმარე კაცი სიმდაბლეს მოიგებს და ადვილად სძლევს ვნებებს. ვნებები განიდევნებიან ღმერთის მუდმივი ხსენებით, ესაა მახვილი, შემმუსრველი ვნებათა. როგორც წყნარ ზღვაში ისმის დელფინის ცურვისა და დგაფუხის ჩქამი, ისევე ირეკლება მრისხანებისა და გაღიზიანებისაგან განთავისუფლებულ გულში უფლის საიდუმლოებები და გამოცხადებები.

ვისაც სურს ხილვა უფლისა, განიწმინდოს გული მარადის მისი ხსენებით, და განათლებული გონებით ყოველყამს იხილავს ღმერთს. რაც წყლიდან ამოგდებულ თევზს ემართება, იგივე მოსდის გონებას, რომელიც ღმერთზე ფიქრს თავს ანებებს და ამქვეყნიური ზრუნვა შეიპყრობს. რამდენადაც განეშორება კაცი ადამიანებთან ურთიერთობებს, იმდენად ხდება ღირსი თავისი გონებით ღმერთთან კადნიერი საუბრისა, და რამდენადაც უარყოფს ამსოფლიურ ნუგეშინისცემას, იმდენადვე ხდება ღირსი სული წმიდის მიერ მინიჭებული საღმრთო მადლისა. და როგორც თევზები კვდებიან უწყლობით, ისევე კვდება ღმერთის ხსენება იმ ბერის სულში, რომელიც ხშირად ესაუბრება ერისკაცებს.

საერთო და ყოფით ამბებში გართული, მაგრამ ჭირთამთმენი ერისკაცი სჯობს ასევე ჭირთამთმენ ბერს, რომელიც საერო საქმეებითაა დაკავებული. ვინც მხურვალე მოშურნეობით დღედაღამ ეძიებს ღმერთს თავის სულში და ცდილობს აღმოფხვრას მასში ეშმაკისაგან დანერგული გულისსიტყვანი, ის საშინელია ეშმაკებისთვის და სათნო — ღმრთისა და მისი ანგელოზებისთვის. ვინც წმინდაა გულით, იმას გონების ად-

გილი თავისსავე თავში აქვს, მის შიგნით მბრწყინავი მზე არის ნათელი ყოვლადწმიდა სამების, ჰაერი, რომლითაც ასეთი ადამიანი სუნთქავს, არის ნუგეშინისმცემელი და ყოვლად წმიდა სული, მის თანა მკვიდრობენ წმიდა და უხორცო ბუნებანი — ანგელოზნი, ხოლო ცხოვრება და სიხარული მისი არის ქრისტე, ნათელი ნათლისაგან — მამისაგან. ასეთი კაცი მარადის იხარებს თავისი სულის ხედვით, და უკვირს მშვენიერება მისი, რომელიც ასჯერ აღემატება მზის ბრწყინვალებას. ესაა ზეციური იერუსალიმი და სასუფეველი ღმრთისა, რომელიც, უფლის თქმით, ჩვენშია დაფარული (ლუკა, 17, 21). ეს ადგილი არის ღრუბელი უფლის დიდებისა, რომელშიც შევლენ მხოლოდ წმიდანი გულითა, რათა იხილონ სახე თავიაანთი მეუფისა და განათლდნენ უფლისმიერი ნათლით.

ხოლო ვინც მრისხანეა და დიდებისმოყვარე, ნაყოვანი და ანგარი, ერისკაცებთან აღრეული, თავისი ნების აღმასრულებელი, ფიცხი და ენებებით სავსე — ყველა ესენი ისევე არიან დაბნეულნი, როგორც წყვდიადში მებრძოლნი და ბნელში ვლენან, რამეთუ სიცოცხლისა და სინათლის წყაროსაგან უცხო იქმნენ, რამეთუ ეს წყარო არის კეთილთა, მდაბალთა და გულით წმიდათა წილხვედრი. ვერ ძალუძს კაცს იმ მშვენიერების ხილვა, რომელიც მის შიგნითაა დაფარული, ვიდრე არ მოიძულებს და არ შეურაცხყოფს ყოველივე გარეგანს და ვერ შეძლებს ღმერთის ხილვას, ვიდრე სრულიად არ უარყოფს ამ სოფელს. ვინც არარად შერაცხავს თავის თავს, იმას განაბრძნობს უფალი, ხოლო ვისაც თავი ბრძნად უჩნს, იგი ღმრთაებრივი სიბრძნისაგან განდგომილია. ოდეს ვდუმვართ, გვინათდება გონება და გულისსიტყვათა გარჩევის ნიჭი გვეძლევა, ფუჭსიტყვაობით კი, ყველაზე დინჯი გონებაც ადვილად იფანტება.

ვინც ამსოფლად ნებსით გლახაკობას თავს იდებს, იმას ღმერთი თავის სიმდიდრეს უწყალობებს, მდიდართა მეგობარი კი ღმრთის ნუგეშინისცემას მოაკლდება. ვინც წმინდაა ხორცით, მდაბალი გონებით, მოძულე კადნიერი საუბრისა და ურისხეველი, (ვინც განიშორა გულისწყრომა) იგი, მე მწამს, დაიწყებს თუ არა ლოცვას, მაშინვე იხილავს თავის სულში სული წმიდის ნათელს, მხიარულია მხედველი ამ ნათლის დი-

დებისა, აგრეთვე საკუთარი თავის შეცვლისა და ამ დიდებასთან მიახლოებისა. არ არსებობს რაიმე სხვა საქმე, რომელიც ისე განასხამდეს არაწმიდა სულთა მხეცრობებს, როგორც უფლისმიერი ჩვენება.

ერთმა მამამ მიამბო: „ერთ დღეს ვიჯექი და უეცრად ჩვენება ვიხილე. როდესაც გონს მოვედი, ღრმად ამოვიოხრე. იქვე მდგომი ეშმაკი, ამის გამგონე, შეშინდა, მეხნაკრავივით წამოხტა, ყვირილი აღმოხდა და გაქცევით უშველა თავს, თითქოს ვიღაც მისდევდაო“.

ნეტარ არს კაცი, რომელსაც ახსოვს თავისი ამსოფლით განსვლა და განეშორება ყოველგვარ შვებას, რამეთუ მრავალჯერ მეტ ნეტარებას მიიღებს იმქვეყნად, და ეს ნეტარება არასოდეს მოაკლდება. იგია ღმრთისაგან შობილი, სული წმიდაა მისი მასაზრდოებელი, სული წმიდისაგან ისრუტავს მომავალი ცხოვრების სიტკბოს, და გულს უხარებს მისი სურნელება. ხოლო ვინც მიჯაჭვულია ამ სოფელს, ვინც ერისკაცებთანაა აღრეული, ვისაც უყვარს მოსვენებით ყოფნა და ამაო საუბარი, ის მკვდარია სულიერად, და მე აღარც კი ვიცი, რა გითხრათ ასეთ კაცზე, ისღა დამრჩენია, უნუგეშო ცრემლი დავღვარო მისთვის და ჩემი გოდების ხმა მივაწვდინო მათ, ვისაც მოსმენა ძალუძს.

ჰე, ბნელში მსხდომნო, აღემართენით, დაე ნათელი მოეფინოს თქვენს სახეებს! გადაიგდეთ ამსოფლიურ ვნებათა უღელი, რათა მიირქვათ ნათელი, მამისაგან გამომავალი, დაე, უფლის საიდუმლოთა მსახურებმა დახსნან თქვენი ბორკილები და მამისაკენ სავალი გზა მიგითითონ! ვაიმე, რითი ვართ შეკრულნი, რა გვიშლის ხელს, რომ ვიხილოთ ნათელი და დიდება ღმრთისა? დაგვცვივდეს მაინც ეს ბორკილები, რომ მოვიძიოთ და ვიპოვოთ ღმერთი!

თუ კაცთა საიდუმლოებების ცნობა გწყურია და ჯერ არ მიგიღწევია იმისათვის, რომ სული წმიდის ძალით გაიგო ისინი, ამ ადამიანთა ცხოვრების წესის მიხედვით შეგიძლია გულისხმაჰყო: ვინც წმინდაა გულით და უბიწოდ ცხოვრობს, ის მუდამ მოწიწებით წარმოთქვამს უფლის სახელს, და თავისი საზომის შესაბამისად მსჯელობს ღმრთაებრივ საგნებზეც და

საკუთარ თავზეც. ხოლო ვისაც გული ვნებებით აქვს შესვარული, იმის ენასაც ვნებები წარმართავს სულიერ საგანზეც რომ მსჯელობდეს, ვნებების გავლენით ლაპარაკობს და სურს, რადაც არ უნდა დაუჯდეს, ძლევა მოიპოვოს თავისი სიცრუით. კაცი ბრძენი ერთი შეხედვით ცნობს ასეთ ადამიანს, და გულით წმინდას მაშინვე სცემს მისი მყრალი სუნი.

მემრუშეა ის, ვინც სულითა და ხორცით ამაოსმეტყველებასა და გონება-გაფანტულობას ეძლევა. ვინც მას ეთანხმება და თანამონაწილედ უხდება, იგია თანამემრუშე, ხოლო მას, ვინც მათთან ურთიერთობას არ იშლის, კერპთმსახურის სახელი შეჰფერის. ჭაბუკებთან მეგობრობა არის მრუშობა, რომელიც საძაგელია უფლის წინაშე. ასეთი კაცის საკურნებელი მალამო არ არსებობს. ხოლო ვისაც ყველა ერთნაირად, განურჩევლად უყვარს თანაგრძნობის გამო, იმან უკვე სრულყოფას მიაღწია. როცა ჭაბუკი ჭაბუკსაა აყოლილი, კაცი ბრძენი, მათი შემხედვარე, ტირის და ჰგოდებს, ხოლო თუ ბერიკაცი აჰყვა ჭაბუკს, მისი ვნება ჭაბუკის ვნებაზე უმყრალესი ხდება. სათნოებებზეც რომ მსჯელობდეს, გული მისი მოწყლულია. ჭაბუკი, თუ იგი თავმდაბალია და დუმილის მოყვარე, თუ გული გაწმენდილი აქვს შურისა და მრისხანებისგან, თუ ერიდება ადამიანებს და ყურადღებით აკვირდება თავის თავს, მალე მიხვდება დახსნილი ბერიკაცის ვნებებს. ხოლო თუ ბერიკაცი ერთნაირად არაა განწყობილი ჭაბუკისა და ასაკოვანის მიმართ, მასთან ურთიერთობას მოერიდე და, რაც ძალი და ღონე გაქვს, გაექეცი.

ვაი მათ, ვინც თავს სხვაგვარად აჩვენებს და სიწმინდის საფარველქვეშ საკუთარ ვნებებს ატარებს. ვინც სიბერეს მიაღწია და უპყრია გულისსიტყვათა სიწმინდე, ცხოვრების კეთილი წესი და ენის დამჭირვა, ის უკვე ამსოფლად ტკბება სულიერი გულისხმისყოფის ნაყოფით, ხოლო ამსოფლით განსვლის შემდეგ ღმრთაებრივ დიდებას მოიხვეჭს.

ისე ძლიერ არაფერი შრეტს სული წმიდის მიერ მონაზვნის გულში შთაბერილ ცეცხლს, როგორც ადამიანებთან ურთიერთობები, ფუჭსიტყვაობა და ყოველგვარი საუბრები, გარდა უფლის საიდუმლოთა მცნობელებთან საუბრისა, რომელიც სარგოა სულისთვის, თანაშეეწევა ღმრთის შემეცნება-

სა და ღმერთთან მიახლოებას. რამეთუ ასეთი საუბარი სხვა სათნოებებზე მეტად აღანთებს კაცს სულიერი მოქალაქეობის დასაწყებად, აღმოფხვრის ვნებებს და თრგუნავს ბოროტ გულისთქმებს. ასეთი ადამიანების გარდა ნურავის ისურვებ მეგობრად და მესაიდუმლედ, რათა შენს სულს საცთური არ გაუჩინო და უფლის გზას არ გადაუხვიო. დაე, იმატოს შენს გულში სიყვარულმა, რომელიც უფალთან გაერთებს, რათა არ დაგატყვეოს ამსოფლიურმა სიყვარულმა, რომლის თავიცა და ბოლოც ხრწნილებაა მხოლოდ. მოღვაწე კაცთან ერთად ცხოვრება და მასთან ურთიერთობა ორივე მხარეს უფლის საიდუმლოთა ცნობით აშდიდრებს, ხოლო დახსნილ და უდებ ადამიანებთან მეგობრობას ის მოსდევს, რომ ორივე გონებაგაფანტულობასა და ნაყროვანებას ეძლევა. ასეთ კაცს უგემურად ეჩვენება საჭმელი თავისი თანამეინახის გარეშე და აშბობს: „მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალიაო“. ისინი უსასრულოდ ეპატიჟებიან ერთმანეთს ნადიმებზე და ამით ერთმანეთის მოვალენი ხდებიან. შორს ჩვენგან ეს საძაგელი სიყვარული, ეს უწესო და უსჯულო საქმე! გაექეცი, ძმაო, ასეთ ხალხს და, რომც გიჭირდეს, ნუ გაიყოფ მათთან ტრაპეზს, რამეთუ საძაგელია ეს ტრაპეზი უფლის წინაშე, ეშმაკნი მსახურებენ მას, ქრისტეს მეგობრები იქ არ სხდებიან.

ვინც ხშირად აწყობს ნადიმებს, იგია სიძვის ეშმაკის მსახური, და ასეთ ნადიმებზე ჯდომა თავმდაბალი კაცის სულს ბილწავს. ხოლო წმინდანის ტრაპეზიდან აღებული პური კაცის სულს ყოველგვარი ვნებისაგან განწმენდს. გემოთმოყვარის ტრაპეზს სანოვაგისა და ნუგბარი კერძების სუნი ასდის. როგორც ძაღლი ეტანება ხორცის სავაჭროს, ისე ეტანება უგუნური და უგულისხმო ასეთ ტრაპეზს. ხოლო მლოცველის ტრაპეზის სურნელება უფრო ტკბილია, ვიდრე მუშკისა და მირონის ნელსურნელება, ღმრთისმოყვარე კაცისთვის იგი უძვირფასეს საგანძურზე უფრო სასურველია.

მღვიძარე, უფლისთვის მოღვაწე და მმარხველი კაცის ტრაპეზიდან მოიპოვე ცხოვნება, და სიკვდილისაგან აღადგინე სული შენი. რამეთუ მათ შორისაა, მათ აკურთხევს ქრისტე, და ჰირთა მათთა სიმწარეს თავის მიუწვდომელ სიტკბოებად გარდააქცევს, უფლის სულიერი და ზეციური მსახურნი

უგრილობენ მათ და მათ წმინდა საზრდელს. მე ვიცნობ ერთ ძმას, რომელმაც ეს საკუთარი თვალით იხილა.

ნეტარ არს, ვინც თავს იკავებს ყოველგვარი გემოთმოყვარეობისგან, რამეთუ იგი კაცს შემოქმედისგან განაშორებს. ნეტარ არს, ვისი საზრდელიც არის პური, ზეცით გარდამოსული და ქვეყნისათვის ცხოვრების მომნიჭებელი. ნეტარ არს, ვინც იხილა წყარო ცხოვრებისა, მამისაგან გამომავალი, და მოსწყურდა იგი. რამეთუ, როცა მას შესვამს, განმხიარულდება და გაიშლება გული მისი, სიხარული და ლხენა დაეუფლება კაცს. ვინც თავის საზრდელში იხილა უფალი თვისი, ის ყველას გაურბის და მარტო ეზიარება ქრისტეს, არავითარი ურთიერთობა არა აქვს უღირს კაცებთან, რათა მათი თანამონაწილე არ გახდეს ,და უფლისაგან ,გამომავალმა სხივმა გვერდი არ აუქციოს ,მას. ხოლო ვის საჭმელშიც მომაკვდინებელი შხამი, ანუ ცოდვაა შერეული, ის თავისი მეგობრების გარეშე ვერ ირგებს ლუკმას. ლეშის მჭამელ მგელსა ჰგავს ის, ვინც საკუთარი სტომაქის გულისთვის უმეგობრდება ვინმეს. ეჰა, რა გაუმაძღარი ხარ, უგუნურო! ლამობ მუცელი ამოიყორო დახსნილ კაცთა ტრაპეზზე, სადაც შენი სული ათასგვარი ვნებებით ივსება! ეს გაფრთხილებები, ვგონებ, საკმარისი უნდა იყოს მათთვის, ვისაც ძალუძს აღვირ-ასხას საკუთარ მუცელს.

მეტად ტკბილია მმარხველის სურნელება, და მასთან შეხვედრა ახარებს გონიერი კაცის გულს, ხოლო გემოთმოყვარეს მმარხველთან გადაყრა აშინებს და იგი ყოველ ღონეს ხმარობს, რომ ტრაპეზი არ გაიყოს მასთან.

სათნოა ღმრთის წინაშე მმარხველის სურნელება, ხოლო აწგარეგანისმოყვარე კაცისთვის ძნელია მისი მეზობლობა. კაცი დაყუდებული იქება ქრისტეს მიერ, მაგრამ მათთვის, ვისაც ეშმაკმა გართობა და დროსტარება შეაყვარა, მისი დანახვაც კი უსიამოვნოა. ვის არ უყვარს მდაბალი და მშვიდი, გარდა ამაყისა და მაგინებელისა, ვისთვისაც უცხოა მისი ცხოვრების წესი?

ერთმა კაცმა საკუთარი გამოცდილებით მიამბო: „რა დღესაც ვინმეს ვესაუბრები, იმ დღეს სამ-ოთხ ორცხობილას ვჭამ, ლოცვას თუ დავაპირებ, არა მაქვს კადნიერება ღმრთის

წინაშე და ვერ ვახერხებ მისკენ მივმართო ფიქრი. თანამოსაუბრეს რომ დავშორდები, პირველ დღეს ერთნახევარ ორცხობილას ვჭამ, მეორე დღეს — ერთს, ხოლო როცა მდუმარებაში განვმტკიცდები, ვცდილობ, ერთი ორცხობილა შევჭამო და ვერ ვახერხებ. გონება ჩემი კადნიერებით ესაუბრება ღმერთს, თუმცა ძალას სულ არ ვატან, და უფლის ნათელი მოუკლებლად შემომადგება გარს, ვეკვრეტ ღმრთაებრივი ნათლის მშვენიერებას და ვხარობ მისით. მაგრამ თუ მდუმარების დროს ვინმე მოვიდა და დამელაპარაკა თუნდაც ერთი საათით, მაშინ შეუძლებელი ხდება მეტი საჭმელი არ ვჭამო, ჩემი კანონიდან რაიმე არ გამოვტოვო და იმ ნათლის ჭვრეტა შევძლო". ხომ ხედავთ, ძმებო, რა მშვენიერია და სასარგებლო მოთმინება და დაყუდება, რა ძალასა და სიხარულს ანიჭებს იგი მოღვაწეს. ნეტარ არს, ვინც ღმრთის გულისათვის იმარხავს მდუმარებას და განმარტოებით ჭამს თავის პურს, რამეთუ იგი მარადის ღმერთს ესაუბრება. მასვე დიდება და თაყვანისცემა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

თარგმნა რუსიკო ბუაჩიძემ

სიტყვა მეცხრე

ახლადმოსულთა წეს-განგებისა და 'იმის შესახებ, თუ რა შეჰფერის მათ

უბიწო და ღმრთისათვის სათნო ქცევა ესაა: აქეთ-იქით თვალების ცეცებას მოერიდე და მუდამ წინ იყურე, ამაოსმეტყველებას გაექეცი და მხოლოდ ისა თქვი, რაც აუცილებელია, უბრალო სამოსი იკმარე, უბრალო საზრდელი მიიღე, შიმშილის დასაოკებლად და არა გემოთმოყვარების დასაცხრობად. ყველაფერი ცოტ-ცოტა ჭამე, ერთს ნუ შეიძულებ და მეორეს ნუ შეიყვარებ, და რაც გიყვარს, იმით ნუ ამოიყორავ მუცელს. ყოველ სათნოებაზე მაღლა დგას განსჯის უნარი. ღვინოს კი, თუ მეგობრები არ გწვევიან, ან თუ ავად არა ხარ, ან ძალიან სუსტად თუ არა გრძნობ თავს, საერთოდ ნუ დალევ. კაცი რომ ლაპარაკობს, სიტყვას ნუ გააწყვეტინებ, და რაიმეს თუ გკითხავენ, უმეცარივით ნუკი უპასუხებ, ბრძენთა სიმტკიცეს მოუხმე. სადაც არ უნდა იყო, უმცირესად შერაცხე თავი და სხვა ძმათა მსახურად. ნურასოდეს გაიშიშვლებ სხეულის რომელიმე ნაწილს, ნურავის სხეულს ნუ შეეხები რაიმე აუცილებლობის გარეშე და ნურც ნურავის მისცემ ნებას, ასეთივე მიზეზის გარეშე შეგეხონ. სიკვდილივით ერიდე კადნიერ ლაპარაკს. ძილშიაც უბიწოება დაიმარხე, რათა მფარველი ანგელოზი არ განგეშოროს, და თუ ეს შესაძლებელია, ეცადე ვერავინ გნახოს მძინარე. კარგი იქნება, თუ ვერც შენს ნახველს დაინახავს ვინმე. თუ ტრაპეზზე მჯდომს ხველება აგიტყდა, თავი უკან მიაბრუნე და ისე დაახველე. სმა-ჭამაც მორიდებული შეგფერის, როგორც შვილს ღმრთისას.

ხელს ნუ გაიწვდი იმის ასაღებად, რაც შენს მეგობარს შესთავაზეს. თუ შენთან ერთად ტრაპეზზე უცხოზის, სთხოვე რაიმე იხმიოს, თან წესრიგი დაიცავი. წყნარად და მოკრძალებულად იჯექი, ნუ გაიშიშვლებ სხეულის რომელიმე ნაწილს. როდესაც ამთქნარებ, პირზე ხელი აიფარე, რომ სხვებმა ვერ დაინახონ, რამეთუ, თუ სუნთქვას შეიკავებ, მთქნარება გაგივლის. წინამძღვრის, მეგობრის ან მოწაფის სენაკში რომ შედიხარ, ეცადე ვერ დაინახო, რა ნივთები აწყვია იქ. თუ გუ-

ლისსიტყვა ამისკენ გაქეზებს, ნუ დაემორჩილები მას, რამეთუ ვინც ამ საქმეში მოერიდებელია, მისთვის უცხოა მონაზვნური სახე და თვით ქრისტე, ვინც ეს სახე მოგვანიჭა. თვალს ნუ მიაპყრობ შენი მეგობრის სენაკში იმ ადგილებს, სადაც ჭურჭელია შენახული. ჩუმად გააღე და დახურე შენი სენაკის კარიც და შენი მეგობრის სენაკის კარიც. გაუფრთხილებლად ნურავისთან შეხვალ, ჯერ დაუკაკუნე, ნებართვა სთხოვე და ზერე მორიდებულად შედი.

მომაკვდინებელი შხამის დალევა გერჩიოს ქალთან ერთად ჭამას, თუნდაც ის დედაშენი ან შენი და იყოს. გველთან ერთად ძილი გერჩიოს ჭაბუკთან ერთად ერთ ჭერქვეშ ძილს ან წოლას, თუნდაც ის შენი ხორციელი ძმა იყოს. თუ გზად მიდიხარ და ვინმე უფროსთაგანი გეტყვის, მოდი, ვიგალობოთო, დაემორჩილე. ხოლო თუ არავინ არაფერს გეუბნება, მდუმარე იყავ და გულში ადიდე ღმერთი. ნურავის ნურაფერში ეწინააღმდეგები, ნურავის ედავები, ტყუილს ნუ იტყვი, ნუ დაიფიცებ უფლის სახელს. არად გაგდებენ? სხვას ნუ უზამ იგივეს. გულს გტკენენ? შენ ნუ ატკენ გულს. სჯობს ხორცი დაიღუპოს, ოღონდ სული არ დაზიანდეს. ნურავის გამოუტანა განაჩენს, ხოლო თუ უსამართლოდ განგსჯიან, მოითმინე. გულით ნუ შეიყვარებ რაიმე ამსოფლიურს, დაემორჩილე წინამძღვრებსა და უფროსებს, მაგრამ მოერიდე მათთან სიახლოვეს, რამეთუ ესაა მახე, დახსნილ კაცთა დასაღუპად დაგებული.

შენ, გემოთმოყვარე კაცო, სტომაქის ამოვსებას რომ ლაშობ, გიჯობს ანთებული მუგუზალი გადაყლაპო, ვიდრე მთავართა და მმართველთა მიერ შემოძღვეული ტკბილეული. ყველას მიაწვიდნე შენი მოწყალება და ყველასგან მიიღე შეურაცხყოფა. უფრთხილდი მრავლისმეტყველებას, რამეთუ იგი ღმრთისაგან მოვლენილ ფიქრებს აქრობს შენს გულში. ცოფმორეული ლომივით ერიდე დოგმატებზე მსჯელობას, ამაზე ნურც ეკლესიის შვილებს ესაუბრები და ნურც უცხოებს. სათოფეზე ნუ გაეკარები მრისხანე და ანჩხლ ადამიანებს, რათა შენს გულშიც არ დაიბუდოს გაღიზიანებამ და შენი სული ხიბლის ტყვეობაში არ აღმოჩნდეს. ამაყ კაცთან ერთად ნუ იცხოვრებ, რათა სული წმიდის ძალამ არ მიგატოვოს და შენი

სული არაწმიდა ცნებათა სამყოფელად არ იქცეს. თუკი ამ გაფრთხილებებს ყურად იღებ, ჰოი კაცო, და ყოველთვის საღმრთო აზრებით იქნები დაკავებული, მაშინ ჭეშმარიტად იხილავ შენს სულში ქრისტეს ნათელს, დაუღამებელს. ქრისტეს დიდება უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

თარგმნა რუსიკო ბუაჩიძემ

იმის შესახებ, თუ რა გზით მიეახლება კაცის გული ღმერთს, რა არის ჭეშმარიტი მიზეზი ღმრთის შეწევნისა, და რომელი საქმე მიიყვანს კაცს სიმდაბლემდე.

ნეტარ არს კაცი, რომელმაც უწყის თავისი უძლურება, რამეთუ ეს ცოდნა ყოველივე კეთილის საფუძვლად და დასაბამად შეექმნება. რამეთუ, როდესაც კაცი ჭეშმარიტად სცნობს თავის უძლურებას, მაშინ მხოლოდ ღმერთს ესავს და არა თავის თავს, და ამრიგად, მოიგებს სიმდაბლეს.

მაგრამ ვერავინ სცნობს თავის უძლურებას, თუ ღმერთი მასზე რაიმე განსაცდელს არ მიუშვებს: სულიერს ან ხორციელს. მაშინ შეადარებს კაცი თავის უძლურებას ღმრთის შეწევნას, და გულისხმაყოფს მის ძლიერებას. ასევე, როცა იხილავს თავის მოღვაწეობას: სიფრთხილეს, მარხვას, თავისი სულის დაცვას, რისი იმედიც ჰქონდა და რითიც ცდილობდა სიმტკიცის მოპოვებას, და რამაც არ გაუმართლა, როცა ნახავს, რომ მისი სული შიშისა და ძრწოლისაგან სიმშვიდეს ვერსად ჰპოვებს, მაშინ სცნობს და გულისხმაყოფს, რომ ეს შიში სულისა ამქღავნებს და ამხელს საღმრთო შეწევნის აუცილებლობას. ასეთ გულში სასოება ვერ დაიმკვიდრებს, რამეთუ, როგორც საღმრთო წერილი იტყვის, „შეწევნა ღმრთისა აცხოვნებს კაცსა“. როდესაც კაცი დაინახავს, რომ მოკლებულია ღმრთის შეწევნას, მაშინ განამრავლებს ლოცვას, ხოლო როცა ლოცვას განამრავლებს, დამდაბლდება მისი გული. რამეთუ შეუძლებელია, კაცი დაუცხრომლად ევედრებოდეს ღმერთს და ღმერთმა არ მისცეს სიმდაბლე გულისა, ხოლო „გული შემუსრვილი და დამდაბლებული ღმერთმან არა შეურაცხყოს“ (ფს. 50, 19). ვიდრე კაცის გული არ დამდაბლდება, მანამდე ვერ გაექცევა განცხრომასა და გაფანტულობას, რამეთუ სიმდაბლე შემოკრებს გაფანტულ გულს.

და როდესაც კაცი დამდაბლდება, მაშინვე გარემოადგება წყალობა ღმრთისა. ღმრთის შეწევნის მოახლებას გული იმით იგრძნობს, რომ ჰპოვებს თავის თავში სასოების ძალას. ხოლო როდესაც კაცი სცნობს ღმერთის შეწევნის მოვლინებას, მყის-

ვე აღივსება სარწმუნოებით. მაშინ გულისხმაყოფს, რომ ლოცვა არის შესავედრებელი და შემწე, წყარო ცხოვრებისა, საუნჯე სასოებისა, ნავსაყუდელი, მხსნელი ღელვათაგან, ნათელი დაბნელებულთა, სიმტკიცე უძლურთა, საფარველი განსაცდელის ქამს, მკურნალი მძიმე სენთა, ფარი, ბოროტის წინააღმდგომი, და წამახული ისარი, მტრისკენ მიმართული. მოკლედ რომ ვთქვათ, ყოველივე კეთილი ლოცვას მოაქვს სულისთვის. ამიერიდან იხარებს კაცის სული სარწმუნოებით გამსჭვალული ლოცვით, გული მისი სასოებითაა გაბრწყინებული და აღარ უბრუნდება სიბრმავის მდგომარეობას, როცა მხოლოდ ბაგით შეეძლო ლოცვა. და როდესაც იხილავს ყოველივე ამას, მაშინ მიხვდება, თუ რა საუნჯე აქვს სულში დამარხული, იგრძნობს უდიდეს სიხარულს, და ეს სიხარული მის ლოცვას მადლობად აქცევს. და აი, თქმული იმისი, ვინც ყოველ საგანს ანიჭებს თავის სახეს: „ლოცვა არის სიხარული, რომელიც მადლობას შესწირავს ღმერთს". აქ იგულისხმება სწორედ ის ლოცვა, რომელიც საღმრთო გულისხმისყოფით აღესრულება, და რომელიც ღმრთის მიერაა მონიჭებული. რამეთუ მაშინ კაცი შრომითა და იძულებით კი აღარ ლოცულობს, როგორც ამ მადლის მიღებამდე, არამედ დიდი სიხარულითა და გაკვირვებით, განუწყვეტელი მუხლის დრეკით მადლობას შესწირავს ღმერთს, და მაშინ, საღმრთო გულისხმისყოფით აღვსილი, გაოცებითა და განცვიფრებით იმსჭვალება, უკვირს ესოდენი მადლი ღმრთისა, და აღიმაღლებს ხმას, აქებს და ადიდებს ღმერთს, უთვალავ მადლობას შესწირავს და უგალობს მას.

ვინც ამ მდგომარეობას ჭეშმარიტად მიაღწია და არა ოცნებით, ვინც საქმით გამოსცადა თავისი თავი და გამოცდილებით გაიგო ბევრი რამ, ის კარგად მიხვდება, რასაც ვამბობ, რამეთუ აქ არაფერია ჭეშმარიტების საწინააღმდეგო. ამიერიდან დაივიწყოს მან ამაო გულისსიტყვანი, მარადის ღმრთის წინაშე ვიდოდეს მოუკლებელი ლოცვით, ეშინოდეს და ძრწოდეს, რათა არა მოაკლდეს შეწევნა ღმრთისა.

ყველა ეს სიკეთე კაცს საკუთარი უძლურების შეგნებით მიეცემა, რამეთუ ამის შემდეგ უჩნდება დიდი სურვილი ღმრთის შეწევნისა, და მიეახლება ღმერთს დაუცადებელი

ლოცვით. და რამდენადაც მიეახლება კაცი ღმერთს თავისი სურვილით, იმდენადვე მიეახლება მას ღმერთიც თავისი მადლით, და არ წაართმევს ამ მადლს მისი დიდი სიმდაბლისათვის, რამეთუ, როგორც ქვრივი ეეედრება მსაჯულს, დაიცვას შეურაცხმყოფელისაგან, ისევე კაცი ეეედრება ღმერთს, დაიცვას იგი ბოროტისაგან. ხოლო კაცთმოყვარე ღმერთი თავიდანვე იძიტომ არ აძლევს თავის მადლს, რათა კაცი თვითონაც ცდილობდეს ღმერთთან მიახლოებას, და მარადის ღმრთის წინაშე ვიდოდეს. ზოგიერთ თხოვნას ღმერთი მალე უსრულებს კაცს, კერძოდ იმას, რის გარეშეც შეუძლებელია ცხოვნება, ხოლო ზოგიერთი სათხოვრის მიცემას აყოვნებს. და ზოგჯერ არიდებს კაცს მტრის ბრძოლას, ზოგჯერ კი, მიუშვებს განსაცდელს, რათა, როგორც ვთქვი, ეს განსაცდელი ექმნეს ღმერთთან მიახლოების მიზეზად, და რათა განისწავლოს და გამოიცადოს განსაცდელთა მიერ, როგორც საღმრთო წერილი იტყვის: „და ესე ნათესავნი დაუტევნა უფალმან, რათა გამოცადნეს მათგან ძენი ისრაჸლისანი, ყოველნივე იგი, რომელთა არა იცნოდეს ბრძოლანი ქანანელთანი, ნათესავისა მისთვის, ძეთა ისრაჸლისათა, რათა ასწაონ მათ ბრძოლაჲ“. (მსაჯ. 3,1-2). რამეთუ, თუკი მართალმა კაცმა არ იცის თავისი უძლურება, იგი თითქოს ბეწვის ხიდზე დადის, ახლოსაა მისგან ჩასაფრებული დაცემა და განმხრწნელი ვეშაპი, ანუ ამპარტავნების ეშმაკი. და კიდევ, ვინც არ იცის თავისი უძლურება, მას აკლია სიმდაბლე, და ვისაც სიმდაბლე აკლია, იმას არც სისრულისათვის მიუღწევია. ხოლო ვისაც სისრულისათვის არ მიუღწევია, იმას მუდამ ეშინია, რამეთუ მისი ქალაქი არაა დამყარებული რკინის სვეტებზე და რვალის საფუძველზე, რომელიცაა სიმდაბლე. სიმდაბლეს კი, კაცი სხვაგვარად ვერ მოიხვეჭს, თუ არა იმ საქმეებით, რომლებითაც შეიმუსრება გული და დაცხრება ამპარტავნების გულისსიტყვანი. ამიტომ ეშმაკი ხშირად პოულობს სხვადასხვა მიზეზს, რომ კაცი ჭეშმარიტ გზას ააცდინოს, რამეთუ სიმდაბლის გარეშე კაცი სრულყოფას ვერ მიაღწევს, და მისი თავისუფლების სიგელი სული წმიდის ბეჭდით არ იქნება დაბეჭდილი. მანამდე კი იგი მონაა, და არაა შიშისაგან თავისუფალი, რამეთუ ვერავინ გამართავს თავის საქმეს სიმდაბლის გარეშე და განსაც-

დელთა გარეშე ვერავინ განისწავლება, ხოლო გასწავლის გარეშე ვერავინ მიაღწევს სიმდაბლეს.

ამიტომ უფალი აძლევს წმინდანებს მიზეზს დამდაბლებისა და გულის შემუსრვილებისთვის, რათა მათ მხურვალე ლოცვა მოიგონ და ყოველი, ვისაც უყვარს უფალი, მიუახლოვდეს მას სიმდაბლის გზით. უფალი ხშირად აშინებს ძათ ბუნებითი ვნებებით, აბრკოლებს ბილწი და არაწმიდა გულისსიტყვებით, ანდა კაცთაგან შეამთხვევს ყვედრებას, გვემასა და შეურაცხებას. ხანდახან ხორციელ უძლურებასა და სნეულებას მოუვლენს, ზოგჯერ უკიდურეს სიღატაკეში ჩააგდებს, ისე რომ აუცილებელსაც კი მოაკლებს, ხან ძლიერი შიშით ტანჯავს, ღმრთისაგან მიტოვებულად აგრძნობინებს თავს, ხან ეშმაკის ცხადი ბრძოლით აშინებს, ხან კი, სხვადასხვა საშინელი ამბებით. ყოველივე ეს იმისთვის ხდება, რომ მათ სიმდაბლის მიზეზი ჰქონდეთ და უდებების ძილს არ ძიეცნენ, ან იმ ჭირთა წყალობით, რომლებიც მოღვაწეს თან ახლავს, ან მომავალ ბრძოლათა შიშით. ამიტომ განსაცდელი არგებს კაცს. მაგრამ ამას იმისთვის როდი ვამბობ, რომ კაცმა თავისი ნებით შეიმთხვიოს ცუდი საქმენი, რათა მათი გახსენებით სიმდაბლე მოიპოვოს, ანდა რაიმე სხვა განსაცდელი მოიწიოს თავის თავზე, არამედ იმისთვის, რომ ფრთხილად იქმოდეს კეთილ საქმეებს და მარადის მღვიძარე იყოს, დაიცვას სული თვისი და ხშირ-ხშირად მოიგონოს, რომ იგი მიწისაგანაა დაბადებული, და ამდენად — ცვალებადია, რამეთუ ყოველ დაბადებულს აკლია ძალა და სჭირდება ღმრთის შეწევნა. ხოლო ვისაც შემწე სჭირდება და თვითონ, თავისი ძალით ვერაფერს იქმს, ის თავის ბუნებრივ უძლურებას ამჟღავნებს. და ყოველი, ვინც იცის თავისი უძლურება, უეჭველად დამდაბლდება, რათა შემძლებელმა შეწევნისა მიანიჭოს იგი. თავიდანვე რომ სცოდნოდა კაცს თავისი უძლურება, არც უდებებაში ჩავარდებოდა, და თუ უდებებაში არ ჩავარდებოდა, მტრის ძახესაც გადაურჩებოდა.

ამრიგად, ღმრთის გზას შედგომილი უნდა ჰმადლობდეს ღმერთს ყოველივესთვის, რაც მის თავს ხდება, უნდა ჰყვედრიდეს და შეურაცხყოფდეს მხოლოდ თავის სულს და იცოდეს, რომ უფალი მისი უდებებისთვის მოუვლენს ყველა გან-

საცდელს. ან იმისათვის, რომ ძილისაგან აღადგინოს მისი გონება, ან იმისთვის, რომ მისი ამპარტავნება შემუსროს. ამიტომ ნუ შეაშფოთებს ყოველივე ეს, ნუ მიატოვებს მოღვაწეობას და ნუ შეწყვეტს თავისი თავის ყვედრებას, რათა არც ერთი მხრიდან არ მოუხდეს ბოროტი, რამეთუ სამართლიანია ღმერთი, რომელიცაა წყარო ყოვლისა სიმართლისა. მასვე დიდება უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

თარგმნა რუსიკო ბუაჩიძემ

გონების დაცვისა და ჭეშმარიტი შინაგანი ხედვისათვის

თუ სენაკში ხარ დაყუდებული და საღმრთო საქმეთა ჭეშმარიტი შინაგანი ხედვა ჯერ არ მოგიპოვებია, წმიდა წერილის კითხვა და სიკვდილის ხსოვნა იყოს შენი ძირითადი საქმე, რამეთუ ესენი შემოკრებენ გონებას და გაფანტულობისაგან იცავენ მას. ასე მოიქეცი, ვიდრე არ მოგეცემა ჭეშმარიტი შინაგანი ხედვა, რამეთუ საბოლოოდ ძალა სულისა სძლევს ვნებებს. გქონდეს საუკუნო სიკეთეთა სასოება და ხსენება ღმრთისა, იკითხე ტროპარები და მათი კეთილხმოვნებით ნუკი ტკბები, ეცადე კარგად ჩასწვდე აზრს. უფრთხილდი ყოველივე გარეგანს, რაც შენში გულისთქმებს აღძრავს, იჯექი სენაკში და იშრომე, გამოიძიე შენი გულისსიტყვანი და ილოცე, რათა მოიპოვო თვალნი, კეთილად მხედველნი, აქედან მოგეცემა სიხარული და მაშინ ყოველი ჭირი თაფლზე უტკბესად მოგეჩვენება.

ვერავინ სძლევს ხორციელ ვნებებს სულიერ სათნოებათა გარეშე, და გაფანტულ გონებასაც ვერვინ შემოკრებს სულიერი გულისხმისყოფის გარეშე. ჩვენი გონება მსუბუქია და, თუ რაიმე ერთი აზრით არ შევკრავთ, იოლად იფანტება. ამას კი ზემოთ ჩამოთვლილ სათნოებათა გარეშე ვერ მივაღწევთ. თუ კაცი ვნებებს ვერ დასძლევს, ისე მშვიდობას ვერ მოიპოვებს, და თუ მშვიდობა არა აქვს, ვერც მის ნაყოფს იგემებს. რამეთუ ვნებები სულის დაფარულ სათნოებებს კედელივით ეღობებიან, და თუ ეს კედელი ხილული სათნოებებით არ დაეცა, ისე ფარული სათნოებები არ გამოჩნდება. ვინც გალავნის გარეთაა, ვერ იცხოვრებს გალავნის შიგნით მყოფთან ერთად, და როგორც მზე არ ჩანს ნისლში, ისევე არ ჩანს სულიერი სათნოება, ვიდრე ვნებათა შფოთი არ დაცხრება.

ევედრე ღმერთს, რათა მოგანიჭოს მხურვალება და სურვილი სულისა წმიდისა, და როდესაც ეს სურვილი მოგეახლება, მაშინ განეშორები სოფელს და სოფელიც განგეშორება შენ. ამას დაყუდების, მოღვაწეობის, წმიდა წიგნების კითხვის გარეშე ვერ მიიღებ და ნურც ეძიებ. რამეთუ, თუ არა-

სწორად ეძიებ სულიერი საქმენი მალე ხორციელად გექცევა. ვისაც ჩემი სიტყვების გულისხმისყოფა ძალუძს, დაე, გულისხმა-ჰყოს.

ასე ინება ყოვლად ბრძენმა უფალმა, რომ ოფლითა და შრომით ვჭამდეთ პურს, და ეს ჩვენი სიძულვილით როდი ქნა, არამედ იმისთვის, რომ საკვების მონელება შევძლოთ და ჭამით არ დავიხოცოთ. ყოველი სათნოება მეორის დედაა, თუ მშობელს დაუტევებ და შვილების საძებრად წახვალ, ისინი იქედნედ ექცევიან შენს სულს, და თუ მსწრაფლ არ განიშორებ, დაგგესლავენ კიდეც. ამიტომ პირველად მათი მშობელი მოიძიე, და ნაშობნი თვითონ მოვლენ შენთან, მადლითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისა არს დიდება და სიმტკიცე თანა მამით და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

თარგმნა რუსიკო ბუაჩიძემ.

წმ. იოანე დამასკელი

მართლმადიდებელი სარწმუნოების ზუსტი გადმოცემა

წიგნი მეორე

თავი I

საუკუნის შესახებ.

ვუწყით, რომ უწინარეს ყოველთა საუკუნეთა არსებულმა (ღმერთმა) თვით შეჰქმნა საუკუნენი. სწორედ მისთვის იტყვის ღვთაებრივი დავით მეფე: „პირველ მთათა დაბადებადმდე და შექმნად ქვეყანისა და სოფლისა და საუკუნითგან და უკუნისადმდე — შენ ხარ“ (ფს. 89, 2). და ღვთაებრივი პავლე მოციქულიც ამბობს, რომ „... ძისა მიერ თვისისა, რომელ-იგი დაადგინა მკვიდრად ყოველთა, შექმნა (ღმერთმა) საუკუნენი“ (ებრ. 1, 1-2).

მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ სიტყვას — „საუკუნე“ — მრავალი მნიშვნელობა აქვს და იგი ძალზე ბევრს რასმე აღნიშნავს. მაგალითად, საუკუნედ იწოდება ყოველი ადამიანის სიცოცხლე, და საუკუნევე ჰქვია დროის ათასწლოვან მონაკვეთს. გარდა ამისა, საუკუნეს უწოდებენ მთელს ჩვენს თანადროულ ცხოვრებას და მომავალ დაუსრულებელ ცხოვრებასაც (ადამიანთა) მკვდრეთით აღდგომის შემდეგ (იხ. მათე 12, 32; ლუკა 20, 35). კვალად, ასევე საუკუნოდ იწოდება არა დრო, ანუ რაიმე მონაკვეთი დროისა, რომელიც, ჩვეულებრივ, მზის მოძრაობითა და წრიული მსვლელობით განიზომება, ე. ი. არა ის დრო, დღეთა და ღამეთა მონაცვლეობისაგან რომ შესდგება, არამედ საუკუნედ იწოდება ის რაღაც, რაც მარადიულის თანაბრად გრძელდება, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, რაღაც დროისმიერი მოძრაობა და გრძლიობა, რომელიც მარადიულის ცნებას უახლოვდება და მასთან ერთადაა,

რამეთუ რაც დროა დროისმიერისათვის, იგივეა საუკუნეც — მარადიულისათვის[1].

ითვლიან შვიდ საუკუნეს ამა ქვეყნისას, ანუ ცათა და ქვეყნის შექმნიდან საყოველთაო დასასრულამდე და ადამიანთა მკვდრეთით აღდგომამდე. რამეთუ არის კიდევ კერძო დასასრულიც, ანუ თითოეულის სიკვდილი. მაგრამ იქნება საყოველთაო-საერთო დასასრულიც, ანუ სრული დასასრული, როცა აღსრულდება ადამიანთა საყოველთაო აღდგომა მკვდრეთით. მერვე საუკუნე კი მომავალი საუკუნეა[2].

სამყაროს შექმნამდე, როცა არ არსებობდა დღისა და ღამის განმყოფი მზე, არც საუკუნე არსებობდა, ანუ ის დრო, რომლის გაზომვაც შეიძლება. მაგრამ არსებობდა რაღაც დროისმიერი მოძრაობა და გრძლიობა, რომელიც იმის თანად და იმასთან ერთად გრძელდებოდა, რაც საუკუნოა (მარადიულია). ამ მნიშვნელობით — საუკუნე ერთია. ამავე მნიშვნელობით ღმერთიც საუკუნოდ (მარადიულად) იწოდება, და ზემარადიულადაც (ყოვლადსაუკუნოდაც) კი, რადგან თვით საუკუნეც ღმერთმა შეჰქმნა. იმიტომ, რომ ერთი ღმერთია დაუსაბამო და თ ვ ი თ ი გ ი ა შემოქმედი ყოველივესი; როგორც საუკუნისა, ასევე სხვა ყველაფრისაც. როცა მე ღმერთზე ვლაპარაკობ, რა თქმა უნდა, აქ ვგულისხმობ წმიდა სამებას — მ ა მ ა ს და მის მხოლოდშობილ ძ ე ს, ჩვენს უფალსა და მაცხოვარს იესუ ქრისტეს, და ყოვლადწმიდა ს უ ლ ს ღმერთისა, — ჩვენს ერთიან ღმერთს[3].

ხოლო თუ ამბობენ „საუკუნენი საუკუნეთა"-ო, ამას იმიტომ იქმან, რომ შვიდი საუკუნე აწინდელი (ამა) ქვეყნისა თავის თავში შეიცავს მრავალ საუკუნეს, ე. ი. მრავალ ადამიანურ ცხოვრებას; გარდა ამისა ასე იტყვიან ხოლმე იმ ერთი საუკუნის გამოც, რომელიც, როგორც ზემოთ ვთქვით, თავის თავში ყველა საუკუნეს შეიცავს; კვალად, ამ სახელწოდებით, „საუკუნენი საუკუნეთა", აღინიშნება საუკუნე აწინდელი და საუკუნე მომავალი. ხოლო საუკუნო (მარადიული) ცხოვრება და საუკუნო ტანჯვა აღნიშნავენ დაუსრულებლობას მომავალი საუკუნისა (ცხოვრებისა); რამეთუ (ადამიანთა) მკვდრეთით აღდგომის შემდეგ დრო აღარ აღირიცხება დღეებითა და ღამეებით, ანდა, უკეთ რომ ვთქვათ, მაშინ დადგე-

ბა ერთი დაუსრულებელი დღე, რომელშიც მზე სიმართლისა თავისი წარუვალი ბრწყინვალებით გაუნათებს მართალთ, ცოდვილთათვის კი, დადგება ერთი დაუსრულებელი ღამე. ამიტომ როგორ შეიძლება მაშინ აღრაცხილ იქნას ათასწლოვანი ჟამი ორიგენესეული აღდგინებისა (ცხოვრების, საუკუნეთა განახლებისა)?![4] ამრიგად, ღმერთია ერთი შემოქმედი ყოველთა საუკუნეთა; მ ა ნ ყ ო ვ ე ლ ი ვ ე, უკლებლივ, შეჰქმნა და ი გ ი ა მ ყ ო ფ ი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა.

თ ა ვ ი II

შექმნათათვის (შესაქმისათვის)

სახიერი და ყოვლადკეთილი ღმერთი არ დასჯერდა საკუთარი თავის ჭვრეტას და თავისი სახიერების უხვების გამოინება, აღმოცენებულიყო რაღაც ისეთი, რაც მისი კეთილი საქმეებით ისარგებლებდა და მის სახიერებას ეზიარებოდა. ამიტომ ღმერთმა არარადან არსებობა მიანიჭა ქმნილებას და ამგვარად შეჰქმნა ყოველივე არსებული, როგორც ხილული, ასევე არახილული. შექმნა ადამიანიც, რომელიც შედგება ხილულისგანაც და არახილულისგანაც. ღმერთი ქმნის აზრით, და ეს აზრი, აღსრულებული მ ი ს ი ს ი ტ ყ ვ ი ს მიერ და მოქმედებული მ ი ს ი წ მ ი დ ა ს უ ლ ი ს მ ი ე რ, საქმედ იქცევა (ღმერთის აზრი, აღსრულებული მ ი ს ი ს ი ტ ყ ვ ი ს მიერ და სრულყოფილი მ ი ს ი წ მ ი დ ა ს უ ლ ი ს მიერ, სინამდვილედ იქცევა, განხორციელდება)[5].

ა ნ გ ე ლ ო ზ თ ა თ ვ ი ს

თ ა ვ ი III

თვით ღმერთია შემოქმედი და შემქმნელი ანგელოზებისა, რომელთაც არაარსიდან არსებობა მიანიჭა და სახედ თავისად შექმნა ბუნებით უსხეულონი, მსგავსნი რაღაც სულისა და

უნივთო ცეცხლისა, როგორც ამას ღვთაებრივი დავით მეფე ამბობს: „რომელმან შექმნნა ანგელოზნი მისნი სულად, და მსახურნი მისნი — ალად ცეცხლისა“ (ფს. 103, 4). ამ სიტყვებით წმიდა წინასწარმეტყველი განაცხადებს ანგელოზთა სიმსუბუქეს და მგზნებარებას, მათს მხურვალებას და უნარს ყოველგან შეღწევისა, აგრეთვე იმ სისწრაფეს, რომლითაც მათ სურთ ღმერთი და ემსახურებიან მ ა ს, ანუ ანგელოზთა მისწრაფებას მაღლისადმი და თავისუფლებას ყოველგვარი ნივთიერი წარმოდგენისაგან[6].

ამრიგად, ანგელოზი არის გონებით აღჭურვილი არსება, მარად მოძრავი, თავისუფალი, უსხეულო, ღმერთის მსახური, რომელსაც მადლის მიერ მიუღია თავისი ბუნების უკვდავება, და მხოლოდ ერთმა შემოქმედმა უწყის ამ არსების სახე და განსაზღვრება. ხოლო უსახელოდ და უნივთოდ ანგელოზნი იწოდებიან ჩვენთან შედარებით, რამეთუ ღმერთთან შედარებით, რომელიც ერთია შეუდარებელი, ყოველივე სხვა უხეშიც აღმოჩნდება და ნივთიერიც, რადგან მკაცრი განსაზღვრებით მხოლოდ ერთი ღმრთაებაა უნივთო და უსხეულო[7].

ასე, რომ ანგელოზი არის გონიერი, ჭკუით და თავისუფალი ნებით დაჯილდოებული ბუნება, რომელიც თავისი სურვილისამებრ, ე. ი. თავისი ნების კვალობაზე შეიძლება შეიცვალოს; რამეთუ ყოველივე შექმნილი ცვალებადია. უცვალებელი მხოლოდ ის შეიძლება იყოს, რაც არ არის შექმნილი. ყოველი გონიერი არსება დაჯილდოებულია თავისუფალი ნებით. ამრიგად, ანგელოსებრ ბუნებას, როგორც გონიერსა და ჭკუით აღჭურვილს, თავისუფლება აქვს მინიჭებული, ხოლო როგორც ქმნილი არსება, ანგელოზი ცვალებასაა დაქვემდებარებული. რადგან ხელეწიფება სიკეთეში ჰგიებდეს და წარემატებოდეს, ანდა თავისი ნების კვალადვე ბოროტს მიეჭცეს.

ანგელოზი მოკლებულია სინანულის უნარს, რადგან უსხეულოა. ადამიანმა კი, მონანიების უნარი სხეულის ულონობის გამო შეიძინა[8].

ანგელოზი უკვდავია არა თავისი ბუნებით, არამედ ღვთაებრივი მადლით[9], რამეთუ ყოველივეს, რასაც კი დასაბამი ბუნებით ჰქონდა, დასასრულიც აქვს. მხოლოდ ერთი ღმერთია მარადის არსმყოფი, ანდა, უფრო სწორად, ი გ ი მარადი-

ნობაზე აღმატებულია, — შემოქმედი დროისა არ არის დროს დაქვემდებარებული.

ანგელოზნი — მეორე წათელი არიან, გონიერი და გონებით მისაწვდომნი. თავიანთი ნათელი მათ ნასესხები აქვთ თავდაპირველი და დაუსაბამო ნ ა თ ლ ი ს ა გ ა ნ. ისინი არ საჭიროებენ არც ენას და არც სმენას, რადგან წარმოთქმული სიტყვის გარეშე გადასცემენ ერთმანეთს თავიანთ აზრებსა და გადაწყვეტილებას.

კვალად, უნდა ვიცოდეთ, რომ ყველა ანგელოზი შეიქმნა ს ი ტ ყ ვ ი ს მიერ, და სრულყოფილებას მიაღწიეს სულიწმიდისაგან განათლების გზით, როცა თითოული ანგელოზი თავისი ღირსებისა და ხარისხის შესაბამისად ეზიარა ღვთაებრივ ნათელსა და მადლს[10].

ანგელოზნი გარეშემოწერადნი არიან, რამეთუ როცა ცათა შინა იმყოფებიან, მაშინ არ არიან ქვეყანასა ზედა, და როცა ღმერთი ქვეყნად წარმოგზავნის, მაშინ ცათა შინა აღარ არიან ხოლმე. ანგელოზთა ბუნება იმგვარია, რომ მათი შეკავება არ ძალუძს არც კედელს, არც დახშულ კარს, არც ურდულსა თუ ბეჭედს, რადგან ანგელოზნი შეუზღუდავნი არიან. შეუზღუდავს იმიტომ ვუწოდებ, რომ ღმერთის ნებით მისაწვდომნი არიან რა ადამიანთათვის, ანგელოზნი იმ სახით როდი ეცლინებიან ადამიანებს, რა სახითაც თავისთავად არიან, არამედ იცვლებიან და გარდაისახებიან ხოლმე იმისდა შესაბამისად, რისი დანახვის უნარიც აქვთ ცალკეულ ადამიანებს. რამეთუ ბუნებით და საკუთრივი მნიშვნელობით შეუზღუდავია მხოლოდ არაქმნილი, ხოლო ყოველი ქმნილება განსაზღვრული და შეზღუდულია შემქმნელი ღმერთის მიერ.

განათლება ანგელოზებს გარედან აქვთ მიღებული, სულიწმიდისაგან, და არა — საკუთარი არსებისაგან. წინასწარმეტყველებენ ანგელოზნი ღმერთის მადლის ძალით. ისინი არ საჭიროებენ ქორწინებას, რადგანაც მოკვდავნი არ არიან.

რადგანაც ანგელოზნი გონიერი არსებანი არიან, ამიტომ იმყოფებიან კიდეც იმ ადგილებში, რომელთა წვდომაც მხოლოდ გონებითაა შესაძლებელი. გარეშემოწერადნი ისინი სხეულებრივად როდი არიან, რამეთუ თავიანთი ბუნების გამო სხეულებრივად კი არ მიიღებენ ხოლმე რაღაც სახეს და სამ-

მაგრ განზომილებისანი კი არ შეიქნებიან ხოლმე, არამედ იმით (არიან გარეშემოწერადნი), რომ სულიერი სახით მუნ-მყოფობენ და მოქმედებენ ყოველგან, სადაც კი, ნაბრძანები აქვთ ყოფნა და მოქმედება, და მათ არ ძალუძთ ერთსა და იმავ დროს სხვადასხვა ადგილას იმყოფებოდნენ და მოქმ-ედებდნენ.

თანასწორნი არიან თუ არა ანგელოზნი არსისმიერ, ანდა განსხვავდებიან თუ არა ერთმანეთისაგან, ეს ჩვენ არ ვიცით. ხოლო იცის ეს მხოლოდ ანგელოზთა შემქმნელმა ღმერთმა, რომელმაც სხვა ყოველივეც ასევე იცის. არაარსისმიერი განსხვავებით კი, ანგელოზნი ერთმანეთისაგან ნათლითა და მდგომარეობით განსხვავდებიან, ან ისე, რომ ნათლის შესაბა-მისად აქვთ მიღებული ხარისხი, ანდა იმგვარად, რომ თავიან-თი ხარისხის შესაბამისად ეზიარებიან (ღვთაებრივ) ნათელს და ერთმანეთსაც განანათლებენ თავიანთი წოდებისა თუ ბუ-ნების აღმატებულების გამო. ისიც ცხადია, რომ ნათელსაც და აუცილებელ ცოდნასაც დაბლა მდგომ ანგელოზებს უზენაესი ანგელოზნი ანიჭებენ[11].

ანგელოზნი მეტად ძლიერნი არიან და ყოველთვის მზად არიან ღმერთის ნების აღსასრულებლად. მათი ბუნებისათვის დამახასიათებელი სისწრაფის გამო ისინი მყისვე იქ გაჩნდე-ბიან ხოლმე, სადაც უბრძანებს საღმრთო ნება. ანგელოზნი იცავენ ქვეყნის მხარეებს, განაგებენ ხალხებსა და ქვეყნებს. შემოქმედის ბრძანებისაებრ წარმართავენ ჩვენს საქმეებს, კვალად შეგვეწევიან ხოლმე. საერთოდ კი, ღმერთის ნებითა და მ ი ს ი დადგინებით, ანგელოზნი ჩვენზე, ადამიანებზე, აღმატებულნი არიან, და თავიანთი სულიერი ბუნების გამო მარადის ღმერთის ახლოს ჰგიებენ[12].

ანგელოზნი ბოროტისაკენ ადვილადმიმდრეკნი არ არიან, თუმცა არც სრულიად შეურყეველად ძალგვიძს ისინი ვაღია-როთ, მაგრამ აწ კი, შეურყეველნიც არიან, ოღონდ არა თავი-ანთი ბუნებით, არამედ საღმრთო მადლითა და თავიანთი მიდ-რეკილების გამო ყოველივე სახიერისადმი[13].

ანგელოზნი ღმერთს ჰვრეტენ იმდენად, რამდენადაც ეს ძა-ლუძთ. და სწორედ, ეს ჰვრეტა შემოქმედისა არის კიდეც მათი საზრდო.

რაკი ჩვენზე, ადამიანებზე, აღმატებულნი არიან, ვითარცა უსხეულონი და თავისუფალნი ყოველგვარი სხეულებრივი ვნებისაგან, ამიტომ, თითქოს უვნებოც უნდა იყვნენ, მაგრამ მაინც, ანგელოზნი არ არიან მთლიანად მოკლებულნი ვნებებს, რამეთუ სრულიად უვნებო მხოლოდ ერთი ღმერთია.

ანგელოზები იმ სახეს მიიღებენ ხოლმე, რა სახის მიღებაც უფალი ღმერთისაგან აქვთ ნაბრძანები. ამ სახით ევლინებიან ადამიანებს და ღვთაებრივ საიდუმლოთ განუცხადებენ.

ისინი ცათა შინა ცხოვრობენ და ერთი საქმე აქვთ: მარად სადიდებელს უგალობენ შემოქმედ ღმერთს და განუწყვეტლივ მ ი ს ღვთაებრივ ნებას ემსახურებიან.

როგორც ბრძანებს უწმიდესი, უსამღვდელოესი და ღვთისმეტყველებაში უაღმატებულესი დიონისე არეოპაგელი, მთლიანად ღვთისმეტყველება, ანუ საღმრთო წერილი ასახელებს ცხრა ზეციურ არსს. ეს ღვთაებრივი მესაიდუმლე ყოველთა წმიდათა ამ ზეციურ არსთ სამ-სამობრივ დანაყოფად წარმოგვიდგენს: პირველი ზეციური არსი, როგორც დიონისე ამბობს, მარად ღმერთის ახლოს იმყოფება და უფლება აქვს უახლოეს და უშუალო თანაზიარობაში იყოს ღმერთთან; ეს ანგელოზნი არიან ექვსფრთიანი ს ე რ ა ბ ი მ ნ ი, მრავალთვალიანი ქ ე რ უ ბ ი მ ნ ი და უწმიდესი ს ა ყ დ ა რ ნ ი. მეორე დანაყოფი ანგელოზებისა იწოდება სახელებით — უ ფ ლ ე ბ ა თ ა (მეუფებათა), ძ ა ლ თ ა და ხ ე ლ მ წ ი ფ ე ბ ა თ ა, ხოლო მესამე, და უკანასკნელი დანაყოფი ანგელოზებისა სახელებით — დ ა ს ა ბ ა მ თ ა, მ თ ა ვ ა რ ა ნ გ ე ლ ო ზ თ ა და ა ნ გ ე ლ ო ზ თ ა[14].

ზოგნი, რა თქმა უნდა, ამბობენ, რომ ანგელოზებმა არსებობა სხვა ქმნილებებზე ადრე მიიღეს, როგორც, მაგალითად, წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი ამტკიცებს, რომ „უწინარეს ყოვლისა ღმერთი იაზრებს ანგელოზებს და ზეციურ ძალთ, და ეს აზრი საქმედ იქცა“. სხვა მამები აცხადებენ, რომ ანგელოზნი წარმოიშვნენ პირველი ცის შექმნის შემდგომ. ხოლო ყველა ღვთისმეტყველი შეთანხმებულია იმაში, რომ ანგელოზები ღმერთმა ადამიანის უწინარეს შეჰქმნა. მე გრიგოლ ღვთისმეტყველს ვეთანხმები, რამეთუ ჯერ-იყო უწინარეს ყოვლისა გონიერი არსი შეექმნა ღმერთს, და მხოლოდ მის

შემდგომ — გრძნობისმიერი არსი, დასასრულ კი, ორივე ამ არსისაგან ადამიანი[15].

ვინც ანგელოზს შემოქმედს უწოდებს სულ ერთია, როგორი არსის მატარებლადაც არ უნდა აღიარებდეს მას, იგი თავისი მამის — ეშმაკის ბაგეა, რადგანაც ანგელოზნი, როგორც შექმნილი არსებანი, არ არიან და არც შეიძლება იყვნენ შემოქმედნი. შ ე მ ო ქ მ ე დ ი ყ ო ვ ე ლ ი ვ ე ს ი, გ ა ნ მ გ ე ბ ე ლ ი და მ პ ყ რ ო ბ ე ლ ი მთელი ქმნილებისა—არის ღ მ ე რ თ ი, რ ო მ ე ლ ი ერთი მხოლოდ არის ა რ ა ქ მ ნ ი ლ ი, — ქებული და განდიდებული მ ა მ ი ს ა და ძ ი ს ა და ს უ ლ ი წ მ ი დ ი ს მიერ.

თ ა ვ ი IV

ეშმაკისა და დემონებისთვის

ანგელოზთა ამ ძალთაგან ის ანგელოზი, რომელიც ამქვეყნად განწესებულთა ზედა იყო დადგინებული და რომელსაც ღმერთისგან დავალებული ჰქონდა დედამიწის დაცვა, ბუნებით ბოროტად არ იყო შექმნილი[16]; თავდაპირველად ისიც კეთილი იყო და სიკეთისთვის იყო შექმნილი. ასე, რომ შემოქმედისაგან იოტისოდენა სიბოროტე არ მიუღია. მაგრამ ვერ დაიტია ის ნათელი და პატივი, შემოქმედმა რომ მიანიჭა და თავისი ნებისმიერი მოქმედებით გარემიიქცა იმისაგან, რაც ბუნების თანახმიერია, და იმად იცვალა, რაც ეწინააღმდეგება ბუნებას; ანუ ეშმაკი ამპარტავნებით აღივსო თავისი შემოქმედის, ღმერთის მიმართ, წინაღუდგა მ ა ს და პირველი იყო, ვინც სიკეთეს განეშორა და ამის გამო ბოროტებას ეწია[17]; რამეთუ ბოროტება სხვა არაფერია, თუ არა მოკლება სიკეთისაგან, მსგავსად იმისა, როგორც ბნელიც სხვა არაფერია, თუ არ მოკლება ნათლისა. ვიცით, რომ სიკეთე არის სულიერი ნათელი, და ამგვარად, ბოროტება სულიერი სიბნელეა.

ამრიგად, შექმნილი იყო რა შემოქმედის მიერ ნათლად და კეთილად, რამეთუ „იხილნა ღმერთმან ყოველნი, რაოდენნი

ქმნნა, და აჰა, კეთილ ფრიად“ (დაბ. 1, 31), იგი, ეშმაკი, საკუთარი თავისუფალი ნებით შეიქმნა ბნელად და ბოროტად. მან თან წაიყოლა ურიცხვი სიმრავლე მისდა დაქვემდებარებული დემონებისა, რომელნიც, ამგვარად, ეშმაკთან ერთად დაეცნენ. ასე რომ, ეშმაკი და დემონები ბოროტად შეიქნენ საკუთარი თავისუფალი ნებით, რამეთუ ნებაყოფლობით მიიქცნენ კეთილისაგან ბოროტისაკენ, მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად სხვა ანგელოზთა მსგავსნი იყვნენ და კეთილი ბუნება ჰქონდათ[18].

ეშმაკსა და მის დემონებს არ აქვთ არც ხელმწიფება და არც ძალა ვინმეს წინააღმდეგ, ვინმეს საცთუნებლად, თუკი ღმერთისაგან არ მიეცემათ ამის ნება საღმრთო აღმშენებლობის (განგებულებისა) მიზნით, როგორც ეს, მაგალითად, მართალ იობს შეემთხვა, ანდა, როგორც ეს წმიდა სახარებაშია მოთხრობილი ეშმაკეული ლეგეონის ხსნისა და (გადარინელთა) ღორების კოლტის დაღუპვის შესახებ. (ლუკა 8, 26—33). ეშმაკი და მისი დემონები ძლიერნი არიან მხოლოდ ღმერთის ნებით, მ ი ს ი დაშვების წყალობით, და ძალუძთ ისეთი სახე მიიღონ, ანდა იმგვარად გარდაისახონ, როგორც მოესურვებათ, შესაბამისად თავიანთი წარმოსახვისა.

არც ღმერთის კეთილმა ანგელოზებმა და არც დემონებმა არ უწყიან მომავალი. კეთილი ანგელოზები წინასწარ განგვიცხადებენ ხოლმე მომავალს ღვთის ნებით მხოლოდ მაშინ, როცა ღმერთი გაუმხელს მათ მომავალს და უბრძანებს ადამიანებს უწინასწარმეტყველონ იგი. ამიტომ აღსრულდება ხოლმე ყოველივე ის, რასაც ანგელოზნი გვამცნობენ. ხოლო ბოროტი დემონები წინდაწინ განაცხადებენ მომავალს შემთხვევისა გამო, განუვრეტენ შორეული მომავლის საქმეთ, უფრო ხშირად მხოლოდ მარჩიელობენ მოსალოდნელზე და ტყუვდებიან. ამიტომ ვერ ვერწმუნებით დემონებს, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ვთქვით, ზოგჯერ ისინიც იტყვიან ხოლმე სიმართლეს.

ამრიგად, ყოველგვარი მანკიერება და ცოდვა, აგრეთვე არაწმიდა ვნებანი ეშმაკისა და მისი დემონების მოგონილია. მართალია ნაბრძანები აქვთ (ნებადართული აქვთ) გამოსცადონ ადამიანი, მაგრამ ვისიმე იძულება არ შეუძლიათ. რად-

გან მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული მოვიგერიებთ თუ არა მათ თავდასხმას. ამის გამო ეშმაკს და ბოროტ დემონებს გახმზადებული აქვთ შემოქმედის მიერ დაუშრეტელი ცეცხლი და საუკუნო სატანჯველი.

უნდა ვიცოდეთ, აგრეთვე, რომ დაცემა ანგელოზთათვის იგივეა, რაც სიკვდილი ადამიანისთვის, რადგანაც დაცემის შემდგომ მათთვის შეუძლებელია მონანიება, ისევე, როგორც ადამიანსაც არ ძალუძს ცოდვათა მონანიება სიკვდილის შემდგომ[19].

თავი V

ხილული ქმნილებისათვის

თვით ჩვენმა ღმერთმა, სამობით და ერთობით განდიდებულმა, „ქმნნა ცანი და ქუეყანაჲ, ზღვაჲ და ყოველი, რაჲ არს მას შინა“ (ფს. 145, 6), როცა არარასაგან არსებობა მიანიჭა ყოველივეს: თავდაპირველად მანამდე არარსებული ნივთიერებისაგან (არარასაგან) შექმნა ცანი, მიწა, ჰაერი, ცეცხლი და წყალი, შემდგომ კი, უკვე ამ შექმნილი ნივთიერებებისაგან შექმნა სხვა დანარჩენი — ცხოველები, მცენარეები, თესლნი, რამეთუ ყოველივე ეს, შემოქმედის ბრძანებით, მიწისაგან, წყლისა, ჰაერისა და ცეცხლისაგან შეიქმნა და აღმოცენდა.

თავი VI

ცათა შესახებ

ცა არის ის, რაც მოიცავს როგორც ხილულ, ისევე არახილულ ქმნილებებს, რადგანაც მასში იმყოფებიან და მისით შემოიფარგლებიან მხოლოდ გონებით მისაწვდომი ძალნიც აწგელოზებისა და ყველაფერი ის, რაც გრძნობებს არის დაქვემდებარებული. გარეშემოუწერელი მხოლოდ ღმერთია, რომელიც ყოველივეს აღავსებს თავით თვისით, ყოველივეს მოიცავს და შემოსაზღვრავს, რამეთუ იგი — ყოვე-

ლიეზე აღმატებულია და ყველაფერი მ ი ს ი შექმნილია.

რადგან საღმრთო წერილში საუბარია როგორც ცის, ასევე „ცანი ცათანი"-ს შესახებ (იხ. ფს. 113, 23, 24; ფს. 148, 4), და რადგან ნეტარი პავლე მოციქულიც ამბობს, რომ იგი „... აღიტაცა... ვიდრე მესამედ ცადმდის" (II კორინთ. 12, 2), ამიტომ ჩვენც ვამტკიცებთ, რომ შექმნათ დასაწყისში, როგორც გადმოცემულია, ღმერთმა შეჰქმნა ის ცა, რომელსაც წარმართი ბრძენკაცნი, მოსეს მოძღვრების მითვისების შედეგად, უვარსკვლავო სფეროს უწოდებენ. ამას გარდა, ღმერთმა ცა უწოდა „მყარსაც" (დაბ. 1, 8), რომელსაც უბრძანა ყოფად „შორის წყლისა" და დაუდგინა განყოფა „შორის წყლისა, რომელი იყო ქვეშე კერძო სამყაროჲსა და შორის წყლისა ზედა კერძო სამყაროჲსა" (დაბ. 1, 6, 7). ღვთაებრივი ბასილი დიდი, შეგონებული საღმრთო წერილით, ამბობს, რომ ამ ცის ბუნება ფაქიზია (თხელია), მსგავსად კვამლის ბუნებისა. სხვები ფიქრობენ, რომ ამ ცას წყლის სახე ჰქონდა, რადგან მოთავსებული იყო „შორის წყლისა". ზოგნიც ამტკიცებენ, რომ ეს ცა (მყარი) შედგება ოთხი სტიქიისაგან (მიწის, ჰაერის, ცეცხლისა და წყლისაგან), და ბოლოს არიან ისეთნიც, რომელნიც ამბობენ — ეს ცა მეხუთე სხეულია (სტიქიაა), განსხვავებული დანარჩენი ოთხი სტიქიისგანო[20].

ზოგნი ფიქრობენ, რომ ცა ყოველივეს წრიულად გარს ევლება და რაკი, მაშასადამე, წრიულია, ყველაფრისათვის ყველაზე მაღალ ნაწილს წარმოადგენს, ხოლო მის მიერ გარსშემოვლებული სივრცის შუაგული შეადგენს ყველაზე დაბალ ნაწილს (სამყაროჲსა). ამ შეხედულების თანახმად, მსუბუქმა და მოძრავმა სხეულებმა შემოქმედისაგან ცის უმაღლეს ნაწილში მიიღეს ადგილსამყოფელი, ხოლო მძიმე და ქვემსწრაფველმა სხეულებმა ყველაზე დაბალ ნაწილში, ე. ი. სამყაროს შუაგულში. სტიქიასთან ყველაზე მსუბუქი და ზემსწრაფველი ცეცხლია, რომელიც, როგორც ამ შეხედულების მატარებელნი ამტკიცებენ, ამის გამო უშუალოდ ცის (მყარის) აქეთ მდებარეობს; ამ ცეცხლს ისინი ეთერს უწოდებენ. ეთერს აქეთ, ანუ მის ქვემოთ, ისინი ათავსებენ ჰაერს, მიწა და წყალი კი, როგორც ყველაზე მძიმე და ქვემსწრაფველი სტიქიები, მათი შეხედულებით, მდებარეობენ სამყაროს შუა-

გულში, ისე, რომ ურთიერთდაპირისპირებულნი არიან და ერთნაირად ადგილა მდებარეობენ, თუმცა წყალი მიწაზე მსუბუქია და ამიტომ უფრო ძოძრავიც. ამრიგად, მიწას და წყალს ზემოდან, ირგვლივ ანუ ყოველის მხრიდან გარს ერტყმის ჰაერი, როგორც გარკვეული საფარველი. ჰაერი თავის მხრივ, ყოველი მხრიდან გარემოცულია ეთერით (ცეცხლოვანი სტიქიით), ხოლო ყოველივე ამის გარეთ და გარშემო ცა მდებარეობს.

გარდა ამისა, ამტკიცებენ, რომ ცა წრიულად მოძრაობს და ყოველივეს, რაც ამ წრის შიგნით მდებარეობს, ანუ რასაც ცა გარს ეკვრება, მტკიცედ ჰკრავს (შეჰკუმშავს). ამიტომ ყველაფერი მყარია, მტკიცეა და არ იშლება[21].

ამასთან იმასაც ამტკიცებენ, რომ ცა შვიდი სარტყელისაგან შედგება, და ყოველი მათგანი დანარჩენზე მაღლა მდებარეობს. კვალად, ამბობენ, რომ ცა წარმოადგენს მსუბუქ ნივთიერებას, კვამლის მსგავსს, და რომ ყოველ ციურ სარტყელში თითო ციური სხეული, ანუ პლანეტა მდებარეობს. მაშასადამე, ამტკიცებენ შვიდი ასეთი პლანეტის არსებობას. ეს პლანეტებია: მზე, მთვარე, იუპიტერი, მერკური, მარსი, ვენერა და სატურნი, ამასთან, ვენერაში გულისხმობენ ხან ცისკრის ვარსკვლავს, ხანაც მწუხრისას. პლანეტები ამ ციურ სხეულებს იმის გამო ეწოდებათ, რომ ისინი ცის წრიული მოძრაობის საწინააღმდეგოდ მოძრაობენ: როცა ცა და ვარსკვლავნი აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით მოძრაობენ, მათგან განსხვავებით პლანეტები დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მოძრაობენ. ამაში ჩვენ ადვილად დავრწმუნდებით, თუკი მთვარის მსვლელობას დავაკვირდებით ცაზე: იგი ხომ ყოველ საღამოს ოდნავ გადაინაცვლებს ხოლმე აღმოსავლეთისკენ[22].

ამრიგად, ვინც ამტკიცებენ ცა წრიულიაო (სფეროსებრია), ამით აღიარებენ, რომ იგი თანაბარი მანძილითაა დაშორებული დედამიწას ყოველი მიმართულებით. მე კი, ასე ვიტყვი: „გვერდითა მიმართულებით“ და „ქვემოთ“ — რომ ვამბობთ, ამას პირობითად ვიძახით, ჩვენი გრძნობისმიერი აღქმის შესაბამისად, რადგანაც, როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, ცას ყოველი მიმართულებით (დედამიწიდან) ყველაზე მაღალი ადგი-

ლი უკავია, დედამიწას კი — ყველაზე დაბალი ადგილი. კვალად, ამტკიცებენ, რომ ცა წრიულად გარს ევლება დედამიწას და თავისი უსწრაფესი მოძრაობით ასევე აბრუნებს: მზეს, მთვარეს და ვარსკვლავებს. და როცა მზე დედამიწას ზემოდან დაჰყურებს, მაშინ აქ დღეა, ხოლო როცა ქვემოდან მოექცევა, მაშინ ღამდება. ანუ როცა ერთ ნაწილზე დედამიწისა ღამეა, მაშინ მეორე ნაწილისათვის დღე დგება, რადგან მას ზემოდან მზე დაჰყურებს, მეორე ნაწილისაგან კი, მოფარებულია.

სხვანი ცას წარმოადგენდნენ ნახევარწრის (ნახევარსფეროს) სახით და ამაში ღვთივსულიერი დავითის სიტყვებს ეყრდნობოდნენ, რომელიც ამბობს: „გარდაართხენ ცანი, ვითარცა კარავნი (ფს. 103, 2), აგრეთვე, ნეტარი ესაია წინასწარმეტყველის სიტყვებს ღმერთის შესახებ „რ ო მ ე ლ ს ა უპყრიეს სიმრგულე ქვეყანისანი და დამკვიდრებულნი მას ზედა, ვითარცა მკალნი, რ ო მ ე ლ მ ა ნ დაადგინა, ვითარცა კამარა, ცაჲ, და გარდაართხნა ვითარცა კარავი დამკვიდრებად“ (ეს. 40, 22). ასე იმიტომ ფიქრობენ, რომ მზე, მთვარე და ვარსკვლავები, როცა ჩაესვენებიან, წრიულად გარს უვლიან დედამიწას დასავლეთიდან ჩრდილოეთისაკენ და ამგვარად, კვლავ აღმოსავლეთს უბრუნდებიან. თუმცა, ასეა თუ ისე, ყოველივე ღმერთის ბრძანებით აღმოცენდა და დაეშკვიდრა, და ყველაფერს თავის შეურყეველ საფუძვლად აქვს ნება ღმრთისა და გარდაწყვეტილება, როგორც ბრძანებს წმიდა დავით მეფე: „აქებდეთ სახელსა უფლისასა, რამეთუ მ ა ნ თქვა და — იქმნეს, თავადმან ბრძანა, და — დაებადნეს. და დაადგინა იგინი უკუნისამდე და უკუნითი უკუნისამდე: ბრძანებაჲ დადვა, რომელ არა წარხდეს“ (ფს. 148, 5—6).

ცათა ცად იწოდება პირველი ცა, რომელიც მყარს ქვემოთ მდებარეობს. ამრიგად, არსებობს ორი ცა, რადგან ღმერთმა სამყაროსაც (მყარსაც) ცა უწოდა (დაბ. 1, 8). საღმრთო წერილი, ჩვეულებრივ, ჰაერსაც ცას უწოდებს, რადგან ისიც დედამიწის ზემოთაა; იქ ხომ ასეა ნათქვამი: „აკურთხევდით ყოველნი მფრინველნი ცისანი“-ო (დანიელ. 3, 80), და ამ დროს ჰაეროვან სივრცეში მფრენი ფრინველები იგულისხმება, რადგან ისიც სწორედ ამ სივრცეში ფრენენ, და არა მის

ზემოთ მდებარე ცაში. ასე წარმოგვიდგება სამი ცა, რომელთა შესახებ ღვთაებრივი პავლე მოციქული ლაპარაკობს (II კორინთ. 12, 2). ხოლო, თუ ვინმე მოისურვებს ზემოხსენებული შვიდი სარტყელიც შვიდ ცად წარმოიდგინოს, როდი შესცოდავს. ებრაულ ენაზეც ხომ ცა, ჩვეულებრივ, მრავლობით რიცხვში იხმარება — დასაბამიდან შექმნა ღმერთმა ცანი და ქვეყანაო. ამიტომ, როცა საღმრთო წერილი ზენაარი ცის შესახებ ლაპარაკობს, „ცანი ცათანი“ (ფს. 148, 4) ამბობს და გულისხმობს უზენაეს ცას, ანუ სამყაროს ზემოთ მდებარე ცას, და სიტყვებში — „...შორის წყლისა ზედა კერძო სამყაროისა“, „და უწოდა ღმერთმან სამყაროსა ცაჲ“ (დაბად. 1, 7-8), — ეს „სამყარო“, ანუ „ცაჲ“ აღნიშნავს ან ჰაერსა და მყარს, ანდა შვიდ სარტყელს ცისა (სამყაროსი), ანდა ერთ მყარს, რომელიც ებრაულ ენაზე, ჩვეულებრივ, მრავლობით რიცხვით იწოდება — ცანი.

ბუნებრივი წესრიგის შესაბამისად ყოველივე და, მაშასადამე, ცანიც, უნდა დაირღვეს და მოისპოს, მაგრამ ისინი შენარჩუნებულ არიან და განაგრძობენ არსებობას საღმრთო მადლით.

მხოლოდ ერთს ღმერთს, დაუსაბამოს თავისი ბუნებით, არა აქვს საზღვარი არსებობისა. ამიტომაა ნათქვამი: „დასაბამსა, შენ, უფალო, ქვეყანაჲ დააფუძნე, და ქმნულნი ხელთა შენთანი — ცანი არიან; იგინი წარხდებიან, ხოლო შენ ჰგიე...“ (ფს. 101, 26-27); თუმცა ცანი მთლიანად როდი განქარდებიან („წარხდებიან“), რამეთუ, როგორც საღმრთო წერილი გვასწავლის, ისინი „ვითარცა სამოსელნი დაძველდენ... და იცვალნენ“ (ფს. 101, 27), და მაშინ იქნება „ცაჲ ახალი და ქვეყანაჲ ახალი“ (გამოცხ. 21, 1)[23].

ცა გაცილებით დიდია დედამიწაზე, მაგრამ არ უნდა გაოცებულიეთ იმას, თუ როგორია არსი ცისა, რადგან ეს უცნობია და მიუწვდომელია ჩვენთვის.

არავინ არ უნდა იფიქროს, რომ ცანი თუ მნათობნი სულიერი არსებანი არიან, რადგანაც მათ არა აქვთ სული და ტრძნობები[24]. ამიტომ, როცა საღმრთო წერილი ამბობს — იხარებდინ ცანი და გალობდინ ქვეყანაჲ“-ო (ფს. 95, 11), იგი სიხარულისა და გალობისთვის მართლაც ცასა და მიწას კი არ

მოუწოდებს, არამედ ანგელოზებს — ცათა შინა, და ადამიანებს — ქვეყანასა ზედა. საღმრთო წერილი ხშირად იყენებს განსულიერების ხერხს და უსულო საგნებზე ისე ლაპარაკობს, თითქოს ისინი სულისა და გრძნობების მქონენი იყვნენ. მაგალითად, ფსალმუნში ნათქვამია: „ზღვამან იხილა და იერლტოდა, და იორდანე უკუნიქცა მართლუკუნ. მთანი იმღერდეს ვითარცა ვერძნი, და ბორცუნი — ვითარცა კრავნი ცხოვართანი. რაი არს შენდა, ზღვაო, რამეთუ იერლტოდე, და შენ, იორდანე, რამეთუ უკუნიქეც მართლუკუნ?“ (ფს. 113, 3-5). საღმრთო წერილი მთებსა და ბორცვებს მიმართავს, რატომ განიხარებთო (ფს. 113, 6). ჩვენც ვიტყვით ხოლმე მთელმა ქალაქმა თავი მოიყარაო მაგრამ ქალაქის ნაგებობებს კი არ ეგულისხმობთ, არამედ მასში მცხოვრებ ადამიანებს. ასევე, როცა საღმრთო წერილი გვეუბნება „ცანი უთხრობდენ დიდებასა ღმრთისასა, და ქმნულსა ხელთა მ ი ს თ ა ს ა მიუთხრობს სამყაროჲ“ (ფს. 18, 2), იმას კი არ გულისხმობს, თითქოს ისინი მართლაც იმგვარ ხმას გამოსცემდნენ, ხორციელი სმენით რომ აღიქმება, არამედ იგულისხმება, რომ ეს ქმნილებანი („ცანი და სამყაროჲ“) მათთვის დამახასიათებელი დიდებულებით განგვიცხადებენ და გვიჩვენებენ შემოქმედის ყოვლადძლიერებას. ოდეს ვეკრეტთ ქმნილებათა მშვენიერებას, მაშინ შემოქმედ ღმერთს განვადიდებთ, როგორც უნიჭიერეს მხატვარს[25].

თ ა ვ ი VII

ნათლის, ცეცხლისა და მნათობებისთვის, — როგორც მზის, ასევე მთვარისა და ვარსკვლავების შესახებ.

ცეცხლი არის ერთ-ერთი სამყაროს ოთხ სტიქიათაგან. იგი ყველაზე მსუბუქი სტიქიაა და სხვებზე მეტად ისწრაფის ზევით. ცეცხლს ერთსა და იმავე დროს აქვს დაწვის ძალაც და ნათებისაც. ცეცხლი ღმერთმა შექმნათა პირველსავე დღეს შექმნა, რადგანაც საღმრთო წერილი გვეუბნება: „და თქვა ღმერთმან: იქმენინ ნათელი, და იქმნა ნათელი“ (დაბ. 1, 3). ზოგიერთის აზრით, ცეცხლი სხვა არაფერია, თუ არ მხოლოდ

ნათელი; სხვანი ამტკიცებენ, რომ სამყაროს ცეცხლი, რომელსაც ეთერს უწოდებენ, მდებარეობს ჰაერზე მაღლა. ამრიგად, დასაბამად, ე. ი. შექმნათა პირველსავე დღეს, ღმერთმა შექმნა ნათელი, საკვირველი სამკაული და მშვენიერება მთელი ხილული ქმნილებისა. და მართლაც, თუკი გონებით წარმოვიდგენთ, რომ მთელს ქმნილებას ნათელი მოშორდა, ყოველივეს წყვდიადი მოიცავს და ვეღარც მის მშვენიერებას ვიხილავთ. „და უწოდა ღმერთმან ნათელსა დღე, და ბნელსა უწოდა ღამე“ (დაბ. 1, 5). ბნელი არ არის რაიმე სუბსტანცია, არამედ მხოლოდ აქციდენციაა (შემთხვევითობა). მართლაც, ბნელი არის მხოლოდ მოკლება ნათლისაგან, რადგან ნათელი ჰაერის არსს არ წარმოადგენს. ასე, რომ ღმერთმა ბნელი უწოდა თვით ნათლის არარსებობას ჰაეროვან სივრცეში: ჰაერის სუბსტანცია როდია ბნელი, არამედ ნათლისაგან მოკლება წარმოშობს ბნელს, და ეს უფრო აქციდენციაა, ვიდრე სუბსტანცია. ამიტომ იყო, რომ თავდაპირველად ღამე კი არ იწოდა ღმერთის მიერ, არამედ დღე; უწინარესად დღეა, მის შემდგომ ღამე. ამრიგად, დგება დღე და შემდეგ ღამე მოჰყვება, ხოლო დღის დაწყებიდან მეორე დღის დაწყებამდე — ერთი დღეა (დღეღამეა), რამეთუ საღმრთო წერილშიც ხომ ასეა ნათქვამი: „და იქმნა მწუხრი და იქმნა განთიადი — დღე ერთი“ (დაბად. 1, 5)[26].

შექმნათა პირველი სამი დღის განმავლობაში დღე და ღამე, რა თქმა უნდა, იმის მიხედვით დგებოდა, რომ, საღმრთო ბრძანებით, ნათელი ხან ვრცელდებოდა, ხან იკუმშებოდა. მეოთხე დღეს ღმერთმა შექმნა „მნათობი დიდი მთავრობად დღისა“ (დაბად. 1, 16), ანუ მზე, და სწორედ ამ მნათობის ნათლის მიზეზით არსებობს ჩვენი დღეც: დღე ხომ მაშინ დგება და მიმდინარეობს, როცა მზე ამოდის და დედამიწას დაჰყურებს. დღის ხანგრძლივობაც მზის მსვლელობით გახისა ღეკრება აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. ამავე, შექმნათა მეოთხე დღეს ღმერთმა შექმნა „მნათობი უმცროსი“, ანუ მთვარე, და ვარსკვლავები, „მთავრობად ღამისა“ (დაბად. 1, 16), რათა მათ ღამე გაანათებინათ. ღამე ხომ მაშინ დგება და მიმდინარეობს როცა მზე ჩადის და დედამიწას აღარ დაჰყურებს, ანუ მისი ჩასვლიდან ამოსვლამდე. ამრიგად, მთვა-

რისა და ვარსკვლავების დანიშნულებაა ღამე ანათონ. მაგრამ დღისით ყველა ვარსკვლავი როდი ეფარება თვალს და აღარ დაჰყურებს დედამიწას, მთელი დღის განმავლობაში ვარსკვლავები დედამიწას დაჰყურებენ, მაგრამ მათ ნათელს, ისევე, როგორც მთვარისას, მზის ნათელი ჰფარავს მძლავრი ბრწყინვალებით და მათი დანახვის საშუალებას არ იძლევა[27].

სწორედ ამ მნათობებს — მზეს, მთვარეს და ვარსკვლავებს მიანიჭა შემოქმედმა პირველქმნილი ნათელი, და ეს იმის გამო კი არ ქმნა, თითქოს მას არ ჰქონდა სხვა ნათელი, ანდა არ შეეძლო სხვა ნათლის შექმნა, არამედ იმიტომ, რომ ეს, პირველქმნილი ნათელი გამოუყენებელი არ დარჩენილიყო. მნათობები პირველქმნილი ნათელი როდი არიან, არამედ მხოლოდ მისი შესაკრებელი, საცავი[28].

ამ მნათობთაგან შვიდს პლანეტებს უწოდებენ, რადგან მათი მოძრაობა ცის საერთო მოძრაობის საწინააღმდეგოა, ამიტომ ეწოდათ პლანეტები, ანუ არასწორად მავალნი, მოხეტიალენი, როგორც ამბობენ ცა აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით მოძრაობს, ხოლო პლანეტები პირუკუ, დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ. მაგრამ, რადგან ცა უფრო სწრაფად მოძრაობს, ვიდრე პლანეტები, ამიტომ თავისი წრიული მოძრაობით ამ შვიდ პლანეტასაც ამოძრავებს (გაიტაცებს). ამ პლანეტების სახელწოდებებია: მთვარე, მერკური, ვენერა, მზე, მარსი, იუპიტერი, და სატურნი. ამტკიცებენ, რომ ყოველ ზეციურ სარტყელში შესაბამისად თითო პლანეტა მდებარეობს და მოძრაობს:

პირველ, ყველაზე მაღალ სარტყელში, მდებარეობს პლანეტა სატურნი;

მეორე სარტყელში მდებარეობს პლანეტა იუპიტერი;

მესამეში მდებარეობს მარსი;

მეოთხე სარტყელში — მზე;

მეხუთეში — ვენერა;

მეექვსე სარტყელში — მერკური;

და ბოლოს მეშვიდე სარტყელში მდებარეობს (ეს სარტყელი უდაბლესია) — მთვარე;

ეს პლანეტები განუწყვეტლივ მოძრაობენ იმ მიმართულებით, რაც მათ შემოქმედმა განუსაზღვრა და რაც იმ წესრიგს შეესაბამება, რომელიც დასაბამად განუჩინა ღმერთმა ქმნილებას. ღვთაებრივი დავით მეფეც ასე იტყვის: „...ვიხილე მე ცანი, ქმნულნი თითთა შენთანი, მთოვარე და ვარსკვლავები, რომელ შენ დააფუძნენ“ (ფს. 8, 4.) ამ სიტყვებით — „რომელ შენ დააფუძნენ“ — წმიდა წინასწარმეტყველმა აღნიშნა შეურყეველობა, სიმტკიცე და უცვალებლობა იმ მოწესრიგებული მოძრაობისა, რაც ღმერთმა ციურ სხეულებს განუსაზღვრა. მართლაც, საღვრთო წერილი გვეუბნება, რომ ღმერთმა დაადგინა ისინი“... სასწაულებად დღეებად და ჟამებად და წელიწადებად“ (დაბად. 1, 14), რამეთუ სწორედ მზის მსვლელობისაგან მომდინარეობს წელიწადის ოთხგვარი ცვალება.

პირველი ცვალება წელიწადისა — გაზაფხულია, რადგან გაზაფხულზე შექმნა ღმერთმა მთელი სამყარო — უკლებლივ ყოველივე. ამაზე მიუთითებს, სხვათაშორის, ის გარემოებაც, რომ ყვავილები გაზაფხულზე აღმოცენდებიან კვალად, გაზაფხულზე არის წლის ბუნიობის დროც, როცა დღეცა და ღამეც ერთმანეთის ტოლია და 12-12 საათს შეადგენს. გაზაფხულის ცვალება (დრო) მაშინ დგება, როცა მზე აღმოსავლეთის შუაგულში ამოდის. გაზაფხული გამოირჩევა ზომიერებით, კეთილშეზავებულობით. იგი განამრავლებს სისხლს, რადგან თბილი და ნესტიანია. გაზაფხული გარდამავალი დროა ზამთარსა და ზაფხულს შორის, რადგან ზამთარზე უფრო თბილი და მშრალია, ხოლო ზაფხულზე მეტად გრილი და ნესტიანი. წელიწადის ეს ცვალება გრძელდება 21 მარტიდან 24 ივნისამდე. შემდგომ, როცა მზის აღმოსავალი ჩრდილოეთისაკენ გადაიწევს, დგება წელიწადის საზაფხულო ცვალება. ზაფხულს საშუალო ადგილი უკავია გაზაფხულსა და შემოდგომას შორის და ახასიათებს გაზაფხულის სითბოც და შემოდგომის სიმშრალეც. ზაფხული წელიწადის ყველაზე თბილი და მშრალი დროა, რითაც ხელს უწყობს ყვითელი ნაღვლის განმრავლებას. ზაფხულში დგება ხოლმე წელიწადის ყველაზე ხანგრძლივი დღე, რომელიც (მზის აღმოსვლიდან მის ჩასვლამდე) 15 საათს შეადგენს, და შესაბამისად, ყველაზე ხან-

მოკლე ღამე, სულ 9 საათს რომ გრძელდება (მზის ჩასვლიდან მის ამოსვლამდე). ზაფხულის ცვალება გრძელდება 24 ივნისიდან 25 სექტემბრამდე. შემდეგ, როცა მზის აღმოსავალი კვლავ აღმოსავლეთის შუაგულისაკენ გადაიწევს, ზაფხულის დრო შემოდგომის დროთი იცვლება, რომელსაც საშუალო ადგილი უკავია სიცივესა და სითბოს შორის, სიმშრალესა და სინესტეს შორის; შემოდგომა თავის თავში შეიცავს ზაფხულის სითბო-სიმშრალესაც და ზამთრის სიცივე-სინოტივესაც, მაგრამ იგი მაინც არის წელიწადის შედარებით ცივი და მშრალი დრო, რითაც ხელს უწყობს შავი ნაღველის განმრავლებას. შემოდგომაზეც დგება ხოლმე წელიწადის ბუნიობის დრო, როცა დღე და ღამე ერთმანეთს უტოლდება და 12-12 საათს შეადგენს. შემოდგომა გრძელდება 25 სექტემბრიდან 25 დეკემბრამდე. როცა მზის აღმოსავალი აღმოსავლეთის უდაბლეს წერტილს მიაღწევს, ანუ, სამხრეთისაკენ გადაიწევს, მაშინ დგება წელიწადის ზამთრის ცვალება (დრო), რომელიც ყველაზე ცივი და ნესტიანი დროა და გარდამავალი ხანაა შემოდგომასა და გაზაფხულს შორის. ზამთარი თავის თავში შეიცავს შემოდგომის სიცივესაც და გაზაფხულის სინესტესაც. ამ დროს ყველაზე ხანმოკლე დღე დგება მთელი წლის განმავლობაში, და ეს დღე სულ 9 საათს შეადგენს, ღამე კი, შესაბამისად, ყველაზე ხანგრძლივია და 15 საათს გრძელდება. ზამთრის ცვალება მიმდინარეობს 25 დეკემბრიდან 24 მარტამდე.

ამრიგად, შემოქმედმა სიბრძნით განაგო ყოველივე ეს, რომ უკიდურესი სიცხიდან, სიცივიდან, სინოტივედან თუ სიმშრალიდან უმალვე არ გადავიდოდეთ საპირისპირო უკიდურესობაზე და ამის გამო მძიმე სნეულებათა საშიშროება არ გვემუქრებოდეს; კაცობრივი გონიერებაც ხომ იმას გვკარნახობს, რომ ანაზდეული გადასვლა-ცვალებადობანი ძალზე სახიფათოა.

ამგვარად წარმოქმნის მზის მსვლელობა წელიწადის დროებს, მათი საშუალებით კი, წელიწადს. მზისგანვეა დღეებიცა და ღამეებიც: დღეებს მზე იმით წარმოშობს, რომ აღმოსავლეთიდან ამოდის და დედამიწას ზემოდან დაჰყურებს წრიული მსვლელობისას, ხოლო ღამეებს იმით, რომ დასავლეთით ჩადის, დედამიწას აღარ დაჰყურებს და ადგილს სხვა მნათო-

ბებს — მთვარესა და ვარსკვლავებს, ანუ მათ ნათელს უთ-ბობს.

კვალად, იმასაც ამბობენ, რომ ცათა შინა თორმეტი თანა-ვარსკვლავედი არსებობს, ანუ ზოდიაქოს ნიშანი, რომელნიც მზის, მთვარისა და სხვა ხუთი პლანეტის მოძრაობის საწინა-აღმდეგოდ მოძრაობენ, ამასთან თითოეულმა პლანეტამ თორ-მეტივე ეს თანავარსკვლავედი უნდა გაიაროს. თითოეული ამ ზოდიაქოს ნიშნის (თანავარსკვლავედის) გავლას მზე ერთ თვეს ანდომებს მაშასადამე, ყველა თანავარსკვლავედს თორ-მეტი თვის (ერთი წლის) განმავლობაში გაივლის. ზოდიაქოს ამ თორმეტი ნიშნისა და მათი შესაბამისი თვეების (როცა მათ მზე გაივლის) სახელწოდებანი და ნიშან-გამოსახულებანი შემდეგია:

ვ ე რ ძ ი — მზე ზოდიაქოს ამ ნიშანში შედის მარტის თვის 21-ში.

მ ო ზ ვ ე რ ი — 23 აპრილს.

მ ა რ ჩ ბ ი ვ ი — 24 მაისს.

კ ი რ ჩ ხ ი ბ ი (კიბორჩხალა) — 25 ივნისს.

ლ ო მ ი — 25 ივლისს.

ქ ა ლ წ უ ლ ი — 25 აგვისტოს.

ს ა ს წ ო რ ი — 25 სექტემბერს.

მ ო რ ი ე ლ ი — 25 ოქტომბერს.

მ შ ვ ი ლ დ ო ს ა ნ ი — 25 ნოემბერს.

თ ხ ი ს რ ქ ა — 25 დეკემბერს.

მ ე რ წ ყ უ ლ ი — 25 იანვარს.

თ ე ვ ზ ე ბ ი — 24 თებერვალს.

მთვარე თორმეტივე ამ თანავარსკვლავედს ყოველთვიუ-რად გაივლის, რადგან იგი მზეზე უფრო დაბლა მდებარეობს და მსვლელობასაც უფრო სწრაფად აღასრულებს, თუკი ერთ წრეს მეორეში ჩავხაზავთ, შიგნითა წრე ხომ უფრო პატარა აღმოჩნდება, ვიდრე გარეთა. ასევე, მთვარის მსვლელობის წრეც მზის მსვლელობის წრეზე დაბლა მდებარეობს და ამი-ტომ უფრო მოკლეა, რის გამოც მთვარე თავის წრიულ მსვლელობას, ბუნებრივია, მზეზე სწრაფად აღასრულებს (ერთ თვეში).

ელინები მიიჩნევენ, რომ ყოველი საქმიანობა გარსკვლავ-

თა, აგრეთვე მზისა და მთვარის ამოსვლით, ჩასვლითა და ურთიერთმიახლოებით წარიმართება, რასაც ასტროლოგია სწავლობს. ჩვენ პირიქით, ვამბობთ რომ მზე, მთვარე და ვარსკვლავები წვიმისა თუ დარის, ნოტიო თუ მშრალი ამინდის, აგრეთვე ქარებისა და სხვა მისთანათა მომასწავებელია, და არამც და არამც არ განაპირობებენ ჩვენს ქცევებსა და საქმეებს[29]. რადგან ღმერთმა თავისუფალნი შეგვქმნა, მოგვანიჭა თავისუფალი ნება და არჩევანის უფლება, ჩვენვე ვართ ბატონ-პატრონი ჩვენი საქმეებისა. თუკი ყველაფერს ვარსკვლავთა მოძრაობის ზემოქმედებით ვიქმთ, ესე იგი აუცილებლობით ვიქმთ და არა ჩვენი თავისუფალი ნებით. ხოლო ის, რაც აუცილებლობით ხდება, არ შეიძლება იყოს არც კეთილი და არც ბოროტი. და თუ არც სათნოებები გაგვაჩნია და არც მანკიერებანი, მაშინ არ ვიმსახურებთ არც კეთილ საზღაურს და არც სასჯელს. ამ შემთხვევაში ღმერთიც უსამართლო აღმოჩნდება, როდესაც ზოგს სიკეთეს მიჰმადლის, ზოგს კი მწუხარებას. უფრო მეტიც: თუკი ყოველივე აუცილებლობით ხდება და წარიმართება, მაშინ არც ღვთის განგებულება იქნება სამყაროში, არც მის მიერ წარმართვა მთელი ქმნილებისა. არც ჩვენი გონიერება იქნებოდა საჭირო, რამეთუ თუ არ ხელ-გვეწიფება არცა ერთი საქმე, არც იმაზე ფიქრი შეგვაწუხებდა, რომ ჩვენი წამოქმედარი გონებით განგვესაჯა. ვიცით, გონება ღმერთისგან გვაქვს მომადლებული, რათა მოვიფიქროთ და წინდაწინ ავწონ-დავწონოთ ხოლმე ჩვენი საქმეები, ამიტომ ყოველი გონიერი არსება ერთდროულად არის თავისუფალი ნებისა და არჩევანის მქონე არსებაც[30].

აქედან გამომდინარე ვამტკიცებთ, რომ ვარსკვლავები ქვეყნად აღსრულებული არც ერთი საქმის, არც ერთი მოვლენის მიზეზი არ არიან, არც აღმოცენებადის აღმოცენებისა და არც განქარვებადის დაღუპვისა. სავარაუდოა, რომ წვიმებისა და ჰაერის ცვალებადობას მოაქსწავებდნენ. მავანმა და მავანმა შეიძლება თქვას, რომ ვარსკვლავი მიზეზი თუ არა, მანიშნებელნი მაინც არიან ომებისა, და რაგვარობა ჰაერისა, რაც მზეზე, მთვარესა და ვარსკვლავებზეა დამოკიდებული, სხვადასხვა სახით განაპირობებს განსხვავებული ტემპერამენტის, ჩვევებისა და მიდრეკილებების ჩამოყალიბებას ადამიანებ-

შიო. ჩვენ ასე ვუპასუხებდით: ჩვევები და სხვა დანარჩენიც ჩვენს ნებაზეა დამოკიდებული, რადგან ყოველივე ჩვენს გონებას ექვემდებარება და მისი ხელმძღვანელობით იცვლება.

ხშირად გამოჩნდებიან ხოლმე კომეტებიც, გარკვეული მოვლენების ნიშნად რომ აღიქმებიან, მაგალითად, მაცნედ მეფეთა სიკვდილისა. კომეტები არ განეკუთვნებიან იმ ვარსკვლავთა რიცხვს, დასაბამად რომ შექმნა ღმერთმა, მაგრამ ისინი გარკვეულ დროს ღვთის ბრძანებით აღმოცენდებიან, ირღვევიან და განქარდებიან. აკი ის ვარსკვლავიც, რომელიც მოგვებს მოევლინა უფლის ყოვლად-კაცთმოყვარე და ჩვენი მხსნელის ხორციელი შობის ჟამს, არ განეკუთვნებოდა ღმერთის მიერ დასაბამად შექმნილ ვარსკვლავთა რიცხვს. ეს იქიდანაც ჩანს რომ იგი ხან აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მოძრაობდა, ხან ჩრდილოეთიდან — სამხრეთისაკენ, ხან სულ მიეფარებოდა ადამიანთა თვალს, ხან კვლავ გამოჩნდებოდა, ხან მოძრაობდა, ხან კი ერთ ადგილს დაადგებოდა, რაც სრულიად არ შეესაბამება ვარსკვლავთა ბუნებასა და კანონებს.

მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოებაც, რომ მთვარე ნათელს მზისგან წესხულობს. არა იმიტომ, რომ ღმერთს არ შეეძლო მისთვის საკუთარი ნათელი მიენიჭებინა, არამედ იმის გამო, რომ მთელს ქმნილებას ღმერთმა ასეთი სიმწყობრე, ურთიერთდამოკიდებულება და წესრიგი მიანიჭა — ერთი უნდა მთავრობდეს, ხოლო მეორე ემორჩილებოდეს და მასზე დამოკიდებული იყოს. ასევე ჩვენც, ადამიანებმა, ყოველი ქმნილებისაგან უნდა ვისწავლოთ ურთიერთთანაზიარობა, ურთიერთგაწილადება ყოველივე იმისა, რაც გვაქვს და ურთიერთმორჩილებაც, უწინარეს ყოვლისა, მორჩილება ჩვენი დამბადებლისადმი, შემოქმედი ღმერთისა და მეუფისადმი, მერმე კი, მორჩილება (ამქვეყნიური) მთავრებისადმი, რომელნიც მ ა ნ დაადგინა მთავრობისათვის. ამასთანავე არ უნდა გამოვიძიებდეთ და გამოვიკითხავდეთ, რატომ მთავრობს მავანი და მავანი, მე კი რად არა ვარ მთავრად დადგენილიო. საჭიროა ყველა მთავარი ღმრთისაგან დადგენილად ვაღიაროთ, ყოველივე ღმრთისაგან გამოსული კი მადლობით და დიდსულოვნებით შევიწყნაროთ.

ზოგჯერ ხდება ხოლმე მზისა და მთვარის დაბნელებანი,

რითაც მხილებულ არიან ისინი, „რომელთა-იგი გარდაცვალეს ჭეშმარიტებაჲ ღმრთისაჲ სიცრუვედ და პატივ-სცემდეს და ჰმსახურებდეს დაბადებულთა და არა დამბადებელსა...“ (რომ. 1, 25), და რითაც მტკიცდება, რომ მზე და მთვარე ცვალებას არიან დაქვემდებარებული. ცნობილია, რომ ყოველივე ცვალებადი არ არის ღმერთი, რამეთუ რაც იცვლება, იგი ბუნებით ხრწნადია.

მზის დაბნელება მაშინ ხდება, როცა მთვარე, გარკვეულ შუალედურ ზღუდედ ქცეული, ჩრდილს იძლევა და საშუალებას არ აძლევს მზის ნათელს ჩვენამდე მოაღწიოს. ამიტომ რამდენ ხანსაც მთვარე გადაეფარება ხოლმე მზეს, იმდენ ხანს გაგრძელდება მზის დაბნელება. არც ის უნდა გაგვიკვირდეს, რომ მთვარე ბევრად მცირეა მზეზე და მაინც ძალუძს გადაეფაროს მზეს. მიუხედავად იმისა, რომ ზოგი ამტკიცებს, მზე ბევრად დიდიაო დედამიწაზე, ხოლო წმიდა მამები, დედამიწას ტოლად მიიჩნევენ, მაგრამ მზეს ხშირად მომცრო ღრუბელიც დაჰფარავს ხოლმე ჩვენს თვალთაგან, ანდა უმნიშვნელო ბორცვი თუ კედელი.

მთვარის დაბნელება დედამიწის ჩრდილის შედეგად ხდება. როცა მთვარე 15 დღისა შეიქმნება ხოლმე და როცა მზე და მთვარე მოპირდაპირე მხარეს აღმოჩნდებიან ერთი (წარმოსახვითი) წრფის სხვადასხვა ბოლოში, იმ წრფისა, რომელიც ზეციური თაღის უმაღლეს შუაგულში გადის. მზე ამ დროს დედამიწის ქვემოთაა მთვარე კი, დედამიწის ზემოთ, დედამიწა ჩრდილს იძლევა, მზის სხივები ვერ აღწევს მთვარემდე და ვერ ანათებს მას, რისი მიზეზითაც ხდება მთვარის დაბნელება.

უნდა გვახსოვდეს, რომ ღმერთმა სავსე მთვარე შექმნა, ანუ იმ ფორმით, რომელიც აქვს მთვარეს თვის მეთხუთმეტე დღეს. მაგრამ მეოთხე დღეს (შესაქმისა), როგორც უკვე ვთქვით, ღმერთმა მზე შექმნა. მაშასადამე, მთვარემ თერთმეტი დღით გაუსწრო მზეს, რადგან მეოთხე დღიდან მეთხუთმეტე დღემდე თერთმეტი დღეა. ამიტომ ყოველ წელიწადს 12 მთვარის თვე 11 დღით ნაკლებია მზის 12 თვეზე. მართლაც, 12 მზის თვე შეადგენს 365 დღეს და კიდევ მეოთხედს ერთი დღისა, ხოლო რადგანაც ამ მეოთხედიდან ოთხ წელიწადში

ერთი დღე შედგება ხოლმე, ამიტომ ყოველი მეოთხე წელიწადი შეიცავს 366 დღეს. მთვარის წელიწადი 354 დღეს შეიცავს, რადგან მთვარე, როცა ახლად იშვება, ანუ განახლდება ხოლმე, იზრდება, ივსება მანამ, სანამ არ მიაღწევს 14 დღისა და 3/4-ის ასაკს. შემდეგ თანდათან განიცლება და 29 დღისა აღარც ჩანს ხოლმე. მზეს შეუერთდება, განახლდება, ხელახლა იშვება და ადამიანებს მიგვანიშნებს მომავალ აღდგომას მკვდრეთით. ამგვარად, მთვარე ყოველწლიურად 11 დღით ჩამორჩება მზეს. ამიტომაა, რომ ებრაელებს ყოველი სამი წლის შემდეგ აქვთ ერთი დამატებითი თვე, და მაშასადამე მესამე წელიწადი ცამეტ თვიანი გამოსდით, რადგან ამ თვეს ყოველი წლის თერთმეტი დღისაგან ადგენენ, (ანუ მთვარის თვეებით აღრიცხავენ წელიწადს).

ცხადია, მზეც, მთვარეც და ვარსკვლავებიც შედგენილნი არიან და თავიანთი ბუნებით რღვევას ექვემდებარებიან. მაგრამ მათი ჭეშმარიტი ბუნება მაინც არ ვუწყით. მართალია ზოგნი ამბობენ, რომ ცეცხლი, როდესაც რომელიმე ნივთიერებაშია, უხილავი ხდება, და ამიტომ როგორც კი ჩააქრობენ, უმალვე განქარდებაო. მაგრამ სხვები ამტკიცებენ, რომ ცეცხლი კი არ განქარდება ჩაქრობის შემდეგ, არამედ ჰაერად იქცევა[31].

ზოდიაქური წრე ირიბი წრფით მოძრაობს და თორმეტ ნაწილად იყოფა. ყოველი ნაწილი ზოდიაქოს ნიშნების მიხედვით იწოდება. თითოეული ან ნიშანთაგანი მოიცავს ოცდაათ გრადუსს. მათ შორის უმთავრესია სამი — თითო გრადუსი ყოველი ათიდან. ყოველი გრადუსი შედგება 60 წამისაგან. ამრიგად, მთლიანად ცა მოიცავს 360 გრადუსს, აქედან 180 იმ ნახევარსფეროში მდებარეობს, რომელიც დედამიწის ზემოთ მდებარეობს, 180 კი, დედამიწის ქვემოთ მდებარე ნახევარსფეროში.

პლანეტების ადგილსამყოფელისთვის

მარსის ადგილსამყოფელია ვერძი და მორიელი, მიზვერი და სასწორი — ვენერასი, მარჩბივი და ქალწული — მერკურისა, კირჩხიბი (ციბორჩხალა)—მთვარისა, ლომი—მზისა, მშვილ-

დოსანი და თევზები — იუპიტერისა, თხის რქა და მერწყული კი სატურნისა.

პლანეტების სიმაღლე შემდეგია: ვერძი — მზისაა, მოზვერი — მთვარისა, კირჩხიბი იუპიტერისა, ქალწული — მარსისა, სასწორი — სატურნისა, თხის რქა — მერკურისა, თევზები — ვენერასი.

მთვარის ფაზებია: შეერთება ხდება მაშინ ,როცა მთვარე მზესთან ერთ გრადუსში იმყოფება; იშვება (განახლდება) მაშინ, როცა იგი მზეს ჩამორჩება 15 გრადუსით; ამოსვლა — როცა მთვარე გამოჩნდება; ნამგლისებური ფაზა მთვარეს ორჯერ აქვს — როცა მზეს 60 გრადუსით ჩამორჩება; ორი ნახევარსფერული ფაზა მთვარისა მაშინაა, როცა იგი მზეს 90 გრადუსით ჩამორჩება; ასევე ორი ფაზა მთვარისა ორმაგი გამობურცვით მაშინაა, როცა იგი მზეს 120 გრადუსით ჩამორჩება; ორი ფაზა არასრული სისავსისა და არასრული ნათლისა მაშინ არის, როცა მთვარე 150 გრადუსით ჩამორჩება მზეს; სრული სავსება მთვარისა მაშინ დგება, როცა იგი 180 გრადუსით ჩამორჩება მზეს. ჩვენ ვლაპარაკობდით მთვარის ორი ფაზის (მდგომარეობის) შესახებ, და ვგულისხმობდით ფაზას ზრდისა (სავსებისაკენ სვლისა) და ფაზას დაკლებისა. ზოდიაქოს თითოეულ ნიშანს მთვარე გაივლის 2,5 დღის განმავლობაში.

თავი VIII

ჰაერისა და ქართათვის

ჰაერი არის ძალზე მსუბუქი სტიქია, ნოტიო და თბილი, თუმცა იგი ცეცხლზე უფრო მძიმეა, ხოლო მიწასა და წყალზე უფრო მსუბუქი. ჰაერს ვისუნთქავთ და ჰაერივეა მიზეზი ბგერის წარმოშობისა. ჰაერი უფერულია, ე. ი. ბუნებით არა აქვს განსაზღვრული ფერი; გამჭვირვალეა, რადგან შეუძლია ნათლის მიღება. ჰაერი განაპირობებს ჩვენი სამი გრძნობის მოქმედებას, რადგანაც სწორედ მისი საშუალებით ვხედავთ, გვესმის და ვიყნოსავთ. ჰაერს შეუძლია მიიღოს სითბო და სიცივე, სიმშრალე და სიწესტე. ჰაერისავე კუთვნილებაა ყველა

სახის სივრცობრივი მოძრაობა — ზემოთ, ქვემოთ, შიგნით, გარეთ, მარცხნივ, მარჯვნივ, და კვალად, ბრუნვითი მოძრაობაც.

თავისთავად ჰაერს არა აქვს ნათელი. იგი ნათდება მზის, მთვარისა და ვარსკვლავების სხივებით, აგრეთვე ცეცხლის სინათლით. ამის შესახებ საღმრთო წერილშიცაა ნათქვამი: „და იყო ბნელი ზედა უფსკრულთა"-ო (დაბ. 1, 2). ამ სიტყვებით საღმრთო წერილს უნდა გვიჩვენოს, რომ ჰაერს თავისთავად არა აქვს ნათელი, და რომ არსი ნათლისა სხვაა და სხვაგვარია.

ქარი ჰაერის მოძრაობაა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ქარი არის ჰაერის დინება. ქარები თავიანთ სახელწოდებებს იმ ადგილებისდა მიხედვით იღებენ, საიდანაც იწყებიან. ადგილი კი, თავის მხრივ, არის რაღაც ჰაეროვანი (ჰაერთან დაკავშირებული), რადგან ხილული სხეულის ადგილს ის წარმოადგენს, რაც ამ სხეულს მოიცავს. ხოლო სხვა რა მოიცავს ხილულ სხეულებს, თუ არა ჰაერი? ადგილები, საიდანაც დასაბამს იღებენ ჰაერის მოძრაობანი, სხვადასხვაა, და ამ სხვადასხვა ადგილებისგან მიიღეს ქარებმა სახელწოდებანი. სულ ქართა რიცხვი თორმეტია.

ამბობენ, რომ ჰაერი არის ჩამქრალი ცეცხლი, ანდა გაცხელებული წყლის ანაორთქლი. აქედან ჩანს, რომ ჰაერი თავისი ბუნებით ცხელია, მაგრამ ცივდება ხოლმე წყალთან და მიწასთან სიახლოვის შედეგად, ასე, რომ მისი ქვედა ნაწილი ცივია, ზემოთა კი — ცხელი[32].

„სხვადასხვა ქარს რაც შეეხება, უნდა ვიცოდეთ, რომ მზის საზაფხულო აღმოსავალიდან უბერავს კეკიოსი (ანუ ჩრდილო-აღმოსავლეთის ქარი), იგივე საშუალო ქარი. ბუნიობისდროინდელი მზის აღმოსავლეთიდან აღმოსავლეთის ქარი უბერავს, ზამთრის აღმოსავლიდან — ევროსი, ზამთრის მზის დასავალიდან — ლიბოსი; ზაფხულის მზის დასავალიდან უბერავს არგესტისი (ჩრდილო-დასავლეთის ქარი), იგივე ოლიმპიასი, რომელსაც სხვაგვარად კიდევ იაპიქსისი ეწოდება. კვალად უბერავენ სამხრეთის და ჩრდილოეთის ქარები, რომლებიც ერთმანეთის საპირისპიროდ ქრიან. კვალად არსებობს სხვა ქარიც, საშუალი კეკიოსსა და ჩრდილოეთის ქარს შორის, და ამ

ქარს ბორეასს უწოდებენ. ევროსსა და სამხრეთის ქარებს შორის არსებობს კიდევ ქარი ფინიქსი, რომელსაც სხვაგვარად ევრონოტოსიც ეწოდება. სამხრეთის ქარსა და ლიბოსს (დასავლეთის ქარს) შორის ჭრის ლიბონოტოსი, რომელსაც სხვაგვარად ლევკონოტოსი ეწოდება. ჩრდილოეთისა და არგესტისს (ჩრდილო-დასავლეთის ქარს) შორის უბერავს ქარი თრაკიოსი (თრაკიის ქარი), რომელსაც ამ მხარის მცხოვრებნი კერკიოსს უწოდებენ.

ხალხები, რომლებიც დედამიწის სხვადასხვა მხარეში არიან (უკიდურეს კიდეებში) დასახლებული, ესენი არიან: ევროსის ქარის ქვეშ ინდოელები ცხოვრობენ, ფინიქსის ქვეშ მეწამული ზღვა და ეთიოპია მდებარეობს, ლიბონოტოსის ქვეშ სახლობენ გარამანტები, სირტის გადაღმა მცხოვრებნი, ლიბოსის ქვეშ ეთიოპელები და დასავლეთის მავრები სახლობენ, დასავლეთის ქარის ქვეშ მდებარეობს ჰერკულესის სვეტები და დასაწყისი საზღვრები ლიბიისა და ევროპისა; არგესტისის ქვეშ იბერიაა, აწინდელი ესპანეთი; თრაკიის ქარის ქვეშ კელტები და მათი მოსაზღვრე ტომები ცხოვრობენ; ჩრდილოეთის ქარის ქვეშ სკვითები არიან, რომლებიც თრაკიის მიღმა მხარეში სახლობენ; ბორეიუსის ქვეშ მდებარეობს პონტო, მეოტიის ზღვა და აქ სარმატები სახლობენ; და ბოლოს კერკიოსის ქვეშ კასპიის ზღვა მდებარეობს და საკები სახლობენ (ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს).

თავი IX

წყალთათვის

წყალიც ერთ-ერთია ოთხი სტიქიისაგან, უმშვენიერესი ქმნილება ღვთისა. წყალი ნოტიო და ცივი სტიქიაა. იგი მძიმეა, ქვევით მიისწრაფვის და ადვილად იღვრება ზედაპირზე. მის შესახებ საღმრთო წერილში ნათქვამია: „... და ბნელი ზედა უფსკრულთა, და სული ღმრთისაჲ იქცეოდა წყალთა ზედა“ (დაბ. 1, 2). მართლაც, უფსკრული სხვა არაფერია, თუ არა დიდი სიმრავლე წყალთა, რომლის საზღვარიც მიუწვდო-

მელია ადამიანებისთვის. დასაბამად ხომ წყალი მთელი დედა-მიწის ზედაპირს ჰფარავდა. და უწინარეს ყოვლისა ღმერთმა მყარი შექმნა, რომელსაც განუჩინა ყოფილიყო „განმყოფელ წყლისა და წყლისა“.., „...შორის წყლისა, რომელი იყო ქვეშე კერძო სამყაროისა, და შორის წყლისა ზედა კერძო სამყაროისა“ (დაბ. 1, 6, 7); რამეთუ ღმერთის ბრძანებით მყარი წყალთა უფსკრულის შუაში დაემკვიდრა. ღმერთმა თქვა, იყოს მყარიო, და მყარიც წარმოიშვა. მაგრამ რატომ მოათავსა ღმერთმა წყალი მყარზე („ზედა კერძო სამყაროისა“)? იმიტომ, რომ მზისა და ეთერისაგან უმძაფრესი სიმხურვალე მომდინარეობდა. უშუალოდ მყარს იქით ხომ ეთერი მდებარეობს, ხოლო მყარსა ზედა განლაგებული არიან მზეც, მთვარეც და ვარსკვლავებიც, და მყარის ზემოდან წყალი რომ არ ყოფილიყო, მაშინ მყარი აალდებოდა და დაიწვებოდა[33].

შემდეგ ღმერთმა უბრძანა წყალთ შეკრებილიყვნენ „შესაკრებელსა ერთსა“ (დაბად. 1, 9). სიტყვები: „შესაკრებელსა ერთსა“ არ მიუთითებს იმაზე, რომ წყალნი ერთს ადგილს იქნენ თავმოყრილი, რადგან იქვე, საღმრთო წერილში ნათქვამია: „...და შესაკრებელსა წყალთასა უწოდა ზღვებ“ (დაბად. 1, 10). ზემოხსენებული სიტყვებით აღნიშნულია, რომ წყალნი, განცალკევდნენ რა მიწისაგან, ერთმანეთს შეუერთდნენ. ამგვარად შეიკრიბნენ წყალნი „შესაკრებელსა ერთსა“, „და გამოჩნდა ხმელი“ (დაბ. 1, 9). აქედან წარმოიშვა ორი ზღვა, რომელნიც ეგვიპტეს შემოსაზღვრავენ, რამეთუ იგი ორ ზღვას შორის მდებარეობს[34]; მათვე (წყალთა შესაკრებელ ზღვებს) განეკუთვნება სხვადასხვა მცირე ზღვაც, თავთავიანთი მთებით, კუნძულებით, კონცხებით, ნავსაყუდლებით, ყურეებით, რომლებიც შემოფარგლულია გაშლილი ქვიშოვანი ნაპირითა და კლდოვანი კბოდეებით. გაშლილ ნაპირად ქვიშნარი ნაპირი იწოდება, ხოლო კლდოვანად — კბოდეებიანი, წყვეტილ ფლატეებიანი ნაპირი, რომლის კიდიდანაც უმალვე იწყება სიღრმე წყალთა. ამგვარად წარმოიშვნენ სხვა ზღვებიც — აღმოსავლეთისა, რომელსაც ინდოეთის ზღვა ეწოდება, ჩრდილოეთის ზღვა, კასპიის ზღვად წოდებული და აგრეთვე ტბებიც.

ოკეანეს რაც შეეხება, იგი თითქოსდა რალაც მდინარეა,

რომელიც მთელს დედამიწას უვლის გარს (შემოსაზღვრავს) და რომლის შესახებ კიდეც ნათქვამია, ვგონებ, საღმრთო წერილში, რომ „...მდინარე გამოვალს ედემით"-ო (დაბ. 2, 10). ამ მდინარეს სასმელად ვარგისი და ტკბილი წყალი მოჰქონდა. ოკეანეს ზღვებში მიაქვს თავისი წყალნი, სადაც დიდი ხნის უძრავად ყოფნითა და მზის ზემოქმედებით განწარდებიან; გარდა ამისა, წყალთა უმჩატესი ზედა ნაწილი განუწყვეტლივ ზეაღიტაცება მზისა და ქარიშხლის ზემოქმედებით. აქედან წარმოიშვებიან ღრუბლები და მათგან მოედინარე წვიმები, ამასთან წყალი თითქოს იცრება (იწმინდება) და კვლავ ტკბილი და დასალევად ვარგისი შეიქმნება ხოლმე.

ოკეანე განიყოფა „ოთხად თავად" (დაბ. 2, 10), ანუ ოთხ მდინარედ. ერთ-ერთი მდინარის სახელია ფისონ (დაბ. 2, 11), ანუ ინდოეთის მდინარე განგი. მეორე მდინარეს გეონი ჰქვია (დაბ. 2, 13). ეს ნილოსია, რომელიც ეთიოპიიდან ეგვიპტეში მიედინება[35]... მესამე მდინარის სახელია ტიგრისი (დაბ. 2, 14), მეოთხისა კი — ევფრატი (იქვე). არის სხვაც ბევრი ძალზე დიდი მდინარე, რომელთაგან ზოგნი ზღვებს შეერთვიან, სხვანი კი მხელეთზე იკარგებიან. ამის გამო მთელს ხმელეთზე, მიწის ქვეშ მრავალი ხვრელი და გასასვლელია, თითქოსდა ეს ძარღვებია მიწისა, რომლებითაც ხმელეთი ზღვებიდან და მდინარეებიდან წყალს მიიღებს და შემდეგ აურაცხელ წყაროებსა და ნაკადულებს აღმოაცენებს.

ამის გამო სწორედ მიწის რაგვარობაზეა დამოკიდებული წყაროთა წყალიც, რადგან ზღვის მწარე წყალი მასში გავლით იწმიდება და ამგვარად, მიწის საშუალებით გასუფთავებული შეიქმნება ტკბილად და სასმელად ვარგისად. ხოლო თუ ის ადგილი, სადაც წყარო იღებს სათავეს, მწარე ან მარილიანი აღმოჩნდება, მაშინ წყალიც ასეთივე მწარე თუ მლაშე გამოედინება. ხშირად წყალი მიწაშიგაა დაგუბებული, ძალუმად ამოხეთქავს მიწიდან და ამის გამო თბება. ამგვარად ჩნდება თვითნაბადი თბილი წყაროები.

ამრიგად, ღმერთის ბრძანებით, დედამიწაზე ღრმულები გაჩნდა, რომლებშიც შეიკრიბნენ კიდეც წყალნი „შესაკრებელთა მათთა" (დაბ. 1, 9); ამგვარი წარმოშობისაა მთებიც.

შემდეგ ღმერთმა უბრძანა პირველქმნილ წყალს გამოღება

„სამშვინველთა ცხოველთა“ (დაბ. 1, 20), რადგან ენება წყალთა და სულიწმიდის საშუალებით, რომელიც დასაბამად წყალთა ზედა იქცეოდა (დაბ. 1, 2), ადამიანი შეექმნა, როგორც ბრძანებს ღვთაებრივი ბასილი. და წყალმა წარმოშვა ცხოველები, მცირენი და დიდნი, ვეშაპნი, ურჩხულნი, თევზნი, წყალში რომ დაცურავენ და ფრინველნი ფრთოსანნი, ჰაეროვან სივრცეში რომ დაფრინავენ; ასე, რომ ფრინველთა სახით ერთიანდება წყალი, მიწა და ჰაერი, რადგან ფრინველები წყალთაგან წარმოიშვნენ, მიწაზე ცხოვრობენ და ჰაეროვან სივრცეში დაფრინავენ.

წყალი არის სტიქიათაგან ყველაზე მშვენიერი სტიქია, და მას ბევრი სარგებლობა მოაქვს ადამიანისთვის: იგი, უპირველეს ყოვლისა, განსწმედს ადამიანს ყოველივე არაწმიდებისა და სიბინძურისაგან, და არა მხოლოდ ხორციელი არაწმიდებისაგან, არამედ, თუკი ადამიანი, მიიღებს სულიწმიდას და მადლით აღივსება, იგი სულიერი არაწმიდებისგანაც განიწმიდება ხოლმე[36].

ზღვათათვის

ეგეოსის ზღვის იქით იწყება ჰელესპონტი, რომელიც აბისამდე და სესტამდე გართხმულა. პროპონტიდა, ქალკიდონამდე და ბიზანტიამდე ვრცელდება. სრუტის იქით პონტოს ზღვა იწყება. შემდეგ მდებარეობს მეოტიის ტბა, და იქ, სადაც იწყება ევროპა და ლიბია, იბერიის ზღვა გადაშლილა ჰერკულესის სვეტებიდან პირენეის მთებამდე. ამის იქით ლიგურიის ზღვაა, რომელიც ეტრურიამდე ვრცელდება, შემდეგ სარდინიის ზღვაა, სარდინიის მიღმა გადაშლილი და ლიბიისაკენ მიქცეული. ტირენის ზღვა ლიგურიის მხარის საზღვრებიდან იწყება და სიცილიამდე ვრცელდება. მერმე მოდიან ზღვები: ლიბიისა, კრეტისა, სიცილიისა, იონიისა, და ადრიატიკისა. სიცილიის ზღვიდან იწყება კორინთოს ყურე ანუ ალკეონიდის ზღვა. ის ზღვა კი, რომელსაც სუნიისა და სკილეუსის კონცხები შემოზღუდავენ, იწოდება სარონიკეს ზღვად. მას მოსდევს მირტოიისა და იკარიოსის ზღვები, რომლებშიც ციკლედის კუნძულებია. შემდეგ გადაშლილია ზღვები: კარპათიისა,

პაშფილიისა, და ეგვიპტისა. იკარიის ზღვის ზემოთ ეგეოსის ზღვაა.

საზღვაო გზა ევროპის სანაპიროს გასწვრივ, დაწყებული მდინარე ტინაოსის შესართავიდან ვიდრე ჰერკულესის სვეტებამდე შეადგენს 609. 709 სტადიონს (უტევანს), ხოლო საზღვაო გზა ლიბიის სანაპიროთა გასწვრივ ტინგიდან კანობიის შესართავამდე შეადგენს 209. 252. სტადიონს. და ბოლოს საზღვაო გზა აზიის სანაპიროთა გასწვრივ, კანობიიდან მდინარე ტინაისამდე, ყურეების ჩათვლით, შეადგენს 4. 111 სტადიონს. მთლიანად საზღვაო სანაპირო დედამიწისა, რომელიც ამჟამად დასახლებულია, ყურეების ჩათვლით, შეადგენს 1.309.072 სტადიონს (უტევანს).

თავი X

შესახებ მიწისა და ყოველივე იმისა, რაც კი მისგან აღმოცენებულა

მიწა არის ერთ-ერთი ოთხი სტიქიისაგან. იგი არის მშრალი, ცივი, მძიმე და უძრავი სტიქია, რომელსაც ღმერთმა არსებობა არარადან მიანიჭა შესაქმის პირველსავე დღეს, რამეთუ სალმრთო წერილი გვეუბნება: „დასაბამად ქმნა ღმერთმან ცაი და ქვეყანაი“ (დაბად. 1, 1). თუ რაზეა დამყარებული და დაფუძნებული მიწა, კაცთაგან არავინ უწყის, და არც არავის შეუძლია ახსნას. თუმცა, ზოგიერთნი ცდილობენ დამტკიცონ, რომ მიწა დამკვიდრებული და დამყარებულია წყალზა ზედა, თანახმად ღვთაებრივი დავით მეფის სიტყვებისა, რომელიც ამბობს: „რომელმან დაამტკიცა ქვეყანაი წყალთა ზედა..“ (ფს. 135, 6). კვალად, სხვანი ფიქრობენ, რომ მიწა ჰაერზეა დამკვიდრებული. მესამე ამის გამო ამბობს: „და დამოჰკიდე ქვეყანაი არავერასა ზედა“ (იობი 26, 7). სხვაგან ღმრთივ მესიტყვე დავით მეფე, თითქოსდა შემოქმედის პირით, ამბობს: „...განკფდა ქვეყანაი და ყოველნი მკვიდრნი მისნი. მე დავამტკიცენ სვეტნი მისნი“-ო (ფს. 74, 4), და აქ სვეტს უწოდებს იმ რაღაც ძალას, რომელსაც უპყრია, ანუ რომელზეც დამტკიცებულია დედამიწა. ხოლო ეს სიტყვები

იგივე დავით წინასწარმეტყველისა — „რამეთუ თავადმან ზღვათა ზედა დააფუძნა იგი (ანუ ქვეყანა) და მდინარეთა ზედა განჰმზადა იგი“ (ფს. 23, 2), გვიჩვენებს, რომ წყალთა სტიქიით ყოველს მხრიდან გარემოცულია მიწა. ამრიგად, სულ ერთია, რას ვიფიქრებთ და რას დავუშვებთ — თავის თავზეა დაფუძნებული დედამიწა, ჰაერზე, წყალზე თუ, საერთოდ, არაფერზე,—ჩვენ ყველა შემთხვევაში კეთილმსახურად უნდა ვიფიქროთ და იმას ვაღიარებდეთ, რომ ყოველივე ერთობაშად წარიმართება და დაიცვება, ანუ შენარჩუნებულია და არსებობს, შემოქმედი ღმერთის მიერ.

დასაბამად, როგორც საღმრთო წერილი გვეუბნება, მიწა წყალთაგან დაფარული და „განუმზადებელი“ (უსახო, უფორმო) იყო (დაბად. 1, 2). ე. ი. ჯერ მოწესრიგებული არ იყო. მაგრამ ღმერთის ბრძანებით მიწაზე წარმოიშვნენ წყალთა შესაკრებელნი, მყისვე წარმოიქმნენ მთები. და დედამიწამ მ-სთვის დამახასიათებელი სახე მიიღო — დამშვენდა ყოველგვარი ბალახეულითა და მცენარეებით, რომლებსაც საღმრთო ნებამ მიანიჭა ძალა ზრდისა და თესლის წარმოქმნისა, ანუ უნარი მსგავსის აღმოცენებისა. გარდა ამისა, შემოქმედის ბრძანებით, მიწამ წარმოშვა სხვადასხვა სახეობის ცხოველებიც—ქვეწარმავლები, გარეული მხეცები და შინაური პირუტყვები. ყოველივე ეს ადამიანისთვის აღმოცენდა, მაგრამ ცხოველთაგან ერთნი განკუთვნილი იყო საზრდოდ ადამიანისთვის, როგორიცაა — ირემი, თხა და ა. შ. სხვა ცხოველები — აქლემი, სახედარი, ცხენი, ჯორი და სხვა დამხმარე ძალად. მესამეთა დანიშნულება კი, ადამიანის შეჭცევაა, ასეთია: კაჭკაჭი, თუთიყუში და მისთანანი. ასევეა განჩინებული მცენარენი და ბალახეულიც. ზოგ მათგანს ნაყოფი მოაქვს, სხვანი საზრდოდ გამოიყენებიან, მესამენი კეთილსურნელებით გამოირჩევიან, ყვავილობენ და გვატკბობენ, როგორიცაა, მაგალითად, ვარდი და მისთანანი. მეოთხე სახის მცენარენი სნეულებათა განსაკურნავად იხმარება. მაშასადამე, არ არსებობს ისეთი ცხოველი თუ მცენარე, შემოქმედ ღმერთს ადამიანისათვის სასარგებლო რაიმე ძალა თუ თვისება რომ არ მიენიჭებინოს, რამეთუ ღმერთი დაფარულთა მეცნიერია, რომელმაც უწყის „ყოველნი პირველ ქმნისა მათისა“ (დანიელი 13, 42), წინასწარ

ხედავდა, რომ ადამიანი თავისი თავისუფალი ნებით გარდახ-
დება მ ი ს მცნებას და ამით ხრწნილებას მიეცემა. ყოველი-
ვეს ცათა შინა და ქვეყანასა ზედა, აგრეთვე წყალთა სიღრმე-
ებშიც იმგვარად შექმნის, რომ ყველაფერი თავის დროზე
ადამიანისთვის სასარგებლო და გამოსაყენებელი იყოს.

მცნების გარდახდომამდე ყოველივე ადამიანს ექვემდება-
რებოდა, რადგან ღმერთმა დაადგინა მთავრად იმ ქმნილებათა,
რაც იყო მიწაზე თუ წყალთა სიღრმეებში. გველიც კი, შეჩ-
ვეული იყო ადამიანს სხვა ცხოველებზე მეტად და მოძრაო-
ბებით თითქოსდა ესაუბრებოდა ხოლმე ადამიანს[37]. სწორედ
ამიტომ, ეშმაკმა, ბოროტების მამამთავარმა, გველის პირით
შთააგონა ჩვენს პირველ მშობლებს ის უბოროტესი რჩევა, მა-
შინ მიწაც თავისით ნაყოფიერდებოდა, რათა ადამიანის ხელ-
მწიფების ქვეშ მყოფ ცხოველებს საზრდო ჰქონოდათ. იმ
დროს დედამიწაზე არც წვიმდა, არც ზამთარი დგებოდა. შე-
ცოდების შემდგომ ადამიანი „... ჰბაძავდა... პირუტყვთა უგუ-
ნურთა და მიემსგავსა მათ“ (ფს. 48, 13), გულისწადილს უფ-
ლება მისცა გონიერ სულზე გაბატონებისა და უფლის მცნე-
ბას გარდახდა. ადამიანს დაქვემდებარებული ქმნილება წინ-
აღუდგა შემოქმედის მიერ მის მთავრად დადგენილ ქმნილებას
(ადამიანს), რის გამოც ადამიანი დაისაჯა და კუთვნილი სა-
ზღაური მიიღო შემოქმედი ღმერთისგან, რომელმაც განუცხა-
და: „ოფლითა პირისა შენისათა სჭამდე პურსა შენსა ვიდრე
მიქცევამდე შენდა მიწად, რომლისაგან მოღებულ იქმენ, რა-
შეთუ მიწაჲ ხარ და მიწადცა მიიქცე“ (დაბად. 3, 19)[38].

გარეული მხეცები ეხლაც სასარგებლონი არიან ჩვენთვის,
რადგან შიშს გვგვრიან და გვაიძულებენ მარად გვახსოვდეს
შემოქმედი ღმერთი, რომელსაც უნდა შევღაღადოთ ხოლმე
შეწევნისათვის ყოველი განსაცდელის ჟამს. ადამიანის პირ-
ველი შეცოდებისთანავე იწყო მიწამ, უფლის სიტყვისაებრ,
ეკალთა (კუროჲსთავთა“) აღმოცენება. აქედან მოყოლებული
ვარდის მშვენიერებასა და სურნელს განუყრელად ახლავს თან
ეკლებიც. ისინი ჩვენს შეცოდებას უნდა გვახსენებდნენ, იმ
გარდახდომას უფლის მცნებისაგან, შედეგად რომ „ეკლისა
და კუროჲსთავის“ აღმოცენება მოჰყვა (დაბ. 3, 18).

ეს რომ მართლაც ასეა, ისიც ადასტურებს, რომ ყოველი-

ვე ეს აწინდელ ჟამამდე ამგვარადვე ჰგიებს უფლის სიტყვის ძალით, რომელმაც გვიბრძანა: „...აღორძინდით და განმრავლდით, და აღავსეთ ქვეყანაჲ და ეუფლენით მას“ (დაბად. 1, 28).

ზოგი ამტკიცებს, რომ დედამიწა სფეროსებური სახისაა (მრგვალია), სხვები კი, კონუსის ფორმისაო. დედამიწა ცასთან შეუღარებით ძალზე მცირეა და წერტილივით მოჩანს ზეციური სფეროს შუაგულში. თუმცა იგიც მოძრავია და ცვალებასაა დაქვემდებარებული. ნეტარ არს ის, ვინც ღირსი შეიქმნება მშვიდთა ქვეყნის დამკვიდრებისა (მათე 5, 4) რამეთუ ის მიწა (ქვეყანა), სადაც წმიდანები დაემკვიდრებიან, უკვდავია, — არც წარმავალია და არც ცვალებადი. ასე, რომ ვის ძალუძს ღირსეულად და ამომწურავად განადიდოს შემოქმედი ღმერთის უსაზღვრო და მიუწვდომელი სიბრძნე?! ანდა ჯეროვანი მადლი მიუძღვნას მ ო მ ნ ი ჭ ე ბ ე ლ ს ეგზომ დიადი სიკეთისა და მადლისა?!

ხოლო რაც შეეხება დედამიწაზე არსებულ ჩვენთვის ცნობილ მხარეებს (ოლქებს, ანუ სატრაპებს), მათი რიცხვი ევროპაში — ოცდათოთხმეტია, აზიაში, ამ უდიდეს მატერიკზე (ხმელზე) — ორმოცდარვა, ხოლო ეგრეთწოდებულ კანონთა რიცხვი სულ თორმეტია.

თ ა ვ ი XI

სამოთხის შესახებ

როცა ღმერთმა ინება ადამიანის შექმნა ხილული და არახილული ბუნებისაგან „სახედ თვისად და ხატად...“ (დაბ. 1, 27), რათა იგი მეუფე თუ მთავარი ყოფილიყო დედამიწისა და ყოველივე იმისა, რაც არის მასზე, მაშინ შემოქმედმა ადამიანს რაღაც სამეფო სასახლისმაგვარიც განუმზადა, სადაც ნეტარად იცხოვრებდა ყოველივეთი უსაზღვროდ კმაყოფილი. სწორედ, ეს პირველი საცხოვრებელი იყო ღვთაებრივი სამოთხე, დანერგული ღმერთის ხელით ედემში, — სამკვიდრებელი მხიარულებისა და ყოველგვარი სიკეთისა, რამეთუ თვით სიტყვა „ედემი“ სიამეს აღნიშნავს.

სამოთხე აღმოსავლეთის მხარეს მდებარეობდა და დედამიწის ყველაზე მაღალ ადგილას გადაშლილიყო. მასში სუფევდა სრული კეთილშეზავებულობა ყოველგვარი სიკეთისა: უფაქიზესი და უწმიდესი ჰაერი აღავსებდა სამოთხეს, მარადშვენიერითა და სილამაზით ყოველგვარ სახილველს აღემატებოდა, — ერთის სიტყვით, ეს იყო ჭეშმარიტად ღვთაებრივი სურნელს აფრქვევდა. სამოთხეში სულ ნათელი იდგა და სიმწვანე დახუნძლული ხეხილი ამკობდა და ირგვლივ საუცხოო ქვეყანა და ღირსეული სამკვიდრებელი ღმერთის სახედ და ხატად შექმნილი ადამიანისთვის. სამოთხეში არც ერთი უტყვი და უგონო არსება არ მკვიდრობდა, მხოლოდ ერთი ადამიანი ცხოვრობდა აქ, ღმერთის ხელთაგან ქმნილი არსება[39].

სამოთხის შუაგულში ღმერთმა დარგო ხე ცხოვრებისა და ხე ცნობადისა („ცნობად კეთილისა და ბოროტისა" (დაბ. 2, 9). ხე ცნობადისა გარკვეულწილად გამოსაცდელი ან საცთური უნდა ყოფილიყო ადამიანისთვის, გამოსაწრთობი მორჩილებასა და სიმდაბლეში. ამიტომ ეწოდა ამ ხეს ბოროტისა და კეთილის შეცნობის ხე. ნაყოფის მიმღებელთა სწორედ მან მიანიჭა უნარი საკუთარი თავის შეცნობისა. საკუთარი თავის შეცნობა სრულყოფილთათვისაა მისაღები, არასრულყოფილთათვის კი, ვინც ხორციელი ვნებებითაა შეპყრობილი, საზიანოა ისევე, როგორც ჩვილს არ ეკმევა მოზრდილთა საკვები, რადგან მხოლოდ დედის რძეს არის შეჩვეული. ადამიანის შემქმნელმა ღმერთმა არ ისურვა, რომ ამქვეყნიური საზრუნავით ვყოფილიყავით დამძიმებულნი და გადაღლილი (ლუკა 10, 41), აშაოზე მოფუსფუსენი და წინდახედულნი. მაგრამ ადამმა ყოველივე ეს ნამდვილად გამოსცადა, მას შემდეგ, რაც შეჭამა აკრძალული ნაყოფი და შეიტყო, რომ თურმე, შიშველი ყოფილა და „გარემოსარტყმელი" გაიკეთა ლეღვის ფოთოლთაგან. (დაბ. 3, 7). როგორც საღმრთო წერილი გვეუბნება, ამ შეცოდებამდე ადამი და ევა „იყვნეს ორნივ შიშველ... და არა ჰრცხვენოდა" (დაბ. 2, 25). ღმერთს სურდა, რომ ჩვენ ასეთივე უმწიკვლონი ვყოფილიყავით, ანუ ვნებებს მოკლებულნი, რადგან ეს (ადამის ყოფა) არის კიდეც მწვერვალი უვნებობისა. ღმერთს ისიც სურდა, რომ ჩვენ თავისუფალნი ვყოფილიყავით ყოველგვარ საზრუნავთაგან და მხოლოდ ერთი საქ-

მე გვქონოდა, ის, რაც ანგელოზთათვისაა დამახასიათებელი,— ანუ განუწყვეტლივ, დაუდუმებლად გალობით გვედიდებინა შემოქმედი ღმერთი. დავმტკბარიყავით მ ი ს ი ქკერეტით და სწორედ მ ი ს თ ვ ი ს მიგვენდო ჩვენზე ზრუნვა. ღაერთმა ეს გვამცნო წინასწარმეტყველის, დავით მეფის პირით, რომელიც გვეუბნება: „ძიუტევე უფალსა ზრუნვაჲ შენი, და ძან გამოგზარდოს შენ; და არა სცეს შერყევაჲ უკუნისამდე მართალსა“ (ფს. 54, 23). წმინდა სახარებაშიც, როცა თავის მოწაფეებს დამოძღვრავს, უფალი ბრძანებს: „...ნუ ჰზრუნავთ სულისა თქვენისათვის, რაჲ სჭამოთ და რაჲ ჰსუათ, ნუცა. ხორცთათვის, რაჲ შეიმოსოთ...“ (მათე 6, 25), და შემდეგ — „ხოლო თქვენ ეძიებდით პირველად სასუფეველსა ღმერთისასა და სიმართლესა მ ი ს ს ა, და ესე ყოველი შეგეძინოს თქვენ“ (მათე 3, 33). მართალაც ხომ ასე ეუბნება: „...მართალ მართალ ზრუნავ და შფოთ ხარ მრავლისათვის; აქა ერთისაჲ არს საჭმარ. ხოლო მარიამ კეთილი ნაწილი გამოირჩია, რომელი არსადა მიეღოს მისგან“ (ლუკა 10, 41-42), ანუ, როგორც ვიცით, მარიამმა უფლის ფერხთით ჯდომა და მ ი ს ი ღვთაებრივი სიტყვების მოსმენა ირჩია[10].

რაც შეეხება სიცოცხლის ხეს, იგი ან ისეთი ხე იყო, სიცოცხლის მინიშების ძალა რომ ჰქონდა, ანდა იმგვარი, რომლის ნაყოფებით საზრდოობა მხოლოდ ღირსეულებს შეეძლოთ, ანუ იმათ, ვინც სიკვდილს არ იყო დაქვემდებარებული[11]. ზოგნი სამოთხეს წარმოიდგენენ გრძნობისმიერ რამედ, სხვანი მას მხოლოდ სულიერ ადგილად მიიჩნევდნენ, მეჯი, მგონია, რადგან ადამიანიც ღმერთმა ორივენაირი შექმნა, ანუ გრძნობისმიერიცა და სულიერიც, ამის შესაბამისად მისი პირველი წმიდათაწმიდა ადგილსამყოფელიც ერთდროულად გრძნობისმიერიც იყო და სულისმიერიც. ამგვარად, ორგვარი სახე ჰქონდა. სხეულით ხომ ადამიანი, როგორც ვთქვით, ყველაზე ღვთაებრივ და უმშვენიერეს ადგილას მკვიდრობდა, ხოლო სული შეუდარებლად უფრო მშვენიერ და მაღალ ადგილას ცხოვრობდა, ჰქონდა რა საცხოვრებლად თვით მასში დამკვიდრებული ღმერთი, და შემოსილი ღმერთით, ვითარცა ნათელი შესამოსელით, დაცული მ ი ს ი მადლითა და წყალობით, ადამიანი ანგელოზის მსგავსად ტკბებოდა ერთადერ-

თი, ყველაზე ტკბილი ნაყოფით — ღმერთის ჭვრეტით, და ამით საზრდოობდა. აი, სწორედ, ეს იწოდება კიდეც სამართლიანად ზედ ცხოვრებისა, რადგან ღმერთთან ზიარებისა და ერთობის სიტკბოება იმგვარ სიცოცხლეს ანიჭებს ყველას, ვინც ღირსი შეიქმნება ამისა, რომელსაც სიკვდილი ვერ შეეხება. ამასვე უწოდა ღმერთმა „ყოველი ხეც", როცა თქვა: „...ყოველისაგან ხისა სამოთხისა ჭამით შჭამოთ" (დაბად. 2, 16), რამეთუ თვით ღმერთი არის ყოველივე, რ ო მ ე ლ-შ ი ც და რ ო მ ლ ი ს მიერაც „ყოველივე დაემტკიცა" (კოლას. 1, 17)[42].

კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხე არის ჭვრეტა მრავალსახოვანი სახილველისა, ანუ ადამიანის მიერ საკუთარი ბუნების შეცნობა. ამგვარი შეცნობა, რომლითაც ხდება საკუთარი თავისაგან გამოვლენა შემოქმედის დიდებულებისა, მშვენიერია სრულყოფილთათვის, ანუ ღვთის შემეცნება-ჭვრეტაში განმტკიცებულთათვის, რომელთაც არა აქვთ შიში დაცემისა იმის გამო, რომ ხანგრძლივი ძალისხმევის შედეგად გარკვეული ჩვევაც გამოუმუშავებიათ თავისთვის ამგვარი ჭვრეტისა. მაგრამ ასეთი შეცნობა საკუთარი თავისა კარგი არ არის იმათთვის, ვინც ჯერ გამოუცდელია და ადვილად ნებდება ხორციელ სიამეთა წადილს; ამიტომაც, რადგანაც ესევითარნი ჯერ არ განმტკიცებულან სიკეთეში და ჯეროვნადაც არ აღვსებულან მხოლოდ ერთისადმი — ღვთაებრივი მშვენიერების სიყვარულით, — სწორედ ამის გამო მათ, ჩვეულებრივ, გაიტაცებს ხოლმე და მთლიანად შეიპყრობს საკუთარ თავზე, საკუთარ სხეულზე ზრუნვა[43].

ამრიგად, მე ვფიქრობ, ღვთაებრივი სამოთხე ორადი ბუნებისა იყო, და ამიტომ ერთნაირად სწორად გვასწავლიან ღმერთშემოსილი მამები, — ისინი, ვინც სამოთხეს მხოლოდ გრძნობისმიერად მიიჩნევდა, და ისინიც, ვინც მეორე თვალსაზრისს იზიარებდა, ანუ სამოთხეს სულისმიერ ადგილად მიიჩნევდა. ხოლო გამოთქმა — „ყოველისაგან ხისა ჭამით შჭამო" — შეიძლება გავიგოთ ღმერთის ძალის შემეცნების მნიშვნელობით, ანუ იმგვარი შემეცნებისა, რომელიც ქმნილებათა განხილვით შეიძლება, ვითარცა ბრძანებს ღვთაებრივი პავლე მოციქული: „...უხილავი იგი ს ი ს ი დაბადებითგან

სოფლისაჲთ ქმნულთა მათ შინა საცნაურად იხილეების და სამარადისოჲ იგი ძალი მ ი ს ი და ღმრთეებაჲ“ (რომ. 1, 20). მაგრამ ყველა ამ აზრთა და ჭვრეტათა მაღლა დგას ფიქრი თვით ჩვენს გამო, ე. ი. ჩვენს აგებულებაზე, დანიშნულებაზე, სიტყვისაებრ ღვთაებრივი დავით მეფისა, რომელიც ამბობს: „საკვირველ იქმნა ცნობაჲ შენი ჩემგან: განძლიერდა და ვერ შეუძლო მას“ (ფს. 138, 6). მაგრამ ადამისათვის, რომელიც ის-ის იყო შექმნა ღმერთმა, ამგვარი შემეცნება საკუთარი არსებისა სახიფათო იყო ჩვენს მიერ ზემომოყვანილი მიზეზისა გამო.

გარდა ამისა, ცხოვრების ხეში იგულისხმება ის უდიდესი ღვთაებრივი შემეცნება, რომელსაც მთელი გრძნობისმიერი სამყაროს განხილვით შევიძენთ, აგრეთვე ის გზაც, რომლითაც ამ შემეცნების საშუალებით აღვმაღლდებით დ ა მ ბ ა დ ე ბ ე ლ თ ა ნ, შ ე მ ო ქ მ ე დ თ ა ნ და მ ი ზ ე ზ თ ა ნ ყ ო ვ ე ლ ი ვ ე არსებულისა. სწორედ ამას უწოდა ღმერთმა „ყოველი ხე“, რომლისაგანაც უნდა ჭამოს ადამიანმა, ე. ი. სრულს და განუყოფელს რასმე უწოდა, რომელსაც მხოლოდ სიკეთისადმი სიყვარული და ერთგულება მოაქვს ადამიანისთვის: ხოლო „ხე ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა“ შეიძლება გავიგოთ როგორც გრძნობისმიერი საზრდო, ხორციელ სიამეთა მომნიჭებელი, რომელიც თუმცა სასიამოვნოდ გვეჩვენება, მაგრამ არსებითად მხოლოდ ბოროტების მიზეზს წარმოადგენს თითოეულისთვის, ვინც მას მიიღებს, რამეთუ ღმერთი ბრძანებს: „ყოვლისაგან ხისა სამოთხისა ჭამით ჭამო“-ო (დაბად, 2, 16), ანუ, როგორც მე ვგონებ, ამით შემდეგს გამოხატავს: ყოველი ქმნილების მეშვეობით — ჩემამდე — შ ე მ ო ქ მ ე დ ა მ დ ე — ამაღლდი, და ყოველი ქმნილებისაგან ერთი ნაყოფი შეკრიბე და მიიღე — მ ე მიმიღე, ჭეშმარიტი ცხოვრება; დაე, ყოველმა ქმნილებამ ნაყოფად ცხოვრება გამოგიღოს, ხოლო ჩემთან თანაზიარობა შენი არსებობის საფუძვლად იაზრე, რამეთუ სწორედ ამგვარად შეიქმნები უკვდავი; „ხოლო ხისა მისგან ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა არა შჭამოთ მისგან, რამეთუ რომელსა დღესა შჭამოთ მისგან, სიკვდილითა მოსწყდეთ“ (დაბად. 2, 17), რადგან, თანახმად ბუნებრივი კანონისა და წესრიგისა, გრძნობისმიერი საზრდოს მიღება არის მხო-

ლოდ შევსება იმისა, რასაც მოვაკლდით, და ასეთი საზრდო გარე განიგდება და განიხრწნება. შეუძლებელია უხრწნელი იყოს, ვინც გრძნობისმიერი საზრდოთი საზრდოობს.

თავი XII

ადამიანის შესახებ

ასე შექმნა ღმერთმა სულიერი არსი, ანუ ანგელოზები და ცათა შინა მყოფი ყველა წოდება, რადგან უეჭველად აქვთ ანგელოზებს სულიერი და უხორცო ბუნება. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ვლაპარაკობ ანგელოზთა უხორცო ბუნების შესახებ მხოლოდ მატერიის უხეშ ნივთიერობასთან მიმართებით, რამეთუ არსებითად მხოლოდ ღმერთია უნივთო (არამატერიალური) და უხორცო. გარდა ამისა, ღმერთმა გრძნობისმიერი არსიც შექმნა, ანუ ცა, დედამიწა და ყოველივე ის, რაც არის მათ მორის. ამრიგად, ერთი ბუნება, პირველქმნილი არსი ღმერთმა თავისი მსგავსი შექმნა, რამეთუ ღმერთის მსგავსია გონიერი ბუნება, მხოლოდ გონებით მისაწვდომი და შეცნობადი. მეორე ბუნება კი, მეორედ ქმნილი არსი ღმერთმა ყველა მიმართებით თავისაგან საკმაოდ დაშორებულად შექმნა, რადგანაც ეს არსი სავსებით მისაწვდომია გრძნობისმიერი აღქმისთვის; საჭირო იყო ამ ორი არსის შერევნაც აღსრულებულიყო, რაც დამადასტურებელი იქნებოდა ორივე ბუნების მიმართ შემოქმედის უზენაესი სიბრძნისა და მოწყალებისა და, როგორც გრიგოლ ღვთისმეტყველი ამბობს, თითქოსდა შემაერთებელი იქნებოდა ხილული და უხილავი ბუნებისა. საჭირო იყო-მეთქი, ვამბობ, და ამ საჭიროებაში შემოქმედის ნებას ვგულისხმობ, რადგან სწორედ ღმერთის ნებაა ყველაზე სრული და მართებული კანონი თუ დადგინება. და ვერავინ ეტყვის შემოქმედ ღმერთს — რატომ შემქმენი ამგვარიო, რადგან მექოთნესაც კი შეუძლია თავის მიერვე მოზელილი თიხისაგან სხვადასხვა ღირსების ჭურჭელი შექმნას (რომ. 9. 21). რათა ამით თავისი ოსტატობა და გონიერება გამოაჩინოს[44].

ამრიგად, ხილული და არახილული ბუნებისაგან ღმერთი თავისი ხელით ქმნის ადამიანს ხატად და მსგავსად თვისად. მიწისაგან ღმერთმა გამოსახა სხეული ადამიანისა, ხოლო გონიერი და მოაზროვნე სული თვით შთაბერა, რასაც ვუწოდებთ ხატებას ღმრთისას, რადგან გამოთქმა „ხატებისაებრ" მიუთითებს ადამიანური ბუნების უნარზე გონიერ და თავისუფალ არსებად ყოფნისა. ხოლო სიტყვა „მსგავსებისაებრ" ნიშნავს ღმერთის მსგავსებას სიკეთეში, რამდენადაც ეს შესაძლებელია ადამიანისთვის[43].

სული ადამიანისა სხეულთან ერთად შეიქმნა, და არა ისე, როგორც ორიგენე ცრუსიტყვაობდა, როცა ამტკიცებდა— თავდაპირველად სული შეიქმნა (ადამიანისა), და მხოლოდ ამის შემდეგ სხეული[46].

ამრიგად ღმერთმა ადამიანი შექმნა უბიწო, მართალი, სიკეთის მოყვარული, თავისუფალი მუწხარებისა და საზრუნავისაგან, შემკული ყოველგვარი სიკეთითა და სათნოებით — თითქოსდა მეორე სამყარო — მცირე დიდში, — მსგავსი ანგელოზისა, ანუ როგორც ახალი ანგელოზი, თაყვანს რომ სცემს ღმერთს, — შექმნა იგი შეზავებული ორი ბუნებისაგან (სულისა და სხეულისაგან), მკვრეტელად ხილული ქმნილებისა, შემმეცნებლად და მიმწვდომად გონიერი ქმნილების საიდუმლოთა, მეუფედ და მთავრად ყოველივე იმისა, რაც კი არის დედამიწაზე, მაგრამ შექმნა დაქვემდებარებული მასზე მაღლა მდგომ ძალაუფლებას; შექმნა მიწიერად და ზეციერად, დროებითად (წარმავალად) და უკვდავად, ხილულად და გონებით მისაწვდომად, როგორც საშუალი დიდებულებასა და ჯნინს შორის; შექმნა ერთდროულად სულის მქონედაც და სხეულის მქონედაც, — სულისა — მადლის მიერ, სხეულისა კი, მის მოსაზღუდავად ამპარტავნებისაგან, ანუ სულის მქონედ იმისათვის, რომ ადამიანი უცვალებელი დარჩენილიყო და მარად თავისი კეთილისმყოფელი განედიდებინა, სხეულის მქონედ კი იმისათვის, რომ ვნებულიყო და ეტანჯა, და ამის ძლით მარად ხსომებოდა — ვინც არის და რად შეიქმნა, ხოლო ამპარტავნებით შეპყრობილი გონს მოსულიყო და განეგდო ამპარტავნება; ღმერთმა შექმნა ადამიანი ცოცხალ არსებად, რომელიც აქ, ამაქვეყ-

ნიურ ცხოვრებაში როგორღაც წარიმართება და შემდეგ სხვა ადგილას, ანუ მომავალ, საუკუნო ცხოვრებაში გადასახლდება; და შექმნა იგი, — ჰოი, მიუწვდომელო საიდუმლოვ!—აღჭურვილი ღმერთისაკენ მისწრაფების უნარით, ანუ იმგვარ არსებად, რომელსაც ძალუძს განღმრთოება ღვთაებრივი გაცისკროვნებისა და ღმერთთან ზიარების გზით, მაგრამ რომელიც არ გარდაიქმნება საღმრთო არსად[47].

ღმერთმა ადამიანი ბუნებით უცოდველი და ნებით თავისუფალი შექმნა. უცოდველი-მეთქი, ვამბობ იმიტომ კი არა, თითქოს იგი არ იყო მიდრეკილი ცოდვისაკენ და სრულიად მოშორებული იყო მას, — რამეთუ ერთი მხოლოდ ღმერთია მიუწვდენელი ცოდვას, — არამედ იმიტომ, რომ შესაძლებლობა შეცოდებისა თვით ადამიანის ბუნებაში კი არ მდგომარეობდა, არამედ მისი თავისუფალი ნებიდან გამომდინარეობდა. ეს იმას ნიშნავს. რომ ღვთაებრივი მადლის შეწევნით ადამიანს შეეძლო, თუკი ამას ისურვებდა, მარად სიკეთეში ყოფილიყო და სათნოებაში წარმატებულიყო, მაგრამ ამავე დროს, თავისი თავისუფალი ნების ძლით და ღმერთზე მინდობით ასევე შეეძლო განშორებოდა სიკეთეს და სიბოროტეში დარჩენილიყო, რამეთუ სათნოება როდია ის, რაც გარედან იძულებით კეთდება (და არა ნებაყოფლობით)[48].

სული (ადამიანისა) არის ცხოველი არსი, მარტივი (არაშედგენილი) და უხორცო (უნივთო); იმგვარი ბუნების მქონე, რომ ხორციელი თვალებით უხილავია, უკვდავია, დაჯილდოებული გონიერებითა და ჭკუით, ამასთან არა აქვს განსაზღვრული სახე (ფორმა); იგი მოქმედებს ორგანოებით აღჭურვილი სხეულის მეშვეობით და ანიჭებს ამ სხეულს უნარს სიცოცხლისა, ზრდისა, გრძნობისა და ძალას შობისა (განმრავლებისა). გონება სულის კუთვნილებაა, არა როგორც სხვა რამ, გარედან მიღებული, არამედ როგორც საკუთრივ მისი განუყოფელი ნაწილი. რაც თვალია სხეულისათვის, იგივეა გონებაც სულისთვის[49]. გარდა ამისა, სული თავისუფალი რამ არსებაა, რომელსაც აქვს უნარი ნებისმიერად მოქმედებისა. სული ცვალებას ექვემდებარება სწორედ ამ თავისუფალი ნების ძლით და მიზეზით, როგორც ეს საერთოდ არის დამახასიათებელი ყოველი ქმნილი არსებისათვის. ყოველივე ეს

სულს შემოქმედის მადლის მიერ მიენიჭა, რომლის წყალობითაც მიუღია მას არსებობაც და განსაზღვრული ბუნებაც[30].

უხორცოს (უსხეულოს) შესახებ, — სადაც არ უნდა იყოს იგი.

უხორცო რამ — უხილავი, უსახო (უფორმო) ჩვენ ორნაირად გვესმის. ერთი ამგვარია თავისი არსით, მეორე მადლით. პირველი უხორცოა თავისი ბუნებით, მეორე მატერიის უხეშ ნივთიერობასთან შედარებით. ამრიგად, ბუნებით უხორცოდ მხოლოდ შემოქმედი ღმერთი შეიძლება იწოდოს, ხოლო ანგელოზები, დემონები და სულნი ამ სახელწოდებას მადლის მიერ და მატერიის უხეშ ნივთიერობასთან შედარებით მიიღებენ.

სხეულად იწოდება ის, რასაც სამი განზომილება აქვს, სიგრძე, სიგანე და სიღრმე, ანუ სისქე. ყოველი სხეული ოთხი სტიქიისაგან შედგება. ცხოველთა სხეული კი ოთხი სინოტივისაგანაა შემდგარი.

უნდა ვთქვათ, რომ ოთხი სტიქია არის: მშრალი და ცივი მიწა, ცივი და ნოტიო წყალი, ნოტიო და თბილი ჰაერი, და თბილი და მშრალი ცეცხლი. ამ სახედვე არსებობს ოთხი სინოტივეც, შესაბამისი ზემოჩამოთვლილი ოთხი სტიქიისა; ესენია: შავი ნაღველი, შესატყვისი მიწისა, რადგანაც იგიც მშრალი და ცივია; მეორე სინოტივეა ლორწო, რომელიც წყალს შეესაბამება, რადგანაც იგიც ცივი და ნოტიოა; ფლეგმატური სინოტივე (სისხლი), შესატყვისი ჰაერისა, რადგან იგი ნოტიო და თბილია, და მეოთხე სინოტივეა ყვითელი ნაღველი, შესაბამისი ცეცხლისა, რადგან იგიც თბილი და მშრალია. ნაყოფნი სტიქიათაგან აღმოცენდებიან, სინოტივენი ნაყოფთაგან წარმოიქმნებიან, ცხოველთა სხეულები კი — სინოტივეთაგან, რომლებიც შემდეგ იშლებიან, რამეთუ ყოველივე შედგენილი ირღვევა და იმად იშლება, რისგანაც არის კიდეც შემდგარი.

იმის თაობაზე, რომ ადამიანს საერთო აქვს უსულო საგნებთანაც, უსიტყველ არსებებთანაც და გონიერებით დაჯილდოებულ არსებებთანაც.

უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანს რაღაც საერთო აქვს უსულო საგნებთან, კვალად თანაზიარია არაგონიერი არსებებისა, და, გარდა ამისა, აქვს გონიერ არსებათათვის დამახასიათებელი უნარიც აზროვნებისა. უსულო საგნებთან ერთობა იმაში გამოიხატება, რომ ადამიანს მათ მსგავსად აქვს სხეული, რომელიც ოთხი სტიქიისაგან შედგება; მცენარეებთან ეს აქვს საერთო და, კიდევ უნარი საზრდოობისა, გაზრდისა, თესლის წარმოქმნისა და შობისა (გამრავლებისა). არაგონიერ არსებებთან საერთო აქვს ყოველივე ზემოთჩამოთვლილი და კიდევ ისიც, რომ აქვს თავისუფალი ნებიდან გამომდინარე მიდრეკილებანი, ანუ ის, რომ შეიძლება დაექვემდებაროს ხორციელ წადილთ, და სხვადასხვა ვნებებს, აგრეთვე ის, რომ დაჯილდოებულია გრძნობებითა და უნარით, იმოქმედოს შინაგან აღძვრათა შესაბამისად.

გრძნობათა რიცხვი, რა თქმა უნდა, ხუთია: ესაა მხედველობა, სმენა, ყნოსვა, გემოთშეგრძნება და შეხების შეგრძნება. თავისუფალი ნებიდან გამომდინარე მოძრაობა მდგომარეობს ერთი ადგილიდან მეორეზე გადანაცვლებაში, აგრეთვე, მთელი სხეულის ამოძრავებაში, ბგერის გამოცემაში და სუნთქვაში, რადგან ყოველივე ამის ქმნა თუ არქმნა ჩვენს თავისუფალ ნებაზეა დამოკიდებული.

უსხეულო (უხორცო) და სულიერ არსებებთან ადამიანს საერთო აქვს თავისი გონება, — ანუ ის, რომ მაჯაც ძალუძს იფიქროს, განსაჯოს, შეადგინოს ცნებები, იქონიოს აზრი ყოველ საგანზე, ესწრაფოდეს ქველისსაქმეთ და სათნოებებს, და ბოლოს უყვარდეს ის, რაც სათნოების მწვერვალს შეადგენს— კეთილმოშიშება; სწორედ ამიტომ არის ადამიანი მცირე სამყარო[51].

უნდა ვიცოდეთ, რომ მხოლოდ სხეულისთვისაა დამახასიათებელი გაყოფა, განლევა და ცვალებადობა. ცვალებადობა წარმოადგენს თვისების შეცვლას, მაგალითად, ასეთია გახურება, გაცივება და მისთანანი. განლევა მდგომარეობს გამოცა-

რიელებაში (გამოფიტვაში), რამეთუ განლევა-გამოფიტვას ეკვივალენტურია შიმშილიც, სველიც და სუნთქვაც, რომელსაც ხელახალი შევსება სჭირდება ხოლმე; აქედანვე მომდინარეობენ ისეთი ბუნებრივი გრძნობები, როგორიცაა შიმშილი, წყურვილი და სხვ. გაყოფა წარმოადგენს ერთი სინოტივის გამოყოფას მეორე სინოტივისგან, და აგრეთვე დაშლას ფორმად და მატერიად.

სულისთვის დამახასიათებელია კეთილმოშიშება და გულისხმისყოფა (გონიერება). ხოლო ორივესათვის, როგორც სულისთვის, ასევე სხეულისთვის დამახასიათებელია ქველისსაქმენი და სათნოებანი, და სწორედ ამის გამო, ისინი სულის კუთვნილებაა, სხეული კი სულის მოთხოვნილებებს ემსახურება.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის გარემოებაც, რომ გონიერი ძალები (ადამიანში) უფლებენ არაგონიერ ძალებზე, რამეთუ სულის ძალნი ორად განიყოფიან: გონიერ და არაგონიერ ძალებად. არაგონიერი ძალნი ორი სახისაა: ერთნი ურჩნი არიან გონიერებისა და არ ექვემდებარებიან მას, მეორე ძალნი კი, შეისმენენ გონიერებისას და ექვემდებარებიან მას. გონიერებას ეურჩებიან და არ ექვემდებარებიან: ცხოველური ძალა, სხვაგვარად კიდევ სისხლის მიმოქცევის ძალად რომ იწოდება, თესლის წარმომქმნელი ძალა, ზრდის ძალა, რომელიც სხვაგვარად საზრდოობის ძალად იწოდება; ამ უკანასკნელი ძალის სახეობანია: გაზრდისა და სხეულთა წარმოქმნის ძალები. ყველა ეს ძალა გონების მიერ კი არ წარიმართება, არამედ ბუნების მიერ.

გონებისას შეისმენენ და მისდა დაქვემდებარებულნი კი შემდეგი ძალნი არიან სულისა: ძალა მრისხანებისა და ძალა მოსურვებისა. საერთოდ კი, სულის არაგონიერი ნაწილი ვნებისმიერ ნაწილად იწოდება, ანუ სურვილისმიერად. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ (ადამიანის) თავისუფალი ნებიდან გამომდინარე ნებისმიერი მოძრაობა განეკუთვნება სულის იმ ნაწილს, რომელიც გონებას ემორჩილება.

ამის საპირისპიროდ, ძალა საზრდოობისა, ძალა შობისა (განმრავლებისა) და ძალა სისხლისმიმოქცევისა (ცხოველური ძალა) სულის იმ ნაწილს განეკუთვნებიან, რომელიც გონე-

ზას არ ემორჩილება. გარდა ამისა, ზრდის, საზრდოობისა და შობის ძალნი მსაზრდოებელ ძალად იწოდებიან, სისხლის მიმოქცევის ძალა კი, სიცოცხლის ძალად.

მსაზრდოებელი ნაწილი ოთხი ძალისაგან შედგება: მიმზიდველი ძალისაგან, რომლითაც მიიზიდება საზრდო; შემკავებელი ძალისაგან, რომელიც აკავებს საზრდოს და არ დაუშვებს, რომ უმალ განგდებულ იქნას გარე; გარდამქმნელი ძალისაგან, რომელიც საზრდოს სინოტივედ გარდაქმნის, და განმაცალკევებელი ძალისაგან, რომელიც ყოველივე ზედმეტს გამოყოფს და გარე განაგდებს[52].

უნდა ვიცოდეთ, რომ იმ ძალთაგან, რომელნიც სულის ცხოველ ნაწილს განეკუთვნებიან, ერთნი სულიერი ძალნი არიან, სხვანი — ზრდის ძალნი, მესამენი კი, საკუთრივ სიცოცხლის ძალნი. სულიერ ძალებს ის ძალები განეკუთვნება, რომლებიც ნებელობაზეა დამოკიდებული, ასეთია: ნებისმიერი (თავისუფალი ნებიდან გამომდინარე) მოძრაობა და ჯრძნობის უნარი. ნებისმიერი მოძრაობა მდგომარეობს ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადანაცვლებაში, მთელი სხეულის მოძრაობაში, ბგერის გამოცემასა და სუნთქვაში, რამეთუ ჩვენს თავისუფალ ნებაზეა დამოკიდებული ყოველივე ამის ქმნა, თუ არ ქმნა. ზრდისა და სიცოცხლის ძალნი კი არ არიან დამოკიდებული ჩვენს ნებაზე. ზრდის ძალნია: ძალა საზრდოობისა, ძალა ზრდისა და ძალა თესლის წარმოქმნისა. სიცოცხლის ძალა არის სისხლის მიმოქცევის ძალა. ეს ძალანი ყოველთვის მოქმედებენ, გვსურს ეს (მათი მოქმედება), თუ არ გვსურს.

ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ ზოგიერთი საგანი კარგია, სხვა ცუდი. სიკეთის მოლოდინი სურვილს წარმოშობს, უკვე არსებული სიკეთე კი სიამოვნების წყაროა. თავის მხრივ, ბოროტის მოლოდინი შიშს წარმოშობს, ხოლო უკვე არსებული ბოროტება — უსიამოვნების, დაუკმაყოფილებლობის წყაროა. კვალად, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ როცა აქ სიკეთეზე ვლაპარაკობდით, მხედველობაში გვქონდა როგორც ჭეშმარიტი სიკეთე, ასევე მოჩვენებითი სიკეთეც. იგივე უნდა ითქვას ბოროტის გამოც (ანუ იგულისხმება როგორც ნამდვილი ბოროტება, ასევე მოჩვენებითიც).

თავი XIII

სიამოვნებათა შესახებ

სიამოვნებანი ორი სახისა არსებობს: სულიერი და ხორციელი. სულიერი სიამოვნებანი, რა თქმა უნდა, ის სიამოვნებანია, რომლებიც თვით სულს განეკუთვნებიან. ამგვარია, მაგალითად, ის სიამენი, რომელთაც სულს ცოდნის შეძენა და შემეცნება ანიჭებს. ხორციელი სიამენია, რომლებშიც სულიც მონაწილეობს და სხეულიც, რის გამოც იწოდებიან კიდეც ამგვარად. ასეთი სიამენია, მაგალითად, საზრდოს მიღებით განცდილი სიამოვნება, ხორციელი შეერთებით განცდილი და მისთანანი. არ არსებობს ისეთი სიამენი, რომლებიც მხოლოდ სხეულისთვის იქნებოდა დამახასიათებელი.

მეორე მხრივ, სიამეთაგან ერთნი — ჭეშმარიტი სიამენია, სხვანი კი, მხოლოდ მოჩვენებითი[53]. ის სიამენი, მხოლოდ გონებას რომ განეკუთვნებიან, შემეცნებისა და ჭვრეტისაგან მომდინარეობენ, ხოლო ხორციელ სიამეთა წყარო გრძნობაშია. ამასთან იმ სიამეთაგან, რომლებშიც სხეული მონაწილეობს, ერთნი ბუნებრივნი და, ამავე დროს, აუცილებელნი არიან, ანუ ისეთნი, ურომლებოდაც ადამიანის სიცოცხლე შეუძლებელია; ამგვარია ის სიამენი, რომელთაც ადამიანი საზრდოს მიღებისაგან და შესამოსელისაგან იღებს; მეორე სახის სიამენიც ბუნებრივია, ოღონდ არა — აუცილებელი, მაგალითად, სქესობრივი ურთიერთობანი, ბუნებითნი და სჯულიერნი, რამეთუ, თუმცა სქესობრივი შეერთება საზოგადოდ განაპირობებს ადამიანთა მოდგმის გაგრძელებას, მაგრამ უმისოდ ცხოვრება მაინც შესაძლებელია, და ამის მაგალითები უქორწინებლად და ქალწულებით ცხოვრებისა უამრავია. მესამე სახის სიამენი არც აუცილებელნი არიან ადამიანისათვის და არც ბუნებრივნი. ასეთია: სიმთვრალე, გემოთმოყვარება და ნაყროვანება. ეს სიამენი არ განაპირობებენ არც სიცოცხლის შენარჩუნებას, არც შთამომავლობის გაგრძელებას, პირიქით, დიდ ზიანს გვაყენებენ. ამიტომაც ყოველმა ადამიანმა, ვინც საღმრთო ნებასთან შეთანხმებულად ცხოვრობს, მხოლოდ აუცილებელი, და ამასთან ბუნებრივი სიამენი

უნდა ეძიოს; ხოლო ის სიამენი, რომლებიც ბუნებრივია, მაგრამ არა — აუცილებელი, მეორეხარისხოვნად ჩათვალოს თავისთვის, და მხოლოდ შესაფერ დროს, საფერი სახით ჯეროვანი ზომით მიიღოს. სხვა სახის სიამოვნებებს ადამიანი ყოველმხრივ უნდა ერიდებოდეს.

კეთილ სიამეებად უნდა ვაღიაროთ ის სიამენი, რომელთაც მწუხარება და უკმაყოფილება არ მოაქვთ და არ გვაძლევენ მიზეზს შემდგომი სინანულისთვის, ამასთან არც სხვა რამ სახის ზიანი მოაქვთ, ზომიერნი არიან, მეტისმეტად არ მოგვაშორებენ მნიშვნელოვან საქმეებს და არაფრით არ გვიმონებენ.

თავი XIV

უსიამოვნების (მწუხარების) შესახებ

უსიამოვნებანი ოთხი სახისა შეიძლება იყოს: მწუხარება, სევდა, შური და თანალმობა. მწუხარება (დარდი) იმგვარი უსიამოვნებაა, რომელიც ხმის დაკარგვას იწვევს ადამიანში. სევდით შეპყრობილ ადამიანს გული აქვს შეწუხებული. შური ის უსიამოვნებაა, რომელსაც ადამიანი სხვათა კეთილდღეობის გამო განიცდის; თანალმობა კი, იმგვარი უსიამოვნებაა, რომელიც ადამიანს სხვათა უბედურების გულთან ახლოს მიტანის გამო ეწევა[54].

თავი XV

შიშის შესახებ

შიშიც რამდენიმე სახისა არსებობს: გაუბედავობა (ყოყმანი), მოკრძალება, სირცხვილი, თავზარდაცემა, გაოცება და შფოთვა (წუხილი). გაუბედავობა არის შიში მომავალი მოქმედების გამო, სირცხვილი — მოსალოდნელი გაკიცხვის წინაშე, ჯერ არ ჩადენილი მოქმედებისათვის. — ეს ყველაზე მშვენიერი გრძნობაა ადამიანში. მოკრძალება არის შიში უკვე ჩადენილი სამარცხვინო საქმის გამო. ეს გრძნობაც მნიშვნელო-

განია ადამიანის ხსნისათვის. თავზარდაცემა არის შიში რაღაც დიდი მოვლენის წინაშე, ხოლო გაოცება — რაღაც უცნაური, საკვირველი მოვლენის გამო. შფოთვა-წუხილი არის შიში წარუმატებლობის, ანუ იმედების გაცრუების წინაშე, რამეთუ როცა ვშიშობთ ხოლმე რაიმე საქმეში მარცხი არ ვიწვნიოთ, მაშინ ვშფოთავთ და მოსვენებას ვკარგავთ[55].

თავი XVI

მრისხანების შესახებ

მრისხანება არის სისხლის დუღილი გულში და მის სიახლოვეს, რაც ხდება ნაღვლის აორთქლებისა თუ ამღვრევის გამო; ამიტომაც მრისხანებას ბერძნულად „ხოლე"-ც ჰქვია და „ხოლოს"-იც. ზოგჯერ მრისხანებას თან ახლავს შურისძიების გრძნობაც, რამეთუ როცა შეურაცხყოფას გვაყენებენ, ანდა გვგონია, რომ შეურაცხყოფა მოგვაყენეს, მრისხანება შეგვიპყრობს ხოლმე, ანუ იმ გრძნობით ვართ აღვსილი, რომელშიც აღრეულია რისხვა და სწრაფვა შურისძიებისაკენ[56].

არსებობს სამი სახეობა მრისხანებისა: გაღიზიანება (გაფიცხება), რომელიც ბერძნულად ასევე „ხოლე"-დ და „ხოლოს"-ად იწოდება, და კიდევ — გაბოროტება და შურისძიება. გაღიზიანებად (სიფიცხედ) იწოდება დასაწყისი მრისხანებისა, როცა ის აღიგზნება. გაბოროტება არის ხანგრძლივი მრისხანება, ანუ დახსომება ბოროტისა, გულღრძოობა. ბერძნულ ენაზე ამგვარ მრისხანებას „მენის"-ი ჰქვია, რაც ზმნიდან — „მენეინ" მომდინარეობს და „დარჩენას, ყოფნას" ნიშნავს; კიდევ ბერძნულად ამას „მნესიკაკია"-საც უწოდებენ „მნემე პარადიდოსთაი"-დან, რაც „მეხსიერებაში დატოვებას" ნიშნავს. შურისძიების გრძნობა იმგვარი მრისხანებაა, რომელიც ხელსაყრელ შემთხვევას ეძიებს ბოროტისათვის სამაგიეროს გადასახდელად. ბერძნულად ასეთ მრისხანებას „კოტოს" ჰქვია, რაც მომდინარეობს ზმნიდან „კეისთაი" და „დებას, წოლას" ნიშნავს.

მრისხანება გონებისმიერი გრძნობაა და ნება-სურვილთა

დამცველია. ასე, მაგალითად, როცა რაიმე საქმის გაკეთება გვსურს და ვინმე ამაში ხელს გვიშლის, რისხვით აღვივსებით ხოლმე მის მიმართ, რადგან ვთვლით, რომ უსამართლოდ გვექცევიან, და ეს იმიტომ ხდება, რომ ადამიანის გონება, იცავს რა თავის ბუნებრივ უფლებას თავისუფალ მოქმედებაზე, ამგვარ წინააღმდეგობას, ცხადია, უსამართლობად და რისხვის ღირსად მიიჩნევს.

თავი XVII

წარმოსახვის უნარის შესახებ.

წარმოსახვის უნარი არის სულის არაგონიერი ნაწილის ძალა, რომელიც გრძნობათა მეშვეობით მოქმედებს და ასევე გრძნობად იწოდება. წარმოსახვად და გრძნობით აღსაქმელ რაიმედ იწოდება ის, რაც წარმოსახვისა და გრძნობათა ძალას ექვემდებარება. ასე მაგალითად, თუკი მხედველობა არის თვით უნარი დანახვისა, ხილულად (დანახვის საგნად) ჩაითვლება ის, რაც მხედველობის ძალას ექვემდებარება, ვთქვათ, ქვა, ხე ან სხვა რამ ამის მსგავსი. აღქმა (ბერძნულად „ფანტასია") — არის შთაბეჭდილება, წარმოქმნილი სულის არაგონიერ ნაწილში რომელიმე გრძნობისმიერი საგნით. ოცნება კი, (ბერძნულ ენაზე „ფანტასმა") წარმოადგენს შთაბეჭდილებას, წარმოქმნილს ასევე სულის არაგონიერ ნაწილში ყოველგვარი გრძნობისმიერი საგნის გარეშე. წარმოსახვის უნარის ორგანოა თავის ტვინის წინა ნაწილი (ღრმული, ფოსო)[57].

თავი XVIII

გრძნობის შესახებ.

გრძნობაც სულის არაგონიერი ნაწილის ძალაა, რომელიც ნივთიერ (მატერიალურ) საგნებს აღიქვამს, ანუ შეუძლია განარჩიოს და გამოიცნოს ისინი. გრძნობის ორგანოები ის იარა-

ღია, რომლის მეშვეობითაც ჩვენ ვგრძნობთ; ხოლო გრძნობისმიერი საგნები ეწოდება ისეთ საგნებს, რომელთა აღქმაც შესაძლებელია გრძნობით. გრძნობის უნარის მქონეა ის ცოცხალი არსება, რომელსაც გრძნობის ორგანოები აქვს. გრძნობა ხუთია, და ასევე ხუთია გრძნობის ორგანოც.

პირველი გრძნობა მხედველობაა. მხედველობის ორგანო და იარაღია თავის ტვინიდან გამომავალი ნერვები და თვალები. მხედველობის გრძნობით, უპირველეს ყოვლისა, ფერები აღიქმება; ფერთან ერთად მხედველობა განარჩევს სხეულის სიდიდეს, ფორმას, მოცულობას, სხეულების ურთიერთდაცილებას, რაოდენობას, აგრეთვე სხეულთა მოძრაობას, უძრაობას, ხორკლიანობას, სიგლუვეს, სითანაბრეს თუ უთანაბრობას, და მათ შემადგენლობასაც, — წყლის შემცველია თუ ძიწისა, ნოტიოა თუ მშრალი.

მეორე გრძნობაა სმენა, რომლის მეშვეობითაც ბგერები და სხვადასხვა ხმები აღიქმება. სმენით განვარჩევთ ბგერათა სიმაღლეს, სიდაბლეს, სინარნარეს (სითანაბრეს) უთანაბრობას, სიძლიერეს და სისუსტეს. სმენის ორგანოებია თავის ტვინის უფაქიზესი ნერვები და ყურები. უნდა აღინიშნოს, რომ უძრავი ყურები მხოლოდ ადამიანსა და მაიმუნს აქვთ.

მესამე გრძნობა ყნოსვაა. ყნოსვის ორგანოა ნესტოები, რომლებიც თავის ტვინს გადასცემენ სხვადასხვა სუნის და სურნელების შეგრძნებას. ყნოსვის ორგანო ნესტოებიდან იწყება და თავის ტვინის წინა ნაწილში მთავრდება. ყნოსვით შეიგრძნობა ყოველგვარი ანაორთქლი. უმთავრესი სახეობანი სუნისა არის კეთილსურნელებანი და სიმყრალენი, აგრეთვე შუალედური სუნი კეთილსურნელებასა და სიმყრალეს შორის. კეთილსურნელება მაშინ აღმოცენდება ხოლმე, როცა სხეულში არსებული სინოტივენი სრულიად მომწიფებულან (გადახარშულან); საშუალო სუნი მაშინაა, როცა ეს სინოტივენი სანახევროდ არიან მომწიფებული, ხოლო თუკი ნახევარზე ნაკლებად, მაშინ სიმყრალე აღმოცენდება[58].

მეოთხე გემოთშეგრძნებაა, რომლითაც სხვადასხვა გემო აღიქმება. გემოთშეგრძნების ორგანოებია: ენა, განსაკუთრებით ენის წვერი, და პირის ღრუს ზედა ნაწილი, რომელსაც სასა ეწოდება. ამ ორგანოებში მდებარეობს თავის ტვინისაკენ

მიმართული და ფართოდ განტოტვილი ნერვები, რომლებიც გადასცემენ სულს გემოს შეგრძნებას. გემოსმიერი თვისებანი იმ ნივთიერებებისა, რომელთაც ადამიანი საზრდოდ მიიღებს, შემდეგია: სიტკბო, სიმწარე, სიცხარე, სიმლაშე, სიმჟავე, სიმწკლარტე, ცხიმიანობა და სიბლანტე.

მეხუთე გრძნობაა შეხება, რომელიც საერთოა (ერთნაირია) ყველა ცოცხალი არსებისათვის. შეხების შეგრძნება მოქმედებს თავის ტვინიდან გამომავალი და მთელს სხეულში განტოტვილი ნერვების მეშვეობით; ამიტომ შეხების გრძნობა მთელი სხეულის კუთვნილებაა ყველა სხვა გრძნობის ორგანოს ჩათვლით. შეხების გრძნობით აღიქმება ყოველივე ცივი და თბილი, რბილი და მაგარი, ბლანტი და ხისტი, მძიმე და მსუბუქი. ყველაფერი ეს მხოლოდ შეხების გრძნობით განირჩევა. ერთდროულად მხედველობითა და შეხებით აღიქმება ხორკლიანი და გლუვი, მშრალი და სველი, მსხვილი და წვრილი, თხემი და ძირი, აგრეთვე ადგილიცა და სიდიდეც, თუკი ის იმგვარია, რომ შესაძლებელია მისი მოცვა ერთი შეხებით; აგრეთვე მკვრივი და გაიშვიათებული, დასვრეტილი, მრგვალი და სხვა სახის მოყვანილობანი, თუკი ისინი მცირე ზომისაა და მათი ჩავლება შეიძლება. შეხებით, მეხსიერებისა და განსჯის მეოხებით, ჩვენ აღვიქვამთ მოახლოებად სხეულს, და საგანთა რაოდენობას, ორს ან სამს, თუკი ისინი მცირე ზომისაა და მათი ხელით ჩავლება შეიძლება. თუმცა საგანთა რაოდენობა უფრო მხედველობის გრძნობით აღიქმება, ვიდრე შეხებით.

უნდა აღინიშნოს, რომ ყველა გრძნობის ორგანო, გარდა შეხების გრძნობისა (რომლისთვისაც მთელი სხეული წარმოადგენს ორგანოს), შემოქმედის მიერ შექმნილია წყვილ-წყვილად, რათა ერთის დაზიანების შემთხვევაში, თავის დანიშნულებას მეორე ასრულებდეს. ასე, რომ ღმერთმა შექმნა ორი თვალი, ორი ყური, ცხვირის ორი ღრუ (ნესტო) და ორი ენა. ამასთან ეს უკანასკნელი ზოგიერთ ცოცხალ არსებას გაორებული აქვს, მაგალითად, გველს, სხვებს კი, შეტყუპებული, მაგალითად, ადამიანს. შეხების გრძნობა, როგორც ვთქვით, შემოქმედმა მთელ სხეულს მიანიჭა, გარდა ძვლებისა, ძარღვებისა, ფრჩხილებისა, რქებისა, თმებისა, ხრტილებისა და სხეულის ზოგიერთი სხვა, მსგავსი ნაწილებისა.

უწდა აღინიშნოს, რომ მხედველობის გრძნობა მხოლოდ პირდაპირხაზოვნად მოქმედებს, ყნოსვისა და სმენისა კი, არა მარტო პირდაპირხაზოვნად, არამედ ყველა მიმართულებით. და ბოლოს, შეხების გრძნობა და გემოთშეგრძნება აღსაქმელ საგნებს არც პირდაპირხაზოვნად და არც ყველა მიმართულებით არ შეიცნობენ, და მხოლოდ იმ შემთხვევაში მოქმედებენ, როცა უშუალოდ უახლოვდებიან თვით შესაგრძნობ საგნებს[59].

თავი XIX

აზროვნების უნარის შესახებ.

(ადამიანის სულის) სააზროვნო უნარს განეკუთვნება: განსჯა, მოწონება, სწრაფვა მოქმედებისკენ, ასევე დაწუნება (ზიზღი) და უარის თქმა მოქმედებაზე. ამგვარ სააზროვნო მოქმედებას განეკუთვნება აღქმა ყოველივე იმისა, რაც მხოლოდ გონებისთვის არის მისაწვდომი, სათნოებანი, ცოდნა, ხელოვნების ნიჭი, ფიქრი, ანუ გონებით განსჯა მოქმედების დაწყებამდე, თავისუფალი არჩევანი[60]. მეორეს მხრივ, იგივე სააზროვნო უნარი მოქმედებს ჩვენში, როცა სიზმრებს ვხედავთ და ამით, ზოგჯერ, წინდაწინ გვეუწყება ხოლმე მომავალი. ამგვარ უნარს, პითაგორელთა მტკიცებით, რომლებიც ამ საკითხში ებრაელთა (იუდეველთა) მიმდევარნი არიან, უნდა მივიჩნევდეთ მომავლის ერთადერთ ჭეშმარიტ წინათგანჭვრეტად, ანუ, მათი აზრით, მხოლოდ სიზმრები წარმოადგენენ მომავლის ნამდვილ წინასწარმეტყველებას. სააზროვნო უნარის ორგანოა თავის ტვინის საშუალო ნაწილი და სწორედ მასში დამკვიდრებული სასიცოცხლო სული ადამიანისა[61].

თავი XX

მახსოვრობის უნარის შესახებ.

მახსოვრობის უნარი არის მიზეზიც და საცავიც მეხსიერებისა და მოგონებებისა. ხსოვნა არის ესა თუ ის წარმოდგენა, აღბეჭდილი ადამიანის სულში რომელიმე გრძნობისმიერი აღქმის გზით, ანდა საზროვნო მოქმედების გზით, თავისი გამოხატულება გარკვეულ მოქმედებაში რომ უპოვია. სხვაგვარად თუ ვიტყვით, ხსოვნა არის შენარჩუნება (გონებაში) სხვადასხვა აღქმისა და აზრებისა. და მართლაც, გრძნობისმიერ საგნებს (ადამიანის) სული აღიქვამს, ანუ შეიგრძნობს გრძნობის ორგანოთა მეშვეობით. ამ დროს ხდება გარკვეული წარმოდგენის აღბეჭდვა გონებაში; აზრისმიერ საგნებს კი, სული გონების მეშვეობით სწვდება, და ასე წარმოიქმნება გარკვეული წარმოდგენა (ცნება), რომელიც გონებაში აღიბეჭდება. ამრიგად, როცა სული გონებაში ინახავს წარმოდგენებსა და აზრებს, მაშინ ჩვენ ვამბობთ, რომ მას ახსოვს.

უნდა აღინიშნოს, რომ აზრისმიერ საგანთა აღქმა ხდება მხოლოდ სწავლა-შეგონების გზით, ანდა თანდაყოლილი (ბუნებითი) იდეების გამომჟღავნებით, რამეთუ გრძნობისმიერი აღქმის გზით ასეთი რამ შეუძლებელია. ამაში მაშინ ვრწმუნდებით, როცა ვაკვირდებით, რომ გრძნობისმიერი საგნები თავისთავად გვამახსოვრდება, ხოლო აზრისმიერ საგნებს, პირიქით, მხოლოდ იმ შემთხვევაში შევინარჩუნებთ გონებაში, როცა რაიმეს შევიტყობთ, ან ვიფიქრებთ მათ შესახებ. თუმცა კი ხსოვნა ამგვარ, აზრისმიერ საგანთა თვით არსის შესახებ ჩვენ არა გვაქვს.

გახსენება (მოგონება) ეწოდება სამახსოვრო ძალის აღდგენას, რაც დავიწყებით მოკლებია ადამიანის გონებას, ხოლო დავიწყება მეხსიერების დაკარგვაა.

ამრიგად, წარმოსახვის უნარი, რომელიც გრძნობის ორგანოთა მეშვეობით აღიქვამს ნივთიერ საგნებს, მიღებულ შთაბეჭდილებას (ამ საგანთა შესახებ) გადასცემს სულის საზროვნო, ანუ განსჯის უნარს. ორივე ეს სახელწოდება ერთსა და იმავე საგანს აღნიშნავს, როდესაც საზროვნო უნარი მი-

იღებს ამ შთაბეჭდილებებს და განსჯის, ყველაფერს სამახსოვრო უნარს გადასცემს (ადამიანის სულისა)"[2].

ადამიანის სამახსოვრო უნარის ორგანო არის თავის ტვინის უკანა ნაწილი, რომელსაც ნათხემი ჰქვია და ამ ნაწილში დამკვიდრებული სასიცოცხლო სული.

თავი XXI

შინაგანი და გარეგანი (გახმიანებული) სიტყვის შესახებ

(ადამიანის) სულის გონიერი ნაწილი განიყოფა შინაგან (წარმოთქმულ) სიტყვად და გარეგან (წარმოთქმულ) სიტყვად. შინაგანი სიტყვა წარმოადგენს გონებაში მიმდინარე რაღაც მოძრაობას, რომელიც არანაირად არ გამოიხატება მეტყველებით. ამიტომ, ხშირად შეგვიძლია მდუმარედ, გონებაში წარმოვთქვათ სიტყვები, უხმოდ ვილაპარაკოთ, ანდა სიზმარში, ძილში ვიბუტბუტოთ. მეტყველების ამ სახეობის გამო (შინაგანი სიტყვის ძლით) ვართ გონიერ (სიტყვიერნი), არსებანი. რამეთუ დაბადებით უტყვნი, ანდა სნეულების შედეგად მეტყველების უნარს მოკლებული ადამიანები გონიერი (სიტყვიერი) არსებანი არიან, მიუხედავად იმისა, რომ სიტყვების ხმამაღლა წარმოთქმა არ ძალუძთ.

გარეგანი სიტყვა გახმიანებულ მეტყველებაში და სხვადასხვა ენაში არსებობს, სხვაგვარად რომ ვთქვათ, გარეგანი სიტყვა ბაგეებითა და ენით წარმოთქმული, ჰაეროვან სივრცეში გახმიანებული სიტყვაა, ამიტომ ეწოდება წარმოთქმული, ანუ გარეგანი სიტყვა. იგი არის მაცნე აზრისა. სწორედ, ამ გარეგანი სიტყვის გამო გვეწოდება მეტყველების უნარის მქონე არსებები.

თავი XXII

ტანჯვისა (ვნებისა) და ქმედების შესახებ.

სიტყვას „ტანჯვა“ სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს. არსებობს სხეულებრივი ტანჯვა, როგორიცაა: სხეულებანი და ჭრილობები. არსებობს სულიერი სატანჯველი, როგორიცაა ბილწი გულისთქმანი და მრისხანება. ზოგადად თუ ვიტყვით, ცოცხალი არსების ტანჯვა (ვნება) არის ისეთი მდგომარეობა, რომელსაც მოსდევს სიამოვნება და უსიამოვნება. მაგრამ უსიამოვნება არ არის თავისთავად ტანჯვა, რადგან როცა ტანჯვას გრძნობის უნარს მოკლებული საგნები ექვემდებარებიან, ისინი არ განიცდიან ტკივილს. ამრიგად, თვით ტანჯვა როდია თავისთავად მტკივნეული, არამედ შეგრძნება ტანჯვითი მდგომარეობისა. ხოლო ასეთ შეგრძნებას ძლიერი ტანჯვა იწვევს.

სულიერი ტანჯვანი, ანუ ვნებანი შემდეგნაირად განისაზღვრება: ვნება გრძნობისმიერი მოძრაობაა თავისუფალი ნებიდან გამომდინარე ნდომის უნარისა, რომელსაც ადამიანის სული განიცდის და ეფუძნება წარმოდგენას კეთილსა და ბოროტზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ვნება არის სულის არაგონიერი (ნაწილის) მოძრაობა, რომელიც გამოწვეულია და განპირობებულია ადამიანის წარმოდგენით სიკეთესა და ბოროტებაზე. სიკეთის წარმოდგენა ჰბადებს სურვილს ამ სიკეთის მიღებისა, ხოლო ბოროტის წარმოდგენა — გაღიზიანებას (მრისხანებას). გვარობრივი, ანუ ზოგადი დახასიათება ტანჯვისა ამგვარია: ტანჯვა არის მოძრაობა ერთ საგანში (რაიმეში, ვინმეში), რომლის წყაროც სხვა საგანშია (რაიმეშია, ვინმეშია). ამის საპირისპიროდ, ქმედითს უწოდებენ ისეთს რასმე, რაც საკუთარი ძალისხმევით მოძრაობს. ამრიგად, მრისხანება არის სულის აღგზნებადი ნაწილის მოქმედება, მაგრამ იგი, ამავე დროს, არის სულის ორივე ნაწილის, გონიერისა და არაგონიერის ტანჯვა, აგრეთვე მთელი სხეულისაც, რადგან მრისხანება აიძულებს (სულსაც და სხეულსაც) მის შესაბამისად იმოქმედონ. მაშასადამე, აქ მოძრაობა ერთში აღიძვრება მეორის მიერ, რაც არის და ეწოდება კიდეც ტანჯვა.

მოქმედება სხვა მიმართებითაც შეიძლება ტანჯვად იწო-

დებოდეს: საკუთრივ ქმედება არის ბუნების თანახმიერი, შესაბამისი მოძრაობა, ტანჯვა კი ბუნების საწინააღმდეგო მოძრაობაა. ამ დებულებიდან გამომდინარე ქმედებას ტანჯვა ეწოდება იმ შემთხვევაში, როცა საგანი ბუნების შესაბამისად არ მოძრაობს, სულ ერთია, ეს მოძრაობა თვით ამ საგნისგან მომდინარეობს, თუ სხვა რომელიმე საგნისგან. ამიტომ გულის მოძრაობა სისხლის ჯანსაღი მიმოქცევის დროს, როგორც ბუნებრივი მოძრაობა, ქმედებაა, ხოლო როცა გული არათანაბრად სცემს, მაშინ მისი ნებისმიერი მოძრაობა, როგორც არათანაბარი და ბუნების საწინააღმდეგო, არის ტანჯვა, და არა ქმედება.

(ადამიანის) სულის ტანჯვას დაქვემდებარებული ნაწილის ყოველი მოძრაობა როდი იწოდება ვნებად; ამ სახელწოდებით აღინიშნებიან მხოლოდ ის მოძრაობანი, რომელნიც უფრო ძალუმნი და სულისთვისაც შესამჩნევი არიან. უმნიშვნელო მოძრაობანი შეუმჩნეველნი რჩებიან ხოლმე სულისთვის და არ არიან ვნებანი, რამეთუ ტანჯვა საგრძნობი სიდიდისა უნდა იყოს. ამის გამო ვნების განსაზღვრებას უნდა დაეუმატოთ სიტყვები: შეგრძნობადი მოძრაობა, რადგანაც მცირე მოძრაობანი, რომლებიც არ ექვემდებარებიან შეგრძნებას და არ აღიქმებიან, ტანჯვის წყარო არ არიან[63].

უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენი სული ორგვარი ძალითაა შემოსილი — შემეცნებითი ძალით და სასიცოცხლო ძალით. შემეცნებითი ძალებია: გონება, განსჯა (გულისხმა), შეხედულება, წარმოსახვა და გრძნობისმიერი აღქმა. სასიცოცხლო, ანუ ნებისყოფის ძალნი სულისა არის ნდომა-სურვილი და თავისუფალი არჩევანი. ნათქვამი რომ უფრო ცხადი იყოს, დაწვრილებით განვიხილავთ ადამიანის სულის ამ ძალებს და უნარს. თავდაპირველად ვიტყვით სულის შემეცნებით უნარზე.

წარმოსახვისა და გრძნობისმიერი აღქმის შესახებ უკვე საკმარისად ვთქვით ზემოთ. როგორც ვიცით, გრძნობისმიერი აღქმის შედეგად (ადამიანის) სულში წარმოიქმნება შთაბეჭდილება, რომელსაც წარმოდგენა ჰქვია; წარმოდგენისაგან იშვება შეხედულება; შემდეგ განსჯის უნარი, განიხილავს და ასწონ-დასწონის რა ამ შეხედულებას, ან ჭეშმარიტად აღია-

რებს მას, ანდა ცრუდ, მოჩვენებითად, ადამიანის სულის ამ უნარს სწორედ იმიტომ ეწოდება განსჯა, რომ იგი მსჯელობს, განიხილავს. და ბოლოს, ის, რაც განსჯილი და ჭეშმარიტად მიჩნეულია, სახელს იღებს კიდეც გონებისაგან[64].

გონებაზე უფრო დაწვრილებით თუ ვილაპარაკებთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ გონების თავდაპირველი მოძრაობა აზროვნებად იწოდება. ფიქრს რაიმე განსაზღვრულ საგანზე აზრი ჰქვია. აზრი, რომელიც დიდხანს რჩება სულში და მასში გარკვეულ აზრისმიერ საგანს აღბეჭდავს, ეწოდება შოაზრება (მოფიქრება). როდესაც ერთ რომელიმე საგანზე მიმართული განსჯა საკუთარ თავსაც გამოსცდის და განიხილავს, ასწონ-დასწონის სულის შესაბამისობას მოაზრებად საგანთან, მაშინ განსჯა იღებს სახელწოდებას გულისხმისყოფისა. ვრცელი გულისხმისყოფა შეადგენს განხილვას, რომელიც შინაგან სიტყვად იწოდება, ეს უკანასკნელი კი, შემდეგნაირად განისაზღვრება: შინაგანი სიტყვა არის ყველაზე სრული მოძრაობა სულისა, რომელიც მის გონიერ ნაწილში მიმდინარეობს ყოველგვარი სიტყვიერი (გარეგანი) გამოხატულების გარეშე. სწორედ შინაგანი სიტყვიდან მომდინარეობს, როგორც ჩვეულებრივ იტყვიან, გარეგანი სიტყვაც, გამოთქმული ენისა და ბაგეების მეშვეობით და გახმიანებული ჰაეროვან სივრცეში. აი, ეს შეიძლება ითქვას (ადამიანის სულის) შემეცნებითი ძალების შესახებ. ახლა ვთქვათ სულის სასიცოცხლო ძალთა, ანუ ნებასურვილთან დაკავშირებულ ძალთა შესახებაც.

უნდა ვიცოდეთ ისიც, რომ (ადამიანის) სულს ბუნებით თან დაჰყვა უნარი მისი არსისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი ნდომისა და უნარი იმის შენარჩუნებისა, რაც ამ ბუნებას არსებითად ეკუთვნის; სულის ეს უნარი ნებისყოფად იწოდება. მართლაც, ყოველი დამოუკიდებელი, თვითმყოფადი არსება, რომელიც მისი ბუნებისათვის დამახასიათებელ და სრულყოფილ არსებობას ესწრაფვის, აღვსებულია სურვილით თავისი გონებისა და გრძნობის შესაბამისად იცხოვროს და იმოქმედოს. ამიტომ ასეთი ბუნებრივი ნებისყოფა შემდეგნაირად განისაზღვრება: ნებისყოფა არის გონიერი და ამასთანავე სიცოცხლისმიერი მისწრაფება, რომელიც მხოლოდდამხოლოდ ბუნებრივ პირობებზეა დამოკიდებული. ამრიგად, ნებისყოფა

არის მარტივი, განუყოფელი ძალა, ერთიანი, თავისთავადი, ბუნებრივი სწრაფვა ყოველივე იმისადმი, რაც მნებებელის (ნებისყოფის მქონის) ბუნებას შეადგენს. ეს სწრაფვა, ერთსა და იმავ დროს, წარმოადგენს. სასიცოცხლო მისწრაფებასაც და გონიერ მისწრაფებასაც, რამეთუ პირუტყვთა სწრაფვა-მიდრეკილება, ვითარცა არა გონიერი, არ იწოდება ნებისყოფად.

ნდომა (მოსურვება) არის განსაზღვრული გამოვლინება ბუნებრივი ნებისყოფისა, ანუ, სხვადასხვაგვარად რომ ვთქვათ, ნდომა არის ბუნებრივი და გონებისმიერი სწრაფვა რაღაც საგნისაკენ. ადამიანის სულს თანდაყოლილი უნარი აქვს სწრაფვათა გულისხმისყოფისა. როდესაც ასეთი გონიერი მისწრაფება ბუნებრივად არის მიმართული რაიმე საგნისაკენ, მაშინ მას ეწოდება ნდომა (სურვილი) რამეთუ ნდომა წარმოადგენს გონიერ მისწრაფებას და მიდრეკილებას რაიმე საგნისაკენ[65].

ერთის სიტყვით, ნდომა არის როგორც მისწრაფება იმისადმი, რაც ხელგვეწიფება, ასევე მისწრაფება იმისადმი, რაც არ ხელგვეწიფება, ანუ ნდომა არის მისწრაფება შესაძლებლისადმი და შეუძლებელისადმი. ასე, მაგალითად, ჩვენ გვსურს ხოლმე შესაძლებელი — სიძვა, კეთილკრძალულების დამარხვა, ძილი, სიფხიზლე და მისთანანი; — ყოველივე ეს ხელგვეწიფება და შესაძლებელია ჩვენთვის. მაგრამ შეიძლება დაგვებადოს მეფობის სურვილი, რაც არ ხელგვეწიფება და შეუძლებელია ჩვენთვის, შეიძლება ისიც გვინდოდეს, რომ არასდროს არ მოვკვდეთ და ჩვენი სხეული მარად ასე ცოცხლობდეს, მაგრამ ეს ისეთი სურვილია, რომლის აღსრულება შეუძლებელია.

ნდომას მიზანი აქვს მხედველობაში, და არა ის, რაც ამ მიზნამდე მიიყვანს. მიზანი არის საგანი ნდომისა, მაგალითად, ნდომა მეფობისა, ანდა ჯანმრთელად ყოფნისა. მიზნის მიღწევამდე მივყავართ ჩვენს მიერვე მოფიქრებულ საშუალებებს; მაგალითად, როცა მეფობა გვსურს, იმასაც მოვიფიქრებთ ხოლმე, თუ რა ხერხითა და ღონისძიებით მივაღწიოთ გამეფებას, ანდა როცა ჯანმრთელობა გვსურს, რა საშუალებით მოვიპოვოთ იგი. მაშასადამე, ნდომას ძიება და კვლევა

ახლავს თან. შემდეგ, თუკი ნდომის საგანი, ანუ მიზანი ხელ-
გვეწიფება მისაღწევად, ხდება განხილვა (მოფიქრება) შემ-
დგომი მოქმედებისა. განხილვა არის ნდომა, შეერთებული იმ
მოქმედებათა მოძიებასთან, რომლებიც ხელგვეწიფება, რამე-
თუ განხილვა იმას ასწონ-დასწონის, ღირს თუ არ ღირს ხელი
მოვკიდოთ ნდომის მიზნისთვის საჭირო საქმეს. ამის შემდეგ
ვახდენთ არჩევანს უმჯობესისა, რასაც გადაწყვეტილება ეწო-
დება. შემდეგ ჩვენ გარკვეულსახედ განვეწყობით ხოლმე იმი-
სადმი, რის გამოც გადაწყვეტილება მიგვიღია,—და სიყვარუ-
ლი გვიჩნდება ნდომის საგნისადმი; ამას მიდრეკილება ჰქვია.
ხოლო თუკი ჩვენ გადავწყვეტთ რაიმეს, ავირჩევთ უმჯობესს,
მაგრამ გარკვეულ სახედ არ განვეწყობით მისდამი, ანუ თუკი
ჩვენში სიყვარული არ იშვება იმისადმი, რაც გადაგვიწყვეტია,
მაშინ ამას მიდრეკილება უკვე აღარ ეწოდება. მას შემდეგ,
რაც ჩვენში იშვება გარკვეული განწყობილება, ვახდენთ თა-
ვისუფალ არჩევანს მოქმედებისა. თავისუფალი არჩევანი
იმაში მდგომარეობს, რომ ორი (ან მეტი) შესაძლებელი ქმე-
დებიდან ჩვენ ვირჩევთ ერთს, რომელსაც უპირატესობას ვა-
ნიჭებთ მეორის (სხვათა) წინაშე. მას შემდეგ, რაც თავისუფა-
ლი არჩევანი გაკეთებულია, ჩვენ სამოქმედოდ ვისწრაფვით,
ამას მისწრაფება ეწოდება. თუკი სასურველს მივაღწევთ და
ჩვენი ნდომის საგანს მოვიპოვებთ, გამოვიყენებთ მას. ამას
სარგებლობა ეწოდება. ბოლოს, სარგებლობას მოსდევს მიდ-
რეკილების, სწრაფვის დასრულება[66].

არაგონიერ ცოცხალ არსებებში როგორც კი ჩნდება რა-
ღაც მიდრეკილება, მას უმალვე მოქმედებისაკენ სწრაფვა
მოსდევს ხოლმე, რადგან არაგონიერ ცხოველთა მიდრეკილე-
ბანი არ არის გონიერი, და ისინი ბუნებრივი სწრაფვით აღიძ-
ვრიან და წარიმართებიან. ამიტომ, არაგონიერ ცოცხალ არსე-
ბათა მიდრეკილებას არ ეწოდება არც ნებისყოფა და არც
ნდომა, რადგან ნებისყოფა არის გონიერი და თავისუფალი
ნებიდან გამომდინარე ბუნებრივი მიდრეკილება ადამიანისა,
როგორც გონიერი არსებისა. მაშასადამე, ადამიანში, რო-
გორც გონიერ არსებაში, ბუნებრივი მიდრეკილება იმდენად
არ წარმართავს მას, რამდენადაც თვით წარიმართება ადამია-
ნის მიერ, რადგანაც იგი თავისუფალი ნებიდან გამომდინარე

მოქმედებს და რჩევას გონებას ეკითხება იმიტომ, რომ ადამიანში შემეცნებითი და სასიცოცხლო ძალები ერთმანეთთან დაკავშირებული. ამის გამო ადამიანი თავისი ნებით ალივსება ხოლმე რაიმე ნდომით, თავისი ნებით იკვლევს და განიხილავს, თავისი ნებით მოიფიქრებს (ასწონ-დასწონის), თავისი ნებით ილებს გადაწყვეტილებას, თავისი ნებით ალირჩევს, თავისი ნებითვე ისწრაფვის (ალივსება გარკვეული მიდრეკილებით), და თავისი ნებით ალასრულებს ყოველივე იმას, რაც (მისი) ბუნებიდან გამომდინარეობს.

ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ თუმცა ღმერთსაც მივაწერთ ხოლმე ნდომა-სურვილს, მაგრამ არ მივაწერთ ამას არჩევანის საკუთრივი მნიშვნელობით, რამეთუ ღმერთი არ განიხილავს თავის მოქმედებებს. რადგან როცა ჩვენ, ადამიანები განვიხილავთ ხოლმე და ავწონ-დავწონით მომავალ მოქმედებას, ეს ჩვენი უცნობელობითაა განპირობებული: რაც ცნობილია, იმას არავინ არ განიხილავს და გონებით არ ასწონ-დასწონის. ხოლო თუკი განხილვა უცნობლობის შედეგია, მაშინ, უეჭველია, რომ იგივე უნდა ვთქვათ არჩევანის გამოც. ღმერთმა კი უშუალოდ უწყის ყოველივე უწინარეს მათი ყოფისა, ამიტომ ი გ ი არც განიხილავს თავის მოქმედებებს[67].

ამასთანავე არ ვლაპარაკობთ მოქმედებათა განხილვასა და არჩევანზე ჩვენი უფლის იესო ქრისტეს სულის გამო, რამეთუ მისთვისაც უცხოა უცნობლობა. თუკი მ ა ს ჰქონდა კიდეც შემოსილი მომავლის უცნობელი (ადამიანური) ბუნება, როგორც ვიცით, ეს ბუნება ჰიპოსტასურად შეუერთდა სიტყვა-ღმერთის ღვთაებრივ ბუნებას, და ამის გამო უფალი იესო ქრისტე აღვსებული იყო ყველაფრის მცნობელობით არა (ღვთაებრივი) მადლის მიერ, არამედ, როგორც უკვე ვთქვით, ჰიპოსტასური შეერთების გამო (მ ი ს ი ორი — ღვთაებრივი და ადამიანური ბუნებებისა); რამეთუ ერთი და იგივე (პირი) იყო ღმერთიც და ადამიანიც.

ამიტომ მ ა ს (განკაცებულ ღმერთს) განსაზღვრული მიდრეკილებანი ნებისყოფისა არც ჰქონია, თუმცა მარტივი ბუნებრივი ნებისყოფა, რომელიც ერთნაირად იხილვება ადამიანთა მოდგმის თითოეულ ჰიპოსტასში, უფალსაც ჰქონდა.

მაგრამ მის წმიდა სულს არ ჰქონდა ისეთი მიდრეკილებანი თუ ნდომის საგანნი, რომლებიც საწინააღმდეგო იქნებოდა მისი ღვთაებრივი ნებისყოფისა, ანდა განსხვავებული მისი ღვთაებრივი ნდომის საგნისგან. მიდრეკილებანი ყველა სხვა ჰიპოსტასს, გარდა წმიდა, მარტივი, არაშედგენილი და განუყოფელი ღმრთაების ჰიპოსტასებისა, განსხვავებული აქვს. ღმერთის ჰიპოსტასნი ხომ განუყოფელნი და განუყრელნი არიან. ამიტომ განუყოფელია მათი ნებისყოფა და მათი ნდომის საგანიც. ამის გამო აქ ერთი ბუნებაა, და ერთი ბუნებრივი ნებისყოფა. ღმრთაების ჰიპოსტასები განუყოფელნი არიან, და ამიტომ ნდომის საგანიც ერთი აქვთ და ჰიპოსტასთა მოძრაობაც (ქმედებაც) ერთიანია.

ადამიანებს რაც შეეხება, მათ, მართალია, ერთი ბუნებრივი ნებისყოფა აქვთ, რამეთუ მათი ბუნებაც ერთია (საერთოა ყველასთვის), მაგრამ რადგანაც მათი ჰიპოსტასები გაყოფილი და განცალკევებულია ერთმანეთისგან ადგილით, დროით, საგნებთან განსხვავებული დამოკიდებულებით და მრავალი სხვა გარემოებით, ამიტომ მათი ნებისყოფაც, მიდრეკილებანი და ნდომის საგნები განსხვავებულია ერთმანეთისგან. ჩვენს უფალ იესო ქრისტეში კი ბუნებანი (ღვთაებრივი და ადამიანური) განსხვავებულია ერთმანეთისაგან, და ამიტომ განსხვავებულია ბუნებისმიერი ნებისყოფანიც და ნდომის ძალნიც, რომლებიც, ერთის მხრივ, მის ღმრთაებას განეკუთვნება, მეორის მხრივ კი — ადამიანობას. ამასთანავე, ვუწყით, რომ უფალ იესო ქრისტეში ერთი ჰიპოსტასია, ერთი მნებებელი, და ამის გამო ნდომის საგანიც ერთია, ანუ ნებისყოფის მიდრეკილებაც ერთია, რადგანაც მისი ადამიანური ნებისყოფა, რა თქმა უნდა, დაქვემდებარებული იყო მის ღვთაებრივ ნებისყოფას, ყველაფერში თან სდევდა, და ყოველთვისაც ის სურდა, რასაც მოითხოვდა უფლის ღვთაებრივი ნებისყოფა[68].

უნდა აღინიშნოს, რომ ნებისყოფა, ნდომა, ნდომის საგანი, ისევე, როგორც მნებებელი (ნდომის უნარის მქონე) და მსურველი, — განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.. ნებისყოფა, არის მარტივი უნარი ნდომისა. ნდომა არის ნებისყოფა, მიმართული გარკვეული საგნისაკენ. ნდომის საგანი ის ნივთია,

რომლისკენაც მიისწრაფვის ნებისყოფა, ანუ ის, რაც გვსურს. დავუშვათ, მაგალითად, ჩვენში იშვა სწრაფვა საზრდოს მიღებისა. უბრალო (მარტივი) გონიერი სწრაფვა არის ნებისყოფა. სწრაფვა საზრდოს მიღებისაკენ არის ნდომა, ხოლო თვით საზრდო — ნდომის საგანი. ნდომის უნარის მქონე ჰქვია მას, ვისაც აქვს ძალა მოსურვებისა, მნებებელი კი, თვით ნებისყოფის გამომყენებელს.

უნდა მხედველობაში გვქონდეს ის გარემოებაც, რომ სიტყვა „ნებისყოფა" (თელემა) ზოგჯერ აღნიშნავს უნარს ნდომისა, და ამ შემთხვევაში ეწოდება ბუნებრივი ნებისყოფა. ხოლო ზოგჯერ იგივე სიტყვა აღნიშნავს თვით ნდომის საგანს და ამ უკანასკნელ შემთხვევაში გონიერი (გონებისმიერი) ნებისყოფა (თელემა გნომიკონ) ეწოდება[69].

თავი XXIII

ქმედების („ენერგეია") შესახებ

უნდა ვიცოდეთ, რომ ყველა ზემოგანხილულ ძალას (ადამიანის სულისა) როგორც შემეცნებითს, ასევე სასიცოცხლოს, როგორც ბუნებრივს, ასევე ხელოვნურს ქმედება (ენერგიაი) ეწოდება. ქმედება ეწოდება იმ ძალასა და მოძრაობას, ცალკეულ არსს რომ ეკუთვნის, სხვაგვარად რომ ვთქვათ: ბუნებრივი ქმედება არის მოძრაობა, დაკავშირებული ყოველი ცალკეული არსის ბუნებასთან. აქედან ცხადი ხდება, რომ ერთი და იგივე არსის მქონე საგნებს (არსებებს) ერთი და იგივე ქმედება აქვთ.. და პირიქით, იმ საგნებს, რომლებსაც განსხვავებული ბუნება აქვთ, ქმედებაც სხვადასხვა აქვთ, რამეთუ არ შეიძლება, რომ არსს ბუნებრივი ქმედება არ ჰქონდეს.

ქმედება განისაზღვრება, როგორც ის ბუნებრივი ძალა, რომელიც ყოველ არსს გამოხატავს, როგორც გონიერი სულის ბუნებრივი და პირველი, მარად მომქმედი ძალა, ანუ მისი მარად მოქმედი გონება, რომელიც მისგან (სულისაგან) მომდინარეობს ბუნებრივად და განუწყვეტლივ. და კიდევ არსებობს ასეთი განსაზღვრებაც ქმედებისა: ქმედება ყოველი სუბსტან-

ციის ბუნებრივი ძალა და მოძრაობაა, რომელთა გარეშე არსებობა შეუძლებელია, ანუ მათ გარეშე მხოლოდ არაარსი შეიძლება დარჩეს.

ქმედებებად, პირველად, იწოდება მოქმედებანი, როგორიცაა: საუბარი, სეირნობა, ჭამა-სმა და მისთანანი. მეორედ, ქმედებებად ხშირად ბუნებრივი ვნებანიც იწოდებიან, როგორიცაა, მაგალითად, შიმშილი, წყურვილი და მისთანანი. და ბოლოს, ქმედებად იწოდება აგრეთვე ძალის გამოღებაც (სისრულე ძალისა)[70].

სიტყვები — „შესაძლებლობით" და „სინამდვილეში" (ტოდუნამეი კაი ტო ენერგეია) ორგვარი მნიშვნელობით იხმარება. ასე მაგალითად, ჩვილზე ვიტყვით ხოლმე, რომ შესაძლებლობით გრამატიკოსია, რამეთუ აქვს უნარი სწავლის გზით (მომავალში) გრამატიკოსი გახდეს; მაგრამ ამავე დროს, გრამატიკოსზეც ვიტყვით, რომ იგი გრამატიკოსია შესაძლებლობით და სინამდვილეშიც. გრამატიკოსია სინამდვილეში იმიტომ, რომ გრამატიკას დაუფლებია, შესაძლებლობითაც გრამატიკოსია იმიტომ, რომ შეუძლია ასწავლოს გრამატიკა, თუმცა სინამდვილეში არ ასწავლის. ჭეშმარიტად გრამატიკოსი ეწოდება იმ პიროვნებას, ვინც მოქმედია, ანუ ვინც გრამატიკას ასწავლის.

მაშასადამე, უნდა აღინიშნოს, რომ ეს, მეორე შემთხვევა საერთოა როგორც შესაძლებლობისთვის, ასევე ნამდვილობისთვის, კერძოდ კი, პირველ ყოვლისა, აქ სინამდვილესთან გვაქვს საქმე, და მხოლოდ შემდეგ შესაძლებლობასთან.

ამრიგად, თავისი თავის განმსაზღვრელი, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, გონიერი და თავისუფალი ნებით განპირობებული სიცოცხლე, რომელიც ადამიანთა მოდგმის უპირატესობას წარმოადგენს (ამა ქვეყნის სხვა ქმნილებებთან შედარებით), არის პირველი, ერთადერთი და ჭეშმარიტი რეალობა ჩვენი ბუნებისა. და მე არ ვიცი, როგორ, ან რის საფუძველზე უწოდებენ უფალს განკაცებულ ღმერთს ისინი, რომლებიც უარყოფენ მასში ამგვარ ქმედებას[71].

ქმედება არის ბუნების ქმედითი მოძრაობა, მოქმედი კი ეწოდება იმას, რაც თავისით მოძრაობს.

თავი XXIV

ნებსითისა (ნებაყოფლობითისა) და უნებლიეს (იძულებითის) შესახებ.

რადგან ნებსითი და უნებლიე ამა თუ იმ საქციელში წარმოჩინდება, ამის გამო მრავალნი ფიქრობენ, რომ უნებლიე, ანუ იძულებითი, მხოლოდ ტანჯვაში როდი ვლინდება, არამედ მოქმედებაშიც. ამის საპირისპიროდ უნდა ვიცოდეთ, რომ საქციელი არის გონიერი ქმედება. სხვადასხვა საქციელს (ადამიანისა) მოსდევს ხოლმე მოწონება-შექება, ანდა გაკიცხვა. ამასთანავე, ზოგიერთი საქციელი სიამოვნებით აღესრულება, სხვა — უსიამოვნოდ. ზოგიერთი საქციელი მიმზიდველია მისი ჩამდენისათვის, სხვანი — საზიზღარი. მიმზიდველ საქციელთაგანაც ერთნი ყოველთვის მიმზიდველნი არიან, სხვანი კი, მხოლოდ გარკვეული დროის განმავლობაში. იგივე შეიძლება ითქვას საზიზღარ საქციელთა გამოც. გარდა ამისა, ერთნი საქციელთაგან ადამიანთა შემწყნარებელ დამოკიდებულებას იმსახურებენ, სხვათ კი სიძულვილს მიაგებენ და სჯიან კიდეც ამის გამო. მაშასადამე, ნებსითს (ნებაყოფლობითს) ყოველთვის თან სდევს შექება, ანდა გაკიცხვა; ნებსითი საქციელნი ყოველთვის სიამოვნებით აღესრულება და მიმზიდველია მათი მოქმედისათვის ყოველთვის, ანდა მხოლოდ იმ დროის მანძილზე, როცა მას მოიმოქმედებენ. და პირიქით, უნებლიე (იძულებითი) იმით გამოირჩევა, რომ მას შეიწყნარებენ, სწყალობენ, მაგრამ უსიამოვნოდ (უკმაყოფილოდ) აღასრულებენ; რომ იგი არ არის მიმზიდველი და სასურველი, და ამის გამო ასეთ საქციელს არასდროს არ სჩადის ადამიანი თვით ამ საქციელის გულისთვის, თუნდაც სხვისი იძულებით[72].

უნებლიე საქციელი ორი სახისაა. უნებლიე იძულების გამო, და უნებლიე უცნობლობის გამო. პირველი მაშინ გვხვდება, როცა მოქმედი დასაბამი, ანუ მიზეზი, გარეთაა (გარეგანია), ე. ი. როცა სხვა ვინმე გვაიძულებს იმაში, რასაც სრულიად არ ვეთანხმებით და რაშიც საკუთარი სურვილით არ ვმონაწილეობთ, არც ჩვენი ძალისხმევით ვუწყობთ ხელს,

ანდა უნებლიეს იძულებით მაშინ ვხვდებით, როცა ჩვენი საკუთარი თაოსნობით ვიქმთ იმას, რასაც გვაიძულებენ. ამგვარად განვსაზღვრავთ რა უნებლიეს სახეობას, ჩვენ ვამბობთ: უნებლიე არის ის, რისი დასაბამიც გარეთაა და რაშიც იძულებას მიწევნული საკუთარი კეთილგანწყობით არ მონაწილეობს; ამასთანავე დასაბამში ვგულისხმობთ აღმომაცენებელ მიზეზს.

ხოლო უნებლიეს უცნობლობის გამო იმ შემთხვევაში ვხვდებით, როცა თვით ჩვენ კი არა ვართ მიზეზი ჩვენი უცნობლობისა, არამედ როცა ჩვენი უცნობლობა შემთხვევითია. ასე, მაგალითად, თუკი ადამიანი სიმთვრალეში ვინმეს კლავს, ამჯ იგი უნებლიე უცნობლობით სჩადის, და არა — უნებლიე იძულებით, რამეთუ მისი ამგვარი საქციელის მიზეზი, ე. ი. სიმთვრალე თვით მისი ნების ნაყოფია. თუკი ვინმე ჩვეულ ადგილას ისრის გასროლით იქ შემთხვევით გავლილ საკუთარ მამას მოჰკლავს, მასზე იტყვიან, უნებლიედ მოუვიდა, რადგან არ იცოდაო[73].

ამრიგად, თუკი უნებლიე ორი სახისაა — იძულებით გამოწვეული და უცნობლობით განპირობებული, ნებსითი ორივე ამ სახეობის საპირისპირო უნდა იყოს, რადგან ნებსითი ის არის, რაც ნებაყოფლობით აღესრულება, ანუ არც იძულების გამო და არც უცნობლობის ძლით. მაშასადამე, ნებსითი არის ის, რისი დასაბამიც თვით მოქმედშია, რომელმაც დაწვრილებით იცის რატომ იქცევა სწორედ ასე და არა სხვაგვარად, რისი მეშვეობით აკეთებს ამას და რაში მდგომარეობს მისი საქციელი. ყოველივე ამას ორატორები გარემოებებს უწოდებენ. ეს გარემოებანია: ვ ი ნ? — ე. ი. ვინ არის ამა თუ იმ მოქმედების ჩამდენი; ვის(თვის)? — ანუ ვის შეეხო, (ვინ ევნო) ეს მოქმედება; რ ა? — ე. ი. თვით ეს მოქმედება, მაგალითად მკვლელობა; რ ი თ ი? — ე. ი. რა იარაღითა თუ საშუალებით; ს ა დ — ე. ი. რომელ ადგილას მოხდა მკვლელობა; რ ო დ ი ს? — ანუ რა დროს; რ ო გ ო რ? — ანუ ვითარება მოქმედების აღსრულებისა; რ ა ტ ო მ? — ანუ მიზეზი ამ მოქმედებისა, ვთქვათ, მკვლელობისა[74].

უნდა ვიცოდეთ, აგრეთვე ისიც, რომ არსებობს რაღაც საშუალი ნებსითსა და უნებლიეს შორის. ასე, მაგალითად,

როცა ზოგჯერ დიდი ბოროტების (უბედურების) თავიდან აცილება გვსურს, ჩვენ გადავწყვეტთ ხოლმე უსიამოვნოსა და სამწუხაროს ვეწიოთ; ასეთი რამ ხდება, მაგალითად, ხომალდის დაღუპვის ჟამს, როცა წყალში გადავყრით ხოლმე ტვირთს მის გადასარჩენად.

უნდა ვიცოდეთ ისიც, რომ ყრმანი და არაგონიერი ცხოველები ნებსით (ნებაყოფლობით) მოქმედებენ, ოღონდ არა თავისუფალი არჩევანით. ამგვარადვე ჩვენც, როცა გაღიზიანებულნი (მრისხანების ჟამს) ვიქმთ რაიმეს წინასწარი მოფიქრების გარეშე, ნებსით (ნებაყოფლობით) ვიქმთ, მაგრამ არა— თავისუფალი არჩევანით. ზუსტად ასეთი ვითარებაა, როცა ჩვენთან მოულოდნელად მოდის მეგობარი: ჩვენ ნებსით ვისტუმრებთ მას, მაგრამ აქაც არა გვაქვს თავისუფალი არჩევნის საშუალება. ანდა თუკი ვინმე მოულოდნელად სიმდიდრეს შეიძენს, ნებსით მიიღებს მას, მაგრამ კვლავაც მოკლებული იქნება თავისუფალ არჩევანს. ყოველივე ეს ნებსით მიიღება, რადგან სიამისა და კმაყოფილების მომნიჭებელია, მაგრამ ამავე დროს აქ არ არის თავისუფალი არჩევანი, იმიტომ, რომ წინასწარ არ ხდება მოქმედების მოფიქრება, განსჯა, ხოლო როგორც ზემოთ ვთქვით, მოფიქრება და განსჯა ყოველთვის წინ უნდა უსწრებდეს (თავისუფალ) არჩევანს.

თავი XXV

მასზედ, რაც ჩვენს ხელთაა, ანუ თავისუფლების (თავისუფალი გადაწყვეტილების) შესახებ.

როცა თავისუფლებაზე ვმსჯელობთ, ანუ იმაზე, რაც ჩვენს ხელთაა და რაც ხელგვეწიფება, უპირველეს ყოვლისა, ამგვარი კითხვის წინაშე ვდგებით: არის კი რაიმე ჩვენს ხელთ? ხელგვეწიფება კი რაიმე? — რადგანაც მრავალნი სწორედ ამის საწინააღმდეგოს ამტკიცებენ. მეორე კითხვა, რომლის წინაშეც აღმოვჩნდებით, ის იქნება, თუ რა არის ჩვენს ხელთ, რა ხელგვეწიფება და რაში ვართ თავისუფალნი. და ბოლოს, მესამე კითხვაც არსებობს და ვიდრე პასუხს გავცემდეთ, ის

მიზეზი გავარკვიოთ, თუ რატომ შეგვქმნა შემოქმედმა ღმერთ-თმა თავისუფალნი.

შევუდგებით რა პირველი კითხვის გამორკვევას, პირველ ყოვლისა, უნდა დავამტკიცოთ, რომ არსებობს რაღაც ისეთი, რაც ჩვენს ხელთაა, რაც ხელგვეწიფება, და ამასთან არ უნდა დავეყრდნოთ იმ საფუძვლებს, თვით მოწინააღმდეგენი რომ აღიარებენ. ამიტომ მსჯელობას შემდეგნაირად დავიწყებთ:

რაც სამყაროში ხდება, ყოველივე ამის მიზეზად აღიარებენ ან ღმერთს, ან აუცილებლობას, ან დამთხვევას, ანდა ბუნებას, განგებულებასა თუ შემთხვევას. მაგრამ ვუწყით, რომ ღმერთისაგან არის აღმოცენებული საგანთა არსი და განგებულება, აუცილებლობისაგან მომდინარეობს მოძრაობა იმისა, რაც უცვალებლად არსებობს. დამთხვევის აღმონაცენია ის, რაც მისგან აუცილებლობით მომდინარეობს, რამეთუ თვით დამთხვევა არის გამოხატულება აუცილებლობისა. ბუნების აღმონაცენია — შობა, ზრდა, დარღვევა, ცოცხალი არსებანი და მცენარეები. ხოლო ბედიღბლის წარმონაქმნია — იშვიათი და მოულოდნელი, რადგან ბედიღბალს განმარტავენ, როგორც თანხვედრას თუ დამთხვევას ორი ისეთი მიზეზისა, რომელთაც დასაბამი თავისუფალ არჩევანში აქვთ, მაგრამ იმას არ აღმოაცენებენ, რაც უნდა აღმოეცენებინათ. ასე იქნება, მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუკი ორმოს მთხრელი ადამიანი განძს ნახავს. მართლაც, განძის დამმალავი იმ განზრახვით როდი მარხავდა თავის ქონებას მიწაში, რომ იგი ვინმე სხვას ეპოვა; არც განძის მპოვნელი თხრიდა ორმოს იმ მიზნით, რომ განძი მოეძია: პირველმა განძი იმისთვის დაფლა, როცა დასჭირდებოდა ამოეღო და მოეხმარა, ხოლო მეორე იმისთვის თხრიდა მიწას, რომ ორმო ესაჭიროებოდა. სინამდვილეში მოხდა სულ სხვა, ამ ორი ადამიანის სურვილის საწინააღმდეგო რამ... და ბოლოს, შემთხვევის აღმონაცენია ის მოვლენები, რომლებიც უსულო საგნებსა და არაგონიერ ცოცხალ არსებებს (ცხოველებს) შეეხება და რომლებიც არ არიან დამოკიდებული არც ბუნებაზე და არც ხელოვნებაზე. ასე ამბობენ თავისუფლების მოწინააღმდეგენი. მაშ, ამ მიზეზთაგან რომელს დავუკავშირებთ ადამიანის მოქმედებებს, თუკი (თავისუფლების მოწინააღმდეგეთა მსგავსად) ჩავთვლით, რომ

თვითონ ადამიანი არ არის მიზეზი და დასაბამი თავისი მოქმედებებისა? უშვერება იქნება, თუკი ღმერთს მივიჩნევთ მიზეზად ადამიანთა სამარცხვინო და უსამართლო საქმეებისა, რასაც ისინი ხშირად სჩადიან. არ შეიძლება ასევე აუცილებლობას მივაკუთვნოთ ადამიანთა მოქმედებანი, რამეთუ ისინი უცვალებელნი არ არიან. კვალად, არ შეიძლება ისინი ბედისწერას მივაკუთვნოთ, რადგანაც ბედისწერის აღმონაცენად ითვლება არა შემთხვევითი რამ, არამედ — აუცილებელი. ადამიანთა საქმეებს ვერც ბუნებას მივაწერთ, რადგან ბუნების აღმონაცენნი ცხოველები და მცენარეები არიან. ასევე არ შეიძლება ისინი ბედიღბლის ძალს მივაკუთვნოთ, ბედიღბლის აღმონაცენი რაღაც იშვიათი და მოულოდნელია, ადამიანთა საქმეები კი, არ არის ასეთი. არც შემთხვევას შეიძლება ისინი მივაწეროთ, რადგან შემთხვევით მოელენებად იწოდება მხოლოდ ის, რაც განუსულიერებელ საგნებსა და არაგონიერ ცხოველებს შეეხება. ამრიგად, მხოლოდ ისღა გვრჩება, რომ თვით ადამიანი, მოქმედი და რაღაცის წარმომქმნელი, ვაღიაროთ მიზეზადაც თუ დასაბამადაც თავისი მოქმედებებისა, და თავისუფლადაც (თავის მოქმედებებში)[75].

გარდა ამისა, თუ ადამიანი არ არის დასაბამი და მიზეზი არც ერთი თავისი მოქმედებისა (როგორც ამას თავისუფლების მოწინააღმდეგენი ამტკიცებენ), მაშინ არც უნდა სჭირდებოდეს მოფიქრება, გონებით აწონ-დაწონვა მომავალი მოქმედებებისა; აბა, რად ესაჭიროება ეს უნარი (გონიერი არსებისა), თუკი არც ერთი მოქმედება მის ხელთ არ არის და თუ არაფერი ხელეწიფება?! — ყოველგვარი მოფიქრების საგანი ხომ მომავალი მოქმედებაა. უკიდურესი უაზრობა იქნება, თუ უგულვებელვყოფთ ადამიანის იმ უნარს, რაც მასშია ყველაზე მშვენიერი და ფასეული. თუკი ადამიანი მოიფიქრებს, განსჯის მომავალ მოქმედებებს, მხოლოდ იმიტომ, რომ მასზეა დამოკიდებული ამა თუ იმ მოქმედების ჩადენა, რამეთუ ყოველგვარი მოფიქრება და გონებით აწონ-დაწონა მოქმედების თავისუფლებას გულისხმობს და განპირობებულია ამგვარი თავისუფლებით.

თავი XXVI

შესახებ იმისა, რაც ხდება (აღსრულდება).

ყოველივე იმისაგან, რაც ხდება ჩვენს თავს, ერთი რამ ჩვენს ხელთ არის, ჩვენს ხელმწიფებას ექვემდებარება, სხვა რამ კი — არ არის ჩვენს ხელთ. ჩვენს ხელთაა ყოველივე ის, რისი ქმნა თუ არქმნა — ჩვენს თავისუფალ ნებაზეა დამოკიდებული, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩვენს ხელთაა ყოველივე ის, რასაც ჩვენ ნებაყოფლობით ვიქმთ, რამეთუ ისეთი მოქმედება, რომლის ქმნა თუ არ ქმნა ჩვენს თავისუფალ ნებაზე არ არის დამოკიდებული, არ შეიძლება იწოდოს ჩვენს ხელთ არსებულად, ანუ ისეთად, რაც ხელგვეწიფება. ერთის სიტყვით, ჩვენს ხელთაა ყოველივე ის, რასაც ახლავს გაკიცხვა და შექება, და რასაც განეკუთვნება აღძვრა და სჯული. საკუთრივი მნიშვნელობით ჩვენს ხელთაა და ხელგვეწიფება ყოველივე ის, რაც ჩვენს სულს შეეხება, ანუ რაც ჩვენს შიგნით ხდება, და ყოველივე ის, რასაც ჩვენ მოვიფიქრებთ და განვსჯით. მოფიქრება ხდება თანაბრად შესაძლებელ მოქმედებათა გამო. მოქმედებანი, თავის მხრივ, თანაბრად შესაძლებელია მაშინ, როცა ჩვენს ნებაზეა დამოკიდებული როგორც ერთი მოქმედების აღსრულება, ასევე სხვა მოქმედებისაც, პირველის საწინააღმდეგოსი. მოქმედების არჩევანი ხდება გონების მიერ, და ამიტომ სწორედ იგია დასაბამი მოქმედებისა, ამრიგად, ჩვენს ხელთაა ყოველივე ის, რისი ქმნა თუ არქმნა ჩვენ თანაბრად შეგვიძლია; მაგალითად, ერთნაირად შეგვიძლია ვიმოძრაოთ ანდა არ ვიმოძრაოთ, ვესწრაფოთ რაიმეს და არ ვესწრაფოთ, ვინატროთ ანდა არ ვინატროთ ის, რაც აუცილებელი არ არის; ვიცრუოთ ანდა არ ვიცრუოთ, გავცეთ თუ არ გავცეთ, გვიხაროდეს თუ არ გვიხაროდეს, ის, რაც სასიხარულოა, ანდა გვიხაროდეს თუ არ გვიხაროდეს ის, რაც არ არის სასიხარულო, და კიდევ სხვა მრავალი ამის მსგავსი საქციელი, სათნო თუ ბიწიერი; რამეთუ ყოველივე ამაში თავისუფალნი ვართ, ანუ თავისუფალ ნებაზეა დამოკიდებული ერთს რასმე მოვიმოქმედებთ, თუ სხვას — მისგან განსხვავებულსა და საპირისპიროს. შესაძლე-

ბელ მოქმედებათა რიცხვს განეკუთვნება აგრეთვე ხელოვნებანი, რადგან ჩვენს ხელთაა, ანუ თავისუფალ ნებაზეა დამოკიდებული, ხელოვნების რომელ დარგს ავირჩევთ, ან არ ავირჩევთ.

უნდა აღინიშნოს, რომ მოქმედების არჩევანი ყოველთვის ჩვენს ხელთაა, მაგრამ ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ ზოგჯერ, და არცთუ იშვიათად, ჩვენს ამა თუ იმ მოქმედებას შეაჩერებს ან არ დაუშვებს ხოლმე რაღაც საგანგებო ზემოქმედება საღმრთო განგებულებისა.

თავი XXVII

მასზედ, თუ რა ძალით ვართ თავისუფალნი (ანუ რა მიზეზია, რომ თავისუფალი ნებისანი გავჩნდით).

ვამტკიცებთ, რომ თავისუფლება გონიერებასთან არის დაკავშირებული და რომ ყოველი ქმნილებისთვის დამახასიათებელია ცვლილება და გარდაქმნა. მართლაც, ყოველივე, რაც სხვისაგან წარმოშობილა, ცვალებადია, უსათუოდ ცვალებას უნდა იყოს დაქვემდებარებული ის, რასაც არსებობა (თავისი დასაბამი) ცვლილების შედეგად მიუღია. ცვლილება მაშინ ხდება ხოლმე, როცა რაიმე არარსებობიდან არსებობას იწყებს. ანდა როცა მოცემული ნივთიერებიდან რაღაც სხვა ნივთიერება წარმოიქმნება. მაგრამ აქ გადმოცემული სხეულებრივი ცვალებადობის წესით იცვლებიან მხოლოდ განუსულიერებელი საგნები და არაგონიერი ცხოველები; გონიერი არსებანი კი ნებისმიერად, ანუ თავიანთი თავისუფალი ნებით იცვლებიან. გონიერ არსებას, როგორც ვიცით, ორი უნარი აქვს: შემეცნებითი და ქმედითი (სამოქმედო). შემეცნებითი უნარი ყოველივე არსებულს განიხილავს და მისწვდება, ხოლო ქმედების უნარი საქციელთ მოფიქრებს და სწორ საზომს დაუდგენს მათ. შემეცნებითი უნარი იწოდება თეორიულ (განყენებულ) გონიერებად, ქმედითი უნარი კი, პრაქტიკულ გონიერებად. შემეცნებით უნარს სხვაგვარად სიბრძნესაც უწოდებენ, ქმედით უნარს კი — კეთილგონიერებას. ამრიგად, ყოველი ადამიანი, ვინც მოიფიქრებს და განსჯის თავის მოქმედებებს, რადგან მოქმედების არჩევანი მის ნებაზეა დამოკიდებული, იმისთვის მოიფიქრებს მათ, რომ ასეთი მოფიქრე-

ბით გადაწყვიტოს — რა აირჩიოს, და როცა აირჩევს, აღასრულოს კიდეც. თუ ეს ასეა, მაშინ გონიერ არსებას აუცილებლად უნდა მიეკუთვნოს ნების თავისუფლება, რადგან სხვა შემთხვევაში ივი გონიერი აღარ იქნებოდა, ხოლო რაკი გონიერი არსებაა, ამიტომ არის კიდეც ბატონ-პატრონი თავისი მოქმედებებისა, და ამის გამო თავისუფალი[76].

აქედან გამომდინარე, არაგონიერი არსებანი არ არიან თავისუფალნი, რადგან მათ ბუნება წარმართავს და არა—პირიქით. ამიტომ ისინი არ ეწინააღმდეგებიან ბუნებრივ ნდომა-სურვილთ, და როგორც კი ისურვებენ რაიმეს, უმალ მოქმედებას ესწრაფვიან. ადამიანი კი, როგორც გონიერი არსება, თვით წარმართავს ბუნებას, ვიდრე — პირიქით. ამიტომ, როცა რაიმეს მოისურვებს, თავისუფალი ნებისდა მიხედვით, შესაძლებლობა აქვს ჩაიკლას ეს სურვილი, ანდა დაემორჩილოს. ამავე მიზეზის გამო არაგონიერი არსებანი არ იმსახურებენ არც გაკიცხვას და არც შექებას თავიანთი მოქმედებებისათვის; ადამიანს კი აქებენ ან ჰკიცხავენ და პასუხს აგებინებენ ამა თუ იმ საქციელისთვის. გარდა ამისა, უნდა ვიცოდეთ, რომ ანგელოზები. როგორც გონიერი არსებანი, თავისუფალნი არიან, და როგორც ქმნილებანი — ცვალებას დაქვემდებარებულნი. ეს კარგად ჩანს ეშმაკის მაგალითზე, რომელიც შემოქმედმა კეთილ ანგელოზად შექმნა, აგრეთვე მასთან ერთად დაცემულ ძალთა, ანუ დემონთა მაგალითზე, რომელნიც ასევე კეთილად შეიქმნენ, და შემდეგ იცვალნენ ბოროტისაკენ, მაშინ როცა სხვა წოდებანი ანგელოზებისა სიკეთეში ჰგიებენ[77].

თავი XXVIII

მასზედ, რაც ჩვენს ხელთ არ არის (რაც არ ხელგვეწიფება).

ყოველივე იმისაგან, რაც ჩვენს ხელთ არ არის, ანუ რაც არ ხელგვეწიფება, ნაწილს დასაბამი, ანუ მიზეზი იმაში აქვს, რაც ჩვენს ხელთაა (რაც ჩვენს თავისუფალ ნებაზეა დამოკიდებული), — ასეთია, მაგალითად, საზღაური ჩვენი საქმეები-

სათვის, როგორც აქ, ამქვეყნიურ ცხოვრებაში, ისევე მომავალ, საუკუნო ცხოვრებაში; ხოლო სხვა დაწარჩენი საღმრთო ნებაზეა დამოკიდებული, მ ა ს შ ი აქვს თავისი დასაბამი და მიზეზი, რამეთუ ყოველივეს თავისი არსებობის წყარო ღმერთში აქვს, ხრწნა კი, მხოლოდ შემდგომში შემოვიდა ჩვენი შეცოდების შედეგად, ჩვენს დასასჯელად და, ამავე დროს, ჩვენი სარგებლობისთვისაც, „რამეთუ ღმერთმან სიკვდილი არა დაჰბადა, არცა ჰნებავს წარწყმედა ცხოველთაჲ“ (სიბრძნე სოლომ. 1, 13). მაშასადამე, სხვაგვარად რომ ვთქვათ, სიკვდილი და მასთან ერთად სხვა სასჯელნიც ადამიანისგან მომდინარეობენ, ანუ ეს ყოველივე ადამის შეცოდების შედეგია. ყოველივე დანარჩენი ღმერთს უნდა მივაწეროთ, რადგან ჩვენი არსებობა მ ი ს ი შემოქმედებითი ძალის საქმეა. ასევე განგრძობაც ჩვენი არსებობისა — ᲛᲘᲡᲘ შემანარჩუნებელი ძალის საქმეა. წარმართვა ჩვენი არსებობისა და ხსნა ჩვენი — ღმერთის განგებულების საქმეა. დაბოლოს, საუკუნო ტკბობა ღვთაებრივი სიკეთით ღმერთის სახიერების საქმეა, რომელიც უხვად მიუზღავს ყველას, ვინც ბუნების თანახმიერად ცხოვრობს და რისთვისაც ვქმნილვართ.

რადგან ზოგიერთი უარყოფს საღმრთო განგებულებას, ორიოდ სიტყვით მათაც მოვახსენებ.

თ ა ვ ი XXIX

(საღმრთო) განგებულებისათვის.

განგებულება არის ღმერთის ზრუნვა ყოველი სულიერისათვის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, განგებულება არის ღმერთის ნება, რომელიც ყოველივე არსებულს ჯეროვნად წარმართავს. რადგან განგებულება ღმერთის ნებაა, ამიტომ აუცილებელია და ყველაფერი, რაც განგებულებით აღსრულებულა, უეჭველად ყველაზე მშვენიერი, ყველაზე ღირსეული და ღმერთისათვის საფერი უნდა იყოს, ისეთი, რომლის უკეთესიც აღარაფერია. მაშასადამე, აუცილებელია, რომ ე რ თ ი და ი გ ი ვ ე იყოს როგორც შ ე მ ო ქ მ ე დ ი ყო-

ველივე არსებულისა, ასევე განმგებელიც ყოველივესი; რამეთუ უჯეროა და შეუთავსებელი გონიერებასთან, რომ სხვა ვინმე იყოს შემოქმედი, და სულ სხვა — განმგებელი ყოველივესი. სხვაგვარად რომ ყოფილიყო, მაშინ ხომ ერთიცა და მეორეც უძლურნი აღმოჩნდებოდნენ, — პირველი ვერ შექმნიდა, ხოლო მეორე ვერ განაგებდა, — ეს ცხადზე უცხადესია. ამრიგად, ღმერთი არის შემოქმედიცა და განმგებელიც ყოველივესი, და მის შემოქმედებითს, მპყრობელს (შემნარჩუნებელს) და განგებულებითს ძალას წარმოადგენს ღმერთის ყოვლადსახიერი ნება. სალმრთო წერილიც გვეუბნება: „ყოველივე, რაოდენი ინება უფალმან, ქმნა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა, ზღვათა შინა და ყოველთა უფსკრულთა“ (ფს. 134, 6), და მის ნებას ვერავინ ვერ ეწინააღმდეგება. მან ისურვა, რომ ყოველივე წარმოქმნილიყო, და — ყოველივე წარმოიქმნა. მას სურს, რომ სამყარო არსებობდეს, და იგიც — არსებობს; მას სურს, რომ ქვეყანა ესე შენარჩუნებულ იყოს, და იგიც შენარჩუნებულია. და ყოველივეც, რაც კი აღსრულდება, ღმერთის ნებითა და სურვილით აღსრულდება[78].

ხოლო ის, რომ ღმერთი ყოველივეს განაგებს, და ეს მისი განგებულება საკვირველია, ამაში შემდეგნაირად შეიძლება დავრწმუნდეთ: მხოლოდ ღმერთია ბუნებით სახიერი და ბრძენი. ვითარცა სახიერი იგი განიზრახავს და განაგებს ყოველივეს, რამეთუ ვინც არ განაგებს, იგი არც არის სახიერი. ადამიანები და არაგონიერი ცხოველებიც ხომ ბუნებრივად ზრუნავენ თავიანთ შვილთათვის, და თუკი ვინმე ასე არ იქცევა, იგი გაიცხვის ღირსია. კვალად, ვითარცა ყოვლადბრძენი — ღმერთი საუკეთესოდ ზრუნავს ყოველი სულიერისთვის.

ამიტომ, რაკი ვიცით ყოველივე, მუდამ უნდა გვაოცებდეს განგებულების საქმენი, მარადჟამ განვადიდებდეთ და ყოველივეს სიხარულით ვიღებდეთ — ეჭვისა და გამოწვლილვის გარეშე, თუნდ ეს საქმენი განგებულებისა უსამართლოდ მიგვაჩნდეს. რამეთუ ღმერთის განგებულება ჩვენთვის უხილავი და მიუწვდომელია, ხოლო ჩვენი აზრები, საქმეები და, საერთოდ, მომავალი მხოლოდ ღმერთმა უწყის. ყოველივე ამის შესახებ ვიტყვი, რომ ეს არ არის ჩვენს ხელთ და ცოდნა ამისა არ ხელგვეწიფება, რადგან ის, რაც ჩვენს ხელთ არის, არ

არის საღმრთო განგებულების საქმე და ჩვენი თავისუფალი ნებიდან გამომდინარეობს[79].

ის, რაც საღმრთო განგებულებას ექვემდებარება, ან ღმერთის ნებით სრულდება, ან მისი დაშვებით. ღმერთის ნებით აღსრულდება ყოველივე, რაც უდავოდ კარგია, კეთილია. ხოლო ღმერთის დაშვებით ხშირად აღსრულდება ხოლმე ის, რაც უდავოდ კარგი და კეთილი არ არის. ასე მაგალითად, ზოგჯერ ღმერთი დაუშვებს მართალი მორწმუნეც განსაცდელს ეწიოს, ჭირი და უბედურება დაითმინოს, რათა სხვა ადამიანებს ,,დაანახვოს მართალ მორწმუნეში დაფარული სათნოება; ღმერთისაგან ასეთი დაშვებით ხომ ევნო მართალი იობი. ანდა ღმერთი რაღაც უცნაურ, ყოვლად საკვირველ საქმეს დაუშვებს, რათა ამგვარი, აშკარად შეუსაბამო მოქმედებით დიდი და საოცარი რამ აღასრულოს. ასე, მაგალითად, ჯვარის მეშვეობით აღსრულდა ადამიანთა ხსნის საკვირველი საქმე. სხვა შემთხვევაში ღმერთი დაუშვებს, წმიდა ადამიანიც ევნოს და მძიმე სნეულებანი დაითმინოს, რათა არ დაკარგოს კეთილსინდისიერება, ანდა მონიჭებულ ღვთაებრივ ძალთა და მადლთა მიზეზით ამპარტავნებით არ აღივსოს; ასე დაემართა, მაგალითად, პავლე მოციქულს[80].

ზოგჯერ ღმერთი გარკვეული დროით მიატოვებს ხოლმე ადამიანს, რათა მეორეს შეეწიოს, რომელიც მის მაგალითზე უნდა გამოსწორდეს. ასე შეემთხვა, მაგალითად, გლახაკ ლაზარესა და მდიდრს. მართლაცდა, როცა ვხედავთ, თუ როგორ ევნებიან სხვები, ბუნებრივად შევიქნებით ხოლმე მორჩილნი. ზოგიერთ ადამიანს კი, ღმერთი სხვა ადამიანის ვანსადიდებლად მიატოვებს და არა თვით მისი ან მისი მშობლების ცოდვების გამო; ასე მაგალითად, შობიდან ბრმა ადამიანი (სახარებისა) მთელი სიცოცხლის განმავლობაში ევნებოდა თავისი სიბრმავით სწორედ იმისთვის, რომ მისით განდიდებულიყო ძე კაცისა.

გარდა ამისა, ღმერთი ამა თუ იმ ადამიანის ტანჯვას დაუშვებს სხვა ადამიანში საღმრთო მოშურნეობისა და გულმოდგინების განსაღვიძებლად, ანუ იმისათვის, რომ იხილავენ რა სულიერ განდიდებას ტანჯულისა, სხვებიც უშიშრად შეიგებენ ტანჯვა-წამებას სასოებით მომავალი სულიერი განდი-

დებისა და მომავალი ცხოვრების სიკეთის სურვილით. ამიტომ აღსრულდა წმიდა მოწამეთა ტანჯვა.

ზოგჯერ ღმერთი იმასაც დაუშვებს, რომ ადამიანმა სამარცხვინო საქმე აღასრულოს, რათა თვით ამ ადამიანში სხვა, უფრო ბილწი ვნება აღმოფხვრას. ასე მაგალითად, როცა ვინმე თავს იქებს ქველის-საქმით და თავისი მართალი მორჩუნეობით, ღმერთი დაუშვებს, რომ ასეთი ადამიანი სიძვის ცოდვაში შთავარდეს და სწორედ ამგვარი დაცემის გზით მოეგოს გონს, გულისხმა-ჰყოს თავისი უძლურება, თავი დაიმდაბლოს და აღსარებად შეუვრდეს უფალს.

უნდა ვიცოდეთ ისიც, რომ საქმეთა არჩევანი ჩვენს ხელთაა და ჩვენს ნებაზეა დამოკიდებული, მათი ბოლო კი ღმერთის ნებაზეა დამოკიდებული. ამასთან, კეთილ საქმეთა ბოლო ღმერთის შეწევნითაა განპირობებული, რამეთუ ღმერთი, თავისი წინასწარჭვრეტით, მართლიად შეეწევა იმ ადამიანებს, რომელთაც თავიანთი მართალი სინდისით კეთილი ხვედრი აღურჩევიათ. ბოროტ საქმეთა ბოლო ღმრთისაგან მიტევებაზეა დამოკიდებული იმის გამო, რომ ღმერთი, ასევე თავისი წინასწარჭვრეტით, მართლიად სტოვებს ხოლმე ადამიანს, და ეს უკანასკნელიც თავის საკუთარ ძალთა ანაბარა რჩება[1].

თუკი ღმერთი ადამიანს მიატოვებს, ეს ორგვარი სახის შეიძლება იყოს: ერთია გადამრჩენელი მიტოვება, რომელიც შეაგონებს ადამიანს კვლავ ღმრთისკენ მოექცეს, მეორე კი, საბოლოო მიტოვებაა და ღმრთისაგან ადამიანის სრულ უარყოფას გულისხმობს. მხსნელ, ანუ ადამიანის შემაგონებელ მიტოვებას ღმერთი იმისთვის აღასრულებს, რომ გამოასწოროს, იხსნას და განადიდოს ვნებული, ანდა სხვა ადამიანებს საღმრთო მოშურნეობა და კეთილმსახურება ჩაუნერგოს, ღმრთის სადიდებლად განაწყოს. საბოლოოდ ღმერთი მაშინ მიატოვებს ხოლმე ადამიანს, როცა ეს უკანასკნელი, მიუხედავად ღმრთისაგან ყოველი ღონის მოხმობისა მის გადასარჩენად, უსმინარი, უგრძნობელი და განუკურნებელი რჩება, ანუ ისეთი, რომლის განკურნვაც შეუძლებელია, და რაც საკუთარივ მისი თავისუფალი ნებით ხდება. აი, მაშინ ასეთი ადამიანის ხვედრი საბოლოო დაღუპვაა, მსგავსად უფლის გამცემი

იუდასი. ღმერთი იყოს ჩვენი ბოლოველი და ნურც ნურასოდეს მივეტოვებინეთ მას ამგვარი მიტოვებით!

უნდა ვიცოდეთ ისიც, რომ საღმრთო განგებულების საბე მრავალია, და მათი არც სიტყვით გამოხატვა არის შესაძლებელი ადამიანისთვის და არც გონებით მიწვდომა.

მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ თუკი ადამიანები საწუხარ მოვლენას მადლობით მიიღებენ და ღვთის სადიდებელს აღავლენენ, სულთა ხსნისათვის, რომ ეგზავნებათ მათ უეჭველია, სარგებლობაც მოაქვთ ესევითართათვის.

უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ ღმერთს, უპირველეს ყოველისა, სურს ყოველნი იხსნას და თავის მეუფებას დაუმორჩილოს. მართლაც, როგორც ყოვლად სახიერმა ღმერთმა იმისთვის როდი შეგვქმნა, რომ შემდეგ სასჯელს ვწეოდით, არამედ იმისთვის, რომ თანამოზიარენი გავმხდარიყავით მისი სახიერებისა; მაგრამ ვითარცა მართალ მსაჯულს, ღმერთს სამართლიანად სურს, ცოდვილი ადამიანები დასჯილ იქნენ.

ღმერთის პირველ მოსურვებას ეწოდება წინამსწრობელი ნება, ანუ თნება, და მხოლოდ მასზეა დამოკიდებული. ხოლო მეორე მოსურვებას — შემდგომი ნება ან მიტევება (მიშვება), და მიზეზი ამ მეორე ნებისა ჩვენშია (ჩვენს შეცოდებაშია); ამასთანავე, როგორც ზემოთ ვთქვით, მიტევება ორი სახისაა — მხსნელი, ანუ შემაგონებელი და ისეთი, რომელიც მოასწავებს ღმერთისაგან ადამიანის უარყოფას და ამის მიწევნას სრული სასჯელისადმი. ყოველივე ეს ჩვენს ხელთ არ არის, ჩვენი თავისუფალი ნებიდან არ გამომდინარეობს[82].

რაც შეეხება იმას, რაც ჩვენს ხელთაა, ღმერთს თავისი წინამსწრობელი ნებით სურს ჩვენი კეთილი საქმეები და სწყალობს მათ, ბოროტი საქმეები მას არ სურს ჩვენგან არც თავისი წინამსწრობელი ნებით და არც თავისი შემდგომი ნებით (მიტევებით), მაგრამ ღმერთი მიუშვებს ჩვენს თავისუფალ წებას ბოროტის ქმნადაც, რამეთუ იძულებით ქმნა რამისა არც გონივრული საქმეა და არც ქველის საქმეს (სათნოებას) წარმოადგენს.

ღმერთი ყოველ ქმნილებას განაგებს, მადლს გვიყოფს ჩვენ, გვწყალობს და შეგვაგონებს მთელი ქმნილების მეშვეობით. ამას იგი სჩადის თვით დემონთა მეშვეობითაც, რაც ცნობილია მართალი იობისა და ღორთა კოლტის ამბებიდან.

თ ა ვ ი XXX

წინასწარცნობისა და წინასწარგანსაზღვრულობისათვის

უნდა ვიცოდეთ, რომ ღმერთმა ყოველივე წინათვე უწყის, მაგრამ წინდაწინ ყოველივეს როდი განსაზღვრავს. იგი წინათვე ხედავს ყველაფერს იმას, რაც ჩვენს ხელთაა და რაც ჩვენს ნებაზეა დამოკიდებული, მაგრამ წინდაწინვე არ განსაზღვრავს ამას, რადგან მ ა ს არ სურს არც ის, რომ იძულებით ვქმნათ ქველის საქმენი და არც ის, რომ ჩვენში ბიწიერება იყოს. ამიტომ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ წინათგანსაზღვრულობა ღმერთის ნებიდან მომდინარეობს და მ ი ს ი ბრძანების საქმეა, და იგი წინათმცნობელობას ეფუძნება. მაგრამ წინასწარმცნობელობის გამო ღმერთი წინასწარ განსაზღვრავს ყოველივე იმას, რაც არ არის ჩვენს ხელთ, რამეთუ თავისი წინასწარმცნობელობით ღმერთმა წინათვე განაჩინა ყოველივე ისე, როგორც ამას მ ი ს ი სახიერება და სამართლიანობა მოითხოვდა[83].

ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ სათნოება ჩვენს (ადამიანურ) ბუნებასთან ერთად მოგვეცა ღმერთისაგან, და ამიტომ თვით ღმერთია დასაბამი და მიზეზი ყოველი სიკეთისა, და მ ი ს ი თანადგომისა და შეწევნის გარეშე ჩვენ არ ძალგვიძს არც მოსურვება და არც ქმნა სიკეთისა. მაგრამ ჩვენს ხელთაა, ანუ ჩვენს ნებაზეა დამოკიდებული ან ამ სათნოებაში დავრჩეთ და ღმერთს მივსდიოთ, რ ო მ ე ლ ი ც სწორედ ამას მოგვიწოდებს, ანდა მოვშორდეთ სათნოებას, ანუ მანკიერად ვიცხოვროთ და ეშმაკს შევუდგეთ, რომელიც იძულების გარეშე სწორედ ამისკენ, ანუ ბიწიერი ცხოვრებისაკენ მოგვიწოდებს, რამეთუ ბიწიერება სხვა არაფერია, თუ არა სათნოებას მოკლება, მსგავსად იმისა, როგორც სიბნელე სხვა არაფერია, თუ არა სინათლის მოკლება. ამრიგად, როცა ჩვენი ბუნების თანახმიერად ვცხოვრობთ, ჩვენ სათნოებაში ვრჩებით, ხოლო როცა მოვშორდებით ჩვენთვის ბუნებრივს, ანუ სათნოებას, მაშინ ჩვენი ბუნების საწინააღმდეგო მდგომარეობაში აღმოვჩნდებით და ბიწიერნი შევიქნებით ხოლმე[84].

სინანული არის ბუნების საწინააღმდეგო მდგომარეობიდან

ბუნებრივ მდგომარეობაში დაბრუნება, ანუ ეშმაკისაგან ღმერთთან დაბრუნება, რაც მოსაგრე ცხოვრებითა და გულმოდგინე შრომით აღესრულება.

ადამიანი ღმერთმა (პირველად) მამაკაცად შექმნა, მიანიჭა რა მას თ ა ვ ი ს ი საღმრთო მადლი და ამ მადლის ძალით განუჩინა თ ა ვ ი ს თ ა ნ ერთობა და თანაზიარობა. სწორედ ამ მადლის მიერ ადამიანმა, როგორც მეუფემ, სახელები ძისცა ცხოველებს, რომლებიც ღმერთმა მას დაუქვემდებარა, რამეთუ შეიქმნა ხატად და მსგავსად ღმრთისა, შემოსილი გონიერებით, აზრით და თავისუფალი ნებით, და ამის გამო ბუნებრივია, მიიღო ხელმწიფება ამქვეყნიურ არსებებზე და სხვა დანარჩენზეც ამქვეყნად ყველასთვის საერთო შემოქმედისა და მეუფისაგან[85].

რადგან ყოველთა წინათმცნობელმა ღმერთმა უწყოდა, რომ ადამიანი შესცოდავდა და ხრწნილებას ეწეოდა, ამიტომ თვით ამ ადამიანისაგან მ ა ნ მისთვის ცოლიც შეჰქმნა — დედაკაცი, შემწე და მსგავსი მამაკაცისა. მამაკაცის შემწე ცოლი იმაში უნდა ყოფილიყო, რომ ადამიანის მოდგმა შეცოდების შემდგომ შობის გზით მემკვიდრეობითად გაგრძელებულიყო და შენარჩუნებული ყოფილიყო. აკი ვიცით, რომ თავდაპირველი გაჩენა ადამიანისა ქმნად იწოდება, და არა — შობად. რამეთუ ქმნა არის თავდაპირველი გაჩენა ადამიანისა ღმრთისაგან, შობა კი, მემკვიდრეობითი წარმოშობაა ერთი ადამიანისა სხვისაგან იმ დროიდან მოყოლებული, როცა ადამიანი დაისაჯა და სიკვდილს ეწია შეცოდებისათვის[86].

ღმერთმა ადამიანი სამოთხეში დაასახლა, რომელიც ერთდროულად სულისმიერიც იყო და გრძნობისმიერიც. მართლაც, ხორციელად ადამიანი გრძნობისმიერ სამოთხეში იმყოფებოდა, მიწაზე, სულიერად კი — ანგელოზებს ესაუბრებოდა, საღმრთო საქმეთ მოიმოქმედებდა და ამით საზრდოობდა. იგი შიშველი ვიდოდა, რადგან გულით უბრალო, უზაკელი იყო და უმანკოდ ცხოვრობდა ქმნილთა მეშვეობით და თავისი ფიქრებით შემოქმედთან ამაღლდებოდა, მ ი ს ი ჭვრეტით ნეტარებდა და მხიარულებდა.

ხოლო რადგანაც ღმერთმა ადამიანი თავისუფალი ნებით შემოსა, ამიტომ მცნებაც დაუდო — არ ეჭამა ხისაგან შემეც-

ნებისა („ხისაგან ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა“ — დაბად. 2, 17). ამ ხის შესახებ, შეძლებისდაგვარად, საკმაოდ ვთქვით ზემოთ, თავში სამოთხის შესახებ. ღმერთმა ეს მცნება დაუდო ადამიანს და აღუთქვა, რომ თუკი ის დაიმარხავდა სულიერ ღირსებას, ანუ თუკი გონიერება იმძლავრებდა მასში და იგი არ დაივიწყებდა თავის შემოქმედს, შეასრულებდა მ ი ს ნებას, მაშინ საუკუნო ნეტარებას ეზიარებოდა და სიკვდილზე აღმატებული დაუსრულებლად იცხოვრებდა. მაგრამ თუკი ის სულს დაუქვემდებარებდა სხეულს და სულიერი სიამეების ნაცვლად ხორციელ ტკბობას აღირჩევდა, რითაც უგულისხმო პირუტყვთ მიემსგავსებოდა და თავისი ღირსების დამკარგავი შემოქმედის ტკბილ უღელსაც გადაიგდებდა, რადგან უგულებელმყოფელი იქმნებოდა მ ი ს ი მცნებისა, მაშინ გახრწნას დაქვემდებარებული, სიკვდილს ეწეოდა და იძულებული გახდებოდა ოფლითა და შრომით მოეპოვებინა პური არსობისა. ამით უბედური შეიქმნებოდა და სალმობით იცხოვრებდა. მართლაც, ადამიანისთვის სასარგებლო არ იქნებოდა, თუკი ის გამოუცდელი, საცთურისაგან გამოუწვრთნელი მიიღებდა უხრწნელობას, რადგან სხვაგვარად იგი ამპარტავნებას დაემონებოდა და ეშმაკის მსგავს გმობას მიემთხვეოდა, ამ უკანასკნელზე ვიცით, რომ ნებაყოფლობითი დაცემის შემდგომ მოუნანიებელი დარჩა და უცვლელად დამკვიდრდა ბოროტებაში. ამის შესაბამისადვე ანგელოზებმაც, ნებაყოფლობით აღირჩიეს რა სათნოება, საღმრთო მადლის შემწეობით შეურყევლად დამკვიდრდნენ სიკეთეში.

ამიტომ აუცილებელი იყო, ადამიანი ჯერ საცთურს სწეოდა, რადგან გამოუცდელი და საცთურს მიუწევნელი მამაკაცი არასრულფასოვანია. საჭირო იყო, გამოცდის გზით, რაც მცნების დამარხვაში მდგომარეობდა, ადამიანს სრულყოფილებისთვის მიეღწია, და ამგვარად მიეღო უკვდავება, როგორც საზღაური სათნოებისა. და მართლაც, რაკი თავისი ბუნებით რაღაც საშუალი იყო ღმერთსა და ნივთიერებას (მატერიას) შორის, ადამიანი, თუკი ყოველგვარ ბუნებრივ მიდრეკილებას განიშორებდა ქმნილი ყოფისადმი და სიყვარულით შეუერთდებოდა ღმერთს, მაშინ მცნების დამარხვის გზით შეურყევლად დამკვიდრდებოდა სიკეთეში და მარად მასში ჰგი-

ებდა... მაგრამ როცა შეცოდების (მცნების დარღვევის) შედეგად ადამიანი უფრო ნივთიერებისაკენ მიიდრიკა, და როცა გონება განეშორა თავის მიზეზს, ე. ი. ღმერთს, მაშინ გაიხრწნა, უვნებო არსებისგან ვნებებს დაქვემდებარებულ არსებად შეიქმნა, უკვდავისაგან — მოკვდავად, შეიძინა საჭიროება ქორწინებისა და ხორციელი (წარმავალი) შობისა, სიცოცხლის წყურვილისა გამო დაემონა ხორციელ სიამეთ, როგორც რაღაც აუცილებელს სიცოცხლისათვის, და ვინც ეცდებოდა მოეკლო იგი ამგვარ სიამეთაგან, ესევითართ შეუპოვარი სიძულვილი შეაგება; ყოველივე ამის გამო ადამიანის სიყვარული ღმერთის სანაცვლოდ ნივთიერს (ამაქვეყნიურს) მიექცა, ხოლო თავისი რისხვა მან ნამდვილი მტრის ნაცვლად, ადამიანის ხსნის მოწინააღმდეგის ნაცვლად, თავისსავე მსგავს ადამიანებს შეაგება. ასე იძლია ადამიანი ეშმაკის შურით, რამეთუ შურით აღვსებული მოძულე სიკეთისა — ეშმაკი, — თვით საკუთარი თავის ამპარტავნებით ამაღლებისათვის ქვე დამხობილი, ვერ ითმენდა იმას, რომ ჩვენ (ადამიანებს) უზენაეს სიკეთეთათვის მიგვეღწია. ამიტომაც ამ მტყუვარმა აცთუნა საწყალობელი ადამი იმით, რომ იმედი შთაუნერგა, შენც ღმერთის მსგავსი შეიქნებიო, და ასე, აღიყვანა რა საკუთარი (ეშმაკისებრი) ამპარტავნების სიმაღლემდე, დასცა და ისეთსავე უფსკრულში შთაადგო დაცემისა, როგორშიც თვით არის შთავარდნილი[87].

შენიშვნები

მეორე წიგნისათვის

1. სიტყვით (აიონეს) „ეონები“ გნოსტიკოსები აღნიშნავდნენ ღმერთისაგან გამოსულ სხვადასხვა ძალთ. სწორედ, ამ მნიშვნელობით ესმოდათ ღმერთის შესახებ ნათქვამი „უწინარეს ყოველთა საუკუნეთა“ და „უკუნითი უკუნისამდე“. მათ საწინააღმდეგოდ, გარდა წმ. ირინეოს ლიონელისა, დაუწერია ნეტარ თეოდორიტესაც („მოკლე გადმოცემა საღმრთო დოგმატებისა“). — „აიონ“-aevum-saeculum — საუკუნე, სიცოცხლე (დროის ის მონაკვეთი, ადამიანის სიცოცხლეს რომ შეადგენს)... ასე შეიძლება ითარგმნოს ეს ბერძნული სიტყვა, რომელსაც ზოგიერთ ბერძენ ავტორთან (მაგ. ფილონი) მარადიულობის მნიშვნელობა აქვს „აიონ“ — ღმერთის საკუთარი სახელია, რომელიც მარადის არსებულია (აეი ონ). აქედან, დაუსრულებელი სიცოცხლე სრულყოფილი მნიშვნელობით არ არის „აიონ“ არამედ აღმონაცენია „აიონოს“ — ისა, რადგან თვით ღმერთია მარადის არსებული, მყოფი, და მან, თვით მარადიულობამ, ინება, რომ სულიერი არსებანი საუკუნონი (მარადიულნი) ყოფილიყვნენ...

2 „შვიდი საუკუნე...“ წმიდა მამათა უმრავლესობის აზრით, ეს ქვეყანა 6 ათასი წელი უნდა იყოს, მსგავსად იმისა, როგორც თვით ღმერთმა 6 დღის მანძილზე შეჰქმნა იგი; 89-ე ფსალმუნში (მუხლი 4) ვკითხულობთ, რომ „ათასი წელი წინაშე თვალთა შენთა, უფალო, ვითარცა გუშინდელი დღე...“ მსგავსი გადმოცემა ამა ქვეყნის ხანგრძლივობის შესახებ იუდეველებსაც აქვთ დაცული თალმუდში. წმიდა ბასილი დიდი (ჰომილია 2, „ექვსთა მათ დღეთათვის“) და წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი (44-ე სიტყვა) ამბობენ, რომ შექმნათა მეშვიდე დღე არის სახე ამა ქვეყნის საუკუნის აღსრულებისა. ლათინი მამები (სევერიოს სულკიციოსი, ისიდორე, და საერთოდ, რომაულ-კათოლიკური თთვენიც) ამა ქვეყნის არსებობის დროს 7 ასაკად ჰყოფდნენ. წმ. გერმანე კონსტანტინეპოლელი (XII ს.), წმიდა მამების იპოლიტე რომაელის, კირილე იერუსალიმელისა და იოანე ოქროპირის შეხედულებათა

საფუძველზე ცდილობს დაამტკიცოს (თავის „ლიტურგიის" გადმოცემაში"), რომ ანტიქრისტე ქვეყნის გაჩენიდან 6.500 წლის შემდეგ უნდა მოვიდეს...

3 წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი. 29-ე, 38-ე, 41-ე და 45-ე სიტყვები; Migne, s. gr., t. XXXVI, გვ. 77, 320 და შემდგ., რუს. თარგმ. მოსკოვის სასულიერო აკადემიისა, ნაწ. III, (1889), გვ. 44, 197.

4 „ათასწლოვანი ჟამი ორიგენესეული აღდგენისა"... რა თქმა უნდა, თვით ორიგენე აცამტვერებს ცელსის მიერ პლატონიკოსთაგან ნასესხებ სწავლებას იმის შესახებ, რომ საგნები და ესე ქვეყანა უწინდელი სახით უნდა აღდგეს; და ეს გაცამტვერება ორიგენეს იმ მოსაზრების გამო ხდება, რომ თუ მართლაც უნდა აღდგეს უწინდელი რიგი საუკუნეთა და საგნებისა, მაშინ აღარ დარჩება ადგილი თავისუფლებისათვის, და ადამიანური საქმეები უსათუო აუცილებლობას დაექვემდებარება. მაშასადამე, კვლავ ისიბრძნისმეტყველებს სოკრატე, მოსე კვლავ წაიყვანს თავის ერს პალესტინისაკენ და სხვა. ამგვარად გადმოსცემს თავის შეხედულებას ამ საკითხზე ორიგენე IV წიგნში თავისი შრომისა „ცელსის წინააღმდეგ". მაგრამ, საზოგადოდ მისი შეხედულება არასწორი იყო. მაგალითად, ორიგენე ფიქრობდა, რომ ესე ქვეყანა ბოლოს იმდენად განიწმიდება, რომ დემონები და უკეთური ადამიანები დაიბრუნებენ საღმრთო მადლს და სათნონი შეიქმნებიანო; და რომ ანგელოზთაგან ერთნი, თავიანთ შეცოდებათა გამო დემონებად იცვალვიან, სხვანი კი, განიდევნებიან ზეციდან იმისათვის, რომ ადამიანთა სხეულებში დამკვიდრდნენო... და მაინც, მომავალი მოვლენები ისეთივე არ იქნება, როგორიც მანამდე იყოო... — ეს მცდარი შეხედულება ჯერ კიდევ ორიგენემდე დაგმო წმ. იუსტინემ (apolog. 1), რომელიც ასწავლიდა, უკეთურნი მხოლოდ ათასი წლის განმავლობაში კი არ იტანჯებიან, არამედ სამარადისოდო. წმ. ბასილი დიდი (30-ე ჰომილია „ექვსთა მათ დღეთათვის") არ იწონებდა ორიგენეს ამ სწავლებას აღდგენის შესახებ. მოგვიანებით ათასწლოვანი აღდგენის წინააღმდეგ გამოვიდნენ წმიდა მაქსიმე აღმსარებელი და წმ. გერმანე კონსტანტინოპოლელი.

5. წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი. 38-ე და 45-ე სიტყვები;

წმ. დიონისე არეოპაგელი. „საღმრთოთა საზელთათვის"; „საეკლესიო იერარქიის შესახებ", 4, Migne, s. gr., t. III, coll. 177; რუს. თარგმ. მოსკოვის სასულიერო აკადემიისა (1889), გვ. 18.

6. წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი. 38-ე და 45-ე სიტყვები

7. ძველთაგან მრავალნი (იუდეველ ჟამთააღმწერელ ფლავიოსის შემდგომ) ანგელოზებს ისეთი სხეულის მქონედ მიიჩნევდნენ, რომ შესაძლებლად თვლიდნენ მათს შეერთებას „კაცთა ასულებთან" წარღვნამდე (იხ. დაბად. 6, 2), რისთვისაც ზოგიერთი მათგანი, თითქოსდა, დემონად იცვალა. ამ მცდარ შეხედულებას უარყოფენ წმ. იოანე ოქროპირი და ნეტარი თეოდორიტე (დაბადების განმარტებანი, თ, 6). იოანე თესალონიკელი წმ. მამების ბასილი დიდის, ათანასე ალექსანდრიელისა და მეთოდეს სწავლების საფუძველზე ამბობდა, რომ ანგელოზები სხეულის მქონენი არიან და მათი გამოსახვაც კი არის შესაძლებელიო, ამასთან მცდარად მიიჩნევდა წმ. ათანასეს იმ შრომის ავტორად, რომელსაც ეყრდნობოდა („Quast. ad Antiochum"); ასევე ამაოდ იშველიებს იგი ბასილი დიდსაც, რომელიც იოანე თესალონიკელის მიერ ციტირებულ ადგილს ამბობს, ანგელოზთა ბუნება „შეიძლება" იყოს ჰაეროვანი სული ანდა უნივთო ცეცხლიო... წმიდა იოანე დამასკელი გვასწავლის, რომ ანგელოზნი წმიდა გონებანი არიან, მხოლოდ გონებით მისაწვდომ ადგილას იმყოფებიან, გარეშემოუწერელნი არიან და სხვ. ამაში იგი წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველს ეყრდნობა, რომელიც ანგელოზებს წმიდა გონებითაც უწოდებს, უნივთო ცეცხლთაც და უხორცო არსებებსაც.

8. წმ. ნემეზიოსი. „ადამიანის ბუნებისათვის", 1; Migne, s. gr., t. XL, coll. 521; რუს. თარგმ, თ. ვლადიმირსკისა (პოჩაევი, 1904), გვ. 31.

9 „ანგელოზები უკვდავნი არიან არა ბუნებით, არამედ ღვთაებრივი მადლით", რადგან რასაც დასაწყისი აქვს, უსათუოდ გააჩნია დასასრულიც და თუ ასეთი რაიმე (რასაც დასაწყისი აქვს) უკვდავია, თავისი ბუნების გამო როდია ასეთი. ასე გვასწავლიან წმ. ირინეოს ლიონელი (lib. III. c. 65), წმიდა ეპიფანე (haer., 76), წმიდა კირილე იერუსალიმელი (Thes.

assert. 20) და ბევრი სხვა მამა ეკლესიისა. მათ მსგავსად მსჯელობს წმ. იოანე დამასკელი, როცა ლაპარაკობს ანგელოზთა, გონიერი სულისა და ცათა შესახებ. დიალოგში „ძანიქეველთა წინააღმდეგ" მოჰყავს მაგალითი ისეთი სხეულისა, რომელიც თავისთავად კი არ მოძრაობს, არამედ გარეგანი ძალით არის ამოძრავებული. ეს სხეული წყვეტს მოძრაობას და ჩერდება, თუკი ახალ ბიძგს არ მიიღებს გარედან. ასევე ანგელოზნიც, მიაღწევენ რა მათთვის დადგენილ ზღვარს არსებობისა, შემოქმედის ბრძანებით კვლავ იწყებენ თავის სასიცოცხლო მოძრაობას...

10. „ანგელოზები სიტყვის წარმოუთქმელად გადასცემენ ერთმანეთს აზრებს", — ანგელოზებს, როგორც გონიერ (სიტყვიერ „ლოგიკოის") არსებებს, რა თქმა უნდა, სიტყვიერობაც ახასიათებთ, მაგრამ მათი სიტყვა არ არის ჩვენი, ადამიანთა, სიტყვის მსგავსი, განსაზღვრული გარეგანი, მატერიალური პირობებით. ანგელოზნი, როგორც ვიცით, არიან უნივთონი (არამატერიალურნი), მარტივნი (არაშედგენილნი, განსხვავებით ადამიანისაგან. რომელიც სხეულისა და სულისაგან შედგება), უსხეულონი..., რის გამოც ისინი ერთმანეთს განმსჭვალავენ, იციან ერთურთის აზრები და მდუმარედ უფრო ცხადად მეტყველებენ, ვიდრე ჩვენ, როცა სიტყვებს წარმოვთქვამთ... მათი ადგილსამყოფელი სულიერია, ანუ მხოლოდ გონებით მისაწვდომი (ამაზე საუბარია I წიგნის XIII თავში).

11. წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი. 28-ე სიტყვა; Migne, t. XXXVI, გვ. 72; წმ. კირილე ალექსანდრიელი, საგანძური. 31; წმ. დიონისე არეოპაგელი. „ზეციური იერარქიის შესახებ", 3, Migne, III, გვ. 165-168, რუს. თარგმ., გვ. 15-17.

12. წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი. იქვე; წმ. დიონისე არეოპაგელი. იქვე, 9.

13. წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი. 38-ე სიტყვა; წმ. ბასილი დიდი. სულიწმიდის შესახებ, 16; Migne. XXXII, coll, 136-137, თარგმანი რუსულ ენაზე მოსკოვის სასულიერო აკადემიისა, ნაწ. III, 1891 წ., გვ. 235.

14. ანგელოზთა სხვადასხვა წოდების არსებობას აღიარებენ წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი (34-ე სიტყვა), რომელიც, მათი ბუნებისა და მდგომარეობის მიხედვით, სხვადასხვა

ანგელოზს განსხვავებული ხარისხის (ღირსების) ნათლის მქონედ მიიჩნევდა; წმ. კირილე იერუსალიმელი (Thes., assert. 31), რომელიც ამბობს, ღმერთმა ყოველ გონიერ ქმნილებას იმ ზომით მიჰმადლა ღვთაებრივი ნათელი, რა ზომითაც თითოეულის ბუნებას ძალუძდა მისი დატევნა, ანუ ანგელოზთ — ნაკლები, მთავარანგელოზთ — უფრო მეტი, ხოლო ამ ზეციურ არსებებზე აღმატებულ ძალთ — კიდეე უფრო მეტიო (შდრ. წმ. ეპიფანეს „მწვალებლობათათვის", 64). ანგელოზთა დასის ასეთ დაყოფას წოდებათა მიხედვით ეხვდებით წმიდა დიონისე არეოპაგელთანაც. მაშ, რამდენია ანგელოზთა წოდება თუ ხარისხი? — წმიდა დიონისე 9 წოდებას აღრაცხავს. წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი, გამოტოვებს რა ქერუბიმთა და სერაბიმთ, დაითვლის დანარჩენ შვიდ წოდებას. წმ. გრიგოლ ნოსელი (I სიტყვა ევნომიანელთა წინააღმდეგ) და წმ. იოანე ოქროპირი (I ეპისტოლე კოლოსელთა მიმართ) ამტკიცებდნენ, რომ საყდარნი და ქერუბიმნი — ერთი და იგივე ზეციური ძალაა, რადგანაც სამლმრთო წერილი ლაპარაკობს იმ ღმერთზე, რომელიც ქერუბიმთა მაღლად მეუფებს... წმიდა მართლმადიდებელი ეკლესია ასწავლის წმ. დიონისე არეოპაგელისა და წმ. იოანე დამასკელის შეხედულებათა შესაბამისად, ანუ აღრაცხავს 9 წოდებას ზეციური ძალებისას იმ რიგით ღირსებათა თუ წოდებათა, როგორიც ამ წმიდა მამებმა მოგვცეს. ზოგიერთი მამა ეკლესიისა (წმ. მეთოდე ნატარელი, წმ. გრიგოლ ნოსელი, წმ. იოანე ოქროპირი და სხვ.) ასწავლიდნენ, რომ ეშმაკი და მისი თანამონაწილენი დაეცნენ ანგელოზთა იმ დასიდან. რომელთაც მინდობილი ჰქონდათ უდაბნოესი ქვეყანა (გავიხსენოთ თუნდაც იობის წიგნი — თავი 2, I და II მუხლ.).

15. „როდის შეიქმნენ ანგელოზნი?" — წმ. ეპიფანე (Panariorum, წგ. II) ამბობს, რომ ანგელოზნი ღმერთმა პირველსავე დღეს შექმნა, როცა დაებადნენ ცა, ქვეყანა და ნათელი. ამასთან იგი ეყრდნობა იობის წიგნს (38, 7), სადაც თვით უფალი ამბობს: „ოდეს იქმნეს ვარსკვლავნი, მაქებდეს მე ხმითა დიდითა ანგელოზნი ჩემნი". გარდა ამისა, ამბობს წმ. ეპიფანე, ანგელოზნი ცათა და ქვეყნის უწინარეს რომ იყვნენ შექმნილნი, როგორც ზოგიერთნი ამტკიცებენ, მაშინ

საღრმრთო წერილიც არ გვიმოწმებდა, რომ „დასაბამად ქმნა ღმერთმა ცაჲ და ქვეყანაჲ“-ო (დაბად. 1, 1). წმიდა მამის აძ შეხედულებას (იხ. მისი „მწვალებლობათათვის“, 65) ეთანხმება ნეტარი თეოდორიტეც (იხ. მისი quaest. 3 in. Len.), ხოლო წმ. ბასილი დიდი (ჰომილია I „ექვსთა მათ დღეთათვის“) და წმ. იოანე დამასკელი უფრო სწორად მეორე შეხედულებას მიიჩნევენ, რომელსაც წმ. იოანე ოქროპირიც აღიარებს, და ამაში ყველა ისინი წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის ავტორიტეტს ეყრდნობიან. წმ. გენადი კონსტანტინეპოლელი ამბობს (caten. niss. in Genes.), რომ ყოველივე სულიერი და გონიერი დროის მხრივ, უფრო სწორად, წარმოშობის მხრივ, წინ უნდა უსწრებდეს ყოველივე გრძნობისმიერს, რადგან ბუნებით აღმატებულია მასზეო.

16. იმ საკითხის გარკვევაში, თუ ანგელოზთა რომელი დასიდან დაეცნენ ეშმაკი და დემონები წმ. იოანე დამასკელი ეყრდნობა წმიდა გრიგოლ ნოსელის შეხედულებას, რომლის მიხედვითაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეშმაკი და მისი თანამზრახველნი განეკუთვნებოდნენ სამყაროს უდაბლეს ნაწილზე დადგენილ ანგელოზებს. ასეთი იყო ძველ ფილოსოფოსთა ვარაუდი, მაგალითად, ათენაგორასი, მეთოდესი, რომელთაც წმ. იოანე ოქროპირიც ეთანხმება (IV ჰომილია წმ. პავლე მოციქულის ეპისტოლეზე ეფესელთა მიმართ), და ამასთან დასძენს, რომ ეშმაკს ღმერთის წინააღმდეგ აღდგომის შემდგომაც არ დაუკარგავს მთავრობა ყოველივე იმაზე, რაც არის ამა ცისქვეშეთში; წმ. პავლე მოციქულიც ხომ ეშმაკს ჰაერის მთავარს უწოდებს (ეფეს. 2. 2) და პირდაპირ ამბობს „არა არს ბრძოლაჲ ჩვენი სისხლთა მიმართ და ხორცთა, არამედ მთავრობათა მიმართ და ხელმწიფებათა, სოფლის მპყრობელთა მიმართ ბნელისა მის ამის საწუთროსაჲთა, სულთა მიმართ უკეთურებისათა, რომელნი არიან ცასა ქვეშე“ (ეფეს. 6, 12). ასე ფიქრობს ნეტარი თეოდორიტეც (იხ. მისი განმარტებანი შესაბამისი ადგილებისა და „საღმრთო დოგმატთა მოკლე გადმოცემა“). წმ. კირილე იერუსალიმელი ფიქრობს, რომ ეშმაკი მთავარანგელოზი იყო. წმ. ათანასე ალექსანდრიელი (რომელსაც ეყრდნობა წმ. კირილე) ამბობს, რომ ეშმაკი დაეცა ქერუბიმთა უმაღლესი წოდებიდან, და ამაში ის

წმ. ეზეკიელის წინასწარმეტყველებას ეყრდნობა, სადაც, თითქმის ყველა ზამის საერთო შეხედულებით, სწორედ ეშმაკის დაცემა იგულისხმება, როცა ტვიროსის მეფის შესახებაა ლაპარაკი (ეზეკ. 28, 2).

17. წმიდა ირინეოსი ამბობს, რომ ეშმაკი ღმერთს მას შემდეგ განეშორა, რაც შურით აღინთო მ ი ს ი ქმნილების — ადამიანის — მიმართ და ყოველმხრივ ეცადა (და ცდილობს კვლავ) ღმერთის მტრად ექცია (I. IV. c. 48). ზოგნი, კვალად, ფიქრობენ, — ეშმაკი იმიტომ გარდამოვარდა ზეცით, რომ ადამიანისათვის ჯეროვანი პატივის მიგება არ ისურვაო (Quaest. ad Antioch., q. 10); ამ გამონაგონის შემოღებად ბერძნებიც სახელდებიან და არაბებიც... წმ. იოანე დამასკელი, სხვა წმიდა მამათა თანახმად, ამბობს, რომ ეშმაკი ღმერთს აღუდგა განზრახვით — მ ი ს ი, მაღლის, მსგავსი გამხდარიყო; სწორედ ასე განმარტავენ ერთ ადგილს წმიდა ესაიას წინასწარმეტყველების წიგნიდან, სადაც ნათქვამია: „ვითარ განვარდა ცისაგან მთიები. განთიად აღმომავალი? შეიმუსრა ქვეყანასა ზედა განმავლენელი ყოველთა წარმართთა. ხოლო შენ სთქუ გულსა შინა შენსა: ზეცად მიმართ აღვიდე, ზედაჲთ ვარსკვლავთა ცისათა დავდგა საყდარი ჩემი, დავჯდე მთასა ზედა მაღალსა, მთათა ზედა მაღალთა ჩრდილოთ, აღვიდე ზედა ღრუბელთა და ვიყო მსგავს მ ა ღ ლ ი ს ა“ (ესაია. 14, 12-14). წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი ამბობს, რომ ეშმაკი იმედოვნებდა დიდი ღმერთის მსგავსი ხელმწიფება მიეღო, მაგრამ სანაცვლოდ მისი ხვედრი უკუნი წყვდიადი შეიქმნაო (Carm. de substantia). წმ. იოანე დამასკელი თავის სხვა ნაშრომშიც („დიალოგი მანიქეველთა წინააღმდეგ“) ამბობს, რომ ეშმაკი თავისი ნებით შეიცვალა და ნათლის ანგელოზიდან წყვდიადის ანგელოზად იქცა, რადგან ამპარტავნებამ შეაპყრო და ისურვა ღმერთის მსგავსი გამხდარიყო.

18. წმ. დიონისე არეოპაგელი. „საღმრთოთა სახელთათვის“, 4; რასაც წმ იოანე დამასკელი დემონთა ბუნების შესახებ ამბობს, ყოველივე ეს მანიქეველთა შეხედულებას უკუაგდებს, რომელნიც ამტკიცებდნენ, — ეშმაკი მატერიის უბოროტესი გენიაა, იგი უზენაესი ბოროტებაა. ამქვეყნად ყველა სიბოროტის მიზეზი, თავად კი, დამოუკიდებელი და მარა-

დიული წყვდიადიაო; მანიქეველთა ცრუ-შეხედულების თა-
თანახმად, ეშმაკმა თავისი თავისაგან წარმოშვა ურიცხვი დე-
მონები და მსგავსი თვისებებიც შესძინა, რათა ამით ღმერთი,
ანუ უზენაესი სიკეთე მოეწყლაო... მანიქეველთა ბოროტ შეც-
თომილებას შესანიშნავად უკუაგდებს წმ. დიონისე არეოპა-
გელი, რომლისგანაც ისესხა წმ. იოანე დამასკელმა ყოველივე
ეს. უფრო დაწვრილებით დემონთა შესახებ იგი საუბრობს
თავის „დიალოგში მანიქველთა წინააღმდეგ". დემონები ბო-
როტნი შეიქნენ, თუმცა „მათი ბუნება (თავდაპირველად) ისე-
თივე იყო, როგორიც ანგელოზებს აქვთ", — ამ შეხედულებას
ადგას ეკლესიის ყველა უგამორჩეულესი მოძღვარი. მაგრამ
იუსტინე, ათენაგორა და სხვები, რომლებიც პლატონის ფი-
ლოსოფიის გავლენის ქვეშ მოექცნენ, დემონებს შემდეგნაი-
რად განსაზღვრავდნენ: დემონები ანგელოზნი კი არ იყვნენ
მხოლოდ, კაცთა ასულებს რომ ერთავდნენ ცოლად წარღვნამ-
დე, არამედ მათგან შობილი გმირების სულებიც, ამასთან,
ერთნიცა და მეორენიც შემოსილი იყვნენ ბილწი ჰაეროვანი
სხეულებით და მიდრეკილნი იყვნენ ყოველნაირი გრძნობის-
მიერი სიამის მისაღებადო. წმ. იოანე ოქროპირმა თავისი ზო-
გიერთი სიტყვა იმათ წინააღმდეგ მიმართა, ვინც (ტერტული-
ანეს მსგავსად), წარმართი ფილოსოფოსების შეხედულებათა
გავლენით ამტკიცებდა, სასტიკი სიკვდილით დაღუპულთა
სულები დემონებში მკვიდრდებიანო. ზოგიერთი მამა გვასწავ-
ლის, დემონები ტკბობას განიცდიან მათდა მსხვერპლად მი-
ტანილთა სისხლის ანაორთქლით და საზრდოობენ კიდეც ამი-
თო; გარდა ამისა, ისინი, რა თქმა უნდა ადამიანთა არაწმიდა
მიდრეკილებებითაც ტკბებიანო. ასე ასწავლიან წმ. გრიგოლ
ღვთისმეტყველი (მე-19 და 38-ე სიტყვები), წმ. იოანე ოქრო-
პირი (მე-2 სიტყვა), წმ. ბასილი დიდი (თ. I ესაიას წინასწარ-
მეტყველების განმარტებანი), რომელიც ამტკიცებდა, დემო-
ნები უსხეულონი არიანო (იქვე, თავი III).

19. წმ. ნემეზიოსი „ადამიანის ბუნებისათვის", 1.

20. წმ. ბასილი დიდი. „ექვსთა მათ დღეთათვის", მე-2 ჰომილია; Migne, s. gr., t. XXIX, coll. 21, 25, 28; რუს. თარგმ. მოსკოვის სასულიერო აკადემიისა, ნაწ. I (1891), გვ. 15, 18-20. წმ. იოანე დამასკელი ამბობს, რომ არსებობს მხო-

ლოდ სამი ცა: ჰაეროვანი სივრცე, მყარი („სამყარო" — დაბად. 1. 8) და უვარსკვლავო სფერო. ეკლესიის მამები ფრთხილობდნენ, რომ ცათა რიცხვის განმრავლებით გნოსტიკოსთა წისქვილზე არ დაესხათ წყალი, რომელთაგან ზოგიერთი შეიდი ცის არსებობას ამტკიცებდა, ამდენივე ძალის მიერ რომ იყვნენ შექმნილნი; სხვანი კი, უფრო მეტი ცის არსებობასაც ამბობდნენ, და ისეთნიც იყვნენ, 365 ცა არსებობსო, რომ ამბობდნენ. ამიტომ წმ. იოანე ოქროპირი (ჰომილია 4, „დაბადებაზე") აღიარებს მხოლოდ ერთ ცას; ნეტარი ავგუსტინე — ორს, რომელთაგან ერთი დასაბამად შექმნა ღმერთმა ქვეყანასთან ერთად, მეორე კი წყალთა განყოფის შემდგომ და მას „სამყარო" უწოდა. წმ. ბასილი დიდი (ჰომილია 3, „ექვსთა მათ დღეთათვის") ლაპარაკობს სამი ცის შესახებ, და ამასთან წმიდა პავლე მოციქულს ეყრდნობა, რომელიც „აღტაცებულ იქნა მესამედ ცადმდე"... პერიპათეტიკოსები ცას „მეხუთე სხეულად" მიიჩნევდნენ, რომელიც არ ექვემდებარება რღვევას და ისეთი რაღაცაა, რასაც არაფერი საერთო არა აქვს ჩვენთვის ცნობილ ოთხ სტიქიასთან ამა ქვეყნისა (მიწა, ჰაერი, წყალი, ცეცხლი). წმ. ნემეზიოსი („ადამიანის ბუნებისათვის", 5) ამბობს, რომ არისტოტელეს შემოაქვს მეხუთე სხეული, ზეციური და წრიულად მოძრავი, რადგანაც არ სურს, ცა ოთხი ელემენტისაგან შემდგარი რამ იყოსო; წრიულად მოძრავს კი იმიტომ უწოდებს, რომ ცა დედამიწის ახლოს ბრუნავსო; პლატონი ცას მიწისა და ცეცხლისაგან შემდგარად მიიჩნევსო. ნემეზიოსისავე სიტყვით, არისტოტელემ იმის გამო შემოიღო „მეხუთე სხეული", რომ ელემენტებს (სტიქიებს) უნარი აქვთ იმოძრაონ ზევით ან ქვევით, წინ ან უკან, ცა და ვარსკვლავები კი, წრიულად მოძრაობენ. არისტოტელეს ასეთი შეხედულება წმიდა მამებისათვის იმდენად არ იყო მისაღები, რამდენადაც იგი ამ მეხუთე ელემენტს თითქოსდა ღმერთის სხეულად მიიჩნევდა.

21. აქ წმ. იოანე დამასკელი გადმოსცემს სამყაროს აგებულების იმ სისტემას, რომელიც არისტოტელესა და პტოლომეოსს ეკუთვნის, ამასთან იგი ითვალისწინებს მათ მოწინააღმდეგეთა შეხედულებებსაც. ბერძენ მამათაგან ამ მოწინააღმდეგეთა შორის პირველი ადგილი ეკუთვნის წმ. იოანე

ოქროპირს, რომლის მტკიცებითაც სამყარო ნახევარწრიული ოგებულებისაა, და ამიტომ, ზეცა წრიულად არ მოძრაობს, დედამიწას თაღის სახედ ევლება, დედამიწა კი, სამყაროს თაღის უდაბლეს ადგილას მდებარეობს, როგორც რამ ნალექია. ასეთ დასკვნას იგი წმ. პავლე მოციქულზე დაყრდნობით აკეთებს, რომელიც ღმერთის მიერ „აშენებულ" ჰეშმარიტების კარავზე ლაპარაკობს (ებრ. 8, 2). სად არიანო, — ამბობს წმ. იოანე ოქროპირი. — ისინი, ვინც ამტკიცებდა — ცა ბრუნავსო? სადა არიან ისინი, რომელნიც ამბობენ — ცა სფეროსებრიაო? — ერთიცა და მეორე შეხედულებაც აქ უარყოფილია წმიდა პავლე მოციქულის მიერ... ამავე აზრს, თითქმის იგივე სიტყვებით იმეორებს პროკოფი ღაზელიც („შექმნათათვის", თ. I), რომელიც ესაია წინასწარმეტყველისა და დავით მეფის სიტყვებს ეყრდნობა (ესაია 40, 22: „...რომელმან დაადგინა ვითარცა კამარა ცაჲ და გარდაართხნა ვითარცა კარავი დაშკვიდრებად"; ფს. 18, 7: „ცის კიდითგან არს გამოსვლაჲ მისი და მიწევნაჲ მისი ვიდრე კიდედ ცისადმდე"; იგივეა ნათქვამი მათეს სახარებაშიც — 24, 31: „...და შეკრიბნეს რჩეულნი მისნი ოთხთაგან ქართა კიდითგან ცათაჲთ ვიდრე კრდემდე მათა"). მისი დასკვნა ასეთია: თუკი ცა მართლაც სფეროსებრია, მაშინ არ უნდა ჰქონდეს კიდეებიო. წმ. ბასილი დიდი (III ჰომილია „ექვსთა მათ დღეთათვის") ფიქრობს, რომ დედამიწა და ცა — მრგვალია და ცა წრიული მოძრაობით ბრუნავს. ამასვე აღიარებს წმ. მაქსიმე აღმსარებელიც. იგივე შეხედულებას ადგას წმიდა იოანე დამასკელი.

22. წმ. ბასილი დიდი. „ექვსთა მათ დღეთათვის", III ჰომილია, Migne, 57; რუს. თარგმ., გვ. 39-40.

23. არისტოტელე ასწავლიდა, რომ ცა დაურღვეველია სწორედ მისთვის დამახასიათებელ თვისებათა გამო. წმიდა ირინეოს ლიონელი (წგ. 4, 6) და სხვა მამები საწინააღმდეგოს ამტკიცებენ: ისინი საღმრთო წერილის მოწმობას ეყრდნობიან და ამბობენ, რომ ცა, ისევე როგორც ქვეყანა, უნდა დაირღვეს (წარხდეს); ამაზე საუბარია წმიდა პავლე მოციქულის ეპისტოლეში ებრაელთა მიმართ. (1, 10.12), სადაც ვკითხულობთ: „და შენ, დასაბამსა, უფალო, ქვეყანაჲ დააფუძნე, და ქმნულნი ხელთა შენთანი — ცანი. არიან; ოგინი წარხდენ, ხო-

ლო შენ ეგო უკუნისამდე; და ყოველნი ვითარცა სამოსელნი დაძველდენ, და ვითარცა შესამოსელნი სცვალნე იგინი, და იცვალნენ". ამასვე ამბობენ წმ. ბასილი დიდი და წმ. იოანე დამასკელი, — რასაც დროში დასაბამი მიუღია, იმას უსათუოდ დასასრულიც უნდა ჰქონდესო. ამის გამო წმ. ბასილი დიდი საცინლად იგდებს ე. წ. მათემატიკოსებს, რომელნიც ამ მხრივ საოცარ აზრებს გამოთქვამდნენ. წმ. იოანე ოქროპირი აღიარებს მხოლოდ ცვალებას (და არა — „წარხდომას") ცისა და ქვეყანისა, რომელნიც უნდა განახლდნენ.

24. წარმართთა დიდი შეცდომა ის იყო, რომ ცასა და ვარსკვლავებს გასულიერებულ (ანუ გონიერ) არსებებად მიიჩნევდნენ, და ღმერთებადაც სწორედ მათ აღიარებდნენ. ასეთივე შეხედულებისა არიან არა მხოლოდ მანიქეველნი, არამედ ორიგენეც... წმ. იოანე დამასკელი ამ შეხედულების წინააღმდეგია.

25. წმ. ბასილი დიდი. „ექვსთა მათ დღეთათვის", ჰომილია I და III.

26. წმ. ბასილი დიდი. იქვეა, ჰომილია II.

27. იქვეა.

28. იქვე, ჰომილია VI.

29. წმ. ნემეზიოსი (35 და 36) ბრწყინვალედ აბათილებს წარმართთა შეხედულებას მასზედ, რომ ადამიანთა საქმენი აუცილებელ ბედისწერას ექვემდებარება. თავის მსჯელობაში წმ. იოანე დამასკელიც მას ეყრდნობა. საოცარია, რომ ასტროლოგიას ქრისტიანულ სამყაროში ჰქონდა გასავალი და ზოგჯერ ქრისტიანი მორწმუნენი შესაძლებლად მიიჩნევდნენ ამოეცნოთ მომავალი მოვლენები ვარსკვლავებზე დაკვირვებით, რომლებიც, თითქოსდა, წინდაწინ განსაზღვრავდნენ ადამიანის ცხოვრებას. ორიგენე („სათნოთმოყვარეობა", 22) ამტკიცებდა, რომ ვარსკვლავებს არ ძალუძთ იყვნენ ადამიანთა საქმეთა თუ სხვა რაიმეს წარმომქმნელი მიზეზი, ანუ ყველაფერ იმისა, რაც ადამიანის თავისუფალ ნებაზეა დამოკიდებული; მაგრამ, ამასთანავე, იგი ეთანხმება იმ შეხედულებას, რომლის მიხედვითაც ყველაფერი, რაც ჩვენს თავს და ჩვენს გარშემო ხდება, ვარსკვლავებით არის მინიშნებული; „თორ-

მეტი მამამთავრის ანდერძში" მას (ორიგენეს) წაუკითხავს, ეითომცდა, იაკობის მიერ იოსებისათვის თქმული სიტყვები, რომელთა შინაარსი შემდეგია: ცის „ფაფახე" (ძელზე) შესაძლებელია ყველაფრის წაკითხვა, რაც მომავალში შეგვემთხვევაო. ამის საფუძველზე ორიგენე ამტკიცებდა, რომ ცა გრაგნილის ნსგავსია, რომელზეც ღმერთმა ყოველივე ის აღბეჭდა, რაც უნდა აღსრულდეს. ამის დასაბუთება მას კვლავაც საღმრთო წერილის მოხმობით სურს, რომელშიც ნათქვამია: ცა წარიგრაგნება როგორც წიგნი (ჰოს ბიბლიონ). პროკოფი ღაზელი გადაჭრით უარყოფს ამგვარ შეხედულებას, როგორც ყოველად უსაფუძვლოს და ქრისტიანი მორწმუნისათვის შეუფერებელს. თუმცა ორიგენე იმასაც დასძენს, ადამიანს თავისით არ ძალუძს ზეციურ ნიშთა გაგება, თუკი ზეცისაკენ მკვიდრნი, ანუ ანგელოზნი არ დაეხმარებიან. ადამიანის ბედზე ვარსკვლავთა გავლენის უმართებულობას უფრო ნათლად ამტკიცებენ წმ. ბასილი დიდი („ექვსთა მათ დღეთათვის", ჰომილია 7), ნეტარი ავგუსტინე („საღმრთო ქალაქისათვის", წვ. 1) და სხვანი. ასტროლოგთა წინააღმდეგ მათ ერთნაირი მაგალითი მოჰყავთ — ტყუპების ცხოვრება, რომელნიც თუმცა ერთად ჩასახულან და თითქმის ერთდროულად დაბადებულან, მაინც სხვადასხვა ხასიათი აქვთ და სხვადასხვა ცხოვრებითაც ცხოვრობენ ხოლმე. ამასთანავე წმ. ბასილი დიდი ეთანხმება იმას, რომ წელიწადის დრონი, ჰაერთა ცვალებადობანი და სხვა ამგვარი მოვლენები მზისა და ვარსკვლავების ზემოქმედებით წარმოიშვებიან, ანდა მნათობთაგან ზრიან მინიშნებულნი.

30. წმ. ბასილი დიდი. „ექვსთა მათ დღეთათვის", ჰომილია 6; წმ. ნემეზიოსი. „ადამიანის ბუნებისათვის", 36-37.

31. წმ. ნემეზიოსი. იქვე, 5.

32. იქვე.

33. წმ. ბასილი დიდი უარყოფდა ორიგენის იმ შეხედულებას, რომ ცათა მაღლად მდებარე წყალნი ანგელოზთა ძალნია, ხოლო ცის ქვემოთ მდებარე წყალნი — წყვდიადის მთავრის, ეშმაკის ძალნია. ზეწა წყალთა ქვეშ წმ. ბასილი დიდი გულისხმობს ზღვათა და მდინარეთაგან აორთქლებულ წყალთ, რომელნიც კვლავ დედამიწას უბრუნდება წვიმების სახით.

ასე მსჯელობს სევერიანე გავალელი და ბევრი სხვა მამაც, რომელთა შეხედულებას იზიარებს წმ. იოანე დამასკელი.

34. „ორი ზღვა, რომლებიც ეგვიპტეს ერტყმიან გარს"... — ერთი ხმელთაშუა ზღვაა, მეორე — მეწამული ზღვა.

35. „ფისონი — ინდოეთის განგია, გეონი — იგივე ნილოსია"... ასეთი მსჯელობა დასტურდება სეპტუაგინტას მონაცემითაც (იხ. იერემ. 2, 18), სადაც ნაცვლად დედნის „სეღორას წყალი"-სა და „ნილოსის წყალი"-სა, წერია — „წყალი გიონისა". ევლათის მხარე (ქვეყანა), რომელსაც მორწყავს მდინარე ფისონი, არის არაბეთის ქვეყანა (შდრ. დაბად. 25, 18). ქუსი, ანუ ეთიოპია, მდინარე გიონი რომ რწყავდა, აზიის ქვეყანა იყო, სპარსეთის სრუტის მეზობლად მდებარე, და არა — აფრიკისა, რომლიდანაც ნილოსი მოედინება. საოცარია, რომ გიონის ქვეშ ნეტარ თეოდორიტეს რომელიღაც კერპის სახელწოდება ესმის („მდინარეთათვის", დაბადების მეორე თავის განმარტება).

36. წმ. ბასილი დიდი. „ექვსთა მათ დღეთათვის", ჰომილია 8.

37, წმ. იოანე დამასკელმა არ გაიზიარა წმ. ბასილი დიდის ვარაუდი, რომ გველი თავდაპირველად, სანამ ეშმაკი მისი მეშვეობით პირველ ადამიანებს აცთუნებდა, ფეხებით დადიოდა და მხოლოდ შემდგომ იწყო მიწაზე ცურვა, რადგან დაისაჯაო.

38. წმ. ბასილი დიდი. „სიტყვა სამოთხის შესახებ", Migne, s. rg., t. XXX, coll. 61-72.

39. წმ. გრიგოლ ნოსელი. „ადამიანის აგებულების შესახებ", 2, თარგმ. რუს. ენაზე მოსკოვის სასულიერო აკადემიისა, ნაწ. 1, (1861), გვ. 85; წმ. ანასტასი II ანტიოქიელი (VII წგ. In Hexaem) ამბობს, რომ ფილონს, წმ. პაპიოს იერაპოლელს, წმ. ირინეოს ლიონელს, წმ. იუსტინეს — მოწამესა და ფილოსოფოსს, პანტენიოს ალექსანდრიელს, წმ. კლიმენტი ალექსანდრიელსა და სხვებს ყოველივე ის, რაც საღმრთო წერილში სამოთხის შესახებ წერია, სულიერად ესმოდათ, როგორც ქრისტეს ეკლესიის შესახებ (სიმბოლურად, იგავურად) ნათქვამი, ასევე ესმოდათ ეს ადგილები ორ წმიდა გრიგოლს — ნაზიანზელსა და ნოსელს. მათი აზრით, სხვადასხვა

მწვალებლობანი სწორედ იმის გამო აღმოცენდა, რომ ბევრს დაბადებაში სამოთხისა და ღმერთის შესახებ ნათქვამი სხეულებრივად ესმოდა; ისინი ღმერთს წარმოიდგენდნენ როგორც სხეულის მქონეს, ისეთივე ნივთიერისა, როგორიც ადამიანს აქვს შემოსილი; კვალად სხვათა მწვალებლობა იქიდან აღმოცენდა, რომ ისინი მადლიერებით იყვნენ აღვსილნი გველის მიმართ, რადგან მისი რჩევის წყალობით დედაკაცისგან წარმოიშვა მთელი კაცობრიობა, — ესენი ამის გამო ოფიტებად იწოდებიან (იხ. 37-ე მწვალებლობის აღწერა წმ. იოანე დამასკელის შრომისა „მწვალებელთათვის", სადაც ნათქვამია, რომ ამ უკეთური სწავლების მიმდევარნი სწორედ გველს მიიჩნევენ ქრისტედ); მანიქეველნი, ვითომცდა ადამისა და ევას მიბაძვით, თავიანთ საკრებულოებში ხშირად შიშვლები იკრიბებოდნენ, მამაკაცები და დედაკაცები ერთად. შემდეგ წმ. ანასტასი, გულისხმობს რა წმ. იეზეკიელის წინასწარმეტყველებას, სადაც საუბარია ეშმაკის შესახებ ტვიროსის მთავრის (მეფის) სახით, გვაუწყებს, რომ სწორედ ამ ადგილის ზეგავლენით ძველი განმმარტებელნი საღმრთო წერილისა სიმბოლურად (ალეგორიულად) ხსნიდნენ „დაბადების" მონათხრობს სამოთხის შესახებ. წმიდა იეზეკიელთან სამოთხეს „ღმრთისა" ჰქვია, წმიდა მოსესთან კი, უბრალოდ „სამოთხე". შემდეგ წმ. ანასტასი ჰაიცხავს ორიგენეს, რომელიც საეკლესიო კრებამაც დაგმო იმისათვის, რომ მას ღმერთის ქმნილება, ექვსი დღის აღმონაცენი — გრძნობით აღქმადი ცა, ქვეყანა, წყალი, მცენარეები... პირდაპირი მნიშვნელობით კი არ ესმოდა, არაძალ ალეგორიულად; ამით შეიძლებოდა ისეთი შეხედულება შობილიყო, თითქოს ღმერთი არ იყო შემოქმედი ამა ხილული სამყაროსი... ამიტომ წმიდა მამები პირდაპირი მნიშვნელობით განმარტავდნენ საღმრთო წერილის სიტყვებს შექმნათა გამო და უარყოფდნენ ალეგორიას.

40. წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი. 38-ე და 45-ე სიტყვები.

41. „ხე ცხოვრებისა" — საღმრთო წერილის პირდაპირი (სიტყვა-სიტყვითი) მნიშვნელობით გაგების მომხრენი ამბობენ, რომ ცხოვრების ხეს ჰქონდა ძალა უკვდავი სიცოცხლის მინიჭებისა, და იგი ადამიანს კეთილ საზღაურად უნდა მისცემოდა სიმდაბლისა და მორჩილებისათვის... წმ. ნემეზიოსი ამ-

ობს, რომ ადამიანი ღმერთს არც მოკვდავი შეუქმნია და არც უკვდავი, ასე, რომ თუკი ის გულმოდგინედ ეცდებოდა სულიერ სიკეთეში დარჩენილიყო, მაშინ უკვდავებას მოიპოვებდა, რასაც ცხოვრების ხისაგან მიიღებდა, რადგან ამ ხეს ღმერთმა მიანიჭა ძალა უკვდავი სიცოცხლის მინიჭებისა: ხოლო თუკი ადამიანი ბიწიერებას მიეცემოდა, რაც მოხდა კიდეც სინამდვილეში, მაშინ იგი სხეულებრივ ცვალებას დაექვემდებარებოდა და სიკვდილს ეწეოდა... იგივე უნდა ითქვას შემეცნების ხის შესახებაც, — ამბობს ნემეზიოსი. — ანუ ის, რომ მისგან ნაყოფის მიმღებს დიდად სასარგებლო რამ უნდა მოეპოვებინა საკუთარი თავისთვის, მაგრამ ასე არ მოხდა ადამისათვის, რადგან მან ეს ნაყოფი დადგენილ დროზე ადრე მიიღო. ამ შეხედულებას არ იწონებდა წმ. მეთოდე ორიგენეს წინააღმდეგ მიმართულ წიგნებში. წმ. იოანე ოქროპირი (hom. 16 in Len.), ნეტარი თეოდორიტე (qu. 27) და სხვა მამები გვასწავლიან, რომ შემეცნების ხეს ეს სახელი („ხე ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა" — დაბად. 2, 17) იმის გამო კი არ ეწოდა, რომ მას შეეძლო კეთილისა და ბოროტის განრჩევის უნარის მონიჭება, არამედ იმიტომ, რომ მისი ნაყოფის მიმღებისათვის საცნაური ხდებოდა, თუ რამდენადაა მოშორებული უმანკოების ნეტარი მდგომარეობა იმ ბუნების უბედური ყოფისაგან, რომელიც ცოდვაში ჩავარდნილა. წმ. გრიგოლ ნოსელი ალეგორიულად განმარტავდა საღმრთო წერილის ამ ადგილს და დაუჯერებლად მიაჩნდა, რომ ხის ნაყოფის მიღებისათვის ადამიანი სიკვდილს სწეოდა — ასე სასტიკად დასჯილიყო — მაშინ, როცა თვით უფალი ამბობს. ადამიანს არ შებილწავს საზრდო, „პირით შემავალი"-ო; გარდა ამისა, ყოველივე ხომ, რაც ღმერთმა შეჰქმნა — „კეთილ ფრიად"1.. წმიდა იოანე დამაჯკელი იმისათვის, რომ ერთმანეთს დაუახლოვოს წმ. მამათა განსხვავებული შეხედულებანი ამ საკითხის გამო, სამოთხესაც და მასში არსებულ ხეებსაც განმარტავს პირდაპირი მნიშვნელობითაც და ალეგორიულადაც.

42. წმ. ნემეზიოსი. „ადამიანის ბუნებისათვის, 1, Migne, გვ. 512, 516; რუს. თარგმ., 25, 26.

43. წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი. 38-ე და 45-ე სიტყვები.

44. იქვე.

45. „ღმერთმა ადამიანს გონიერი სული შთაბერა“ — წმ. იოანე ოქროპირი ამ შთაბერვას უწოდებს სიცოცხლისმიერ მოქმედებას, და სწორედ ასეთ მოქმედებაში მდგომარეობს კიდეც სულის არსი... ნეტარი თეოდორიტე ამბობს, რომ (ადამიანის) სული არ არის ღვთაებრივი არსის რაღაც ნაწილი, მაგრამ ამ შთაბერვით სულისა აღნიშნულ იქნა მისი ბუნება, იმიტომ, რომ სული გონიერი საშშვინველიაო... ადამიანს ღმერთი თავის ხატად და სახედ ჰქმნის. იმისთვის, რომ უკუაგდოს ანტროპომორფისტების შეცთომილება, წმ. იოანე ოქროპირი ამბობს: ხატი ღმრთისა არ ეხება ადამიანის არსებას; ეს ხატი ადამიანის არსებას შეძენილი აქვს მხოლოდ იმ მნიშვნელობით, რომ ადამიანი ღმერთმა ყველა ცოცხალი არსების მთავრად დაადგინა ამქვეყნად (ჰომილია 9 „დაბადებაზე“). წმ. ბასილი დიდი „ღვთის ხატსა და სახეს“ გონიერებაში ხედავდა, რომლითაც ამქვეყნად მხოლოდ ადამიანია დაჯილდოებული... წმ. იოანე დამასკელი თავის შრომაში „ორი ნების შესახებ“ წერს, რომ ანგელოზსაც და ადამიანსაც ღვთის ხატი აქვთ თავიანთი გონიერებისა გამო, ანუ შემეცნების უნარისა და თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობის გამო, აგრეთვე იმიტომ, რომ ღმერთიც და ადამიანიც სიტყვას ჰბადებენ და სულს (სუნთქვას) გამოსცემენ; და ბოლოს, იმიტომაც აქვთ ხატი ღვთისა, რომ ანგელოზებიც და ადამიანებიც მთავრად არიან დადგენილი მთელს ქმნილებაზე. მაგრამ ადამიანი ხატად და სახედ ღმერთისა შეიქმნა „ერთადერთი“ სახით, რამეთუ ადამისაგან, რომელიც არ იყო შობილი, აბელი იშვა და ევა შეიქმნა; და გარდა ამისა, მისი სული მთავრობს მის სხეულზე მსგავსად იმისა, როგორც ღმერთი მთავრობს მთელს ქმნილ სამყაროზე. სწორედ ამის გამო ადამიანი თავის არსებაში შეიცავს სრულიად საწინააღმდეგო ბუნებას, — სულიერ ბუნებასა და გრძნობისმიერ ბუნებას... წმ. ანასტასი II ანტიოქელი ამბობს, — ადამიანი იმიტომ იწოდება ხატად და მსგავსად ღმრთისა, რომ ს ი ტ ყ ვ ა, რ ო მ ელ ი ც არის ხატი და ძლიერება ღმერთისა, განკაცდაო (ადამიანი შეიქმნაო, — ჰომილია 7 „ექვსთა მათ დღეთათვის“)... საერთოდ, წმიდა მამათა აზრით, ხატი ღმრთისა ადამიანის გონიერებაში მდგომარეობს, მსგავსება კი იმაშია, რომ ღმერთის შეწევნითა და სა-

კუთარი ძალისხმევის მეშვეობით ადამიანი შემკულია სათნოებითა და ქველის საქმეებით. ასე, რომ შეცოდების შედეგად ხატი ღმრთისა რჩება ადამიანში, მსგავსება კი, განქარდება. მაშასადამე, სიტყვები „ხატება“ და „მსგავსება“ — არ ყოფილა სინონიმები. მართლაც, ბევრი წმიდა მამა უარყოფს, რომ ეს სიტყვები ერთსა და იმავე საგანს აღნიშნავენ (წმ. კლიმენტი ალექსანდრიელი, წმ. ბასილი დიდი, წმ. გრიგოლ ნოსელი და სხვანი). თუმცა წმ. კირილე ალექსანდრიელი არ იწონებს ასეთ განსხვავებას და თვლის, რომ ამ სიტყვებს ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვთ, მით უმეტეს, რომ კარგად არის ცნობილი ებრაელ მწერალთა ჩვევა — ორი სინონიმური სიტყვის ხშირი გამოყენება საღმრთო წერილის წიგნებში...

46. (ადამიანის) „სხეული და სული ერთდროულად შეიქმნა“, — ორიგენე მცდარად თვლიდა, რომ ადამიანის სული იმავე ბუნებისაა, რაც ანგელოზისა, და რომ იგი თავდაპირველად ზეცაში შექმნა ღმერთმა, და მხოლოდ ამის შემდეგ მოავლინა ქვეყნად სხეულში დასამკვიდრებლად... ეს შეცთომილება წმიდა მართლმადიდებელმა ეკლესიამ მრავალგზის დაგმო... ტერტულიანე, აპოლინარიუსი და „დასავლეთელთა“ დიდი ნაწილი თვლიან, რომ როგორც სხეულისაგან იშვება სხეული, ასევე სულსაც ძალუძს სულის შობა... ეს შეცთომილება დაგმობილია წმიდა მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ. კონსტანტინეპოლის V მსოფლიო საეკლესიო კრების (533 წ.) დადგენილება ასეთია: „ეკლესია, საღმრთო წერილის თანახმად, ამტკიცებს, რომ ადამიანის სული სხეულთან ერთად შეიქმნა, და არა ისე, თითქოს ერთი მეორეზე ადრე იყოს შექმნილი, როგორც ამას ორიგენეს ცრუ-სწავლება მიიჩნევს“ („დოგმატური ღვთისმეტყველების სახელმძღვანელო“, მ., 1888 წ., გვ. 99, რუს. ენაზე).

47. წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი. 38-ე და 45-ე სიტყვები.

48. წმ. ათანასე ალექსანდრიელი. „აპოლინარიუსის წინააღმდეგ“, წგ. 1; „უფლის განკაცებისათვის; რუს. თარგმანი მოსკოვის სასულიერო აკადემიისა, ნაწ III (1903), გვ. 315-340.

49. წმ. ნემეზიოსი შენიშნავს („ადამიანის ბუნებისათვის“,

1): პლოტინი და სხვა ფილოსოფოსები ასწავლიდნენ, რომ სული (ადამიანისა) სხვა რაშაა, გონება კი, სულ სხვა რამ, ასე, რომ ადამიანი შედგება სხეულისაგან, სულისაგან (ე. ი. მგრძნობელობისაგან) და გონებისაგან, ანუ სამი არსისაგანო. ამ ფილოსოფოსების შეხედულებათა საფუძველზე აპოლინარიუს ლაოდიკიელი ამტკიცებდა, რომ უფალ იესო ქრისტეს არ ჰქონდა ადამიანური გონება, რადგან მისი ადგილი უფლის არსებაში ს ი ტ ყ ვ ა მ (ლოგოსმა) დაიკავაო. წმიდა მამები უარყოფენ ასეთ შეხედულებას და ამბობენ, ადამიანი არ შეიძლება გონებას იყოს მოკლებულიო, რადგან მაშინ იგი არც იქნებოდა ადამიანი; ამიტომ ქრისტეც ადამიანური გონების გარეშე ვერ მიიჩნევა ჭეშმარიტ ადამიანად, ამის თქმა კი დიდი შეცთომილებააო. პატრიარქი ფოტი ადამიანში ორი სულის არსებობას აღიარებდა, რაც დაგმო კონსტანტინოპოლის საეკლესიო კრებამ 869 წელს (ამ კრებას რომაულ-კათოლიკური ეკლესია VIII მსოფლიო საეკლესიო კრებად მიიჩნევს) და ასე დაადგინა: ადამიანში ერთი სულია, რომლითაც იგი ცხოვრობს, გრძნობს და აზროვნებს. წმიდა გრიგოლ ნოსელი ამბობს, რომ მხოლოდ ადამიანის გონება შეიძლება იწოდოს სულად, ხოლო სხვა, დანარჩენი ძალნი არ შეიძლება სულად იწოდებოდნენ ამ სიტყვის საკუთრივი მნიშვნელობით. წმიდა მაქსიმე აღმსარებელი და წმ. იოანე დამასკელი ადამიანის გონებას მიიჩნევენ სულის ყველაზე წმიდა ნაწილად, რომელიც გარედან როდია მასში შემოსული (წინააღმდეგ არისტოტელეს სწავლებისა, რომლის მიხედვითაც გონება არ განეკუთვნება ადამიანის არსს). და ბოლოს, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ყოველივე, რასაც ქმნილი ბუნება აქვს, უნდა მივაკუთვნოთ ღმერთის მადლსა და ნიჭს; მადლით არიან უსხეულონი და უკვდავნი ანგელოზნი, დემონები და ადამიანთა სულნი. სხვაგვარად რომ იყოსო, ამტკიცებენ წმიდა მამები, მაშინ არც ანგელოზნი და არც სხვა სულიერი ქმნილებანი უკვდავნი არ იქნებოდნენ და სიკვდილი ეწეოდათ.

50. წმიდა მაქსიმე აღმსარებელი. „სულის შესახებ", Migne, s. gr. t. XCI.

51. წმ. ნემეზიოსი. „ადამიანის ბუნებისათვის", 1, Migne, გვ. 505-508, რუს. თარგმ, გვ. 21-22.

52. წმ. ნემეზიოსი. იქვე, 23, Migne, გვ. 693, რუს. თარგმ., გვ. 132.

53. სიამეთა ასეთი კლასიფიკაცია, რომელსაც წმიდა იოანე დამასკელი გვთავაზობს, გვხვდება წმ. იოანე ოქროპირთან (74-ე ჰომილია წმ. იოანეს სახარებაზე). მსგავსი დაყოფა გვხვდება ძველ ბერძნებთანაც, ციცერონის გადმოცემით, ეპიკურესთან. თვით ციცერონი კი ასეთ დაყოფას არ იზიარებდა.

66. წმ. მაქსიმე აღმსარებელი, „დიალოგი პიროსთან“,

54. წმ. ნემეზიოსი. „ადამიანის ბუნებისათვის“, 11, Migne — გვ. 688, რუს. თარგმ., გვ. 127.

55. წმ. ნემეზიოსი. იქვე, 20, Migne, გვ. 688-689, რუს. თარგმ., გვ. 128.

56. წმიდა ნემეზიოსი. „ადამიანის ბუნებისათვის“, 21, Migne, გვ. 692, რუს. თარგმ., გვ. 130-131.

57. წმ. ნემეზიოსი. იქვე, 6, Migne, გვ. 632-633, რუს. თარგმ., გვ. 90-92.

58. იქვე, 11, Migne, გვ. 657-660, რუს. თარგმ., გვ. 106-107.

59. იქვე, 8, 9, Migne, გვ. 652, 656; რუს. თარგმ., გვ. 104-105.

60. იქვე, 12, Migne, გვ. 660, რუს თარგმ., გვ. 107-108.

61. წმიდა გრიგოლ ნოსელი. „ადამიანის აგებულების შესახებ“, 12, 14-15.

62. წმ. ნემეზიოსი. „ადამიანის ბუნებისათვის“, 13, Migne, გვ. 660, 661, 684; რუს. თარგმ., გვ. 108-111.

63. წმ. ნემეზიოსი. იქვე, Minge, გვ 673, 676, რუს. თარგმ., გვ. 117-120.

64. წმიდა მაქსიმე აღმსარებელი. „1 წერილი მარინისადმი“, Migne, s. gr., t. XCI.

65. წმ. მაქსიმე აღმსარებელი, იქვე.

66. წმ. მაქსიმე აღმსარებელი, „დიალოგი პიროსთან“. Migne, s, gr., t. XCI და I წერილი მარინისადმი.

67. წმ. მაქსიმე აღმსარებელი, I წერილი მარინისადმი.

68. წმ. მაქსიმე აღმსარებელი, „დიალოგი პიროსთან“,

69. წმ. მაქსიმე აღმსარებელის აზრით, არ შეიძლება გაიგივება „თელემა“-სი და „თელეტონ“-ისა, რადგან განა შეიძ-

ლება ერთი და იგივე იყოს სურვილი და ისიც, რაც სურვილის საგანს შეადგენსო. მაგრამ წმიდა პავლე მოციქული გვეუბნება: „ესე არს ნებაჲ ღმერთისაჲ — სიწმიდე ეგე თქვენი...“ (I თესალონიკ. 4, 3). ამიტომ წმ. იოანე დამასკელს სრული საფუძველი ჰქონდა ემტკიცებინა, — I „თელემა“ (სურვილი) ზოგჯერ „ტო თელეტონ“-საც (სასურველი) აღნიშნავსო.

70. წმ. მაქსიმე აღმსარებელი. „დიალოგი პიროსთან“... „ხშირად ქმედებებად (ენერგიებად) ბუნებრივი ვნებანიც იწოდება“... — ასეთ ვნებებს, რა თქმა უნდა უფალი ჩვენი იესუ ქრისტეც იყო დაქვემდებარებული, როცა, მაგალითად, უდაბნოში 40 დღის მარხვის შემდეგ „შეეშია“, და ეს მოხდა იმიტომ, რომ თვით უფალმა ინება და ბუნება აიძულა მისთვის დამახასიათებელი რამ აღესრულებინა... წმ. გრიგოლ ნოსელი (ევნომიანელთა წინააღმდეგ“, წგ. V) განმარტავს, თუ რას შეიძლება ვნება (პათოს) ეწოდოს სიტყვის საკუთრივი მნიშვნელობით, და რას — არა. ჭეშმარიტი ვნება არ შეიძლება იყოს რაიმე, თუკი მას ცოდვისაკენ არ მივყავართ. საკუთრივი მნიშვნელობით არავინ არ მიიჩნევდა ვნებად ბუნების აუცილებელ მოვლენებს. საკუთრივი მნიშვნელობით ვნებას ჩვენ ვუწოდებთ მხოლოდ იმას, რაც იაზრება როგორც საწინააღმდეგო რამ უვნებობისა, რაც სათნოებას ახასიათებს. ამიტომ, ვნება არ იყო დამახასიათებელი ჩვენი უფლის იესუ ქრისტესთვის, რომელიც ყოველივეში გამოცდილი იყო, გარდა ცოდვისა. ვნება, როგორც სნეულება ნებისყოფისა, უცხო იყო ი მ ი ს თ ვ ი ს, ვისაც ცოდვა არ უქნია და ვის ბაგეთაც ზაკუნება არ დასცდენია; ხოლო თუკი ჩვენისა გამო უწოდებენ კიდეც ვნებას ისეთ ბუნებრივ თვისებებს, როგორიცაა შობა, საზრდოობა, ზრდა, ძილი და მისთანაწაი, მაშინ, რა თქმა უნდა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს უფლისთვისაც იყო დამახასიათებელი. „ცხოვრება, რომელსაც ჩვენ ნებაყოფლობით აღვირჩევთ, — ან გონიერი, ან თავისუფალი, არის კიდევ პირველი ქმედება (ენერგია) ბუნებისა“, — ამიტომაც წმ. ანასტასი ანტიოქიელი თავის წიგნში „მონოფიზიტთა წინააღმდეგ“ წერს, რომ სიცოცხლე არის პირველი ქმედება (ენერგია) ყოველი ცოცხალი არსებისა, ხოლო თუკი სიცოცხლე არ არის ქმედება, როგორც ამას, შესაძლოა, ზოგიერთნი ფიქრობდნენ, მაშინ, რა

თქმა უნდა, სიცოცხლეს ვნება უნდა ეწოდოს, რაც სრული უაზრობაა.

71. უფალ იესუ ქრისტეში ორი ქმედების დამცველნი იმაზე მიუთითებდნენ, რომ არ არსებობს არც ერთი არსი, რომლისთვისაც დამახასიათებელი არ არის ქმედება. წმ. გრიგოლ ნოსელი ამბობს, რომ ქმედება არის ყოველი არსისათვის დამახასიათებელი ბუნებრივი ძალა და მოძრაობა, და მას მხოლოდ არაარსი რამ არის მოკლებული. ქმედება არის ქმედითი მოძრაობა, მოქმედად კი ის იწოდება, რაც თავისით მოძრაობს, რადგან ქმედებას ჩვენ ვუწოდებთ ყოველი არსისათვის დამახასიათებელ ბუნებრივ ძალასა და მოძრაობას, რომელთა გარეშე ბუნება არც არსებობს და არც შეიცნობა... ერთის სიტყვით, იმ თვისებას, რომლითაც ყოველი ბუნებაა შემოსილი, ჩვენ ვუწოდებთ ბუნებრივ ქმედებას, და ამ ბუნებრივ ქმედებას მოკლებული შეიძლება იყოს მხოლოდ არაარსი, ანუ ის, რაც არ არსებობს. უეჭველია, რომ ერთი ბუნების მქონეს, იგივე ქმედება უნდა ჰქონდეს. აქედან გამომდინარე, წმიდა მამები, არიანელთა შეცთომილების საწინააღმდეგოდ ამტკიცებენ, წმიდა სამების ბუნება ერთია იმის გამო, რომ ერთია ქმედება მისი შემადგენელი წმიდა პირებისაო. აპოლინარიუსისა და ევტიხის მწვალებლობათა საწინააღმდეგოდ ეკლესიის მამები ამტკიცებენ, რომ ქრისტეს ორი ბუნება (ადამიანური და ღვთაებრივი) იმიტომ აქვს, რომ მისი ქმედებაც ორადი ხასიათისაა. კვალად, მონოთელიტთა ცრუსწავლების საწინააღმდეგოდ წმიდა მამები ამბობენ, იქიდან გამომდინარე, რომ უფალ იესუ ქრისტეს ორი ბუნება აქვს შემოსილი, უნდა ვილაპარაკოთ ამდენივე ქმედების შესახებაც **მ ა ს შ ი ო.**

72. წმ. ნემეზიოსი. „ადამიანის ბუნებისათვის", 29, Migne, გვ. 717-720, რუს. თარგმ., 146-147.

73. წმ. ნემეზიოსი. იქვე, 30 და 31, Migne, გვ. 720-728, რუსულ. თარგმ., 147-150.

74. წმ. ნემეზიოსი. იქვე, 32 გვ. 728-729, და 151-152.

75. წმ. ნემეზიოსი, იქვე, 39, Migne, გვ. 761-764, რუს. თარგმ., გვ. 172-174. ადამიანი თავისუფალია როგორც მბყრობელი საკუთარი თავისა და როგორც თავისუფალი

არჩევანის მქონე, რადგან მას შეუძლია ერთი რამ აირჩიოს თავისთვის, სხვა რამ კი, უარყოს; ხოლო ამ თავისუფალი არჩევანის ძლით იგი იმას ესწრაფვის, რაც მის ხელმწიფებას ექვემდებარება...

76. წმ. ნემეზიოსი. „ადამიანის ბუნებისათვის", 41, Migne, გვ. 773-776, რუს. თარგმ., გვ. 180-182.

77. ღმერთისაგან განშორებულ ძალთა შესახებ წმ. ნემეზიოსი, სხვათა შორის, შემდეგს ამტკიცებს: ნივთიერებას (მატერიალობას) მოკლებულ იმ ბუნებათაგან, ამა ქვეყნის ახლოს რომ მოძრაობენ, სხვებზე მეტად ცვალებას ექვემდებარებიან ის ბუნებანი, რომლებიც ადამიანების საქმეებში ერევიან და ხშირად წარმართავენ კიდეც მათ. წმიდა ანგელოზთა შესახებ იგი დასძენს: ის ბუნებანი კი, მარად შემოქმედი ღმერთისაკენ რომ მიისწრაფიან და მისი ჭვრეტით ნეტარებენ, ანუ ის ბუნებანი, მოშორებულნი რომ არიან საქმეთა წარმართვისაგან და ნივთიერისაგან, მთლიანად ღვთის ჭვრეტას რომ მისცემიან, ეს ბუნებანი უცვალებელნი არიანო... რა თქმა უნდა, თავისუფალი ნება ამ ბუნებათაც აქვთ, მაგრამ ამ ნებას ისინი გონიერად იყენებენ და ზემოთქმული მიზეზის გამო არასდროს არ იცვლებიანო... მაშასადამე, ცვალებას ის ბუნებანი არიან დაქვემდებარებულნი, რომლებიც ამაქვეყნიურ საგანთა სიყვარულის გამო განიშორებენ თავს შემოქმედი ღმერთისაგან.

78. წმ. ნემეზიოსი. „ადამიანის ბუნებისათვის", 42-43, Migne, გვ. 780-793, რუს. თარგმ., გვ. 186-193; საღმრთო განგებულების შესახებ წმ. ნემეზიოსი, რომელსაც ეყრდნობა წმ. იოანე დამასკელი, ამბობს შემდეგს: როცა ვამბობთ ხოლმე, ყოველივე ჯეროვნად განიგება და წარიმართება საღმრთო განგებულებითო, მაშინ, ცხადია, არ ვგულისხმობთ არც ადამიანთა ბოროტ საქმეებს და არც იმ საქმეთ, რომელთა ქმნა თუ არ ქმნა ჩვენს ხელთაა, ანუ ჩვენს თავისუფალ ნებაზეა დამოკიდებული; საღმრთო განგებულება შეეხება მხოლოდ იმ საქმეთ, რომელნიც ჩვენს ხელთ არაა, ანუ არ არის დამოკიდებული ჩვენს თავისუფალ ნებაზე და მთლიანად საღმრთო განგებულებით წარიმართება:

79. წმ. ნემეზიოსი და, შესაძლოა, წმ. გრიგოლ ნოსელიც,

გადმოგვცემენ პლატონიკოსთა შემდეგ დებულებას: საქმეთა აღსრულების სურვილი ჩვენს ხელთაა (ანუ ჩვენს თავისუფალ ნებაზეა დამოკიდებული), მათი ბოლო კი, (ანუ აღსრულება და შედეგი) დამოკიდებულია ბედისწერაზე. წმიდა მამები ასწორებენ ამ დებულებას იმით, რომ სიტყვა ბედისწერის ნაცვლად იყენებენ გამოთქმას — საღმრთო განგებულება.

80. თავის მეორე ეპისტოლეში კორინთელთა მიმართ (9. პავლე მოციქული ამბობს: „და გარდარეულებითა ამით გაძოცხადებათაჲთა რაჲთა არა აღვიმაღლო, მომეცა მე საწერტელი ხორცთაჲ — ანგელოზ სატან, რაჲთა დამქენჯნიდეს მე, რაჲთა არა აღვიმაღლო“ (12, 7), რის გამოც სამგზის ვევედრე ღმერთს, რათა განეშორებინა ჩემგან ეს სატანჯველიო. პასუხი კი უფლისაგან ასეთი მივიღეო: „ეგმა არს შენდა მადლი ჩემი, რამეთუ ძალი ჩემი უძლურებასა შინა სრულ იქმნების“ (12, 9); ამიტომაცო, დასძენს წმიდა მოციქული, „უმჯობესღა უკუე და უფროჲს ვიქადი უძლურებათა შინა ჩემთა, რაჲთა დაიმკვიდროს ჩემ თანა ძალმან ქრისტესმან“ (იქვე).

81. წმ. ნემეზიოსი. „ადამიანის ბუნებისათვის“, 37, Migne, გვ. 749-763, რუს. თარგმ., გვ. 166-168.

82. განსხვავება წინამსწრობელ და შემდგომ ნებას შორის ჯერ კიდევ წმ. იოანე ოქროპირმა აღნიშნა თავის I ჰომილიაში ეფესელთა მიმართ წმ. პავლე მოციქულის ეპისტოლეზე; წმ. მოციქული აქ ამბობს: ღმერთმა „წინაჲსწარ გვიჩინნა ჩვენ შვილებად იესუ ქრისტეს მიერ მისა მიმართ სათნოებისაებრ ნებისა მისისა“-ო (ეფეს. 1, 5). ამასთან დაკავშირებით წმ. იოანე ოქროპირი ამბობს, რომ „თელემა პროეგუმენონ“ (წინამსწრობელი ნება) არის რაღაც სასურველი და სასიკეთო; რამეთუ არის სხვა ნება, თითქოსდა (თელემა პროტონ), (პირველი ნება), რათა არ ილუპებოდნენ ისინი, რომელნიც სცოდავენ; ასევე არის მეორე ნებაც (თელემა დეუტერონ), რათა ისინი, რომელნიც ცოდვაში შთავარდნილან და მთლიანად ბოროტებას მისცემიან, ბოლოს დაიღუპნენო; რადგანაც აუცილებლობით იძულებული როდი სჯის ღმერთი, არამედ თ ა ვ ი ს ი ნებით; მე-18 ჰომილიაში ებრაელთა მიმართ ეპისტოლეზე წმ. იოანე ოქროპირი კვლავ საუბრობს ამ ორ ნებაზე ღმრთისა იმასთან დაკავშირებით, რომ ღმერთმა, ერთის მხრივ, ბრძანა,

მსხვერპლი შემომწირეთო, მეორეს მხრივ კი, არ ისურვა არც მსხვერპლი და არც შესაწირავი (იხ. ებრ. 5—6). წინამსწრებელი (ანუ პირველი) ნებით ღმერთს ადამიანისათვის სიკეთე სურდა, შემდგომი (მეორე) ნებით კი, სურს სასჯელი მიაგოს ცოდვილთ ჩადენილი ბოროტებისთვის, ხოლო მართალნი და კეთილნი ნეტარ ცხოვრებად მიიყვანოს...

83. წმ. მაქსიმე აღმსარებელი თეოდოსი კესარიელთან პოლემიკაში და თავის „ცხოვრებაში" (п. 3) ამბობს, რომ წინათმცნობელობა განეკუთვნება ყოველივე იმას, რაც ჩვენს ხელთაა, რაც ჩვენს თავისუფალ ნებაზეა დამოკიდებული, მაგალითად, ჩვენს სიტყვებსა და საქმეებს, ხოლო წინათგანსაზღვრულობა განეკუთვნება იმას, რაც ჩვენს ხელთ არ არის და გარედან ზემოქმედებით ხდება; მაგალითად, კეთილი საზღაური, სასჯელი, შეშთხვევა და სხვ. (ამის შესახებ იხ. აგრეთვე წმ. იოანე დამასკელის „დიალოგი მანიქეველთა წინააღმდეგ")... ბერძენმა მამებმა, შიშობდნენ რა, მომავლის საღმრთო ცოდნა ადამიანის თავისუფლებისათვის საზიანოდ არ მიიჩნიონო, (როგორც ეს გნოსტიკოსებსა და მანიქეველებს დაემართათ), მრავალგზის ნათელ-ჰყვეს, რომ ადამიანთა მოქმედებანი თავისუფალი ნებიდან იმიტომ კი არ გამომდინარეობენ, რომ ღმერთმა წინდაწინ იცის მათს შესახებ (მათი ბოლო), არამედ ღმერთმა იცის ისინი წინდაწინ იმის გამო, რომ მომავალში ჯერ არს მათი აღსრულება ადამიანის თავისუფალი ნების ძლით; და ასე იმიტომაა, რომ ღმერთი არ არის მიზეზი ბოროტი საქმეებისა. ნეტარი იერონიმე ეზეკიელის წინასწარმეტყველების განმარტებაში (თ. 24) ამბობს: რაიმე საქმე მომავალში იმიტომ კი არ აღსრულდება ხოლმე, რომ ღმერთმა წინასწარ უწყის იგი, არამედ სწორედ იმის გამო, რომ იგი უნდა აღსრულდეს მომავალში, ღმერთმა, როგორც მომავლის მცნობელმა, უწყის კიდეც ეს... პელაგიანები ასწავლიდნენ, მადლი ჯერეთ არააღსრულებულ და უკვე წინასწარცნობილ საქმეთა თუ ღვაწლთათვის ენიჭებაო ადამიანს. ლათინი მოძღვრები ფიქრობდნენ, რომ კეთილი საქმეები საღმრთო განგებულებას უნდა მიეწეროს, ბოროტი საქმეები — წინასწარმცნობელობას; ამ შეხედულებას ნეტარი ავგუსტინე თანაუგრძნობდა. აღმოსავლეთის ეკლესიაში კი მტკიცედ იყო დამ-

კვიდრებული ძველი შეხედულება. პელაგიოსის სწავლებას ღრმად არ გაუდგამს ფესვები, თუმცა მიმდევრები მასაც ჰყავდა... ნეტარი თეოდორიტე და წმ. იოანე დამასკელი, როცა ისინი მწვალებლებს ჩამოთვლიან, პელაგიანებს არ ახსენებენ. ტიმოთე კონსტანტინეპოლელი პელაგიანებს მანიქეველთა უკეთურებასაც მიაწერს... — ბერძენ მამებს ეს სიტყვა — „წინათგანსაზღვრულობა" — ესმოდათ როგორც შემდგომი (მეორე) ნება, რომლითაც ღმერთმა თითოეულს ცალ-ცალკე განუსაზღვრა ჯილდო თუ სასჯელი იმისდა მიხედვით, თუ ვინ რა დაიმსახურა — სიყვარული თუ სიძულვილი. წმ. იოანე ოქროპირმა თავის მე-19 ჰომილიაში რომაელთა მიმართ ეპისტოლეზე ასეთი კითხვა დასვა: რატომ იყო, რომ ღმერთმა ჯერ კიდევ მათ შობამდე გამოარჩია იაკობი, შეიყვარა, და მოიძაგა ესავი? — და პასუხობს: იმიტომ, რომ მ ა ნ, ვ ი ს თ ვ ი ს ა ც განხმულნი არიან საიდუმლონი განგებულებისა, ცხადად უწყის, თუ ვინ მიაღწევს გვირგვინს და ვინ სასჯელს ეწევა... მ ა ნ ერთმა მხოლომ იცის ყოველი საქმის მართლიად დაგვირგვინება... და ადამიანის თავისუფალ ნებას ი გ ი ამით არ ზღუდავსო...

84. შეცოდებამდე ადამიანს მიეცა სიკეთის თესლი და დაეკალა მისი მომუშაკება, ანუ კეთილი ნაყოფის გამოღება, როგორც ამბობს წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი. მაგრამ იგი ბუნების თანახმიერი მდგომარეობიდან ბუნების საწინააღმდეგო მდგომარეობაში შთავარდა, ანუ ცოდვით დაეცა, — ასე მსჯელობს წმ. იოანე დამასკელი. წმ. კლიმენტი ალექსანდრიელი (lib. VI Strom.) გნოსტიკოსთა შეხედულების საწინააღმდეგოდ ამბობს, რომ ბუნებით ჩვენ, რა თქმა, უნდა გვაქვს უნარი სათნოების შეძენისა, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ იგი (სათნოება) დაბადებითვე გვაქვს მომადლებულიო. პელაგიოსმა გამორიცხა ღმერთის მადლის აუცილებლობა ადამიანისათვის, რაკი ცდებოდა, როდესაც ფიქრობდა, რომ უკვე თვით ბუნებაში ადამიანისა შთადებულია არა მხოლოდ მარცვალი სიკეთისა, რომელიც მან უნდა მოიმუშაკოს, აღმოაცენოს და განამრავლოს, არამედ თვით სათნოებაც და ქველის-საქმეთა უნარიც; ასე, რომ თითქოს ადამიანს მხოლოდ თავის ძალთა მიერ შეუძლია სათნო შეიქმნას. ამის შესახებ მშვენიერად

ამბობს წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი: ღმერთმა ადამიანში დანერგა უნარი მშვენიერის შეწყნარებისა, რასაც შესძინა სათნოებაში ადამიანის სრულყოფისათვის აუცილებელი ძალა.

85. წმ. იოანე დამასკელი ამბობს ,რომ ღმერთი არის დასაბამი და მიზეზი ყოველი სიკეთისა, და მისი თანადგომისა და შეწევნის გარეშე ჩვენთვის შეუძლებელია მოსურვებაც და აღსრულებაც რაიმე კეთილი საქმისა. მაშასადამე, წმ. იოანე დამასკელი აღიარებს აუცილებლობას წინამსწრობელი მადლისა... წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი უფლის ცნობილი გამოთქმის („არა ყოველთა დაიტიონ სიტყვაჲ ესე, რამედ რომელთადა მოცემულ არსო") შესახებ ამბობს, რომ ჯეროვანი (კეთილის) მოსურვებისთვისაც ღმერთის შეწევნა არის საჭირო... წმ. იოანე ოქროპირი (45-ე ჰომილია იოანეს სახარებაზე) ამტკიცებს, რომ ქრისტეს რწმენა ადამიანური განსჯის (ფიქრის) ნაყოფი როდია, არამედ ზენაარი გამოცხადების გზით მიღებული მადლიაო. მაშასადამე, წინამსწრობელი მადლის აუცილებლობას წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველიც და წმ. იოანე ოქროპირიც აღიარებენ. და თუკი ოქროპირი ერთგან ამბობს, არც ღმერთი, არც სულიწმიდის მადლი არ დაასწრებენო ჩვენს თავისუფალ ნებას, მას აქ მხედველობაში წინამსწრობელი საღმრთო მადლი კი არ აქვს, არამედ ის მადლი, რომელიც შეეწევა ადამიანის რწმენას სრულყოფილების გვირგვინის მიღებაში, ისე, რომ ასეთი რწმენა ყოველთვის შეურყეველია. ჰომილიაში „საქმე მოციქულთაზე" (16, 14 — ერთ დედაკაცს ქალაქ თვიატირში „უფალმან განუღო გული მორჩილებად სიტყვათა პავლეს მიერ თქუმულთა"), წმ. იოანე ოქროპირი ამბობს, რომ „გულის გაღება" — ღმერთის საქმეა, ხოლო მორჩილება (ანუ მიღება-შეწყნარება) მოციქულის სიტყვებისა ადამიანის (ამ შემთხვევაში ლუდიას) საქმე. ასევე ჰომილიაში ებრაელთა მიმართ ეპისტოლეზე (12, 2 — „და ვხედავთ ჩვენი რწმენის წინამძღვარსა და აღმასრულებელსა იესოს...") იგი ამბობს, რომ აქ წმიდა მოციქული რწმენის დასაბამს ქრისტეს აკუთვნებს, რადგან თვით მან მოგვცა რწმენის დასაბამი, როგორც ეუბნებოდა კიდეც მოწაფეებს — თქვენ კი არ აღმირჩიეთ მე, არამედ მე ამოგირჩიეთო. მაშასადამე, როცა წმ. იოანე ოქროპირი ამბობს, ჩვენს თავისუფალ

ნებაზეა დამოკიდებული რწმენის მიღება, რასაც ღმერთის შეწევნა მოსდევსო. როცა ის აცხადებს, რწმენა თავისუფალი არჩევანის საქმეაო, მაშინ ნების მხოლოდ იმ ერთ მოძრაობაზე ლაპარაკობს, რომლითაც ჩვენ თანხმობას ვუცხადებთ ჩვენდა მოსულ ღმერთს. ასე, რომ ოქროპირი არ გამორიცხავს წინამსწრობელ საღმრთო მადლს, ურომლისოდაც არ ძალგვიძს ჭეშმარიტი მორწმუნენი ვიყოთ. ვინც ჯეროვნად შეიწყნარებს ამ (წინამსწრობელ) მადლს, იმას სხვა მადლიც მიენიჭება, რომლითაც თვით ნებელობა ადამიანისა ქმედითად აღიძვრის და განმტკიცდება სიკეთისადმი მისწრაფებაში. თუკი შენ ისურვებო, ამბობს წმ. იოანე ოქროპირი მე-8 ჰომილიაში ფილიპელთა მიმართ ეპისტოლეზე, მაშინ ღმერთი ისე იქმს, რომ შენ ნამდვილად გინდოდეს, და თვითვე მოგცემს გულმოდგინებასა და ქმედებას, რადგან მადლი არამხოლოდ იმას შეგვაგონებს, რომ ბილწ ვნებათაგან შევიკავოთ თავი, (რასაც უწინ სჯული იქმოდა), არამედ ძალასაც აკარგვინებს ჩვენში ამ ვნებებს და უზენაესი ცხოვრებისაკენ აღგვამაღლებსო (იხ. აგრეთვე ჰომილია 5 გალატელთა მიმართ ეპისტოლეზე).

86. ზოგიერთი მამა ამბობდა, — ღმერთმა იმისთვის შეუქმნა ადამს ცოლი, რომ, რაკი წინდაწინ უწყოდა მისი მომავალი შეცოდების შესახებ, რითაც ადამიანი ცოდვილი და მოკვდავი შეიქნა, ამიტომ არ ისურვა მისი მოდგმის შეწყვეტაო. გარდა წმ. იოანე დამასკელისა ასე ფიქრობდნენ წმ. ათანასე ალექსანდრიელი (50-ე ფსალმუნის განმარტება), წმ. იოანე ოქროპირი (ჰომილია 18 „დაბადებაზე"), წმ. გრიგოლ ნოსელი (De opif. hom. „ადამიანის აგებულებისათვის") და სხვები... მამაკაცისა და დედაკაცის ხორციელ შეერთებაზე ზოგიერთი ძველი მამა ფიქრობდა ავხორცობის გარეშე (რასაც ადამი და ევა მოკლებულნი იყვნენ ცოდვით დაცემამდე). იგი შეუძლებელი იყო სამოთხეშიო... ამასთანავე, წმ. გრიგოლ ნოსელიცა და წმ. იოანე დამასკელიც ამბობენ, რომ ღმერთს სხვაგვარადაც შეეძლო ადამიანთა მოდგმის გაგრძელება, თუკი ადამი ცოდვით არ დაეცემოდა და უმანკოებას შეინარჩუნებდაო. — აი შექმნა კიდეც ღმერთმა დიდი სიმრავლე ზეციურ ძალთა— ელოზებისა!..

87. აპოლინარიუსის ცრუ სწავლებით, ქრისტეს არ მიუ-

ღია ადამიანის გონიერი სული, და მაშასადამე, მ ა ს არც ეხსნია მთლიანად ადამიანი, რომელიც დაცემული და დასჯილი იყო პირველყოფილი ურჩებისათვისო. ეს შეხედულება, რა თქმა უნდა, ყოვლადშეცთომილია. ჯერ კიდევ წმ. ათანასე II ანტიოქიელი („ექვსთა მათ დღეთათვის", წგ. VI) წერდა, რომ ნათლობის მადლით ჩვენ ჭეშმარიტად და სრულად განვიწმიდებით პირველყოფილი ცოდვისაგან და სასჯელისაგან, რაც ადამისაგან გადმოგვეცა... მაშასადამე წმ. იოანე დამასკელი ზუსტად და მართლად გადმოგვცემს წმიდა მამებისა და მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლებას ამ საკითხზე.

თარგმნა ვასილ ბურკაძემ

სამგვარი ლოცვის შესახებ

არსებობს სამგვარი ყურადღება და ლოცვა, რომელთა მეოხებით სული ან ამაღლებულია და წარმატებული, ან დაძაბუნებული და წარწყმედილი. ვინც სამთავე სახეობას დროულად და საჭიროებისამებრ გამოიყენებს, გაიმარჯვებს, ვინც — უგუნურად და უდროოდ,—დამარცხდება. ყურადღებას ლოცვასთან ისეთი განუყოელი კავშირი მართებს, როგორც მიჯაჭვია და შედუღაბებია სული სხეულს. ყურადღება ბრძოლაში მეწინავესავით უნდა წარუძღვეს მტრების მოსაგერიებლად, პირველი უნდა ჩაებას ცოდვებთან ორთაბრძოლაში და წინ აღუდგეს სულში შეპარულ ბოროტ გულისთქმებს. ყურადღების შემდგომ ჯერ-არს ლოცვა, შემმუსვრელი და განმაქარვებელი მყისვე ყველა იმ ბილწ გულისთქმათა, რომელთაც თავდაპირველად ყურადღება აუმხედრდა. რამეთუ მარტოდმარტო ყურადღებას არ ძალუძს მათი აღხოცვა. ყურადღებისა და ლოცვის ამგვარ ერთობლივ ჭიდილზეა დამოკიდებული სულის ცხონებაცა და სიკვდილიც. თუკი ყურადღებას გავამახვილებთ და დავიცავთ ლოცვის აუმღვრეველობას, გავიმარჯვებთ, ხოლო თუ უგულვებელვყოფთ ან შევბღალავთ ამ სიწმიდეს, ავი გულისთქმებით შებილწულნი ვხდებით ღონემიხდილნი და ფარხმალდაყრილნი. მაშასადამე, რაკიღა არსებობს სამგვარი ყურადღება და ლოცვა, ჩვენი ვალია სათითაოდ დავახასიათოთ და განვმარტოთ მათი ნიშან-თვისებები, რათა გადარჩენის მსურველმა ამათგან უმჯობესი ამოირჩიოს.

ყურადღებისა და ლოცვის პირველი სახეობისათვის

პირველი სახეობისთვის ნიშანდობლივია შემდეგი: როდესაც ლოცვად მუხლმოყრილი ადამიანი ზეცად აღაპყრობს ხელებს, თვალებსა და გონებას, შთაგონებული ღვთაებრივი აზრებით წარმოისახავს ზეციურ მადლს, ანგელოსთა დასსა და წმინდანთა სავანეს, ერთი სიტყვით ყველაფერ იმას, რაც საღვ-

თო წერილიდან სმენია, გონებაში დაიუნჯებს და განსჯის, მაშინ ლოცვისას ზეცად თვალმიპყრობილს სულში ჩაეღვენთება ღვთისადმი ლტოლვა და სიყვარული, ქამითი-ქამად ცრემლებიც წამოსცვივიან და აქვითინდება. თუმცაღა ამგვარად მლოცველის გულს თავმომწონებაც მოეძალება ხოლმე მისდაუნებურად, აღმოაჩენს, რომ რაც მის თავს ხდება ღვთის წყალობაა, მისი მანუგეშებელი და უფალს შესთხოვს ამა საქმეთა ქმნად მარადქამს ღირსჰყოს. ეს უკვე ხიბლზე მიუთითებს, რამთუ ვითარ შეიძლება ლამაზი ეთქმოდეს იმ სილამაზეს, რომელსაც ის სახე არ აქვს, როგორიც ხამს. ამ ადამიანს, გარინდებულს უკიდურეს მდუმარებაში, ცოტაღა უკლია ჭკუიდან შეიშალოს. მაგრამ თუ მოხდება და ჭკუას არ დაკარგავს, იმას მაინც ვერ მოახერხებს, რაიმე სათნოება მოიხვეჭოს, ანდა ენებებისგან დაიხსნას თავი. ამ გზაზე შემდგართა შორის ისინიც მოხიბლულან, რომელთაც უხილავთ ნათელი ხორც�elი თვალებით, კეთილსურნელება შეუყნოსავთ, ხმები სმენიათ საკუთარი ყურებით და სხვაც ბევრი რამ ამისი მსგავსი. ნაწილი ეშმაკეული გამხდარა და გაგიჟებული დაეხეტება ერთი ადგილიდან მეორეში. ნაწილიც ხიბლში ჩავარდნილა, რაკიღა ვერ ამოუცვნია ნათლის ანგელოსად გარდასახული და ამგვარად გამოცხადებული ეშმაკი და ბოლომდე დარჩენილა მოტყუებული. ისიც არ მოუსურვებია, ყური მაინც ეთხოვებინა ძმათა რჩევა-დარიგებებისთვის. ამათგან ზოგმა, ეშმაკისგან წაქეზებულმა, თვითმკვლელობით დაასრულა ცხოვრება, ერთნი კლდიდან გადაიჩეხნენ, სხვებმა თავი ჩამოიღრჩვეს. კის ძალუძს, ნეტავ, ჩამოთვალოს ხიბლის ის უთვალავი ნაირსახეობანი, რომლითაც ეშმაკი ხიბლავს ადამიანებს. ამ მონათხრობიდან ყოველი გონიერი კაცი მიხვდება თუ რა ზიანის მოტანა შეუძლია პირველი სახეობის ყურადღებასა და ლოცვას, თუკი ამგვარი ლოცვა დაუკმაყოფილებს და სრულყოფილად მივიჩნევთ. ვინც ამ სახეობას ამჯობინებს და არცერთი ის ბოროტება, რომელიც აქ ჩამოვთვალეთ, თავს არ დაატყდება შმებთან თანაცხოვრების წყალობით, (რამეთუ განმარტოებულთათვისაა უფრო სახიფათო ამგვარი ხიბლი), ამაოდ დაშვრება, არავითარ ნაყოფს არ გამოიღებს მისი მეცადინეობა ამგვარ ცხოვრებაში.

ყურადღებისა და ლოცვის მეორე სახეობისათვის

მეორე სახეობა ყურადღებისა და ლოცვისა ამგვარია: ადამიანი საკუთარ თავს ჩაუღრმავდება, მოსწყდება გარესამყაროს, მოთოკავს გრძნობებს, გონებას მოიკრებს, რათა ამსოფლიურ ამაო საგნებისაკენ არ გაექცეს მზერა და ხან გამოწვლილვით იკვლევს საკუთარ გულისთქმებს, ხან წაკითხული ლოცვების სიტყვებს ჩაჰკირკიტებს, ხანაც კვლავ უბრუნდება გულისთქმებს, რომელთაც ეშმაკის მარწუხებში მოუქცევია ამაო და ფუჭი გარჯით. უდიდესი ძალისხმევითა და თვითშეჭირვებით თავს ძალას ატანს და ცდილობს დასძლიოს და უკუაგდოს ესა თუ ის ვნება. ამ სახეობის ძირითადი მახასიათებელი ისაა, რომ იგი გონებაში მწიფდება, აზრთა ჭიდილში.

ვისაც ამგვარი ჭიდილი და ბრძოლა გაუმართავს საკუთარ თავთან, არასოდეს ძალუძს დამშვიდება და ვერც დრო გამოუნახავს სამოღვაწეოდ, სიმართლის გვირგვინი რომ მოეპოვებინა. ეს ადამიანი ჰგავს კაცს, რომელსაც მტრებთან ხელჩართული ბრძოლა გაუჩაღებია კუნაპეტ ღამეში, მათი ყვირილი ესმის, დარტყმებსაც იგერიებს, მაგრამ არ შეუძლია გარკვევით დაინახოს თუ ვინ არიან ისინი, საიდან მოსულან, რატომ ან რისთვის უღერებენ მუშტებს. რადგან ეს ყველაფერი გონებაში მიმდინარეობს, ბილწი გულისთქმანი გულში დაიძვრის და ისიც ვერ ხედავს მათ, რადგან გულს არ აყურადებს. ბურუსი, გონების დამბინდველი, და ქარიშხალი, გულისთქმათაგან აღძრული, ხელს უშლის დაუსხლტეს მტრებს — დემონებს, რომლებსაც სასიკვდილოდ გაუმეტებიათ. საცოდავი, ამაოდ დაშვრება და მთლიანად დაკარგავს მისაგებელსაც, რადგან ვერ ამჩნევს, რომ პატივმოყვარეობა მოძალებია და დარწმუნებულია ჯეროვნად ვაყურადებო საკუთარ გულისთქმებს. მზვაობარს სძულს სხვები, განიკითხავს მათ, იკვეხნის და ოცნებობს, რომ ღირსეული მწყემსი იქნება ცხოვართა, დამწყემსავს სხვებს და იმ ბრმას ემსგავსება, რომელიც ცდილობს უწინამძღვროს სხვა ბრმებს.

აი, ასეთია მეორე სახეობა. ამიტომ საჭიროა გადარჩენის მსურველი განერიდოს იმას, რაც სულს დაუზიანებს და კე-

თილგონიერულად მოიქცეს. მეორე სახეობა უკეთესია, ვიდრე პირველი, როგორც მთვარიანი ღამე სჯობს უმთვარო, კუნაზიტ ღამეს.

ყურადღებისა და ლოცვის მესამე სახეობისათვის

მესამე სახეობა ნამდვილად საოცარია და ასახსნელად ძნელი. მათთვის კი, რომლებმაც გამოცდილებით არაფერი უწყიან თავად, არა მარტო ძნელად ასახსნელია, არამედ დაუჯერებელიც. რადგან ვერაფრით შეასმენ რომ მსგავსი რამ შეიძლება ნამდვილად მოხდეს. მართლაცდა, ჩვენს დროში ამ სახეობის ყურადღებაცა და ლოცვაც სწორედ რომ იშვიათი გამონაკლისია, და ეფიქრობ, ეს მადლი მორჩილებასთან ერთად განგვეშორა. მორჩილება, თუკი სრულყოფილების მიზნით ებოძა ვინმეს სულიერი მამისაგან, მას ხომ ყოველმხრივ უზრუნველყოფს. რამეთუ სადარდებელი ერთხელ და სამუდამოდ სულიერი მამისთვის მიუნდვია. ამსოფლიურ საზრუნავს განშორებული განსაკუთრებული გულმოდგინებითა და სიბეჯითით აღასრულებს მესამე სახეობის ლოცვას, თუკი იპოვის ისეთ სულიერ მოძღვარს, რომელიც თავად არ არის ხიბლში. ვინც ღმერთს შეუდგა, თავისი ჭირ-ვარამი მიანდო უფალს და სულიერ მამას, გულწრფელი მორჩილების წყალობით წყვეტს საკუთარ ნებით ცხოვრებას, და სიკვდილს ამჯობინებს მიწიერ გულისთქმებსა და ხორციელ ვნებებს. განა შეძლებს წარმავალობა ამ ადამიანის დამარცხებასა და დამონებას? ან კი რა საზრუნავსა და საფიქრალს მოახვევს თავს? ამგვარად, მორჩილებაში მყოფი მესამე სახეობის ლოცვისა და ყურადღების მეოხებით თავიდან აიცილებს და გააკამტვევრებს ყველა სასჯელსა თუ ხრიკს, რომელსაც დემონები განუმზადებენ, როცა ცდილობენ გონება გაუფანტონ უამრავ სხვადასხვაგვარ საგნებზე ფიქრში. ასეთი ადამიანის გონებას სწორედ ამ დროს ძალუძს საღად, დროულად და დაუბრკოლებლად განჩხრიკოს ეშმაკეული გულისთქმანი, უდიდესი მოხერხებულობით გამოაძევოს ისინი და შემუსრვილი გულით ლოცვა აღავლინოს ღვთისადმი. აი, ასეთია რაობა ჭეშმარიტი ცხოვრებისა და მათ, რომელთაც არად ჩაუგდიათ ამგვარი

რამ, ამაოდ დამშვრალან, რამეთუ ვერ მიმხვდარან რისთვის ჭოსულან ამქვეყნად.

არსი იმ მესამე სახეობისა, იმაში როდი მდგომარეობს, რომ მივაშტერდეთ ცას, რაც შეიძლება მაღლა აღვაპყროთ ხელნი, გონებით ავფრინდეთ ცაში, ეს, როგორც უკვე ვთქვით, დამახასიათებელია პირველი სახეობის ლოცვისთვის და არც თუ ისე შორსაა ხიბლისაგან, — არც იმაში, რომ გონებით შეგვეძლოს გრძნობათა მოთოკვა და აქეთ წარვმართოთ მთელი ჩვენი გულისყური, ისე, რომ მხედველობიდან გამოგვრჩეს შინაგანი სულიერი ორთაბრძოლები მტრებთან რომ გაგვიჩაღებია, — ეს ხომ მეორე სახეობას ახასიათებს და ვინც ამას გამოიყენებს, ეშმაკთა მარწუხებში მოქცეული, ვერ შემძლებელ არს იძიოს შური თავის დამბეჭავებლებზე, ხოლო მტრები გაუთავებლად ექიშპებიან, ცხადად თუ მალულად და ხდიან პატივმოყვარესა და ზვიადს.

შენ, კი, საყვარელო, თუ გსურს გადარჩე, ამგვარად შეუდექი საქმეს: სრულყოფილი მორჩილების შემდგომ, რაც, როგორც უკვე ვთქვით, სულიერი მამისაგან უნდა გებოძოს, ყოველივე კეთილსინდისიერად აღასრულე, თითქოსდა ღმერთის პირისპირ იდგე. მორჩილების გარეშე ყოვლად წარმოუდგენელია კეთილსინდისიერება. კეთილსინდისიერი უნდა იყო სამთავე შემთხვევაში: ღვთის, სულიერი მამისა და გარშემომყოფ, როგორც სულიერ, ისე უსულო საგანთა წინაშეც.

ღვთის წინაშე კეთილსინდისიერება გავალებს, თავს უფლება არ მისცე ისეთი რამ აკეთო, რასაც, თავადაც იცი, რომ ღმერთი არ შეიწყნარებს და გაგინაწყენდება. სულიერი მამის წინაშე აკეთო მხოლოდ ის, რასაც იგი გეუბნება, არ მოინდომო არაფერი, არც მეტი, არც ნაკლები, არამედ უნდა მოიქცე მისი განზრახვისა და ნების შესაბამისად. ადამიანებთან ურთიერთობაში კეთილსინდისიერებას შეინარჩუნებ, თუკი თავს ნებას არ დართავ, ისე მოიქცე, რაც თავადაც გძულს და არასოდეს ისურვებ, სხვები მოგექცნენ ასე. უსულო საგანთა წინაშე კეთილსინდისიერება გავალებს საჭიროებისამებრ გამოიყენო ისინი, სახელდობრ: საჭმელი, სასმელი, სამოსელი. ბოლოდ, ყოველივე ისე აღასრულე, თითქოს ღვთის წინაშე იდგე და არავითარ შემთხვევაში არ დაუშვა, რომ სინდისი გქეჯნი-

დეს და გასამართლებდეს იმის გამო, რომ ურიგოდ იქცეოდი. თუკი ამგვარად მოიქცევი, ჭეშმარიტად და დაუბრკოლებლად წარემართები მესამე სახეობის ყურადღებისა და ლოცვის გზით, რაც შემდგომში მდგომარეობს:

გონება უნდა ჩავიდეს გულში ლოცვის ჟამს, მის სიღრმეში იბრუნოს გამოუსვლელად და იქიდან, გულის სიღრმიდან დაძრას ლოცვები ღმერთისაკენ. ბოლოსდაბოლოს, როცა ის დროც დადგება, რომ გონება გულის სიღრმეში მოიკალათებს, იგემებს, შეიგრძნობს და შეიტკბობს ღვთის მადლს, ადგილი გულის სიღრმიდან აღარც დაეთმობა. სწორედ მაშინ ისურვებს აღმოთქვას იგივე სიტყვები, რაც მოციქულ პავლეს აღმოხდა: „მიმზიდველია ჩვენთვის იქ ყოფნა". გონება კვლავ არაერთგზის ჩაიძირება გულის სიღრმეში, იქ იტრიალებს გამოუსვლელად და ეშმაკებისაგან აღძრულ ყოველგვარ ზრახვას განაქარვებს. უმრავლესობას, რომელთაც ვერასგზით ვერ შეუცვნიათ ეს სულის მხსნელი საქმიანობა, და უვიცნი არიან, მიაჩნიათ, რომ ძალზე დამღლელი და ქანცგამწყვეტია. ხოლო ადამიანები, რომლებმაც ამგვარი ლოცვის თანამდევი სიტკბო იგემეს და გულით შეიტკბეს, ღვთაებრივ პავლეს ეხმიანებიან და ამბობენ: „ვინ განმაშორნეს ჩუენ სიყვარულსა მაჳ ქრისტესსა?" (რომ. 8, 38) და ასე შემდეგ.

რატომ იყო, რომ ჩვენი წმინდა მამები უამენდნენ ღმერთს, რომელიც წმინდა სახარების ენით ამბობს: „გულისაგან გამოვლენ გულის-სიტყუანი ბოროტნი, კაცის-კლუანი, მრუშებანი, სიძუანი, ცილის-წამებანი, გმობანი, ესენი არიან, რომელნი შეაგინებენ კაცსა" (მათ. 15, 19-20), ისმენდნენ აგრეთვე სახარების სხვა ადგილსაც, რომელიც გვმოძღვრავს, რომ განვსწმიდოთ „შინაგანი იგი სამოსლისა"... რათა იყოს გარეშეცა იგი მისი წმიდა" (მათ. 23, 26). მათ დაუტევეს სხვა სახის სულიერი ღვაწლი, ამ საქმეს შეუდგნენ, რამეთუ მისი წყალობით მსწრაფლ მოიხვეჭდნენ ყოველგვარ სიქველეს, უამისოდ კი ვერცერთ სათნოებაში ვერ განმტკიცდებოდნენ. ამ სახის ღვაწლს წმინდა მამათაგან ერთნი უწოდებდნენ გულისმიერ მდუმარებას, მეორენი — ყურადღებას, ზოგნი სიფხიზლეს და გულისთქმებთან ჭიდილს, ზოგიც ზრახვათა გადასინჯვასა და გონების სიფრთხილეს. თითოეული მათგანი იყო

საოცრად გავარჯიშებული და შეძლეს კიდეც ღვთაებრივი ნიჭის მოხვეჭა. სწორედ ამას გულისხმობს ეკლესიასტე, როდესაც ამბობს: „იხარებდი ჭაბუკი სიჭაბუკესა შინა შენსა, და რათა განტრიდეს შენ გული შენი დღეთა შინა სიჭაბუკესა შენსა და ვიდოდი გზათა შინა გულისა შენისათა უბიწოდ“ (ეკლეს. 11, 9). მსგავს სიტყვებს ამბობს სხვაგან: „უკეთუ სული ჴელმწიფების აღუდეს შენ ზედა ადგილსა შენსა ნუ მიუტევებ“ (ეკლ. 10, 4). წმინდა სახარებაშიც ხომ გვეუბნება უფალი: „ნუცა განჰსცხრებითო“ (ლუკ. 1;, 29) ესე იგი გონება აქეთ-იქით ნუ გაგეფანტებათო. კვლავ დაბეჯითებით იმეორებს: „ნეტარ-იყვნენ გლახაკნი სულითა“ (მათ. 5, 3) ანუ ბედნიერი არიან ადამიანები, რომელთაც არანაირი ამქვეყნიური გულისწადილი არ აღძრიათ, ამსოფლიურ სულთქმათაგან განძარცვულნ. თითქმის ყველა წმინდა მამას ძალიან ბევრი დაუწერია ამის შესახებ. ვისაც სურს, დაე, წაიკითხოს მათი ნაწერები და თავად იხილავს. წაიკითხოს, თუ რას წერს მარკოზ მონაზონი, რა უთქვამს წმინდა იოანე კლიმაქსს (კიბისაღმწერელს), ღირს ევსუქს, ფილოთეოს სინაელს, აბბა ესაიას, ბარსონოფი დიდს და ბევრ სხვა წმინდა მამას.

ერთი სიტყვით, ვინც საკუთარ გულისთქმებს არ მიაყურადებს, და არც გონების სიფხიზლეს გამოიჩენს, არ ძალუძს გულის შემუსრვილებას მიაღწიოს, რომ ღმრთის ჭვრეტა ხელეწიფებოდეს. ვერ შეიძლება იყოს გლახაკი სულით მჭმუნვარე, მგლოვიარე, მდუმარე, უწყინარი, სიმართლეს მოწყურებული, მოწყალე ანდა მშვიდობისმყოფელი, ვერ გაუძლებს დევნას სიმართლისათვის. ესე იგი, ყურადღების გარეშე ვერავითარ სათნოებას ვერ მოიხვეჭს. სწორედ ამიტომ, მთელი შენი მონდომება იქითკენ წარმართე, რომ, პირადი გამოცდილებით იწვნიო ის, რასაც გეუბნები. თუ გსურს, რომ ისიც შეისწავლო, როგორ კეთდება ეს, ამაზე მოგახსენებ.

ყველაზე მეტად სამი რამის დაცვა გმართებს: პირველი — არაფერზე იზრუნო და იფიქრო, რამეთუ ყოველივე ამაო და წარმავალია. მეორე — კეთილსინდისიერად მოიქეცი, რათა სინდისი არ გქეჯნიდეს გამუდმებით, და მესამე — ებრძოლე ცნებებს, რომ ამქვეყნიურ სიამეთაკენ სწრაფვას არ დაუმონო ფულისთქმანი.

მაშ ასე, უნდა დაღუნო თავი, ნიკაპი მიაბჯინო მკერდს, იაღრმავედე საკუთარ თავში, მოიკრიბო გონება, აღიხილო გრძნობადი თვალნი, ოდნავ შეაკავო სუნთქვა გულის ადგილას და ეცადო გონებაც გულში მოამწყვდიო, თავდაპირველად, ძალდატანებით, მერმე კი, როცა თანდათანობით შეეჩვევი ამგვარი ყურადღებით ქმედებას, განურჩევლად ყოველ-ჟამს, გინდ დღე იყოს, გინდ ღამე, გექნება დაუოკებელი სწრაფვა კვლავ და კვლავ ჰპოვო საოცარი რამ — სიხარული განუწყვეტელი[1]. შემდეგ გონება ცდილობს როგორმე მიაკ-ცლიოს ის ადგილი, სადაც გულია, მთლიანად აქეთ გადმოი-ნაცვლოს და დაემკვიდროს გულში. ყველაფერში ფხიზლად მყოფი გონება მაშინ მოახერხებს გულში მოკალათებას, რო-ცა სულიწმიდის მადლით მოხდება ნეტარებისა და ლოცვის-მიერი სითბოს გადაცემა. მყისვე, რაც შემდგომშიაც გრძელ-დება, საიდანაც არ უნდა წამოყოს თავი ან მოგეჩვენოს რაიმე გულისთქმა, მანამდე, კიდრე იგი შენში შეაღწევდეს და დაგა-ფიქრებდეს, ანდა რაიმე სახეს შეიძენდეს შენს წარმოდგენა-ში, გონება მყისვე ვანდევნის და გაანადგურებს იესოს სახე-ლით. ანუ „უფალო იესო ქრისტე შემიწყალე მე“ — ამისი თქმა და გონება მეყვეულად იმსჭვალება დემონებისადმი ზიზღითა და სიძულვილით, მათთან ხელჩართულ ბრძოლებში ებმება და სპობს მათ. ხოლო რაც მოჰყვება ამგვარ მეცადინე-ობას საკუთარი გამოცდილებით გაიგებ, ღვთის შეწევნით, გო-ნების მიყურადებისა და გულში იესოს ლოცვის აღბეჭდვით: „უფალო იესო ქრისტე შემიწყალე მე“. წმინდა მამათაგან

---

[1] წმ. სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველის ეს სიტყვა რუსულად უთარ-გმნია ეპისკოპოს თეოფანე დაყუდებელს (იხ. Слова Симеона Бого-слова, вып. II, М., 1890, стр. 188). მაგრამ ამ მონაკვეთს, ანუ პირდაპირ რჩევას დაყუდებისა და ლოცვისა აღვლენის წესის შესახებ, იგი შეგნე-ბულად არ თარგმნის, რამეთუ ითვალისწინებს იმ საფრთხეს, რომელიც მორწმუნეს ემუქრება მისი თვითნებურად შესრულების შემთხვევაში. ამი-ტომ, გვირჩევს, უპირველეს ყოვლისა, ეკლესიაში სიარულსა და წირვა-ლოცვაზე დასწრებას. მას მიაჩნია, რომ გონებისა და გრძნობის გულში მომწყვდევა ჩვეულებრივ მოკვდავს არ ძალუძს, რადგან სულიწმინდის გარდამოსვლის გარეშე წარმოუდგენელია ამგვარი ლოცვის აღსრულება რაც მხოლოდ რჩეულთა და სრულყოფილთა ხვედრია.

ერთ-ერთს კი, აი, რა უთქვამს: „დაეყუდე სენაკში და ეს ყველაფერში დაგაკვალიანებსო“.

კითხვა: რატომ არ მოსდევს იგივე შედეგი პირველი და მეორე სახეობის ლოცვას?

პასუხი: იმიტომ, რომ საჭიროებისამებრ არ ვიყენებთ მათ. წმინდა იოანე კლემაკსი, რომელსაც თითოეული სახეობა გამოუყენებია, ოთხსაფეხურიან კიბეს ადარებს და ამბობს: „ზოგიერთები ვნებებს თოკავენ და მშვიდდებიან, ზოგნი ფსალმუნობენ, ესე იგი ბაგეებით ლოცულობენ, სხვები გონებრივ ლოცვაში ვარჯიშობენ, ზოგნიც ჭვრეტამდე მაღლდებიან“ ისინი, რომლებიც ეპირებენ კიბეზე ასვლას, მაღალი საფეხურიდან როდი იწყებენ, და შემდეგ დაბალზე ჩამოდიან, არამედ დაბალი საფეხურებიდან მაღლისკენ მიიწევენ. — ჯერ პირველზე ადგამენ ფეხს, შემდეგ მეორეზე, მესამეზე და ბოლოს მეოთხეზე, ვისაც აქვს სურვილი მიწიდან ზეცად ასაღლებისა, აი როგორ უნდა მოიქცეს: უპირველეს ყოვლისა, საჭიროა, გონება მოიკრიბოს და შემუსროს ვნებები, მერმე უნდა გაიწაფოს ფსალმუნებაში, ანუ ილოცოს ბაგეებით და როდესაც ვნებები დაცხრებიან, მაშინ ბუნებრივია ლოცვაც მიანიჭებს სიამოვნებასა და სიტკბოს თვით ენას და იგი სათნოა ღმრთისათვის. მესამე საფეხურზე უკვე ლოცულობს გონებით, ხოლო მეოთხეზე — გადადის ჭვრეტაში. პირველი საფეხური ახლადდამწყებთათვისაა, მეორე — წარმატებულთათვის, მესამე, — რომლებიც წარმატების უმაღლეს ზღვარს მიუახლოვდებიან, ხოლო მეოთხე — სრულყოფილთათვის.

ამგვარად, დასაწყისი სხვა არაფერია, თუ არა ვნებათა დაოკება და აღხოცვა. შემუსრვილი გულის გარეშე მათი მოთოკვა წარმოუდგენელია. რამეთუ, იტყვის უფალი, გულისგან გამოვალს ბოროტი გულისთქმანი, რომლებიც ადამიანებს შეაგინებენ. ამ დროს საჭიროა ყურადღება და ლოცვა. ოდეს ვნებები გულში გაუთავებელი ჭიდილის წყალობით სავსებით დაცხრებიან, მაშინ გონება აღინთება ღვთის სიყვარულით, უფალს ადიდებს ლოცვით და უმთავრესად ამაში გაჰყავს დრო. ღვთისადმი ამგვარი გულანთებული ლოცვით გონება ძლიერდება, განდევნის ყოველგვარ ბილწ გულისთქმებს, რომლებიც დაწრიალებენ, რათა როგორმე გულში შეაღწიონ

და ლოცვით მუსრავს მათ. აი, მაშინ იწყება ხელჩართული ომი — ყურთასმენის წამლები ღრიალით აიწყვეტენ გამძვინვარებული დემონები, გულში ენებათა ქარიშხალსა და ქარბორბალას დაატრიალებენ, მაგრამ იესო ქრისტეს ხსენებაზე უჩინარდებიან, ერთიანად იბუგებიან, იღვენთებიან, ვითარცა სანთლები ცეცხლის ალზე. მიუხედავად იმისა, რომ გაცამტვერებული და გულიდან გაძევებულნი არიან, მაინც არ ყრიან ფარსმალს, კვლავ ცდილობენ გონებას წაებღაუჭონ ისევ და ისევ გრძნობის საშუალებით. თუმცაღა გონება მალე იკრებს ძალებს და ცდილობს შეინარჩუნოს ჩვეულებისამებრ დამახასიათებელი სიმშვიდის განცდა. რამეთუ ეშმაკებს როდი ხელეწიფებათ გონების სიღრმეში შეღწევა, არამედ მხოლოდ ზედაპირულად ეხეთქებიან. მაგრამ გონებას არ ძალუძს საბოლოოდ განთავისუფლდეს გულბოროტ დემონებთან ჭიდილისაგან და მათ არ ეწინააღმდეგებოდეს. ამგვარი მდგომარეობა ხომ სრულყოფილთა ხვედრია, ვინც ყოველივე დაუტევა მთელი არსებით და გამუდმებით გულისმიერ ყურადღებაში იმყოფება.

ამრიგად, ვისაც სურს დროულად გაიაროს ეს საფეხურები, ოდეს მიაღწევს ვნებათაგან გულის შემუსვრილებას, მთელი არსებით უნდა მიეცეს ფსალმუნობას, გულისთქმებთან ჭიდილს, ზეცად აღაპყროს გრძნობადი თვალნი, ანდა განჭვრიტოს ღმერთი სულის გონიერი თვალებით და ილოცოს გულწრფელად, ვითარცა ხამს. თუმცა მიშტერება ზეცად გრძნობადი თვალებით ყოველთვის როდი შეიძლება, არამედ იშვიათად, ჰაერში ნობორიალე ბოროტი ეშმაკების შიშ-ით, რომელთაც სწორედ იმიტომ ეწოდებათ ჰაეროვანი სულები, რომ სხვადასხვაგვარი ხიბლის გამოწვევა შეუძლიათ ჰაერში და ამიტომ ყურადღებით ყოფნა გვმართებს. ღმერთი ჩვენგან ითხოვს მხოლოდ გულის განწმენდას ყურადღების მეოხებით. ამის შემდეგ, მოციქულის თქმით: „უკეთუ ძირი იგი წმიდა არს და რტონიცა მისნი" (რომ. 11, 17). თუკი ვინმე იმ წესრიგით არ მოიქცევა, რაც ვთქვით, ზეცად აღაპყრობს თვალებსა და გონებას და აზრით წარმოისახავს რაიმეს, იგი თვალს მოჰკრავს ნაოცნებარს, რასმე საცთურსა და არა ჭეშმარიტს, და ეს იმიტომ, რომ გული არაწმინდა აქვს. მაშასა-

დამე, პირველი და მეორე სახეობის ყურადღება და ლოცვა, როგორც არაერთხელ ვთქვით, ადამიანს წარმატებას ვერ მოუტანს. რატომ არის, როდესაც სახლის აშენება გვსურს, პირველად სახურავს როდი ვხურავთ და მერე საძირკველს ვყრით. იმიტომ, რომ ეს შეუძლებელია. ჯერ უნდა საძირკველი ჩავყაროთ, შემდეგ სახლი ავაშენოთ და მხოლოდ მერმე გადავხუროთ. სულიერთან მიმართებაშიც ასეთივე მოქცევა გვმართებს: ჯერ საძირკველი ჩავყაროთ ე. ი. მივაღწიოთ გულის შემუსვრილებასა და ვნებები აღვხოცოთ, შემდეგ სულიერი სახლის შენებას შევუდგეთ, ე. ი. ავი სულების წყალობით ჩვენს შეგრძნებებში ატეხილი გრძნობათა ქარბუქი დავაშოშმინოთ, რაც შეიძლება სწრაფად შევეგუოთ ამ ორთაბრძოლის აღკვეთას და ბოლოს სახურავით დავაგვირგვინოთ ე. ი. სრულყოფილებას მივაღწიოთ ყველაფრის უარყოფით, მთელი არსებით შევუდგეთ ღმერთსა და ამით განვასრულოთ ჩვენი სულიერი სახლი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, რომელსა შვენის დიდება უკუნითი უკუნისამდე ამინ!

ბერძნულიდან თარგმნა
მაია ინდუაშვილმა

ევსტრატი ნიკიელი

ყოვლად ბრძნისა ევსტრატი წიკიელ მიტროპოლიტისაგან მოსახსენებელი შემოკლებული

„თუ ოდეს ჰრომნი და ეკლესიაჲ მათი რაჲსათჳს საღმრთოთა აღმოსავლისა ეკლესიათაგან განიჴრნენ“*.

იყო ოდეს მყუდროებაჲ აქუნდა ყოველსა საეკლესიოსა დაწყნარებასა და ერთისა და მხოლოჲსა ყოველთა მიერ მსახურებულისა ღმრთისა სამთა გუამთა შინა აღსარებაჲ მშვიდობითა მტკიცითა და აღუძვრელითა. უმოხუცებულესსაცა შინა ჰრომსა და ახალსაცა და სხუათა სოფლებთა კეთილად მსახურთასა მოქალაქობდა და წარემართებოდა და ვითარცა კეთილად მსახური ვინმე უფროჲსად საღმრთო პაპაი ჰრომისაჲ საღმრთოთა შინა მოსახსენებელთა წმინდათა პატრიარქთასა მოიხსენებოდა. ხოლო სერგის ზე კეთილად მსახურისა პატრიარქისა კონსტანტინეპოლელთაისა დაყენებულ იქმნა მოხსენებაი მისი არა უმიზეზოდ, არა საჲდა არცა ვითარ ვინ თქუას განუნახველად, არამედ მართლად აღსაარებულთა რათმე მიზეზთათვის. რამეთუ ბილწის მჴამელ არიან ჰრომნი და იპარსვენ წუერთა. არა კაცნი ხოლო, არამედ მღვდელნიცა, ხოლო მონაზონნი ნადნობსა ღორისცმელისასა ჴამენ და ბეჴედი ჴმოსია მღვდელთმთავართა და იტყჳიან: ვითარმედ წინდად მოაქუს იგი სძალქმნილთა მათთა ეკლესიათად. ამას ყოველსა თანა შემსგავსებულსა პატივსა არა მიუზღვენ თაყვანის საცემელთა ნაცვალთა წმინდათასა, არცა პატიოსანთა ხატთა თაყუანის-სცემენ და ორნი ძმანი ორთა დათა ცოლად მიიყვანებენ, ჴამენ უკუე დამშთვარსაცა და იმარხვენ შაბათთა. მერმეცა ერთბამად იქმან ორსავე აღებაკრებასა ხორციელისა და ყველიერისასა პირველსა ორშაბათსა წმიდათა დიდთა მარხვათასა და რომელთა ცოლნი ესხნენ, არა შეუნდობენ მღდელობისა მომართ. მოსლვად და ჟამსა ჟამისწირვისა და

---

* ზემოთ მოცემული ტექსტი ქვეყნდება არსენ იყალთოელის „დოგმატიკონიდან“.

ზიარებისასა მწირველთა მიმართ და მიმღებელთა წმიდისა ზიარებისათა ამბორსყოფასა ჰყოფენ სხუანი და ამით სახითა იგინი უკუე მიმცემლობასა, ხოლო ესენი მიმღებლობასა ჰგონებენ სიწმიდეთასა. ხოლო მღდელთმთავარნი მათნი დღითიდღე ბრძოლად განსლვითა სისხლითა შეიმწინკულებენ ხელთა და უფროისღა უპირატეს მათსა სულთა. ნათელსცემენ ერთიათა შთაყოფითა შერწყუმით მეტყუელნი ერთგზის. ხოლო საბელსა მამისა და ძისა და სულისა წმიდისასა; უცომოითა სრულ ჰყოფენ სალმრთოსა მღვდელმემსხუერპლეობასა და განხრწნილად ჰქონან რომელთამე წერილთა შინა სიტყუანი რაიმე. რამეთუ მოციქულისასა მას უკუე ვითარმედ მცირე ცომი ყოველსა შესუარულსა აღაფუვნებს. თანამოსაჯულად შემწირველობისა მიმართ უცომოთასა იხუმევენ ესრეთ წარმკითხველნი ამისნი, ვითარმედ მცირე ცომი ყოველსა შესუარულსა განხრწნის და უძუირესი, რამეთუ წმიდა მრწამსა შინა უბიწოისა სარწმუნოებისასა შემატებაი რაიმე მოუპოებიეს მქონებელი უღმრთოებისაი მეტყუელთა ესრეთ: „და სულისა წმიდისა უფლისა და ცხოველსმყოფელისა, მამისაგან გამოვალისა და ძისა, და სალმრთოსა მღდელმოქმედებასა შინა ეგრეთვე ჰყოფენ შეძინებასა მხმობელნი ესრეთ: „ერთ არს წმიდაი, ერთ არს უფალი იესუ ქრისტე სადიდებელად ღმრთისა მამისა სულისა მიერ წმიდისა ამინ“.

ესენი უკუე არიან უთავადესნი, რომელთა თანა სხუათაცა რითმე ჰყოფენ მიმდგომთა ამათთა, გარნა აწ თქმულთა ამათ მიზეზთაგანნი რომელნიმე თანა წარსვლისა არიან ღირს და რომელნიმე დაუჯერებელ, რომელნიმე უნიშნო, ხოლო რომელნიმე სავლტოლველ და გარემისაქცეველ, რამეთუ ბილწის მჭამელობაი და ჩუენთაცა შორის მრავალთა საპოვნელ არს მრავალგზის, რამეთუ ბითვინიელნი და თრაკნი და ლუდნი ჭკასა და კოლხოსსა და ელონასა ხმელისასა ჭამენ, რომელთა ხუმევაი დაუყენებლად დაუტევეს მამათა ვინაითგან ღმრთისა მიერ შექმნულთაგანი არარაი განსაგდელებ არს ბადლობით რაი მიიღებვოდის და სახე ამისსა არს ზეცით გარდამოსრული იგი ჭურჭელი ტილოისაი, რომელსა შინა იყო ყოველი ოთხფერხი ქუეყანისაი და მხეცნი და ქუსწარმავალნი და მფრინველნი ცისანი და პეტრე ღმრთისა მიერ მსმენე-

ლი ესრეთ: „აღდე პეტრე დაკალ და ჭამე“. და იგი მეტყუველი: „ვითარმედ ნუ იყოფინ ჰ უფალო, რამეთუ არასადა შეგინებული ანუ არაწმიდაი შესრულ არს პირსა ჩემსა“. რომელსა კვალად ესმა: „რომელი ღმერთმან წმიდაყო შენ ნუ შეგინებულ გიჩნს“. და დიდი ბასილი იტყვის: „ვინათგან მხალი არს კონღონიცა (?). ვითარ იგი ხორც არს ხორცი ძერსაიცა, გარნა ეგრეთცა* არავინ ჭამს ეგევითარსა რასმე. გონების მქონებელი, არცა შეეხების მათ. არათუ დიდისა ჭირისა მიერ იძულებულ იქმნეს სადმე. ხოლო ჭამოს თუ ვიხქე იძულებულმან, არა შეერაცხების უშჯულოებად.

და მოპარსვაი წუცრთა მათთა მღდელთმთავართაგან ნუ-უკუც და ნაცვალი არს ჩუენ მიერ მრგულად თხემისა მოპარსვისაი. რამეთუ იგინიცა და ჩუენ პატივად თხემისა მოციქულთაისა პეტრესსა ვჰყოფთ ამას და რაი იგი საგინებელად წმიდისა ჰავხელოვნებით მოიპოეს უღმრთოთა, ამას დიდებად და დიდად შუცნერებად** შევჰრაცხთ ღმრთისმსახურნი.

ხოლო ცემლი ღორისაი მამათა მიერ შენდობილ არს მონაზონთა და უფროესღა რომელთა შორის ზეთი ცხებისაი*** არსაპოვნელიყოს და რამეთუ ამისთვის იტყუს ასკიტიკონთა შინა დიდი ბასილი: ვითარმედ „უკეთუ გამონადნობი ესე ჭამადი წმინდათა მამათა მიერ შენდობილ იქმნა ნაცვლად სხჳსა რაისამე ჭამადისა წყლისა ანუ მხლისა იქმნებოდის, ნუმცა ვინ მიზეზითა ვნებულისა ცუდად დიდებისაითა ვითარცა ხორცისაგან განყენებული ეძიებს უპატიოსნეთა ჭამადთასა და უსახმარესთა“ და კვალად შემდგომად მცირედისა: „რამეთუ არა ჰურიაებრ განვეყენებით ესე ვითართაგან არაძედ სავსებასა ვევლტით შუცბისასა“.

ხოლო წმინდაი პახუმი მონასტერთა შინა თჳსთა ზრდიდა ღორთა ნაფშუცნითა და ნამეტავითა ტრაპეზისაითა, და რაი იკლნნიან სხუაი უკუც ხორცი სხუცბრ წარეგებოდა, ხოლო მუცლიერი და ფერხთა და თავისა მწუცრვალნი მოუძლურებულთა ბერთა მონაზონთა მიეცემოდეს, ამათ თანა არარაითა სავნებელ არს, არცა ბეჭდისა ცუმაი მღდელთმთავართაი, და

* ძნელად იკითხება.

** აკლია — ი.

*** ზეთის ხილისასა ჰრქჳან ზეთი ცხებისაი.

რამეთუ, ჩვენ შორისნიცა მღდელთმთავარნი ოქრომოსილ არიან ოლარითა და სამკლავითა და ენქირითა ოქროქსოვილითა მორტყმულნი, ესრეთ უკუჱ ვითარცა ითქვა თანაწარსახდომელნი არიან ესე. ხოლო წმინდათა ნაწილებისა და პატიოსანთა ხატთა უპატივოებაი დაუჯერებელად და ურწმუნოდ საგონებელ არსს. რამეთუ ნაწილნი თავთა მოციქულთანი პეტრესნი და პავლესნი მათ შორის მდებარე არიან, რომელთა ზედა უფროჲს იქადიან იგინი, ვიდრეღა სხუათა თხრობათა ზედა ჰრომაელებრთა და ადრიანე პაპამან ჰრომისამან მეშვდესა კრებასა სხუათა პატრიაქთა თანა აღრაცხილმან დაამხუნა ხატთა მბრძოლნი და სრულიად შეაჩუჱნნა. ხოლო უწესოებაი ქორწინებისაი და საჭურველითა მბრძოლად განსვლაი მღდელთმთავართაი არა თანა-სათნო ყოფითა პაპაჲსითა ქმნილი, არამედ ურცხუნოებით და უმეცრებითა სათანადროჲსა კრძალულებისაჲთა ადვილად საკურნებელად ჩანან და რამეთუ ჩუენ შორისთაცა ეპისკოპოსთაგანნი მრავალნი უჯეროთა საქმეთა ხილულყოფენ, ხოლო სხვანი შემდგომნი თავნი ყოველნი სამართალსა და შჯასა შეამთხუჱვენ მათ. რამეთუ განყენებისათვის მშოვარისაგან წიგნსა შინა საქმეთასა იტყუს ძმაი ღმრთისაი დიდი იაკობ: „ესრეთ ვსჯიო მე რაჲთა არა ურვებდენ წარმართთაგან უფლისა მიმართ მოქცეულთა, არამედ ამცნებდენ მათ განყენებასა კერპთა ნაზორევისაგან და სიძვისა მშთვრისა და სისხლისა. არათუ დავიწყებისაგან ვიეთისამე იქმნას ოდესმე ხუმევაი მშთვრისაი, ვითარ იგი ჩუენ შორისცა მრავალნი კადნიერ იქმხებიან ჭამად სისხლისა დაშთომილისა ნაწლევთა შინა დაკლულისა ცხოველისათა“. ხოლო შაბათთათვის იტყუს კანონი წმინდათა მოციქულთა: „უკეთუ ვინმე იპოვოს სამღდელოთაგანი მმარხველად წმიდისა, კვრიაკისა, ანუ შაბათისა, თუნიერ ერთისა მის ხოლო, განიკუჱთენ, ხოლო უკეთუ ერისკაცი იყოს — უზიარებელ იქმჱნინ. ვინაიცა ჰრომნი მმარხველნი შაბათისანი თუსაგან დააყენა კანონმან წმიდისა და მეექუსისა მსოფლიოჲსა კრებისამან, ხოლო შემწინკულებისათუს პირველისა შჯდეულისა დიდთა მარხვათაჲსა განაჩინებს მეთორმეტე კანონი წმიდათა მოციქულთაი ესრეთ: „უკეთუ ვინმე ეპისკოპოსმან, ანუ ხუცესმან, ანუ დიაკონმან, ანუ კერძოდიაკონმან, ანუ წიგნისმკითხველ-

ზაწ წმინდანი მარხვაწი არა იმარხნეს, ანუ ოთხშაბათ-პარასკევსა არა ხმელის მჭამელ იქმნეს, განიკუშთენ. არათუ ვინმე უძ-ლურებისაგან დაყენებულ იქმნეს, ხოლო ერისკაცი თუ იყოს— უზიარებელ იქმენინ, რამეთუ ცხად არს ვითარმედ გარე"შე წმიდათა ორმეოცთაჲსა არს შჳდეული საცხორებლისა ენებისაჲ, რომლისთჳს იტყუის კანოწი მეექუსისა მსოფლიოჲსა კრებისაჲ: ვითარმედ საცხოვრებელისა ენებისა დღეთა მარხვითა და ლოცვითა და ლმობიერებითა გულისაჲთა გარდამხდელთა მორწმუნეთა უხმს, რათა საშუალსა ჟამსა დიდისა შაბათისა ღამისასა განხსნან მარხვაჲ და შედეგი. ხოლო არა შეწყნარებისათჳს ცოლოსანთა მღვდელთაჲსა რომლისასა რეცა კანონის მიერ იტყჳან მოცემულობასა პირდაყოფილ იქმნენ იგინი მეექუსისაგან მსოფლიოჲსა კრებისა, რომლისა მეათორმეტე კანონი განთჳსებულად ჰრომთათჳს მოიხსენებს და დააყენებს მათ შჯულისმდებლობისაგან ესევითართაჲსა და უვრცელესადრე ჰყოფს წარმოთქმასა ამისსა მათთჳს. მერმეცა განლევისათჳს მღვდელისა მიერ წმიდისა ზიარებისა და სხუათა ამბორისყოფისა და ზიარებად მათდა შერაცხისა ამისისა ნამეტავ არს თქუმაჲ უკუნრღუშვისაჲ, რამეთუ თჳთ თავით თუისით დაშჯილ არს ესე ვითარი ხელყოფაჲ და არა ხუებულ, არცა უნაწილო არს ზღაპრობითისა მენიშეობისაგან, რამეთუ „მიიღეთ ჭამეთო" იტყჳს მეუფე. არა ვითარმედ ძჭამელთა ამბორს უყავთ ურთიერთას.

ხოლო ერთითა შთაყოფითა ნათლისმცემელთათჳის ესრეთ. იტყჳს: მეერგასისე კანონი წმინდათა მოციქულთაჲ: „უკეთუ ვინმე ეპისკოპოსმან, ანუ ხუცესმან არა სამნი ნათლისცემანი სრულყჳნეს, ერთისა მესაიდუმლოობისანი, არამედ ერთი ნათლისცემაჲ სიკუდილისა მიმართ უფლისა მიცემული, განიკუშთენ. ხოლო სამად ნათლისცემად უწოდს სამთა შთაყოფათა. კუალადცა უცომოთათჳს ჰრომნი ვიდრემდე მიზეზ იდებენ ვითარმედ თესლისა ადგილი უპყრიესო ცომსა და ვითარმედ თჳნიერ თესლისა შემტკიცნეს სიტყჳსა და ღმრთისა მიერ მიხუმულნი ხორცნი და დაჰვიწყებიეს, ვითარმედ უფროჲსლა აპოლინარელთაჲსა მიმართ მიდრკებიან წვალებისა, რამეთუ იგი ხორცთა, ხოლო უსულოთა და უგონებოთასა იტყოდა ძიხუმასა ძისა მიერ და სიტყჳსა, ხოლო ცომი ნაცვლად გოხე-

ბისა. ვინაითგან უფალი ჩუენი იესუ ქრისტე ვითარცა არს სრული ღმერთი, ეგრეთვე არს სრული კაცი. ვინაჲცა უცოჰმონი უკუჷ ებრაელთა მიეცნეს შჯულად, მოსახსენებელად ეგჳპტით სივლტოლისა მათისა, ხოლო პური ქრისტიანეთა ჰოსახსენებელად ცხოველმყოფელისა სიკუდილისა ქრისტესისა, რამეთუ რაოდენ გზის შჳამდეთო პურსა ამას, იტყჳს და ჰსუმიდეთ სასუმელსა ამას სიკუდილსა უფლისასა მოუთხრობდით, რამეთუ არა უცომოჲ მოიღო ქრისტემან და მისცა ჰოწაფეთა, არამედ პური ვითარცა დაამტკიცებენ ოთხნი მახარებელნი და ყოვლით კერძო მოძღურებასა შინა წმიდათა მოციქულთასა. არა უცომოსა, არამედ პურსა ვჰპოებთ მათ მიერ ჰიცემულად და განყოფილად. რამეთუ უკუჷთუმცა უცოჰმოჲ იყო, არამცა ეწოდა პურად, რამეთუ პურად ითქუმის რეცა ტრფიალებით და სახითა რაჲთამე ცომისა მიერ ცხოველყოფისა მისისათჳს, ანუ ვითარცა უნაკლულოჲსა და სრულისათჳს და განტეხაი პურისა და არა უცომოჲსაჲ სილბოისათჳს და საჭამადად მარჯუჷობისა მისისა, ანუ ვითარ არა უჯეროება არს.

ესრულისა და მკუდრისა უცომოჲსა ცხოველად და ცხოველსმყოფლად ხორცად მეუფისა ქრისტესსა შეცვალებისა ზმნობაჲ: რამეთუ რაჲ ზიარებაჲ არს სულიერთა ხორცთა ქრისტესთა და უსულოთა უცმოთაჲ, ხოლო უცომოთა ჭაჰისა მნებებელნი, რად არა წინადაიცუჷთენ. რამეთუ ქრისტემან წინადაიცჳთა, არამედ ძუჷლნი წარხდეს, ვითარცა იტყჳს პავლე: „და იქმნნეს ყოველნივე ახალ“.

ხოლო ვითარმედ არა უცომოჲ იყო მწუხრსა დიდისა ხუთშაბათისსა მაცხოვრისა მიერ მოციქულთა და განყოფილი იგი ცხად არს ჯერეთ არღა სადა მოწევნულობისაგან მაშინ პასექისა. რამეთუ იტყჳს ღმრთისმეტყუჷლი იოვანე: „ხოლო უწინარეს დღესასწაულსა მას პასექისასა, იცოდა იესუ, რამეთუ მოიწია ჟამი მისი, რათა განვიდეს სოფლისაგან მამისა მიმართ, რამეთუ შეიყუარნა თჳსნი იგი ამას სოფელსა, სრულიად შეიყუარნა იგინი და სერობაჲ რაჲ იგი იყო და შემდგომნი“... და კვალად: „მოიყვანეს იესუ კაიაფაჲსით პრეტორად ხოლო იყო განთიად, და იგინი არა შევიდეს, რათა არა შეიგინნენ. არამედ რათა ჭამონ პასექი“. და კვალად: „ხოლო ჰურიათა, რათა

არა დაადგრეს გუამი მისი ჯუარსა ზედა შაბათსა შინა. ვინათგან პრარასკევი იყო რამეთუ იყო დიდი დღე იგი მის შაბათისაჲ". და შემდგომნი: „აწ უკუჱ გამოჩინებულ იქმნა, ვითარმედ უწინარეს დღესასწაულისა პასექისასა იქმნა სერობაჲ იგი. ხოლო შჯულ არა იყო მათდა უწინარეს პასექისა ჭამაჲ უცომოჲსაჲ." ვინაცა მარკოზ ესრეთ იტყჳს „ვითარმედ პირველსა დღესა უცომოთასა, ოდეს პასექსა დაჰკლვიდეს" და კვალად ლუკა: „ხოლო მოიწია დღე უცომოებისაჲ, რომელსა შინა ღირდა დაკლვად პასქაჲ". გარნა არა წინააღმდგომად იოანესსა მეტყუჱლებენ, რომელი იტყჳს: „ვითარმედ უცომოთად მეათე დღე მოიღებვის თთჳსაჲ, რომელი წინა განმზადებაჲ იყო პასექისაჲ". ვიტყჳ უკუჱ ვითარმედ მეათოთხმეტისა დღისაჲ. ცხად არს, ვითარმედ სხვათა მათ თანა საშუალ დამთხუჱულთა დღეთა ვითარ იგი გამოსლვათა წიგნსა შინა ეტყვის ღმერთი მოსეს „ვითარმედ ათსა ამის თთჳსასა მიიყვანენ კაცად კაცადმან ცხოვარი სახლად სახლად ცხოვარი. და იყავნ თქუენდა დაცვულ, ვიდრემდე მეათოთხმეტედმდე ამის თთჳსა და ვითარი ესე ჩუენ შორის დიდი შჯეული განმზადებაჲ რაჲმე არს წმიდათათვის ვნებათა და საცხოვრებელისა მის აღდგომისა. ეგრეთვე ებრაელთა შორის იყო ოთხეულობაჲ იგი დღეთაჲ. ვინაჲცა სანატრელმან იოანე ვითარცა შემდგომად სხუათა ბაზარებელთასა აღმწერელმან, და აღწერილთა მათთა მხილველმან. რომელნიმე მათ მიერ გამოუცხადებელად თქმულნი სახარებათა შინა მათთა უცხადესადრე განჰმარტნა. ხოლო რომელნიმე დაშთომილნი მათნი მოიხსენნა, ვითარ ლაზარეს ხედა აღსრულებული საკჳრველებაჲ, ჟამი საღმრთოჲსა სერობისაჲ და სხუანი. ვითარ უკუჱ მოციქულთა მოსცეს უცომოჲ რომელნი არა მოეღო მათ. რამეთუ შემდგომად სერობისა მისცა ესე საიდუმლო ოდეს იგი ეტყოდაცა. გულისთქმით გული ბითქუმიდა ჭამად პასექსა ამას თქუენთანა. ვითარცა მოწევნულობასა სიკუდილისა ჟამისასა. რომელსა მოციქულიცა ეწამების იტყოდის რაჲ: „რამეთუ მე მოვიღეო უფლისაგან რომელიცა მივეც. რამეთუ უფალი იესუ ქრისტე ღამესა, რომელსა მიეცემოდა მოიღო პური ჰმადლობდა და განტეხა და თქუა: „ბიიღეთ და ჭამეთ" და შემდგომნი. ხოლო დაღათუ პეტრესცა და პავლეს მიუცემიეს მათდა უცომოჲ სეფე რომელი ესე არა

სარწმუნო არს, არავე სახსენებელ იყო თქმად. ვითარმედ მრავალი მოციქულთა მიერ მიცემული შეიცვალა მათ მიერვე განძლიერებასა შინა სარწმუნოებისასა და რამეთუ პეტრე წარმართთაგან მოციქულთა მორწმუნეთა წინადასცუ©თდა და ეგრეთ ნათელსცემდა. და პავლე ტიმოთეს წინადასაცვთა და კათაკუმეველნი ოცდა ათისა წლისანი ნათელს იღებდეს და შაბათი იცვებოდა და მღდელთ მთავარნი ცოლთა ისხმიდეს და შჯულიერთა რათმე წესთა პატივსცემდეს მაშინდელი მორწმუნენი. გარნა არღა რაი ესე ვითარი მოქალაქობს აწ წმიდისა ეკლესიისა, უსრულესისა მიმართ წარმატებითა და ვინათგან დიდი იყო მაშინ ჰრომს შესაკრებელი და სიმრავლე ებრაელთაი ვითარცა იტყუს წიგნი საქმეთაი: „არაივე საკვრველ არს უკეთუ შეენდო მათ პირველ სადმე შექმნაი უცომოიასა სეფისაი. უძლურებისა მათისა თანა შთამოსლვისათვის, ხოლო უკუანასკნელ აღებულ იქმნა ესეცა. ეგერა კეთილად მსახურებისა მიმართ წარმატებასა შინა მათსა.

და რამეთუ ებრაელთაცა შეუნდვნა ღმერთმან მსხუ©რპ-ლნი, არამედ უკანაიასკნელ დაჰხსნნა.

ხოლო სულისა წმიდისა გმობისა მიმართ აღუძრვან იგინი არამართლიად გულისხმისყოფასა სახარებისა სიტყუსა ესრეთ მეტყუ©ლისასა, ვითარ იგი იტყუს მაცხოვარი სულისა წმიდისათვს, ვითარმედ ჩემგან მიიღოს და გითხრას თქუენ და დიდისა პავლესსა იტყოდის რაი, ვითარმედ გამოავლინა ღმერთმან სული ძისა თვსისაი გულთა მომართ თქუენთა და არა ჰნებავს განხილვაი, ვითარმედ თვსებისა და საკუთრებისა წარმომაჩინებელ არიან ესე. რამეთუ ერთბუნებობაი და სწორპატივობაი სამთავე გუამოვნებათაი იხილვების ამიერ. რამეთუ არა ესრეთ თქუა მაცხოვარმან, ვითარმედ „ჩემგან მიიღოს“, არამედ ჩემისაგან მიიღოსო, ესე იგი არს, რომელსა ზედა დაჰრთო განსაცხადებელად სიტყუსა, ვითარმედ „ყოველნი, რაოდენნი ჰქონან მამასა, ჩემნი არიან“. ამისთვის თქუა ვითარმედ „ჩემისაგან მიიღოს და გითხრას თქუენ. რამეთუ უკეთუ ძესა და სულსა რაოდენნი რაი ესმნნენ მამისაგან, მათ იტყუან, მისვე სადმე დიდებისა და ძალისანი არიან. ხოლო ვიეთნიმე ამას, „თუ ჩემისაგან“, ესრეთ თარგმნიან: „ვითარმედ ჩემისაგან მამისა“.

ოამეთუ ჩუშულებად გუაქუს მრავალ გზის ესევითართა სიტყუათა მიერ წარმოდგინებად საკუთრებისა, და დიდმან პაულე თქუა რაჲ: „ვითარმედ სული ძისა მისისაჲ ერთბუნებაოზაჲ ცხადყო. რამეთუ არა, რომელიცა ითქმოდის ვისდამე ყოფად, ეგერა მისგან ქმნილ არს და გამოსრულ არს და რამეთუ მამაჲცა ძისად ითქუმის, ვითარ იგი ზემოგუთქუამს, არამედ არა ძისაგან იშვების. და სულსა სიბრძნისასა ვიტყუთ, და სულსა გულისხმისყოფისა, და სულსა მეცნიერებისასა და მრავალთა ეგევითართა. არამედ არა ამათ მადლთაგან გამოვალს ყოვლად წმიდაჲ სული, რომელი უფროჲს მიმნიჭებელ და მიმცემელ არს მათდა ღირსთა მინიჭებისა მათისათა, ხოლო ვამხილოთ შეგულის სიტყუათაცა* რათმე მიერ უჯეროობასა ესევითარისა ამის სარწმუნოებისასა უკეთუ მარტივ უკუე არს სული, ხოლო მამისაგან და ძისა გამოვალს, უეჭუშლად ერთად პირად საგონებელ იქმნენ იგინი და ამიერ შემოყვანებულ იქმნეს შერწყუმაჲ საბელიოზისი, ანუ უფროჲსღა ნახევარ საბელიანოზობაჲ, და კუალად უკეთუ სწორებით გამოვალს მამისაგან და ძისა, წინასწარ ცხად არს უშუშრებაჲ ტყუილისაჲ. რამეთუ ვითარცა მიზეზითა უფროჲსმან ძისამან, მამამან უფროჲს გამოავლინოს. ხოლო უკეთუ უფროჲს გამოვიდეს მამისაგან განყოფილებაჲ მიზეზთაჲ, განყოფილებასა შემოიყვანებს ბუნებისასა, რომელი ესე არიოზის სიცოფისაჲ არს. და კვალად უკეთუ თჳთებაჲ არს გამომავლობაჲ, ვითარ იგი უშობელობაჲ და შობილებაჲ იპოვოს სული წმიდაჲ ორთა თჳთებათა მომგებელად. ერთსა უკუშ რომელ არს მამისაგან ქონებაჲ გამოსვლისაჲ, ხოლო მეორესა ძისაგან და ძე ვიდრემდე ერთითა თჳთებითა განეყოს მამასა. ხოლო ესე ორითა და ამიერ უმრწემეს იყოს ძისა უგუნურებათაებრ მაკედონიოსისთა, და ამათ თანა უკეთუ ძე ეზიარების მამასა, გამოვლინებას ზედა სული წმიდისასა და სულიცა წმიდაჲ ეზიაროს მას შობასა** ზედა სიტყჳსასა, რამეთუ ყოველნი მამისანი რაოდენნი ზიარ არიან ძისა მიმართ. ესენი სულისაცა წმიდისა მიმართ, და მიერითგან იყოს ერთბამად მიზეზიცა და

---

* ესე იკითხება ტექსტში.
** შეიძლება ბუნებასა (ზ. ს.).

მიზეზისაგანიცა. რომელი ესე უფროს მენიშეობა არს ელლენთა მეზღაპრეობისასაცა. მერმეთა უკეთუ უსრული არს მამისაგან გამოსლვაჲ სულისაჲ ნამეტნავიყოს ძისაგან ქმნა ამისი. მერმეცა უკეთუ მამისაგან და ძისაგან გამოვალს სული, ორკეცი იყოს იგი და შეზავებული, რამეთუ მარტივი ორთა ვიეთგანმე არა გამოვალს. მერმეცა უკეთუ ყოველი, რომელი არა არს სამთაჲვე. ერთისაჲ არს მხოლოდ, ხოლო გამომავლინებლობაჲ არა არს სამთაჲვე ზიარი, ერთისაჲ იყოს მხოლოჲსაჲ და ამაო იქმნეს სიტყუაჲ უგუნურებით გამომეძიებელთაჲ.

მერმეცა უკეთუ იგივე გამომავლინებლობაჲ სულისაჲ ძესაცა აქუს ვითარცა მამასა, ზიარ იყოს მათი თჳთებაჲ გამომავლინებლობისაჲ, და ვითარ თჳთება იყოს ზიარ რაჲმე; ხოლო უკეთუ წინააღმდგომ არს ესე გამოსლვაჲ მის გამოსლვისა, ვითარ არა განხრწნის ესე მას. რამეთუ ურთიერთას განმხრწნელ არიან წინააღმდგომნი და უკუეთუ მოყუსობა, კერძოჲ უკუᲗ სულისაჲ ესრეთ. ხოლო კერძოჲ მისი სხუა სახედ გამოვიდეს და უსწოროთა კერძოთაგან იყოს იგი შემოკრებულ.

მერმეცა უკუეთუ ძე მამულისა სიმარტივისაგან არა უნდების. ხოლო სულსა ორთა მიზეზთა აქუს აღყუანებაჲ ორკეც ვიდრემდე იყოს. და სადაღა არს სამებისა სიმარტივე და სწორ პატივობაჲ. მერმეცა უკეთუ ორთა დასაბამთა მიმართ აღიყვანების სული, სადაღა იყოს მრავალ საგალობლობაჲ ერთდასაბამობისაჲ, რამეთუ ელლენებრი მრავალდასაბამობაჲ რომელ არს მრავალმთავრობაჲ ამიერ.

მერმეცა უკეთუ თჳთება მამისა არს გამომავლინებლობაჲ, ხოლო თანა ეზიარების ძე, უეჭუᲗლად თჳთებასა ძისასა, რომელ არს შობილობაჲ, ეზიარების მამაჲ, და მიერითგან უშობელი მამაჲ შობილად იწოდებოდის. მერმეცა უკეთუ გამოავლენს ვიდრემე ძე, ხოლო სული ხუᲗბულ არს, გამომავლინებლობისაგან უკნინესისა ძალისაჲ იყოს იგი თჳნიერ ძისა, მერმეცა უკეთუ გამოავლენს ვიდრემე სულსა მამაჲ, ხოლო გამოავლენს მას რეცა იყოს სული მახლობელ მამისა თჳთ მისგან გამოსლვისათჳს დამშორებელიცა ძისაგან გამომავლობისათჳს მისისა. მერმეცა უკეთუ თანა დაუსაბამო, ვიდრემე ძისა არს

სული ჟამისაებრითა დასაბამითა, ხოლო გამოვალს მისგან უეჭუᲪლად შობასა შინა მისსა გამოვალს, და მიერითგან თანაგამოჩინებული და შობილი იყოს და გამოსრული. ხოლო Ძიზეზიდებენ, ვითარმედ ესრეთ უთქუამსო ამბროსის სიტყუათა შინა თჳსთა და მისთანა კუალად ავღუსტინოსს და იერონჳმოსს, რომელთათვის სიტყუა უგებთ, ვითარმედ ანუ სულისა მბრძოლთაგან განირყუნნეს წერილნი მათნი. ანუ განგებულებით თქჳს ესე, ვინაითგან დიდმანცა ბასილი იხმარა განგებულებაᲲ და თვისა თვისისა შორის გამოუთქმელად დაᲰმარხა ვიდრე რომლადმდე ჟამად ყოვლად წმიდისა სულისა ღმრთისმეტყუᲪლებაᲲ ანუ ვითარცა კაცნი ამით ჯერითა ხუᲪბულ იქმნნეს უცთომელობისაგან, რომელი ესე მრავალთა დიდთაგანთა შეემთხჳა რომელთამე შინა ვითარ იგი ალექსანდრიელსა მონჳსიოსსა და მეთოდის პატრონელსა და პანტენოსს და კლიმის სტრომატელსა და პიერიოსს და პამფჳლოსს და თეოღნოსტოსს და ირინეოსს ლოღდონელსა და იპოლიტეს Ძოწაფესა მისსა, რამეთუ რომელთამე სიტყუათა მათთა არა მივითუალავთ დაღათუ ფრიად საკჳრველ გჳჩნან სხუანი, და რამეთუ სარწმუნოებისა ჩუენისა წმიდაᲲ საზღვარი ყოველთა საყდრის მონაცვლეთა ურთიერთასთა კეთილად დაამტკიცეს, რომელსა წინააღუდგომელად თანაჯერᲫჩინებელ-იქმნნეს წინამძღუარნი და მნათობნი დიდისა ჰრომაელთა ეკლესიისანი და უქცეველად შჯულად დადვეს, რაᲲთა არღარაᲲ შეემატოს არცა დააკლდეს წარმოთქმულსა მას საზღვარსა სარწმუნოებისასა, არამედ მკადრებელიცა ამისთა ყოვლად ყოვლითურთ ეკლესიით განყრაᲲ ბრძანეს.

აწ უკუᲪ საღმრთომან გრიგოლი დიოლოღოსმან არამრავლითა ჟამითა შემდგომად მეექუსისა კრებისა გამოჩინებულმან ჰრომაელებრითა ხმითა და წერილითა იღმრთისმეტყუᲪლა. მხოლოᲲსა მამისაგან ოდენ გამოსლვაᲲ სულისა წმიდისაᲲ, ხოლო ზაქარია, რომელმან შემდგომად ასსამოცდა ხუთის წლისა აღწერილნი დიალოღოსისანი ელლენთა ენად გარდამოთარგმნნა, ნუგეშინისმცემელი სულიო, იტყჳს — მამისაგან გამოვალს და ძისა თანა ჰგიეს, რამეთუ წინამორბედისა იოანესაგან ისწავა ესე, რომელმან იხილა სული გარდამომავალი, ვითარცა ტრედი და დადგრომილი მის ზედა.

ხოლო ლეონ და ვენედიქტე დიდისა ჰრომისა უკუანასკნელთარე მღვდელთმთავართა საიდუმლოსა შიწა მღდელმემსხუჩრპლეობასა ელლადელთა ენითა შჯულდებულჰყვეს.

თქმაი მრწამსსა სარწმუნოებისასა თჳთ ჰრომსაცა შინა და სხუათა ყოველთა მის ქუჩშეთა ეკლესიათა რაჲთა არა სივიწრემან ჰრომაულისა ენისამან მიზეზი გმობისაი მოატყუუას; ესრეთვე ლეონ ფასის საცავი სამოციქულოჲსა ჰრომაელთა ეკლესიისაი განაღო, და ფარის სახენი ორნი საღმრთოსა მას საუნჯესა შინა დაკრძალულნი გამოიხუნა, რომელთა ელლინებრითა წერილითა და სიტყუთა აქუნდა კეთილადმსახური აღწერაი სარწმუნოებისაი და ამათი წესი მრავლისა ჰრომაელთაჲსა აღმოკითხვაი საჯა და ვიდრე პირველ მოხსენებულისა მის სერგი პატრიარქისა კონსტანტინუპოლელთაჲსამდე მღვდელთ მთავარნი ჰრომისანი დასაბამსა მღვდელობად მოსლვისასა განსამტკიცებლობითსა თჳსისა სარწმუნოებისასა წარსცემდეს ეპისტოლესა, ყოველთა საპატრიარქოთა საყდართა და მრწამსსა სარწმუნოებისასა უცვალებლად შთასწერდეს.

გარნა რად სახმარ არს მრავლის მეტყუჩლებაი ძე და მეუფე მამისაგან ღმრთისმეტყუჩლებს გამოსლვასა სულისასა და დიდი პავლე ესრეთ ჩანს მეტყუჩლად: „და ღათუ ჩუენ, გინა ანგელოზი ზეცით გახარებდეს გარეშე მისსა, რომელი გახარეთ თქუენ, შეჩუენებულ იყავნ და ვინ ეძიებდეს მოძღუარსა სხუასა, არათუ ბორგნეულ ქმნილ იყოს განცხადებულად“.

ამენ.

ხელნაწერიდან გადმოიტანა ზაზა სესიაშვილმა

ლოცვისა და ფსალმუნების შესახებ

1. ღმერთმა აგვიხილა გონების თვალი და უხვად დაგვაჯერტყა უსაზღვროდ მადლიანი კალთა, დაგვამწყალობა მრავალი ნიჭი მაგრამ არავინაა კაცთაგან ისეთი, რომ შეეძლოს ღირსეულად მიაგოს ღმერთს ამის სანაცვლოდ. დავითი ამბობს: „რაჲ მივაგო უფალსა ყოვლისავეთჳს, რომელი მომაგო მე?» (ფს. 115, 3). რაკიღა წინასწარმეტყველი იძათ მიმაღოთავს, ვისთვისაც ადვილი მისახვედრია ამ სიტყვებში ნაგულისხმევი, დაწვრილებით აღარ ჩამოთვლის იმ წყალობებს, ადამიანის გაჩენამდე რომ არსებობდა. იგი მხოლოდ ისეთ წყალობებზე ჩერდება, რომლებიც ადამიანს ღვთისგან ებოძა გაჩენის შემდგომ. რანი იყვნენ ისინი ადამიანის დაბადებამდე, ანუ ვიდრე ადამიანი ხორცს შეისხამდა, ღმერთს რაგვარი წყალობანი ჰქონდა უკვე განმზადებული მისთვის? ცა და დედამიწა, მთლიანად გარესამყარო და ცოტაოდენი შესაძლოა ზესამყაროსეულიც, რასაც სული ჩვენი გულისთვის შთაბერა. რამეთუ ეს ყოველივე არსებობდა ვიდრე ადამიანის შექმნამდე და არაფრისაგან ქმნილი, ჩვენთვის წინდაწინვე კაცთმოყვრულად იყო განმზადებული. რატომ არის, რომ უპირველესად იგი ეძლევა ამქვეყნად მოსულ ყოველ ძეხორციელს, საარსებოდ და შესატკბობად. ეს ხომ არც ჯილდოა რაიმე დამსახურების წილ, არც საზღაური, არამედ გაღებულია უანგაროდ, ვითარცა საჩუქარი ყოვლად სულგრძელი და მრავალმოწყალე ღვთისაგან, რომელსაც განურჩევლად ყველას დამწყალობება ხელეწიფება. „რა გაქუს?“ — კითხულობს პავლე — „რომელი არა მიგიღებიეს?“ (I კორ. 4, 7) „ანუ ვინ წინასწარ მირაჲმესცა მას და კუალად მიეგოს მას?“ (რომ. 11, 35). ასე, რომ თავს ვიკავებ ეგზომ მრავლისმომცველსა და ესოდენ მნიშვნელოვან საკითხში ჩაღრმავებისგან და მხედველობაში მაქვს მხოლოდ სამყარო, მასში არსებულით და ზესამყარო, ხოლო ჩვენ, შემყურეთ ამა წყალობათა, რომლითაც ღმერთმა

ბაჩენის დღიდანვე დაგვასაჩუქრა, საგონებელში გვაგდებს. ეს, თუ ვითარ შეიძლება ამის წილ სანაცვლოს მიგება.

მაინც რა წყალობანი გვიბოძა ისეთი გაჩენის შემდგომ, რომელთა გამო წინასწარმეტყველის თქმით, გამუდმებულ ბალში ვიმყოფებით ღვთის წინაშე? ოდეს ადამიანს ცნობისწადილი აღეძვრის იმის მიმართ, ვინც ხორცი შეასხა და შეუქმნა მთელი გარესამყარო, აღავლენს ღვთის დიდებას და მას რწმენითა და საქმეებით შეუდგება, რაც გარკვეულწილად წარმოადგენს კიდეც ადამიანისაგან ნაცვალსაგებს ღვთისათვის. რამეთუ ღმერთი მარადმჩქეფარე, უშრეტი წყარო სათნოებათა, მის მადიდებელთ ერთიორად განადიდებს. დამწყალობებულნი კვლავ შესაბამის მადლიერებას აღავლენენ თავიანთი მხრიდან, რაც სიტყვებში და საქმეებშიც განცხადდება. ასე გრძელდება მრავალგზის ნაცვალგების კანონისამებრ და ყალიბდება უთვალავი მონაგარი ურთიერთთანთვის — ადამიანისთვის ღმერთის მხრივ და ღმერთისთვის — მადლიერ ადამიანთა ჴხრიდან. ასე შეიცნო აბრაამმა შემოქმედი, მიაგო პატივი და დიდება ღმერთს და ღირს-იქმნა მოესმინა მისი ხმა და მიეღო ღვთაებრივი აღთქმაც: — წადი შენი ქვეყნიდან, შენი სამშობლოდან, მამაშენის სახლიდან იმ ქვეყანაში, რომელსაც მე გიჩვენებ. გაქცევ დიდ ხალხად, გაკურთხებ და განვადიდებ შენს სახელს და კურთხეულ იქნები. ვაკურთხებ შენს მაკურთხებელს და დავწყევლი შენს მაწყევარს; კურთხეულ იქნება შენში მიწიერთა მთელი მოდგმა". (დაბ. 12, 1-3).

ამგვარად, თავად ეს სიტყვებიცა და მათში განცხადებული აღთქმაც აბრაამს ღმერთისგან მიეცა, მის მიმართ აღვლენილი დიდების სანაცვლოდ. მან კვლავ ღვთის მორჩილებით წარმართა საქმეები, რის გამოც ხელახლა მოესმა: „ყოველსა ქუეყანასა, რომელსა შენ ჰხედავ, შენ მიგცე იგი და ნათესავსა შენსა უკუნისადმდე" (დაბ. 12, 15.).

სწორედ, ამას გულისხმობს თანმიმდევრულობა ურთიერთობაში — აბრაამის მხრივ ღმერთის წინაშე მისაგებელი ნიშანდებული რწმენით, სიტყვით და საქმით, აბრაამისთვის ღმერთის გამოცხადება, აღთქმაც და წყალობაც, რაც ვითარ შეიძლება გადმოიცეს ენამჭევრობის გარეშე, რადგან მათ გვერდით ხომ უეჭველად უნდა ვახსენოთ აბრაამის სხვა უდი-

დესი სასწაულმოქმედებანი, კანონები, წინასწარმეტყველებანი და ისიც, რომ მისგან არს მოდგმა მეფეთა, თავად ქრისტეც — მეუფე მეუფებათა და ღმერთი ჭეშმარიტი. ვინც ყურადღებით დააკვირდებოდა, შესძლებდა შეენიშნა, რომ არა მარტო აბრაამს, არამედ ღვთის ყოველ მაამებელს მსგავსი ბედი ეწევა.

მაშასადამე, ოდეს დავითმა გამოიკვლია, ასწონ-დასწონა იმქამინდელი თავისი ყოფა, ეუწყა ისიც, რაც იყო მის გაჩენამდე (რამეთუ ესეც მის გამო მოხდა), შეიცნო უზომო ღვთაებრივი მადლი, ის მადლი, რომელიც ჭეშმარიტად შვენის ღმერთს, ღმერთმა კი. ადამიანებთან ურთიერთობაში გამოაჩინა, ისიც გაიაზრა, რომ თავად ადამიანებს არაფერი გაგვაჩნია სანაცვლო ჩვენთვის ბოძებულ წყალობათა ტოლფასი, შეჰღაღადა: რაჲ მივაგოთ უფალსა ყოვლისავეთჳს, რომელი მომაგო მე? — რაკი არაფერი მოეძევებოდა ღვთის საკადრისი მისართმევად, სხვა რა გზა ჰქონდა, აღიარა ღვთისაგან გაღებული წყალობა მასზედ, შეავედრა მომავალში დამწყალობლებაც და წარსთქვა შემდეგი „სასუმელი ცხოვრებისა მოვიღო და სახელსა უფლისასა ვხადო“. (ფს. 115, 4). თუმცა არც ეს ჩაითვლება საზღაურად, რამეთუ რაც მეტს იღებს, მით უფრო მეტს ითხოვს მიეცეს, ნაცვლად იმისა, რომ თავად ზღოს. რადგან, თუკი მეუფისაგან დამწყალობლებული მუხლებზე დაეცემა და კვლავ მორიგ წყალობას შესთხოვს, ამით ხომ ვერაფერს მიუზღავს მეუფეს მიღებულ წყალობათა წილ. მან ხომ „სასუმელი ცხორებისა“ უწოდა ღვთისადმი სამადლობელ სადღეგრძელოს „ცხოვრების“ სანაცვლოდ. თუმცაღა წინასწარმეტყველი, სულიწმინდით მოსილი, მომავლის წინასწარ შემცნობი, ვითარცა ჩვენი მამამთავარი რწმენაში, თავის თავზე იღებს იმას, რაც ჩვენც გვეხება. „სასუმელი“ — ამბობს იგი — „ცხორებისა მოვიღო და სახელსა უფლისასა ვხადო“. ეს განცხადებაა ჩვენი ღმერთთან ზიარებისა, კავშირისა საიდუმლო ბარძიმთან, თანახმად ამისა, თამამი ლტოლვა ღვთისაკენ და ამავე მიზეზით ცხონებაც. თუკი ღვთისგან ბოძებული წყალობის სანაცვლოდ სხვა არაფერი გვაბადია, გარდა იმისა, რომ კვლავ ვილოცოთ ღვთისთვის, ოდეს ვიუსჯულოებთ ღვთის წინაშე ვითარცა დამნაშავენი, რითღა გამოვისყიდით

მას? რასაკვირველია ვერაფრით. რამეთუ სიკეთე უნდა ვაკეთოთ შეცოდებამდე და სიკეთე უნდა ვქმნათ, ოდეს შევცოდეთ ღვთის წინაშე, რაკიღა, არაფერი გაგვაჩნია საკადრისი შენდობის სანაცვლოდ, ცოდვებისაგან განკურნების შემთხვევაშიც არაფერი დაგვრჩენია, გარდა იმისა, რომ ვადიდოთ უფლის განუზომელი მოთმინება და დავაფასოთ მისი ღვთაებრივი გულმოწყალება.

მაინც რატომ ხდება, რომ — მე თქვენ მოგმართავთ ამჯერად, — არ გაგვაჩნია არაფერი მისაგებელი ღმერთისთვის, არც იმ წყალობის სანაცვლოდ, რომელიც მან მოგვაგო, არც იმ ცოდვების წილ, რომლითაც იგი შეურაცხვყავით, და ჩვენ უფრო და უფრო გავურბივართ ღვთის სადიდებელსაც და ლოცვებსაც? აი, ახლა მე ვხედავ ეკლესიას, სავსეს აქ შეკრებილი ხალხით და გული მევსება სიხარულით. წარსულიც მახსენდება, როს იდგა ჟამი რთველისა. (ამას გეუბნებით არა გაკიცხვის მიზნით, არამედ იმისთვის, რომ კეთილგონივრულად განსაჯოთ) — იყო ჟამი რთველისა და ეკლესიაშიც საგრძნობლად იკლო ღვთის სადიდებლად შეკრებილ და გულითად მლოცველთა რიცხვმა. ჩვეულებრივი დღეები ხომ საერთოდ ჩაკვდნენ მაშინ, ანდა კვირიაკეებში აღვავლინეთ განა ღვთისადმი ლოცვა და დიდება? მათ ღვთისა ეწოდებათ იმიტომ, რომ სწორედ, მაშინ უნდა მოვსწყდეთ ყოველგვარ გასართობს და თავი ვანებოთ ყოფით საქმიანობას. ან ყოველწლიური მოსავლიანობა საიდანღა გვაქვს? — ღვთისაგან არ არის ნუთუ ესეც? — ოდეს ჟამია ტკბობისა, რთველისა, განა მაშინ უფრო არ შეშვენის ღვთის სადიდებელს ჩვენიც დავურთოთ? ჩვენ კი, სავსებით უხეიროდ და უსამართლოდ მოვიქეცით, რასაც თან მოჰყვა კიდეც ხელისმოცარვაცა და ღვთისათვის ზურგის შექცევაც. რატომ ვსაუბრობ მაინცდამაინც ამაზე ამჯერად? — იმად, რომ ბევრნი რთველამდეც და რთველის შემდგომაც კვირიაკეებშიაც ვერ „გამოფხიზლებულან", საცისკრო ღვთისმსახურებას რომ დაესწრონ. ისეთებიც არსებობენ აქ შეკრებილთა შორის, რომლებსაც ერთმანეთთან მუსაიფში გაჰყავთ დრო, ნაცვლად იმისა, რომ ილოცონ და ადიდონ უფალი. ბევრი გაცილებით მეტ ყურადღებას უთმობს ზიზილპიპილებს, ვიდრე წმიდათაწმიდა სიტყვებს, ყიდვა-გაყიდვას, ვიდრე სულ-

მოუთქმელად წასაკითხ საღვთო წერილში განსწავლას. ასე და ამგვარად, ტაძარი იქცა დუქნად, „სახლი ლოცვისა", რაც იგივეა, რომ ვთქვათ, „სახლი ღვთისა" — „სახლ სავაჭროდ (იოან. 2, 16). აი, ეს ხალხი დაფუსფუსებს ჩვენს ირგვლივ, როგორც ხედავთ, ვითარცა მამალი ფუტკრები და თავად უსმინარნი, მოსმენას მოწყურებულთაც აბრკოლებენ.

რამ გამოიწვია მათი ასე დასნეულება? — თავი და თავი აძ ავადმყოფობისა იმაში მდგომარეობს, რომ არ მიაჩნიათ, ღვთისადმი ლოცვა-დიდებას, საღვთო წერილისა და ქადაგების მოსმენას თუ ძალუძს რაიმე სარგებლის მოტანა. ასე, რა თქმა უნდა, მხოლოდ ზოგიერთები ფიქრობენ (ვამბობ ზოგიერთები-მეთქი იმიტომ, რომ ეს სიტყვები ყველაზე როდი ვრცელდება. უსამართლობა იქნებოდა ამის თქმა). მაშასადამე, ზოგიერთები ამაში ვერავითარ სარგებელს ვერ ხედავენ, ფიქრობენ რომ უბრალოდ დრო გაჰყავთ ღვთის ლოცვა-დიდებაში და მეტი არაფერი. თვალსაჩინოებისთვის ის ფაქტიც კმარა, რომ მოაწევს თუ არა ჟამი სამეურნეო სამუშაოთა, იქნება ეს მკა, ან რთველი, ანდა რაიმე სხვა, რაც აუცილებელ საქმიანობად გვესახება, ისინი ღვთისმსახურების შეწყვეტასაც ითხოვენ, რასაც იმდენად დიდი ზიანი მოაქვს ცალკე ღვთისმსახურებასა და ცალკე ქრისტეში ცხოვრებისათვის, პირადად თქვენი სხეულებრივი ნეტარებისთვისაც, რომ შეუძლებელია გადმოგცეთ. ვინც უქმად მიიჩნევს ღვთისადმი ლოცვაში გატარებულ დროს, უარყოფს ლოცვასა და მთლიანად ყოფით საქმიანობაში იძირება, არ სწამს უფლისგან თქმული: „თჳნიერ ჩემსა არა რა ძალ-გიძსთ ყოფად არცა ერთი". (იოანე, 15, 5). არც ის უწყის, რომ სიკვდილ-სიცოცხლის ღმერთი ჩვენს ჯანმრთელობასა თუ ავადმყოფობასაც განაგებს და ვითარცა მისი საქმე იყო ჩვენი გაჩენა, მასვე ხელეწიფება შემოგვაძარცვოს ის, რითაც ვსულდგმულობთ, ვმოქმედებთ და ვარსებობთ. ურწმუნოს წარსული საუკუნის ამბები ვერ დაუჯერებია და აბა, იმას როგორღა ირწმუნებს, რაც მომავალში უნდა მოხდეს? თუ მტკიცედ არ სწამს მომავალი ცხოვრება, სიკვდილის შემდგომი სიცოცხლე, ანდა საშინელი სამსჯავრო, როგორღა იზრუნებს სათნოებათა მოსახვეჭად? ამაზეც მაქვს პასუხი. ყოველგვარი სათნოება, ჩადენილი არა ღვთისათვის,

არა აღთქმული სასუფეველისათვის არა, მარადიული ტანჯვის შიშით, არ არის სათნოება. თქვენთვის უკვე თვალნათელია, რომ შეუძლებელია გქონდეთ მტკიცე რწმენა ან გულწრფელი სათნოება, თუკი მთელი არსებით არ მიეცემით საეკლესიო ღვთისმსახურებას. რამეთუ ცხოვრებისეულ საქმეებს ღვთის შეწევნის გარეშე წარმატებით ვერ აღვასრულებთ. ეს ყოველივე ბეჯითად ლოცვით მიიღწევა.

თუმცა თქვენ მეტყვით — რამდენიც გინდა იმდენია ისეთი, რომელიც არც ეკლესიაში დადის ხშირად, არც იქ აღსრულებულ ლოცვებში ერთვება, და არა მარტო ხელი ეწყობა ცხოვრებაში, არამედ განცხრომაშია განდიდებული და ჯანსაღი. ახლოდან განვიხილოთ. რატომ არა გვაქვს მუდამ დალხენილი ცხოვრება? რად არის იგი არამყარი და ტანჯვით სავსე? იმიტომ, რომ ღმერთს არ მოვუხმობთ ამა თუ იმ საქმიანობისას, ამიტომ არც ის შეგვეწევა და ბოროტი მძლავრობს. ამგვარი დათმობის შედეგად არა მარტო უარესისკენ მიექანება ჩვენი საქმენი, არამედ სავალალო დასასრულიც აქვს, რამეთუ საკმარისია სულ მცირე ბიძგი, ანდა უმნიშვნელო საბაბი, ადამიანები ისე გაშმაგდნენ, რომ ერთნი გახდნენ მსხვერპლნი ძმისაგან მოღერებული მახვილისა, მეორენი კი, ცოცხლობდნენ ძმათა სისხლში შეღებილი ნებით, სულითა და ხელებით. რამეთუ გონება, რომელიც განუდგება ღმერთს, ადამიანს ამსგავსებს პირუტყვს ან ეშმაკს, აკარგვინებს ბუნებრივ იერს და ადამიანმა არ იცის, რას სჩადის, მისი ბუნებისათვის უცხო გაუმაძღრობისა და წრეგადასული სიხარბის მარწუხებში მოქცეული. იგი მთელი არსებით დანთქმულია ხორციელ გულისთქმებში, ვერაფრით ვერ კმაყოფილდება, სურს, პატივით ეპყრობოდნენ, როდესაც საქმიანობით ამას არ იმსახურებს, დაჟინებით ითხოვს, რომ ეპირფერებოდნენ, იწონებდნენ და ეთანხმებოდნენ მის ყოველგვარ განზრახვას. ხოლო მავანის აზრი მისას თუ არ დაემთხვა მთელი სიცხადით გააფთრებული, სიბრაზისა და ძალადობის წყალობით სისხლით ნათესავებთან ურთიერთობაშიც გველს ემსგავსება. ასე და ამგვარად, ადამიანი კაცისმკვლელი ხდება და ის, ვინც შეიქმნა ხატად და მსგავსად ღვთისა კაცისმკვლელი სატანის მინამგვანია. ყველაფერს ამას ერთი მიზეზი ეძებნება. გონება (სული) განე-

შორება ღვთისმოშიშებასა და ღმერთს იკიწყებს, უბოროტეს მტერს — სატანას უკაფავს გზას და მასთან წილნაყარი ხდება. თუკი წინდაწინ სულს განვაძლიერებთ უფლისადმი დიდებასა და ლოცვაში ნებისმიერი საქმის აღსრულებისას, ეშმაკი ჩვენს სულებში ვერ დამკვიდრდება და ამასთანავე, მზაკვართა დასნიც განგვეშორებიან. სამაგიეროდ, ჩვენს სულებს დაეუფლება უმწიკვლობა, პატიოსნება, სიმშვიდე, მორჩილება და სიყვარულით შეკავშირებულთ აუმღვრეველი და გაუბზარავი ცხოვრება გვექნება. ქრისტე — მეუფე ქვეყნისა. იქნება ჩვენს შორის მასთან თითოეული ჩვენგანის განუწყვეტელი კავშირის საფუძველზე.

ამიტომ, ვიდრე საქმეებში ჩავეფლობოდეთ, ყოველ ცისმარე ღვთის ეკლესია თავისკენ გვიხმობს წმინდა ბილებით[1]. ყოველდღიური კავშირი ღმერთთან ლოცვისა და ფსალმუნების გზით განაქარვებს ყოველგვარ გულარძნილებას, მათ გულს უცვლის სიკეთისაკენ, თრგუნავს ხორციელ ვნებათაღელვას, ებრძვის ანგარებიან ნებას, წარხოცავს მზვაობრობას, აოკებს შურს, დააცხრობს რისხვას, განაგდებს ღვარძლს გულში დაგუბებულს, განგვარიდებს გულისწყრომასა და უსიამოვნებებს. სანაცვლოდ, სათნოებანი, კანონიერებანი, კეთილდღეობანი მოაქვს ქალაქებისა და ოჯახებისთვის, სულთა და ხორცთათვის, მეუღლეთათვის, ამკვიდრებს მონასტრული ცხოვრების წესს და ერთი სიტყვით, იგი არის დასაბამი და განმამტკიცებელი ყოველი კეთილისა, და განგვარიდებს და გვათავისუფლებს ყოველგვარი ბოროტებისა და განსაცდელისგან. იონა, მორევში ჩათრეული და ზღვის ვეშაპის მიერ შთანთქმული, კვლავ დედამიწაზე რამ დააბრუნა, თუ არა ლოცვამ. ისმინე, თუ ვითარ დაგვემოწმება თავად: „ღაღად-ვყავ ჭირსა შინა ჩემსა უფლისა მიმართ ღმრთისა ჩემისა და შეისმინა ჩემი მუცლისაგან ჯოჯოხეთისა ღაღადებისა ჩემისა, ესმა ხმისა ჩემისა“ (იონა, 2, 3). ან სიკვდილის პირას მისული ეზეკია რაღამ დააბრუნა სიცოცხლეში, თუ არა ისევ ამან, ლოცვამ? მოწმეა ესაია, ამის მაუწყებელი: „ამათ ეტყვის უფალი... მეს-

---

[1] ბილები — ხის დაფები, რომლებიც ეკლესიაში ზარების მაგივრობას სწევდნენ.

მა ლოცვისა შენისა და ვიხილნე ცრემლნი შენნი. აჰა, შესძინე ჟამსა ზედა შენსა წელიწადი ათხუთმეტი". (ეს. 38, 5).დანიელი რაღამ იხსნა ლომის ხახისგან? საკმარისი იყო უარისთქმა ღვთისადმი ლოცვაზე, რომ გასამართლებულს შთააგდებდნენ „მღვიმესა ლომისასა". (დან. 6, 10-23). სამნი ყრმანი, ცეცხლში ჩაყრილნი, ცოცხლად რაღამ დაარჩინა? ყური დაუგდე, რას ამბობენ კოცონში: — „ყავ ჩუენ თანა სახიერებისაებრ შენისა და სიმრავლისაებრ წყალობისა შენისა... და ეც დიდება სახელსა შენსა, უფალო" (დან. 3, 42-43).

დროებით შევწყვიტოთ საუბარი ძველ აღთქმაში მოხსენიებულთა შესახებ და ყურადღება მივაქციოთ იმათ, რომელნიც თანახმად სახარებაში მოთხრობილისა მაღლით განიკურნენ უდიდესი შეჭირვებისგან. მკვდარი ასული იაიროსისა, შესაკრებელის მთავრისა — როგორც მოვისმინეთ დღეკანდელი ლუკას საკითხვაიდან, რამ გააცოცხლა, თუ არა ქრისტესადმი აღვლენილმა ლოცვამ? (ლუკ. 8, 41-42). ვინ უწყალობა თვალისჩინი ორ ბრმას? (მათ. 9, 27; 20, 30). განა „ერი" არ „ჰრისხუდა" ორთავეს დადუმებულიყვნენ, მაგრამ უფრო ხმამაღლა მღაღადებლებმა ხომ მიიღეს ის, რაზეც ასე ლოცულობდნენ (მათ. 20, 30-34). ანდა ქანაანელ დედაკაცს, მიუხედავად უკანონოდ მოპყრობისა და აბუჩად აგდებისა, რით განეკურნა ასული თუ არა დაჟინებული ლოცვით უფლისადმი? (მათ. 15, 22-28). ესეც გადავდოთ გვერდზე და გავიხსენოთ ჩვენი თანამემამულენი, ზეციური გეირგვინოსნები, მარადის უკვდავი და ჩვენგან მოწიწებით თაყვანისცემულნი. წამებულთა შორის საკვირველი ნესტორი, ვიდრე მოწამედ შეირაცხებოდა, გამოჩნდა ვითარცა მეორე დავითი და შეებრძოლა ახალ გოლიათს — ლიას. წმინდა ნესტორმა ჯერ გოლიათის თვალწინ ილოცა, შემდეგ შეება ლიას, ძლიერი მარცხი აგემა და შემუსრა ტირან მაქსიმიანეს გულგოროზობა. განა წმინდანებისადმი აღვლენილი ლოცვა არ შეეწია ამ დიდ საქმეში, უპირველესად კი მოწამებრივად აღსრულებული დიმიტრი ექმნა მეოხ წინაშე ღმრთისა (იხ. წმინდანთა ცხოვრება, 26 ოქტომბერი).

მაშასადამე, თუკი ლოცვა კუდით ქვას ასროლინებს ავადმყოფობას, განკურნავს კეთროვანთ, თვალისჩინს დაუბრუნებს

ბრმებს, ისსნის მხეცის ხახიდან ადამიანებს, როგორც სძელეთზე, ისე ზღვაში, ცოცხლად დაარჩენს კოცონში ჩაგდებულთ, გარდაცვლილთ მოაბრუნებს სიკვდილის კარიბჭიდან, აღადგენს მკვდართ, წარმოაჩენს ვითარცა ზეციურ გვირგვინოსნებს და ხილულ და უხილავ მტრებზე გამარჯვებულებად, საუცხოო საჩუქარს უძღვნის მათ, რომლებიც სულით და გულით ლოცულობდნენ, ნუთუ ნათელი არ არის, რომ ლოცვისადმი უგულისყურო დამოკიდებულების მიზეზით და დაუდევრობის წყალობით ჩვენ ხედ მძლავრობს უდიდესი შეჭირვებანი? რამეთუ „ითხოვდით" — ამბობს უფალი — „და მოგეცეს თქუჳენ. ეძიებდით, და ჰპოოთ; ირეკდით, და განგეღოს თქუჳენ. რამეთუ ყოველი, რომელ ითხოვდეს, მოიღოს, და რომელი ეძიებდეს, ჰპოვოს, და რომელი ირეკდეს, განეღოს". (მათ. 7, 7-8). და — „უკუეთუ თქუჳენ" — ამბობს იგი, — „უკეთურთა იცით მისაცემელი კეთილი მიცემად შვილთა თქუჳენთა, რაოდენ უფროსლა მამამან თქუენმან ზეცათამან მოჰსცეს კეთილი, რომელნი ჰსთხოვდნენ მას" (მათ. 7, 11). მაგრამ სადღა არიან „გულისხმისმყოფელნი", სადღა არიან „გამომეძიებელ ღმრთისაჲ". (ფს. 13, 2). რამეთუ, ოდეს გავიცნობიერებდით, თუ ვინ არის ჩვენი შემოქმედი, ვინ დაგვდო პატივი ხატად მისად ყოფნისა, ვინ დაგვასახლა სიამტკბილობის წმინდა წალკოტში, ჩვენ, გადაღრძუებულნი და ცოდვებით დამძიმებულნი, გაძევებულნი ედემის ბაღიდან, კვლავ თავისი ძალისხმევით განგვაახლა, აღგვადგინა, ძველი დიდებისა და საუკუნო ცხოვნებისაკენ მოგვიწოდა. თუკი ამას გავიაზრებდით, სულებს როდი დავიბინძურებდით ამაოებითა და წარმავალობით, არამედ სულმოუთქმელად მოვძებნიდით და ვიზრუნებდით იმაზე, რომელიც ძნელად თუ იპოვება და არც ირგვლივ ზიმოფანტულა. ჩვენ კი, თითქოსდა წყალს ვასხამთ გახვრეტილ კასრში, გაწყვეტილ ძაფზე ვაცვამთ ძვირფას ნივთებს. არ გაგაჩნია სიმდიდრე? არც განძეულობას ფლობ? გული ხომ მაინც გითქუამს? ეს საკმარისია, თავს დაგატყდეს ათასი ბოროტება. რამეთუ, ვითარცა ბრძანებს დიდი პავლე, „რომელთა ჰნებავს სიმდიდრე, შეჰსცვიან განსაცდელსა, და საფრთხესა და გულის-თქმათა მრავალთა უცნაურთა და მავნებელთა, რომელთა დაანთქნიან კაცნი მოსასრველად და წარსაწყმედ-

ლად", (1 ტიმ, 6, 9). ასე რომ, მხურვალედ ვითხოვოთ, ძმანო, ზეციური სიმაღლეები, დაე, მიველტვოდეთ სილაჟვარდეს, ვინძლო უწყინრად მოგვეცეს მიწიერი სიკეთე ამ საუკუნეში. შევიტკბოთ სიცოცხლე, რათა არც ზეციური კეთილდღეობა და მომავალი გაგვიქრეს მომავალ საუკუნეში კურთხევითა და კაცთმოყვარეობითა მეუფისა ჩუენისა იესო ქრისტესითა, რომელსა ჰშვენის დიდება და პატივი და თაყვანისცემა თანადაუსაბამოჲთ მამით თვისით და ყოვლადწმიდით სულითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ძველბერძნულიდან თარგმნა
ბაია ინდუაშვილმა

წმ. ეპისკოპოსი ეგნატე (ბრიანჩანინოვი)

«Веет от міра какою-то пустынею, или потому что я сам живу в пустыне, или потому, что и многолюдное общество, когда оно отчуждилось от Слова божія, получает характер пустыни».

(св. Еп. Игнатій,
писмо № 35)

სახარების კითხვის შესახებ

სახარების კითხვისას ნუ ეძიებ ტკბობას, ნუ ეძიებ აღფრთოვანებებს, ნუ ეძიებ ბრწყინვალე აზრებს; ეძიე, შეუბღალავად დაინახო წმიდა ჭეშმარიტება.

ნუ დასჯერდები სახარების მხოლოდ უნაყოფო კითხვას; ეცადე, შეასრულო მისი მცნებები, იკითხე ის საქმით. ეს ცხოვრების წიგნია და იგი ცხოვრებით უნდა იკითხო.

შემთხვევითი როდია, რომ წმიდათაწმიდა წიგნი, ოთხთავი, მათედან იწყება და იოანეს სახარებით მთავრდება. მათეს სახარებაში მეტი ყურადღება ეთმობა იმას, თუ როგორ აღვასრულოთ ღვთის ნება, მასში გადმოცემული რჩევები განსაკუთრებით ახლადმოქცეულებს მიესადაგება; იოანეს სახარება ასახავს ღმერთის შეერთებას მცნებებით განახლებულ ადამიანთან, რაც მხოლოდ და მხოლოდ ღვთის გზაზე წარმართებულთათვისაა მისაწვდომი.

როდესაც წმიდა სახარებას გადაშლი, გახსოვდეს, რომ იგი შენს მარადიულ ხვედრს გადაწყვეტს. მისით განვისჯებით, და ამ ქვეყნად მის მიმართ ჩვენი დამოკიდებულებისდა მიხედვით ან მარადიული ნეტარება მოგვეგება, ან მარადიული სასჯელი[1].

ღმერთმა საკუთარი ნება გამოუცხადა ადამიანს — უმნიშვნელო მტვერს! წიგნი, რომელშიც ეს დიადი და ყოვლადწმიდა ნებაა გადმოცემული, შენს ხელთაა. შეგიძლია, შემოქმედისა და მხსნელის ნება სურვილისამებრ მიიღო, ან უარყო. შენი

---

[1] იოანე 12, 48.

მარადიული სიცოცხლე და მარადიული სიკვდილი შენ გეკუთვნის: განსაჯე, რამდენად ფრთხილი, და კეთილგონიერი უნდა იყო. ნუ ეთამაშები შენს მარადიულ ხვედრს!

უფლის მიმართ ილოცე, შემუსვრილი სულით, რათა მან განანათლოს თვალნი შენნი და განიცადო საკვირველებანი შჯულისა მისისანი[2], — სახარებისა. თვალი გეხილება და აღჩნევ ღვთის სიტყვის მეშვეობით ცოდვებისაგან სულის გასაოცარ განკურნებას. ხორციელ უძლურებათა განკურნება მხოლოდ სულის განკურნების დამადასტურებელი იყო, დამადასტურებელი ხორციელ კაცთათვის, ავხორცობით დაბრმავებულ გონებათათვის[3].

იკითხე სახარება უკიდურესი მოკრძალებითა და ყურადღებით. მასში ნურაფერს მიიჩნევ მცირემნიშვნელოვნად, განხილვისათვის მცირედღირებულად. ყოველი მისი სიტყვიდან სიცოცხლის სხივი გამოკრთის, სიცოცხლის უგულვებელყოფა კი სიკვდილია.

როდესაც უფლის მიერ განკურნებულ კეთროვანთა, უძლურთა, ბრმათა, მკელობელთა, ეშმაკეულთა შესახებ კითხულობ, იფიქრე, რომ ცოდვის მრავალგვარი წყლულის მატარებელი, დემონთა ტყვეობაში მყოფი შენი სული ამ სნეულთა მსგავსია. სახარებისაგან ისწავლე რწმენა იმისა, რომ უფალი, რომელმაც ისინი განკურნა, შენს მხურვალე ვედრებასაც შეისმენს და კურნებას მოგმადლებს.

ისეთი სულიერი განწყობა მოიპოვე, რომ კურნების მიღება შესძლო. მისი მიღების უნარი გააჩნია მას, ვინც საკუთარ ცოდვებს გრძნობს, ვისაც გადაწყვეტილი აქვს, მათ განუდგეს[4]. ამპარტავან მართალს, ანუ ცოდვილს, რომელიც თავის ცოდვებს ვერ ხედავს, არ ესაჭიროება, მისთვის უსარგებლოა მხსნელი[5].

ცოდვების ხედვა, ხედვა იმ დაცემისა, რომელშიც მთელი ადამის მოდგმა იმყოფება, განსაკუთრებული მადლია ღვთისა. იეროვე ეს მადლი, და შენთვის უფრო გასაგები გახდება სახარება — წიგნი ზეციური მკურნალისა.

შეეცადე, სახარება გონებასა და გულს შეეთვისოს, რათა

---

[2] ფსალმუნი 118; 18. [3] ლუკა 5; 24. [4] იოანე 9; 39, 41. [5] მათე 9; 13.

გონება მასში ეფლობოდეს, მასში ცხოვრობდეს: მაშინ შენი მოღვაწეობაც იოლად გახდება სახარებისეული. ამას სახარებს განუწყვეტელი კითხვითა და შესწავლით შეიძლება მიაღწიო.

ძველი მამების ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, ღირსმა პახუმი დიდმა წმიდა სახარება ზეპირად იცოდა, და ღვთის გამოცხადებისამებრ თავის მოწაფეებსაც მისი შესწავლის აუცილებლობას შეაგონებდა. სახარება ყველგან თან სდევდა და მარადის ხელმძღვანელობდა მათ[6].

და ახლა, განა არ სჯობს, ქრისტიანმა აღმზრდელებმა უცოდველი ბავშვის გონება სახარებით გაალამაზონ, ვიდრე ეზოპეს იგავებითა და სხვა არარაობებით დაანაგვიანონ?

რა ბედნიერებაა, რა სიმდიდრეა, — მეხსიერებაში აღიბეჭდო სახარება! შეუძლებელია, წინასწარ განსჭვრიტო ის გადატრიალებები და უბედურებები, რომელიც მიწიერი ცხოვრების განმავლობაში შესაძლოა, თავს დაგვატყდეს. სახარება, რომელიც მეხსიერებას ეკუთვნის, ეკითხება ბრმებს, საპყრობილეში თან ახლავს პატიმარს, საკუთარი ოფლით მორწყულ ყანაში ესაუბრება მიწათმოქმედს, სამსჯავროს დროს არიგებს მსაჯულს, ვაჭრობისას ხელმძღვანელობს ვაჭარს, ახარებს ავადმყოფს დამღლელი უძილობისა და აუტანელი მარტოობის ჟამს.

არ გაბედო, თავად განმარტო სახარება და საღმრთო წერილის სხვა წიგნები! საღმრთო წერილი წმიდა წინასწარმეტყველების და მოციქულების მიერ არის დაწერილი, დაწერილი არა თვითნებურად, არამედ სულიწმიდის ჩაგონებით[7]. განა უგუნურება არაა, იგი თვითნებურად განმარტო?

სულიწმიდამ წინასწარმეტყველთა და მოციქულთა პირით წარმოთქვა, ხოლო წმიდა მამების მეშვეობით განმარტა ღვთის სიტყვა. ღვთის სიტყვაც და მისი განმარტებაც — სულიწმიდის მადლია. მხოლოდ ამ ერთადერთ განმარტებას ღებულობს წმიდა მართლმადიდებელი ეკლესია! მხოლოდ ამ ერთადერთ განმარტებას ღებულობენ მისი ჭეშმარიტი შვილები!

---

[6] პახუმი დიდის ცხოვრება. Vies des Pères des déserts d' Orient par le R. P. Michel—Ange—Manin.
სახარება ზეპირად იცოდა წმიდა ტიხონ ვორონეველმა.

[7] 2 პეტრე 1; 21.

ვინც სახარებას და მთელს საღვთო წერილს თვითნებურად განმარტავს, ის ამით უარყოფს მის განმარტებას წმიდა მამების, სულიწმიდის მიერ. ვინც უარყოფს საღვთო წერილის განმარტებას სულიწმიდის მიერ, ეჰვგარეშეა, ის უარყოფს თვით საღმრთო წერილსაც.

და მათთვის, ვინც მას კადნიერად განმარტავს, ღვთის სიტყვა, ხსნის სიტყვა სასიკვდილოა, ორლესული მახვილია, რომლითაც ისინი თვითონვე განიგმირავენ თავს, რათა საუკუნოდ წარწყმდნენ[8]. ასე წარიწყმიდეს სული არიოზმა, ნესტორმა, ევტიხიმ და სხვა მწვალებლებმა, რომლებიც საღმრთო წერილის თვითნებური და კადნიერი განმარტებით ღვთისმგმობელობაში ჩავარდნენ.

„და ვის ზედა მივიხილო, არამედ ანუ მდაბალსა ზედა და მყუდროსა და მძრწოლარესა სიტყუათაგან ჩემთა?"[9] — ამბობს უფალი. ასეთი იყავი სახარებისა და მასში დაფარული უფლის მიმართ.

დაუტევე ცოდვით სავსე ცხოვრება, დაუტევე მიწიერი მიდრეკილებანი და განცხრომანი, უარყავ სული შენი, მაშინ სახარება შენთვის მისაწვდომი და გასაგები გახდება.

„რომელსა სძულდეს სული თვისი ამის სოფელსა", თქვა უფალმან, — სული, რომლისათვისაც დაცემის გამო ცოდვისადმი სიყვარული თითქოს ბუნებრივი, თითქოს ცხოვრებისეული გახდა, — „ცხოვრებად საუკუნოდ დაიმარხოს იგი"[10]. სახარება დახურულია მისთვის, ვისაც საკუთარი სული უყვარს, მისთვის, ვინც ვერ ბედავს, თავი გასწიროს; ის ასოებს კითხულობს, ხოლო ცხოვრების სიტყვა, როგორც სული, მისთვის შეუღწევი კრეტსაბმელის მიღმა რჩება.

— როდესაც ხორცშესხმული ღმერთი დედამიწაზე იმყოფებოდა, მრავალმა იხილა იგი, მაგრამ ვერ დაინახა. რაღა სარგებელია, თუ ადამიანი ცხოველთა მსგავსად ხორციელი თვალებით იცქირება, მაგრამ ვერაფერს ხედავს სულიერი თვალით— გონებითა და გულით? ახლაც ბევრი ყოველდღიურად კითხუ-

---

[8] 2 პეტრე 3; 16. 2 კორინთელთა 2; 15, 16. [9] ესაია 66; 2.
[10] იოანე 12; 25.

ლობს სახარებას, და ამასთანავე, არასოდეს წაუკითხავს იგი, სრულიად არ იცნობს მას.

სახარება წმინდა გონებით იკითხება — თქვა რომელიღაც ღირსმა მეუდაბნოე მამამ, — გასაგები ხდება მისი მცნებების თვით საქმით შესრულებისდა მიხედვით. მაგრამ შეუძლებელია, სახარების ზუსტ და სრულყოფილ შეცნობას საკუთარი ძალისხმევით მიაღწიო: ეს — ქრისტესმიერი მადლია[11].

როდესაც სულიწმიდა თავის ჭეშმარიტ და ერთგულ მსახურში დაისადგურებს, მას სახარების სრულყოფილ მკითხველად და ჭეშმარიტ შემსრულებლადაც აქცევს.

სახარება იმ ახალი ადამიანის თვისებებს გამოხატავს, რომელიცაა „უფალი ზეცით“[12]. ეს ახალი ადამიანი ღვთაებრივი ბუნების მქონეა. ღმერთი მადლით განაღმრთობს ადამიანთა იმ წმიდა მოდგმას, რომელთაც მისი სწამთ და რომელთაც მისებრ იცვალეს ფერი.

თქვენ, ვინც ცოდვათა მყრალსა და ბინძურ ჭაობში ეფლობით, მასში განცხრომას პოულობთ! ასწიეთ თავი, შეხედეთ მოწმენდილ ცას! იქ არის თქვენი ადგილი! ღმერთი ღვთაებრივ ღირსებას გიბოძებთ; თქვენ უკუაგდებთ ამ ღირსებას, და ირჩევთ მეორეს: ღირსებას პირუტყვთა, თანაც ყველაზე უფრო უწმინდურთა. გონს მოეგეთ! დაუტოვეთ მყრალი ჭაობი; ცოდვათა აღსარებით განიწმიდეთ; სინანულის ცრემლით განიბანეთ; ლმობიერების ცრემლით გამშვენდით; აღემართენით მიწიდან; ამაღლდით ზეცად: იქ სახარება აგიყვანთ. „ეიდრე ნათელი გაქუს“, — სახარება, რომელშიც დაფარულია ქრისტე — „გრწმენინ ნათელი, რაჲთა ძე ნათლისა“ — ქრისტესი — „იყვნეთ“[13].

თარგმნა მარიამ კობახიძემ.

---

[11] ღირსი მარკოზ მოღვაწის „სულიერი კანონის შესახებ“. თავი 32; «Доброт». Ч. 1. [12] I კორინთელთა 15; 47.

[13] იოანე 12; 36.

სინანულისათვის

„შეინანეთ და გრწმენინ სახარებისა! შეინანეთ, რამეთუ მოახლებულ არს სასუფეველი ცათა“ (მარკ. 1, 15). ესაა ღმერთკაცის ქადაგების პირველი სიტყვები. უფალი დღემდე გვიმეორებს ამ სიტყვებს სახარების მეშვეობით.

როდესაც მიწაზე მეტისმეტად მომძლავრდა ცოდვა, მაშინ მაღლით ყოვლადძლიერი მკურნალი მოგვეველინა. იგი მოვიდა ჩვენი დევნულების, გვემისა და ვაების ქვეყანაში, რომლის ყველა სატანჯველი ჯოჯოხეთის საუკუნო ტანჯვათა წინამავალია, და გვახარა ხსნა, სასოება, კურნება ყოველთა კაცთა, გამონაკლისის გარეშე. შეინანეთ!

სინანულის ძალა ღმრთის ძალაზეა დაფუძნებული — მკურნალიც ყოვლადძლიერია და მის მიერ მოვლენილი კურნებაც. დედამიწაზე ქადაგების ჟამს უფალი განკურნებისაკენ მოუწოდებს ყველას, ვინც ცოდვით იყო სნეული, მას არავითარი ცოდვა არ მიუჩნევია უსაშველოდ, და დღესაც ყველას მოუწოდებს, აღუთქვამს და მიჰმადლის კიდეც ყოველი ცოდვის მიტევებას, ყოველი სატკივარის კურნებას.

ჰოი, სტუმარნო ამა სოფლისანო! თქვენ, ვისაც გიზიდავთ ფართო გზა, ამქვეყნიური ზრუნვის, შექცევის და მხიარულების შეუნელებელი ხმაურით სავსე, თქვენ, ვინც ამ გზით ყველასათვის ცნობილი და ყველასაგან დავიწყებული აღსასრულისკენ — პირქუში კუბოსკენ და კიდევ უფრო პირქუში მარადისობისკენ მიექანებით, შეჩერდით! ჩამოიბერტყეთ ამაო სოფლის ხიბლი, მუდამ მონობაში რომ გამყოფებთ! ისმინეთ, რას გამცნებთ მაცხოვარი, ჯეროვანი ყურადღება მიაგეთ მის სიტყვებს! „შეინანეთ და გრწმენინ სახარებისა, შეინანეთ, რამეთუ მოახლებულ არს სასუფეველი ცათა“.

სტუმარნო ამა სოფლისანო, შეისმინეთ ეს მთავარი, მხსნელი შეგონება, სხვაგვარად ისე მიაღწევთ საფლავს, ხრწნილებისა და მარადისობის კარიბჭეს, რომ სწორ წარმოდგენას ვერც მარადისობაზე მოიპოვებთ და ვერც საკუთარ მოვალეობებზე ამ მარადისობაში შებიჯების წინ, და მხოლოდ სამართლიან სასჯელს განიმზადებთ თქვენი ცოდვების გამო. ცოდ-

ვათა შორის კი, უმძიმესია მაცხოვრის სიტყვების არად ჩაგდება, მაცხოვრის შეურაცხყოფა. შეინანეთ!

ცრუ და მაცთურია ამქვეყნიური ცხოვრების გზა: ახლადმოსულს იგი ათასგვარი მოვლენებით სავსე უსასრულო ასპარეზად ეჩვენება, იმას კი, ვინც უკვე გალია იგი, ფუჭი ზმანებებით მოფენილ უმოკლეს ბილიკად. შეინანეთ!

სახელიც, სიმდიდრეცა და სხვა ხრწნადი უპირატესობებიც, რომელთა მოხვეჭასაც დაბრმავებულმა ცოდვილმა მთელი ამქვეყნიური ცხოვრება, სულისა, და ხორცის ყველა ძალა შეალია, უნდა დატოვოს იმ წუთებში, როდესაც სულს იძულებით შემოაძარცვავენ სამოსს — სხეულს და ანგელოზები წარადგენენ ღმრთის სამსჯავროზე, კაცთათვის უცნობ და კაცთაგან დავიწყებულ სამსჯავროზე. შეინანეთ!

ძმებო! სახარების შუქზე მიუკერძოებლად დავაკვირდეთ ჩვენს ცხოვრებას — არარაობაა იგი! ყველა მის სიკეთეს გვტაცებს სიკვდილი, ხშირად კი, სიკვდილზე უფრო ადრეც ვკარგავთ სხვადასხვა მოულოდნელ გარემოებათა გამო. ეს ხრწნადი, მსწრაფლწარმავალი სიკეთეები არც კი არიან იმის ღირსნი, რომ სახელად სიკეთეს ვუწოდებდეთ. მათ უფრო ტყუილის, ქსელის სახელი შეჰფერით. ამ ქსელში გაბმულხი და შიგ გახლართულნი აკლდებიან ზეციურ, ჭეშმარიტ, მარადიულ სიკეთეებს, რომელთაც გვანიჭებს ქრისტეს სარწმუნოება და შედგომა ქრისტესი, სახარების მიხედვით ცხოვრების საიდუმლო გზა. შეინანეთ!

რა მწარედა ვართ დაბრმავებულნი! რა ნათლად ჩანს ამ დაბრმავებით ჩვენი დაცემა! ვხედავთ ჩვენს ძმათა სიკვდილს. ვიცით, რომ ჩვენც უცილობლად, და ვინ იცის, იქნებ ძალიან მალეც, მოგველის იგი, რამეთუ კაცთაგან არავინ დარჩენილა სამუდამოდ ამქვეყნად. იმასაც ვხედავთ, რომ ბევრს სიკვდილამდე უმუხთლებს ხოლმე წუთისოფელი და ყოველდღიური სიკვდილის მსგავს სატანჯველში ვარდება. და ასეთი აშკარა გამოცდილების მიუხედავად მაინც ისე მიველტვით დროებით სიკეთეებს, როგორც რაღაც უცვალებელსა და მარადიულს. მხოლოდ მათზეა მიჯაჭვული ჩვენი გულისყური! ღმერთო დაგვავიწყდა! დაგვავიწყდა დიადი და თანაც სასტიკი მარადისობა. შეინანეთ!

გვიმტყუნებს, ძმებო, უცილობლად გვიმტყუნებს ყველა ხრწნადი სიკეთე: მდიდარს — სიმდიდრე, სახელოვანს — სახელი, ჭაბუკს — სიჭაბუკე, ბრძენს — სიბრძნე. ერთადერთი, მარადიული, უმთავრესი სიკეთის მოხვეჭა ხელეწიფება კაცს — ესაა ჭეშმარიტი შეცნობა ღმრთისა, მასთან შერიგება და შეერთება, რასაც ქრისტე გვანიჭებს. მაგრამ ამ უზენაეს სიკეთეთა მოსაპოვებლად აუცილებელია დავუტევოთ ცოდვილი ცხოვრება და მოვიძაგოთ. შეინანეთ!

შეინანეთ! და რას ნიშნავს სინანული? ეს ნიშნავს შევიხანოთ ჩვენი ცოდვები და მეტად აღარ ვცოდოთ — ასე უპასუხა ამ შეკითხვას პიმენ დიდმა. ამ გზით მრავალი ცოდვილი წმინდანად იქცა და მრავალმა უსჯულომ მართალის სახელი დაიმკვიდრა.

შეინანეთ! მოიკვეთეთ არა მარტო აშკარა ცოდვები — კაცისკვლა, პარვა, მრუშობა, ცილისწამება, ტყუილი, არამედ განადეთ დამღუპველი შექცევა, ხორციელი ტკბობა, არაწმიდა ოცნებები, უსჯულო ზრახვები — ყველაფერი, უკლებლივ ყველაფერი, რასაც სახარება გვიკრძალავს, გულწრფელი სინანულის ცრემლში განბანეთ უწინდელი ცოდვილი ცხოვრება.

სასოწარკვეთილი და სულიერ დახსნილებას მიცემული ნუ ეტყვი შენს თავს: „მძიმე ცოდვებში ჩავვარდი, ამდენი ხნის ცოდვილი ცხოვრებით ბოროტი ჩვევები შევიძინე, ისინი თითქოს ბუნებრივ თვისებებად მექცნენ, ამიტომ ჩემთვის უკვე შეუძლებელია სინანული“ (მაკარი დიდი, სიტყვა 7, თავი 2). ამ უიმედო აზრებს ჩაგძახის შენი ცხოვნების მტერი, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ ხედავ და არ იცნობ (მაკარი დიდი, იქვე). იცის ეშმაკმა სინანულის ძალა, შიშობს იმან არ გამოსტაცოს შენი თავი კლანჭებიდან და ცდილობს გაგიტყუოს ჭეშმარიტი გზიდან, ამისთვის ღმრთის ყოვლადძლიერ წამალს, სინანულს, უძლურებას სწამებს.

ვინც სინანული დაგიწესა, შენი შემოქმედია, რომელმაც არარაისგან შეგქმნა. მით უფრო ძალუძს კვალად აღგაშენოს, ძალუძს შესცვალოს შენი გული. ცოდვისმოყვარე გული აქციოს ღმრთისმოყვარედ, გრძნობადი, ხორციელი, ავისმზრახველი, ვნებას დამონებული გული სუფთა, განწმენდილ გულად ქმნას.

ძმებო! გულისხმავყოთ ღმრთის გამოუთქმელი სიყვარული კაცთა დაცემული მოდგმისადმი. უფალი განკაცდა, რათა ამით თავს-ედო ადამიანების წილხვედრი სასჯელი, და თავისი ჯვარცმით გამოეხსნა დამნაშავენი. რამ მოიყვანა იგი აქ, მიწაზე, ჩვენი დევნულების მხარეში? სიმართლემ ჩვენმა? არა! იგი მოიყვანა იმ უბადრუკმა ყოფამ, რომელშიც ჩვენი ცოდვილი ცხოვრების გამო ჩავცვივდით.

გავმხნევდეთ, ცოდვილნო! ჩვენთვის, სწორედ ჩვენთვის აღასრულა უფალმა დიადი საქმე თავისი განკაცებისა, ჩვენს სნეულებებს მოხედა მიუწვდომელი მოწყალებით. დავეტევოთ მერყეობა! დავუტევოთ სასოწარკვეთილება და ეჭვები! შევიმოსოთ სარწმუნოება, გულმოდგინება, მადლიერება და შევუდგეთ სინანულს. ხოლო სინანულის მეშვეობით შევეურიგდეთ ღმერთს. „და უშჯულომან უკუეთუ მოაქციოს ყოველთაგან უშჯულოებათა, რომელნი ქმნნა, და დაიცვნეს ყოველნი მცნებანი ჩემნი, და ყოს მსჯავრი და სიმართლე და წყალობა, ცხოვნებით ცხოვნდეს და არა მოკუდეს. ყოველნი უსამართლოებანი მისნი, რომელნი ქმნნა, არა აღეხსენნეს მას, სიმართლესა შინა მისსა, რომელნი ქმნნა, ცხოვნდეს“ (ეზეკ. 18, 21-22). ამას ამცნებს უფალი ცოდვილს თავისი დიდი წინასწარმეტყველის პირით.

ჩვენი სუსტი ძალების შესაბამისად შევემსგავსოთ უფლის დიდ სიყვარულს ჩვენდამი, რამდენადაც შეუძლია შეემსგავსოს უფლის სიყვარულს მისი ხელით ქმნული, დაცემული ნათესავი კაცთა: შევინანოთ! შევინანოთ არა მხოლოდ სიტყვით, არა მხოლოდ ხანმოკლე, უმნიშვნელო ცრემლით, არა მხოლოდ გარეგნული მონაწილეობით საეკლესიო ღმრთისმსახურებაში და საეკლესიო წესების შესრულებით, რასაც ფარისევლები სჯერდებოდნენ, არამედ ცრემლსა და გარეგნულ ღმრთისმოშიშობასთან ერთად ვყოთ ნაყოფი, ღირსი სინანულისა: ცოდვილი ცხოვრება დავუტევოთ და სახარების მცნებებს მივდიოთ.

„რაჲსათვის მოსწყდებით, სახლო ისრაელისაო?“ (ეზეკ. 18, 31)? რისთვის მოსწყდებით მარადიული სიკვდილით, ქრისტეანებო,თქვენი ცოდვების გამო? რისთვის ავსებთ ჯოჯოხეთის ჯურღმულს, თითქოს ქრისტეს ეკლესიაში არც კი

არსებობდეს ყოვლისშემძლე სინანული? ეს უსასრულოდ კეთილი ნიჭი მიეცა სახლსა ისრაელისასა — ქრისტეანებს, და ნებისმიერ დროს, ნებისმიერი ცოდვის მიუხედავად ერთნაირი ძალით მოქმედებს: განწმენდს ყველა ცოდვას, აცხოვნებს ყოველს, ვინც ღმერთს შეუვრდება, თუნდაც ეს მისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში მოხდეს.

„რაჲსათვის მოსწყდებით, სახლო ისრაელისაო“? ქრისტეანები იმიტომ კვდებიან მარადიული სიკვდილით, რომ მთელი ამქვეყნიური ცხოვრების მანძილზე ერთადერთი რამით არიან გართულნი: ნათლისღებისას დადებულ აღთქმებს არღვევენ, ცოდვას ემონებიან, უგულვებელყოფენ უფლის სიტყვას, რომელიც მათ სინანულისკენ მოუწოდებს. თვით სიკვდილის წინაც კი, უკანასკნელ წუთებში, ვერ ახერხებენ სინანულის ყოვლისშემძლე ძალის გამოყენებას! ვერ ახერხებენ, რამეთუ არავითარი წარმოდგენა არა აქვთ ქრისტეანობაზე, ან თუ აქვთ, ერთობ ნაკლული და უთავბოლო, რომელსაც სრული უმეცრების ნახელი უფრო შეჰფერის, ვიდრე რაიმე ცოდნისა.

„ცხოველ ვარ მე“, იტყვის უფალი, თითქოს იძულებულია ამით დაარწმუნოს ურწმუნონი და გულისხმა შთაბეროს უგულისხმოებს, — „არა მინებს მე სიკვდილი უთნოისა, ვითარ მოქცევა მისი გზისაგან მისისა და ცხოვრება მისი“ (ეზეკ. 33, 11) „რაჲსათვის მოსწყდებით, სახლო ისრაელისაო“?

იცოდა ღმერთმა კაცთა უძლურება, იცოდა რომ ისინი ნათლისღების შემდეგაც განაგრძობდნენ ცოდვილ ცხოვრებას, ამიტომ დააწესა თავის ეკლესიაში სინანულის საიდუმლო, რომელიც აღხოცს ნათლისღების შემდეგ ჩადენილ ცოდვებს. სინანული თან უნდა ახლდეს ქრისტეს რწმენას, წინ უნდა უძღოდეს ნათლისღებას, ხოლო მის შემდეგ უნდა განაქარვოს ქრისტეს რწმენას შედგომილი და ნათელღებული კაცის ცოდვები.

როდესაც იერუსალიმიდან და მთელი იუდეიდან მოდიოდნენ იოანესთან, სინანულის მქადაგებელთან, რათა ნათელეღოთ იორდანეში, თან თავიანთ ცოდვებსაც აღიარებდნენ მის წინაშე. იოანე კიბისაღმწერელი (სიტყვა 4) ამბობს, ეს იმიტომ როდი ხდებოდა, რომ იოანე ნათლისმცემელს მათი ცოდვების ცოდნა რადმე ჭირდებოდა, არამედ იმიტომ, რომ

სინანულის სიმტკიცისათვის ცოდვების მონანიებასთან ერთად მათი აღიარებაც იყო საჭიროო.

იგივე წმ. მამის თქმით, სულს, რომელმაც იცის, რომ მოვალეა აღიაროს თავისი ცოდვები, ეს ცოდნა აღვირს ასხამს, ეხმარება, რომ აღარ გაიმეოროს ისინი, და პირიქით, აუღიარებელი ცოდვები სიბნელეში ჩადენილს ჰგვანან, მათ გამეორებას არაფერი უდგას წინ.

ცოდვების აღიარებით ირღვევა მათთან კავშირი. ცოდვების სიძულვილი ვეშმარიტი სინანულის ნიშანია, ღმრთის სათნო ცხოვრების წესის არჩევის ნიშანი. თუ ცოდვების ჩადენას მიეჩვიე, მათ აღიარებასაც მოუხშირე და მალე გათავისუფლდები ცოდვების ტყვეობისგან, მაშინ მსუბუქად და სიხარულით შეუდგები უფალ იესო ქრისტეს.

ვინც ნიადაგ ღალატობს თავის მეგობრებს, იმას მეგობრები მტრებად უხდებიან და შორდებიან, როგორც მოღალატეს, მათი დაღუპვის მოსურნეს. ასევე, ვინც აღიარებს თავის ცოდვებს, იმას სტოვებენ ისინი, რამეთუ დაცემული ბუნების სიამაყეს ეფუძნებიან და ვერ უძლებენ მხილებას, შერცხვენას.

ვინც განზრახს, შეგნებულად სცოდავს იმის იმედით, მერე მოვინანიებო, ის თვით ღმერთის მიმართ იქცევა მზაკვრულად. განზრახ და შეგნებულად მცოდველს უცაბედი სიკვდილი ეწევა და არ ეძლევა ის დრო, რომელიც მოსანანიებლად ჰქონდა განსაზღვრული.

აღსარების საიდუმლოთი აღიხოცება ყოველი ცოდვა, ჩადენილი სიტყვით, საქმით, გულისხმისყოფით. იმისათვის, რომ გულიდან ამოიძირკვოს დიდი ხნის ფესვგადგმული ცოდვილი ჩვევები, დროა საჭირო, საჭიროა მუდმივი სინანული. მუდმივი სინანული კი ნიშნავს მუდმივ შემუსვრილებას გულისას, ბრძოლას გულისთქმებსა და გრძნობებთან, რომლებიც გულში ჩაბუდებული ცოდვილი ვნებების გამოვლინებას წარმოადგენენ, ხორციელი გრძნობებისა და მუცლის დათრგუნვას, სიმდაბლით ლოცვას და ხშირ აღსარებას.

ძმებო! ნებსით ცოდვით დავკარგეთ წმიდა უბიწოება, რომლისათვისაც უცხო იყო არა მარტო ცოდვა, არამედ ბოროტის შეცნობაც. ამ უბიწოების სულიერი ნათლით მოსილნი

მოვედით სოფლად, შემოქმედის ხელით ქმნულნი, ჩვენ კი ის უბიწოებაც დავკარგეთ, ნათლისღებით განახლების შემდეგ რომ მოგვენიჭა, ჩვენი შესამოსელი, მხსნელის მიერ განსპეტაკებული, ცხოვრების გზაზე ათასგვარი ცოდვით შევბღალეთ. ერთიღა დაგვრჩა განსაბანად — წყალი სინანულისა. და რა მოგველის, თუ განბანის ამ გზასაც უგულვებელვყოფთ? წარვუდგებით უფალს ცოდვით დამახინჯებული სულებით, რისხვით მოხედავს ღმერთი შესვარულ სულს და ჯოჯოხეთის გეჰენიას განუჩინებს სასჯელად.

„განიბანენით", ეუბნება ღმერთი ცოდვილებს, „წმიდა იქმნენით, მოსპენით უკეთურებანი სულთაგან თქუენთა წინაშე თუალთა ჩემთა, დასცხერით ბოროტთაგან თქუენთა და მოვედით და შევიტყუენეთ" (ესაია, 1, 16—18). რითი მთავრდება ღმერთის ეს სამსჯავრო, სინანულის სამსჯავრო, რომლისკენაც ღმერთი განუწყვეტლივ მოუწოდებს ცოდვილს მისი ამქვეყნიური ცხოვრების მანძილზე? თუ კაცი აღიარებს ცოდვებს, თავს-იდებს გულწრფელ სინანულს და ცოდვათა დატევებას, მაშინ ღმერთს თავის სამსჯავროზე ასეთი განჩინება გამოაქვს: „უკეთუ იყვნენ ცოდვანი თქუენნი, ვითარცა ღებილნი, ვითარცა თოვლი განვასპეტაკო, ხოლო უკუეთუ იყვნენ, ვითარცა ძოწეულნი მეწამულნი, ვითარცა მატყლი განვასპეტაკო" (ესაია, 1, 18).

და თუკი ქრისტეანი შეურაცხყოფს ღმრთის ამ უკანასკნელ, მრავალმოწყალე მოწოდებას, მაშინ ეუწყოს ღმრთისგან საბოლოო წარწყმედა: „ხოლო უკუეთუ არა გინდესთ, არცა ისმინოთ ჩემი, მახვილმან შეგჭამნესთ თქუენ, რამეთუ პირი უფლისა იტყოდა ამათ" (ესაია, 1, 20), ამენ.

თარგმნა რუსიკო ბუაჩიძემ.

ფარისეველები არ დააკმაყოფილა იმ სასწაულებმა, რომლებსაც უფალი იქმოდა, ისინი ითხოვდნენ განსაკუთრებულ სასწაულს, „სასწაულს ზეცით“ (მარკ. 8, 11). უფალი გვიმოწმებს, რომ ასეთი მოთხოვნა ხშირად მეორდება: „რაჲ არს ნათესავი ესე, რამეთუ ეძიებს სასწაულსა?“ (მარკ. 8, 12). ფარისეველთა ამ მოთხოვნას ასერიგად განსხვავებული სარწმუნოების მქონე სადუკეველნიც იზიარებდნენ (მათე, 16, 1). „სასწაულს ზეცით“ ხანდახან ხალხიც ეძიებდა, ასე, მაგალითად: მას შემდეგ, რაც უფალმა სასწაულებრივ განამრავლა ხუთი პური და განაძღო „მრავალი ერი“, ანუ ხუთი ათასი კაცი, გარდა ქალებისა და ბავშვებისა, ამ სასწაულის მოწმეხი, ამ ტრაპეზის მონაწილენი უფალს ეუბნებიან: „რასა სასწაულსა იქმ, რათა ვიხილოთ და გვრწმენეს შენი? რასა იქმ? მამანი ჩუენნი ჭამდეს მანანასა უდაბნოსა ზედა, ვითარცა წერილ არს: პური ზეცით მოსცა მათ ჭამად“ (იოანე, 6, 30-31). მათ ვერაფერი დაანახა იმ ამბავმა, რომ ხუთი პური სასწაულებრივად განმრავლდა მაცხოვრის ხელში, რადგან ეს მოხდა უხმაუროდ, სიმდაბლით, რაც მაცხოვარის ყველა საქციელს თან სდევდა, მათ კი, სანახაობა და ეფექტი სჭირდებოდათ: ზეცა შავი ღრუბლებით უნდა დაფარულიყო, ელვა და ჭექა-ქუხილი ამტყდარიყო და პური ციდან ჩამოცვენილიყო. სასწაულს მოითხოვდნენ მაცხოვრისგან იუდეველი მღვდელმთავრები და ხალხის წინამძღოლები, როდესაც ღმერთკაცი ნებსით ჯვარს ეცვა: „ეგრეთვე მღვდელთმოძღვარნი ემღერდეს მწიგნობართა თანა და მოხუცებულთა და ფარისეველთა და იტყოდეს: „სხუანი აცხოვნნა, თავი თვისი ვერ ძალ-უც ცხოვნებად, უკუეთუ მეუფე ისრაელისა არს, გარდამოხედინ აწ მაგიერ ჯუარით, და გურწმენეს იგი“ (მათე, 27, 41-42). ისინი აღიარებდნენ უფლის სასწაულებს და თან დასცინოდნენ მას. ამ დაცინვით უარყოფდნენ მოწყალე ღმრთისგან მინიჭებულ სასწაულებს და იმავე დროს ითხოვდნენ. სასწაულს, ოღონდ ისეთს, როგორიც თავად წარმოედგინათ. ის კი არ იცოდნენ, რომ თუკი ეს მოთხოვნა შეუსრულდებოდათ, გაქარწყლდებოდა მიწაზე ღმერთკაცის მოსვლის მიზანი და აღარც კაცთა გა-

მოსნა განხორციელდებოდა. ამ ხალხთან ერთად იყო ჰეროდეც. მასაც სასწაულის ხილვა სურდა უფლისგან და საკუთარი ცნობისმოყვარეობის, უგუნურების, თავქარიანობის დაკმაყოფილება (ლუკა, 23, 8). ჰეროდეს სასწაული გასართობად უნდოდა, და რაკი სურვილი არ შეუსრულდა, სასაცილოდ აიგდო მაცხოვარი და ამით შეიქცია თავი. რას ნიშნავს, რომ სასწაულებს მოითხოვს ასეთი სხვადასხვა მიმართულების ხალხი, თან ისე, რომ ყველა უგულებელყოფს ღმრთის დიდ-დიდ სასწაულებს? ასეთი მოთხოვნა არის სასწაულების შესახებ ხორციელი ზრახვის გამოხატულება.

ხორციელი ზრახვა რაღაა? ესაა აზრთა ისეთი წყობა, როდესაც კაცი ღმერთზეც და ყოველივე სულიერზეც მსჯელობს თავისი დაცემული ბუნების მიხედვით და არა საღმრთო წერილით. ღმრთის მტერობისა და ღმრთის წინააღდგომის სული, რითაც ხორციელი ზრახვაა სნეული, ყველაზე ნათლად იქიდან ჩანს, თუ როგორ მოითხოვს კაცი ღმრთისაგან სასწაულს თავისი მტყუვარი გონების თანახმად, და არაფრად აგდებს დიდ-დიდ სასწაულებს, რომლებსაც უფალი იქმოდა თავისი გამოუთქმელი სახიერებით. ხოლო უფალი იქმოდა ამ სასწაულებს, რამეთუ იყო „ღმრთისა ძალ და ღმრთისა სიბრძნე“ (1 კორ. 1, 24).

ნაწილი პირველი

მძიმე ცოდვა იყო სასწაულის მოთხოვნა ღმერთკაცისგან, მოთხოვნა, რომელიც ხორციელ ზრახვას ეფუძნებოდა. ეს კადნიერი, ღმრთისმგმობი მოთხოვნა რომ მოისმინა, მაცხოვარმა „სულ-ითქუნა სულითა თვისითა და თქუა: რაჲ არს ნათესავი ესე, რამეთუ ეძიებს სასწაულსა? ამინ გეტყვი თქუენ: არა ეცეს ნათესავსა ამას სასწაული. და დაუტევნა იგინი და კუალად შევიდა ნავსა და წარვიდა მიერ კერძო“ (მარკ. 8, 12-13).

ერთი მონანული ცოდვილის პოვნა ახარებთ ზეციურ მკვიდრთ და პირიქით, მწუხარება იპყრობთ, როდესაც კაცი ეცემა და უარყოფს სინანულის ძალას (ლუკა, 15, 10, მაკარი

დიდი, საუბარი 30, თავი 7). მაკარი დიდმა, როდესაც იხილა ღმრთის გამოუთქმელი სახიერება კაცობრიობის მიმართ, როდესაც იხილა უფლის ნება, რომ ყველა ადამიანი ცხონდეს, თქვა, რომ თვით ყოვლადწმიდა, უვნებელი ღმერთიც კი ტირის, კაცთა მოდგმის დაცემის მომსწრე. ღმრთაებრივი სულისთვის უცხო არაა ტირილი, რომელიც მიუწვდომელია ჩვენი გონებისთვის, და სული ღმრთისა, კაცში დამკვიდრებული, ,მეოხ არს ჩუენთვის სულ-თქუმითა მით უსიტყუელითა" (რომ. 8, 26). ასეთი სულთქმა გამოიწვია მაცხოვარში სასწაულის ამაყმა და უგუნურმა მოთხოვნამ, როცა „სულთ-ითქუნა სულითა თვისითა და თქუა: რაჲ არს ნათესავი ესე რამეთუ ეძიებს სასწაულსა?" (მარკ. 8, 12). რა ნათლად ისმის ტირილის ხმა ღმრთის ამ პასუხში! რა ნათლად იგრძნობა გაოცება მოთხოვნის უაზრობისა და კადნიერების გამო! აქედან ჩანს, რომ უფალმა დაკარგა იმ ხალხის ხსნის იმედი, ვინც ღმრთაებრივი სულის საწინააღმდეგო მოთხოვნა წამოაყენა. იმ ადამიანებს, რომლებიც მყარად ადგანან ამ გზას და განუკურნებლად არიან სნეულნი, უფალი ტოვებს და საკუთარ ნებას მიანდობს, უშვებს დაღუპვის გზაზე, რომელიც თავისი ნებით აირჩევს და საკუთარი ნებით უპყრიათ: „და დაუტევნა იგინი და წარვიდა" (მათე, 16, 4). ჭეშმარიტად, „ზრახვაჲ იგი ხორცთაჲ სიკუდილ არს" (რომ. 8, 6). მკვდრები ვერ გრძნობენ სიკვდილს, ასევე ხორციელი ზრახვაც ვერ განიცდის და ვერ ხვდება, როგორ იღუპება სული. და რაკი ამას ვერ ხვდება, ვერც გაცოცხლების აუცილებლობას გრძნობს, აქვს ყალბი განცდა იმისა, რომ ცხოვრობს, და უარყოფს ჭეშმარიტ ცხოვრებას — ღმერთს.

რამდენად სარწმუნოა ზეციური სასწაულები? ცხადია, ვინც ღმრთისაგან სასწაულებს ითხოვდა, სარწმუნოდაც მიაჩნდა ისინი. მაგრამ, სინამდვილეში არის კი ზეციური სასწაული უნათუოდ ღმრთისაგან მოვლენილი? საღმრთო წერილით ისე ჩანს, რომ პირიქითაა. თვითონ ეს გამოთქმა, „სასწაული ზეცით", საკმაოდ გაურკვეველია. მაშინაც და ახლაც უმეცარი ადამიანები ცით მოვლენილად მიიჩნევდნენ იმასაც, რაც ჰაერში და ჰაერის ზედა სივრცეშიც ხდება. მაგალითად: ფიქრობენ, რომ მზე, მთვარე და ვარსკვლავები ცაზე ანათებენ,

სინამდვილეში კი, ისინი სივრცეში იმყოფებიან. წვიმას, ქეჭა-ქუხილს, ელვას ზეციურ მოვლენებად მიიჩნევენ, ამ დროს ყოველივე ეს ხდება ჰაერში, დედამიწის ატმოსფეროში, და მიწას ეკუთვნის. საღმრთო წერილი მოგვითხრობს, რომ „ცეცხლი გარდამოვარდა ზეცით და დაწუა ცხოვარი იგი, მწყემსნი იგი შეჭამნა (იობი, 1, 16). ეს ცხვრებიცა და მწყემსებიც მართალი იობისა იყო. როგორც ჩანს, ცეცხლი ჰაერში გაჩნდა, ისევე, როგორც ელვა ჩნდება. სიმონ მოგვი სასწაულებით აკვირვებდა დაბრმავებულ ხალხს, რომლებსაც სატანის ძალა ღმრთის ძალა ეგონათ (საქმე, 8, 10). სიმონმა განსაკუთრებით განაცვიფრა კერპთმსახური რომაელნი: მან ხალხმრავალ საკრებულოში თავი ღმერთად გამოაცხადა და თქვა, ახლავე ცად აღვმაღლდებიო, და უეცრად მოსწყდა კიდეც ძიწას. ამის შესახებ მოგვითხრობს სვიმეონ მეტაფრასტი, რომელიც ძველ ქრისტეან მწერალთა გადმოცემას იმეორებს (წმ. მოციქულ პეტრეს ცხოვრება, თთვენი, 29 ივნისი). მსგავს სასწაულებს სჩადიოდა ვინმე პინეტი, რომელიც XVIII—XIX საუკუნეთა მიჯნაზე ცხოვრობდა, და მრავალი სხვა. საშინელი უბედურებაა, როცა კაცი მოკლებულია ღმრთის ჭეშმარიტ ცნობას — მას ეშმაკის საქმე ღმერთისად ეჩვენება. ქრისტეს მეორედ მოსვლის წინ, როდესაც თვით ქრისტეანობა, სულიერი ცოდნა და განსჯის უნარი უკიდურესად დაეცემა, „აღდგენ ქრისტე-მტყუარნი და ცრუწინასწარმეტყველნი და ჰყოფდენ სასწაულებსა დიდ-დიდსა და ნიშნებსა ვიდრე ცთუნებადმდე, უკუეთუმცა შეუძლეს, რჩეულთა მათცა“ (მათე, 24, 24). ყველაზე მეტად თვით ანტიქრისტე გაირჯება, უხვად მიმოაბნევს სასწაულებს, რითაც მოხიბლავს და დააკმაყოფილებს ხორციელ ზრახვასა და უმეცრებას, ანტიქრისტე მოუვლენს მათ ზეციურ სასწაულებს, ასე რომ სწყურიათ და ასე რომ ეძიებენ. წმ. პავლე მოციქული ამბობს: „რომლისა-იგი მოსვლაჲ არს შეწევნითა ეშმაკისაჲთა, ყოვლითავე ძალითა და ნიშნებითა და სასწაულებითა ტყუილისაჲთა, და ყოველითავე საცთურისაჲთა სიცრუისაჲთა წარწყმედულთა მათ შორის. რამეთუ, ვინაჲთგან სიყუარული იგი ჭეშმარიტებისა არა შეიწყნარეს, რაჲთამცა ცხოვნდეს იგინი“ (2 თეს. 2, 9-10). უმეცარნი და ხორციელი ზრახვით შეპყრობილნი არც კი შეყოყმანდებიან, ისე მიიღე-

ბენ ამ სასწაულებს, რამეთუ ანტიქრისტეს სული მათ სულს ენათესავება. თავიანთი სიბრმავის გამო სატანის ძალას ღმრთაებრივი ძალის უდიდეს გამოვლინებად აღიარებენ და გამოაცხადებენ. ანტიქრისტეს მიიღებენ განუსჯელად და ნაჩქარევად (წმ. ეფრემ ასური, სიტყვა 106, ანტიქრისტეს შესახებ). ვაი, რომ ვერ გულისხმაყოფენ კაცნი, რომ სატანის სასწაულებს არავითარი კეთილი მიზნები არ გააჩნია, რომ მათთვის უცხოა ჭეშმარიტება, რომ ისინი ტყუიან, რომ ესაა თავიდან ბოლომდე რაღაც საზარელი, უბოროტესი, უაზრო სპექტაკლი, რომელსაც მიზნად დაუსახავს მაინც და მაინც გააოცოს, თავდავიწყება მოჰგვაროს, 'მოხიბლოს, მოატყუოს ადამიანი, გაიტაცოს იგი ფუჭი, მდიდრული, სულელური ეფექტებით.

გასაკვირი ის კი არაა, რომ ანტიქრისტეს სასწაულებს უყოყმანოდ და აღტაცებით მიეგებებიან ქრისტესაგან განდგომილნი, ჭეშმარიტების მტრები, ღმერთის მტრები: ისინი მზად არიან სატანის მოციქულისა და იარაღის, მისი სწავლების, მისი ყოველი გამოვლინების მისაღებად, მათ უკვე სულიერი კავშირი აქვთ სატანასთან. ცრემლისა და გაოცების ღირსი ისაა, რომ ანტიქრისტეს სასწაულები თვით ღმერთის რჩეულებსაც აცთუნებს. ადამიანებზე ანტიქრისტეს ესოდენ ძლიერი გავლენა ემყარება მის ჯოჯოხეთურ მზაკვრობასა და ფარისევლობას, რითაც კარგად ინიღბება უსაშინლესი ბოროტება, ემყარება მის მოუთოკავ და უტიფარ კადნიერებას, დაცემულ სულთა შემწეობას, და ბოლოს, სასწაულების მოხდენის უნარს, რამეთუ ეს ცრუ სასწაულები ამასთანავე მეტისმეტად შთამბეჭდავნი არიან. კაცის გონება უძლურია ანტიქრისტეს წარმოსადგენად, რამეთუ გული კაცისა, თუნდაც სიბილწით სავსე, ვერ დაიჯერებს, რომ ბოროტებას შეუძლია ასეთ ხარისხს მიაღწიოს. ანტიქრისტე ისე აუწყებს ადამიანებს თავისი თავის შესახებ, როგორც ამას მისი წინამორბედები და ხატები[1] სჩადიოდნენ: უწოდებს საკუთარ თავს მქადაგებელსა და ჭეშმარიტი ღმრთის ცნობის ამაღორძინებელს, ქრისტეანობის უმეცარი ადამიანები მასში დაინახავენ ჭეშმარიტი რე-

---

[1] მწვალებლები, პოლიტიკური დიქტატორები, ტირანები — ნერონი, ნაპოლეონი, ჰიტლერი, ლენინი, სტალინი (მთარგმნელის შენიშვნა).

ლიგიის დამცველს და შეუდგებიან. საყვირს დასცემს ანტიქრისტე და მესიად გამოაცხადებს თავს. ხოლო ხორციელი ზრახვის შვილნი სიხარულით შეეგებებიან, რამეთუ იხილავენ მის დიდებას, ძლიერებას, გენიალურ მონაცემებს, უდიდეს განსწავლულობას თანამედროვე მეცნიერებებში, ღმერთად გამოაცხადებენ ანტიქრისტეს და დაემოწაფებიან მას (ღირსი ეფრემ ასური, სიტყვა 106). თავიდან ანტიქრისტე თავს მოაჩვენებს ადამიანებს მდაბალ, მოწყალე, სიყვარულით სავსე, ყოველგვარი სათნოებებით შემკულ კაცად. ასეთად აღიარებენ და დაემორჩილებიან მას ისინი, ვინც სიმართლედ სცნობს ადამიანის დაცემულ ბუნებისეულ სიმართლეს, და მას არ უარყოფენ სახარებისეული სიმართლის გულისთვის (მაკარი დიდი, საუბარი 31, თავი 4). ანტიქრისტე კაცობრიობას შესთავაზებს უმაღლეს ამქვეყნიურ კეთილდღეობას და პატივს, სიმდიდრეს, ფუფუნებას, ხორციელ განცხრომას. ისინი, ვინც ამქვეყნიურ სიკეთეებს მიელტვიან, მიიღებენ ანტიქრისტეს და თავიანთ მეუფედ სახელდებენ. (მახარობელი, იოანე, 5, 43-ის განმარტება) ანტიქრისტე კაცობრიობას უჩვენებს თეატრის მსგავს სანახაობას — გასაოცარ სასწაულებს, რომლებსაც თანამედროვე მეცნიერება ვერ ახსნის, ძრწოლას მოჰგვრის ადამიანებს ამ სასწაულებით, დააცხრობს უგუნურ ცნობისმოყვარეობასა და უმეცრებას, კაცობრივ სიამაყესა და დიდებისმოყვარეობას, დააკმაყოფილებს ცრუმორწმუნეებს, გააოცებს განსწავლულებს — ყველა ადამიანი, ვინც თავისი დაცემული ბუნების ნათელსაა მინდობილი და უცხო-ექმნა ნათელს ღმრთისას, თაყვანსა სცემს ანტიქრისტეს მაცთურ ძალას (გამოცხ. 13, 8). ანტიქრისტეს სასწაულები უფრო მეტად ჰაერში მოხდება, რადგან სწორედ ჰაერში ბატონობს სატანა (ეფეს. 2, 2; 6, 12). ისინი განსაკუთრებით მხედველობით არეზე მოქმედებენ, ხიბლავენ და ატყუებენ მას (სიკეთის მოყვარეობა, ნაწ. 1. „სიმეონ ახალი ღმრთისმეტყველი, ყურადღებისა და ლოცვის სამგვარი სახის შესახებ. როდესაც წმ. იოანე ღმრთისმეტყველი თავის გამოცხადებაში აღწერს მოვლენებს, რომლებიც ქვეყნიერების აღსასრულს წინ უძღვის, ამბობს, რომ ანტიქრისტე „იქმნ სასწაულთა დიდთა, და რაჲთა ცეცხლი გარდამოხდეს ზეცით წინაშე კაცთა“ (გამოცხ. 13, 13). ამ

ნიშანზე წმ. წერილი მიუთითებს, როგორც ანტიქრისტეს უდიდეს სასწაულზე. ესეც ჰაერში მოხდება, და იქმნება დიდებული და საშინელი სახილველი. ანტიქრისტეს სასწაულები დააგვირგვინებს მის მზაკვრულ საქმეებს, მათი გავლენით მრავალი კაცი სცემს თაყვანს ანტიქრისტეს, მის მოწინააღმდეგეებს შერაცხავენ განხეთქილების შემომტანებად, საყოველთაო წესრიგისა და კეთილდღეობის მტრებად, მათ გაძოუცსადებენ აშკარა და ფარულ დევნას, შეამთხვევენ ათასგვარ სასჯელსა და წამებას. ქვეყნად გაიფანტება მრავალი ბოროტი სული, რომლებიც კაცთა შორის დათესავენ საუკეთესო აზრს ანტიქრისტეს შესახებ, გამოიწვევენ საერთო აღტაცებასა და დაუძლეველ ლტოლვას მისკენ (ღირსი ეფრემ ასური, სიტყვა 106-ე). საღმრთო წერილმა ბევრნაირად აღწერა, თუ რა მძიმე იქნება ბოლო დროს ქრისტეანთა დევნა, რა სისასტიკით იქნება გამორჩეული თვით მდევნელი. ამ საზარელ კაცს საღმრთო წერილი უწოდებს მხეცს (გამოცხ. 13, 1), ისევე როგორც დაცემულ ანგელოზს—ვეშაპს (გამოცხ. 12, 3, შესაქმე, 3, 1) ორივე ეს სახელწოდება ზუსტად ასახავს ღმერთის ორივე მტრის ხასიათს, ოღონდ ერთი უფრო ფარულად მოქმედებს, მეორე — აშკარად. ამ მხეცს რაღაცა აქვს საერთო ყველა სხვა მხეცთან და აერთიანებს თავის თავში თითოეული მათგანის სისასტიკეს: „და მხეცი იგი, რომელ ვიხილეთ, იყო მსგავსი ვეფხისა, და ფერხნი მისნი, ვითარცა დათვისანი, და პირი მისი, ვითარცა პირი ლომისა. და მისცა მას ვეშაპმან მან ძალი თვისი და საყდარი თვისი და ხელმწიფება თვისი“ (გამოცხ. 13, 2). მძიმე განსაცდელის ჟამი დაუდგებათ უფლის ერთგულებს: მათ მოხიბლვასა და მოტყუებას შეეცდებიან ცბიერება, ფარისევლობა, სასწაულები, შავ დღეში ჩაცვივდებიან დახვეწილი, მზაკვრული ხერხებით შენიღბული დევნისა და შევიწროების, ძტარვალის განუსაზღვრელი ძალაუფლების გამო. მათი წილხვედრი იქნება საერთო სიძულვილი, აბუჩად აგდება, ცილისწამება, დევნა და მოძალადური სიკვდილი. მხოლოდ ღმერთის მადლის განსაკუთრებული შეწევნითა და ხელმძღვანელობით შეძლებენ რჩეულნი ღმრთისანი წინ აღუდგნენ ამ მტერს ღმრთისას, და აღიარონ უფალი იესო ქრისტე ანტიქრისტეს წინაშეც და კაცთა წინაშეც.

ყოველივე ზემოთქმულიდან აშკარაა, რომ როდესაც ფარისეველნი და სადუკეველნი უფლისაგან სასწაულებს მოითხოვდნენ, ეს იყო ანტიქრისტეს სასწაულების მოთხოვნა, და ამით აიხსნება უფლის დამოკიდებულება მის მიმართ. ერთხელ, როდესაც ასეთი მოთხოვნა კვლავ განმეორდა, უფალი შეწუხდა, მტკიცე უარი უთხრა და საერთოდ გაშორდა კიდეც მათ, არ მოისურვა დარჩენა იმ ხალხთან, ვინც ასე გაკადნიერდა. სხვა დროს მრისხანე პასუხი გასცა მათ: „ნათესავი ბოროტი და მემრუშე სასწაულსა ეძიებს, და სასწაული არა ეცეს მას, გარნა სასწაული იონა წინასწარმეტყველისა“ (მათე, 16, 4; 12, 39). ნათესავად სახელდებს უფალი ყველას, ვინც სულით ენათესავება ერთმანეთს, ნათესავად მემრუშად სახელდებს, რადგან მათ სატანასთან დაამყარეს კავშირი („მახარებელი“[1], სახარების ზემოთ მოხმობილი ადგილების განმარტება). და გაწყვიტეს კავშირი ღმერთთან, ნათესავად ბოროტად სახელდებს, რამეთუ გულისხმაყვეს ღმერთკაცის სასწაულები და თავი კი ისე მოაქვთ, თითქოს ვერ გულისხმაყვეს, არად აგდებენ და გმობენ მათ და ითხოვენ თავიანთი არასწორი განწყობის, სულისკვეთების შესაფერის სასწაულებს. ზეციური სასწაულების მოთხოვნა იმდენად სასწაულების მოთხოვნა არ იყო, რამდენადაც ღმერთკაცის სასწაულების აბუჩად აგდება და მათ მიმართ უმეცარი, ყალბი დამოკიდებულების გამოხატვა. იონა წინასწარმეტყველის სასწაულს თვით მაცხოვარი განმარტავს (მათე, 12, 40), როგორც თავისი სიკუდილისა და მკვდრეთით აღდგომის მომასწავებელს. სწორედ, ეს იყო სასწაული ზეცით! როდესაც მაცხოვარი ევნო, მაშინ დაბნელდა მზე შუადღისას, მხილველი ჯვარცმული მაცხოვრისა, სამი საათით ბნელმა მოიცვა ქვეყანა, ორად გაიპო კრეტსაბმელი იერუსალიმის ტაძრისა, მიწა იძრა, კლდეები დასკდა, საფლავები გაიხსნა, მრავალი შესვენებული წმინდანი აღსდგა და მრავალს გამოეცხადა წმინდა ქალაქში (ლუკა, 9, 23, 45; მათე, 27, 45; 51-53). ქრისტეს აღდგომის შემდეგ კვლავ იძრა მიწა, უფლის ანგელოზი, ნათლით შემოსილი, გარდამოხდა ზეცით როგორც მოწამე მაცხოვრის აღდგომისა, შეძრწუნდნენ საფ-

[1] იგულისხმება ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელის „მახარებელი“.

ლავის მცველნი, მისი მხილველნი, ზეციური სასწაულის მეძიებელთა მიერ დადგინებულნი (მათე, 28, 2-4) და აუწყეს მღვდელმთავრებს ქრისტეს აღდგომა. მათ კი ახლაც, როგორც აქამდე, არად ჩააგდეს და შეურაცხყვეს ეს უდიდესი სასწაული, მოისყიდეს მცველები და ტყუილის საფარველში გახვიეს ქრისტეს აღდგომა (მათე, 28, 11-15).

ახლა უფლის მიერ ქმნილ სასწაულებს გადავხედოთ.

უფლის სასწაულები ღმრთისაგან კაცობრიობისადმი მიმადლებული ნიჭია. ამ ნიჭის მიცემა ღმერთის მოვალეობა როდი იყო, ღმერთმა იგი ადამიანებს მხოლოდდამხოლოდ თავისი კეთილი ნებისა და მოწყალების გამო უბოძა. ადამიანებს კი, მართლაც მოეთხოვებოდათ, რომ ამ ნიჭსა და მის მომცემელს უდიდესი მოწიწებითა და კეთილგონიერებით მოქცეოდნენ. რამეთუ მან თავს უწოდა ღმერთი, რომელმაც აღიღო კაცობრიობის ცოდვა და თავს-იდო კაცთა გამოხსნა. ხოლო სასწაულები არის ამ ნიჭის მოწმობა. უფლისაგან ბოძებულ ნიჭს უეჭველი ღირებულება ჰქონდა, მაგრამ რადგანაც ცხოვნების მიღება-არმიღება ადამიანის თავისუფალ ნებაზე ჰკიდია, ამიტომ მათ უფლება მიეცათ შეეფასებინათ ქრისტეს სასწაულები, განესაჯათ, რამდენად სარწმუნონი და ჭეშმარიტნი იყვნენ ისინი, მათი მიხედვით ემსჯელათ ამ სასწაულთა მოქმედზეც, რათა მაცხოვრის მიღება და აღიარება თავისუფალი, მტკიცე რწმენის შედეგი ყოფილიყო და არა ნაჩქარევი, ქარაფშუტული, ნაძალადევი გატაცებისა.

ქრისტეს სასწაულები სრულიად გარკვეული იყო. მათ შესახებ თავისუფლად შეიძლება იმის თქმა, რაც უფალმა უთხრა მოციქულს: „მოყვენ თითნი შენნი და იხილენ ხელნი და მოიღე ხელი შენი და დამდევ გუერდსა ჩემსა და ნუ იყოფი ურწმუნო, არამედ გრწმენინ“ (იოანე, 20, 27). ქრისტეს სასწაულები ხელშესახები იყო, ისინი ყველაზე უბრალო ადამიანებისთვისაც ცხადი გახლდათ. მათში არაფერი იყო იდუმალი, ყველას შეეძლო მათი ხილვა და არც იმ ეჭვისათვის რჩებოდა ადგილი, ნამდვილად სასწაულია თუ მხოლოდ ჰგავს სასწაულსო. მკვდარნი აღდგებოდნენ, სნეულნი იკურნებოდნენ, კეთროვანნი განიწმინდებოდნენ, ბრმადშობილებს თვალი ეხილებოდათ, უტყვნი იტყოდნენ, მშიერთათვის პური უეცრად

მრავლდებოდა, ზღვის ტალღები და ქარები ხელმწიფებით თქმული ერთი სიტყვით მშვიდდებოდა, ვისაც ქარიშხალი დაღუპვას უქადდა, ხსნას პოულობდა, მებადურთა ბადეები, აქამდე ცარიელი, თევზით ივსებოდა ღმრთის უსიტყვო ბრძანებით. უფლის სასწაულებს მრავალი მოწმე ჰყვანდა, რომელთა დიდი ნაწილი ან ემტერებოდა უფალს, ან უგულისხმო იყო, ანდა მხოლოდ ხორციელ შველას მოელოდა მისგან. თვით სასწაულებში ექვს ვერავინ შეიტანდა, უფლის უბოროტესი მტრებიც კი, ვერ უარყოფდნენ მათ, ისინი მხოლოდ იმას ცდილობდნენ, რომ დაემცირებინათ უფლის სასწაულები მრუდე განმარტებით და ყველა იმ საშუალებით, რასაც ბოღმა და სიბოროტე კარნახობდათ (მათე, 12, 24, იოანე, 9, 24). უფლის სასწაულებში არაფერი იყო ამაოებას, ეფექტს გამოკიდებული, მაცხოვარს არც ერთი სასწაული არ უქმნია ხალხის დასანახად, ყოველი მათგანი ღმრთაებრივი სიმდაბლით იყო დაფარული და მიზნად ტანჯული კაცობრიობისთვის სიკეთის მოტანას ისახავდა. ამასთან ერთად მათ მთელი სიცხადით წარმოაჩინეს შემოქმედის ხელმწიფება შექმნილ ხორციელ არსებებსა და უხორცო სულებზე, გამოხატეს და დაამტკიცეს ღირსება ღმრთისა, რომელმაც აღიღო კაცობრივი ბუნება და განცხადდა, როგორც კაცი კაცთა შორის.

თუმცა არსებობს ქრისტეს სასწაული, რომელსაც არავითარი ხილული სიკეთე არ მოუტანია ერთი კონკრეტული პიროვნებისთვის. მას საიდუმლო მნიშვნელობა ჰქონდა და წინასწარ მოასწავებდა მთელი კაცობრიობისათვის მოვლენილ სიკეთეს — ცხოვნებას. ეს სასწაული იყო გახმობა უნაყოფო ლეღვის ხისა, რომელსაც მხოლოდ ფოთლები ესხა (მარკ. 11, 13, 14, 20). ამ ხეს ძველი აღთქმაც ახსენებს (შესაქმე, 3, 7) სამოთხის ხეებს შორის, როდესაც ჩვენი წინაპრების დაცემის ამბავს გადმოგვცემს. ამ ლეღვის ფოთლები ადამ და ევამ გამოიყენეს სიშიშვლის დასაფარავად, იმ სიშიშვლისა, რომელსაც ვერც ამჩნევდნენ ცოდვაში ჩავარდნამდე და რომელიც სახილველი გახდა მათთვის მაშინვე, როგორც კი სცოდეს. შესაძლოა, სამოთხის ბაღში მდგარი ლეღვის ხის ნაყოფი იყო სწორედ აკრძალული ხილი. უფალმა ლეღვის ხეზე ვერ ჰპოვა ნაყოფი, და არც იყო ამ ხისგან ნაყოფის გამოღების დრო.

მაგრამ მაცხოვარმა ნება მისცა თავის ხორციელ ბუნებას უდროო სურვილისა, ამით აიხსნება წინაპართა არასწორი სურვილი, რომელიც უფალმა, როგორც კაცთა ყველა სისუსტე, იტვირთა და განაქარვა.

რაკი ნაყოფი ვერ ჰპოვა, უფალმა უარყო ფოთლებიც; უარყო თვით არსებობა მისა; უკვე მზადდებოდა სხვა ხე, ძელი ჯვარისა კაცთა გამოსახსნელად. ხე, კაცთა წარწყმედის იარაღი, განხმა მაცხოვრის ბრძანებით. საიდუმლო სასწაული მოხდა ბნელოდ უფლის მოწაფეების, მისი საიდუმლო მოძღვრების მიმდევართა თანდასწრებით. ეს სასწაული იყო ცოტა ხნით ადრე, ვიდრე დაიწყებოდა ღმერთკაცის ენება და ჯვარცმა, რომელმაც ცხოვნება მოუტანა კაცობრიობას.

უფლის სასწაულებს წმინდა მნიშვნელობა და წმინდა მიზანი ჰქონდათ. თავისთავად ეს სასწაულები დიდი სიკეთე იყო, მაგრამ ღმრთაებრივი განგებულებით ბევრად უფრო მაღალ სიკეთეთა მოწმობას წარმოადგენდნენ. უფალმა თავისი განკაცებით ადამიანებს უბოძა მარადიული, სულიერი, ფასდაუდებელი ნიჭი—ცხოვნება, ცოდვისაგან განკურნება, მარადიული სიკვდილის ძლევა. სიტყვა უფლისა და მისი ცხოვრების წესი ყოველივე ამის სრული ცხადყოფა გახლდათ; უფალი იყო უცოდველი და ყოვლადწმიდა (იოანე, 8, 46), მის სიტყვას უდიდესი ძალა ჰქონდა (მარკ. 1, 42). მაგრამ კაცნი ხორციელი ხრახვის ბნელ უფსკრულში ჩაცვივდნენ და დაბრმავდნენ გულითა და გონებით. აუცილებელი გახდა ღმრთის განსაკუთრებული მოწყალება კაცთა დასნეულებული მოდგმის მიმართ, აუცილებელი გახდა მათი ხორციელი გრძნობებისათვის აშკარა საბუთების მიცემა, ხოლო ამ ხორციელი გრძნობების მეშვეობით მაცხოვნებელი ცოდნის მიწოდება გულისა და გონებისათვის, რომლებიც მომკვდარნი იყვნენ მათთვის ჩვეული, მარადიული სიკვდილით. ამიტომ ღმრთის სიტყვას შემწედ მიეცა ღმრთის სასწაულები. იმისათვის, რომ ადამიანებს გაეგოთ და მიეღოთ სულიერი ნიჭი, რომლის დანახვაც მხოლოდ სულიერი თვალითაა შესაძლებელი, უფალმა სულიერ, მარადიულ ნიჭს დაუმატა დროებითი, ხორციელი ნიჭი, რომელსაც კაცობრივი ბუნება უფრო ადვილად დაინახავდა — ეს ნიჭია ხორციელ სალმობათა კურნება. ცოდვა არის თავი კაცთა ყვე-

ლა სნეულებისა, ხორციელისა თუ სულიერისა, იგია დროებითი და მარადიული სიკვდილის მიზეზი. უფალმა გვიჩვენა, რომ ხელეწიფება კაცთა ხორციელი ცოდვებით გამოწვეული სნეულებების განკურნება და ამით დაგვანახა, რომ ყოველგვარი ცოდვის განწმენდა ძალუძს. ხორციელი ზრახვისათვის უხილავია სულიერი სნეულებებიც და მარადიული სიკვდილიც, მაგრამ ხორციელ სნეულებებსა და ხორციელ სიკვდილს კარგად ხედავს და აღიარებს. ისინი აფიქრებენ და აშფოთებენ მას. უფალმა, რომელიც ჰკურნავს თავისი ერთი სიტყვითა და ერთი ბრძანებით ყველა სნეულს, რომელიც მკვდრებს აღადგენს და არაწმიდა სულებს იმორჩილებს, განაცხადა თავისი ხელმწიფება, ღმრთის ხელმწიფება კაცზე, ცოდვაზე, დაცემულ სულებზე, და ეს განცხადება სრულიად აშკარა იყო ხორციელი გრძნობებისათვის, თვით ხორციელი ზრახვისათვის. ხორციელ ზრახვას ლოგიკურად უნდა ეღიარებინა, რომ უფლის ხელმწიფება ვრცელდება არა მხოლოდ ხორციელ ცოდვაზე, არამედ სულიერზეც, უნდა ეღიარებინა უფლის ძალაუფლება კაცის სხეულზე, მით უმეტეს, რომ ზოგიერთი სასწაულით, მაგალითად, მკვდართა აღდგინებით, გაცხადდა ღმრთის შეუზღუდველი ხელმწიფება სულზეც და სხეულზეც. მკვდრის აღდგინებისას ცოცხლდებოდა სხეული და მასში სახლდებოდა სული, ამქვეყნით უკვე სულთა სამყაროში გარდასული, იგი უერთდებოდა სხეულს, რომელსაც სამუდამოდ გაეყარა. ამ სასწაულით კაცს სადმე მის გარეთ კი არა, შიგნით მიეცა ნიშანი, სადმე გარეთ კი არა, შიგნიდან გაუჩნდა ცხოვნების იმედი. სულისა და ხორცის მარადიული ცხოვნების ნიშანი კაცს ეძლეოდა ხორციელ სალმობათა და ხორციელი სიკვდილის დროებითი კურნებით. თუ უფლის სასწაულებს სწორად აღვიქვამთ, ისინი ღმრთაებრივი სიბრძნით სავსენი ჩანან და ზეციური სასწაულების მოთხოვნა უაზრობა ხდება. იშვიათად, მაგრამ მაინც იყო შემთხვევები, როდესაც უფლის ხელმწიფება კაცის გარეთ, ნივთიერი ბუნების სამყაროში ცხადდებოდა. ეს იმას მოწმობს, რომ უფლის ძალაუფლება მთელ ბუნებაზე ვრცელდება, და ესაა უსაზღვრო ხელმწიფება, ხელმწიფება ღმრთისა.

ასეთია უფლისა და მის მოციქულთა მიერ ქმნილი სასწა-

ულების მნიშვნელობა და მიზანი. ეს გვამცნო უფალმა, გვამცნეს მისმა მოციქულებმა. ერთხელ იმ სახლში, სადაც უფალი იმყოფებოდა, ზღვა ხალხი შეიკრიბა. სახლი სავსე იყო, კარებშიც ბევრი იდგა, შიგნით შესვლა უკვე შეუძლებელი გახდა. ამ დროს მიიყვანეს განრღვეული, რომელიც სარეცელიდან ვეღარ დგებოდა. სნეულის პატრონებმა, ასეთი ხალხმრავლობა რომ იხილეს, სხვენზე აიყვანეს იგი, ჭერი გახსნეს და იქიდან ჩაუშვეს ავადმყოფი თავის სარეცელიანად უფლის წინაშე. ასეთი სარწმუნოება რომ იხილა, უფალმა უთხრა განრღვეულს: „შვილო, მიგეტევნენ შენ ცოდვანი შენნი!“ ამ დროს იქ მწიგნობრებიც ისხდნენ. მათ იცოდნენ სჯული წიგნებიდან, თან სძულდათ მაცხოვარი და შურდათ კიდეც მისი, ამიტომ გადაწყვიტეს, რომ უფლის ეს სიტყვები ღმრთის გმობას შეიცავდა. „ვის ხელ-ეწოფების მიტევებად ცოდვათა, გარნა მხოლოსა ღმერთსა?“ ამბობდნენ ისინი გულებაში. გულთამხილავმა გაიგო მათი აზრები და უთხრა: „რაჲსა მაგას ჰზრახავთ გულთა შინა თქუენთა? რა უადვილეს არს სიტყუად განრღუეულსა ამას: მიგეტევნენ ცოდვანი შენნი, ანუ თქმად: აღდეგ, აღიღე ცხედარი შენი და ვიდოდე?“ მიგეტევნენ შენ ცოდვახი შენნიო, ამის თქმა ფარისეველსა და მატყუარასაც შეუძლია. „ხოლო რაჲთა უწყოდით, რამეთუ ხელმწიფება აქუს ძესა კაცისასა ქუეყანასა ზედა მიტევებად ცოდვათა, ჰრქუა განრღუეულსა მას: შენ გეტყვი: აღდეგ და აღიღე ცხედარი შენი და წარვედ სახიდ შენდა“. განრღვეული მყისვე განიკურნა, ადგა, აიღო თავისი საწოლი და გამოვიდა ყველას წინაშე (მარკ. 2, 2-12). ეს სასწაული ღმრთაებრივი სიბრძნითა და სახიერებითაა სავსე. პირველად უფალი უმთავრეს სულიერ მადლს ანიჭებს სნეულს—ცოდვათ მიტევებას, რომელიც უხილავია ხორციელი თვალისთვის. ამან სწავლულ იუდეველებში უნებლიე აღმსარებლობა დაბადა — მათ აღიარეს, რომ ასეთი მადლის მინიჭება მხოლოდ ღმერთს ხელეწოფება. ამ ფიქრის საპასუხოდ უფალი ერთხელ კიდევ უმტკიცებს მათ, რომ იგი ნამდვილად ღმერთია. და ბოლოს, სულიერი ნიჭი და სულიერი მოწმობა წივთიერი ნიჭითა და ნივთიერი მოწმობითაც მტკიცდება — სნეულის მეყვსეული და სრული განკურნებით. წმ. მარკოზ მახარებელი თავისი სახარების დასასრულს ამბობს,

რომ მოციქულები უფლის ამაღლების შემდეგ „ქადაგებდეს ყოველსა ქვეყანასა უფლისა შეწევნითა და სიტყვისა ამის დამტკიცებითა მის მიერ, რომელნი იგი შუდგეს მას სასწაულსა“ (მარკ. 16, 20). იგივე ითქვა ყველა მოციქულის ლოცვაში, რომელიც ღმერთს აღუვლინეს მას შემდეგ, რაც სინედრიონმა აუკრძალა მათ იესოს სახელით სწავლება და მოქმედება: „მოეც მოხათა შენთა ყოვლითა განცხადებულებითა სიტყუად სიტყვისა შენისა, განრთხმად ხელი შენი კურნებად და სასწაულებისა და ნიშნებისა ყოფად სახელითა წმიდისა ძისა შენისა იესოჲსითა“ (საქმე, 4, 29-30). უფლის სასწაულები ღმერთის სიტყვის შემწედ იყო მოცემული, სასწაულები სიტყვის ძალასა და მნიშვნელობას მოწმობდნენ (ლუკა, 4, 36). ჭეშმარიტი მოქმედი ძალა სიტყვაა. სადაც სიტყვას ღებულობენ, იქ სასწაულები აღარაა საჭირო, რადგან ესმით სიტყვის მნიშვნელობა. სასწაულები ადამიანის სისუსტის გამოა დაშვებული.

სიტყვა და სასწაული სხვადასხვაგვარად მოქმედებენ. სიტყვა უშუალოდ გულსა და გონებაზე ახდენს გავლენას, სასწაულები კი, იმავე გულსა და გონებაზე ხორციელი გრძნობების გზით ზემოქმედებენ. სიტყვით მოხდენილი გავლენის შედეგი უფრო მყარი და ძლიერია, ვიდრე სასწაულისა. როდესაც სიტყვა და სასწაულები ერთად მოქმედებენ, მაშინ სასწაულების ზემოქმედება როგორღაც შეუმჩნეველი რჩება, რამეთუ სიტყვა უფრო ძლიერია, ვიდრე სასწაული. ეს კარგად ჩანს სახარებიდანაც: ნიკოდიმოსზე სასწაულმა იმოქმედა, მაგრამ აღიარა უფალი მხოლოდ ღმრთისაგან მოვლენილ მოძღვრად (იოანე, 3, 2). პეტრე მოციქულზე კი, სიტყვამ მოახდინა გავლენა და აღიარა მაცხოვარი ქრისტედ, ძედ ღმრთისად „სიტყუანი ცხოვრებისანი საუკუნოჲსანი გქონან შენ. და ჩუენ გურწმენა და გვიცნობიეს, რამეთუ შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისა ცხოველისა“ (იოანე, 6, 68-69). წმ. პეტრე უფლის მრავალი სასწაულის მოწმე იყო. ამ აღიარებამდე მცირე ხნით ადრე მოხდა ხუთი პურის განმრავლება და ამ პურით მრავალი კაცის განძღება, მაგრამ მოციქული საერთოდ არ ახსენებს სასწაულებს, იგი მხოლოდ სიტყვის ძალასა და ზემოქმედებაზე ლაპარაკობს. იგივე ითქმის ქრისტეს ორ მოწაფეზე, რომლებიც, ემაოსისკენ მიმავალნი, ესაუბრნენ ქრისტეს ისე, რომ

ვერ იცნეს იგი, და იცნეს უკვე დაბაში, უფლის მიერ პურის-განტეხისთანავე. ამის შემდგომ მოძღვარი მყისვე თვალს ძიეფარა. მოწაფეებს არც კი უხსენებიათ ეს სასწაული, მათ მთელი ყურადღება სიტყვაზე გაამახვილეს: „და იგინი იტყოდეს ურთიერთას: ანუ არა გულნი ჩუენნი განსურვებულ იყვნეს ჩუენ შორის, ვითარ-იგი მეტყოდა ჩუენ გზასა ზედა და ვითარ-იგი გამომითარგმანებდა ჩუენ წიგნთა?“ (ლუკა, 24, 32).

მაცხოვარმა ნეტარნი უწოდა მათ, ვისაც არ უხილავს სასწაული და ისე ირწმუნა ქრისტე (იოანე, 20, 29). ებრალებოდა, ვინც არ იკმარა სიტყვა და სასწაულებს თხოულობდა: „უკეთუ არა იხილოთ სასწაულები და ნიშნები, არა გრწმენეს“ (იოანე, 4, 48), უთხრა მან კაპერნაუმელ დიდებულს. ჭეშმარიტად, სიბრალულის ღირსნი არიან, ვისაც სიტყვა დაუტევებია და სასწაულებისგან მოელის სარწმუნოების შეძენას. ეს მოთხოვნა ამყლავნებს კაცში გაბატონებულ ხორციელ ზრახვას, უმეცრებას, ხრწნისა და ცოდვისათვის მსხვერპლად შეწირულ ცხოვრებას. საღმრთო სჯულის შესწავლისა და ღმერთის სათნო საქმეთაგან სრულ განდგომას, სულის უგრძნობლობას სული წმიდის მიმართ, სიტყვაში მისი მონაწილეობისა და თანაზიარობის მიმართ. სასწაულები უფრო გრძნობად, ამსოფლიური საზრუნავით შეპყრობილ კაცთათვის იყო მოვლენილი. ათას საქმეში გართულ, გულით მიწას მიჯაჭვულ ადამიანებს სიტყვის ძალის შეფასების უნარი ნაკლებად აქვთ, ამიტომ მოწყალე ღმერთი ცხონების გზისკენ მათ იზიდავდა ხილული სასწაულების მეშვეობით, რომლებიც გრძნობებზე ახდენდნენ ზემოქმედებას და უძლური სული ყოვლადძლიერი, მაცხოვნებელი სიტყვისკენ მიჰყავდათ. ისინი, ვინც სასწაულების მეშვეობით ირწმუნა ქრისტე, მორწმუნეთა ყველაზე დაბალ ფენას შეადგენდნენ. როდესაც მათ შესთავაზეს სულიერი, ამაღლებული, ყოვლად წმიდა სწავლება, ბევრმა მათგანმა იგი თავისებურად ახსნა. (იოანე, 6, 60), და ისე, რომ ღმრთისთვის არ უთხოვიათ განმარტება ღმრთაებრივი სიტყვისა, განიკითხეს ეს სიტყვა, რომელიც იყო „სულ და ცხოვრება“ (იოანე, 6, 63), ამით გაამყლავნეს თავიანთი ზედაპირული სარწმუნოება, უგულობა, „ამის გამო მრავალნი მოწაფეთა მისთაგანნი უკუნიქცეს და არღარა ვიდოდეს მის თანა“ (იოანე, 6, 66).

ვერც ღმერთის სიტყვამ და ვერც მისმა სასწაულებმა ვერ იმოქმედეს იუდეველ მღვდელმთავარზე, მწიგნობრებზე, ფარისევლებსა და სადუკეველებზე, თუმცა ამ უკანასკნელთა გარდა ყველა კარგად იცნობდა საღმრთო სჯულს წიგნებიდან. ესინი არა მარტო უცხო ექმნენ ღმერთს, არა მარტო მტრად ეკიდნენ მას ცოდვის გამო, რომლითაც მთელი კაცობრიობა მოწამლული, არამედ ასეთებად იქცნენ, ასეთ მდგომარეობაში გაიყინნენ საკუთარი ნებით, საკუთარ თავზე მაღალი წარმოდგენის გამო, იმის გამო, რომ სურდათ იმ ცხოვრებით ეცხოვრათ, რომელსაც სახარება კრძალავდა. მათ არ ესმოდათ უფლის სიტყვები, რამეთუ ისე არ უსმენდნენ, როგორც ჯერ არს, მათ გონებამდე მხოლოდ ის სიტყვები აღწევდა, რომლებიც შეეძლოთ არასწორად აეხსნათ და მათი საშუალებით უფალი რაიმეში დაედანაშაულებინათ. „რაჲსათვის სიტყუანი ჩემნი არა იცნით?“ ეკითხება მაცხოვარი თავის მტრებს, რომლებიც ჯიუტად, გამწარებით უარყოფენ უფლისგან მომადლებულ ცხოვნებას. რატომ არ გულისხმაყოფთ ჩემს სწავლებას? რატომ არ შეიწყნარებთ საკურნებელ სიტყვას? და ამ კითხვაზე პასუხს თავადვე იძლევა: „რამეთუ ვერ ძალგიც სიტყუათა ჩემთა სმენად“ (იოანე, 8, 43). თქვენ ვერ იტვირთავთ მათ, — ამბობს უფალი, — თქვენა ხართ ეენი სიცრუისანი და მისევე მსახურნი, „ხოლო მე ჭეშმარიტსა გეტყვი თქუენ, და არა გრწამს ჩემი“ (იოანე, 8, 45)“ რომელი ღმრთისაგან არს, სიტყუათა ღმრთისათა ისმენს: ამისთვის არა ისმენთ თქუენ, რამეთუ არა ხართ ღმრთისაგან“ (იოანე, 8, 47). „უკეთუ არა ვიქმ საქმესა მამისა ჩემისასა, ნუ გრწამენ ჩემი. უკეთუ ვიქმ, დაღაცათუ ჩემი არა გრწამს, საქმენი გრწმენედ, რაჲთა სცნათ და უწყოდით, რამეთუ მამაჲ ჩემ თანა არს, და მე მამისა თანა“ (იოანე, 10, 37-38). ამაო იყო სიტყვები, რომლებიც, როგორც ღმრთაებრივი ჭეშმარიტება, სრულად სარწმუნონი იყვნენ (იოანე, 8, 14). ამაო იყო სასწაულები, რომლებიც ასევე სარწმუნონი და იმდენად თვალსაჩინონი იყვნენ, რომ ღმერთკაცის მტრებიც კი ვერ ახერხებდნენ მათ უარყოფას (იოანე, 9, 21). სასწაულებმა იმოქმედა იმ ხალხზე, ვინც არ იცოდა ან ნაკლებად იცოდა საღმრთო სჯული, ვინც ამქვეყნიური საზრუნავით იყო დაკავებული, მაგრამ თავისი ნებით არ უარ-

ყოფდა საღმრთო სჯულს. სამაგიეროდ, ამ სასწაულებმა ვერავითარი გავლენა ვერ იქონია მათზე, ვინც კარგად იცოდა საღმრთო სჯული წიგნებიდან, მაგრამ თავისი ნებითა და ცხოვრებით უარყოფდა მას (იოანე, 5, 46-47; 7, 19). ღმერთმა თავისი გამოუთქმელი მოწყალებით ყველაფერი იღონა კაცთა საცხოვნებლად. „უკუეთუმცა არა მოვედ და ვეტყოდე მათ, ცოდვაჲმცა არა აქუნდა, ხოლო აწ მიზეზი არა აქუს ცოდვათა მათთათვის. რომელსა ვსძულდე მე, მამაჲცა ჩემი სძულს. უკუეთუმცა არა ვქმენ საქმენი იგი მათ შორის, რომელნი სხუამან არავინ ქმნნა, ცოდვაჲმცა არა აქუნდა. ხოლო აწ მიხილეს და მომიძულეს მეცა და მამაჲცა ჩემი“ (იოანე, 15, 22-24), ამბობს მაცხოვარი. ქრისტეანობა ისე ნათლად გადმოგვცემს, რომ არავითარი გამართლება არ მოეძებნებათ მათ, ვინც არ იცის იგი. არცოდნის მიზეზი მხოლოდ კაცის ნებაა. მზესავით ბრწყინავს ქრისტეანობა და ვინც თვითონ ხუჭავს თვალებს, დაე, სიბრმავე საკუთარ ნებას დააბრალოს და არა სინათლის ნაკლებობას. კაცთა მიერ ღმერთკაცის უარყოფის მიზეზით თვით კაცთა შიგნითაა, ისევე როგორც მათ შიგნითაა ანტიქრისტეს მიღების მიზეზი. „მე მოვედ სახელითა მამისა ჩემისაითა, და არა შემიწყნარებთ. უკეთუ სხუა მოვიდეს სახელითა თვისითა, იგი შეიწყნაროთ“ (იოანე, 5, 43). მათ ერთდროულად ჰქვიათ ქრისტეს უარმყოფელნი და ანტიქრისტეს შემწყნარებელნი, თუმცა ანტიქრისტეზე ლაპარაკია, როგორც იმაზე, ვინც მოვა. მათ უარყვეს ქრისტე თავიანთი სულიერი მდგომარეობის გამო და იგივე მდგომარეობის გამო მიიღეს ანტიქრისტე. ისინი შეირაცხნენ, როგორც ანტიქრისტეს შემწყნარებელნი, თუმცა მიწიერი მსხემობა დაასრულეს მრავალი საუკუნით ადრე ანტიქრისტეს მოსვლამდე. მათ აღასრულეს ანტიქრისტეს უდიდესი საქმე — მოჰკლეს ღმერთი. როცა ანტიქრისტე მოვა, ამაზე დიდ დანაშაულს ვეღარაფერს ჩაიდენს. მათი სული მტრულად იყო განწყობილი ქრისტეს მიმართ და შესაბამისად, ანტიქრისტეს ენათესავებოდა, თუმცა მისგან დროის უზარმაზარი მონაკვეთი აშორებდათ. მას აქეთ, აგერ, უკვე მეორე ათასწლეული გადის. იოანე ღმრთისმეტყველი ამბობს: „და ყოველმან სულმან რომელმან არა აღიაროს იესო ქრისტე ხორციელად მოსრული, იგი არა ღმრთისაგან არს. და

ესრე არს ანტიქრისტესთვის, რომელ გასმიეს, ვითარმედ მოსლვად არს და აწცა სოფელსა შინა არს“ (3 იოანე, 4, 3). ანტიქრისტეს სულით ძღვანებულნი უარყოფენ ქრისტეს, თვით მათი სული შეიწყნარებს ანტიქრისტეს, მასთან ამყარებენ ურთიერთობას, ემორჩილებიან და თაყვანს სცემენ, ანუ თავიანთ ღმერთად აღიარებენ. „ამისთვის მოუვლინოს მათ ღმერთმან შემწე საცთურებისაჲ, რაჲთა ჰრწმენეს მათ ტყუილისა, რაჲთა ისაჯნენ ყოველნი, რომელთა არა ჰრწმენა ჭეშმარიტებისა მის, არამედ სათნო-ეყვნეს სიცრუესა შინა“ (2 თესალ. 2, 11-12). ღმერთი მართლმსაჯულია თავის მიშვებებშიც. და ეს მიშვება იქნება დაკმაყოფილება, იმავე დროს კი, მხილება და სამსჯავრო კაცთათვის. ანტიქრისტე მოვა მისთვის წინასწარგანჩინებულ დროს, და მისი მოსვლის წინ კაცობრიობის დიდი ნაწილი განუდგება ქრისტეანობას. ამ განდგომით კაცობრიობა ანტიქრისტეს მისაღებად მოემზადება და შეიწყნარებს მას თავისი სულისკვეთების თანახმად. ადამიანთა ეს სულისკვეთება თავისთავად მოითხოვს ანტიქრისტეს, ეპატიჟება და თანაუგრძნობს მას, ისევე, როგორც სასიკვდილო სასმელი სწყურია კაცს მძიმე ავადმყოფობის ჟამს. უკვე გაისმის მოპატიჟება! კაცობრიობა უკვე მოითხოვს უდიდეს გენიოსს, რომელიც მატერიალურ კეთილდღეობას უმაღლეს საფეხურზე აიყვანს და დედამიწაზე ისეთ ნეტარებას დაამკვიდრებს, რომ სამოთხე და სასუფეველი სრულიად ზედმეტი გახდება. ანტიქრისტე იქნება კაცთა საერთო მორალური და სულიერი მიმართულების ლოგიკური, სამართლიანი, ბუნებრივი დაგვირგვინება.

განკაცებული ღმერთის მიერ ქმნულმა სასწაულებმა უდიდესი მატერიალური სიკეთეები მოუტანა კაცობრიობას. რა შეიძლება იყოს მკვდრის აღდგინებაზე მეტი სიკეთე? რა შეიძლება იყოს მეტი სიკეთე, ვიდრე უკურნებელი სნეულების მორჩენა, როცა კაცის სიცოცხლე სიკვდილს უფრო ჰგავს, ვიდრე სიცოცხლეს? მაგრამ მიუხედავად ქრისტეს ამ სასწაულების სიწმინდისა, სიკეთისა და მათი სულიერი მნიშვნელობისა, ეს მაინც დროებითი ნიშები იყო. უფრო სწორად, ეს იყო ნიშნები, ნიშნები მარადიული ცხოვნებისა, რომელიც ღვაწლს უნდა მიეჩენინა კაცობრიობისთვის. ღმერთკაცს-

გან მკვდრეთით აღდგენილი ადამიანები თავის დროზე მაინც დაიხოცნენ: მათ მხოლოდ მიწიერი ცხოვრების განგრძობა მიეცათ და არა მარადიული ცხოვრება. ღმერთკაცისაგან გაბკურნებული ადამიანები ოდესღაც ისევ ავად გახდნენ და დაიხოცნენ კიდეც, ჯანმრთელობა მათ დროებით დაუბრუნდათ და არა სამუდამოდ. დროებითი, ნივთიერი სიკეთეები ადამიანებს მარადიული და სულიერი სიკეთეების მომასწავებელ ნიშნებად მიენიჭა. გრძნობებს დამონებულ ადამიანებს სილული ნიჭები იმისთვის მიეცათ, რომ მათ ერწმუნათ უხილავი ნიჭების არსებობა და მიეღოთ ისინი. სასწაულებს უმეცრებისა და გრძნობადი სამყაროს უფსკრულიდან ამოჰყავდათ კაცი და სარწმუნოებისკენ მიუძღოდნენ, სარწმუნოებას მარადიულ სიკეთეთა შეცნობა მოჰქონდა და ამ სიკეთეთა შეძენის სურვილს აღვიძებდა. საკვირველი ნიშნების შემწეობით მოციქულებმა სწრაფად გაავრცელეს ქვეყანაზე ქრისტეანობა, სასწაულები ამ სარწმუნოების ჭეშმარიტებას უმტკიცებდა განათლებულ ერებსაც და უმეცარ, ბარბაროს ხალხებსაც. ხოლო როდესაც ქრისტეანობა ყველგან დამკვიდრდა, როდესაც სიტყვა გაბატონდა, მაშინ სასწაულების დანიშნულება ამოიწურა და მათ შეწყვიტეს მოქმედება. შეწყვიტეს მოქმედება ყველგან, იშვიათად თუ ახდენდნენ სასწაულს ღმრთის რჩეული წმინდანები. იოანე ოქროპირი, მე-4 საუკუნის წმ. მამა, ამბობს, რომ მის დროს უკვე აღარ იყო სასწაულების ნიჭი, თუმცა ზოგან, განსაკუთრებით ბერებს შორის, ჯერ კიდევ იყვნენ სასწაულმოქმედნი (2 კორ. მიმართ ეპისტოლეს 3, 18-ის განმარტება). ბოლო დროის შესახებ კი, მამებმა იწინასწარმეტყველეს, რომ მაშინ საერთოდ აღარ იქნებიან სასწაულმოქმედნი (წმ. ნიფონტის მე-4 პასუხი ძმას). „ბევრი მეკითხება, რატომ აღარ ხდება დღეს სასწაულებიო? განსაკუთრებული ყურადღებით მოისმინეთ ჩემი პასუხი ამ შეკითხვაზე, რამეთუ ძალიან ხშირად მიმეორებენ ამას. რატომაა, რომ ოდესღაც ყველა ხათელღებული უცხო ენებზე იწყებდა ლაპარაკს, ახლა კი, მსგავსი აღარაფერი ხდება? რატომ წაერთვათ ადამიანებს სასწაულების ქმნის ნიჭი? ღმერთმა ინება ასე, და ამით კი არ გვაკლებს პატივს, მეტ პატივსაც მოგვაგებს. რანაირად? ახლავე აგიხსნით. მაშინდელ ხალხს უფრო მწირი გონება ჰქონდა,

მათ ხომ ის-ის იყო თავი დაანებეს კერპების თაყვანისცემას. მძიმედ და შეზღუდულად აზროვნებდნენ, ნივთიერ საგნებს იყვნენ მიჯაჭვულნი და ვერც კი წარმოედგინათ სულიერი ნიჭების არსებობა, ვერც სულიერი მადლის მნიშვნელობას ჩასწვდებოდნენ, ყოველივე ეს მხოლოდ სარწმუნოებით მიიღება — ამიტომაც იყო დაშვებული სასწაულები. სულიერ ნიჭთაგან ზოგიერთი უხილავია, მათი მიღება მხოლოდ სარწმუნოებით შეიძლება, ზოგიერთს კი, თან ახლავს სასწაულები, რათა ურწმუნოებში სარწმუნოება გააღვიძოს. მაგალითად, ცოდვათა მიტევება სულიერი და უხილავი ნიჭია, ხორციელი თვალი ვერ ხედავს, როგორ აღიხოცება ჩვენი ცოდვები. ამგვარად, ცოდვათაგან განწმენდა არის სულიერი ნიჭი, უხილავი ხორციელი თვალისთვის, ხოლო უცხო ენებზე ლაპარაკი, თუმცა სულიერი ნიჭია, მაგრამ გრძნობის ორგანოებზეც მოქმედებს, ამიტომ იგი ურწმუნო კაცისთვისაც ადვილად დასანახია. ამ დროს უხილავი მოქმედება, რომელიც სულში მიმდინარეობს, საჩინო ხდება გარეგნული, სამეტყველო ენის მეშვეობით. ამიტომ ამბობს პავლე: „ხოლო თვითეულსა ჩუენსა მიცემულ არს გამოცხადება იგი სულისაჲ უმჯობესისათვის“ (1 კორ. 12, 7). ამგვარად, მე სასწაულები არ მჭირდება. რატომ? იმიტომ, რომ სასწაულების გარეშეც მჯერა უფლის მადლისა. ურწმუნოს მტკიცებები ჭირდება, მე კი, არც მტკიცებები მინდა და არც სასწაულები, და თუმცა უცხო ენაზე არ ვლაპარაკობ, მაგრამ ვიცი, რომ ცოდვებისგან განწმენდილი ვარ. ძველებს არ სწამდათ ღმერთი, ვიდრე სასწაულები არ იხილეს. სასწაულები მათ მიეცათ, როგორც მტკიცება მათ მიერ მიღებული სარწმუნოებისა. ამგვარად, ნიშნები ეძლეოდათ არა მორწმუნეებს, არამედ ურწმუნოებს, რათა მათ სარწმუნოება შესძენოდათ. ამას ამბობს პავლეც: „ამისთვისცა ენანი სასწაულად არიან არა მორწმუნეთათვის, არამედ ურწმუნოთათვის“ (1 კორ. 14, 22).

სასწაულები რომ აუცილებელი იყოს, ისინი ახლაც იქნებოდა დაშვებული, მაგრამ მათ ნაცვლად დამკვიდრებულია სიტყვა, რომელსაც ადრე თანაშეეწეოდნენ სასწაულები. სიტყვა გავრცელდა, გაბატონდა, მოიცვა ქვეყანა. იგი სრულიად ნათლადაა განმარტებული ეკლესიის მამების მიერ: მისი მიღე-

ბა და შეთვისება გაადვილდა. სიტყვაა მთავარი და აუ-
ცილებელი, იგია კაცთა მაცხოვნებელი, მარადიულ სი-
კეთეთა მომტანი და ზეციური სასუფევლის მომნიშვ-
ნელი, მასშია დაფარული უფლის უმაღლესი სულიერი
სასწაულები (ფს. 118, 18) „ხოლო სიტყვა ღმრთისა ჰგი-
ეს უკუნისამდე, ხოლო ესე არს იგი სიტყუა, რომელი
გეხარა თქუენ“ (1 პეტრე, 1, 25). „მის თანა ცხოვრება
იყო და ცხოვრება იგი იყო ნათელ კაცთა“ (იოანე, 1, 4). სი-
ტყვაშია ცხოვრება და სიტყვაა ცხოვრება, ცოდვისაგან მომ-
კვდარ ადამიანებს იგი ხელახლა შობს მარადიული ცხოვრები-
სათვის, თავისი თავისგან ანიჭებს მათ ყოვლადწმიდა ცხოვრე-
ბას, ხოლო მსმენელი და მუშაკნი ამ სიტყვისა შობილ არიან
„არა თესლისაგან განხრწნადისა, არამედ უხრწნელისა, სიტყ-
ვითა ღმრთისა ცხოველისაჲთა, რომელი-იგი ჰგიეს უკუნისამ-
დე“ (1 პეტრე, 1, 23). სიტყვის მნიშვნელობა რომ შეეცნოთ,
ჯერ უნდა შევასრულოთ იგი. თუ სახარების მცნებები სრულ-
დება, ისინი მაშინვე იწყებენ კაცის გარდაქმნას, გარდასახვას,
განცხოველებას, მისი აზრების, გრძნობების, თვით ხორციელი
სახის შეცვლას. „რამეთუ ცხოველ არს სიტყვაჲ ღმრთისაჲ და
ძლიერ, და უმკუეთელეს უფროჲს ყოვლისა მახვილისა ორპი-
რისა: და მის წუთების იგივე განსაყოფელამდე სამშვინვე-
ლისა და სულისა, ნაწევართა და ტვინთა, და განმკითხველ
გონებათა და ზრახვათა გულისათა“ (ებრ. 4, 12). უფლის სი-
ტყვა თვითონ შეიცავს მტკიცებას თავის თავში. იგი, ისევე,
როგორც კურნების სასწაულები, თვით კაცის შიგნით მოქმე-
დებს, და ამით მოწმობს თავის თავზე. სიტყვა უმაღლესი სას-
წაულია, იგია სულიერი სასწაული, რომელიც მიენიჭა კაცს
და რომელიც მისი ცხოვნების ყველა პირობას აკმაყოფილებს,
ამიტომაც უხმარ-იქმნა ნივთიერი სასწაულები. ქრისტეანი,
რომლისთვისაც უცხოა სიტყვის ეს თვისება, ამჟღავნებს, რომ
იგი გულგრილია სიტყვის მიმართ, არ იცის სიტყვა ღმრთისა
ანდა მხოლოდ მკვდარი, წიგნისმიერი ცოდნა აქვს.

შეუძლებელია უყურადღებოდ დავტოვოთ თანამედროვე ქრისტეანულ საზოგადოებაში გავრცელებული მისწრაფება სასწაულების ხილვისა და მათი ქმნაც კი. ეს მისწრაფება გულმოდგინე ანალიზს მოითხოვს. სასწაულმოქმედების სურვილს წმ. მამები სასტიკად გმობდნენ: ამით ამქღავნებდა, რომ სული ხიბლის მდგომარეობაშია, ეს ხიბლი კი, ეფუძნება დიდებისმოყვარეობასა და თავისმოყვარეობას. მონაზონთა დიდი მასწავლებელი, წმ. ისააკ ასური ამ საკითხზე წერს: „უფალი მუდამ შეეწევა თავის წმინდანებს, მაგრამ საჭიროების გარეშე არ იჩენს თავის ძალას რაიმე ცხადი საქმით ანდა ხილული სასწაულით, რათა მისი შეწევნა ჩვენთვის რაღაც ჩვეულებრივი არ გახდეს, ღმერთისადმი მოწიწება არ დაგვაკარგვინოს და არ გვავნოს. ამით ღმერთი ზრუნავს თავის წმინდანებზე: იგი უშვებს, რომ მათ თავს იდონ მათი ძალების შესაბამისი ღვაწლი, ილოცონ, და ამასთან ერთად უჩვენებს, რომ არც ერთი წუთით არ წყვეტს იდუმალ ზრუნვას მათზე. თუ გარემოებათა სიმძიმე აღემატება მათ ძალებს, თუ ისინი მოუძლურდებიან და თავიანთი ბუნების არასრულყოფილების გამო ვერ შეძლებენ ამა თუ იმ საქმეს, მაშინ თვით უფალი მოევლინებათ შემწედ თავისი ხელმწიფებით, როგორც ეგების და როგორც მან თავად უწყის. იგი იდუმალ შეეწევა მათ და აძლევს განსაცდელის დათმენის ძალას“, ანიჭებს ადამიანს ღმრთაებრივ გულისხმისყოფას და განაქარვებს თითქოსდა გამოუვალ მდგომარეობას, თავის განგებას უმჟღავნებს კაცს და ამით ღმრთის დიდებას ჩააგონებს, რაც მისთვის ყველანაირად სასარგებლოა, ხოლო როდესაც აუცილებლობა მოითხოვს, მაშინ ცხად შეწევნასაც მოუვლენს. შეწევნა ღმრთისა და მისი სახეები ყოველად ბრძნულია, იგი ჭირსა და ნაკლოვანებაში ეძლევა კაცს და არა შემთხვევით, უაზროდ. ვინც კადნიერდება ეკვედროს ღმერთს სასწაულთმოქმედების ნიჭის მიცემას ისე, რომ ამას არავითარი აუცილებლობა არ აიძულებს, ის ეშმაკისგანაა მოცთუნებული და გამასხარავებული, დიდებისმოყვარებითაა შეპყრობილი და სინდისთანაც უბრალოა. უფლის შეწევნა უნდა ვითხოვოთ განსაცდელის დროს, ღმრთის

განცდა ყოველგვარი აუცილებლობის გარეშე დიდი დანაშაულია, ჭეშმარიტად უსჯულოა ამის მსურველი. წმინდახთა ცხოვრებებში ვხედავთ მაგალითებს, რომ უფალმა, თუმცა არ მოსწონდა ასეთი თხოვნა, მაგრამ მაინც მიანიჭა მათ სასწაულების მქმნელი ძალა. ვისაც თავისი ნებით სურს ამ მადლის მიღება, ის ეცემა, აკლდება ღმერთის შეწევნას და სცდება ჭეშმარიტი გულისხმისყოფის გზას. თუ ღმერთმა ისმინა და შეუსრულა თხოვნა, მაშინ ბოროტი ეუფლება, როგორც მოშიშების გარეშე, კადნიერებით მავალს უფლის წინაშე, და კიდევ უფრო მეტ განსაცდელში აგდებს მას. ჭეშმარიტ წმინდანებს არათუ არ სურთ სასწაულთმოქმედების ნიჭის მიღება, არამედ მაშინაც კი, როცა ღმრთისაგან ეძლევათ, უარს ამბობენ მასზე. და ამას კაცთა დასანახად როდი სჩადიან, შინაგანადაც ნამდვილად არ სურთ ამ ნიჭის ქონა. ერთ წმ. მამას მიეცა უნარი მასთან მომსვლელთა ვინაობის გამოცნობისა, მაგრამ მან თვითონაც შესთხოვა ღმერთს და სხვა ძმებსაც შეევედრა ელოცათ, რომ ეს ნიჭი წაეღო მისგან. და თუ ზოგიერთმა წმ. მამამ მაინც მიიღო სასწაულმოქმედების მადლი, ეს მოხდა ან აუცილებლობის გამო, ან თვით ამ მამის უბრალოების გამო, სული წმიდის განსაკუთრებული მინიშნებით, და არა შემთხვევით, უმიზეზოდ. ჭეშმარიტი წმინდანები მუდამ ფიქრობენ, რომ არ არიან ღირსნი ღვთისაგან ასეთი მადლის მიღებისა. და სწორედ ის, რომ ისინი თავიანთ თავს უღირსად, არარაობად შერაცხავენ, არის ნიშანი მათი ჭეშმარიტი სიწმიდისა" (ისააკ ასური, სიტყვა-36). წმ. მამის ამ მსჯელობიდან აშკარაა, რომ სასწაულების ქმნის სურვილი მოდის ხორცის განხურვებისგან, მოჭარბებული ვნებებისგან, თუმცა კაცი ამას ვერ ხვდება და ჰგონია, რომ საღმრთო შურითაა აღძრული. ასევე ხიბლისა და განხურვების მდგომარეობაში არიან ისინი, ვისაც სასწაულების ხილვა სწყურია. ღმრთის განცდა, მისდამი მოწიწების გრძნობის დაკარგვა არასოდესაა გამართლებული, დასაშვებია მხოლოდ ღმრთის შემწეობის თხოვნა გამოუვალ მდგომარეობაში, როდესაც კაცი საკუთარი ძალებით ვერ აღწევს თავს გასაჭირს, მაგრამ თუ რა გზით შეგვეწევა უფალი, ეს უკვე მას უნდა მივანდოთ და ჩვენი თავი მთლიანად ღმერთს ჩავაბაროთ. იგი ყოველთვის იმას მოგვცემს, რაც

ჩვენი სულისთვის სასარგებლოა, სწორედ იმ შეწევნას მოგვიგზავნს, რაც ჩვენთვისაა საჭირო, და ამით სიმდაბლესაც გვასწავლის. ღმრთის შეწევნას არასოდეს ახლავს თან გარეგანი ბრწყინვალება, რომელიც ასე სწყურია ხორციელ ზრახვას — არ ახლავს, რათა კაცის სულს ვნება არ მიადგეს დიდებისმოყვარეობის დაკმაყოფილებით. ყოველგვარ საღმრთო საქმეში, თვით საეკლესიო მსახურების დროს, ნიადაგ ღმერთს უნდა ვევედრებოდეთ კურთხევასა და შეწევნას, და გვწამდეს, რომ მხოლოდ ღმრთისაგან მოვლენილი საშუალებები შეიძლება იყოს სასარგებლო სარწმუნოებისა და ღმრთისმოშიშებისთვის, და არა ხორციელი ზრახვის მიერ ნაკარნახევი გზები.

უჭირს კაცს დიდების ტვირთის ტარება თავისი სულისთვის ზიანის მიუყენებლად (ისააკ ასური, სიტყვა 1). უჭირთ ეს არა მხოლოდ ვნებებს დამონებულებს, არამედ იმათაც, ვინც დასძლია ვნება, თვით წმინდანებსაც კი. მათ თუმცა ცოდვების დათრგუნვის ნიჭი აქვთ მიცემული, მაგრამ ცვალებადობას მაინც განიცდიან, ამდენად მათთვისაც არაა გამორიცხული ვნებებისა და ცოდვებისკენ მიქცევა, რაც კიდეც შეემთხვა ზოგიერთს იმის გამო, რომ დაკარგა სიფხიზლე თავის სულზე, მიენდო საკუთარ თავსა და საკუთარ მდგომარეობას. მაკარი დიდი ამბობს, რომ სიამაყისკენ მიდრეკილება თვით განწმენდილ სულებშიც არის (საუბარი 7, თავი 4). ეს მიდრეკილებაა სწორედ გარდაქცევისა და შეორგულების დასაწყისი. ამიტომ კურნების მადლი და სხვა ხილული ნიჭები მეტად საშიშია მათთვის, ვისაც ისინი ეძლევა, რამეთუ განდიდების საფრთხე ემუქრებათ კაცთაგან. უხილავი მადლისმიერი ნიჭები, მაგალითად, კაცთა სულების ცხრვნების გზაზე დაყენება, ვნებებისაგან მათი განკურნება ბევრად უფრო მაღლა დგას, ვიდრე ხილული ნიჭები, მაგრამ მათ სოფელი ვერ ხედავს და ვერ გულისხმაყოფს, და არათუ არ განადიდებს ღმრთისმსახურთ, ვისაც ეს ნიჭები აქვს მიმადლებული, არამედ სდევნის კიდეც მათ, როგორც ამა სოფლის წესთა მტრებს, სატანის მეუფების დამამხობლებს (წმ. ტიხონ ვორონეჟელი, ტ. 15, წერილი 103, პუნქტი 4). მოწყალე ღმერთი აძლევს ადამიანებს იმას, რაც მათთვის ყველაზე აუცილებელი და სასარგებლოა, თუმცა მათ ეს არ ესმით და ვერ აფასებენ, და არ აძლევს

იმას, რაც მათთვის ნაკლებადაა საჭირო და ხშირად შეიძლება ძალიან მავნეც იყოს, თუმცა ხორციელ ზრახვას, როგორც წესი, სწყურია იგი. წმ. ისააკ ასური ამბობს: „მრავალი იქმოდა სასწაულებს, მკვდრებს აღადგენდა, შეცთომილების მოქცევაზე ზრუნავდა, დიდ-დიდ საკვირველებებს სჩადიოდა, მათ მრავალი მიიყვანეს ღმრთის ცნობამდე, და ყოველივე ამის შემდეგ ისინი, ვინც სხვები აცხოვნეს, თვითონ საშინელ და საძაგელ ვნებებს მიეცნენ, მოკვდნენ სულიერად და მრავალი დააბრკოლეს, როდესაც მათი საქმეები გამომჟღავნდა“ (სიტყვა 56). ღირსი მაკარი დიდი მოგვითხრობს მასთან ერთად მყოფი ერთი მოღვაწის ამბავს, რომელმაც კურნების ისეთი დიდი მადლი მიიღო, რომ ხელის დადებით არჩენდა სნეულებს, მაგრამ კაცთაგან დიდებას ვერ გაუძლო, საშინელ სიამაყე'ში ჩავარდა და ცოდვათა უღრმეს უფსკრულში დაინთქა (საუბარი 27, თავი 16). ანტონი დიდის ცხოვრებაში ნახსენებია ერთი ჭაბუკი მონაზონის ამბავი, რომელიც უდაბნოში ველურ სახედრებს იმორჩილებდა. ეს რომ ანტონი დიდმა შეიტყო, თავისი შეშფოთება გამოთქვა ჭაბუკი სასწაულთმოქმედის სულიერი მდგომარეობის გამო. მალე მის ყურამდე ამ მონაზონის დაცემის ამბავმა მიაღწია (ანბანური პატერიკი). მეოთხე საუკუნეში ეგვიპტეში ცხოვრობდა ბერი, რომელსაც სასწაულთმოქმედების განსაკუთრებული ძალა ჰქონდა მიცემული და კაცთა შორისაც დიდი სახელი გაუვარდა. მალე მან იგრძნო, რომ სიამაყე შეეპარა და თავისი ძალებით ვერ უმკლავდებოდა. მაშინ ბერმა მხურვალე ლოცვა აღუვლინა ღმერთს, რომ დასამდაბლებლად ეშმაკეულად ექცია იგი. ღმერთმა აღუსრულა თხოვნა და მიუშვა სატანა ბერის სხეულში ჩასასახლებლად. მართლაც, სასწაულთმოქმედი ეშმაკეულად იქცა და ხუთი თვის მანძილზე იძულებულნი იყვნენ, ჯაჭვებით დაებათ. ხალხმა, რომელიც თაყვანს სცემდა მას, როგორც წმინდანს, მიატოვა, რადგან, ხმა დაირხა, ბერი შეიშალაო. ასე გათავისუფლდა იგი კაცთა დიდებისგანაც და სიამაყისგანაც, და მადლობა შესწირა ღმერთს, რომელმაც დაღუპვას გადაარჩინა. ხსნა განხორციელდა უმნიშვნელო ტანჯვისა და კაცთა წინაშე დამცირების გზით. ხალხს, ცხადია, არ ესმოდა, რომ სასწაულების საშუალებით ეშმაკმა განსაცდელი მოუვლინა ბერს,

ხოლო ეშმაკეულად ქცევით ღმერთის გამოუთქმელმა მოწყალებამ იგი უსაფრთხო გზაზე დააბრუნა (Patrologiae L., LXXIII. De vitis patrum, lib. IV, cap. XIII.). ამის შემდეგ გასაგებია, რატომ მალავდნენ დიდი მამები — პიმენი, სისო და სხვები კურნების უდიდეს მადლს, რომელიც ღმრთისაგან ჰქონდათ მინიჭებული: ისინი არ ენდობოდნენ საკუთარ თავს, იცოდნენ კაცის ცვალებადობა და სიმდაბლით იზღუდავდხენ თავს სულიერი დაცემისაგან. წმ. მოციქულებს ღმერთმა ქადაგების შემწედ სასწაულთმოქმედების ძალა მისცა, მაგრამ ღმრთისავე მიშვებით მათ ათასი ჭირი და დევნაც თან ახლდათ, რათა ამპარტავნებას გადარჩენოდნენ. წმ. ისააკ ასური ამბობს: „ნიჭი, რომელსაც განსაცდელი არ ახლავს, დამღუპველია ამ ნიჭის მქონეთათვის. თუ შენი ღვაწლი სათნო-ეყო ღმერთს და მან რაიმე მადლი გიბოძა, მაშინ შესთხოვე უფალს, მასთან ერთად მოგმადლოს გულისხმისყოფაც, როგორ დაიმდაბლო თავი, ეევედრე, მცველი დაუყენოს მის მიერ მოცემულ ნიჭს (ასეთი მცველი მოციქულებისთვის მათზე მოწევნული განსაცდელები იყო), ანდა წაიღოს შენგან იგი, რათა დაღუპვის მიზეზად არ გექცეს: ყველას როდი შეუძლია საუნჯის შენახვა ისე, რომ საკუთარ სულს არაფერი ავნოს“ (31-ე სიტყვა).

სულიერი განსჯა ხორციელი სნეულებებისა და მათი სასწაულებრივი კურნების შესახებ სრულიად განსხვავდება ხორციელი ზრახვის განსჯისაგან. ხორციელი ზრახვა ავადმყოფობას უბედურებად მიიჩნევს, მის განკურნებას კი, მით უმეტეს, სასწაულებრივ განკურნებას, უდიდეს სიკეთედ. ამასთან, ნაკლებად აწუხებს, ეს განკურნება სულისთვის სასარგებლოა თუ მავნე. სულიერი განსჯა ღმრთის განგებით მოვლენილ სნეულებებშიც და ღმრთის მადლითვე მოხდენილ კურნებაშიც ღმრთის მოწყალებას ხედავს. ღმრთაებრივი ნათლით განათლებული სულიერი განსჯა ორივე შემთხვევაში ღმრთის სათნო და სულის საცხოვნებელ ქცევას ჩააგონებს ადამიანს. იგი გვასწავლის, რომ განკურნების სურვილი და ღმერთისთვის ამის თხოვნის უფლება კაცს მხოლოდ მაშინ აქვს, თუ მტკიცედ გადაწყვიტა, რომ თავისი ძალაცა და ჯანმრთელობაც ღმრთის სამსახურს შესწიროს და არა ცოდვასა და ამაოებას. სხვა შემთხვევაში საკვირველი განკურნება კიდევ უფრო მეტი

განკითხვის მიზეზად ექცევა, მეტ სასჯელს მოუტანს აქაც და იქაც. ეს უფალმაც დაადასტურა, როდესაც მის მიერ განკურნებულ განრღვეულს უთხრა: „აჰა ცოცხალ იქმენ, ნულარა სცოდავ, რათა არა უძვირესი რაიმე გეყოს შენ“ (იოანე, 5, 11). კაცი უძლურია და ცოდვებისკენ მიდრეკილი. თუკი წმინდანთაგანაც კი, ზოგიერთმა, ვისაც კურნების მადლიც ჰქონდა მინიჭებული და სულიერი განსჯის უნარიც, ვერ გაუძლო ცთუნებას და დაეცა, მაშ ხორციელი კაცნი, ვისაც სულიერ საგნებზე ოდნავი წარმოდგენაც არა აქვთ, მით უფრო ბოროტად გამოიყენებენ უფლისმიერ ნიჭს. და განა ბევრი ასე არ მოიქცა? საკვირველი განკურნების შემდეგ არად ჩაგდეს უფლის ეს დიდი წყალობა და დაივიწყეს, რომ მადლიერებით უნდა მიეღოთ იგი, ცოდვილი ცხოვრება დაიწყეს, უფლის მადლი სასჯელად ექცათ, უცხო ექმნენ ღმერთს და დაკარგეს ცხოვნება. ამიტომ ხორციელ სალმობათა საკვირველი კურნებები იშვიათად ხდება, თუმცა ხორციელი ზრახვა დიდ პატივს სცემს და სწყურია ისინი. მოციქული ამბობს: „ითხოვთ და ვერ მიიღებთ, რამეთუ ბოროტად ითხოვთ, რაჲთა გულის თქუმათა შინა თქუენთა განილინეთ“ (იაკობ, 4, 3).

სულიერი განსჯა გვასწავლის, რომ სნეულებები და სხვა მწუხარებები, რომელთაც ღმერთი მოუვლენს ადამიანებს, ღმრთის განსაკუთრებული მოწყალების ნიშანია. როგორც მწარე წამალი კურნავს სნეულს, ისე შეეწევიან მწუხარებები ჩვენს ცხოვნებას, ჩვენს კეთილდღეობას, და ბევრად უფრო შეეწევიან, ვიდრე საკვირველი კურნებანი. ძალიან ხშირად ავადმყოფობა გაცილებით მეტი სიკეთეა კაცისთვის, ვიდრე განკურნება, ასე რომ მისი მორჩენით სნეულს ისეთ სიკეთეს წავართმევდით, რომელსაც დროებითი კურნება ვერც კი შეედრება. სახარებისეული გლახაკი, სნეული ლაზარე უფალს არც განუკურნავს და არც სიღატაკისგან უხსნია, ისევე მოკვდა, როგორც იცხოვრა, მაგრამ მოთმინებისთვის ანგელოზებმა აბრაამის წიაღში განუსვენეს. (ლუკა, 16, 22). წმ. წერილი ყველგან გვიმოწმებს, რომ იმათ, ვინც უყვარს, ღმერთი ხშირად მოუვლენს ხოლმე სხვადასხვა მწუხარებებს და მათ შორის ხორციელ სნეულებებსაც (ებრ. 12, 6 და სხვ.). წერილი იმასაც ამბობს, რომ უკლებლივ ყველა წმინდანი ამქვეყნად

ვიწრო და საჭირველი გზით ვიდოდა, მათი ცხოვრება ათასგვარი ჭირითა და განსაცდელით იყო სავსე (ებრ. 12, 3). ღმრთის ჭეშმარიტმა მსახურებმა იცოდნენ ეს და მათზე მოწეენულ მწუხარებებს უდიდესი სიბრძნითა და თავგანწირვით ეგებებოდნენ. მოვლენილ ჭირს, რაც არ უნდა მძიმე ყოფილიყო იგი, თავიანთ წილხვედრად ღებულობდნენ, და გულწრფელად სწამდათ, რომ განსაცდელი არ დაატყდებოდათ თავს, თუკი ყოელადსახიერი და მართლმსაჯული ღმერთი არ მიუშვებდა მათივე სასიკეთოდ. როდესაც რაიმე მწუხარება მოაწევდა მათზე, პირველად იმას გაიფიქრებდნენ, რომ რაღაცით დაიმსახურეს იგი, ეძიებდნენ და ყოველთვის პოულობდნენ კიდეც საკუთარ თავში ამის მიზეზს. შემდეგ თუკი ნახავდნენ, რომ მწუხარება დაბრკოლებად ექცათ ღმრთის სათნო-ყოფის გზაზე, შესთხოვდნენ უფალს, რომ მიეღო იგი მათგან, მაგრამ დაბეჯითებით კი არ იყვნენ დარწმუნებულნი თავიანთ სიმართლეში, არამედ ღმრთის განგებას მიანდობდნენ ხოლმე ამ თხოვნის შესრულება-არშესრულებას. შესაძლებელიცაა, რომ ადამიანის წარმოდგენა მწუხარების შესახებ აბსოლუტურად სწორი იყოს: შეზღუდული კაცის გონება, თუნდაც ეს კაცი წმინდანი იყოს, ვერ ხედავს და ვერ სწვდება მწუხარების გამომწვევ ყველა მიზეზს ისე, როგორც ამას ხედავს და სწვდება უფლის ყოვლისმხედველი თვალი, რომელიც მიუშვებს ხოლმე მწუხარებებს თავის საყვარელ შვილებზე. პავლე სამგზის ევედრა უფალს, რათა განეშორებინა მისგან ანგელოზი სატანა, რომელიც მოციქულს ქრისტიანობის ქადაგებაში უშლიდა ხელს, მაგრამ უფალმა არ შეისმინა მისი. ეს საკითხი ღმერთმა სხვაგვარად განაგო და არა ისე, როგორც ღმერთშემოსილმა მოციქულმა (2 კორ. 12, 7-10). ჭეშმარიტი სულიერი განსჯის ბუნებრივი შედეგი ისაა, რომ კაცი თავის თავს მთლიანად ღმრთის განგებას მიანდობს და გულწრფელად სურს, რომ ღვთაებრივი ნება წარმართავდეს მის ცხოვრებას. როდესაც წმ. ბერები ავად ხდებოდნენ, სნეულებას ისე ღებულობდნენ, როგორც ღმრთის უდიდეს წყალობას, ჰმადლობდნენ და ადიდებდნენ უფალს, არ ეძიებდნენ განკურნებას, თუმცა საკვირველი კურნებანი უფრო ხშირად სწორედ მათ შორის ხდებოდა. მათ სურდათ მოთმინებითა და სიმდაბლით გადაეტანათ

ღმრთისაგან მიშვებული განსაცდელი, სწამდათ და აღიარებდნენ, რომ ეს ყოველგვარ ღვაწლზე მეტია. ღირსი პიმენ დიდი ამბობდა: „სამი მონაზვნური საქმე უტოლდება ერთმანეთს ღირსებით: თუ კაცი სიბრძნით იმარხავს მდუმარებას, თუ კაცი სნეულია და ღმერთს ჰმადლობს, და თუ კაცი სწორად სრულებს მორჩილებას“ (პატერიკი).

ეგვიპტის სკიტეში, სადაც უდიდესი წმიდა მამები ცხოვრობდნენ, მოღვაწეობდა ღირსი ბენიამენი. მართალი ცხოვრებისათვის ღმერთმა მას სნეულებათა კურნების ნიჭი მიჰმადლა. ამ დროს ბერს თვითონ შეეყარა მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობა — წყალმანკი. იგი ძალიან გასივდა, იმდენად, რომ იძულებულნი გახდნენ სხვა, უფრო ფართო სენაკში გადაეყვანათ და ამისთვის მისი სენაკის კარი წირთხლებიანად ამოეღოთ. ახალ ოთახში სპეციალური დასაჯდომი მოუწყვეს, რადგან საწოლზე წოლა არ შეეძლო. ამ დღეში მყოფი ღირსი მამა სხვების კურნებას განაგრძობდა, ხოლო მათ, ვინც თანაუგრძნობდა ასეთი ტანჯვის გამო, სთხოვდა, ილოცეთ ჩემი სულისთვის, სხეული კი, ნუ განაღვლებთო. იგი ამბობდა, როდესაც ჩემი სხეული ჯანმრთელია, დიდად არაფერში მარგია, და როცა დასნეულდა, არაფერს მიშავებსო. აბბა პეტრე მოგვითხრობს, რომ ერთხელ, როდესაც ღირსი ესაია განშორებული მოინახულა, იგი მძიმე ავადმყოფი დაუხვდა და თანაგრძნობა გამოხატა. პასუხად ღირსმა მამამ უთხრა: „ასეთი მძიმე სენი მჭირს და ძლივს ვახერხებ, რომ მუდამ მახსოვდეს სასტიკი ჟამი სიკვდილისა და უფლის სამსჯავროზე წარდგომისა, და ხორცით ჯანმრთელი რომ ვიყო, მაშინ ხომ საერთოდ აღეგზნება ღმრთის წინააღმდგომი ვნებები. მწუხარებები ღმრთის მცნებათა დამარხვაში შეგვეწევა“ (ღირსი ესაია განშორებული, სიტყვა 27). როდესაც ავადმყოფობა ან რაიმე სხვა განსაცდელი შეემთხვეოდათ, წმ. მამები უპირველეს ყოვლისა ცდილობდნენ მოთმინებით მიეღოთ იგი. ჰყვედრიდნენ და განიკითხავდნენ საკუთარ თავს, ამით გულს შეაიწრებდნენ და მოთმინებას ასწავლიდნენ (აბბა დოროთე, მე-7 სწავლება). იხსენიებდნენ სიკვდილს, ღმრთის სამსჯავროს, მარადიულ სატანჯველს, რომელთა გვერდითაც ამქვეყნიურ მწუხარებათა მნიშვნელობა ფერმკრთალდება (მათე, 10, 28-31).

ფიქრობდნენ ღმრთის განგებაზე, იგონებდნენ უფლის აღთქმას, რომ თავის მიმდევრებთან იქნება და დაიფარავს მათ ქვეყნის აღსასრულამდე. ეს აღთქმა სიმხნეევეს მატებდა ღმრთის ერთგულ შვილებს (მათე, 28, 20). ისინი ცდილობდნენ მადლი და დიდება შეეწირათ უფლისათვის მათზე მოწევნული მწუხარებებისთვის, ცოდვილებად შერაცხავდნენ თავს და სწამდათ, რომ ღმერთი ცოდვების გამო სჯიდა და ასწავლიდა მათ, რამეთუ იგი მართლმსაჯულია და სახიერი. ამ საკუთარ შრომას, მოთმინების მოსახვეჭად გაწეულს, ისინი უმატებდნენ გულმოდგინე ლოცვას, ევედრებოდნენ ღმერთს სულიერი ნიჭის — მადლისმიერი მოთმინების, და მისგან გახუყოფელი სხვა სულიერი ნიჭის — მადლისმიერი სიმდაბლის მოცემას, რამეთუ ეს ორივე ნიჭი ცხოვნებისა და მარადიული ნეტარების მტკიცე საწინდარია. დიდი სასწაულმოქმედი მამები არ კურნავდნენ თავიანთ მოწაფეებს, რომელთაც ღმრთის მიშვებით ან მისივე განგებით სნეულება შეეყრებოდათ. რამეთუ არ სურდათ წაერთმიათ მათთვის სულიერი წინსვლა, ამ სნეულების დათმენით რომ მოიპოვებდნენ. ღაზის მონასტრის იღუმენი სერიდი, ბარსონოფი დიდის მოწაფე, დიდხანს იყო ავად. ბარსონოფი დიდი იმავე მონასტერში იყო დაყუდებული. რამდენიმე უფროსმა ძმამ სთხოვა მას, განეკურნა იღუმენი. ბარსონოფიმ უპასუხა: „მე შემეძლო მეთხოვა ზოგიერთი აქ მოღვაწე წმიდა მამისთვის, ისინი ილოცებდნენ ჩემი შვილისთვის და იგი მყისვე განიკურნებოდა, მაგრამ მაშინ მოთმინების ნაყოფს ვეღარ იგემებდა. ეს ავადმყოფობა ძალიან არგებს მას მოთმინებისა და მადლობის საქმეში“ (130-ე პასუხი). ისააკ ასურიც ამბობს, რომ მწუხარებები აუცილებელია, და ამას ასე ასაბუთებს: „თუ მწუხარებები საჭირო იყო პავლესათვის, მაშ იგი ყოველი კაცისთვის საჭირო ყოფილა, „რაჲთა ყოველი პირი დაიყოს, და სასჯელსა თანამდებ-იყოს ყოველი სოფელი ღმრთისა“ (რომ. 3, 19). ძლიერ მოღვაწეებს განსაცდელი იმისთვის ეძლევათ, რომ გაამრავლონ თავიანთი სიმდიდრე, სუსტებს — იმისთვის, რომ უფრო მეტი ვნებისაგან დაიცვან თავი, მძინარეებს — გასაღვიძებლად, სარწმუნოებისგან შორს მდგომებს — ღმერთთან მისაახლოებად. უწვრთნელ შვილს მამის სიმდიდრის პატრონობას

არავინ ანდობს, რამეთუ ვერ შეძლებს სწორად განაგოს იგი. ამიტომ ღმერთი ჯერ სწავლის და ტანჯვის, მერე კი, ნიჭს მიჰმადლის. დიდება უფალს, რომელიც თავისი მწარე წამლებით ჯანმრთელობით დატკბობის უნარს გვაძლევს. არ არის კაცი, სწავლის დროს რომ არ იტანჯებოდეს. არ არის კაცი, მწუხარების ჟამი უმძიმესად რომ არ ეჩვენებოდეს. მაგრამ შეუძლებელია, უპირველად სულიერი სიმტკიცის მოპოვება, და არც ამ ჭირთა თმენა ჰკიდია ჩვენზე, რამეთუ როგორ შეიკავოს წყალი თიხის ჭურჭელმა, თუ მას ღმრთაებრივი ცეცხლი არ განამტკიცებს? თუ ღმერთს სიმდაბლით, მოწიწებით შევთხოვთ და მოთმინებით დავემორჩილებით, მაშინ ყოველივეს მივიღებთ უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესაგან" (სიტყვა 37).

წაწილი მესამე

ქრისტეს მეორედ მოსვლის წინ „იყო სასწაული მზესა შინა და მთოვარესა და ვარსკულავთა... ოხრისაგთა ზღვისაგან და ძრვისა" (ლუკა, 21, 25). როგორ გავარჩიოთ ეს ნამდვილი ნიშნები ანტიქრისტეს ნიშნებისგან? როგორ გავარჩიოთ, თუკი ანტიქრისტეც ახდენს სასწაულებს მზით, მთვარით, ვარსკვლავებითა და ჰაერით? (მახარებელი, განმარტება მარკ. 8, 11-12-ზე) ქრისტეს სასწაულები ჭეშმარიტნი იქნებიან და ამით განირჩევიან ანტიქრისტეს მაცთური სასწაულებისგან. ანტიქრისტეს სასწაულებს მოახდენენ თვით ანტიქრისტე და მისი მოციქულები, ხოლო ქრისტეს სასწაულები, „მზესა შინა, მთოვარესა და ვარსკულავთა", ქრისტეს მეორედ მოსვლის მომასწავებელნი, თავისთავად, ყოველგვარი შუამავლის გარეშე მოგვევლინებიან. ციური მნათობნი შეასრულებენ თავიანთ დანიშნულებას, რომელიც მათ შემოქმედმა დააკისრა (შესაქმე, 1, 14), ეს ერთხელ უკვე მოხდა ქრისტეს შობის ჟამს, როდესაც ვარსკვლავმა გზა უჩვენა მოგვებს (მათე, 2, 2), და მეორედ — ქრისტეს ჯვარცმისას, როდესაც მზე დაბნელდა შუადღისას (მათე, 27, 45). წმ. მათე მახარებელი ამბობს, რომ ანტიქრისტეს მეფობის დასასრულს ქრისტეს მეორედ მოსვლის დრო დადგება, ამის დასაწყისი ის იქნება, რომ „მზე დაბ-

ნელდეს, და მთვარემან არა გამოსცეს ნათელი თვისი, და ეარ-
სკვლავნი დამოცვივენ ზეცით“ (მათე, 24, 29). ნეტარი თეო-
ფილაქტე ბულგარელი ამბობს, რომ ეს მნათობები თავ-თავის
ადგილას დარჩებიან, მაგრამ ჩაქრებიან და კაცთა თვალისთვის
უხილავნი გახდებიან, თითქოს მოწყდნენო ცას, რამეთუ ქვე-
ყანას გაანათლებს ზეციური ნათელი, რომელიც უფლის დი-
დებით მოსვლას მიეგებება.

გავკადნიერდებით და ვიტყვით, რომ ჩვენს მიერ აქ გად-
მოცემული სწავლება სასწაულებისა და ნიშნების შესახებ წმ.
მართლმადიდებელი ეკლესიისა და წმ. მამათა სწავლებაა.
სრულიად აშკარაა ამ სწავლების ზუსტად, ზედმიწევნით გად-
მოცემის აუცილებლობა. ჭეშმარიტი სასწაულები უფლის
ჭეშმარიტ ცნობას, მის მიერ მონიჭებული ცხოვნების დანახ-
ვას შეეწეოდა, მტყუვარი ნიშნები კი, შეცთომილებასა და
მისგან გამომდინარე წარწყმედას. ანტიქრისტეს სასწაულების
უმძიმესი შედეგი ის იქნება, რომ ბედკრული კაცობრიობა სა-
ტანის მოციქულს ღმერთად აღიარებს. ჭკუის სასწავლებელი,
ნუგეშინისმცემელი, მაცხოვნებელია კაცისთვის უფლის ჭეშ-
მარიტი სასწაულები. რა უბრალონი არიან ისინი! რა იოლი
ხდება მათი მეშვეობით ღმერთის შეცნობა! რაოდენი სახიერე-
ბა, სიმდაბლე, შთამაგონებელი ძალაა მათში! ქრისტეს სასწა-
ულების განხილვას მივყავართ ქრისტემდე, რომელიც თავად
ღმერთია. ღმერთმა მისგან განდგომილ კაცობრიობასთან კავ-
შირის აღსადგენად ინება, რომ მისი სიტყვა განკაცებულიყო,
განცხადებულიყო, კაცთა შორის ეცხოვრა, უახლოესი ურთი-
ერთობა ჰქონოდა, შეეთვისებინა და ცად აეყვანა ისინი. გან-
კაცებული სიტყვა ღმრთის სიტყვადვე რჩება და მოქმედებს
ვითარცა ღმერთი, თავისი ღმრთაებრივი ღირსებისამებრ. იგი
მჯდომარე არს მარჯვენით მამისა და ყოველგან ჰგიეს, ვითარ-
ცა ღმერთი. მისი სახელი ქაღალდზეა დაწერილი და ბგერება-
დაც გამოითქმის, მაგრამ „სულ არს და ცხოვრება“ (იოანე,
6, 63), ამიტომ გულსა და გონებაში აღწევს, აღაშენებს. სუ-
ლით მასთან შეერთებულებს, და ხორცსაც სულიერი ცხოვრე-
ბისკენ მიიზიდავს. ქრისტეს სასწაულების განხილვას მივყა-
ვართ ღმრთის სიტყვის მნიშვნელობის შეცნობამდე, რომ-
ელიც „ერთისა არს სახმად“ (ლუკა, 10, 4) ჩვენი ცხოვნებისა-

თვის, სიტყვისა, რომელიც ემსახურება და აღასრულებს ცხოვნებას. ღმრთის სიტყვის შეცნობა სული წმიდის მიერ ნაკარნახევი და მისგანვე განმარტებული წმ. წერილიდან, შეერთებული იმ ცოდნასთან, რომელიც წმ. მამების ცხოვრებიდან მივიღეთ, და ბოლოს, ღმრთაებრივი მადლით მონიჭებული მეცნიერება ქრისტეანს გულისა და გონების სიწმინდეს მიჰმადლის. ამ სიწმინდეში მზესავით ბრწყინავს სულიერი განსჯა. როდესაც დილა თენდება, საგანთა ღამეული გამოსახულებები იცვლება: ზოგი მათგანი, აქამდე უჩინარი, ახლა ხილული ხდება, სხვები, ბუნდოვნად რომ ჩანდნენ და თითქოს სხვა საგნებთან იყვნენ შერწყმულნი, ახლა მკაფიოდ გამოიკვეთებიან. ეს იმიტომ როდი ხდება, რომ თვითონ საგნები იცვლებიან, არამედ იმიტომ, რომ კაცის თვალი ხედავს სხვაგვარად სინათლის მეშვეობით. სწორედ იგივე ემართება გონებას ზნეობრივ და სულიერ საგნებთან დამოკიდებულებაში, როდესაც გონება სული წმიდისაგან გამომავალი ცოდნით ნათლდება. მხოლოდ სულიერი ხედვის მეშვეობითაა შესაძლებელი გულისა და გონების იდუმალი სვლა ღმრთისაკენ! მხოლოდ სულიერი ხედვის გზით ძალგვიძს გავექცეთ შეცდომებს, უღრან ტყესა და დამღუპველ უფსკრულებს. იქ, სადაც არ არის სულიერი ხედვის ნათელი, არც ჭეშმარიტების ცნობაა და არც ღმრთის სათნო საქმეები, რომლებიც აცხოვნებენ და სამოთხეს დაუმკვიდრებენ კაცს (ისაია ასური, სიტყვები 25, 26, 27, 28). სულიერი ხედვის ნათლით უნდა იყოს განათლებული სასწაულებისა და ნიშნების აღქმა მშვინვიერი თვალის მიერ, რათა გავექცეთ იმ საფრთხეს, რაც ხორციელ ზრახვას შეუძლია შეგვამთხვიოს სასწაულებისა და ნიშნების მისეული ხედვის გამოისობით.

ამრიგად, ვნახეთ, თუ რა ხასიათისანი იყვნენ ღმერთკაცის სასწაულები, ისიც ვნახეთ, რა იყო მათი მიზანი. მას შემდეგ, რაც აღასრულეს თავიანთი მსახურება, უფლის სასწაულებმა დატოვეს ასპარეზი და გადასცეს იგი მთავარ მუშაკს — სიტყვას, რომელიც არის და იქნება ვიდრე ქვეყნის აღსასრულამდე როგორც თვით მან გვამცნო თავის თავის შესახებ: „აჰა ესერა მე თქვენთანა ვარ ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა“ (მათე, 28, 20). მას შემდეგ, რაც ყველ-

გან შეწყდა ნიშები და სასწაულები, რომლებიც თან ახლდა მოციქულებისა და მათი მოწაფეების მიერ ქრისტეანობის ქადაგებას, სული წმიდის რჩეული ჭურჭელნი მაინც ახდენდნენ აქა-იქ სასწაულებს. დროთა მანძილზე, ქრისტეანობის მოკლებისა და ზნეობის შესუსტების კვალდაკვალ, სასწაულთმოქმედი მამების რიცხვმაც იკლო, (კლემაქსი, სიტყვა 26, თავი 52). დღეს ისინი საერთოდ აღარ არიან. ამასობაში ადამიანებმა დაკარგეს ყოველგვარი კრძალვა და პატივისცემა სიწმინდის წინაშე, დაკარგეს სიმდაბლე, რომელიც ჩააგონებს კაცს, რომ არაა ღირსი არა თუ სასწაულთა ქმნისა, მათი ხილვისაც კი, და უფრო გაშმაგებით სწყურიათ სასწაულები ვიდრე ოდესმე. საკუთარი თავის მოიმედე, მაღლადმჩენი, უმეცარი ადამიანები განურჩევლად, განუსჯელად, ხელაღებით მიელტვიან ყოველივე სასწაულებრივს, არც იმაზე ამბობენ უარს, თვითონ მიიღონ მონაწილეობა ამ სასწაულებში, და ამას ისე წყვეტენ, რომ ოდნავაც არ იწუხებენ თავს ფიქრით. ასეთი მისწრაფება დღეს ბევრად უფრო საშიშია, ვიდრე ოდესმე. ჩვენ ნელ-ნელა ვუახლოვდებით იმ ხანას, როდესაც უნდა დაიწყოს ურიცხვი და საკვირველი ცრუ სასწაულები, და დაღუპვისკენ წარიტაცონ ხორცელი ზრახვის ბედკრული შვილნი, რომელნიც ამ სასწაულებით მოტყუვდებიან!

სულის ღმრთის სიტყვით განცხოველება იესო ქრისტეს ცხოველ სარწმუნოებას ბადებს. ცხოველი სარწმუნოება კი ქრისტეს, უხილავს ხილულად შერაცხავს (ებრ. 11, 27) მისთვის უკვე განცხადებულია ქრისტეანობის საიდუმლო, აქამდე მიუწვდომელი ახლა ნათელი და გასაგები ხდება და აღარაა დაფარული მძიმე, გაუმჭვირვალი ფარდით, რომლითაც იგი მკვდარი სარწმუნოებისთვისაა დამალული. ცხოველი სარწმუნოება არის სულიერი ხედვა (ისააკი, სიტყვა 28). მას უკვე აღარ სჭირდება სასწაულები, მისთვის სრულიად საკმარისია ქრისტეს სასწაულები და მისი უდიდესი სასწაული, სასწაულთა გვირგვინი, ანუ უფლის სიტყვა. სასწაულების წყურვილი ურწმუნოების ნიშანია, და სასწაულები მიეცა კიდეც ურწმუნოებს მოსაქცევად. მთელი გულით შევუდგეთ უფლის სიტყვას, შევუერთდეთ მას და ვიქმნეთ ერთსულ მასთან, მაშინ ანტიქრისტეს სასწაულები აღარც კი მიიქცევენ ჩვენს ყურა-

დღებას. ძრწოლითა და ზიზღით შევაქცევთ ზურგს მათ, როგორც ეშმაკურ სახილველს, როგორც უფლის გაბოროტებულ მტერთა საქმეს, როგორც ღმრთის შეგინებას, როგორც საწაძლავსა და მომაკვდინებელ, გადამდებ სნეულებას. კარგად დავიმახსოვროთ მამათა გამოცდილებით მიღებული სწავლება: ეშმაკის ყველა საქმეს ერთი საერთო თვისება აქვს — თვით უმცირესი ყურადღების მიქცევაც კი. დიდ საფრთხეს უქმნის კაცს. ერთმა ასეთმა ყურადღებამ, თუნდაც ეს ყოველგვარი თანაგრძნობის გარეშე ხდებოდეს, შეიძლება სულს ყველაზე მავნე შთაბეჭდილება დაამჩნიოს და მძიმე განსაცდელი შეამთხვიოს.

სიმდაბლე განუყოფელია სულიერი ხედვისაგან. წმ. ისააკ ასური ამბობს: „მხოლოდ მდაბალი კაცი შეიძლება გონიერად შეირაცხოს, ვისაც სიმდაბლე არ გააჩნია, ვერასოდეს მოიპოვებს სულიერ ხედვას“ (სიტყვა 89). ცხოველი სარწმუნოების მეშვეობით სულიერი თვალი ღმერთს ხედავს; სიტყვა ღმრთისა სულს ღმერთთან შეაერთებს. ვინც ასე იხილა და განიცადა ღმერთი, ის თავის არარაობასაც ხედავს, გამოუთქმელი მოწიწება ეუფლება ღმერთის ყოველი საქმის, ყოველი ბრძანების მიმართ, და სიმდაბლეს მოიპოვებს. მდაბალი კაცი ვერც კი გაბედავს დაინტერესდეს იმით, რაც ღმრთის ნების გარეშე ხდება, და რაც წინასწარ დაგმო უფალმა: ანტიქრისტეს სასწაულები არ შეეხებიან ერთგულებს, რამეთუ არაფერი ექნებათ მათთან საერთო.

საკუთარი არარაობისა და უძლურების ხედვა, ღმრთისა და მისი დიდებულების, ძლიერებისა და უსასრულო სახიერების ხედვა სულს ჩააგონებს, რომ ლოცვით შეუვრდეს ღმერთს, ასეთი სულის მთელი იმედი ღმერთს ემყარება, ამიტომ არცა აქვს მიზეზი ლოცვის დროს გაფანტვისათვის, იგი ისე ლოცულობს, რომ ერთად შემოკრებს მთელ ძალებს, მთელი არსებით ღმრთისკენ მიილტვის და რაც შეიძლება ხშირად იწყებს ლოცვას, ანდა განუწყვეტლივაც კი ლოცულობს. ანტიქრისტეს მოსვლისას, როდესაც უდიდეს განსაცდელთა ხანა დადგება, ყველა ჭეშმარიტი მორწმუნე გაძლიერებული ლოცვით შეუვრდება ღმერთს (ეფრემ ასური ,სიტყვა 106). ისინი შესთხოვენ შეწევნას, მფარველობას, ღმრთაებრივი მადლის

გარდმოვლენას განსამტკიცებლად და გასაძღოლად. მაგრამ კაცის ძალა, თუნდაც ეს კაცი ღმრთის ერთგული იყოს, არაა საკმარისი დაცემულ ანგელოზთა და დაცემულ კაცთა შეერთებულ ძალებთან გასამკლავებლად, რომლებიც გამძვინვარებითა და თავზეხელაღებით შემოგვიტევენ, რამეთუ იგრძნობენ მოახლოებულ დაღუპვას (გამოცხ. 12. 12). ღმრთაებრივი მადლი, რომელიც ღმრთის რჩეულებზე გადმოვა, განაქარვებს მაცთურის ხიბლს, მის მუქარას ძალას დაუკარგავს და მის სასწაულებს არარად აქცევს. მიჰმადლის მათ იმის ძალას, რომ აღიარონ კაცთა გამოხსნის თავსმდები მაცხოვარი და ამხილონ მათვე წარსაწყმედად მოსული ცრუ-მესია. ღმრთის მადლი ისე აიყვანს ერთგულებს ეშაფოტებზე, როგორც სამეფო ტახტებზე, როგორც საქორწინო ლხინზე, რამეთუ ღმერთის სიყვარული სიცოცხლის სიყვარულზე ტკბილია (ისააკ ასური, სიტყვა 38). როგორც ცოდვილთათვის სიკვდილისწინა ტანჯვაა მარადიული ტანჯვის დასაწყისი (ეს აზრი ეკუთვნის იაკობ სპარსს) ისე მართალთათვის ქრისტესთვის ტანჯვა და მოწამეობრივი სიკვდილია მარადიული ნეტარების დასაწყისი. ეს კარგად ჩანს იქიდანაც, თუ როგორ მოქმედებდა ღმრთაებრივი მადლი პირველი საუკუნეების ქრისტეანებზე: მათ ჯერ თავიანთი ნება უნდა ეჩვენებინათ — წამების პირველი სიმძიმე უნდა დაეთმინათ, ამის შემდეგ კი, ღმრთის შეწევნა მოევლინებოდათ ხოლმე, და ეს შეწევნა სასურველად ხდიდა მათთვის ქრისტესთვის ტანჯვასა და სიკვდილს. უფალმა იწინასწარმეტყველა, რომ მეორედ მოსვლის წინ განსაკუთრებულ განსაცდელთა დრო დადგებოდა და თავის მოწაფეებს ამცნო ლოცვა და მღვიძარება: „მღვიძარე იყვენით და ილოცევდით, რამეთუ არა იცით, ოდეს იყოს ჟამი იგი“ (მარკ. 13, 33). ლოცვა ყოველთვის საჭირო და სასარგებლოა კაცისთვის, ამით იგი ღმერთთან მუდმივ კავშირშია, მისი საფარველითაა დაფარული. და ეს საფარველი იცავს მას თავდაჯერებულობის, დიდებისმოყვარებისა და ამპარტავნებისაგან, სულერთია, ეს აზრები მისი დაცემული ბუნებიდან მოდის თუ დაცემულ სულთა მიერაა შემოტანილი. ხილული და უხილავი განსაცდელების დროს კი, ლოცვა განსაკუთრებით აუცილებელია: იგი თავდაჯერების უარყოფის, მთელი სასოების ღმერთზე დამყა-

'რების გამოხატულებაა და მის შეწევნას მოუვლენს ადამიანებს. ყოვლადძლიერი ღმერთი მლოცველის გვერდითაა გაჭირვების ჟამს და თავისი მიუწვდომელი განგებით იხსნის კაცს განსაცდელისგან.

ღმრთის ცნობა, ცხოველი სარწმუნოება, მადლისმიერი სიმდაბლე, წმიდა ლოცვა — ეს ყოველივე სულიერი ხედვის ნაყოფია, მისი შემადგენელი ნაწილები. და პირიქით, უმეცრება ღმრთისა, ურწმუნოება, სულიერი სიბრმავე, სიამაყე, თავდაჯერება და თავისმოყვარება, ხორციელი ზრახვის ნიშნებია. ხორციელი ზრახვა არ იცნობს ღმერთს, არ ღებულობს იმ საშუალებებს, რომლებსაც ღმერთი სთავაზობს თავის შესაცნობად, და თვითონ ირჩევს ღმრთის შეცნობის მცდარ, დაძღუპველ გზას, თავისივე სულიკვეთების შესაფერს. სწორედ ეს სულისკვეთება მოითხოვს „სასწაულს ზეცით“. ამინ.

თარგმნა რუსიკო ბუაჩიძემ.

„მაშინ ჰრქუა იესო მოწაფეთა თვისთა: რომელსა ჰნებავს შემოდგომად ჩემდა: უარ-ჰყავნ თავი თვისი, და აღიღენ ჯუარი თვისი, და შემომიდეგინ მე“ (მათ. 16, 24).

რას გულისხმობს „ჯვარი თვისი“? რატომ არის „ჯვარი თვისი“ ჯვარი ცალკეული ადამიანისა და იმავდროულად ჯვარია ქრისტესი?

„ჯვარი თვისი“ — ეს ხომ ვაებანია და ტანჯვანი ამა სოფლისანი, რომელთაც პირადად ყოველი ადამიანი განიცდის.

„ჯვარი თვისი“ — ეს ხომ მარხვაა, მღვიძარებაა და კიდევ სხვა კეთილგონივრული ღწვა, რომელიც აკვდინებს ხორცს და სულს აღორძინებს. თითოეული ეს ღვაწლი ვერ აღემატება მოღვაწე ადამიანის ძალებს და შესაბამისად, ყოველ კაცში სხვადასხვაგვარადაა გამოხატული.

„ჯვარი თვისი“ ცოდვით დაცემაა ანუ ვნებანია, რომელიც ყოველ კაცს თავ-თავისი აქვს. ზოგი ვნება დაბადებიდანვე დაგვყვება, ზოგიერთი წუთისოფლის გზაზე დაგვასნეულებს. „ჯვარი ქრისტესი“ მაცხოვრის სწავლებაა: „დაამტკიცე მონისა შენისა თანა სიტყუა შენი, რაჲთა მეშინოდის მე შენგან“. (ფსალმ. 118, 38). როგორი მძიმე ჯვარიც არ უნდა იტვირთო, იგი ფუჭია ამაო, თუკი მაცხოვრის შედგომის შემდგომ „ქრისტეს ჯვრად“ არ გარდაისახა.

„ჯვარი თვისი“ მაშინ გარდაისახება ქრისტეს ჯვრად, ოდეს ადამიანი უფალ იესოს დაემოწაფება, ღრმად იწამებს მის მფარველობას, თავს დამტყდარ უბედურებებსაც მაცხოვრისგან მოვლენილად შერაცხავს, ვითარცა ქრისტეანობის აუცილებელ და გარდაუვალ პირობას, უდრტვინველად აიტანს ყოველგვარ გასაჭირს, რამეთუ სწამს, რომ მწუხარებები შეაერთებს მაცხოვართან, მისი ხვედრის თანამოზიარეს გახდის ამქვეყნად და შემდგომ — ცათა შინა.

„ჯვარი თვისი“ ქრისტეს ჯვრად გარდაისახება მათთვის, ვინც ქრისტეს შეუდგა, რამეთუ ცხოვრების მიზნად მცნებების აღსრულება დაუსახავს. ყოვლადწმინდა მცნებების აღსრულება არის ჯვარი იმ ადამიანისა, რომელზეც თავად უნდა გაეკრას, ჯვარს აცვას გადაღრძუებული და ხრწნადი ადა-

მიანური ბუნება „ვნებითურთ და გულისთქმით“ (გალატ. 5, 24).

აქედან გამომდინარე, ცხადია ვიდრე ვიტვირთავთ ქრისტეს ჯვარს საკუთარი თავი უნდა უარვყოთ, რათა არ წავწყდეთ. ვიდრე ჯვარს აღვიღებდეთ, სხეული უნდა განვიწმინდოთ ბილწებისაგან და მხოლოდ არსებობისათვის აუცილებლით დავკმაყოფილდეთ. ჩვენი სიმართლე უმძიმეს დანაშაულად უნდა შევრაცხოთ უფლის წინაშე, ხოლო გონიერება — უგუნურებად, დაბოლოს, მთელი ძალისხმევითა და რწმენით მივსდიოთ უფალს და დავეწაფოთ სახარებას პირადი ნების უარმყოფელნი.

ამრიგად, ვინც განუდგა საკუთარ თავს, მას უკვე უტვირთავს „ჯვარი თვისი“. ეს ადამიანი შეიგრძნობს თავის უსუსურობას, უფალს ესავს და ეევდრება გააძლიეროს, უდრტვინველად და უშფოთველად შესცქერის მოსალოდნელ უბედურებას, ცდილობს დიდსულოვნად აიტანოს ყოველგვარი გასაჭირი და ამ გზით უფალი იესოს ვნებათა თანამონაწილე, თანაზიარქმნილია უფლის საიდუმლო აღმსარებლობასთან მარტოოდენ გონებითა და გულით კი არა, საქმითა და ცხოვრებით.

ჯვარი მძიმეა ვიდრე იგი არის „თვისი“, „ქრისტეს ჯვრად“ გარდასახული კი, უჩვეულოდ აღმსუბუქდება: თავად უფალიც ხომ ამბობს: „უღელი ჩემი ტკბილ არს, და ტვირთი ჩემი სუბუქ არს“ (მათე, 11,30).

მოწაფე ქრისტესი ჯვარს აღიღებს, ოდეს შეიცნობს, რომ ღვთაებრივი განგებით ღირს-ქმნილა ჭმუნვა და წუხილი დაითმინოს.

მოწაფე ქრისტესი „თავისი ჯვრის“ ტარებას მხოლოდ მაშინ შეძლებს, ოდეს ტანჯვას შერაცხავს ქრისტეს რწმენაში განმტკიცებისა და ცხოვნების გარდაუვალ პირობად.

ჯვარს ატარებდე მოთმინებით, ეს ნიშნავს, რომ ჭეშმარიტად ხატავდე და აღიქვამდე საკუთარ ცოდვებს. ამ აღიარებაში არ არსებობს თვითცთუნება. ხოლო ვინც საკუთარი ცოდვები შეიცნო, მაგრამ მოსთქვამს და გოდებს, მაშინ თვალსაჩინო ხდება, რომ ცოდვა ზერელედ უღიარებია და ფარისე-

ველი და პირმოთნე საკუთარ თავს იტყუებს. ჯვარს ატარებდე მოთმინებით ეს ჭეშმარიტი სინანულია.

მტვირთველთ ჯვრისა! უფლის წინაშე აღიარე მისი განგების მართებულობა. დაადანაშაულე საკუთარი თავი, ღვთის მართლმსაჯულება გაამართლე და მოგეცემა მიტევება ცოდვათა თვისთა.

მტვირთველო ჯვრისა! შეიცან ქრისტე! აი, მაშინ განგეხვნება ბჭენი სამოთხისანი, ადიდე უფალი, გოდება და ჩივილი უარყავ, განაგდე შენგან ყვედრება და გმობა უფლისა. დაე, მადლობდე უფალს საუცხოო საბოძვრისთვის — „ჯვარისა თვისისათვის“ და უბედნიერესი ხვედრისთვის — ტანჯვითა შენითა ჰბაძვიდე ქრისტეს. დაე, ღვთისმეტყველებდე, რამეთუ ჯვარი ერთადერთი და ჭეშმარიტი სავანეა მეცნიერებისა, ტახტსაყდარ-საბრძანებელია ჭეშმარიტად ღვთისმეტყველისთვის; იესო ქრისტეს ვერ შეიმეცნებ ცხოვლად ჯვრის გარეშე.

ნუ დაეძებ ქრისტესმიერ სრულყოფილებას ადამიანურ სათნოებებში, ვერ იპოვი, რამეთუ იდუმალია და ქრისტეს ჯვარშია დაფარული.

„ჯვარი თვისი“ „ქრისტეს ჯვრად“ გარდაისახება, ოდეს მოწაფე ქრისტესი აღიარებს საქმეებში განცსადებულ საკუთარ ცოდვებს და დამსახურებულ სასჯელს მოელის. თუკი შესწირავს მადლობას უფალს და დიდებისმეტყველებს, მაშინ დიდებითა და მადლობით ჯვარცმულში მკვიდრდება სულიერი ნუგეშისცემა. ვმადლობდეთ უფალს და დიდებისვმეტყველებდეთ ეს სათავეა მიუწვდომელი, განუხრწნელი სიხარულისა, მადლმოსილ გულში რომ სდუღს, იღვრება სულში და თვით სხეულსაც განასპეტაკებს.

იტვირთო და ატარო ჯვარი ქრისტესი ხორციელი თვალისათვის, ერთი შეხედვით უმკაცრესი განაჩენია. ქრისტეს მოწაფესა და მიმდევარს კი უმაღლეს სულიერ სიტკბოებას განაცდევინებს. ეს ნეტარება იმდენად დიდია, რომ ჭმუნვა-წუხილს განაქარვებს, ტკივილებს აყუჩებს და უსაშინლესად გვემული ენით უთქმელ შვებას განიცდის.

ყრმა მავრა ჭაბუკი მეუღლის — ტიმოთეს წამების მხილველი მისი ტანჯვის თანამოზიარეც ხდებოდა და ასე მიმართავდა: „ძმაო ჩემო, შიშს მგვრის და მაძრწუნებს გულბოროტ

ჯალათის დანახვა, მხნეობა მღალატობს, მუხლები მეკვეთება და ვძაბუნდები სინორჩისა გამო". წამებული ტიმოთე კი ასე პასუხობდა: „ესავდე უფალსა ჩვენსა და იქნება შენთვის ტანჯვა ვითარცა ზეთი სურნელოვანი დაფრქვეული შენს სხეულზე და ვითარცა ცვარი შენს ძვლებში, რომლებიც შეგიმსუბუქებს ყოველგვარ ტკივილს". (თვენი; 3 მაისი).

ჯვარი ძლიერებაა და დიდება საუკუნითგან ყოველთა წმინდანთა. ჯვარი მკურნალია ვნებათა, განმდევნელია დემონთა. ჯვარი ანადგურებს იმ ადამიანებს, რომლებმაც „ჯვარი თვისი" „ქრისტეს ჯვრად" არ გარდააქციეს, მხოლოდ საკუთარი ჯვარი იტვირთეს, შფოთვენ და დრტვიან ღვთაებრივი განგებულების მოლოდინში, ყვედრიან უფალს და უიმედობასა და სასოწარკვეთილებაში ვარდებიან. ცოდვილნი, თუკი არ შეიგნებენ და არ მოინანიებენ თავიანთ ცოდვებს, ჯვარზე შემსჭვალულნი მარადიული სიკვდილით კვდებიან. ისინი სულსწრაფობით კარგავენ ჭეშმარიტ ცხოვნებას. ცხოვნებას ღმერთში. „თავისი ჯვრიდან" გარდამოიხსნებიან და წარწყმედილი სულებით მარადიულ სამარეში — ჯოჯოხეთში შთაცვივიან.

„ჯვარი ქრისტესი" ჯვარცმული ქრისტეს მოწაფეს დედამიწას წარსტაცებს, საკუთარ ჯვარზე გაკრული, შემმეცნებელი ამაღლებული სიბრძნისა, გონებითა და გულით ზეცად აღიტყორცნება და ჭვრეტს სულის საიდუმლოებებს უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესსა. „რომელსა ჰნებავს შემოდგომად ჩემდა: უარ-ჰყაენ თავი თვისი, და აღიღენ ჯუარი თვისი, და შემომიდეგინ მე". ამინ!

თარგმნა გელა აროშვილმა

ლიტერატურა:

1. Творения блаженнаго Августина Епископа Иппонийскаго. Часть 7. Киев. 1912 г.

2. Творения иже во святых отца нашего Ефрема Сирина. Часть 5. Москва. 1887 г.

3. Творения иже во святых отца нашего Ефрема Сирина. Москва. 1849 г.

4. Собрание поучений избранных из творений святаго отца нашего Иоанна, Архиепископа Константинопольскаго, Златоустаго. Том I, Том II. Москва. 1889 г.

5. Настольная книга священнослужителя. Том I. Москва. 1977 г.

6. Творения иже во святых отца нашего Аббы Исаака Сириянина, подвижника и отшельника.
Слова Подвижническия.
Сергиев Посад. 1911 г.

7. Полное Собрание творений св. Иоанна Дамаскина. Том I. с.-Петербург. 1913 г.

8. ანტონ იუალთოელი „დოგმატიკონი“.

9. PATROLOGIAE GRAECA. T. 120.

10. PATROLOGIAE GRAECA. T. 150.

11. Сочинения Епископа Игнатия Брянчанинова. Том I. «Аскетические Опыты». с.-Петербург. 1886 г.

12. Сочинения Епископа Игнатия Брянчанинова. Том IV. с.-Петербург. 1905 г.

13. Жизнь и труды св. отцов и учителей церкви. Сочинение Ф. Фаррара. с.-Петербург. 1891 г.

შინაარსი

ნეტარი ავგუსტინე 5

ჭეშმარიტი სარწმუნოებისათვის 9

წმ. ეფრემ ასური 76

სიტყვა უფლის მოსვლისათვის, სოფლის აღსასრულისა და ანტიქრისტეს გამოჩინებისათვის 76

სიტყვა მღვდლობის შესახებ 85

ანდერძი 91

წმ. იოანე ოქროპირი 106

როგორ გავზარდოთ შვილები უფლის სწავლითა და მოძღვრებით 106

სიტყვა ხუმრობისათვის 113

მრისხანებისათვის 116

რჩევა დაქორწინების მსურველებს 117

ნუ დაუჯერებთ მისნებს 124

მღვდლობის შესახებ 127

წმ. ისააკ ასური 228

სიტყვა იმის შესახებ, რომ უნდა ვერიდოთ უდებ და დახსნილ ადამიანებს 230

სიტყვა ახალდამწყებთათვის 238

სიტყვა იმის შესახებ, თუ რა გზით მიეახლება კაცის გული ღმერთს 241

გონების დაცვისა და ჭეშმარიტი შინაგანი ხედვისათვის . 246

წმ. იოანე დამასკელი 248

მართლმადიდებელი სარწმუნოების ზუსტი გადმოცემა, წიგნი II 248

წმ. სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველი 356

სამგვარი ლოცვის შესახებ 356

ევსტრატი ნიკიელი მიტროპოლიტი 367

თუ ოდეს ჰრომნი და ეკლესიაჲ მათი რაჲსათვის საღმრთოთა
აღმოსავალისა ეკლესიათაგან განიკრნენ 367
წმ. გრიგოლ პალამა 379
სიტყვა ლოცვისა და ფსალმუნების შესახებ 379
წმ. ეპისკოპოსი ეგნატე 389
სახარების კითხვის შესახებ 389
[illegible]სინანულისათვის 394
[illegible]სასწაულებისა და ნიშების შესახებ 401
„ჯვარი თვისი“ და ჯვარი ქრისტესი 438

რედაქტორი ე. ნადარეიშვილი
მხატვარი დ. ხიდაშელი
მხატვრული რედაქტორი ლ. კინწურაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ზ. ბროშვილი
კორექტორი რ. კობახიძე

გამომცემლობა „ხელოვნება"
თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. 179
1991

ჩაბარდა წარმოებას 16. 02. 91 წ. ხელმოწერილია საბეჭდად 27. 03. 91 წ.
ფორმატი 84×108 1/32. ქაღალდი საბეჭდი № 2 ბეჭდვა მაღალი პირობითი
ნაბეჭდი ფურცელი 22, 4 სააღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 20, 5
ტირაჟი 10. 000. შეკვეთა № 37

ფასი 20 მან.

საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის
თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. წიგნის ფაბრიკა, გრ. რობაქიძის გამზირი № 7.

Тбилисская книжная фабрика им. И. Чавчавадзе Государственного
комитета по печати Республики Грузия, пр. Гр. Робакидзе № 7.